

ფაილი № 166

თხზულებანი

არჩილ ჯორჯაძისა

წიგნი პირველი:

ეროვნულ პრობლემის გარშემო

—
1
—



Handwritten red scribbles at the top of the page.

თსუშლებანი


არჩილ ჯორჯაიისა

წიგნი პირველი:

მრთვესუ პრთვლეის გარეშეთ.

(პოლემიკური წერილები).

1552



ტფილისი

ელექტრო-მბეჭდავი „სორაპანი“, მადათოვის კუნძ. № 1.

1911

ს ა რ ჩ ე ვ ი

- წინასიტყვაობა IV გვ.
- მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის
შესასწავლად (იხ. „ისარი“ 1907 წ. № 34,
35, 36, 38 დაბეჭდილი ამ სათაურით „ადა-
თი და კანონი, საკუთრება და სახელმწიფო“) 1 გვ.
- სამშობლო და მამულიშვილობა (იხ. „ამირანი“
1908 წ. № 36, 40, 41, 42, 44, 45, 46,
47, 48) 23 გვ.
- კიდევ წარსული და მისი ანდერძი (იხ. „ამირანი“
1908 წ. № 86, 87, 88, 89, 90) 87 გვ.
- ისტორიის სპარტალი? (იხ. „ამირანი“ 1908 წ.
№ 57, 61, 62, 63). 137 გვ.
- კამათის დასასრული (იხ. „დროება“ 1909 წ.
№ 112, 113, 114, 115) 169 გვ.
- შეთანხმების იმედი (იხ. „დროება“ 1909 წ. № 149,
150, 151, 154, 155, 156, 195, 196,
197) 195 გვ.

უძთავრეს შეცდომათა გასწორება:

გვ.	სტრ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
30	14	ქვევიდგან	თვით-შემეცნებას.
40	3	ზევიდგან	თვით-შემეცნება.
48	15	„	მოუხდენიათ
129	1	„	მოუხდენიათ.
143	4	ქვევიდგან	6,251
178	10	ზევიდგან	2,651
214	9	ქვევიდგან	საქსეში
			საქმეში
			ქარქაში
			ქარქასში
			სახელმწიფოდ
			სახელმწიფო
			მმართველი-ო
			მმართველი-აო

წინასიტყვაობა.

ამ წიგნში იბეჭდება კრებული იმ ჩემ ნაწერებისა, რომელთაც ეროვნული პრობლემის განმარტება აქვთ მხედველობაში. ხოლო ყოველივე ის, რაც დამიწერია „ცნობის-ფურცელ-მოამბეში“ (1901—1902 წ.), „საზოგადოებრივ მოძრაობის“ დროს (1903—1907 წ.) და აგრეთვე ის, რაც ამ მოძრაობის შემდეგ ხანაში გამოვაქვეყნე (1908 წლიდან, შეადგენენ შინაარს სხვა წიგნებისას, რომელთა თანდათან გამოსვლა შესაფერ საჭიროებისა და პირობებზე იქნება დამოკიდებული.

ქრონოლოგიური წესი ნაწერების გამოცემისა, რა თქმა უნდა, უმჯობესია, მაგრამ ჩვენებურ გამომცემლობის გარემოებათა მიხედვით ყოველთვის შესაძლებელი და მოსახერხებელი არ არის. რაიც შეეხება იმას, თუ რას უნდა მიეცეს უპირატესობა, სრულ თუ რჩეულ ნაწერების კრებულის გამოცემას, გვგონია, რომ ეს უპირატესობა უნდა ჰქონდეს სრულ თხზულებათა გამოცემას, რადგან არჩევის და დაფასების საქმე საზოგადოებრივი აზრის და კრიტიკის მოვალეობაა და არა თვით მწერლისა, ან მის გამომცემლისა.

ამ წიგნში ჩართული ნაწერები, გარდა პირველის წერილისა, უცვლელად იბეჭდებიან. პირველი წერილი გადა-

ვაკეთე და გამოვტოვე ადგილები, რომელნიც პირდაპირ არ შეეხებოდა ჩვენს საგანს. ეს წერილი გამოვიყენე მასალად ეროვნების წარმოშობის პროცესის შესასწავლად. კავშირი აქ ჩართულ დანარჩენ წერილებს შორის და წიგნის მთლიანობა, ვგონებ, გამოსჭვრეტს მათს შინაარსიდან. ამიტომ ვათავსებ ერთს სათაურის ქვეშ.

იმ გარემოებამ, რომ აქ დაბეჭდილი წერილები, უმეტესს შემთხვევაში, პოლემიკური ხასიათისანი არიან, არ დამაბრკოლა და მაინც გამაბედვინა წერილების ერთად გამოქვეყნება. ვიმედოვნებ, რომ ისტორიული, ისტორიულ-ლიტერატურული და სოციალ-პოლიტიკური ცნობები, რომელთაც გაეცნობა მკითხველი ამ წიგნში, ცოტა რამ სამსახურს გაუწევენ ეროვნულ პრობლემის შესწავლის საქმეში.

ადვილად შესაძლებელია, რომ დაკვირვებული მკითხველი ვერ დაკმაყოფილდეს ამ წიგნის თეორიულ-სოციოლოგიურის დებულებით (სახელმწიფოს მნიშვნელობის შესახებ ეროვნულ ცხოვრების შემუშავების პროცესზე). ჩემს გასამართლებლად უნდა ვსთქვა, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის დაწერა არ მიკისრია. მეცნიერულ საბუთებს შევეხები იმდენად, რამდენადაც მოსახერხებელი იყო პუბლიცისტურ ეტიუდების ფარგლებში.

უნდა აღვნიშნო, რომ ამ უკანასკნელ ხანებში საქმარისი მასალა გამოქვეყნდა ჩვენში ეროვნულ პრობლემის შესასწავლად. ცალკე წიგნად დაიბეჭდა თეორიული გამოკვლევა Bâtoni-ისა „ერი და კაცობრიობა“ — გამოკვლევა, რომლის ღირსება ჯერ ხნობით ოდნავადაც არ არის დაფასებული ჩვენი საზოგადოების მიერ. იაკობ გოგებაშვილის რჩეული ნაწერებიც საყურადღებო მასალას წარმოადგენენ იმისთვის, ვინც მოინდომებს ეროვნული პრობლემის მთავარ საკითხის, ენის და სწავლა-განათლების საკითხის ისტორიის გათვალისწინებას და შესწავლას ჩვენს პირობებში. ახლა ხანს ცალკე დიდ წიგნად დაიბეჭდნენ რჩეული ნაწერები ნოე ჟორდანიასი. ამ

წიგნის დიდი ნაწილის ყურადღებაც ეროვნულ საკითხის გარშემო ტრიალებს. ნ. ჟორდანიას, ან-ის ფსევდონიმით, სხვათა შორის, ებრძოდა იმ ეროვნულ პოზიციას, რომელიც შეადგენს ჩემი ნაწერების დედააზრს. და მკითხველი, რომელსაც აინტერესებს ამ შეკამათების აზრი და შინაარსი, ამ წიგნში ჰნახავს მისთვის საჭირო მასალას.

მოსალოდნელია, რომ დღევანდელი მკითხველი, პოლიტიკას დაშორებული და დღიურ ინტერესთა ქსელში გაბმული, არამც თუ არ დაინტერესდეს ამ წიგნის შინაარსით, წინააღმდეგოდ კი გახდეს ეროვნულ პრობლემის რადიკალურად გადაწყვეტისა. შესაძლებელია, რომ მას უტოპიად ეჩვენოს სახელმწიფოებრივ პრინციპებზე და პოლიტიკურ ავტონომიაზე ლაპარაკი იმ დროს, როდესაც ჩვენ მოკლებულნი ვართ ერობის ნასახს და ელემენტარულ საზოგადოებრივ თვით-მოქმედებასაც კი, მაგრამ ამ ხასიათის მკითხველმა მხედველობაში უნდა მიიღოს ჯერ ის, რომ ყოველივე აქ დაბეჭდილი ითქვა ამ რამდენიმე წლის წინად, როდესაც განვილილ მოძრაობის იდეურ ჯამის კვლევასა და განმარტებაში ვიყავით. უნდა ახსოვდეს მკითხველს ისიც, რომ ამ თეორიულ ბაასს თავისი შედეგი და დრო ექნება მაშინ, როდესაც მომწიფდება ამისათვის საჭირო პირობები: ზარც ერთი აზრი და მიმართულება, ცხოვრების სიღრმეში ჩასახული და ამ სიღრმიდამ გარედ გამოსული და აღმოცენებული, არ იკარგება სამუდამოდ. შესაძლებელია რომელიმე აზრის და მიმართულების შეფერხება, მისთვის ფრთების შეკვეცა, შესაძლებელია სხვა გვარის, ზედაპირულის ინტერესებით გამსჭვალვა, ხოლო შეუძლებელია დამარხვა იმ აზრებისა და იმ მიმართულებისა, რომლის დღევანდელიობასა და ცხოველმყოფლობაზეა დამოკიდებული მთელი ერის სიცოცხლე.

ერის სიცოცხლე და მისი მომავალი ხუთი და ათის წლის ამბებით არ განისაზღვრება. ერს გასაქანი დრო სჭირია თავის პიროვნების დამკვიდრებისათვის. და თუ რომელიმე

VIII

გარდამავალ ხანაში ამ დაშკვიდრების ნიშნები დროებით იქა-
რწყლებიან, ეს არ ნიშნავს არც ისტორიის დამთავრებას,
არც სანუკარო მისწრაფების დასაფლავებას.

ავტორი.

1911 წ. მარტი.
ტფილისი



მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად

სოციოლოგიური საუბარი.

(„ისარი“ 1907 წ. № 34,35,36,38. დაბეჭდილია ამ სათაურით
„ადათი და კანონი, საკუთრება და სახელმწიფო“).

ეროვნების პრობლემა ჩვენთვის გამოურკვეველი დარჩება, თუ პირველყოფილ საზოგადოების შესწავლას არ მივაქციეთ ჩვენი ყურადღება. საჭიროა ნათლად გვქონდეს წარმოდგენილი საგვარეულო წყობილების წესი და მისი ევოლუცია, რომელიც თემის გზით სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის დაწესებისაკენ მიისწრაფვის. გზა და გზა საჭიროა გათვალისწინება აგრეთვე იმნორმებისა, რომელნიც საზღვრადნენ ადამიანთა ურთიერთშორის მოქმედებას. აქ სახეში უნდა გვქონდეს ადათი და ის ცვლილებანი, რომელნიც სახელმწიფომ შემოიტანა კანონის სახით ადამიანთა ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში. აქვე უნდა გვახსოვდეს საკუთრების და ოჯახის ინსტიტუტები, რომელნიც საგვარეულო წესის დროიდან შეუწყვეტილად განიცდიან ძირითად ტრანსფორმაციას.

ყველა ამ საკითხებს ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, ვერ შევჩვიებით. გავითვალისწინოთ ზოგიერთი. გადავხედოთ საზოგადოებრივ ცხოვრების ორ დიდ ისტორიულ მოვლენას — გვარს და სახელმწიფოს. გვარის შესწავლასთან ერთად ადათს დავაკვირდეთ, და სახელმწიფოს გათვალისწინების დროს კანონის თვისებას მივაქციოთ ყურადღება. ამ მოვლენათა გათვალისწინების დროს ჩვენთვის აღმოჩნდება ის

თვალსაჩინო გარემოება, რომ ეროვნება ისახება და ჩნდება სწორეთ იმ ხანაში, როდესაც საზოგადოება საგვარეულო წესს თავს აღწევს და როდესაც მყარდება და მკვიდრდება სახელმწიფო. ჩვენ არ ვაკავშირებთ მიზეზობრივის კავშირით სახელმწიფოს და ეროვნებას, რადგან მიზეზი ეროვნების გაჩენისა მრავალი უნდა ყოფილიყო. ჩვენ გვგონია მხოლოდ, რომ სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში უფრო ნათელი ხდება პროცესი ეროვნების წარმოშობისა და რომ სახელმწიფო, აშკარაა, ერთი იმ ძალთაგანი იყო, რომელმაც შობიერების ხანაში ბებობის საქმე გაუწია ეროვნებას. მაშ გადავხედოთ შორეულ წარსულს.

მეცნიერ იურისტების აზრით, ადამიანის ყოფნა შეუძლებელია არა სახელმწიფოს ფორმებში. ადამიანი კანონს ყოველთვის ექვემდებარებოდა. ამ კანონს პირვანდელ დროს ადათს უწოდებდნენ. ადათს და კანონს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობსო და არც პირვანდელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია განირჩევა პრინციპიალურად თანამედროვე ორგანიზაციისაგანაო.

ჩვენ უარვყოფთ ამ „მეცნიერულ ცრუმორწმუნებას“ და ვამბობთ, ადათი და კანონი ერთ წყაროდან არ წარმოსდგებიან. მათ შორის ზოგიერთ პირობებში არის მსგავსება, ხოლო ისინი ერთი მეორისაგან პრინციპიალურად განირჩევიან. ადათი **საზოგადოებრივ** ცხოვრების შედეგია. კანონი კი შედეგია **პოლიტიკურ** ცხოვრებისა. პირველი არა-სახელმწიფოებრივ ფორმებში ჩნდება, მეორე კი პირმშო შეილია სახელმწიფოსი. ვნახოთ, რამდენად სამართლიანია ჩვენი მოსაზრება.

გვარწმუნებენ, რომ ძველ დროშიაც, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დაფუძნებული სახელმწიფოებრივი წყობილება, ადამიანი ემორჩილებოდა კანონს. მართალია, ამ „კანონს“ ჩვეულებას და ადათს ეძახდნენ, ხოლო ეგ ადათი იგივე კანონი იყო, კანონის ზედ-გავლენის ქვეშ ვითარდებოდა და თვით თავის შინაარსსაც იცვლიდაო.

ამ აზრის დამცველთა თვალში, ადათსა და დაწერილ რჯულ-მდებლობის შორის არავითარი არსებითი განსხვავება არ არსებობს, ხან ადათია სჯულ-მდებლობის წყარო, ხან კიდევ თვით სჯულ-მდებლობა ჰქმნის ადათსაო.

ამ გვარი მოსაზრება მოჰყავთ იმის დასამტკიცებლად,

ვითომ ადამიანი ყოველთვის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში სცხოვრობდა, რომ ძველი წყობილება (გვარი და თემი) სახელმწიფოებრივ ელემენტებს შეიცავდა და ძალმომრევი პრინციპზე იყო აგებული. ვნახოთ, რამდენად სამართლიანია ეს აზრი. დავაკვირდეთ ჯერ ძველ საგვარეულო (родовою) წესწყობილებას, რადგან სწორედ ამ წყობილებამ წარმოშობა ადათი, ამ წყობილების ფარგალში ადამიანი ჩვეულების და არა კანონის მიხედვით სცხოვრობდა.

ჩვეულებასა და კანონს შორის იმ გვარივე ძირითადი, პრინციპიალური განსხვავებაა, რა განსხვავებაც არის გვარსა (родъ) და სახელმწიფოს შორის. ან კიდევ საგვარეულო წყობილების და პოლიტიკურ საზოგადოების შორის. ცნობილი ისტორიკოს-იურისტი, მაქსიმ კოვალევსკი კი ადათს და კანონს ერთი ერთმანეთისაგან ასე მკაცრად არ საზღვრავს. ადათს კანონი სცვლიდა და „წმინდა“ ადათის აღმოჩენა ძნელიაო. მ. კოვალევსკის აზრით კავკასიის მთიულთა ადათი საუკუნეთა განმავლობაში მრავალ გვარ გავლენის ქვეშ იცვლებოდა. ირანი, საბერძნეთი, ბიზანტია, ხაზარები, ჰუნები, არაბები, მონგოლები, რუსები—ყველა ამათ ჰქონიათ გავლენა კავკასიის მცხოვრებლებზე, მათ შემოჰქონდათ დაწერილი კანონი და ეს კანონი ხალხის მიერ შემუშავებულ ჩვეულებას სცვლიდა და ანეითარებდაო.

მეცნიერი ამბობს: „როდესაც ჩვენს სასამართლოებში კავკასიის ადათის მიხედვით ვსჯით საქმეებს, ურიგო არ არის ჩავუფიქრდეთ იმ წყაროს, საიდანაც გამომდინარეობს ეს ადათი. განა სამწუხარო არ აღმოჩნდება ის გარემოება, რომ როდესაც ჩვენ ვამართლებთ იმ გვარ წესს, რომელიც ჩვენს ზნეობას ეწინააღმდეგება, „ხალხურ შეხედულებას ქემმარიტებაზედ“ კი არ ვუქვემდებარებთ ჩვენს საკუთარს მსჯელობას, არამედ ფეხქვეშ ვუვარდებით ფანატურ მხეცობას აღმოსავლეთის რომელსამე მოგვისას ან კიდევ ვცემთ პატივს ხაზართა, ჰუნთა, სპარსელთა ან ყაბარდოელთა დესპოტის თავხედობას. ჩვენი მდგომარეობა არა ნაკლებ უცნაური იქნება იმ შემთხვევაშიაც, როდესაც აღმოჩნდება, რომ ჩვენ მიერ მოწონებული ადათი მოსეს, რომაელთა, ბიზანტიელთა, სომეხთა ან ქართველთა სჯულიდან არის აღებული. ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ ვხდებით მსხვერპლად ნებაყოფლობითის დაბრმავებისა, ვხდებით მსხვერპლად ჩვენის სიყვარულისა იმი-

სადმი, რაც ზებირ გადმოცემაშია შენახული და არ არის ჩაწერილი და რაც ამის გამო ხალხის სიღრმიდან გამოსულ ქვეშარტებად გვეჩვენება. მეცნიერ იურისტებს, რომელნიც სცდილობდნენ რაციონალურად გაეგოთ კანონმდებლობის და სასამართლოს დანიშნულება, ბევრ-გვარი ცრუმორწმუნოება ელობებოდათ გზაში. ყველა ამ ცრუმორწმუნოებასთან ერთად საჭიროა გვახსოვდეს ერთი ცრუმორწმუნეობაც — ეს არის „განუსაზღვრელი თაყვანისცემა ადათის წინაშე“. დროა შევიგნოთ, რომ ეგ ჩვეულება (ადათი) კანონისებრ შეიძლება შედეგი იყოს რელიგიოზურ თანატოლისა, ძალმომრეობისა და თვითნებობისა; დროა გავიგოთ, რომ ეგ ადათი ყოველთვის არა ჰქმნის კანონს, პირიქით, იგია ხშირად კანონის გამოსახულება, იმ გვარ დაძველებულ კანონისა, რომელიც იცავს გადაბირებულ იურიდიულ და რელიგიოზურ აზრებსა და რომლის გაუქმება პროგრესისაკენ პირველი ნაბიჯი იქნება. დროა გავიგოთ ისიც, რომ თანამედროვე კანონი და თანამედროვე სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც ძველ ჩვეულებებს ებრძვის, ნამდვილ კულტურულ საქმეს ასრულებს და საზოგადოებრივ განხორციელების საქმეში ძლიერი იარაღიცააო¹⁾.

ოვგორც ჰხედავთ, ადათს მეცნიერი იურისტი ღირსებას ართმევს და დამოუკიდებელ ხასიათს უკარგავს.

ჩვენ არ უარვყოფთ იმას, რომ ადათი ჟამთა მსვლელობაში იცვლებოდა. არც იმას უარვყოფთ, რომ იმის ცვლილების მიზეზი ხშირად დაწერილი კანონი იყო. ჩვენ გვინდა ვსთქვათ მხოლოდ, რომ ადათი ვითარდებოდა კანონის ზედ-გავლენით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეგ კანონი იმავე თვისებისა იყო, რა თვისებისაც თვით ადათია. მაშინ-კი, როდესაც კანონი არსებითად განსხვავდებოდა ადათისაგან, აქნათს არავითარი წარმატება არ დაემჩნეოდა ხოლმე და ადათის მიმდევარი ხალხი ამ შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდა კანონის დამცველთ. საქმე ის არის, რომ ძველი „სამართალი“ ადათის ელემენტებისაგან იყო შემდგარი და იგი საგვარეულო წყობილებასთან იყო შეთვისებულ-შეგუთბული. ამის საბუთებს თვით მაქსიმ კოვალევსკი იძლევა:

¹⁾ М. Ковалевскій. „Законъ и обычай на Кавказѣ“. т. I 83-829.

დაღესტანში მკვიდრი ფესვი გაიკეთა მუსულმანთა კანონმა, ეგრედ წოდებულმა შარიათმა. შარიათის ზედ-გავლენით დაღესტნის ადათს წარმატება დაეტყო. წინად არსებობდა გვარების თვით-გასამართლება და ამის შედეგი იყო გაუთავებელი შურის-ძიება და მკვლევლობა გვართა შორის. შარიათმა ამ წესს ბოლო მოუღო. მ. კოვალევსკი ამბობს: „განუსაზღვრელ შურის-ძიების ნაცვლად, შარიათმა წამოაყენა პრინციპი თანაბარ შურის-ძიებისა. ნაცვლად წინანდელ საყოველთაო შურის-ძიებისა, შარიათი მოითხოვს შურის-ძიებას იმგვარ მკვლევლობისათვის, რომელიც განზრახვით იყო ჩადენილი, აგრეთვე დასახიჩრებისათვის და კრილობისათვის. მან შესცვალა ხალხის შეხედულება პატიოსნებაზედ. ხალხის აზრით, პატიოსნება მოითხოვდა შეურაცხყოფის მორეცხას შურის-ძიებით. შარიათი უთითებს იმ გვარ ადამიანურ პატიოსნებაზედ, რომელიც ასწავლიდა შეურაცხყოფის შენდობას. ხოლო ყველა ამასთან, ხალხურ შეხედულებასთან ერთად, შარიათი აღიარებდა მთელი გვარის პასუხის მგებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც მისი წევრი რამე დანაშაულობას ჩაიდენდაო“.¹⁾

ამ რიგად ვხედავთ, რომ შარიათი ძლიერ ახლოს იდგა ხალხის შეხედულებასთან. მეცნიერთა გამოკვლევით ადათს და შარიათს ერთგვარი აზრი ჰქონდათ ცოლ-ქმრობის ხელშეკრულებაზე, ქმრის და მამის უფლებებზე, ცოლის ქონების ხელ-შეუხებლობაზე, ქმრის უფლებაზე, ცოლის გაშვებისა და მასთან გათიშვის შესახებ და სხვა... და სწორედ ამიტომ მ. კოვალევსკი ამბობს: „მიუხედავად იმისა, რომ ადათსა და შარიათს შორის განსხვავებაა, შარიათმა მაინც მოახერხა და დაღესტნელებს მიაღებინა დიდი ნაწილი თავის მოძღვრებისა და ამის განმარტებას იმაში უნდა ვეძიებდეთ, რომ შარიათის მოძღვრება არსებითად არ ეწინააღმდეგება ადათს, პირიქით შარიათი ადათის განვითარებაში უმაღლეს საფეხურს შეადგენსო“.²⁾

და აი საქმე სწორედ ამაშია. მაჰმადიანთა კანონი, შარიათი, თურმე იგივე განვითარებული ადათი ყოფილა და ამიტომაც გავრცელდა იგი დაღესტანში. ასე რომ ადათს განვითარების უნარი ჰქონია. და საყურადღებო ის არის,

¹⁾ ibid ტ. II 33. 240.

²⁾ ibid ტ. II 33. 217.

რომ იგი კანონის დამოუკიდებლადაც ვითარდება. ამერიკელ წითელ კანიანთა ცხოვრებაზე არავითარი დაწერილი კანონი არ მოქმედებდა, მიუხედავად ამისა ზოგიერთი ამერიკელი ველური ტომი შარიათის მსგავს მოძღვრებამდე ამალლდა. ამერიკელ ველურების შესახებ გვექნება საუბარი, ეხლა კი ისევ კავკასიელებს დაუბრუნდეთ.

კავკასიელ მთიელთა ადათზე, სხვათა შორის, საქართველოს მართლ-მსაჯულეობაც მოქმედებდა. ამ კანონების ზედგავლენით შეიცვალა პირვანდელი ხასიათი სვანების და თუშთშავ-ხევსურების ადათი. და აქედან ის აზრი გამოჰყავთ, რომ ადათს კანონი ასულდგმულებსო. მაგრამ დააკვირდით თვით ქართულ სჯულს, ძველ სამართალს; მასშიაც კპოვებთ იმ გვარ ელემენტებს, რომელნიც მას ვიწროდ აკავშირებენ და აახლოვებენ ხალხურ ჩვეულებასთან და საგვარეულო წესთან.

საქართველოს სჯულმდებლობის კრებული მეფე ვახტანგის კანონებია. ეს კანონები შესდგებიან: ვახტანგის კანონებისაგან, საბერძნეთის, ლევან ბრძენის და კონსტანტინეს კანონმდებლობისაგან, სომხეთის კანონებისაგან, ბექა და ალბუღას სამართლისაგან, გიორგი ბრწყინვალეს კანონებისაგან, მოსეს სჯულისაგან და კათოლიკოსების კანონებისაგან. და ყველა ამ კანონებს რომ ჩაუკვირდეთ, ნახავთ, რომ ისინი უმეტეს შემთხვევაში ადათთა კრებულებს შეადგენენ. სომხის კანონების სათავეში ვკითხულობთ: „თუ გაინტერესებთ გაიგოთ, რა წყაროდან წარმოსდგენენ ეს კანონები, ვიტყვით, ძველი აღთქმისაგან, ღმერთმა რომ მოგვცა, ახალი აღთქმისაგან, წმინდა სახარებისაგან და სხვა ძველ და ახალ სამღთო წერილებისგანო.“¹⁾

მეფე გიორგის კანონები მთიულთათვის იყო შედგენილი; ამ კანონების წინასიტყვაობაში სწერია: „ღვთის განგებითა ჩვენ, მეფეთა მეფე გიორგი, შეიღმა დიდებულ მეფეთა მეფის დიმიტრისა, შევადგინეთ ეს კანონი მაშინ, როდესაც მთბულთა საზღვრებში შევდგით ფეხი“²⁾ მოსეს სჯული რომ აღმოცენებულია იმ ნიადაგზედ, სადაც საგვარეულო წესი მტკიცედ იყო დაცული და ამ წესის ელემენტებიც ძველ

1) Законъ Царя Вахтанга, 83. 32.

2) ibid 83. 57.

აღთქმას ყოველ ნაბიჯზედ ემჩნევა. ჩვენს მთიულეთში ხომ დღესაც დარჩენილია საგვარეულო წესის ნაშთები. რაც შეეხება ვახტანგის სჯულს, აღბუღას სამართალს და სხვას, აქ ორ გვარ ელემენტს ვხედავთ, ერთი ძველ არა-სახელმწიფოებრივ წყობილებისაგან წარმომდგარი, მეორე, აღმოცენებული ფეოდალურ სახელმწიფოს ნიადაგზედ. პირველი შესდგება ადრთის და ჩვეულების კრებულისაგან, მეორე შესდგება მთავართა და მეფეთა დადგენილებისაგან. რათა აზრი უფრო ნათლად გამოჩნდეს, დავაკვირდეთ პატარა ხანს ბექა და აღბუღას სამართალს. ეს სამართალი სამცხე-საათაბაგოში მოქმედებდა. საქართველოს ამ პროვინციაში ერთ დროს კულტურა ჰყვოდა და აქ განვითარდა ფეოდალობა უკიდურეს წერტილამდე. მაშასადამე, საგვარეულო წესს უკვე ბოლო ჰქონდა მოღებული. ხოლო მიუხედავად ამისა, ბექას სამართალი ძველ ადათების კრებულად ჩაითვლება.

ავიღოთ რამდენიმე მაგალითი. ბექას სამართალით, შვილს ნება ჰქონდა მამას გაჰყოფა, მაგრამ მამულის გაყოფას კი უკრძალავდა—„მამულის გაყოფას არა ემართლებისო“. რად არ შეიძლებოდა მამულის გაყოფა?—ჰკითხულობს ურბნელი თავის იურიდიულ მონოგრაფიაში. მიზეზი ისაა, განაგრძნობს ავტორი, რომ საათაბაგოს ოჯახი დიდი და მრავალწევროსანი ოჯახია (семейная община), რომელსაც მიუცილებლად საერთო და განუყოფელი მამული უნდა ჰქონოდა. ყველგან დიდი ოჯახობა საგვარეულო წყობილებისაგან წარმომდგარა და პატარა ოჯახი (малая семья) დიდისაგან გაჩენილა. განუყოფელი მამული მხოლოდ საგვარეულო წყობილებისა და დიდის ოჯახის ხვედრია, პატარა ოჯახს, სახლს იგი არ მოეზოვებოდა. რადგანაც აღბუღას დროს ოჯახი არ დაპატარავებულყო, მამულის გაყოფაც არ შეიძლებოდა. სხვა გზით ვერ აიხსნება, თუ რატომ „შვილი მამულისა გაყოფასა არა ემართლების“. თითქო თითონ აღბუღაც ამტკიცებს ჩვენ აზრს. მამულის გაყოფა ათაბაგს კერძო ჩვეულებად მიაჩნია, „იქნების ალაგის და გვარის წესი, რომ უმცროს მამულოვნებით გაიყვანენ, თუ ცოლსა შეირთავსო“ (მუნ. ნ.) მაშასადამე, „მამულით გაყვანას“ საზოგადო წესი უკრძალავდა და აქვს იმიტომ, რომ დიდი ოჯახი შეადგენდა საზოგადო შინაურს წყობილებას, რომელიც მამულის გაყოფას უარჰყოფს. ვახტანგ სჯულმდებელი თანაუგრძნობდა დიდ ოჯა-

ხობას და გაყრაც ამ მიზეზით გააძნელა. მაგრამ იმის დროს დიდი ოჯახი საზოგადო წესი აღარ ყოფილა და მხოლოდ სანატრელ საგნად გადაქცეულა. საათაბეგოს სამართალი ცხადად ამტკიცებს, რომ რაც შემდეგში სანატრელი შეიქმნა, ის წინად ცხოველს ჩვეულებას შეადგენდა¹⁾.

ურბნელი აღნიშნავს ფრიად საყურადღებო მოვლენას. შედარებითი ეტნოგრაფიამ დაამტკიცა, რომ ეგრედ წოდებული „დიდი ოჯახი“ (პატრიარქალური თემი) საგვარეულო წყობილების მეორე საფეხურზე სდგას. პირველი საფეხური დედეული ან დედათა-მთავრული კომუნისტური ოჯახია (матернитетъ), ხოლო მესამე საფეხური მონოგამური ინდივიდუალური ოჯახია. მონოგამურ ოჯახის წარმოშობასთანავე ირღვევა საგვარეულო წყობილება; საათაბეგოში პატრიარქალურ ოჯახსა ვპოვებთ და სამართალიც ამ ოჯახის ინტერესებს იცავს.

ავილოთ ახლა სხვა მოვლენა—შურის-ძიება. „ჟამთა ვითარების გამო საგვარეულო შურის-ძიებას ფრთები ეკვეცება, — ვკითხულობთ ურბნელის გამოკვლევაში, — ნელ-ნელა ძალა აკლდება და სავარჯიშო მოედანიც უმცირდება, შურისძიება გვაჩიდან ოჯახზედ გადადის, მერე ოჯახს თავს ანებებს და ახლო ნათესავეებს სდევნის და დასასრულ მარტო პირდაპირ დამნაშავეს ულესავს თავის მახვილსა.“²⁾ როცა მძვინვარე შურის-ძიება მოისპო, მაშინ გაჩნდა ეგრედ წოდებული **დაურვება** (სისხლის მიცემა — compositio, bupa). ძველს დროს დაურვება საზოგადო ჩვეულება ყოფილა.³⁾ უეჭველია, რომ საათაბეგოშიაც დაურვება შურისძიების შემდეგ დაარსდა. ასე გასინჯეთ, დაურვების პირვანდელი ფორმაც კი ნაშთად შენახულა სამართალში და ცხადად სჩანს, რომ საათაბეგოშიც დაურვებას იმავე გზით უვლია, როგორც სხვაგან... საათაბეგოშიაც ყველა დანაშაულს თავისი თეთრი გაუჩინეს და ამას გარდა თეთრის მეტნაკლებობა „გვარსა ზედა“ დაათუძნეს.“⁴⁾ ყველა ეს, როგორც ავტორიც გვეუ-

1) „ათაბეგნი ბეჟა და აღბუღა და მათი სამართალი“, ნ. ურბნელისა. გვ. 180.

2) *ibid* გვ. 241.

3) *ibid* გვ. 250.

4) *ibid* გვ. 252—253.

ბნება, საგვარეულო წყობილების ნაშთია, და ეს ნაშთი სამართალშიაც გამოისახა.

ავიღოთ სასამართლოს პროცესი. ყველამ იცის, რომ დანაშაულის აღმოჩენისათვის თანამედროვე სასამართლო მოწმეებს მიმართავს ხოლმე ძველი სამართალი კა, საგვარეულო წესზე აღოძინებული, მოწმეებს უნდობლად ეპყრობა. გვალისეულის თვალში მოწამე და ჯაშუში ერთი ცნებაა. მოწმობა მავნებელ საქმედ მიაჩნდათ. თუ დანაშაულობა გვარის წევრმა ჩაიდინა, იმის წინააღმდეგ მოწმობა ხომ საკუთარის ინტერესის წარყოფას მოასწავებდა (გვარი და მისი წევრები ერთს სხეულს შეადგენდნენ). ხოლო თუ დანაშაული სხვა გვარის კაცმა ჩაიდინა, იმის წინააღმდეგ მოწმობა სახიფათო იყო, რადგან სხვა გვარის გადამტერება საშიში იყო. „ვახტანგის წინა დროს ქართული სამართალი ძველს მიმართულებას მისდევდა, ამბობს ურბნელი, და იგი მიმართულება კიდევ მოწამეს არა სწყალობს და მოფიცარს (сѣ-присяжникъ) უფრო ენდობა. იგრე იყო საათაბაგოშიაც. აღბულა თითქო ძუნწობს და მოწამეს ორიოდ ადგილას იხსენიებს. 1) მაგრამ ამგვარივე უნდობლობას, დავუმატებთ ჩვენ, თვით ვახტანგის კანონებშიაც ვპოვებთ, რომელიც უფრო ახალ დროში იყო შედგენილი. ვახტანგის კრებულში ვკითხულობთ: „მოწმეებს ძალიან სწყალობენ ბერძნები, ევროპიელები და რუსები. თვით წმინდა სახარებამაც დააწესა ისინი. მაგრამ საქართველოში მოწმეებს დიდი გასავალი არა აქვთ. ხოლო აქაც თუ ვინმემ წარმოადგინა იმისთანა მოწმეები, რომელთაც ღვთის შიში აქვთ და ზრუნავენ თავიანთ სულის ცხოვნებაზე, რომელიც ღვთის მსახურებას ეწევიან, ჰკვიანნი, სამაოთლიანი და სანდონი არიან, ამ გვარ მოწმეებს დაეჯერებათ, ხოლო ვისაც ზემოდ ჩამოთვლილი ღირსებანი არა აქვს, ერთ ან ორ მოწამეს არ დაეჯერება. თუ ამგვარი მოწმეები არ არიან, ათი ან ოცი კაცის მოწმობაა საჭირო, ან მთელი სოფლისა. ამაზე ნაკლები რიცხვის მოწმობა კი არ შეიწყნარება...“ და სხვა. 2) აქედანა სჩანს, რომ არც ვახტანგს ჰქონდა განუსაზღვრელი ნდობა მოწმეებისა.

1) *ibid* გვ. 301.

2) Законъ дая Вахтанга, მუხ. 13 გვ. 2.

აღბუღას სამართალის რომ დავუბრუნდეთ, საჭიროა აღ-
ვნიშნოთ, რომ სასჯელის კითხვაშიაც მოსამართლე ძველ
ჩვეულებას იცავდა. სისხლის დაურევებასთან ერთად შემდეგ
ხასიათის სასჯელს ვპოვებთ აღბუღას სამართალში, როცა ცო-
ლიანი კაცი ქმრიანს დიაცს უნამუსოდ გაჰხდიდა, დამნაშავეს
ყელზედ საბელს მოაბამდნენ და შიშველს უბან-უბან ატა-
რებდნენ (მუხ. კდ). თითქმის ასეთივე სასჯელი მოელოდა
ზედ-დამსხმელს, რომელიც ლამობდა დიაცის წაგვრას—ში-
შველს, პერანგის ამხანაგის ამარა, სანებვეზე ათრევდნენ და
შოლტავდნენ (მუხ. იდ). თვალთა დაწვაც ხმარებაში იყო
(მუხ. რნგ), აგრეთვე ხელფეხთა დაჭრა (მუხ. რდ)¹⁾.

ამ მოკლე ანალიზიდან აშკარადა სჩანს, რომ საქართვე-
ლოს ძველი სჯულმდებლობა ადათზე იყო დამყარებული და
თუ მას ჩვენს მთაში ადათის განვითარების მსვლელობაზე
გავლენა ჰქონდა, ეს სწორედ ამ გარემოებით აიხსნება. მაგ-
რამ ყოველივე ეს იმას არა ნიშნავს, ვითომ ქართულ კან-
ონს „კანონისებური“ თვისებები არ ჰქონდეს. ქართველთა
ტომებმა საგვარეულო წყობილებას ძველ დროშივე თავი
დაახწიეს. საქართველოში ფეოდალობა დამყარდა და ამ ფე-
ოდალობიდან აღმოცენდა მემკვიდრეობითი მრწარქია.²⁾ მა-
შასადამე, საქართველოში დროთა მსვლელობაში შემუშავდა
სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციის მცვე-
ლი—დარაჯი ხომ კანონია.

ამ გვარად, ქართულ სჯულ-მდებლობაშიაც ადათთან
ერთად სრულიად ახალ იურიდიულ და პოლიტიკურ ნორ-
მებსა ვპოვებთ. და ამ ნორმების თვისება იყო დარღვევა
ადათისა, საგვარეულო წესისა, შეერთება თემებისა და ამას-
თან დამონება ერთის წოდებისა მეორისაგან და საბოლოოდ
ყველა წოდების დამონება მეფის მიერ. მართალია, ეს უკა-
ნასკნელი პროცესი არ დამთავრდა საქართველოს ძველ ის-
ტორიაში, მეფეებმა საბოლოოდ ვერ სძლიეს ფეოდალთა
ურჩობა. ამიტომ არც ტომთა შეერთება დამთავრდა, არც
ჩამოყალიბებული ფორმები მიეცა ქართულ ეროვნებას. ხო-
ლო კანონმდებლობის ტენდენცია კი აქეთკენ იხრებოდა.

1) აღბუღას სამართალი, ურბნელისა. გვ. 410.

2) Исторія Грузіи (Культурно-историческій набросокъ)
проф. Марра გვ. 29.

საათაბაგოს წყობილება, მაგალითად, დაფუძნდა „გვარსა“, „დიდმამულსა“ და „საპატიო ხელზე“ და ეს სამი ცნება ყველგან ფეოდალობის დამახასიათებელ თვისებად ითვლებოდა. საცა კი პოლიტიკური საზოგადოება დაარსებულა, ყველგან თავადებმა, დიდმა მთავრებმა თუ მეფეებმა სისხლის ფასის მეტ-ნაკლებობა „გვარსა ზედა“ დააფუძნეს; მთავარი თუ მეფე ყველაფერში ეჩრება, ყველაფერში წილს იღებს. ასე, მაგალითად, იმავე აღბუღას სამართალში აღიარებულია: თუ ვინმე ყმას გაცარცავდა, სისხლი ბატონს უნდა მიეღო (მუნ. კ.)¹⁾ „გასამყრელოც“ (ვახტანგის კანონში) ბატონის სასარგებლოდ მიდიოდა; ²⁾ ესევე იყო სხვა ქვეყნებშიაც. რუსეთში კნიაზობის დროს ვირა (ურვა) კნიაზს ეკუთვნოდა. საფრანგეთშიაც სისხლის ნაწილი გრაფსაც უნდა რგებოდა. ყველგან ფეოდალი შეიქმნა უმაღლეს მსაჯულად. საათაბაგოს პატრონი სრულიად მიაგავდა ფეოდალურ Seigneur Haut-justicier-ს³⁾.

ქართულ სჯულმდებლობას ის თვისებაც ჰქონდა, რითაც ასე თავი მოსწონს „განვითარებულ“ კანონმდებლობას. მან უარ-ჰყო ძველი შეხედულება დანაშაულობასა და ბოროტებაზე, რომლის ძალით დანაშაულობად მიაჩნია მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელსაც რაიმე ზარალი მოაქვს. კანონმა ახალი აზრი შემოიტანა. იგი ყურადღებას აქცევს დამნაშავის ბოროტ წადილს (Злоиѣ умыселѣ). აღბუღას სამართალი აღგენს, დამნაშავე უნდა დაისაჯოს იმის და გვარადაც, თუ რამდენად ბოროტი გამოიხატა იმის მოქმედებაში და მარტო ზარალის მიხედვით არ უნდა მიეწყოს სამაგიერო. ამას გარდა, იგივე სამართალი ამბობს, თუ ყველა არა, ზოგიერთი დანაშაული მაინც, საზოგადო ბოროტებაა და საათაბაგოს პატრონმა უნდა სდევნოს და განსაჯოსო“⁴⁾ აქ ისახება კერძო და საზოგადოებრივ ინტერესთა განსაზღვრის სურვილი „различіе частныхъ и публичныхъ правъ) როგორც ამბობენ იურისტები—თეორია, რომლის წყალობით ფეოდალს, მეფეს თუ დემოკრატიულ პარლამენტს კერძო ადამიანთა ცხოვრებაში ჩარევის უფლება მიეცა და

¹⁾ ibid გვ. 113.

²⁾ ibid გვ. 180.

³⁾ ibid გვ. 265.

⁴⁾ ibid გვ. 312.

რომლის მეოხებით მმართველთა ძალა-უფლობას ვითომდა საზოგადოებრივი თანხმობის ხასიათი დაეტყო. ჩვენში ამ იარაღის საშუალებით მეფეები ფეოდალთა ძლიერების აღმოფხვრას სცდილობდნენ და ამზადებდნენ ელემენტებს ეროვნულ სხეულის გამაგრებისათვის და მეფურ ძალის გამტკიცებისათვის.

ყველა ზემონათქვამიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: ძველი მართლმსაჯულება, ძველი დაწერილი კანონი, ვიწროდ იყო დაკავშირებული ადათსა და ჩვეულებასთან, ხოლო რაც დრო გადიოდა კანონსა და ადათს შორის განსხვავება იზრდებოდა. კავშირი ადათსა და კანონს შორის ორგანიული არ იყო. ადათი და კანონი არსებითად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. ერთი საგვარეულო ცხოვრების ჩარჩოში აღორძინდა, მეორე პოლიტიკურ საზოგადოებაში. ერთი იყო ზნეობრივი და გონებრივი გამოსახულება ხალხის მისწრაფებათა რომელიც ერთგვარ მატერიალურ პირობებში სცხოვრობდა; მეორე იყო ძლიერთა ხელში იარაღი დამონებისა. იგი ვითარდება იმგვარ საზოგადოებაში, რომელსაც პირვანდელის ერთგვარობა დაეკარგა და ეკონომიური უსწორ-მასწორობა დაეტყო. თავდაპირველად მეფენი, მთავარნი ადათს თავიანთის ძლიერების გასამტკიცებლად ხმარობდნენ. თავიანთი ბატონობა იმათ საგვარეულო წყობილებიდან აღორძინებულ საზოგადოებაში დაამკვიდრეს. ამიტომაც არის, რომ ადათი გაიხადეს თავიანთ კანონმდებლობის საძირკვლად. ხოლო ამასთან ამ კანონმდებლობაში შეაპარეს იმისთანა რამ, რაც ადათში არ იყო, რაც მას არღვევდა და ეწინააღმდეგებოდა და რაც იცავდა ახლად აღმოცენებულ ახალ წოდებათა და ბატონთა ინტერესებს—ფეოდალთა, მთავართა და მეფეთა.

ასე იყო ძვილს წარსულში; ასევეა ეხლაც. თუ მთავრობის გაძლიერებისათვის სასარგებლოა ადათის განვითარება, ადათს არ სდევნიან, პირიქით, მის განვითარებას ხელს უწყობენ. ხოლო თუ ადათი მთავრობის პრესტიჟს ძირს უთხრის, მას სდევნიან და ავიწროვებენ.

მაშინ როდესაც სვანეთში, მაგალითად, მთავრობა სასტიკად სდევნის ხალხურ ადათს, დაღესტანში თითქოს მფარველობასაც უწევს მას. რა მიზეზია, იკითხავთ? ის, რომ დაღესტანში მუსულმანთა კანონი „შარიათი“ გავრცელებული. შარიათი კი ადათთან დაახლოვებულია. ამ გარემოებით

ისარგებლა შამილმა და თავის ბატონობის დროს მხოლოდ „შარიათს“ ავრცელებდა. შამილის დამხობის შემდეგ რუსეთის მთავრობამ შარიათს დაუწყო დევნა, რათა ამით შამილის კვალი და გავლენა აღმოეფხვრა, და ადათს დაუწყო მთარველობა. სვანეთში შანილობა არ იყო და იქ ადათს სდევნიან. ამ გარემოებამ მეცნიერი იურისტები საგონებელში ჩააგდო. როგორ იქნება, შარიათი გაცილებით მაღლა სდგას ადათზე, დაღესტანში კი ადათს აძლევენ უპირატესობასაო? ისა რომ ადათის წინააღმდეგ გალაშქრება ხელსაყრელია სვანეთში, ხოლო მავნებელია დაღესტანში ადათს რომ დევნა დაუწყონ, შარიათი გამეფდება, შარიათი კი „შამილობა“, ხოლო შარიათის გაუქმებით ხალხი ადათითაც როლად წავა და საფრთხე, შიში, აჯანყების შიში მოისპობაო. ნამდვილი მნიშვნელობა ამ პოლიტიკისა სწორედ ამნაირია: მას აქვს აზრად მმართველთა ძლიერებას დამკვიდრება.

კანონის და ადათის თვისება და ბუნება საკმარისად გამოირკვა ჩვენთვის. ახლა განვიხილოთ საზოგადოებრივ ფორმების ტიპები. ჩვენს წინაშე ორი ტიპია საზოგადოებრივობისა. ერთი არის გვარი (პირვანდელი კომუნისმი) და მეორე სახელმწიფო (კერძო საკუთრებაზე აშენებული პოლიტიკური ორგანიზაცია). ამ ორ ორგანიზაციის შორის შეუღებელი ბრძოლაა. სახელმწიფოს წარმოშობასთანავე პირვანდელი კომუნისმი დაემხო. და ქვეყნად იშვა ახალი მოვლენა—ეროვნება. სანამ გვარი ძალაში იყო, **ერს** ადგილი არა ჰქონდა. გაჩნდა სახელმწიფო, იბადება ერიც. ასე რომ თუ გვინდა ნამდვილი აზრი შევადგინოთ ეროვნულ შემეცნების შესახებ, მივაპყროთ გონების თვალთ პოლიტიკურ ორგანიზაციის სტრუქტურას და ხასიათს.

იყო დრო, როდესაც სახელმწიფო არ არსებობდა. ეს იყო საგვარეულო წყობილების ხანა. ამ დროს ადამიანი ეკუთვნოდა თავის გვარს. გვარისეულთა ინტერესები თანაბარი იყო. მათ საერთო მიწა ჰქონდათ, ერთად ამუშავებდნენ და მიწის ნაყოფიც საერთო იყო. გვარი განცალკევებულად არ იდგა ადამიანთა სხვა ჯგუფებისაგან. რამდენიმე გვარი ერთად „ფრატრიას“ (თემს) შეადგენდნენ. ერთ ენაზე მოსაუბრე თემები ტომებრივად შეკავშირდებოდნენ ხოლმე. პატარა ტომთა ფედერაცია—ის უმაღლესი საფეხურია, რომელზედაც ამაღლებულა საგვარეულო წყობილება. ხოლო

ამ ევოლიუციის დროს ძირითადი საფუძველი საგვარეულო წყობილებებისა არ შეცვლილა. ამ საფუძველს შეადგენდა მიწის საერთო მფლობელობა და გვარი, — საზოგადოებრივ შენობის ერთეული. აქ არა ჰქონდა ადგილი არც კერძო საკუთრებას, არც ტერიტორიას-ადმინისტრაციულ ერთეულს. სახელმწიფო წარმოიშვა საგვარეულო წყობილების ნანგრევებზე, ე. ი. სახელმწიფოს არსებობა შესაძლოდ გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც გაჩნდა კერძო საკუთრება და როდესაც ტერიტორიასაც ადმინისტრაციული ერთეულის ხასიათი მიეცა.

როგორცა ვსთქვით, სოციოლოგიურ საკითხთა განმარტებაში შუქსა ჰფენს ეტნოგრაფია და დაწესებულებათა ისტორია. ჩვენც ვიხელმძღვანელოთ ამ მასალით და განსაკუთრებით მორგანის სოციოლოგიურის აზრებით. მორგანმა შეისწავლა ამერიკელ წითელ კანიანთა ყოფა-ცხოვრება. იროკეზის ტომთა შორის 40 წელიწადი სცხოვრობდა და თავის თვალთა აკვირდებოდა იროკეზთა საზოგადოებრივ წესწყობილებას. ამ დაკვირვების ნაყოფი ის იყო, რომ მორგანმა აღმოაჩინა პირველყოფილ და ბარბაროსულ საზოგადოების წეს-წყობილების საძირკველი. იროკეზთა გვარის შესწავლამ ნათელი მოჰქვინა ბერძენთა და რომაელთა უძველეს ისტორიას და აქედან შესაძლებელი გახდა მთელ კაცობრიობის პირველ-ყოფილ საზოგადოებრივ ფორმების შესწავლა. მორგანმა ძირიან-ფესვიანად გადააბრუნა ისტორიკოსების მიერ შემუშავებული შეხედულება პერუს, ჩილის, ბერძენთა და რომაელთა ცივილიზაციაზე. ამერიკის აღმოჩენის დროს, წითელ-კანიანთა შორის საგვარეულო წესი იყო დამკვიდრებული (ეს წესი ეხლაც არსებობს იქ). ესპანელი ავტორები კი პერუს და ჩილის „მონარქებზე“ და „იმპერატორებზე“ მოუთხოვრებდნენ ამბავს ევროპელებს: მონარქია ახალი დროის ნაყოფია და ვერას გზით ვერ დამყარდება საგვარეულო წყობილებაზე. შეუძლებელია, ამბობს მორგანი, პოლიტიკურ საზოგადოების ან სახელმწიფოს დაფუძნება საგვარეულო წყობილებაზე. სახელმწიფო უნდა იყოს დამკვიდრებული ტერიტორიაზე და არა პიროვნებაზე, ქალაქზე, რომელიც პოლიტიკურ სისტემის ერთეულს შეადგენს, და არა გვარზე, რომელიც არის საზოგადოებრივ

სისტემის ერთეულია. ¹⁾ ჰომეროსის სიმღერებმაც ბერძენთა „მეფეების“ და „სამეფოების“ შესახებ ბევრი ისტორიკოსი შეიყვანა შეცდომაში. გმირულ ხანაში არც საბერძნეთში არსებობდა სახელმწიფო, მეფე ან სამეფო. იქაც საგვარეულო წესი იყო გამეფებული და მაშასადამე, მეფეებს ადგილი არ უნდა ჰქონოდათ.

დავაკვირდეთ იროკეზების გვარს. იროკეზთა გვარი გავიადვილებს ბერძენთა გვარის გათვალისწინებას. ბერძენთა საგვარეულო წყობილებას სახელმწიფოებრივი წყობილება მოჰყვა. ვნახოთ, როგორ მოხდა ეს დიდ მნიშვნელოვანი საქმე.

წითელ-კანიანი პატარა ტომი იროკეზები 26,000 ადამიანისაგან შესდგება. ისინი სცხოვრობენ ეხლანდელ ნიუ-იორკის შტატში. მათი საზოგადოების ორგანიზაციის სტრუქტურა ამგვარია: ორგანიზაციის საძირკველში გვარი სდგას. გვარი არის ნათესაური კავშირი. გვარს ერთი წინაპარი ჰყავს, რომელსაც მისი წევრები თაყვანსა სცემენ. რადგან გვარისეულები ერთმანეთში ნათესავეები არიან, ამიტომ მათ შორის დაქორწინება აკრძალულია. თვითეულმა წევრმა ცოლი სხვა გვარიდან უნდა მოიყვანოს. გვარისეულის სიკვდილის შემდეგ ქონება გვარშივე რჩება. გვარი იცავს თავის წევრებს და თუ ვინმემ დაუშავა რამე, ან მოჰკლა გვარისეული, შურს გვარი იძიებდა. გვარს გარეშე პირების შვილად აყვანა შეეძლო. გვარს თავისი უფროსები ჰყავდა: მამასახლისი (ზახემა) და სარდალი. მაგრამ ამ ორ პირს არავითარი უპირატესობა არა ჰქონდათ. გვარი თითონ განაგებდა თავის საქმეებს საზოგადო კრებებზედ, სადაც მონაწილეობას იღებდნენ როგორც კაცები, ისე ქალები. აქ ირჩევდნენ ან კიდევ თანამდებობიდან გადააყენებდნენ ხოლმე ზახემას (მამასახლისს) და სარდალს. აქ სწყდებოდა ხოლმე სისხლის ფასის რაოდენობა და აქვე მორიგებით სწყვეტდნენ სადაო საკითხებს. ყოველი საგანი სრულის თანხმობით უნდა გადაწყვეტილიყო და არა უმეტეს-უმცირესობით და ამიტომაც გვარში პიროვნების შეზღუდვას ადგილი არა ჰქონდა.

მეორე საფეხურს საზოგადოების შენობისას შეადგენდა „ფრატრია“ (ძმობა ან თემი). ფრატრია იყო ორი, სამი

¹⁾ „Первобытное общество“, Люисъ Г. Моргана. 83. 119.

გვარის კავშირი. ფრატრიასაც თავისი ამორჩეული მამასახლისი და სარდალი ჰყავდა. როდესაც მკვლელობა მოხდებოდა ხოლმე, ფრატრია ან თემი მოარიგებდა ხოლმე მკვლელს მოკლულის ნათესავებთან.

მესამე საფეხური ტომი იყო. ტომში ორი, სამი თემი შედიოდა. საკუთარი ტერიტორია ჰქონდა. ტომს ის თემები შეადგენდნენ, რომელნიც ერთს ენაზე ლაპარაკობდნენ. ტომს შემდეგი უფლება ჰქონდა: იგი ამტკიცებდა გვარის მიერ არჩეულ ზახემს და სარდალს, ან კიდევ მათ თანამდებობიდან გადააყენებდა ხოლმე. ტომს თავისი საბჭო ჰყავდა. ამ საბჭოს წევრად იყვნენ გვარის მიერ არჩეული მამასახლისები და სარდლები. საბჭო თავის საქმეებს საჯაროდ სწყვეტდა, ხალხის თანადასწრებით. აქაც ხმის უმეტესობას ადგილი არა ჰქონდა, ყოველივე ერთხმად უნდა გადაწყვეტილიყო. აქაც, ამის გამო, არც ერთ დადგენილებას იძულებითი ხასიათი არა ჰქონდა.

იროკეზებმა თავიანთი საზოგადოებრივი წყობილება ერთ საფეხურზე კიდევ აიყვანეს. მათ შეაერთეს ერთ ენაზე მოსაუბრე ტომები განსაზღვრულ ფედერაციაში; ეს იყო ტომების კავშირი და **ეს იყო აგრეთვე ეროვნების წარმოშობის დასაწყისი**. ამერიკაში მარტო იროკეზებმა განავითარეს ეს ფრიად რთული ტომებრივი ურთიერთობა. იროკეზების ხუთ ტომისაგან (სენეკა, კაიუგა, ონონდაგა, ონეიდა და მოგაუკ) შესდგა ფედერაცია. მათ მეთხუთმეტე საუკუნეში დააფუძნეს „საუკუნო კავშირი“. კავშირს შემდეგი პრინციპები სწამდა. თვითეული ტომი სრულიად დამოუკიდებელი იყო თავის შინაურ საქმეებში. კავშირის სათავეში იდგა საბჭო—ორმოცდა ათი მამასახლისისაგან (ზახემიდან) შემდგარი. კავშირის საბჭო იყო უმაღლესი ინსტანცია ყველა საქმეების გადაწყვეტის დროს. ამ მამასახლისებს ირჩევდნენ გვარები და ტომები. ასე რომ კავშირის საბჭოს წევრები გვარის წარმომადგენლები იყვნენ და ისინივე თვითეულ ტომის საბჭოში იმყოფებოდნენ. კავშირის საბჭოს გადაწყვეტილებაც ერთხმად ხდებოდა. თვითეული ტომი და ყველა წევრები თვითეულ ტომის საბჭოსი თავის თანხმობას აცხადებდნენ საკითხის გადაწყვეტის დროს. საბჭოს კრებები საჯაროდ იმართებოდა, ყველას შეეძლო კამათში მონაწილეობის მიღება, ხოლო საკითხის გადაწყვეტა კი დამოკიდებული იყო საბჭო-

ზედ. კავშირს უმაღლესი მმართველი არა ჰყავდა, მსგავსად თანამედროვე პრეზიდენტისა. სარდალი კი ორი ჰყავდა, თანაბარ უფლებებით აღჭურვილი.

სანამ ბერძენთა გვარის დახასიათებაზე გადავალთ, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ შედარებითი ეტნოგრაფიის მიერ აღმოჩენილი მსგავსი მოვლენები ჩვენს მთაში. იმავე მ. კოვალევსკის მოწმობით, სვანეთში მესტიის საზოგადოებაში შემდეგს ჩვეულებებს ვპოვებთ. ხალხი იკრიბებოდა საჯარო კრებებზე (ჯან-ნაზურან) და ირჩევდა მოხუცს მამასახლისს (მახვშს). მახვშის გარდა კიდევ თორმეტ კაცს ირჩევდნენ (მობარებს), რომელნიც წესრიგს ადევნებდნენ თვალ-ყურს. საერო კრებაზედ ყოველი სრულ-წლოვანი, ქალი თუ კაცი, იღებდა მონაწილეობას. ყოველი გადაწყვეტილება ყველა დამსწრეთა სრულ თანხმობით მიღებულ უნდა ყოფილიყო ¹⁾. დაღესტანში ყოველივე გადაწყვეტილება გვარისეულების თანხმობით უნდა მომხდარიყო. აქ უმრავლესობას ისეთი მნიშვნელობა არა ჰქონდა, როგორც დღესა აქვს. ადამი საერთო თანხმობას ითხოვდა ²⁾. მაგრამ ყველაზედ საყურადღებო თუშების საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. გვარები შეკავშირდნენ და შეადგინეს ოთხი თემი—წოვის, გამეწარის, პირიქითის და ჩალმისა. თემებს არჩეული ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენელი, რომელნიც სოფელ ღელში იკრიბებოდნენ საქმეების გასარჩევად. თვითეული თემი თავის მხრივ პატარა ოლქებად (ხევებად) იყოფებოდა და მათ ჰყავდათ არჩეულები ხევის ბერები, რომელნიც მოხელეების თანამდებობას ასრულებდნენ. სასამართლოც ამ წყობილების მსგავსი იყო. კერძო პირებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას შუამავლები არიგებდნენ, რომელთაც ირჩევდნენ მომჩივანი და პასუხის-მგებელი. თუ უთანხმოება სოფლებს შორის ჩამოვარდებოდა, ხევის ბერები სწყვეტდნენ, ხოლო თემებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას თორმეტ თემის მიერ არჩეული კაცი არიგებდა. თვითეული თემი ირჩევდა სამ-სამ მსაჯულს. ³⁾

ბერძენთა საზოგადოებრივი წყობილება ფრიად მიაგავ-

¹⁾ „Законы и обычаи на Кавказе“, т. II, гл. 15.

²⁾ ibid გვ. 142. ³⁾ ibid გვ. 123—124.

და იროკვეზელებისას. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ბერძნებში მამის უფლებას მეტი ძალა მიეცა და მონოგამიურ ოჯახსაც საფუძველი დაედო. აქ ჩვენ არ გვანტერესებს დაწვრილებითი თვისებანი ბერძენთა გვარისა. ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ძველ საბერძნეთშიაც კერძო საკუთრება არ არსებობდა და ძალაუფლობაც დამოუკიდებელ ფუნქციად გამოყოფილი არ იყო. ჰომეროსის ხანადან იწყება საგვარეულო წყობილების დარღვევა, ხოლო ამ ხანაშიაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ტიპიური ნიშნები ძველის წესისა. გავითვალისწინოთ ზოგიერთი დაწესებულება. საბჭო („ბულე“) გვარის წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა. საბჭო განაგებდა საქმეებს. როდესაც დაარსდა სახელმწიფო, „ბულე“ სენატად გადაიქცა. **საერთო კრება** („აგორა“), სადაც მთელი ხალხი იღებდა მონაწილეობას, საბჭოს სხდომებს ესწრებოდა და კამათშიაც მონაწილეობას იღებდა, სწორედ ისე, როგორც იროკვეზელებში. **სარდალი** (ბაზილეუ-სი) იმპერატორი არ იყო, როგორც ზოგიერთ ისტორიკოსს ჰგონიათ. სარდალს ხალხი ირჩევდა და საბჭო და საერთო კრება ამტკიცებდა თანამდებობაზე და ეს თანამდებობა მემკვიდრეობითი არ იყო. მართალია, ხალხი ხშირად მამის სიკვდილის შემდეგ შვილს ირჩევდა; ხოლო რომ არ აერჩია, შვილს სარდლობის უფლება ეკარგებოდა. ამ გვარისავე ხასიათისა იყო რომაელების „მეფე“ Rex-ი. საბერძნეთშიაც სახელმწიფოს დაარსებამდე საზოგადოებრივ სისტემის ერთეულად გვარი იყო, და მთელი სისტემა პიროვნებაზე იყო დამყარებული. სულ სხვა ნიადაგზე დამყარდა პოლიტიკური საზოგადოება. ათინის სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია ნათელს ჰფენს ამ საგანს.

ჩვენ აქ არ ვიკვლევთ იმას, თუ რა მიზეზებმა, რა ფაქტორებმა შეუწყეს ხელი სახელმწიფოს გაჩენას. ჩვენ იმას არ ვიკვლევთ, თუ როგორ წარმოსდგა სახელმწიფო, არამედ ვარკვევთ, რაგვარი მოვლენები აღმოცენდნენ სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში. ჩვენთვის აქ საინტერესოა საკითხის ამნაირად დაყენება, რადგან ამ გზით ეროვნების წარმოშობის პროცესს შესაფერო ნათელი ეფინება.

ბერძენთა ტომები, ერთ ტერიტორიაზე მოსახლენი, ერთმანეთს შეუერთდნენ. ამ პროცესში გვარის კარ-ჩაკეტილება დაირღვა. გვარის დარღვევის მიზეზი ბევრი იყო. ბევრს

თავის გვართან კავშირი დაეკარგა და სხვა გვარშიაც ვერ შევიდა. ხალხი აიშალა, ზოგი სხვაგან გადაიხვეწა ბედის საცდელად; ზოგი ვაჭრობის მოთხოვნილდებამ ამოძრავა, როდესაც კერძო საკუთრებას მნიშვნელობა მიეცა; ზოგი, ომის ავანტიურობით გატაცებული, ბინადრობას იცვლიდა. უმთავრესი მიზეზი კი გვარის დარღვევისა ის იყო, რომ ერთ რომელიმე ძლიერ გვარს სხვა უფრო სუსტი გვარები დაუპყრიათ იარაღით ხელში, გაუფართოვებია საზღვრები და სხვა და სხვა მოდემის და სისხლის გვარნი ერთმანეთში გაუთქვეფია. ასე რომ ნელა ნელა გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომელნიც არცერთ გვარს აღარ ეკუთნოდნენ. ამ პროცესს ხელი შეუწყო კერძო საკუთრების წარმოშობამ. სოლონის დროს სახლები და მიწა კერძო პირთა ხელში ჩაგარდა და მათ უფლება ჰქონდათ ამ მიწების გაყიდვისა. მიწისა და ადამიანის ურთი-ერთობა შეიქმნა თუ არა ცვალებადი, გვარის წევრთა შეკავება ერთ ადგილზე შეუძლებელი გახდა. საზოგადოებაში გაჩნდა უთანასწორობა, სიმდიდრესთან ერთად, სიღარიბეც. ეკონომიურად ძლიერი კლასი სულ იმის ცდაში იყო, რომ სამუდამოდ დაეკანონებინა ამ გვარი წესი და ამ გვარი რეფორმატორობა იკისრა კლისთენმა (509 წელს ქრისტეს დაბადების წინად). კლისთენმა შემოიღო შემდეგი სისტემა: ათიკა დაჰყო ას დემად ანუ თემად; თვითეული მოქალაქე უნდა მიწერილიყო იმ დემში, საცა სცხოვრობდა. ამ დემშივე იგი იხდიდა განსაზღვრულ გადასახადს. ამ გვარი რეგისტრაცია საჭირო იყო მოქალაქეთა უფლების მოპოებისათვის. გარდა ამისა, დემს ჰქონდა თავისი თვითმართველობა და შინაურ საქმეებს თვით განაგებდა. კლისთენის დადგენილებითვე ათი დემი შეადგენდა ერთ ოლქს. ოლქიც განსაზღვრული პოლიტიკური ორგანიზაცია იყო. მესამე რიგი ამ საზოგადოებრივ ფორმისა გახდა ათინის სახელმწიფო, რომელშიაც ათი ოლქი შედიოდა. ეს იყო დამთავრებული პოლიტიკური სხეული. მან წარმოშობა მართველობის სხვა და სხვა ფუნქცია და სახელმწიფოებრივი ძალა-უფლობა. მას ჰყავდა სენატი, ეკლეზია (საერო კრება), არეოპაგი (სამსჯავრო), არმიის და ფლოტის უფროსები და სხ... ეს წესწყობილება უკვე ძლიერ მიაგავს თანამედროვე სახელმწიფოთა წეს-წყობილებას.

ამერიკაშიაც ვპოვებთ კომუნას, ოლქს, შტატს და შეერთებულ შტატებს. საფრანგეთში დაწესებულია კომუნა,

არონდისმენი, დეპარტამენტი და რესპუბლიკა. დიდბრიტანიაში ვპოვებთ პრეფს (parish), გრაფობას (shire), კოროლის სამეფოს და სამ სამეფოს კავშირს. ერთის სიტყვით, ათინელებმა ააგეს თავისი საზოგადოებრივი წყობილება ტერიტორიასა და საკუთრებაზე, ნაცვლად პიროვნებაზე დამყარებულ გვაროვნულ წყობილებისა. მათ დააწესეს მთელი რიგი ტერიტორიალურ თემებისა. მოქალაქენი დემებში სცხოვრობდნენ და სახელმწიფოსაც ტერიტორიალურ ნიადაგზე ჰქონდა მათთან ურთიერთობა. ¹⁾ ამ რიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ პირველყოფილი საზოგადოების ორგანიზაცია დამყარებული იყო გვარსა, თემსა და ტემებზე; პოლიტიკური ორგანიზაცია კი, რომელიც მოჰყვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, დამყარდა ტერიტორიასა და საკუთრებაზე. პირველსა და მეორეს შორის ძირითადი განსხვავებაა

აქ უნდა ავლნიშნოთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრების მკვლევარი ბ-ნი ჯავახიშვილი სხვა აზრისაა ამ საგნის შესახებ. იგი ძირითად განსხვავებას არა ხედავს ამ ორ საზოგადოებრივ ორგანიზაციის შორის და იმეორებს პროფესორ იელინეკის სიტყვებს, რომელიც ამბობს—სახელმწიფო იგივე საგვარეულო წყობილებაა, ამიტომ მეტიც არის იმ საკითხის დაყენება, თუ როგორ წარმოსდგება სახელმწიფო ურდოებისა და თემებისაგან. საგვარეულო წყობილებაში უკვე არსებობს სახელმწიფო. საცა საგვარეულო ორგანიზაციაა, უბინადრო თუ ბინადარ ტომთა შორის, იქ უკვე სახელმწიფო არსებობს. ეს აზრი იმ შევიწყნარეთ, უნდა უარყუოთ ის უსამართლო დასკვნა, რომლის ძალითაც „უბინადრო ტომთა ორგანიზაცია“, აგრეთვე, ეგრედ წოდებული „უბინადრო მონარქიები“ (Качевыя монархіи) ვითომ იყვნენ არა სახელმწიფოებრივი ხასიათის ორგანიზაციებიო ²⁾.

ამ იელინეკის შეხედულებას, რომელსაც აღიარებს ბ-ნი ჯავახიშვილიც, ეს უკანასკნელი ასაბუთებს საქართველოს სახელმწიფოებრივ ადმინისტრაციულ ტერმინოლოგიის ანალიზით. ბ-ნი ჯავახიშვილი ამბობს: ამ კითხვის გადაწყვეტის დროს, თუ როგორ წარმოიშვა სახელმწიფო, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სახელმწიფოებრივ ადმინისტრაციულ ტერმინოლოგიის ანალიზს და შესწავლას, აქ სარწმუნო ფა-

¹⁾ „Первобытное общество“, Морганъ гз. 265.

²⁾ „Государственный строй древней Грузии и древней Арменіи“.

ქტებს ვპოვებთ. საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილების შესწავლა გვაჩვენებს, რომ მეფის გვარის ორგანიზაცია იგივე იყო, რაც ჩვეულებრივ გვარების ორგანიზაცია, რომ ადმინისტრაციული სისტემაც იმავე საფუძველზედ იყო დამყარებული. ანალოგიურ შვედენას ვხედავთ ძველ სომხეთსა, სპარსეთსა და სირიელებში. აქაც სახელმწიფოებრივ ტერმინოლოგიის ანალიზმა მოგვცა ახალი და საყურადღებო რამ. ამ ანალიზმა აღმოაჩინა, რომ სოფლის უფროსს, ქალაქის უფროსს და ქვეყნის მმართველს ყველას ერთგვარი სახელი აქვს, რომელიც ნიშნავს „სახლის მამას“, ანუ „სახლის ბატონს“: ქართველებში „მამასახლისი“, სომხებში — „ტანუტერ“, სპარსელებში — „კეთხუდა“. ხოლო საქართველოს და სპარსეთის ტერმინოლოგიის შესწავლიდან ისიც გამომდინარეობს, რომ ამგვარივე სახელი მეფესაც ერქვა... და თუ ტერიტორიალურ ტერმინოლოგიის შესწავლაზე გადავდით, განაგრძობს ავტორი, აქ უფრო საგულისხმო ფაქტებს ვნახავთ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ყველა ერთეულს, პატარა ორგანიზმიდან მოყოლებული დიდებამდე, სოფელია იგი, ქალაქი, ოლქი თუ სახელმწიფო, — ყველას „სახლის“ სახელ-წოდება ერქვა. ქართულად — „სახლი“, სომხურად — „ტუმ“, სირიულად — „ბეთ“, არაბულად — „ბეთ და დარ“¹⁾.

ამნაირად სჯის ბ-ნი ჯავახიშვილი. მაგრამ, ჩვენის აზრით ტერმინოლოგიის მსგავსება სრულიადაც არ მოახსწავებს წესწყობილებათა მსგავსებას. მართალია, საგვარეულო ტერმინოლოგია გადმოიტანეს სახელმწიფოს ნიადაგზედ, მაგრამ აქედან სრულიად არ წარმოსდგა გვარის და პოლიტიკურ საზოგადოების მსგავსება. ტერმინოლოგიის მსგავსება მხოლოდ იმ ფაქტზე გვითითებს, რომ გვარი იყო პირველ-ყოფილი ფორმა საზოგადოებისა. მხოლოდ სახელმწიფო გვარის შემდეგ დაარსდა. გვარმადროს მსვლელობაში სახელმწიფოს ადგილი დაუთმო — ძველმა სახელმწიფომ ბევრი რამ შეიტვისა გვარი-საგან (ტერმინოლოგია). მათ შორის მსგავსება იყო, ხოლო უფრო მეტი განსხვავება და არას დროს არ შეიძლება იმისი თქმა, რომ საგვარეულო წყობილება სახელმწიფოებრივ ელემენტებს შეიცავს და ეს იმიტომ, რომ სახელმწიფო სრულიად ახალ ნიადაგზე დამყარდა; ჩვენ ტერმინოლოგიის მსგავსებას კი არ უნდა ვაქცევდეთ ყურადღებას საზოგადოებრივ ტიპე-

¹⁾ ibid გვ. 146.

ბის გამოკვლევის დროს, არამედ იმას, თუ რა ერთეული უდევს საფუძვლად პოლიტიკურ საზოგადოებას. სახელმწიფო ტერიტორიაზე, ქალაქის ერთეულზე და კომუნაზეა დაურდნობილი. საგვარეულო წყობილებას კი სხვა ერთეული აქვს საფუძვლად. ეგ იყო გვარი და პიროვნება. სახელმწიფოს არაფითარი კავშირი არა აქვს პიროვნებასთან. სახელმწიფო იცნობს მოქალაქეს, რომელიც განაზღვრულ თემის, კომუნის თუ ქალაქის სიებშია ჩაწერილი.

ჩვენ ვამბობთ, სახელმწიფომ ახალი ელემენტი შემოიტანა და ამ ელემენტებმა დაარღვიეს საგვარეულო წესი. ძველ რომში სახელმწიფოს წარმოშობისთანავე გვარის ადგილი კლასებმა დაიჭირეს. კლასების ურთიერთობა ქონებრივ უთანასწორობაზე დამყარდა. ძველმა საერო კრებამ, რომელიც გვართა კავშირი იყო, (*comitia curiata*) ადგილი დაუთმო ახალ კრებას, რომელიც ეკონომიურ უთანასწორობის წარმომადგენლად ჩაითვლებოდა (*comitia centuriata*), თითონ რომი ოთხ ოლქად დაიყო. მცხოვრებლები თავიანთ ქონებით ამ ოლქებზე იყვნენ მიწვრილნი. კიდევ ვიმეორებთ, ძირითადი ცვლილება, რომელიც მოხდა ამ ხანაში, მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფომ ახალი ელემენტი შემოიტანა—ეს იყო ტერიტორია და საკუთრება. 1).

ტერიტორიალური ერთეულები და კერძო საკუთრება—აი ორი ახალი ფაქტორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, ერთი მეორისაგან წარმომდგარი. კერძო საკუთრების წარმოშობამ დაარღვია ძველი ნათესავეური კავშირი (გვარი) და ვრცელ ტერიტორიაზე გაჰფანტა ხალხი. მთავრებმა, მეფეებმა და პარლამენტებმა დაჰყვეს ქვეყანა პროვინციებად და ოლქებად და თვითეულ ტერიტორიალურ ერთეულში მოთავსდნენ სხვა და სხვა შეძლების პატრონნი, მღობარნი და ღარიბნი. მდიდრების და ღარიბების ურთიერთობა და მათი დამოკიდებულება მთავრობამ და მეფეებმა დაამყარეს კანონზე. კანონი შეიქმნა სოციალურ უთანასწორობის და პოლიტიკურ დამონების მცველად. ხოლო ამასთან კანონი და მთელი სისტემა ნაძალადევი დაწესებულებათა გახდა მთავარი იარაღად ეროვნების წარმოშობისა და განვითარებისა. და სწორედ ამ საგნის განხილვას უნდა შევუდგეთ ამ ეამად.

1) „Первобытное общество“, Морганъ, 83. 329

სამშობლო და მამულიშვილობა

(ეროვნულ პრობლემა საქართველოში)

(„ამირანი“ 36, 40, 41, 42, 44, 45, 46, 47, 48.)

ს ა რ ჩ ე ვ ი :

წინასიტყვაობა.

- I. ქართულ ეროვნების წარმოშობის და განვითარების ისტორიის მიმოხილვა.
- II. ანტიპატრიოტიზმის ავი და კარგი. გ. ერევე.
- III. რა განსაცდელი მოეღოს ქართველ ხალხს.
- IV. ნიადაგი ეროვნულ მოძრაობისათვის.
- V. ინტერნაციონალიზმისაკენ ნაციონალიზმის გზით.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

კიდევ ეროვნება და ეროვნების შესახებ ლაპარაკი!.. იფიქრებს მკითხველი. წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში ამ საგნის გარშემო ტრიალებდა ქართველ ინტელიგენციის აზრი. ბევრი წერილი დაწერილა, ბევრი სჯა-ბაასი გამართულა ამ პრობლემის შესახებ. გადავდგით ფეხი მეოცე საუკუნეში და ისევ აგვეტუზა თვალწინ იგივე საგანი, ისევ აგვალაპარაკა, ისევ ჩავვაფიქრა და გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავვაგდო...

და უნდა ვსთქვათ, რომ თუ წინად ეროვნების შესახებ ლაპარაკი ქართველ პუბლიცისტიკისთვის ერთგვარი გულის მოსაფხანნი საშუალება იყო, ეხლა ამ ლაპარაკს „საქმიანობის“ ელფერი დაეტყო. პუბლიცისტი აღარ ჰგოდებს, აღარ იმსკვალება სევდით, იგი ეძებს პრაქტიკულ გზას, პრაქტიკულ პირობებს, რომელშიაც მას სწადია ეროვნული ცხოვრების ჩაყენება.

დღეს ეროვნული პრობლემა არა მარტო თეორიულ და „რომანტიულ“ ინტერესს წარმოადგენს, არამედ სამკვდრო-

სასიცოცხლო საგანს, იმისთანა რამ საგანს, რომელიც ჰყოფს ქართველ ინტელიგენციას ორ დიდ ბანაკად, ორ მთავარ ბანაკად. მაშინ როდესაც ამ საგანს, ორ პროგრესიულ პარტიათა შორის, ქიშპობა და მძულვარება კი არ უნდა გამოეწვია, არამედ შეთანხმებული და ერთი აზრით გამსჭვალული მოქმედება.

დღეს ჩვენს საზოგადოებაში სხვა და სხვა ჯგუფების კლასიფიკაციის საფუძვლად ეროვნული პრობლემა გახდა. იმას არავინ დაემბებს, თუ რა მსოფლ-მხედველობის პატრონი ხართ საზოგადოთ, რა თვალით უყურებთ შრომის ორგანიზაციის საქმეს, რა გიყვართ ხელოვნებაში და რას ეძებთ, რას ესწრაფებით სიცოცხლეში—ყოველივე ეს დღეს საინტერესო არ არის. საინტერესოა მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, თუ როგორ გესმით ეროვნული პრობლემა, ავტონომისტი ხართ, თუ ავტონომიის მოწინააღმდეგე, ამაყურად ატარებთ ქართველ კაცის სახელს, თუ სირცხვილით იწვით იმ უბედურების გამო, რომ განგებამ ქართველად გშობა და ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანად გაგაჩინა.

თუ აშკარაა და ნათელი ამ საგნის შესახებ თქვენი აზრი, დანარჩენი ყოველივე ნათელით იფინება. თუ თქვენ იმდენად გულუბრყვილო ბრძანდებით, რომ „ქართველობა“ არც გეთაკილებათ, არც გეზიზღებათ, იცოდეთ, შაირაზმელთა ჯგუფში უნდა ჩაირიცხოთ, ნაციონალისტის სამარცხვინო სახელი უნდა ატაროთ და წყვდიადი და ბნელეთია მაშინ თქვენი ხვედრი. და თუ გამოხვედით მოედანზე და შესძახეთ, გულში ხელის ჩარტყმევით: ამხანაგებო! წაოსული მძულს, აწმყო მეზიზღება-თქო, იცოდეთ თქვენი მომავალი უზრუნველ-ყოფილია, შარავანდელით შეიმკობა თქვენი კოსმოპოლიტური გვაში და ქუჩაში გავლის დროს თქვენზე თითს მიათითებენ და იტყვიან, აი ჩვენი მხსნელი, აი თავისუფლების მოციქული და „შავ-რაზმელ ნაციონალისტთა“ ამომგდებო!

დღეს ნაციონალური პრობლემა, როგორც შედავთ, ჩვენი ცხოვრების ცენტრალურ პრობლემად გახდა და მასზეა მიპყრობილი ქვეყნის ყურადღება. ჩვენც დავაკვირდეთ და შევისწავლოთ ეგ საგანი.

I. ქართულ ეროვნების წარმოშობის და განვითარების ისტორიის მიმოხილვა.

ეროვნების შესწავლა თუ გვინდა, უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ კონკრეტულ პირობებს, სადაც ისახება და ვითარდება იგი. ამ კონკრეტულ პირობებთან ჩაითვლებიან სახელმწიფო. ჩვენთვის გარკვეული უნდა იყოს, რამდენად დაკავშირებულია ეროვნების წარმოშობის პროცესთან, ე. ი. რა კავშირი აქვს ეროვნებას სახელმწიფოსთან. ამიტომ საჭიროა პატარა ხანს შევჩერდეთ სახელმწიფოს მცნების განმარტებაზე. სახელმწიფო ფართო და რთული ორგანიზაციაა. მის ფარგლებში ადამიანის სულიერ და მატერიალურ ნაყოფს განსახდევრული ელფერი დაედო. რაც წინად ოდნავ ისახებოდა, სახელმწიფომ მკვეთრი ხასიათი მისცა. რაც წინად ჩამონასახს წარმოადგენდა, სახელმწიფომ ვრცლად და რთულად განავითარა. შემუშავდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი, სახელმწიფოებრივი თვითშემეცნება.

საინტერესოა ახლა ამის გაგება, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ეროვნების წარმოშობას სახელმწიფოსთან და რა კავშირი აქვს ეროვნულ თვითშემეცნებას სახელმწიფოებრივ თვითშემეცნებასთან. გუმპლოვიჩი, ¹⁾ რომლის სოციოლოგიური ფილოსოფია დიდ ნათელს ჰფენს ჩვენ მიერ დაყენებულ პრობლემას, ამ რიგად არკვევს საზოგადოების წარმოშობის პროცესს, — იმ საზოგადოების წარმოშობის პროცესს, რომელშიაც ჩაისახა და განვითარდა ეროვნების თვითშემეცნება.

სახელმწიფო არ აღმოცენებულა თანაბარ-უფლებიან საზოგადოების ნიადაგზე. სახელმწიფომ ამოჰყო თავი იქ, სადაც დაირღვა თანაბრობა და განმტკიცდა უთანასწორობა. სოციალურ ჯგუფთა შორის იმ თავითვე ბრძოლა გაჩაღდა. ერთმა ჯგუფმა (უმცირესობამ) ძალით დაიმონა მეორე ჯგუფი (უმრავლესობა). და თავის ბატონობის დასაცავად მან შექმნა ძალმომრეობითი ორგანიზაცია, რომელსაც ჰქვია სახელმწიფო. გუმპლოვიჩის აზრით, ის სოციალური ჯგუფები, რომელნიც ერთი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ, ერთი

¹⁾ *Precis de Sociologie* გვ. 195—200 p. II. par L. Gumplowich.

მეორესაგან ეთნიურადაც განსხვავდებოდნენ. ამ ბრძოლას ეთნიური და რასიული ხასიათი ჰქონდაო. ძლიერ-მოსილი უმცირესობა ყოველთვის უცხოეთიდან მოსული ხალხი იყო. ერთი ეთნიური ჯგუფი სხვა ეთნიურ ჯგუფს იმონებდა, ასე რომ, გუმპლოვიჩის განმარტებით, სახელმწიფო წარმოსდგა არა მარტო სხვა და სხვა სოციალურ ჯგუფთა შეტაკების წყალობით, არამედ სხვა და სხვა ეთნიურ ჯგუფთა ბრძოლი-საგანაც. ამ უკანასკნელ მოსაზრებას ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ, რადგან არა ვხედავთ, რომ ეთნიური ელემენტი ყველ-გან და ყოველთვის სახელმწიფოს დაარსების შემომქმედ ძა-ლად ყოფილიყოს. ზოგი სახელმწიფო მართლაც დაარსდა გარეშე ელემენტის შემოსევით, ხოლო ზოგან სოციალური უთანასწორობის წარმოშობვა საკმარისი იყო, რომ იქ ეთნი-ურად ერთგვარი ხალხი ძალმომრეობითი ხასიათის ორგანიზა-ციის ჩარჩოებში შებოჭილიყო. ამიტომ ჩვენ უფრო ვეკედ-ლებით იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ნაყოფია უმცირე-სობის მიერ უმრავლესობის დაპყრობისა, ხოლო ეგ უმცი-რესობა ყოველთვის არ განირჩევოდა ეთნიურად უმრავლე-სობისაგან.

ასეთია პოლიტიკური საზოგადოების სტრუქტურა. ეროვნება ჩნდება სწორეთ ამგვარ ხასიათის პოლიტიკურ საზოგა-დოების ნიადაგზე. ამიტომაც არის, რომ პოლიტიკურ საზო-გადოების განსაზღვრული ევოლიუცია არის ამავე დროს ევოლუცია ეროვნებისა.

ამ აზრის დასასაბუთებლად ავიღოთ ის მასალა, რომე-ლიც ჩვენთვის უფრო ახლოა და გასაგები—ქართულ ეროვნების წარმოშობის პროცესი. მეტია იმისი თქმა, რომ ეს საგანი ჩვენ სავსებით გარკვეული არა გვაქვს. პრ. ჯავახი-შვილი გვპირდება ერთ-ერთ თავის ნაწერში ამ საგანს—ქართულ ეროვნულ თვით-შემეცნების ისტორიას შევიმუშავებ და გამოვცემო. მოვუცადოთ სპეციალისტის გამოკვლევას, რომელშიაც, იმედია, ბევრ მასალას ვიპოვნით იმ აზრის გან-მარტებისათვის, რომელსაც ჩვენ ამ წერილებში გაკვრით ვე-ხებით, სახელდობრ იმას, რომ ქართულ ეროვნების შემეც-ნება და ქართულ სახელმწიფოებრივობის შემეცნება არა მარტო უიწროდ არიან დაკავშირებულნი ერთი მეორესთან, არამედ ერთმეორესთან ფაქტიურად და ლოდიკურად შესისხლ-ხორ ებულნი არიან. ქართულმა სახელმწიფომ შექმნა ქარ-

თული ეროვნება და ეროვნული შემეცნება. ეს შემეცნება ძლიერი იყო ქართულ სახელმწიფოს ძლიერების ხანაში, ხოლო სუსტი ამ სახელმწიფოს დასუსტების დროს. მეტსაღვით, ჩვენი ეროვნული თვითშემეცნება ძალადობით იყო შექმნილი სწორეთ ისე, როგორც ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია.

მივმართოთ ფაქტებს. სანამ ქართველ მოდგმის ხალხი პატარ-პატარა კარ-ჩაკეტილ ტომებად სცხოვრობდა, ქართულ ეროვნებას ადგილი არა ჰქონდა და არც ეროვნული შემეცნება იყო აღორძინებული. პრ. ჯავახიშვილი ამბობს:— ძველ დროს ქართველი (რი ჯერ კიდევ რამდენიმე ტომებრივ ჯგუფად იყო დაყოფილი, და ცალკე, თვითმართველ, ერთი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფო სხეულს შეადგენდა. თანდათან ეს განცალკევებული სამეფოები და სამთავროები ერთმანეთს უერთდებოდნენ, ანუ უფრო სწორე იქნება, რომ ვსთქვათ ერთი რომელიმე უფრო ძლიერი და მონერსებული მეფე თავის საბრძანებელს სხვათა სამფლობელოებსაც შემოუერთებდა ხოლმეო¹⁾ (კურსივი ჩვენია). პირველად ქართლისა და აფხაზეთის მეფობა შეერთდა. ბაგრატ მეფე იწოდებოდა: „მეფეთ მეფე, აფხაზეთა და ქარცვეულოთა“. ბაგრატი ქართლსა და აფხაზეთს არ დაკმაყოფილდა; იმავე წელს იგი თავისი შეერთებულ სამეფოს ჯარით საჩქაროთ თიანეთში გადავიდა და იქიდან კახეთს რბევა დაუწყო; დავით კახთა მეფემ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ბაგრატმა კახეთი და ჰერეთი დაიპყრო... (კურსივი ჩვენია). ამის შემდეგ იგი გახდა „მეფეთა მეფე, მეფე აფხაზეთა, ქართველთა, კახთა და რანთა“.²⁾ ამრიგად, ქართველი მეფე რბევითა და დაპყრობით ჰქმნიდა სახელმწიფოს და მასთან ერთად ეროვნებას. მაგრამ თავის აზრის განხორციელებისათვის არც ვერაგობას და სისასტიკეს ჰთაკილობდა. მაგალითად ბაგრატმა თავის მამიდაშვილების, კლარჯეთის მფლობელთა საბრძანებლის ხელში ჩაგდებისათვის, მასპინძლობისა და სტუმარ მოწყვარეობის წმინდა მოვალეობაც-კი დაივიწყა

¹⁾ ივ. ჯავახიშვილი—საქართველოს მეფე და მისი უფლებრივი ისტორია, გვ. 7.

²⁾ *ibid* გვ. 9

და საზარელი ცბიერება და სივერაგე გამოიჩინა, გვიამბობს ჩვენი ისტორიკოსი. „ბაგრატიმა მოიყუანა, მოგვითბრობს მუმატიანე, კლარჯნი ხილმწიფენი, სუმბატ და გურგენ... თვისნი მამის დისწულისანი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა თანასკერტისასა და მუნშისა. შეიპყრნა იგინი და აღიხუწნა ქვეყანანი და ციხენი მათნი, რამეთუ იგინი პატიმარყუნა ციხესა შრგა თმოგვისასა და მუნ ციხესა შინა თმოგვისასა გარდაიცვალა სუმბატ არტანუჯელი და აგრეთვე მასვე წელსა შინა გურგენიცა გარდაიცვალა ძმა სუმბატისა“. ასეთის ულმობელობით და გულქვაობით იმსხვერპლა ამოდენა მახლობელ ნათესაობის სიცოცხლე **სახელმწიფოს გაფართოებისა და ერის გაერთიანების გულისათვის ს მეფე ბაგრატიმა**. დასძენს ჩვენი ისტორიკოსი ¹⁾.

მაგრამ დაპყრობილი და დამორჩილებული ქვეყანა ქარაგულთა მეფეს ეგრე ადვილად არ ემორჩილებოდა. მოხერხებულ დროს იხელებდა თუ არა, მყისვე გაუდგებოდა ხოლმე მეფეს. აღსანიშნავია, რომ ამ გვარ განდგომის და განცალკევების მიდრეკილება ჰქონდა იმ პროვინციებსაც, რომელნიც ქართველ მოდგომის ხალხით იყვნენ დასახლებულნი ეტნოგრაფიული ერთგვარობა ხალხს არ უშლიდა განშორებას და ეროვნულ თვითშემეცნების დარღვევას. ასე, მაგალითად, კახეთი ხომ საქართველოს ნაწილად გახდა, მაგრამ კახელობა მედვარ წინააღმდეგობას უწევდა საქართველოს მეფეებს. 1012 წელს, ბაგრატი მეფის გარდაცვალების შემდეგ, მაშინვე „განდგა ამას ქვეყანასა ჰერეთ-კახეთისა და ღადრობითა აზნაურთა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი; მათ ქვეყნად კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგიო.“ ²⁾ თამარ მეფის მამის შესახებ ქართლის ცხოვრებაში ნაოქვამია რომ მან „იპყრნა“ შარავადეთი შვიდ სამეფოდ განწესებულ იო. ³⁾ დააკვირდით ყველა ამას, და დარწმუნდებით, რომ ძალა და დაპყრობა ჰქმნიდა ქართულ სახელმწიფოს. ამ სახელმწიფომ გააერთა განცალკევებულად მცხოვრები ქართველთა ტომნი. ქართული ეროვნება პირმშო შვილად ხდებოდა ქართულ სახელმწიფოებრივობისა.

¹⁾ Ibid. 9.10

²⁾ Ibid 12. 10.

³⁾ Ibid 83. 15.

უნდა მიღებულ იქმნას მხედველობაში, რომ დაპყრობის, დამორჩილების და გაერთიანების პროცესის დროს ადამიანთა ფსიხიკაში განსაზღვრული ცვლილება ხდება ხოლმე. დაპყრობილი ხალხი ხანგრძლივის დამორჩილების გამო ან ივიწყებს ხოლმე თავის დამოუკიდებლობას და დამორჩილებას ნორმალურ მოვლენად სთვლის, ან კიდევ დამორჩილებას იწყნარებს იმიტომ, რომ ახალ პირობებში იგი უფრო უზრუნველყოფილია გარეშე მტრებისაგან და გაერთიანებული ცხოვრება მას უპირატესობას აძლევს. ხოლო გაერთიანების უპირატესობის შეგნება უფრო იმ ტომთა შორის ჩნდება და აზრდება, რომელნიც ეთნოგრაფიულ და სარწმუნოებრივ ერთგვარობას წარმოადგენენ. პირისპირ დაყენებული ერთ-ერთს მოსაუბრე და ერთ სალოცავის მლოცავი ერთნაირი ჯგუფები თან და თან ითვისებენ ნათესაობის შეგნებას. და ეს ნათესაობის შეგნება დასაწყისია ხოლმე ეროვნულ თვითშემეცნებისა. უნდა ვსთქვათ, რომ ამგვარი ნათესაობის შემეცნება მარტოდენ ეთნოგრაფიულად ერთგვარ ტომთა შორის არ ჩნდება ხოლმე. ზედაპირული ანალიზიც საკმარისია იმ აზრის გამოაშკარეებისათვის, რომ თანამედროვე ისტორიულ ერთა შემადგენლობა ფრიად აჭრელებულ სურათს წარმოადგენს ეთნოგრაფიის მხრივ. სახელმწიფოს, თავის ძალდატანებითი ორგანოებით, შეუქმნია არა ერთი და ორი ერი ეთნოგრაფიულად სხვა და სხვა ელემენტებისგან შემდგარი. შორს რომ არ წავიდეთ, ქართულ ეროვნების შემოქმედი მთავარი ფაქტორი—„სამეფო“ ამავე გზაზე იდგა და ამ სამეფოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია რომ უფრო ძლიერი გამომდგარიყო, ადვილად შესაძლებელია, რომ დღეს ქართულ არსებობის თვით შემეცნებით მთელი ამიერ-კავკასია ყოფილიყო გამსჭვალული. მაგრამ ჩვენი სახელმწიფო, მისი ცენტრალური ორგანოები სუსტნი იყვნენ და მან ქართველ ტომთა გარეშე ვერ დაამკვიდრა ქართულ ეროვნულ შემეცნების აზრი. თვით-ქართველ ტომთა ფარგალშიაც ეს შემეცნება ხშირად დიდს განსაცდელსა და რყევაში იყო ხოლმე. ქართულ სამეფოს ეროვნების შექმნის პროცესში ხელს უწყობდა—ენა, მწერლობა, ეკლესია, აღებ-მიცემობა, მაგრამ ქართული ეროვნული შემეცნება სუსტი იყო იმ ხანაში, როდესაც დასუსტებული იყო სახელმწიფოებრივობა—

ეგ მთავარი ფაქტორი ეროვნების ჩასახვისა, ზრდისა და გაძლიერებისა.

ჩვენა ვსთქვით, რომ ხანგრძლივი დამორჩილება ხალხს ღრმა ბეჭედს აკრავს მის სულიერ ვითარებაზე-თქო. ხალხი თანდათან ეგუება ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას და ეგუება აგრეთვე მის მიერ დაკანონებულ სოციალურ წყობილებასაც. ამიტომაც იყო, რომ ქართულ სამეფოს ჩარჩოებში ბატონ-ყმობის ინსტიტუტიც ეკვიდრდებოდა და მასთან ეროვნულ შემეცნების აზრიც ვითარდებოდა. საქართველოს პოლიტიკურმა წყობილებამ უსამართლო სოციალური ორგანიზაცია განამტკიცა ჩვენში. ხოლო ამასთან იგი გახდა ერთგვარ კულტურის აღორძინების იარაღიც. ასე, რომ იმ თავითვე სჩანდა ეროვნულ წყობილების შინაგანი წინააღმდეგობა. და ეს წინააღმდეგობა იყო სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შინაგანი წინააღმდეგობა. ქართველი ხალხი საუკუნოების განმავლობაში ბატონ-ყმობის უღელში იყო შებმული და საყურადღებო ის არის, რომ ამ სოციალურ უთანასწორობის ორგანიზაციას იგი თითქოს უფრო ადვილად იწყნარებდა, ვიდრე პოლიტიკურ და ეროვნულ გაერთიანების უპირატესობას. ამისი მიზეზი, რასაკვირველია, ფეოდალობა იყო, რომელსაც შებორკილი ჰყავდა ხალხი და რომელიც ფართე პოლიტიკურ იდეალებს ყოველთვის ებრძოდა. ასეა თუ ისე, სახელმწიფოებრივმა ორგანიზაციამ, რომელიც ბატონ-ყმობის და პატრონ-ყმობის ნიადაგზე განმტკიცდა, წარმოშობა ჩვენში ქართული ეროვნული თვით-შემეცნებას. ამ ეროვნულ თვით-შემეცნების შინაარსს მარტოოდენ პოლიტიკურ მთლიანობის აზრი კი არ შეადგენდა, არამედ ღმერთის და ბატონის წინაშე დამორჩილების გრძნობაც. რომ ეს ასეა, გაიხსენეთ სიმღერები, რომელსაც ხალხი საუკუნოებით მღეროდა ჩვენში და გაჰკვირდებით მათის შინაარსით. ჩვენებური მუშური სიმღერები არას გვეუბნებიან ხალხის ტანჯვასა და უბედურებაზე. მკის დროს იმას კი არა მღერის გლეხი, რომ მისი ბედი მწარეა და რომ მას მუშაობისაგან ილაჯი აქვს გაწყვეტილი, არა, მას „ცუგრუმელა“ ქალი ეზმანება, ამ ქალს ეაღერსება: „მინდრიდან მოხვალ შენ, ქალო, მოუფრიალებ კაბასა, ნეტავი შემატყობინა, როგორ აფასებ მაგასა, ოღონდ შენ ჩემთან წამოდი, მუქთად გაჩუქებ კაბასა“-ო. ეგრედ წოდებული „მუშურის“ შინაარსი რაღა არის? ვის ეთაყვანებიან

მუშები, რას სჩივიან და რას ნატრობენ? „ნეტა ქალო, მომხიბლაყვით რამ შეგქმნა და რამ დაგხატა, ჩემს გულს ისე რაღ აწვალე, როგორც თავესა ავი კატა. ხელსახოცსაც გადმოგივლებ, ოქრო მკერდით მოქარგულსა, შიგ გაგიხვევ ჩემსა გულსა, შენგნით დამწვარ-დადაგულსა“-ო. ამრიგად, ქალი და სიყვარული აგონდება ჩვენს გლებს მუშაობის დროს და ბატონის შესახებ იგი არას ამბობს და თუ ამბობს რასმეს, მის ნაამბობს მონობის შეწყნარების აზრი ადევს. კალოობის დროს მღეროდნენ— „პირველად ღმერთი ვახსენოთ, ის უფრო დიდებულია. უწინაც ბატონს მივართოთ, ის უფრო მართებულია“. დიდებული ღმერთი და მართებული ბატონი! და ამ სიტყვის მთქმელს კი ცოლშვილი ბაზარში ეყიდებოდა ხოლმე „მართებულ“ ბატონის მიერ „დიდებულ“ ღმერთის შეწევნით!.. ბატონი არაყიშვილი, რომლის სამუსიკო კრებულიდამაც ამოვკრიფეთ ეს სიმღერები, ამბობს: „ჩვენს წინაშე ერთგვარი საკვირველი მოვლენაა: ქართველების ხალხურ სიმღერებში მრავალ საუკუნოების ტანჯვა და ხალხის სევდა არ ისახება. ოთხმოცამდე სიმღერა ჩავწერე და არც ერთში ხალხის სევდის მსგავსი რამ არ ისახებოა“¹⁾. ჩვენი აზრით, ეს არის ნიმუში ერთგარ ფსიხიურ აბერაციისა, როდესაც ადამიანს მწუხარების გამო დახშული აქვს თავის მდგომარეობის შეგნება, ან კიდევ თუ არა აქვს დახშული, როდესაც ადამიანი უილაჯობის გამო თვალს არიდებს თავის სევდას და გულს აყოლებს უმნიშვნელო საგნებს. დღეს, როდესაც ხალხი გათვითცნობიერდა, ეროვნულ გრძნობის შემეცნებაში უკვე დაიკარგა კვალი ამ ხასიათის ფსიხიურ აბერაციისა. გაერთიანების აზრი აღარ იჩრდილება ამ ხასიათის შეუგნებლობით.

ხოლო ისტორიულად რომ შევხედოთ საგანს, უნდა ვსთქვათ, რომ მუდმივი პრაქტიკა ერთის მხრივ ბატონობისა და „მფარველობისა“ და მეორეს მხრივ მორჩილებისა ბატონშიაც და მორჩილშიაც ქმნის ერთგვარ „ფსიხიურ“ განწყობილებას, რომელსაც „ძალადობის“ ნიშანწყალი თითქოს ეკარგება და ნებაყოფლობითი და სოლიდარული ხასიათი ეძლევა. მეფე, რომელმაც ცეცხლით და მახვილით შექქმნა

¹⁾ Музыкально-этнографические очерки о груз. народ. музыкѣ. Д. И. Арачѣва 33. 23.

თავისი ძალა, დროის მსვლელობაში ისე ეჩვენა თავის „ბატონობას“, ისე იმსჯელებდა იმ აზრით, რომ იგი მფარველი და სიკეთის მფენია, რომ თანდათან ივიწყებს თავის ნამდვილ ფიზიონომიას და გულს ოცნებას აყოლებს ხოლმე. გიორგი მეფე, ბაგრატიის შვილი, სწერდა თემურს: „უფალი ამპარტავანთა შემუსრავს და მდაბალთა მოსცის მადლი. ჩვენ ბაგრატიონნი დავითის ტომისანი ვართ, არავის ვემორჩილებიფ გარდა ღვთისა. ჩვენი უფლება საუკუნოა, გარნა შეფობა შენი აქაც მსწრაფ წარმავალ არს და ~მკვიდროაო“¹⁾. რაკი კაცი დარწმუნებულია, რომ ღმერთის მიერ არის იგი განწესებული დედა-მიწის ზურგზე და ღმერთით აქვს ძალა და უფლება, მას თავდადების და თავგანწირულების გრძნობაც აღვილად დაებადება გულში. თუ ღმერთი მფარველობს, ღირსი ვარ ღმერთისთვის და მის მიერ კურთხეულ ერისთვის თავი გავიწიროო. ჩვენს ისტორიაშიც არიან ამისთანა თავდადებულნი მეფენი. არღუნ ყაენმა მეფე დიმიტრის შესწამა ერთგულება, დაიბარა ურდოში და იქ თავი მოაკვეთინა. წასვლის წინ წარჩინებულებთან ითათბირა შეფემ და უთხრა დაახლოვებით შემდეგი: მე შემიძლიან წავიდე მთიულეთს და თავი ვიხსნა განძვინებულ მტრისაგან. მაგრამ ამას არ ვიზამ, რადგან თუ გავიქეცი, სამეფოს ამიოხრებს. დეე დავილუპო მე და არა მთელი საყვარელი სამეფო. თავს ვსდებ სამშობლოს სადღეგრძელოდო. მსმენელნი ჰტიროდნენ.²⁾

აქ უკვე სრულიად დაჩრდილულია პირველ ყოფილი ხასიათი „მეფისა.“ აქ ბატონობა ჰქრება და მის ადგილს მეფის გულში მოვალეობის და თავგანწირულების სურვილი იბადება.

დე ლანესანი ამბობს—თუმცა ფეოდალის შეხედულებით იგი ძალა-უფლობის მატარებელია მხოლოდ, მაგრამ პირად ინტერესის უზრუნველსაყოფად ბატონი იძულებულია დაიცვას თავისი ყმები, გამოზოგვით მოიხმაროს მათი მუშაობა, დაიფაროს მათი სიცოცხლე და მცირედი თავისუფლება მიანიჭოს მათ, ერთი სიტყვით, იძულებულია თავის მოვალეობის გრძნობა იმდენად გაათართოვოს, რამდენადაც

1) საქ. დედა-ქალაქი ტფილისი, ჯანაშვილისა გვ. 64.

2) ibid გვ. 54.

სასარგებლონი არიან მისთვის ყმები. ამგვარადვე მეფე, ღვ-
თით დამკვიდრებული თვითმპყრობელი, რათა დაიმსახუროს
პატივისცემა და დაამკვიდროს მორჩილება ქვეშევრდომთა,
იძულებულია უარჰყოს ერთი ნაწილი იმ უფლებისა, რო-
მელიც მას თეორიულად მითვისებული აქვსო.¹⁾

ამგვარი ფსიხიური ცვლილება, რომელიც აღარ ახასია-
თებს პირველად არსებულ რეალურ ურთიერთობათა, არამედ
ჰქმნის თავისებურს ახალს ატმოსფერას, როგორც ვსთქვი,
დამორჩილებულთაც დაეტყობათ ხოლმე დროთა მსვლელო-
ბაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ხალხი გაჭირვების
ქაშს არ იჩენდა დაღვრემილობას და ქალსა და სილამაზეს
დაჰმღერდა. იგივე ხალხი მეფეებსაც აღმერთებდა და მათ
უკმევდა გუნდრუკს. თამარ მეფის გარდაცვალების გამო

მოსტქმიან ხმასა მთიულნი,
ფანტურით საწყლად სტირიან,
ვაჰ, ჩვენო ძმანო, თუშ-ფშავნო,
უბატონობას სჩივიან...

ან კიდევ:

მშვიდობით, თუშთა იმელო,
მშვიდობით, ფშაველთ მყარო-და,
მშვიდობით, ხევსურთ საუნჯევე,
მშვიდობით, ქსნელთა მძღვარო-და,
ერთობლივ გიორგიელთა,
მეცხვარ-მწყემს-წინამძღვაროდა!..

(თუშ-ფშავ-ხევსურთა მიერ თამარის დატირების ნაწყვეტი)²⁾

„ვეფხისტყაოსანში“: „ვინც მოჰკვდეს, მეფეთათვის,
სულნი მათნი ზეცას რბიანო“ და სხვა.

მეფეების თაყვანისცემა და გაღმერთება—ერთი მთავარი
ელემენტია ეროვნულ თვით-შემეცნების წარმოშობის პრო-
ცესში. მეფობა ნიშნავს საგვარეულო წყობილების დაძლევას,
ახალ პოლიტიკურ ორგანიზმის შექმნას და ამ ორგანიზმის
საშუალებით მტერზე ან თავსდასხმას ან მისგან თავის მო-
გერებას, ამიტომ ომიანობასაც იგივე დიდ-მნიშვნელოვანი

1) De Lanessan La Lutte pour l, existence et l, évolution
des sociétés. გვ. 83.

1) ტფილისი, გვ. 36, ჯანაშვილისა.

ადგილი უჭირავს ეროვნულ შემეცნების შექმნაში, რადგან ერთი შვა სახელმწიფომ, ხოლო სახელმწიფო არის ძალდატანებითი ორგანიზაცია უმცირესობის ბატონობისა უმრავლესობაზე და რადგან ეს ბატონობა მით უფრო მტკიცეა, რაც უფრო ძლიერია და დიდი ბატონების სამფლობელო, ამიტომ სახელმწიფოს აზრი და მისწრაფება საზღვრების გაფართოვებაა და ახალ ერთა და ქვეყანათა დაპყრობა. ამ პროცესის ძალით ხალხის ეროვნული თვითშემეცნება იკვებება გმირულის ამბების გადმოცემით და მოთხრობებით და როგორც სახელმწიფოა აგრესიული, ისე ეროვნული შემეცნებაც ხდება აგრესიული.

ბევრსა ჰგონია ჩვენში, საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენდა და არასოდეს არც მის პოლიტიკას, არც მის ეროვნულ მისწრაფებას აგრესიული ხასიათი არა ჰქონია, ქართველები ყოველთვის თავს იცავდნენ, ჰფიქრობენ ისინი, სხვისას არ ეხებოდნენ, სხვას არ აწიოკებდნენ და არც აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდნენო. ეს ასე არ არის. 1122 წლიდან 1226 წლამდე, ე. ი. 104 წლის განმავლობაში საქართველოს საზღვრებად შეიქმნა: კასპიის ზღვა, დარუბანდი, ჩაჩანი, ყიბჩაღეთი, ჩრდილო ოსეთი, ჩერქესი, ჯიქეთი, ტრაპიზუნდი, საცა თამარმა დაარსა ცალკე იმპერია და მისცა იგი ალექსი კომნენს, კორნუ (არზერუმი), კარი (კარსი), დვინი, ანისი და არეზის მარცხენა მხარე კასპიის ზღვამდე. ასე რომ ამ საზღვრებში ქართველთა მეფეებმა შემოჰკრიბეს მრავალნი სამეფო-სამთავროები, რომელნიც ბაგრატ მესამემდე ცალ-ცალკე სცხოვრობდნენ და ამ გაუქმებულ სამთავრო-სამეფოების გვირგვინოსანთა უფლება თავიანთ ხელმწიფებას შეჰმატეს.¹⁾ იტყვიან, ყოველივე ეს საჭირო იყო ბუნებრივ საზღვრების გამაგრებისათვის, მაგრამ რა არის „ბუნებრივი საზღვარი“? ერთ შემთხვევაში იგი ერთგვარ ეთნოგრაფიულ ელემენტების დასახლების ფარგალია, მეორე შემთხვევაში იგია მთა, ზღვა და უფრო კი ხშირად იგია უსაზღვრო ლტოლვილება სივანე-სივრცეში, ლტოლვილება, რომელიც ჩერდება და დგება მხოლოდ იქ, სადაც მას წინ ელობებიან და გასაქანის იერიშს უკვეცავენ. ბუნებრივი საზღვარი მაშინ ამ „ძალადობის“ ზღუდესთან სწყდება და იქით გასვლას ვეღარ

¹⁾ უკვდავთა ლაღაღებანი—ჯანაშვილისა, გვ. 272.

შედავს. სწორედ ასე იყო ჩვენშიაც, მართალია, ისტორიის იშვიათ მომენტებში,— მაშინ, როდესაც მეფობა ფეოდალებზე გამარჯვებული იყო და წელში გამაგრებული, „ბუნებრივ საზღვრების“ ძებნამ თამარ მეფის დროს დიდ-ძალი სიმდიდრე შესძინა სახელმწიფოს. ასე რომ სახელმწიფოს შემოსავლის ორი-მესამედი შესდგებოდა ალაფისაგან და დაპყრობილ ქვეყნებზე დადებულ ხარჯისაგან. მაშინ სულ ომის ნატვრაში იყვნენ, მეფე გიორგი III-ის დროს, როდესაც დიდ ხანს ომი აღარ იყო, დიდებულებმა და ჯარმა ველარ მოითმინა, „ულონო იქმნეს ლაშქარნი და დიდებულნი ამის სამეფოსანი“-ო, და მეფეს მოახსენეს: „არა არის ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისაო“¹). რაკი ლაშქარს ერთხელ გაუტკბა გამარჯვება და ნატყვენავის შოვნა, ამბობს ივ. ჯავახიშვილი, თავს ველარ შეიკავებს. თამარ მეფის მამა გიორგი იძულებული იყო ყველა მეზობლებისათვის ომი აეტეხა, რომ მთელ ლაშქრის ტყვეების და ნავარდის დაწყება შესძლებოდა. „იქმნა ესე ვითარი უცხო ლაშქრობა, რომელ არა ოდეს ვის ეხილაო“. ოღონდაც, ასეთ უგუნურ ლაშქრობის ნახვა სწორედ რომ უცხო რამ არის. ადამიანი სწორედ თავის თავის მტერი უნდა იყოს, რომ ყველა თავისი მეზობელი ტყუილა-უბრალოდ გადიკიდოს და თავისადმი სიძულვილი ჩანერგოსო²). ვინც რა უნდა სთქვას ყველა ამის გამო, ხოლო თვით ფორმულა— „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისაო“— გამოქანდაკებული ფორმულაა, გამომსახველი პრეტორიანთა გვარდიის მსგავსი სულის განწყობილებისა და ნაციონალისტური თავქარიანობისა.

ასეა თუ ისე, ხოლო სახელმწიფოს გამაგრებამ, ფეოდალთა ძალების შესუსტებამ და თვითმპყრობელობის გავმტკიცებამ, საბოლოოდ ხელი შეუწყვეს ეროვნულ შემეცნების დამწიფებას. ბ-ნი ჯავახიშვილი ამბობს: „ამ ხანაში საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრნი ისე მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი, ისე იყვნენ გამსჭვალულნი საერთოდ საქართველოს გადიდების სურვილით, რომ ხსენება არც-კი იყო არავითარ იმერლობა-ამერლობისა და სხვა ამის მსგავს რი-

1) საქ. ეკონომიური ისტორია, გვ. 70 ივ. ჯავახიშვილისა.

2) საქ. ეკონომიური ისტორია გვ. 71.

სამე, რომელიც ჩვენდა სამარცხვინოდ დღესაც სავსებით არ გამქრალა... სინას მთაზე მოიპოვება ქართული ლოცვანი, სადაც სწერია შემდეგი კვერეჟი: „საქართველოს სამეფოს გაძლიერებისათვის, საზღვრების განმტკიცებისათვის, ერისთავთა დაწყნარებისათვის-უფლისა მიმართ ვილოცოთო“... ამ ხანაში ქართველების სამშობლოს სიყვარულმა და პატრიოტობამ თითქმის წრეს გადააქარბა; ევთიმეს მამა, იოანე იმდენად გაიტაცა საქართველოს სიყვარულმა და იმისი განდიდების სურვილმა, რომ განიზრახა ახალი იდეალური, ყველაფრით უნაკლულო საქართველოს მოძებნა: იოანეს არ აკმაყოფილებდა ნამდვილი საქართველო. იმისი წარმოდგენით საქართველო ზნეობით სპეტაკი, უნაკლულო, ანგელოზთა მსგზავსი უნდა ყოფილიყო. მას გაეგონა, რომ შორს ესპანიაში არის ერთი ქვეყანა, რომელსაც იბერია ჰქვია. იოანე მართლაც გაემგზავრა, იქ უკეთესი ქართველები იქნებიანო. ამნაირად, უცხოელებთან შეტაკებამ ქართველების ეროვნული გრძობა გამოაღვიძა, მჭიდროდ შეაერთა და თვით შემეცნება უმაღლესს წერტილამდე აიყვანაო¹⁾, დასძინს ჩვენი ისტორიკოსი.

ამრიგად, თუ გვინდა კონკრეტულად შევისწავლოთ ეროვნების ჩასახვის და განვითარების პროცესი, სახელმწიფოსაკენ უნდა მივაპყროთ გულისყური და ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაში ვპოვეთ იმ მოძრავ ძალას, რომელიც, სრულიად შეუგნებლივ, საუკუნოთა განმავლობაში თავის ფარგალში და თავის ორგანოების დახმარებით ამუშავებდა ეროვნულ შემეცნების გრძობას. როდესაც ეს შემეცნება სხვადასხვა ძალთა ხანგრძლივ მუშაობის ნაყოფად გამოირკვა, აღმოჩნდა, რომ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მობინადრე ტომები, ხშირად სხვა და სხვა რასიულ ელემენტებისაგან შემდგარნი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაახლოვებულან და უცნიათ სოლიდარობა თავიანთის ინტერესებისა ამ ნიადაგზე განვითარდა კულტურა, რომელსაც ეროვნულ კულტურის სახელი დაერქვა. მაგრამ თანდათან აღმოჩნდა ეროვნულ ცხოვრების სხვა მხარეც. გამოჩნდნენ „ერთობის“ და „სოლიდარობის“ დამარღვეველი ძალები. გამოაშკარავდა ის წი-

1) „ისარი“ № 139, 1907 წ. „კულტურის ისტორია საქართველოში.“

ნააღმდეგობა, რომელიც უკვე ძველ დროს იყო ჩასახული საზოგადოების საძირკველში. გამოაშკარავდა ერის შემდგენელ ნაწილთა შორის ანტაგონიზმი და ბრძოლა. ამ ანტაგონიზმმა დღეს ევროპაში უმწვერვალესი ხასიათი მიიღო და ამ გარემოებამ გამოიწვია ცხარე კამათი ეროვნულ კულტის და თვით ეროვნების უსარგებლო არსებობის შესახებ. ჩვენთვის ფრიად აქირთა ამ ანტიეროვნულ და ანტი-პატრიოტულ მოძრაობის გათვალისწინება და გაგება იმისა, თუ რამდენად მავნებელია თუ სასარგებლო ამგვარივე მოძრაობის გადმონერგვა ჩვენში.

II ანტი-პატრიოტიზმის ავი და კარგი. გ. ერვე.

წარსულ წელს, ევროპაში ორი სოციალისტური კონგრესი მოხდა. ერთი კონგრესი ნაციონალური-საფრანგეთში (ნანსი), მეორე — შტუტგარტში, ინტერნაციონალური. ამ კონგრესებზე მთავარი განსახილველი საგანი ეროვნული პრობლემა იყო. ნაციონალურ პრობლემისადმი ინტერესი ფრიად გაიზარდა ევროპაში ამჟობლო ხანებში. სოციალისტ ანარქისტ-სინდიკალისტთა წრეებში ეროვნულ პრინციპს მკაცრი მოწინააღმდეგენი აღმოუჩნდნენ. გაჩნდნენ ანტიმილიტარისტები და ანტიპატრიოტები, რომელნიც ჯარში ეწვევიან პროპაგანდას და იქას უქადაგებენ ჯარის კაცებს, რომ თუ ვინც-ბაა სადმე ევროპაში ომი გამოცხადდა, ჯარისკაცებმა უნდა უარი სთქვან ომში გასვლაზე და უნდა აუჯანყდნენ იმ მთავრობას, რომელიც ჰგზავნის მათ ომში. ამ მოძრაობის ბელადად და იდეოლოგათ გამოვიდა გიუსტავ ერვე. აღსანიშნავია, რომ გ. ერვეს სასტიკ მოწინააღმდეგეებათ ევროპის სოციალ-დემოკრატია გამოვიდა in corpore. სოციალ-დემოკრატია მხურვალედ გამოესარჩლა ეროვნულ პრინციპს და აშკარად გამოამჟღავნა თავისი პატრიოტული გრძნობანი.

გ. ერვეს მახვილიც სწორედ ამ პატრიოტ-სოციალისტების წინააღმდეგ არის მიმართული. თავის წიგნში „სოციალიზმი და პატრიოტიზმი“ მოჰყავს საყურადღებო ცნობები ევროპის სოც.-დემოკრატის პოზიციის გამოსარკვევად ამ საგანში. 9 ივნისს 1903 წელს საფრანგეთის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვა ია: „ინტერნაციონალიზმი არც სამშობლოს გაუქმებას მო-

ასწავებს, არც მის უარჰყოფასო“. ოთხი თვის შემდეგ ფრანგთა მუშათა პარტიის ნაციონალურ კონგრესზე აღიარეს: „თუ საფრანგეთს მტერი დაესხა, იგი ჰპოვებს მხურვალე დამცველებს მუშათა პარტიის სოციალისტთა შორისო“. ეორესმა 15 აპრილს 1905 წ. შეიძღვეა სიტყვა წარმოსთქვა პარლამენტში: „საფრანგეთის ხანგრძლივი ისტორია ისეთი მშვენიერი შეთანხმება-შეზავება, გენიოსობისა, გმირობისა და კეთილშობილ ადამიანურ გრძნობებისა, რომ მაშინაც კი, როდესაც მას შავი ღლეები უნახავს, იგი შუქსა ჰფენდა. იარამ, რომელმაც საფრანგეთის მკერდის ნაწილი დააზიანა და გული აუტირა, ვერ გამოაცალა ძალ-ღონე და მისი წინ-სვლა ვერ შეაჩერა. ქვეყანაზე არავინ არის, ვის წინაშეც მას ქედი ან თავი მოეხაროსო“. 1891 წელს ლიბკნეხტმა გერმანელების ნაციონალურ კონგრესზე სთქვა: „მე იმას მაყვებდრებენ, რომ განვაცხადე, თუ გერმანიას სხვა სახელმწიფომ ომი გამოუცხადა, თუ მტრის მოსაგერებლად ომი მოგვიხდა, ჩვენ დავიცავთ სამშობლოს-მეთქი. დიად, მე ესა ვსთქვი, ბევრჯელ მითქვამს და კიდევაც ვიტყვი—ყოველივე ეს ცხადზე უცხადესია და ყველანი ამასა ჰგრძნობთ.“ ბებელმა რეიხსტაგში განაცხადა: „თუ ვინმე თავს დაესხა გერმანიას, თუ გერმანიის არსებობას განსაცდელი მოეწოდინება—ჩვენ ყველანი, ახალგაზდანი და მოხუცნი, თოფს მხარზე წამოვიკიდებთ და მტერს შევესევით. (მიუბრუნდა მემარჯვენეთ და განაგრძობს) თქვენს საყურადღებოდ არ ვამბობ მაგას, არამედ ჩვენიანების საყურადღებოდ, რადგან ეს მიწა ჩვენი სამშობლოც არის. ჩვენი სამშობლო უფრო არის, ვიდრე თქვენი. და იმის გულისთვის სულის უკანასკნელ ძეგრამდის ვიბრძოლებთ. გაძლევთ ამაში სიტყვას!“ 1) ამონაწერებით აღარ ავაქრელებთ ფურცლებს. ამგვარი განცხადებით, რეზოლიუციებით სავსეა არა მარტო ორატორების სიტყვები, არამედ კონგრესებისა და მიტინგების დადგენილებანი. აი, თუნდ მაგალითისთვის შარშან მომხდარ კონგრესის ანგარიშები გადასინჯეთ. ეორესმა განაცხადა (ნანსის კონგრესი, 13 აგვისტო): „ნაცია და სამშობლო ჩემთვის იმგვარი ფაქტებია, რომელთაც სოციალისტური და ჰუმანიური ღირებულება აქვს. განსაზღვრული ღირებულება ნაციას არც სოციალისტურ

1) გვ. 95, 96, 97, 98.

საზოგადოებაში ეკარგებაო.“¹⁾ გედმა სთქვა: „მუშათა კლას-
მა უნდა დაიცვას თავის სამშობლო, რათა ამავე დროს დაი-
ცვას ის აუარებელი სიმდიდრე, რომელიც რევოლიუციის
შემდეგ მის ხელში უნდა გადმოვიდესო.“ ნანსის კონგრესზე
იონის რეზოლიუცია, რომელიც იწვევდა სოციალისტებს
აჯანყებისაკენ მთავრობის წინააღმდეგ ომის გამოცხადების
უამს, უარ-ყოფილ იქმნა 251 ხმით წინააღმდეგ 41 ხმისა
(12 უარზე სთქვა კენჭის ყრაზე) (idid). ამგვარადვე დამარცხ-
და ერვე შტუტგარტშიაც, სადაც თითქმის იმავე ხანებში გაი-
მართა ინტერნაციონალური სოციალისტური კონგრესი.

ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, ერვე თუ მისი
მოპირდაპირენი? ერვეს აზრების გაცნობა ხელს შეგვიწყობს
უფრო ღრმად ჩაუფიქრდეთ საგანს და გამოვააშკარავოთ ნამ-
დვილი ხასიათი ეროვნებისა.

თავდაპირველად უნდა გვახსოვდეს, რომ გ. ერვე, საუ-
ბედუროდ, მარტოოდენ ევროპიელთა საქმეებს ეხება, მას ევ-
როპიელთა სახელმწიფოანი და ერნი ჰყავს მხედველობაში,
და ეს კი საკმარისი არ არის ეროვნულ პრობლემის სავსე-
ბით გადაწყვეტისათვის. ევროპის შესახებ კი გ. ერვე ამნაი-
რად სჯის.

იქ დღეს დაახლოვებით ყველგან ერთნაირი პირობები
დამყარდა. კაპიტალი მთელ ევროპას მოეფინა და მთელ ევ-
როპაში მსგავსი ეკონომიური პირობები შექქმნა. ევროპის სა-
ხელმწიფოთა პოლიტიკური ევოლიუციაც ერთ კალაპოტშია
ჩაყენებული. ყველგან არსებობს უკვე ის მინიმუმი თავისუ-
ფლებისა, რომელიც საჭიროა კაპიტალისტურ წყობილების
განვითარებისთვის. რუსეთიც მალე ეღიროება ამას. მსგავს
სოციალ-პოლიტიკურ პირობებს შესამჩნევი ცვლილება უნ-
და მოეხდინა ევროპიელთა აზროვნებაში. ერთმა სახელმწიფომ
რომ გაიმარჯვოს კიდევაც მცირე სახელმწიფოზე, დამარცხებულ
სახელმწიფოს ერი შესამჩნევად არაფერს დაჰკარგავს. ვთქვათ
გერმანიამ ერთხელ კიდევ აჯობა საფრანგეთს და წაჰგლიჯა რო-
მელიმე პროვინცია. რას დაჰკარგავენ ფრანგები, რისა უნდა ეში-
ნოდეთ მათ? აშკარაა, მათ არავინ არ ამოსწყვეტავს. ის დრო
წავიდა, როდესაც დაპყრობილებს ჰხოცავდნენ. ან კიდევ
მონებათ ჰხდიდნენ. ან იქნება ქონებას დაჰკარგავენ?

1) „Товарищъ“; № 37.

არც ამისი შიში უნდა ჰქონდეთ. ელზას ლორენი დაიპყრეს გერმანელებმა. მაგრამ გამარჯვებულებს ქონების კონფისკაცია არ მოუხდენიათ ენა რომ დაჰკარგონ? თუ მოინდომეს, არ დაჰკარგავენ. კანადა ორი საუკუნეა, რაც ინგლისელებს ეკუთვნის, მაგრამ იქაურ ფრანგებს ფრანგული არ დაჰვიწყებიათ. დამარცხებულნი მხოლოდ მაშინ ჰკარგავენ თავიანთ ენას, ამბობს შეუფერებელ აზრს ერვე, როდესაც საერო ენის დაკარგვა ან როდესაც სამშობლო ენის დაკარგვა მათვის სასარგებლოაო. ხოლო ამისათვისაც კი რამდენიმე საუკუნეა საჭირო. მაგრამ თუნდაც რომ დაჰკარგოს ხალხმა თავისი ენა, მღ-დარი და მეტყველი, იმის ნაცვლად ხომ შეიძენს იგი სხვას, არა ნაკლებ მდიდარსა და მეტყველ ენას. ასე რომ არც ეს გარემოებაა აქ ტრაგიკული. კი, მაგრამ ნაციონალური ტემპერამენტი და ხასიათი? მათ ხომ მოელის განსაცდელი? საფრანგეთმა რომ შემოიერთოს გერმანიის პროვინციები, გერმანელებს თავიანთი ტემპერამენტი და ხასიათი მით არ დაეკარგებათ. არც ფრანგებს მოუვათ აზვარი „უბედურება“, გერმანელებს რომ ჩაუვარდნენ ხელში. და რომ დაჰკარგონ კიდევაც, პირველი და უკანასკნელი არ იქნება. ვერც ერთი ერი ვერ დაიკვებებს, „სუფთა“ და შეურევველ რასიულ თვისებების პატრონი ვარო. დარჩა პოლიტიკური ფორმა. საფრანგეთში რესპუბლიკაა, გერმანიაში კონსტიტუციონალური მონარქია. მაგრამ ევროპის პოლიტიკური ფორმები, განურჩევლად რესპუბლიკაა იგი თუ კონსტიტუციონალ რი მონარქია, ზედაპირულად ჰფარავენ მთელ ევროპის საზოგადოების ერთგვარ უკუღმართ ეკონომიურ ორგანიზაციას. 1) ასე რომ რესპუბლიკის მნიშვნელობის გაზვიადებას მაინცა და მაინც დიდი გასაგალი არ უნდა ჰქონდესო.

საკვირველი ამბავია, ჰფიქრობს გ. ერვე, სოციალისტები აღიარებენ იმ აზრს, რომ თვითველ ქვეყანაში შემადრწუნებელი და საშინელი კლასთა ბრძოლა სწარმოებს, ხოლო ამავ დროს ეს სოციალისტები მზად არიან სისხლი და ანთხიონ ამ კლასთა ბრძოლაში კი არა, არამედ იმ ბრძოლაში, რომელიც ჩნდება ერთი ქვეყნის გაერთიანებულ კლასებისა მეორე ქვეყნის გაერთიანებულ კლასებთან. ომის დროს ისინი

1) „Социализмъ и Патриотизмъ“, გვ. 117, 118, 119.

მმართველ კლასებს სოლიდარობას უცხადებენ. ბრძოლის ველზე ისინი მზად არიან თავიანთ მოპირდაპირე კლასის მეთაურებთან ერთად მიიღონ ზიარება ერთის ჯამიდან. ისინი ინტერნაციონალისტები არიან, მაგრამ გამოუცხადებს თუ არა გერმანია ომს საფრანგეთს ან საფრანგეთი გერმანიას, მაშინ, მათის აზრით, ფრანგი და გერმანელი პროლეტარიატი ერთმანეთს უნდა დაერივნენ, ყელები დასჭრან თავიანთ სამშობლოების განსაღიდეებლად. ერთის მხრივ ბებელმა, მეორეს მხრივ ჟორესმა თოფ-იარაღით ხელში თავი უნდა დასდონ ერთმა გერმანელთა სამშობლოსთვის, მეორემ ფრანგთა სამშობლოსთვის. აი, ამგვარ წინააღმდეგობის ქსელში გაებნენ სოციალისტ-პატრიოტებიო ¹⁾.

გ. ერვე განაგრძობს: რა არის სამშობლო, ერი, ეროვნება? ზოგნი ამბობენ სამშობლო ის ადგილია, სადაც დაკიბადეთო. თუ თქვენ დაიბადეთ ერთ რომელსამე სოფელში, ეს სოფელი გეყვარებათ და თქვენი სიყვარული ბუნებრივი იქნება. მაგრამ ამ პატარა სოფლისადმი სიყვარულიდან სრულიად არ გამომდინარეობს სიყვარული იმ დიდ ქვეყნისადმი, რომელსაც ჰქვიათ საფრანგეთი ან გერმანია, რომელიც შენ იქნება თვალითაც არ გინახავს, რადგან არ განშორებულხარ შენი დაბადების ადგილსაო. მაშ სამშობლო სხვა რამ ყოფილა. სამშობლო წინაპართა მიწაწყალიაო. წინაპრების შარავანდელით მორთვა ყველგან არის მიღებული. მართალია, ბევრი სისხლი დაუღვრიათ ამ ჩვენ წინაპრებს, მაგრამ ვის გულისათვის? ბატონების, აზნაურების, მეფეების გული სათვისაო. ცოტანი იყვნენ, ვინც ხალხის ინტერესებისათვის იღვწოდნენ. მაშ თავი დავანებოთ წინაპრებს²⁾. სამშობლო, ეს ის ქვეყანაა, სადაც ჩვენი მოდგმის ტომი, ჩვენი რასა ცხოვრობსო. კადევ ერთი არაკი. ევროპაში არ არის არც ერთი სახელმწიფო, სადაც მართო ერთი მოდგმის ხალხი სცხოვრობდეს. გერმანიაში გერმანელები და სლავიანებია; საფრანგეთში პროვანსალელები არიან, რომელთაც უფრო იტალიელებთან აქვთ ნათესავობა, ვიდრე ჩრდილოეთ საფრანგეთში მცხოვრებ ფრანგებთან. ჩრდილოეთში ბევრი ფლამანდიელი სცხოვრობს. ბრეტონელი უფრო ახლოა ირ-

¹⁾ ibid, 110, 111.

²⁾ ibid 50, 51.

ლანდიელთან და შოტლანდიელთან; ხოლო თუ მართლა სამშობლო ის არის, სადაც ერთის ჩამომავლობის ხალხი სცხოვრობს, მაშინ დასავლეთ ევროპაში ერთი სამშობლო უნდა დაარსდეს, რადგან ეხლანდელ იტალიელებს, ფრანგებს, გერმანელებს და ინგლისელებს აზიაში საერთო წინაპრები ჰყავდათო. სამშობლო ის ქვეყანაა, სადაც ერთ ენაზე ლაპარაკობენო. ელზასელები გერმანულს ლაპარაკობდნენ, საფრანგეთს კი ეკუთვნოდნენ, და პატრიოტებიც იყვნენ საფრანგეთისა. ბრეტონელებმა და ფლამანელებმა ეხლა ხანს ისწავლეს ფრანგული. შვეიცარიაში მკვიდრთა ერთი ნაწილი ფრანგულს ლაპარაკობს, მეორე გერმანულს, მესამე იტალიურს და ამასთან არსებობს სამშობლო ანუ ერთი შვეიცარიელთა. კუბინელები ესპანურს ლაპარაკობენ, ხოლო თავიანთ კუნძულიდან გარეკეს ესპანელები და ჩამოშორდნენ ესპანისს. შეერთებულ შტატებში ინგლისურს ლაპარაკობენ, ხოლო ამერიკელები ინგლისს არა სთვლიან თავიანთ სამშობლოდაო. ასე რომ არც ენა ჰქმნის თურმე ეროვნებას. სამშობლო—ეგ საერთო აზრთა, გრძნობათა, ზნეთა და ინტერესთა წარმოშობვის ნიადაგიაო. ეს ხომ სულ ტყუილიაო. კარგი ერთობა აქვთ ფრანგ-კლერიკალებს და ანტიკლერიკალებს, თავისუფალ მოაზრეთა და ანტისემიტებს, ნაციონალისტებს და დრეიფუსისტებს, როიალისტებს, ბონაპარტისტებს, სოციალისტებს და რესპუბლიკელებს! სამშობლო—ეგ ჩვენი საერთო დედაა, დიდი ოჯახია, რომლის წევრებს ერთი ინტერესები აქვთ, ლტოლვილების საერთო საგანიო. ოჰ, ამ დიდ ოჯახებში ზოგი შვილი მდიდრულად შემკულ სუფრას მისჯდომია, ზოგი კი მუდამ შრომობს და აცხობს იმ საზოგადოებრივ ქადას, რომელსაც შეექცევინ სუფრასთან მისი ბედნიერი ძმები. კარგი დედაა, თქვენმა მშემ! დედას ხომ ერთნაირად უყვარს თავისი ბავშვები, ყველას აქმევს, ასმევს, ეალერსება. და იმ დედას განა დედა ეთქმის, ვინც ერთ შვილს აძლობს და მეორეს კი შიმშილით ჰკლავს. არა, ეგ ხომ დედინაცვალია და არა დედა! და დღევანდელი სამშობლო ამ დედინაცვალს ჰგავსო.⁶⁾

ამ თეორიულ მოსაზრებებს თავისი ღირსებაც აქვთ— ნაკულღევანებაც. ღირსება იმაშია, რომ მართლაც ეროვნებას

⁶⁾ ibid გვ. 49—54.

არ შეადგენს არც ერთი განცალკევებულად აღებული ზემოდ ჩამოთვლილი თვისება. მაგრამ ყოველი ეს თვისება რომ საჭირო ელემენტს შეადგენდა ეროვნულ შემეცნების შექმნის პროცესში, ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევს გ. ერვე და აქ მისი თეორია სუსტობს და სუსტია ამიტომ ზოგიერთი აქედან გამომდინარე პრაქტიკული მოსაზრებაც. მიუხედავად ამისა, მთავარი საფუძველი გ. ერვეს თეორიისა შეურყეველი რჩება. შეურყეველია ის აზრი, რომ არც ენას, არც რასას, არც საერთო თავგადასავალს, არც სხვა რამ ამ ხასიათისას არ ჰქონია ძალა ეროვნების შექმნისა. ეს სასწაული არ მოუხდენიათ არც ამ ელემენტებს ერთად აღებულიებს. ეროვნების წარმოშობისათვის საჭირო იყო სხვა გვარი ძალა. საჭირო იყო ერთგვარი ორგანო, რომელსაც გათქვეფისა, ჩაკირვისა და შეერთების ძალა შესწევდა და ეს ორგანო იყო სახელმწიფო. დაახლოვებით ამ დეფინიციას აღიარებს გ. ერვეც, როდესაც ამბობს: ერი ან სამშობლო— ეგ უწინარესს ყოვლისა ადამიანთა მასაა, რომელიც სცხოვრობს ერთ კანონის ქვეშ¹⁾. მართლაც, ერი ჩნდება იქ, სადაც ჩნდება კანონი, ე. ი. სახელმწიფო თავის ორგანოებით. უსახელმწიფოდ ერი არ არის. რაც გინდ შეურყეველი იყოს ეთნიურად რომელიმე ხალხი, რაც გინდ სუფთა და ორიგინალურ ენაზე ლაპარაკობდეს იგი, იმ დრომდე ხალხი ერად არა ხდება, სანამ სახელმწიფო არ იბადება, ე. ი. სანამ საგვარეულო წესი არ დაინგრევა, და ნათესაობის ადგილს ტერიტორიალური პრინციპი არ დაიჭერს. და როდესაც სახელმწიფო იბადება და იწყებს მუშაობას ეროვნების შესაქმნელად, მაშინ ამ საქმეში უმნიშვნელო ფუნქციას არ ასრულებენ ენა, რასა, საერთო თავგადასავალი და სხვა ამგვარი, რაზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი ქართულ ეროვნების შესწავლის დროს. გ. ერვეს ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

მაგრამ დავუბრუნდეთ ერვეს. უნდა ავღნიშნოთ, რომ თუმცა გ. ერვე წინააღმდეგია სამშობლოს პრინციპისა და პატრიოტულ გრძნობებისა, ხოლო მასაც ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებლად მიაჩნია სამშობლოს დაცვა. წარსულში, როდესაც ჯერ კიდევ მონობა არსებობდა და როდესაც დაპყრობილ ხალხს ხშირად ხოცავდნენ ან მონებათ აქ-

¹⁾ ibid 1.

ცევდნენ, ამ შემთხვევაში დაპყრობილთა წინააღმდეგ ბრძოლა ერვეს პატივსადებ საქმედ მიაჩნდა. ძველ რომის პლემბეიებს ეს პლებეიობა ერჩივნათ მონობას და პლებეის უნდა ჰქონოდა პატრიოტული გრძნობა და სამშობლოც უნდა დაეცვა. ხოლო მას შემდეგ, რაც უცხოელი—მტერი თავის ტყვეებს არცა სჭამს, არც ჰკლავს, მას შემდეგ, რაც მონობა ან სულ გაუქმდა, ან მას სიმკაცრე დაეკარგა, ღარიბებს „მდაბიო ხალხს“ აღარავითარი რეალური ინტერესი აღარა აქვს დაიცვას სამშობლო, სადაც ღარიბები პარიებათ ითვლებიანო.¹⁾ მაგრამ არის ერთი გარემოება, როდესაც, ერვეს აზრით, სამშობლოს დაცვა და ომი არა მარტო ნებადართულია, სავალდებულოც არის ზნეობისა და პრინციპის მხრივ. ეს ის გარემოებაა, როდესაც მართველი კლასები უცხოელებს იწვევენ თავიანთ პრივილეგიების დასაცავად. ომი გარეშე მტერთა ამ შემთხვევაში გონივრულიცაა, ზნეობრივიცო.²⁾ ასე სჯის ერვე.

ყოველივე ეს რომ მივიღოთ მხედველობაში, უნდა ვსთქვათ, რომ ერვეს სისრულით და სამართლიანად ვერ განუმარტებია ეროვნული პრობლემა. საქმე ის არის, რომ კაცობრიობა მარტოოდენ დასავლეთ ევროპიელთაგან არ შესდგება. დასავლეთი ევროპა უკვე ერთ კულტურულ სხეულს შეადგენს. იქ უკვე ევროპის სახელმწიფოთა ფედერაციაზება შესაძლებელი ლაპარაკი. იქ მართლაც უკვე დაიყო მთელი საზოგადოება ორ კლასად და იქ იზრდება და ჰმუშავდება ატმოსფერა და პირობები ახალ საზოგადოებას დამყარებისთვის³⁾. იქ ომი ერთის ხალხისა მეორის წინააღმდეგ უგუნურობაა. იქ რეალურად იჩენს თავს „ინტერნაციონალი“ და ამ ინტერნაციონალის ოჯახის წევრებს ერთმანეთში გასაყოფი არა აქვთ რა. და თითქოს მართალია ერვე, რომელიც უკიჟინებს ევროპიელ სოციალისტ-პატრიოტებს, აქვენთვის ინტერნაციონალიზმი ცარიელი სიტყვაა, ნამდვილად

¹⁾ ibid გვ. 82.

²⁾ ibid.

³⁾ რათა ამ აზრმა შიკდობაში არაგინ შეიყვანოს, უნდა ვსთქვა, რომ ერთი ორგანული ერთეულია და თუნდაც ორ კლასად იყოს იგი დაყოფილი, მისი სიმრთელე აუცილებელი პირობაა სოციალურის განთავისუფლებისთვის.

კი თქვენც გაბატონებულ კლასების აზრებით ხართ მოშა-
მული და არწმუნებთ მუშა ხალხს, რომ ვითომ მდიდარსა
და ღარიბ შორის ზოგიერთ შემთხვევაში, ომის დროს, მა-
გალითად, არა თუ შესაძლებელია სოლიდარობა, სავალდე-
ბულოცაა. ვიმეორებთ, თუ სამშობლო და პატრიოტიზმი
მოპირდაპირე და ერთმანეთში მოურიგებელ კლასთა სოლი-
დარობის და ერთობის გამტკიცების ერთგვარი საშუალებაა,
**იქ, სადაც საზოგადოებრივი სტრუქტურა მარტოოდენ ორ
მოპირდაპირე კლასისაგან შესდგება**, სადაც კლასთა ბრძო-
ლა არა მარტო უტყუარი ფაქტია, არამედ მთავარი ძარღვი
ადამიანთა განთავისუფლებისა, იქ არ უნდა ჰქონდეს ადგი-
ლი თანამედროვე ხასიათის პატრიოტულ გრძნობათა აღრზ-
დას და განვითარებას, ვინაიდან იგი გრძნობა აბნელებს
კლასიურ შექცევებს, ანელებს ატეხილ ინტერესთა წინააღ-
მდეგობას და მით აგვიანებს ადამიანთა განთავისუფლების
დღეს. ასეთია პრინციპი. 1) მაგრამ ამ საგანს სხვა მხარეცა აქვს.
ჯერ ერთი თვით ეროვნებაშია არის იმისთანა კუთ-
ხეებთ (ევროპის ოსმალეთი, ბალკანეთი, გერმანიის პო-
ლონეთიც კი), სადაც ჯერ კიდევ მკაფიოდ არ გა-
მოსულან სოციალური კატეგორიები, სადაც რასიულ
სარწმუნოებრივ, ლინგვისტიურ და ეთნიურ ელემენტე-
ბის ერთი ერთმანეთთან შეხლას ისეთი მწვავე კონფლიქტები
მოსდევს ხოლმე, რომ უიარაღოდ საქმე არც ეხლა რიგდება
არც ახლო მომავაში გარიგდება. მაგრამ გაჭხედეთ ევროპის
გარედ ქვეყნებს, რა აქრელებულ სურათს წარმოადგენს ჯერ
ხანობით უბადრუკი კაცობრიობა. არ ვიცი, რას იტყოდა და
რას იზამდა ერეე, აზიის და აფრიკის უვიცი შავი და წითელ
კანიანი ხალხი რომ გალაშქრებულიყო ევროპის წინააღმდეგ,
ავღანელი და ტიბეტის დალაილამის თაყვანის მცემელი
რომ მისდგომოდა პარიზსა, მის მუხეუმებსა, ბიბლიოთეკებსა,
შრომის ბირჟებს, არ ვიცი, რა გუნებაზე დადებოდა ერეე
ამ ფერად-კანიანების ლაშქართ შემოსევის დროს, ხოლო
დარწმუნებით შეიძლება იმისი თქმა, რომ ევროპის პროლე-
ტარიატი, „ინტერნაციონალი“ იარაღს აისხამდა და იარაღით
ხელში დაიკავდა თავის კულტურას, თავის ნაამაგარს, თავის

1) ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარება თვით დასავლეთ ევროპიულ
პირობებშია ც შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია. 1911 წ. ა. ჯ.

ოცნებას, თავის მომავალის განადგურებისა, ძალმომრეობისა თუ დაპყრობისაგან. თუ ამგვარი უბედურება შეემთხვა ევროპას, ამბობს პროფესორი—სოციალისტი ჟორჟ რენარი „სასტიკი მოპირდაპირენი სამშობლოს პრინციპისა გაიგებენ და მიხვდებიან, რამდენად საჭიროა ჯერ კიდევ თვით სოციალურ სამართლიანობის უზრუნველსაყოფად დაცვა გარეში მტრის შემოსევისაგან დედა-მიწის ერთი კუთხისა მაინც, სადაც ოცნება ფართოდ არის გაშლილი და სადაც ამუშავებენ უკეთეს საზოგადოებას—დასავლთეთ ქვეყნის ამ სანუკარო და სანაქებო საქმეს 1).

ვიმეორებთ, ევროპაში თითო ას მზადდება ნიადაგი ევროპის ფედერაციის დამყარებისათვის, ევროპიულ ინტერნაციონალის განვითარებისათვის. თუმცა ეს სრულიად არ ნიშნავს ეროვნულ ერთეულებათა გაუქმებას, არამედ მათს დაკავშირებას. ევროპის გარეშე კი მის საზღვრების განაპირებზე კიდევ სხვა გვარ სურათსა ვხედავთ, სხვა გვარ პირობებს ვამჩნევთ და აქ სხვა გვარი თეორიაა საჭირო სინამდვილის განსამარტავად და პრაქტიკულ პოლიტიკის საწარმოებლად.

დაკვირვებისა და შესწავლის საგნად აქვს ისევ ჩვენი ქვეყანა და იმის მოგომარეობის გათვალისწინებით შევიმუშავოთ პრაქტიკულ პოლიტიკის გეგმა.

III რა განსაცდელი მოელოს ქართველ ხალხს?

ეროვნულ პრობლემის სიძნელე თეორიული სიძნელე არ არის. თეორიაში ყოველივე მწყობრად სწყდება და ჰლაგდება. სიძნელე იწყება იმ დროიდან, როდესაც ეროვნული პრობლემა გინდათ გადასწყვიტოთ კონკრეტულ პირობების მიხედვით, როდესაც ანგარიში უნდა გაუწიოთ მრავალ მოვლენას, რომელთა არსებობა თეორიას მხედველობაში არ მიუღია. როცა დიდ ვრცელ ტერიტორიაზე სცხოვრობენ ერთის ღირსების კულტურის წარმომადგენელი ერნი, როდესაც ამ ერთა თვითვეულ ცხოვრებაში ორ მკაფიოდ გამოსახულ მოპირდაპირე სოციალურ კლასს ჰხედავთ, მაშინ ძნელი არ არის იმისი გადაწყვეტა, თუ რა ღირსებისაა დღევანდელი პატრიოტიზმი და მამულიშვილობის გრძნობა, რომელიც ამ შემთხვევაში კლასთა განხეთქილების დასათარავ ფარ-ხმალად

1) Le Regime socialiste, par Georges Renard, გვ. 70.

ხდება ხოლმე. მაგრამ, როდესაც თქვენ ხედავთ წინად პოლიტიკურად დამოუკიდებელს რამდენსამე ერს ერთმანეთში ერთად ვითარების გამო არეულებს, როდესაც ამ არეულობის გამო ფერხდება კულტურული განვითარება თვითეთლისა, და როდესაც ეს ერნი ამასთან დამონებულნიც არიან სხვა ძლიერ ერის მიერ, რომელსაც ჰსურს გასთქვიფოს სხვა და სხვა ელემენტები მის მიერ დაწესებულ სასტიკ პოლიტიკურ ფორმებში; როდესაც თქვენ ჰხედავთ, რომ ყველა ამის გამო გამოაშკარავდა რასიული, ლინგვისტური, სარწმუნოებრივი და ეკონომიური კიშპობა და მტრობა არა მარტო ორ კლასს შორის, არა მებატონეთა და ყმათა შორის, არამედ სხვა და სხვა ერთა შორისაც, სხვა და სხვა ერთა დაჩაგრულ კლასთა შორისაც—მაშინ იწყება სიძნელე ეროვნულ პრობლემის გადაწყვეტისა, მაშინ ჰგრძნობთ, რომ ერვეს საზომი უძლეური და სუსტი საზომია. ჩვენში სწორედ ამ კონკრეტულ პირობების მიხედვით უნდა გადასწყდეს ეროვნული პრობლემა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უქმ-ადამიანთა უქმ ლაყბობის ელფერი ექნება.

ჩვენ არა ვკისრულობთ სავსებით დახასიათებას საქართველოს და ქართველ ხალხის ეხლანდელ მდგომარეობისას. ამ საგნის შესახებ ვრცელის წიგნის დაწერაა საჭირო. ჩვენ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება იმგვარ ფაქტებზე, რომელნიც გვეუბნებიან და გვაფრთხილებენ: აი აქ, ამ ნიადაგზე გაიზრდება ერთა შორის შუღლი და აქ ჩატყდება ზიდი, რომელიც გინდათ ააშენოთ სოლიდარობისა და ერთობის განსამტკიცებლად. მოვექცეთ ყურადღებით ამ გაფრთხილებას და დავაკვირდეთ ჩვენის ცხოვრების ერთ ფრიად სავაგლახო უკუღმართობას.

ახალქალაქის მაზრაში მთავრობამ შეჰქმნა ეკონომიური უთანასწორობა გადმოსახლებულ და ადგილობრივ ქართველ გლეხთა შორის. სოფელ ხერთვისში, მაგალითად, სადაც ქართველები სცხოვრობენ, თვითეულ კომლს აქვს 2,89 დეს. მიწა; საიჯარო მიწაც რომ მიუმატოთ, თვითეულ კომლის ხელში 3,52 დეს. მიწაა. სომხებს ამ მხარეში უჭირავთ 40,50, 100 დეს. კომლზე. 1) ზემოხსენებულ მაზრაში ქარ-

1) „Мотивы социализма в Грузии“. თბილისელი „Закавказье“ 1907, № 77.

თველები დაუძლურდნენ და ჩამორჩნენ. ამ პროვინციებში ძველად ჰყვოდა კულტურა. რომ ჰკითხოთ ძველ მესხეთის დღევანდელ ჩამომავალ ქართველს, ვინა ხარ შენაო, ჩაფიქრდება, და გეტყვით ფრანგი ვარო. სარწმუნოებას, პარტიების მეცადინეობით, გაუქარწყლავს ეროვნული გრძნობა. მიწა-წყლის უთანასწოროდ და უმართებულოდ მფლობელობას ბორჩალოს მაზრაშიაც აქვს ადგილი: „გომარეთის და მოშავერის ქართველები, ამბობს ბ-ნი ერიცოვი, იმ მრავალ-რიცხოვან ქართულ კოლონიების ნაშთებს წარმოადგენენ; რომელნიც ძველად აქ ცხოვრობდნენო... ქართველები მეზობელ მაზრებში გადადიან, სადაც მემამულეებთან მოიჯარადრეებად დგებიანო. და ქართველების და სხვა ტომთა მიწათმფლობელობის რაოდენობას რომ მიაქციოთ ყურადღება ამ რაიონში, იმავე უთანასწორობის პრინციპს დაინახავთ. 1885 წ. რუსებს ეჭირათ, თითო კომლს 6,251 დეს.; სომხებს — 36, 52, 40, 51, 25 დეს. (კიზილ-კილისი), ბერძნებს 27—32, 10, 33—04 დ., თათრებს—24, 53—47, 62; ქართველებს კი მარტო 2, 89 (პატარა გომარეთიც), 4, 71 დ. (კაკლიანი) 5, 21 დ. (მამფლა-სოფელი). და ამასთან უნდა ავლნიშნოთ, რომ ქართველები, მიუხედავად ასეთის მიწის სიციწროვისა, ზოგჯერ რვაჯერ მეტ გადასახადს იხდ-დნენ, ვიდრე ახლად გადმოსული ხალხიო. ²⁾

ამ ფაქტზე განზრახ ჩამოვავდეთ ლაპარაკი. ჩვენ გვსურს ეროვნულ პრობლემის კონკრეტულ პირობებში შესწავლა. და ეს კი იმას ჰნიშნავს, რომ უნდა გამოვამჟღავნოთ და არ დავფაროთ ყოველივე ის, რასაც ან შუღლის გამოწვევა შეუძლია ერთა შორის ან დაჩაგვრა ერთის ელემენტისა მეორისაგან. ამიტომ განვაგრძოთ ფაქტების აღნუსხვა და გადავხედოთ ქართლს.

ქართლში ამ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გაძლიერდა ოსების იმიგრაცია. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ერთი-ორად მატულობს გადასახლება ფრონის ხეობაში. აქ გაშენდა სხვა სოფლები. ამ სოფლების გაშენებისა გამო მოსპობა ტყე, ზომით 8,500 დეს. საფალავანდო მამულში. სად და ვის მიწაზე სახლდებიან ოსები? დროებით ვალდებულ გლახებისაგან ჩამორთმეულ ჩამონაქრებზე: თიღვა, თერეგვანი, ახალ-შენი,

²⁾ ibid, გვ. 80.

ხუნდის უბანი, ტყის უბანი, ნაბაკევი და შინდარა დროებით ვალდებულ გლეხებს ექირათ. თანდათან ამ სოფლებში მკვიდრდებიან ხიზანი ოსები. წორბისში სცხოვრობდნენ ქართველი გლეხები, გვარად მაისურაძეები, ტაბუკაძეები და კობერიძეები. დღეს კი არც ერთი მათ ს გვარისა და მოდკმსა აღარ სცხოვრობს იქ. მათ ადგილზე ხიზნები დამკვიდრდნენ იმავე მოვლენას ვხედავთ ცისიაში, სადაც ქართველები სახლობდნენ და, სადაც დღეს იქ მათი ხსენება აღარ არის. ახალშენში დიდი ხანი არ არის, რაც დროებით-ვალდებულ გლეხებს ჩამონაჭრები ჩამოერთვათ და ოსებს გადაეცათ. იგივე მოხდა ავენევში. სოფელ ყორნისში, ამ ორმოცდა ათი წლის წინათ 7 კომლი ხიზანი იდგა, დღეს მემამულეების მეცადინეობით, 120 კომლი ხიზანი სცხოვრობს. მთლად ხერხეულიძეების მამული დღეს ხიზნების ხელშია. ტატიშვილების მამულშიაც იგივე ამბავია. ეს მამული ზომით 200 ადესეტინაა. აქ გაშენდა შვიდი სოფელი ოსებისა. ამ ბოლო დროს სოფ. ოქონაში მემამულეებმა დაასახლეს 14 კომლი ხიზანი. ოქონელ გლეხებს წაართვეს 148 დესეტინა მამული, ცალკე სოფლად გამოჰყვეს და დაარქვეს სოფ. „გიორგი-წმინდა“. სოფელ ავლევშიაც აქაურმა მემამულეებმა ხიზნებს მისცეს წვრიმალა ტყე სამუშაოდ. დღეს ავლევში 14 კომლი ხიზანი სცხოვრობს. კორესპოდენტის, რომელიც ამ ცნობებს გვატყობინებს, ამბობს: მემამულენი ორიოდე გროშისათვის უამისოდაც ვიწრო ადგილზე ახლებს ასახლებენ, აჩეხინებენ ტყეებს და ბუნებით მდიდარ ქვეყანას გავერანებას და გატიალებას უმზადებენო 1).

მოუსმინეთ ახლა ძველ ერეთიდან მოწერილ ამბავს (ერეთის ნაწილს ეხლანდელი საინგილო შიადგენს). ერთ დროს აქაც ქართველები სახლობდნენ. დღევანდელ გამაჰმადიანებულ ქართველებს ინგილოებს უწოდებენ. კორესპოდენტი იწერება: მთელს საინგილოს მაჯლაჯუნასავით აწევს და მის კეთილდღეობას ძირს უთხრის ერთგვარი გადასახადი, რომელსაც ქეშქელს ეძახიან. ამ გადასახადს ანუ ქეშქელს იხდის ინგილო-ქართველი ლეკების სასარგებლოდ. თითო კომლი ინგილო მოვალეა ყოველ წლივ გადაიხადოს ერთი

1) „ხიზან ოსების დასახლება“, „ისარი“ № 208.

თალარი ანუ შპ ფუთი ქირნახული, ნახევარი ჰური ან ბრინჯი, ნახევარი კიდევ ქერი და ფეტვიო... ძველად, როცა ლეკებს დაუპყრიათ საინგილო, მას შემდეგ ხარკად ქართველ სოფლებზედ დაუწესებიათ ეს ქეშქელის გადასახადი თავიანთ სასარგებლოდ.. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. აქ კიდევ სხვა უფლება არსებობს, რომელიც ნამდვილ ბატონ-ყმობას წარმოადგენს და რომელსაც ბრიატს ეძახიან. ეს უფლება შენახულია კაკის ნაწილში. აქ არიან მემამულენი გვარად სულთანოვები, ძველად ქართველი თავადნი გურამიშვილები, რომელთაც, მიუღიათ რა მუსულმანობა გვარებიც გამოუცვლიათ. ამ მებატონეებს გარდა იმისა, რომ ისინი ქეშქელს ახდევინებენ იმისდა მიხედვით ვის რამდენი მიწა-წყალი აქვს, ნამდვილს ყმობაში ჰყავთ გლეხები. გლეხები მოვალენი არიან საზატხულოდ გადაუხიდონ აგარაკში მოელი ოჯახობა და აფეჯეულობა; მოვალენი არიან ბატონის დაუკითხავად და საჩუქრის მიურთმევლად არავის მიათხოვონ ან ითხოვონ ქალი და მრავალი სხვაო... რა დაემართა ამ მხარეში ქართულ ენას და ეროვნულ შემეცნებას. ამის შესახებაც საყურადღებო ფაქტს ამჟღავნებს კორესპოდენტი: მესამოცე წლებში, დაიწყეს თუ არა ქრისტიანობის აღდენა საინგილოში, მისწვდნენ ვინც კი ქართველი ნახეს—უნდოდათ ყველასთვის ქრისტიანობა მიეღებინებინათ. ქართველობა ქრისტიანობის სინონიმად გადააქციეს და ამითი ისე დააფრთხეს ის ხალხი, რომელიც თავისს თავს ქართველად სთვლიდა, რომ ეხლა მუსულმან ინგილოს რომ ჰკითხო, ვინა ხარო, თამამად გიპასუხებს, თათარი ვარო. ეროვნება სარწმუნოებას ანაცვალეს... დამფრთხალი ინგილო დღეს ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თავისი თავი ქართველად არავის აჩვენოს და სცდილობენ თავიანთ შორის ქართველობის ნასახიც კი ამოაგდონ. ამის გამო გურჯისტანის ზოგიერთ სოფლებში ამგვარი დადგენილებაც კი იყო, რომ ქართულად არ ვილაპარაკოთ, არამედ მუსულმანურადო. დადგენილების დამრღვეველისათვის ხარი უნდა დაეკლათ. ამ მოკლე ხანში ისეთივე დადგენილება განმეორდა სოფ. მარსაანში. სოფლის ყრილობამ დაადგინა, ქართულად არ ვილაპარაკოთო. ჯერჯერობით ასეთი დადგენილება ნიადაგს მოკლებულია უმრავლესს შემთხვევაში, მაგრამ ჩვენ ისეთი მაგალითებიცა ვნახეთ, ელაპარაკებით კაცს ქართულად და ის კი თათრულად

გაძლევთ პასუხს, არ უნდა, აღარა სურს სამშობლო ენაზედ ლაპარაკი. ამის გარდა ინგილოებმა კიდევ უფრო უკიდურესს საშუალებას მიჰმართეს. ქალებს თავიანთში—ინგილოებში კი აღარა თხოულობენ, არამედ ნუხის მაზრიდან მოჰყავთ თათრის ქალები... თუ ასე გაგრძელდა საქმე, დასძენს კორესპონდენტი, ბოლოს სულ მოისპობა ქართველობა გურჯისტანშიო. ¹⁾

საინგილოდან შევიაროთ კახეთში. რა ხდება თვალუწვდენელ შირაქის ველზე? შირაქში 167,444 დესეტინა მიწაა. უწყლოობის გამო შირაქში მხოლოდ 4000--5000 დესეტინაა დასასახლებლად გამოსადეგი. და აი სწორედ ამ მიწას ეტანება დღეს უმიწა-წყლო ქართველობა. მაგრამ ქართველობას აქ დასასახლებლად დიდი დაბრკოლება აღმოუჩინეს. და ამის შემდეგ ის აღმოჩნდა, რომ ქართველი ქართველს გადაემტერა და ლამის ერთმანეთს მუსრი გაავლონ მიწების ხელში შერჩენის გამო. „შირაქის შესახებ მოხსენებაში“, რომელიც გახსენებმა გამოაქვეყნეს, ვპოვებთ ამგვარ ცნობებს: შირაქში დასახლდნენ სნოელები, ხევიდ ნ წასული მთიულები. სნოში მათი დარჩენა შეუძლებელი იყო უმიწობის გამო. სახნავი და 2,6 დ. სათიბი, ეს მიწა ვერ ასაზრდოვებდათ. დაიძრნენ და შირაქს მოადგნენ. დაბინავდნენ, გაიკეთეს ქოხები. ბოლოს აღმოჩნდა, რომ იქ დასახლების უფლება არა ჰქონიათ, რადგან სნოელები არ არიან შეტანილნი იმ პირობა სიაში, რომელთაც 1884 წლის კანონით შირაქში საძოვრების სარგებლობის უფლება ჰქონდათ მინიჭებული. სნოელებს (და სხვა მთიულების) შესახებ მთავრობამ ამგვარი მსჯავრი დასდო: გაძევებულ იქმნენ დუშეთის მაზრის მცხოვრებნი, რომელნიც თავის ნებით დასახლდნენ შირაქში და არც სხვებს მიცეს იქ დასახლების უფლებაო ²⁾. 1884 წლის კანონის დარაჯად გამოდიან და ეს კანონი კი თითონ დაარღვიეს, რადგან ამ რამდენიმე წლის წინად გუბერნატორმა სვეჩინმა ამ ადგილებში რუსები დაასახლა და სოფელსაც თავისი სახელი „სვეჩინო“ დაარქვა! მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ მთიულებს თუშებმაც გაუწიეს წინააღმდეგობა. თუშები ამბობდნენ: თიანეთისა და დუშეთის მაზრებში იმოდენა უმი-

1) საინგილოს გადაგვარება, „ისარი“ № 27.

2) „მოხსენება შირაქის შესახებ“, „ისარი“ № 220.

წაწყლო ხალხია, რომ მთელი შირაქი არ ეყოფათო. თუ არ დაუშალეთ, ყველანი დაიძვრებიან და აქ ჩამოვლენო. გადმოსახლებული მთიულები უპასუხებდნენ: უმიწა-წყლობამ ისე გაგვიჭირა საქმე, რომ მეტი ველარ გავძვლით, მიჩვეულ ადგილებს თავი დავანებეთ და აქ ჩამოვედითო... რაც გინდოდეთ, ის გვიყავით, თუ მთავრობას არა სურს ჩვენი თავი, თავზე ნავთი გადაგვასხით და აქვე დაგვწვითო. 1) ბოლოს, როგორც იყო, საქმე მოაგვარეს. ხოლო კომისიამ, რომელიც არკვევდა ამ საგანს, დაადგინა, ზომები იქმნას მიღებული, რომ შირაქში გადასახლება შესწყდეს. კომისიას გაუგია, რომ შემოდგომიდან ბევრი აპირებენ შირაქში ჩსვლას, საქირთა საამისო ბრძანება ეხლავე გაიცეს დუშეთის და თიანეთის მაზრებში, რათა, თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი გახლართვა საქმისაო 2).

იკითხავთ, მაშ სად უნდა წავიდეს ეს ხალხი? ჩრდილოეთისაკენ თუ იბრუნებს პირს, როგორც უკვე მღვთოებმა ჰქმნეს, თორემ აქეთ მათ გზა შეკრული აქვთ. როცა მთის ხალხს დაბრკოლებას არ უწევენ, ბარში სახლდებიან, როგორც ქართლში ოსები. და როცა აქეთ არ უშვებენ, ჩასორი გზა აქვს: ან შიმშილით გაწყვეტა, ან რუსეთისაკენ წასვლა. მთიელი რა თქმა უნდა ამ უკანასკნელს მისცემს უპირატესობას და ამ მდგომარეობაში არიან მარტო ქართველნი, რადგან ოსებს წინ არაფერ ელოდება.

უკეთეს მდგომარეობაში საქმე არც ქიზიყშია. ქიზიყი ხომ ეკონომიურად საქართველოში საუკეთესო ადგილად ითვლებოდა. ქიზიყი ღონიერი იყო პურით, ღვინით, საქონლით. გადაჭხედეთ, რა დაჭართვია დღეს ამ „მარგალიტს?“ 1905 წელს იმდენად გამწვავდა მიწების გამო საქმე რამდენსამე საზოგადოების მცხოვრებთა შორის, რომ მათ დასამშვიდებლად ჯარიცკი მიიწვიეს. 1905 წელს ანაგელთ ჩაიბარეს 24 დეს. მიწა, რომელსაც ედავებოდნენ მათ ფანიანელები. ამ მიწის ნაჭერის გამო ერთი მოთავეთაგანი მოჰკლეს, ოთხი დასჭრეს, რამოდენიმე დააპატიმრეს და სამართალში მისცეს, ხოლო ფულად დაიხარჯა და შეიქამა 1500 მანეთზე

1) ibid

2) ibid

მეტი. 1) ამბობენ, მიწის საერთო მფლობელობა და გაუმიჯნაობა ამისი მიზეზიო. მაგრამ ამგვარსავე თავპირის მტკრევას გლახთა საზოგადოებათა შორის ვხედავთ მთელ საქართველოს სივრცეზე, სადაც მიწები გამიჯნულნიც არიან და არც საერთო მფლობელობაა. მიწა არა ჰყოფნის გამრავლე ბულ ხალხს, თავისუფალ მიწებზე კი მას არ უშვებენ. ეს არის უტყუარი ფაქტი.

ყველა ამას იმერეთ-გურია სამეგრელოსათვის შავი ზღვის პირას ემიგრაციის შეზღუდვის ამბავიც რომ მიუმატოთ, სრული სურათი წარმოგიდგებათ ამ უკუღმართ მოვლენისა.

რას გვეუბნებიან ეს ფაქტები? მაგრამ სანამ ამაზე ჩამოვაგდებდეთ ლაპარაკს, მივაქციოთ ყურადღება ერთ ფრიად დიდმნიშვნელოვან გარემოებას.

ჩვენში დაარსდა სახელმწიფო საგლებო ბანკი. პირველის შეხედვით ამ ბანკის დანიშნულება თითქმის იმაშია, რომ მან უნდა გაუადვილოს გლეხებს მიწების შეძენა. ბანკმა ამას წინად გამოაქვეყნა თავისი მოქმედების ანგარიში. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში სისრულით არ არის შედგენილი, მასში მაინც გამოსჭვრეტს ერთი გარემოება. ბანკი იძენს მამულებს, ხოლო გლეხების ხელში მამულის გადასვლაზე სრულიად არ ზრუნავს. გაზეთ „ისრის“ ერთ-ერთ მეთაურში ვკითხულობთ: საგლებო ბანკის უმთავრესი ყურადღება განვილილ 19 თვის განმავლობაში მემამულეებისაგან მიწის შეძენაზე ყოფილა მიქცეული. ბანკის საბჭოს საბოლოოდ დაუმტკიცებია, შეიძინოს 55,577 დესეტინა. თითო დესეტინა 62 მ. ჰნ კაპეკად. საგლებო ბანკისთვის მიწების მისყიდვის მსურველი შეიღჯირ უფრო დიდი ყოფილა. მემამულეებს ბანკისთვის შეუძღვევიათ 392,556 დესეტინა... უკვე ნასყიდობის ქალაქი დაწერილია 46,809 დესეტინა მიწის შესახებ.. რამდენი მიწა შეუძენიათ საერთოდ გლეხებს ამ საგლებო ბანკის ფონდიდან? ამის შესახებ ბანკის მოღვაწეობის ანგარიშში არავითარი ცნობები არ არის მოქცეული; ამის ტომ უნდა ვიფიქროთ, რომ გლეხებს არც ერთი დესეტინა მიწა არ შეუძენიათ ამ საადგილ-მამულლო ფონდიდან... გაზეთი დასძენს: ის გარემოება, რომ ბანკი სყიდვით კი ყიდუ-

1) „გაბულის მოწესრიგების საქმე და მისი საჭიროება ქიზიყში“, „ისარი“, № 226.

ლობს მემამულეებისაგან მიწებს, მაგრამ გასყიდვაზე არაფერი ისმის, თითქმის ამრთლებს ყრუ ხმებს (ჩრდილოეთიდან გადმოსახლების შესახებ). თუ მართლა ესაა ნამდვილი დანიშნულება და ფარული პოლიტიკა საგლახო ბანკისა კავკასიაში, იგი დიდ განსაცდელს უმზადებს კავკასიის მშრომელ გლეხობას და საშინელ ეროვნულ შუღლის მთესველობას კისრულობს ¹⁾). გაზეთი არ უნდა სცდებოდეს თავის მოსაზრებაში. საგლახო ბანკი ამგვარსავე დანიშნულებას ასრულებს რუსეთის სხვა განაპირა კუთხეებშიაც. გაზეთ „Окраины Россіи“-აში დაიბეჭდა წერილი, რომლის ავტორი ურჩევს მთავრობას რუსების ელემენტის გაძლიერების საჭიროებას ბალტიის ზღვის მხარეში. გაზეთ „Столичная почта“ ამ წერილის გამო გვატყობინებს: ხსენებულ წერილს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია უმაღლეს წრეებში. ამის შედეგათ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტოლიპინმა ცირკულიარით მიჰმართა ყველა მინისტრებს, რომელშიც სთხოვდა, მიაქციეთ ყურადღება ბალტიის მხარეში რუსთა ელემენტის გაძლიერებას. საჭიროაო, ამბობს ცირკულიარი, რამდენადაც ეგ შესაძლებელია, რომ საგლახო ბანკის ადგილობრივმა განყოფილებამ ხელი შეუწყოს რუსთა ელემენტის გამრავლებას ამ მხარეშიო ²⁾.

ეგეც რომ არ იყოს, არ უნდა გვაფიწყებოდეს, რომ მთავრობის ხელში სხვა უფრო მარტივი საშუალებაცაა ჩვენი ქვეყნის დენაციონალიზაციის საქმეში. ჩვენ ვგულისხმობთ იძულებით ექსპროპრიაციას. გეცოდინებათ, პრუსიის მთავრობა რა გზით ებრძვის პოლონელებს. ამას წინათ ლანდტაგმა დაადგინა, პოლონელებს იძულებით ჩამოერთვას მიწები ამ მიწებზე გერმანელების დასახლებლად. მიწათ-მოქმედების მინისტრი არნიში ლანდტაგის სხდომებზე აღიარებდა — პოლონელები ეროვნულ დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვიან და ამ მისწრაფებაზე ხელს არ აიღებენ იმ დრომდე, სანამ ხელიდან არ გამოვაცლით ბატონობის იარაღსაო. ეს იარაღი, რომელიც განსაცდელს უმზადებს პრუსიას, იმაში მდგომარეობს, რომ პოლონელთა სოფლის ელემენტი სწრაფად იზრდება. გერმანელებს აძევებენ პოლონელები და ჩვენ

1) „ისარი“ № 248.

2) „Столичная Почта“, № 245. „Средства обрусенія“.

ბოლო უნდა მოულოთ ამ გაძევებას მათი მიწების იძულებით ჩამორთმევითაო. „ექსპროპრიაციის პოლიტიკა“ რუსეთისთვის უცნობი იარაღი არ არის. კავკასიელ მთიელებთან ბრძოლის გაძევების შემდეგ 1864 წელს 90 ათასი ჩაჩანი იძულებით აპყარეს მთებიდან და ბარში მდინარე ყუბანის დაღობას ნაპირებზე დაასახლეს. ამ ძალადობას არ დაემორჩილა 418 ათასი ჩაჩანი და ოსმალეთში გადასახლდა. მართალია, ყოველივე ეს ომის შემდეგ მოხდა, მაგრამ პრუსიაში ხომ ომი არ მომხდარა და არავითარი გარანტია არ არის, რომ რუსეთიც ამავე პოლიტიკას არ დაადგეს. მაგრამ ამ გარემოებას თავი დავანებოთ. ვილაპარაკოთ მხოლოდ იმაზე, რაც უკვე ფაქტია, რაც ყველასათვის აშკარაა.

ზემოდ ჩვენ ავღნიშნეთ ორი უკუღმართი გარემოება. პირველი ის, რომ ბიუროკრატია ემიგრაცია იმგვარად მოუწყვია კავკასიაში, რომ შედეგად აღმოჩნდა ქართველების დაძაბუნება, დიდი გაჭირვება; აღმოჩნდა უთანასწორო პირობებში ჩაყენება ერთ-მხრივ ქართველებისა, მეორეს მხრივ კავკასიის დანარჩენ მცხოვრებლებისა (სამცხესა და სომხეთში), აღმოჩნდა, რომ ქართულ ემიგრაციას საქართველოს და მთელ კავკასიის ფარგალშიაც გასავალი გზა არა აქვს, მაშინ როდესაც მიწით გაჭირვებულ ქართლს მთიდან ჩამოსული ხალხი ესევა; აღმოჩნდა, რომ ჟამთა მსვლელობაში, საქართველოს საუკეთესო პროვინციებში, სადაც ძველად ქართული კულტურა ჰყვაოდა დღეს ოდნავ და მოსჩანს ქართულ ეროვნების ნაშთი, რადგან იქ ეროვნული შემეცნებაც მიმქალა, ენაც ისპობა. ჩვენი ცხოვრების უკუღმართი მხარე თუ ვნებავთ, სწორედ აქ არის. აქ არის განსაკუთრებით იმიტომ, რომ ქართველ ინტელიგენციის ზოგიერთ წრეებში სასაცილოდაც არა ჰყოფნით ამ საგნის შესახებ ლაპარაკობდნენ, თქვენ გინდათ შეზღუდოთ სხვა ხალხის ერთმანეთში მისვლა-მოსვლა, გინდათ გარეკოთ არა-ქართველნი საქართველოდან? ეგ ხომ შოვინისტობაა, ეგ ხომ ნაციონალისტობაა! და სხვა ამგვარი. საქმე კი უბრალო გაუგებრობაშია. ჩვენ არც მისვლა-მოსვლის წინააღმდეგნი ვართ, არც უცხოელების გარეკის აზრი გვაფრთოვანებს, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ემიგრაცია—ემიგრაციის საკითხი მოწესრიგებულ უნდა იქმნას თანახმად სამართლიანობისა და კავკასიის ყველა ერთა ინტერესებისა; ჩვენ გვინდა დაუკარგოთ ემი-

გრაცია-იმიგრაციას სტიქიური ხასიათი და ამასთან გვინდა, რომ გაბატონებულ ბიუროკრატიის ხელში პოლიტიკის იარაღად არ იყოს იგი. ემიგრაცია-იმიგრაციის მოუწესრიგებლობას იმისთანა სერიოზული და სავაგლახო მნიშვნელობა აქვს, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუწყნარებელი სილაჩრეა. წარსულ ინტერნაციონალურ სოციალისტურ კონგრესზე ამ საგანს დიდი ყურადღებით მოექცნენ და შესაფერი რეზოლუციებიც გამოიტანეს. მართალია, კონგრესზე სხვა და სხვა აზრი გამოითქვა ამ საგნის შესახებ, სოციალისტები აქ არ შეთანხმებულან, და სწორედ ამიტომ უფრო საყურადღებო და საკამათო ხდება ეს საგანი, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც ამ საგნით დაინტერესება „ბურჟუაზიად“ და „ნაციონალისტობად“ ინათლება.

შტუტგარტის კონგრესზე ემიგრაცია-იმიგრაციის შესახებ სამი აზრი გამოიჩინა. ერთნი ამტკიცებდნენ, ემიგრაცია-იმიგრაცია სრულიად თავისუფლად უნდა სწარმოებდესო. მართალია, მშრომელი ხალხი ამ გზით ერთმანეთს კონკურენციას უწევს, ხოლო ამასთან შრომას იგი ერთ-გვარ პირობებში აყენებსო. მუშათა შორის უპირატესობის უფლება ისპობა და მეტად მტკიცდება სოლიდარობაო, მეორენი ამბობდნენ, „სოლიდარობის“ განმტკიცება კონკურენციის საშუალებით დოქტრინობაა; ნამდვილად-კი იქ, სადაც მუშები ერთმანეთს ეჭიშპებიან, ერთი-ერთმანეთს ჰგლეჯენ ლუკმა-პურს, სოლიდარობა კი არა მტკიცდება, არამედ მტრობა და ძალთა დაქსაქსულობაო. ამ მიმართულების წარმომადგენელნი ითხოვდნენ შეზღუდვას ემიგრაცია-იმიგრაციის უფლებისას. მესამენი მომხრენი იყვნენ ემიგრაცია-იმიგრაციის **მოწესრიგების**. ჩვენც ვალვიარებთ ამ მოწესრიგების საჭიროებას ჩვენში. მოწესრიგება უნდა ეხებოდეს არა მარტო ქალაქებში მომუშავეთ, არამედ სოფლებსაც. საფრანგეთში შრომის ბირჟებმა იკისრეს ეგ საქმე. მაგრამ იქ საქმე ადვილად მოეწყო, რადგან ეხებოდა ერთ ხ ლხს და ერთ ერს. ჩვენში აქმე ეხება კავკასიის ყველა ერებს. ხოლო რადგან კავკასიაში პროლეტარიატი უმცირესობას შეადგენს, ამიტომ მისი ორგანიზაციები და ორგანოები ვერ შესძლებენ ამ საქმის მოწყობას. საჭიროა სხვა ინტერნაციონალური ორგანო, რომლის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს ამ საქმის მოწესრიგება. ეს ორგანო უნდა იყოს კავკასიის ერთა ფედერაციის ორგანო.

როგორცა ვსთქვით, ჩვენ სოფელს უასავალი გზა არა აქვს. იგი შეზღუდულია და პროლეტარიზაციის გზაზეა დამდგარი. ბევრია ჩვენში იმისთანა, რომ შეჭხარის ამ გარებობას, პროლეტარიზაცია!.. ღმერთო, რა ბედნიერებაა! მაგრამ, რომ ჩავუფიქრდეთ საქმეს, სასიხარულოს არაფერს ვნახავთ. როდესაც მხარეში იზრდება მრეწველობა, ეს მრეწველობა აუცილებლად ხდის ხალხის ერთის ნაწილის პროლეტარიზაციას. სოფლის მეურნეობა დღეს მძიმე და საზარალო საქმეა, ქარხანა-ფაბრიკა კი ნაღდად იძლევა განსახლებულ ქირას. ეს ქირა ჰხიბლავს გაჭირვებულ, ვალეებში ჩავარდნილ მიწის მუშას, იგი სტოვებს მიწას და ქალაქისაკენ ექანება. ყოველივე ეს ასეა. ამის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია და არ არის სასურველი, რადგან ქარხნის ირგვლივ შეგროვილი მუშა ხალხი თანდათან იწვრთნება, ვითარდება და შეგნებულ პროლეტარიატთა რაზმებად ირაზმება. მაგრამ, რას იტყვიან მაშინ, როდესაც მხარეში მრეწველობა სუსტად არის განვითარებული და სხვა და სხვა მიზეზის გამო ეს სუსტი მრეწველობაც მოდუნებულ-შეფერხებულია, ხალხში კი პროლეტარიზაცია იზრდება? ამ შემთხვევით ეს პროლეტარიზაცია კაპიტალით არ არის გამოწვეული, არამედ სულ სხვა პირობებით—გაბატონებულ ბიუროკრატიის პოლიტიკით, სხვა და სხვა ერთა ქიშპობით, ხელში მიწის ჩაგდების სურვილით და სხვა ამგვარით. ჩვენში, მაგალითად, ბათუმის მრეწველობა ამ რამოდენისამე წლის წინად ექვს მილიონ ფულამდე ატრიალებდა იმერეთ-გურია-სამეგრელოში, ეხლა ნახევარი მილიონი თუ დაატრიალა იქ, ესეც ბევრია. რუსეთის ნავთსადგურებში ქართველ მუშებს არ იღებენ. ვინც იყვნენ, ისინიც დაითხოვეს. ბაქოში ამ დიდ სამრეწველო ცენტრში, ასეთივე ამბავია. ბაქოს გაზეთ „კასპ“-ში ვკითხულობთ: „ამ უკანასკნელ ორ წელიწადს ადგილობრივი ადმინისტრაცია აპატიმრებდა ბევრ ქართველს, რომელნიც მისდევდნენ შანტაჟს, ძარბავა გლეჯვას, მკვლელობას და სხვას. ხშირად ესენი თავიანთ საქციელს ვითომდა პოლიტიკურის მიზნებით ამართლებდნენ. ამის წყალობით გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ ის ქართველი მუშები, რომელთაც არაფერი საერთო არა ჰქონდათ რა შანტაჟისტებთან. სამრეწველოების და ქარხნების ადმინისტრაციამ ქართველი მუშები დაითხოვა, რადგან აღარ ენდო-

ბოდნენ ქართველებს. დღეს თითქმის აღარც ერთი ფირმა აღარ იღებს სამსახურში ქართველ მუშებს. ამრიგად, თუ საზოგადოთ უსაქმოდ დარჩენილნი დიდ გაჭირვებას განიცდიან ბაქოში, ერთი ორად მეტ გაჭირვებას განიცდიან ქართველი მუშები. რომელთაც ყველა ექვის თვალით უყურებდნო“¹⁾). ჩვენ აქ არ შევდივართ იმის გამოკვლევაში, თუ რა რა დაჰბადა ბაქოში: უმუშევრობამ შანტაჟისტობა, თუ შანტაჟისტობამ უმუშევრობა. კვერცხიდან გაჩნდა ქათამი, თუ ქათამმა გააჩინა კვერცხი. ჩვენთვის აქ საინტერესოა მხოლოდ ის, რომ არსებულ სამრეწველო ცენტრებშიაც კი აღარ იღებენ ქართველებს. სოფელი კი აუარებელ ხალხს ისტუმრებს იქითკენ და თუ ეს ასე გაგრძელდა, თუ აპყარეს ჩვენი ხალხი მიწებიდან, მაშინ კი გამოირკვევა აშკარად ძნელი პრობლემა, ვინ ვის აჩენს, ქათამი კვერცხს, თუ კვერცხი ქათამს. და მაშინ ჩვენი ქვეყანა გახდება მართლაც და მაწანწალა და მშიერ ყაჩაღთა სამშობლოდ!

თუ ყოველივე ეს არ შეიცვალა, საქართველო და ქართველი ხალხი დიდ განსაცდელს და უბედურებას არ ასცდება. დამშევა გახდება ქრონიკულ მოვლენად. ცნობილი ზოოლოგი ვაშერ დე ლაპუჟი ამბობს: „როცა ხალხი მდიდარია და მიწა, რომელზედაც სცხოვრობს, საკმაოდ ნაყოფიერი, ხალხს კარგი საკვები ექნება და რასა, რა გინდ ჩამომავლობისა იყოს იგი, ლამაზი იქნება და უმაღლესს განვითარების წერტილამდე ავა იგი; პირიქით, ეკონომიურ მიზეზების გამო, თუ ხალხს სამყოფი საკვები არ აქვს, ... ამ ხალხის მოზარდი თაობა თავის განვითარებაში ჯერ ცოტათი შეფერხებული იქნება, მერე კი, თუ გარემოება არ გამოიცვალა, სრულიად შეჩერებულიო.“²⁾ და როდესაც ხალხში სიკვდილი გახშირდება, და იგი რიცხვით კლებას დაიწყებს, მაშინ მის ადგილს იჭერს სხვა ჯანსაღი და რიცხვით უფრო დიდი ხალხი. წარმოიდგინეთ ხალხი ორი კლასისაგან შემდგარი, რომელსაც ყოველ წლივ 4% ემატება. წარმოიდგინეთ, რომ ამ ორ კლასში მხოლოდ ერთი გადის საომრად და ამ საომრად გასულ კლასს ყოველ წლივ ეხოცება 5%, მეორე კლასში კი იხოცება მხოლოდ 3%. ამისი შედეგი ის იქნება, რომ ასის წლის განმავ-

1) „ამირანი“ № 42.

2) Les sélectionne sociales, გვ. 144. par Yacher de Lapouge.

ლობაში ერთი კლასი, სადაც 5 % იხოცება, სრულიად ამოსწყდება¹). ამგვარივე ბედი ეწვევა მთელ ხალხსაც, თუ მას არსებობისთვის ბრძოლის იარაღი ხელში არ უჭირავს. ამ შემთხვევაში ეს ხალხი თანდათან ჰკარგავს თავის რასიულ თვისებებს, ითქვიფება და იკარგება. რასათა ერთმანეთში შერევას ყოველთვის არ მოაქვს კარგი შედეგი. როცა შერევა (eroisement) გამორჩევით ხდება და არა შემთხვევით, როცა შერეული რასები კულტურის მხრივ ერთის ღირსებისა არიან, მაშინ შეიძლება იშვას ახალი და ძლიერი რასა. ცხოველთა სამეფოში არა ერთმა და ორმა გამოცდილებამ საფასებით დაამტკიცა ეს აზრი. ყველა ამისათვის, ვიმეორებთ; განსაზღვრული პირობებია საჭირო — გამორჩევა ორ ზოოლოგიურ ტიპისა და მათი ერთმანეთში შერევა. თუ გამორჩევის პრინციპზე არა ხდება შერევა, ფრიად ცუდი ნაყოფი გამოდის. ლა პუჟის სიტყვით, შერევა ღრმად სცვლის ხალხის გარეგნულობას და მის აზროვნების უნარს. ხოლო ეს ცვლილება ბედნიერების მომასწავებელი არ არის... მას მავნე ფიზიკური და ფსიხიური შედეგები მოსდევს.²) ორი ადამიანი, რემელიც ძირიანად განსხვავდება ერთი მეორისაგან ხასიათით, ქცევით და გემოვნებით, გააჩენს იმისთანა შვილებს. რომელიც გამოურკვეველ სურვილების ბატონობის ხელში იქნებიან და მიუხედავად ძლიერი სურვილებისა უხასიათონი იქნებიან.³) აფრიკაში ნეგრებს ანდაზა აქვთ, „ღმერთმა გააჩინა თეთრი და შავ-კანიანი ადამიანი, მაგრამ მულატი კი ეშმაკის მიერ არის შობილი“. ხალხს განსაზღვრულ ხანაში ისეთი ეთნიური ძალა აქვს ხელში, რომ მას ბევრი უბედურების ატანა შეუძლიან. გადის საუკუნე და ეთნიური ძალა მას ეკარგება. კიდევ საუკუნე და ეს ძალა მას აღარასოდეს აღარ ექმნება. (C'est le moment de saisir la fortune, si elle passe,⁴) (ისარგებლე გარემოებით და დაებლაუჟე სიმდიდრეს, თუ იგი ხელიდან გეცლებაო). გადაჰხედეთ საბერძნეთს. დღესაც არსებობს ეს ქვეყანა. მიწა და გეოგრაფიული მდებარეობა არ შეცვლილა... საბერძნეთში ბევრი კომერსანტი, ბანკირი,

1) *ibid* გვ. 64.

2) *ibid* გვ. 155, 183.

3) *ibid* გვ. 184.

4) *ibid* გვ. 96.

მეზღვაური, ადვოკატი და განსაკუთრებით ბევრია პოლიტიკანი, მაგრამ იქ აღარ არიან დიდ-სულოვანნი ადამიანები¹⁾. ყველა ეს უთაგბოლო, შემთხვევითი და სტიქიური ხასიათის რასათა შერევის შედეგია. და ამგვარ სტიქიურ მოვლენას ემორჩილება ხალხი მაშინ, როდესაც დაძაბუნებული შინაური მოუწყობლობით, მიწიდან აყრილი, ნახევრად მშიერი იგი ხსნას მოელის სხვა, უფრო ძლიერ, უფრო მაძღარ, უფრო რიცხვოვან ხალხში გათქვეფაში. ამ ხალხისათვის ჰქრება სიცოცხლე, *La mort saisit le vif!*

ყველა კარგი, გვეტყვიან, მაგრამ ეგ ხომ თქვენ მიერვე დახატული საქემაა, „ეროვნების“ შემუშავებისა და წარმოშობისა; თქვენ ამტკიცებთ, რომ სახელმწიფო არის ეროვნების წარმომშობი მთავარი ძალა. და აი დღესაც, კავკასიაში, ახალი სახელმწიფოებრივი ფორმები ამუშავებენ ახალ ეროვნებას. მაშ რა გაფიქრებთ, თუ თქვენივე დახატულ გეგმით ჰხდება ყოველივე?

ამის წინააღმდეგ გვეთქმის ბევრი რამ. სახელმწიფო, **წარსულში** ამუშავებდა ეროვნებას იმგვარ ელემენტებისაგან რომელნიც ტომებრივ განცალკევებაში იმყოფებოდნენ. და თუ **დღეს** სახელმწიფომ მოინდომა უკვე **წარმოშობილ** და განვითარებულ ერებიდან ნაძალადევათ შეჰქმნას ახალი ეროვნება, ეს მისი. ცდა კეთილად ვერ დაბოლოვდება—საქმეუნდა დამთავრდეს ან კულტურულ ერთა მოსპობით და გადაშენებით, ან ბარბაროსულ ძალის დათრგუნვით. კულტურული ერი მოსაზელი ცომი არ არის, საიდანაც ხან ნაზუქი გამოცხვება, ხან ხაჭაპური. კულტურით შეიარაღებული ერი ან ანვითარებს თავის კულტურას, ან ისპობა და მის ადგილს ცარიელი ადგილი რჩება. ეს ერთი. და ესეც რომ არ იყოს, თუნდაც რომ მართლა მომავალში ამგვარ ძალადობის ნაყოფად წარმოსდგეს ახალი ეროვნება, **ფსიხოლოგურად** შეუძლებელია ცოცხალ ხალხისათვის, პროტესტი არ განაცხადოს, როდესაც მის არსებობას ეხებიან, სიცოცხლის სურვილი არ აღიაროს და ზურგი არ მიუბრუნოს იმ განყენებულ შორეულ და საექვო მომავალს, როდესაც ვითომდა წარმოიშვება ახლის ფორმაციის ეროვნება, რომელშიაც იგი შევა, როგორც შემაღგენელი ელემენტი. ეს მეორე. ამასთან,

¹⁾ *ibid* 33. 73.

ეროვნების უარყოფა ისევ იმავე ეროვნების დღევანდელი სათვის? ერთ ეროვნებაზე ხელის აღება და მეორეში ჩარიცხვა? ეს რა-ღაც უგუნურებაა! თუ ეროვნება შემაფერხებელი მოვლენაა, მეორე ეროვნების შემუშავებას კი არ უნდა შეუწყობ ხელი, არამედ ყოველგვარ ეროვნების დანგრევას. თუ სწორად ვთქვით, ეროვნებას, უნდა გასწიროთ ყოველი სხვა ეროვნებაც, ეს უფრო გონივრული მოქმედება იქნება. დღეს კი ქართულ ეროვნების უარ-მყოფელნი გაბატონებულ ეროვნებას უწყობენ ხელს და ამასობაზე კიდევ, დიდებულ საქმეს ვარიგებთო. დეე, დაი-ღუპოს პატარა ერი, ოღონდ სხვა, დიდ კულტურის წარ-მომადგენელი ერი წარმოსდგეს ამ პატარა ერთა გათქვებიდა-ნაო. თუ მაგრა საქმე, ჯერ ის დაგვიმტკიცეთ, რომ ეს „მომავალი ეროვნება“ ჩვენზე უფრო კულტურული და ჩვენზე უფრო სულიერად ღრმა და ნაყოფიერი იქნება... მაგრამ ამისი დამტკიცება თქვენთვის საჭირო არ არის. რას ჰკარ-გავთ! ჩვენს წარსულში თქვენ მარტოოდენ ბატონ-ყმობის და ფეოდალობის ინსტიტუტს ხედავთ; სულით და გონებით თქვენ არა ხართ დაკავშირებულნი არც ჩვენს ძველ მწერ-ლობასთან, არც პოეზიასთან, არც ხელოვნებასთან, არც მხატვრობასთან, არც მუსიკასთან, არც ისტორიულ და ფილოსოფიურ ნაწარმოებთან, არა ხართ დაკავშირებულნი ქართულ კულტურასთან და რა გასაკვირველია რომ დღეს, ამ კულტურულ ტრადიციებს მოკლებულნი, შემთხვევით გამვლელ გამოვლელ „გმირებს“ ეთაყვანებით, წარმავალ და უდღეო დოქტრინებს აღიარებთ, უშინაარსო და უსიკოც-ნლო ფორმულებს იცავთ!

ასეთია დღეს ჩვენი მდგომარეობა. ახლა ვნახოთ, რა გზა უნდა ავირჩიოთ ამ განსაცდელის თავიდან ასაცილებლად და არის თუ არა ჩვენში ნიადაგი ეროვნულ-კულტურულ მოძრაობის განვითარებისათვის.

IV. შესაფერი ნიადაგი ეროვნულ მოძრაობისათვის.

როგორც ვსთქვით, ეროვნული შემეცნება დაკავშირე-ბულია სახელმწიფოებრივ ფორმებთან. ამ შემეცნებას ამუშა-ვებს სახელმწიფო და არა კლასი. მართალია, სახელ-მწიფო კლასიური ორგანიზაციაა, იგი ორგანოა კლა-სიურ ბატონობისა, მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს შე-სახებ არ ითქმის, რომ იგი კლასია ან რომ კლასი სახელმწი-

ფოა. ამიტომ არც ის ითქმის, რომ ამა და ამ კლასმა შექმნა ეროვნებაო. განსაზღვრულ კლასს შეუძლიან განსაზღვრული ელფერი მისცეს ეროვნულ შემეცნებას. იგი შემეცნება შეიძლება იყოს მხედრულ-გმირული, ვაქრულ-მოქალაქობრივი ამა თუ იმ წოდების ან კლასის ზედგავლენით, ხოლო არასოდეს არ ითქმის, რომ ეროვნული შემეცნება, მართლი შეიძლება შემუშავებულია ფეოდალიზმის ან ბურჟუაზიის მიერ. იგია შემუშავებული სახელმწიფოს ძალდატანებითის ორგანოებით. და რადგან ამავე ორგანოებმა დაამკვიდრეს და დააფუძნეს კლასიური სოციალური ორგანიზაცია, სასარგებლო უმცირესობისათვის, და საზარალო უმრავლესობისათვის, ამიტომაც არის, რომ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ცხოვრების სიღრმეში იმალება ერთგვარი საფრთხე, რომელიც თითქოს ძირს უთხრის ერთსაც, მეორესაც. ამ საგნის შესახებ სხვა წერილში ვამბობდით: „ეროვნება თითქმის ერთობაც არის და ამავე დროს ბრძოლის ნიადაგიც. ისტორიის განსაზღვრულ საფეხურზედ ეროვნება მოწინააღმდეგე კლასთა თითქოს დამაკავშირებელი ძალაა. მაგრამ დგება დრო, როდესაც კლასთა განკერძოება უფრო ძლიერია, ვიდრე ეროვნების დამაკავშირებელი ძალა ასე რომ ეროვნება თავის სიღრმეშივე შეიცავს დარღვევის და სიკვდილის ფესვებს“¹⁾. მართლაც, ეროვნება კლასიურ საფუძველზე დამყარებული, აუცილებლად უნდა დაირღვეს. მაგრამ ეს სრულიად არა ნიშნავს იმას, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც კლასები აღარ იქმნებიან, ეროვნება ვერ იცოცხლებს, პირ-იქით, იგი სწორედ მაშინ უნდა აყვავდეს და გაშალოს თავისი კულტურული შინაარსი, თავისებური გენიოსობა. ეს აღარ იქნება მრისხანე, იარაღით აღჭურვილი, შიშის ზარდამცემი, ამაყი, მოქიშპე და თავმოყვარე ეროვნული შემეცნება, ეს იქნება განვითარება სულიერ კულტურისა, თანახმად ს-ცოცხლის მრავალფერადობის და მრავალ-ხასიათობის კანონის მუშაობისა. დღეს-დღეობით კი საქმე დახლართულია. ეროვნულ ცხოვრების შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც არის წინააღმდეგობა უკუღმართ სოციალურ ორგანიზაციისა, უფრო და უფრო ამკარავდება. აქ ამ გარემოებაში უნდა ვეძებდეთ სიძნელეს, სირთულეს და თუ გნებავთ, ტრაგიზმსაც ეროვნულ პრობლემისას.

1) „ძველი და ახალი“, გვ. 12

გ. ერევმაც სწორედ ამ ადგილს მიაყუდა თავისი იარაღი და სამშობლოს და მამულიშვილობას აქედან დაუწყაო შოლტვა. ერევს კარგად ესმის, რომ ყოველივე ამ ქვეყნად ძალთა განწყობილებახეა დამყარებული. და თუ დარღვევის ძალა სჭარბობს, **ეხლანდელ სამშობლოს** დღენი დათვლილია.

ჩვენ მდგომარეობას რომ დავუბრუნდეთ, დავინახავთ, რომ ჩვენშია ც არსებობს უვარგისი სოციალური ორგანიზაცია და ჩვენშია ც იყოფება ხალხი მოპირდაპირე კლასებად ხოლო ამასთან აქ ჩვენ ვხედავთ იმისთანა რამ მოვლენას, რასაც ადგილი არა აქვს იმ საზოგადოებაში, რომელსაც ითვალისწინებს გ. ერევ. ჩვენშია შემოჭრილი გარეშე პოლიტიკური ძალა, რომელმაც შექმნა განსაკუთრებული პირობები. ჩვენ უკვე ვნახვთ, რომ საქართველოში ერთმანეთში ჩაქსოვილ-გადახლართული პოლიტიკური და ნაციონალური ჯგუფებია, რომ ჩვენში სოციალური დიფერენციაცია იჩინდება ამ გადახლართულ ეროვნულ და პოლიტიკურ პირობებით. ასე რომ ჩვენში ჯერ ხნობით არ მომზადებულა გ. ერევს მიერ დახატული მდგომარეობა, პირ-იქით, ყოველივე ხელს უწყობს ეროვნულ მოძრაობის განცხოველებას. და აქ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მაშინ, როდესაც ევროპის სოციალ-დემოკრატია სასტიკად ებრძვის გ. ერევს ქადაგებას იქ და იმ პირობებს, სადაც ამ ქადაგებას ცხოვრებამ მოუმზადა ნიადაგი, **ჩვენში** ქართველი სოციალდემოკრატები აწარმოებენ ერევს მზგავს პოლიტიკას. იმ საზოგადოებაში, სადაც საზოგადოებრივი სტრუქტურა მხოლოდ მკრთალი აჩრდილია ევროპიულ ცხოვრებისა! მსოფლიოს იდუმალ ძალთა თამაშის ნიმუში თუ ვნებავთ, ეს უნდა იყოს! ეს საოცარი მოვლენა ღირსია დაკვირვებისა. ყალბ პოლიტიკურ ფილოსოფიის დარღვევა დიდ სამსახურს გაგვიწევს ჩვენ მიერ დაყენებულ საკითხის გამორკვევის დროს.

ვახეთ „ცისკარ“-სა და „აზრი“-ში ¹⁾ დაიბეჭდა წერილი „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“. წერილების ავტორი ბ-ნი ან-ი ამტკიცებს, ისტორიულმა საქართველომ ეროვნულ შემეცნების აზრი ვერ შეიმუშავაო. „საქართველოს, თავის დამოუკიდებლობის დროს, არ განუვითარებია სამოქალაქო ცხოვრებაო, არ შეუქმნია მრეწველობა — აღებ-მიცემობა და

1) „ცისკარი“ № 9, 11; „აზრი“ № 1, 3

რალა გასაკვირველია, მას ვერ შეუმუშავებია ის ნიადაგი, რომელზედაც ნაციონალური მოძრაობა იწყებაო“ („ცისკარი“, № 5). ჩვენ მკითხველს გააკვირვებს ამგვარი დაუსაბუთებელი აზრი. ძველი ისტორია საქართველოსი, როგორც ზემოდ უკვე ნათქვამი და შეძლებისდაგვარად დასაბუთებული გვქონდა, განუწყვეტელი ცდა იყო ეროვნების შემუშავება-გამაგრებისა.

ეს საქმე ხან ბრკოლდებოდა, ხან ვითარდებოდა. ფეოდალები სასტიკად ებრძოდნენ მეფეებს და ის ხანა, როცა ფეოდალთა ძალა სძლევდა მეფის ძალას, ეროვნების შესუსტებით აღინიშნებოდა ხოლმე. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ იყო. ჩვენს ძველ ისტორიაში მეფეების წელში გამაგრების ხანაც იყო. სწორედ ამ ხანაში ჩაეყარა საძირკველი ქართულ ეროვნულ შემეცნებას და სწორედ ამ დროს ქართველთა გულში დაითესა მამულიშვილობის გრძნობა და ერთგვარი ფსიხიური განწყობილება, რომელსაც ეწოდება სამშობლო-საღმი სიყვარულის მისწრაფება. „ცისკარს“ ეს გარემოება არ ახსოვს. მას მხედველობაში მიუღია მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორია, როდესაც დაუძღურებულ მეფობას ქართველთა ფეოდალებმა შემოარტყეს ალყა და გარეშე მტრებთან ერთად დაამხეს საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება. და გაზეთი მართალია, როდესაც ამ დროის ვითარების შესახებ ამბობს: „მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართველი ხალხი იმყოფებოდა ფეოდალურ ხანაში... მრეწველობა სრულიად არ ყოფილა, ვაჭრობა, ისიც მცირე, სხვა ერთა ხელში იყო, ქალაქი ამ სახელის თანამედროვე მნიშვნელობით მარტო ტფილისი იყო“ (№ 9). წინად? წინადაც ასე იყო? ეტყობა, „წინანდელ“ ისტორიის შესახებ მას მაინცა და მაინც გამორკვეული აზრი არა ჰქონია. და ჩვენი ეროვნებისათვის სწორედ ამ წინანდელ ისტორიას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. გაზეთი „აზრი“ ამბობს: „საუკუნოების განმავლობაში ერთის მხრივ დასავლეთი ევროპა, მეორეს მხრივ ამიერ-კავკასია სპარსეთთან, ოსმალეთთან და ინდოეთთან ვაჭრობდა მცირე აზიის გზით, რომელიც გადადიოდა სომხეთზე. შუშა, ნუხა, ერევანი კავკასიის სავაჭრო კარებია, საიდანაც გაჰქონდათ და შემოჰქონდათ საქონელი სპარსეთში და სპარსეთიდან. ხოლო ახალციხე, ერზრუმი და სხვა კარს გვიღებდა ოსმალეთისაკენ და რადგანაც

ეს სავაჭრო ცენტრები საქართველოს გარეშე იმყოფებოდა (კურსივი ჩვენია), ცხადია, ქართველობა მოწყვეტილი იყო სააღმშენებლო-მიცემო გზას და ის ფეოდალურ ქერქს თავისი ძალ-ღონით ვერ გამოიცვლიდაო“ (№ 3). ახალციხე საქართველოს საზღვრების გარედ იმყოფებოდაო! ისტორიის დაწერაც ამისთანა უნდა! მოვაგონებ ბ-ნ ან-ს, რომ საქართველოს ძლიერების დროს სპარსეთის საზღვრები მისთვის თავისუფალი იყო, რადგან ამიერ კავკასიის ყაენები ქართველ მეფეების ვასალებად ითვლებოდნენ, მათ ხარკს აძლევდნენ და ამ ყაენთა სამფლობელოების საშუალებით საქართველოს საზღვრები სპარსეთის საზღვრებს ემიჯნებოდნენ. რაც შეეხება ოსმალეთში გასასვლელ კარებს, ბ-ნ ან-ს უნდა სცოდნოდა, რომ ეხლანდელ კარსის ოლქის ერთი ნაწილი ძველად ქართველებით იყო დასახლებული, კარსს ქართულად „კარი“ ერქვა, რადგან ეს ქალაქი მართლაც კარი იყო, რომლითაც მცირე აზიასთან ჰქონდათ მიმოსვლა. ხოლო ახალციხე სამცხეს ან საათაბაგოს დედა-ქალაქი, მაშინდელ საქართველოს კულტურული ცენტრი—ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, რომ მის შესახებ ბ-ნ ან-საც უნდა სცოდნოდა რაიმე. ახალციხის გზით დადიოდნენ ინდოეთს და აღმოსავლეთის სხვა ცენტრებში და ამიტომ იმისი თქმა, რომ „სავაჭრო ცენტრები საქართველოს გარეშე იმყოფებოდნენო“, სწორედ რომ შეუწყნარებელია პუბლიცისტისათვის; რომელიც კისრულობს იმ დროის რთულ სოციალ-პოლიტიკურ მოვლენათა ახსნას. ტფილისის მეტი საქართველოში ქალაქი არ იყოო. ბრძანებს ან-ი. ახალი შეცდომა! მოსე ჯანაშვილის უკვე აღნიშნულ „ტფილისში“, ვკითხულობთ: „მრავალთა საუკუნეთა უწინარეს ქრისტეს შობისა, ჩდებიან დაბა-ქალაქნი: ქართლი (არმაზი), მცხეთა, უფლისციხე, ოძრხე, ეგრისი (ბეღია), ქუთაისი, ჰერეთი (ხორნაბუჯი—იორ ალაზნის შესართავთან), ორხისი (სამშვილდე), მტკვრის ციხე (შემდეგ ხუნანი), დედა ციხე, ბოსტან-ქალაქი, რუსთავი (ყარაიას), ბერ (ჩელეთი, შილდა), თუხარისი (სპერის მდინარეზე), წუნდა (ჯავახეთში), არტანი, ურბნისი, კასპი... ღიმნა, შორაპანი და სხ... მცხეთა „დიდი ქალაქი“ იყო და მისს უბნებად ითვლებოდნენ: სარკინე (სარკინეთის მთის სიმაგრე), ციხე-დიდი (ძეგვის ახლოს), ზა-

ნავი და თვით ქალაქი ქართლიც, რომელსაც ეწოდა არმაზი... (გვ. 4) ბ-ნი ჯავახიშვილიც გვითითებს **განვითარებულ სამოქალაქო ცხოვრებაზე**. იგი იმოწმებს ცნობილ სტრაბონს, რომელიც ივერიის შესახებ ამბობდა: „იგი მშვენივრად დასახლებულია დაბა-ქალაქებით. სახლებს კრამიტი ახურავს და ხუროთ-მოძღვრების წესზე არიან აშენებულნი. ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებანიც არის.“¹⁾

იგივე ავტორი თავის „ეკონომიურ ისტორიაში“ ამბობს: „საზოგადოდ ერთი ახირებული აზრი არსებობს, ვითომც მეთვრამეტე საუკუნემდე საქართველოში „საოჯახო მეურნეობა“ ყოფილიყო, ვითომ ყველაფერს, რაც კი ადამიანისათვის საჭირო იყო, თვითეულ ოჯახში თავიანთთვის ეკეთებინათ. ეს აზრი დიდი შეცდომაა. საქართველოში, თუნდაც იმ ხანაში, რომელსაც ჩვენ ვიკვლევთ, არ მოიძებნებოდა ისეთი საგანი, რომელიც ბაზარზე არა ტრიალებდა, რომელიც სოფლადაც-კი არ გაყიდულიყო...“ ის ჯორიკოსს მოჰყავს საბუთები სყიდვა-გაყიდვის შესახებ და შემდეგ განაგრძობს: „საუკეთესო მატყლი ვაჭრებს საქართველოში ისეთ შორეულ ქვეყნიდან შემოჰქონდათო, როგორც ქალექსანდრია იყო... ცხადია, რომ ასეთ შორეულ ქვეყნიდან საქონლის მომტანელს ვაჭარს დიდი შეძლება უნდა ჰქონებოდა და თვით მოთხოვნილებაც დიდი ყოფილა, თუკი მოტანილი საქონელი თავისს ხარჯს ჰფარავდა და სარგებლობასაც აძლევდა სოფდაგარს. რაკი აღებ-მიცემობა მაშინდელ საქართველოში ასე წარმატებული და განვითარებული ყოფილა, გასაკვირველიც არაფერია, რომ შეძლებულ და მარტოხელა ვაჭრებს გარდა ჩვენ ქვეყანაში ამ დროს უფრო რთული სააღებ-მიცემო და საფინანსო დაწესებულებები ყოფილიყო. იყო კიდევ მეცამეტე საუკუნეში და იქნება უფრო ადრეცო“ (გვ 31—33).

ყოველივე ეს „ცისკარი-აზრისთვის“ რასაკვირველია, არ არსებობს. მათი „საქართველო“ ზულუ-ბუშმენტა ქვეყანას მიაგავს, სადაც ხალხი მოუხარშავ ხორცსა სქამს და ტანზე საცმელს არ იკარებს. ამ ბედკრულ ველურებს მეთვრამეტე საუკუნეში დიდი ბედნიერება ეწვიათ, მოვიდა დიდებული განათლებული, კულტურით ძლიერი რუსეთი. მფარ-

1) „Государственный строй др. Грузии и Армении“ გვ. 43

ველობა გაუწია ველურებს. ჯამა-სმა ასწავლა, ტანისამოსსაც მიაჩვია, ფრაკ სერთუკებში გამოაწყო ბუმბენები; პირში სიგარა მისცა, თვალს ბინოკლი გაუკეთა, ხუჭუქიან თმებზედაც მაღალი ცილინდრი ჩამოაცო. და აი, დადის დღეს ამ ტანისამოსში გამოწყობილი ზულუ-ქართველი ქუთაისის ბულვარზე და ტფილისის პროსპექტზე და სტკება ბედნიერებით, სტკება გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფილ მაძლარ სიცოცხლით! თუ გგონიათ რომ ხუმრობის გუნებაზე გახლავართ, ძალიან სცდებით. „ცისკარს“ და „აზრს“ ან ხასიათის ხუმრობა არ უყვარს. იგი სერიოზულად გვარწმუნებს: „პოლშაში (!) რუსეთის შესვლა ეს იყო დაბალი პოლიტიკური წყობილების შესვლა მაღალისაში. ჩვენში რუსეთის შემოსვლა მოასწავებდა მაღალი პოლიტიკური წყობილების შემოსვლას დაბალისაშიო“. (№ 9). „შეეტაკა ორი დროშა,— განაგრძობს გაზეთი,— დროშა საკუთარი და უცხო, ნაციონალური და ანტი-ნაციონალური. ვისკენ უნდა ყოფილიყო ხალხის თანაგრძნობა? რასაკვირველია, უკანასკნელისაკენ, ვინაიდან ამ დროშის ინტერესი იყო ამავე დროს ინტერესი— ხალხის, ინტერესი ქვეყნის აღორძინების, გაერთიანების, ახალი ცხოვრების დაწყების. ქართველ ხალხის ნაციონალიზმიდან დაშორება იწყება სწორედ აქ. ის სცდილობს ახალი კულტურის შექმნას არა ნაციონალიზმით, არა რუსებთან ბრძოლით, არა ავტონომიით, არამედ რუსეთის დახმარებით, შინაგან ბატონებთან ბრძოლით და ასე თავისი ცხოვრების თანდათან განახლებით“... აქ „ცისკარის“ პაფოსი უმაღლეს წერტილამდე აღის და გაზეთი, თავდავიწყებადღე მისული, ამაყურად განაგრძობს: „მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ისტორია ჩვენი განვითარების, გაქალაქების, მუდმივი, შეუჩერებელი წინსვლელობის და კულტურულად ამაღლებისა და ყველა ეს მოხდა არა ნაციონალური კლასის დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით. ამითი აიხსნება ანტირუსული მიმართულების უნიადაგობა ჩვენშიო“ (№ 11).

ყველა ამას რომ ვკითხულობდი, ჩემ თავს ვეკითხებოდი: რა არის ეს— თავის დამცირება, უვიცობა, აზრის სიმჩატე, თუ ყოველივე ეს ერთად შეზავებული არარაობა? ვსთქვათ, „ველურ და ბარბაროსულ“ წარსულის შესწავლა მომხიბლავ საქმედ არ მიაჩნიათ ჩვენებურ პუბლიცისტებს.

მაგრამ აწმყო? აწმყო ხომ ჩვენს თვალწინაა! აწმყოს დაფასება ხომ არ მოითხოვს მემატინანეთა მტვრით მოდებულ ეტრატუბის გადაფურცვლას! მაგრამ, აშკარაა, არც ამაშია საქმე. აქ მსჯელობის აპარატია უვარგისი. სავაგლახოა, რომ თანამედროვე ქართველი პუბლიცისტი პრიმიტიულ ლოდიკის იარაღით გამოდის სამწერლო ასპარეზზე. გეცოდინებათ. ცნობილი ფორმულა *post hoc, ergo propter hoc*, რაიც ნიშნავს ამგვარ შემცდარ დასკვნას: მოვლენა A მოხდა მოვლენა B-ს შემდეგ, მაშასადამე B არის მიზეზი A-ს წარმოშობისაო. ხომ გრძნობთ ამ მსჯელობის სიყალბეს? ამ ფორმულით შეირადებული თქვენ შეგიძლიანთ ამგვარი აბდაუბ და აღიაროთ: გაველი თუ არა გარეთ, მოვიდა წვიმა, მაშასადამე წვიმა გამოწვეულია ჩემის გასვლით. დავიწყე თუ არა წერა, გაჰქრა სანთელი, მაშ წერამ გააქრო სანთელი, და სხვა. უბედურება ის არის, რომ ჩვენი პუბლიცისტი სწორედ ამ წესით აზროვნებს.

მოქალაქობრივი ცხოვრება ასე თუ ისე განვითარდა საქართველოში მეცხრამეტე საუკუნეში. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულეებში კი რუსეთი შემოვიდა ჩვენში. მაშასადამე, *post hoc, ergo propter hoc*, ე. ი. რუსეთია მიზეზი მოქალაქობრივ ცხოვრების აყვავებისაო. პუბლიცისტი არ სჯის ამგვარად: **მიუხედავად** იმისა, რომ რუსეთი შემოვიდა ჩვენში და სულ იმის ცდაში იყო გაეთქვიფა ქართველობა, გაექრო მისი კვალიც კი, მიუხედავად დამაბრკოლებელ მიზეზებისა, ჩვენში აყვავდა (!) კულტურა. არა, იგი პირდაპირ აღიარებს, ჯერ რუსეთი შემოვიდა, მერე კულტურა გაჩაღდა, მაშასადამე, კულტურა ნაყოფია რუსობისაო. „შოშიას“ ლოდიკის ნიმუშიც მზად გახლავთ! მაგრამ ეგეც არაფერია. ბ-ნ, ან -ი იმის დამტკიცებასაც სცდილობს, რომ რუსეთის შემოსვლისას ქართველ ხალხს მისი მხარე ეჭირა, და ეს მოხდა ვითომ იმიტომ, რომ მთავრობის დროშაზე ეწერა—„ძირს ფეოდალი, გაუმარჯოს ბიუროკრატისაო“. ხალხს ბიუროკრატი ერჩინა ფეოდალს და ბიუროკრატს მიეკედლაო.

ამგვარი განმარტება ჩვენის ისტორიის ერთის საყურადღებო მომენტისა კი სრულიად დაშორებულია სინამდვილეს ფაქტებს.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, სწორეთ შაშინ, როდესაც მკვიდრდებოდა ჩვენში რუსეთის მართვა-გამგეობა,

ორი შესანიშნავი აჯანყება მოხდა. ორივე აჯანყება მიმართული იყო რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ და ორსავე აჯანყებას ხალხური და არა ფეოდალური ხასიათი ჰქონდა. ხალხი მაშინ აღმაცერის თვალთ უყურებდა რუსეთის მომხრე თავადებს და მოღალატეობისთვის მათ არ ინდობდა. როდესაც აჯანყდა მთიულეთი 1804 წელს, მათს დასამშვიდებლად ჯართან ერთად ქსნის ერისთვიანნი თავიანთის ყმებით (1500 კაცი) იყვნენ გაგზავნილნი. ქსნის ერისთვიანთ მოღალატეობა ჯერ კიდევ მეფე ერეკლეს სიკოცხლის დროს გამოაშკარავდა. ისინი აქეზებდნენ ლეკებს საქართველოს დასარბევად. ლეკების წინამძღოლობას ჰკისრულობდნენ, დაღესტნიდან ახალციხეს გადაჰყავდათ და აქედან კიდევ დაღესტანს. მეფემ დაადგინა: „სრულიად უკუნით უკუნისამდე მოეღოთ მათ საერისთავო“. და ამ ძეგლის წერას მთავარებისკობისის წინადადებით მიუმატეს: „იყავნ კრული თვიდ მეფეცა, რომელმანცა გახსნას შეკრულება ესე და ჰსცვალოს განჩინებაო“. ასე სასტიკად მოუკლა გული, ამბობს ბ-ნი აფრონელი, ერისთვიანთ ბაგრატიონთ გვარმა. მოკლული და დაშინებული გული გაუმთელა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე 1) პირველმაო. მთიულებმა ერისთვიანთ ჯავრი ამოიყარეს სხვების ერთგულობისათვის. შეცვივდნენ ქსნის ხეობაში და, რაც კი ერისთვიანთ სოფლები იყო, ერთს არ დააყარეს ხეირი. ცეცხლი წაუკიდეს და გადასწვეს. ღუბროვინი სწერს: „Деревни Пристовыхъ были разворены, за приверженность ихъ къ Россіи („Закавказье“ Дубровина; გვ. 366—367) 2). ამავე აჯანყების დროს მთიულეები გაბრიელ ყაზბეგს სთხოვეს, მეფედ აგირჩევთ, იკისრე ჩვენი მეთაურობა და რუსების გარეკაო. რაიც შეეხება კახეთის ამბოხებას, მემატთანე ბატონიშვილი დავითი სწერს: „კაკაბეთით შთავიდა ქიზიყს (მარკიზ პაულუჩი) წინამძღვანველობითა ენდრონიკაანთათა. ენდრონიკაანთ ეპყრათ კერძო რუსთა (ესე იგი რუსის მომხრენი ყოფილან) და ონანანთაცა (ვაჩნაძე) ეპყრათ კერძო რუსთა. ხოლო გლეხთა კახელთა, ჰსცნეს რა სიცბილი თავადთა, მოწვეს სახლი სვიძონ ენ-

1) „მთიულეთი 1804 წ.“, გვ. 264.

2) *ibid* გვ. 147.

დრონიკაშვილისა და მოსტყვენეს სახლიცა სოლომონ ენ-
დრონიკაშვილისა. მუნ მოერივნენ ქიზიყელიცა“ და სხვა. 1)
ამ ხასიათისა იყო ხალხის მოქმედება და სულიერი გან-
წყობილება რუსეთის შემოსვლის ჟამს. სრულ სიმართლეს
მოკლებულია „ცისკრის მტკიცება, ვითომ „ფეოდალები
ებრძოდნენ რუსებს, ხოლო გლეხები ფეოდალებს და რამ-
დენიმედ სამღვდლოებასაც, და აი ჩვენი ნაციონალიზმის
ტრაგიზმიო“ (!!). გაზეთს ვერ შეუგნია ამ ტრაგიზმის ნამ-
დვილი ხასიათი, მას დღევანდელი ვითარება გადააქვს იმ საუ-
კუნის დასაწყისში. ამგვარ აზროვნებას სახელად ჰქვიან ის-
ტორიული დაღტონიზმი. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში
თავად-აზნაურთა დიდი უმრავლესობა რუსების მომხრე იყო
ქართლ-კახეთის—ხევ-ფშავ-ხევსურეთის ხალხი კი მტერი იყო
ახალ პოლიტიკურ მონობისა, რომელიც მრსთვის გაცილებით
უფრო მძიმე და აუტანელი იყო, ვიდრე შინაურული ფეო-
დალობა. ახლა ფეოდალობას მიემატა მძიმე უღელი უცხო-
სახელმწიფოს ტვირთისა. ქართლი სხვა კუთხეებთან შედა-
რებით თითქმის უფრო მორჩილი იყო რუსეთისა, ხოლო
ამისი მიზეზი ქართლის ძლიერი ფეოდალობა იყო, რომე-
ლიც იმ თავითვე ყურმოჭრილი მოსამსახურე და თანაშემწე
გახდა რუსეთის პოლიტიკისა. ერისთვიანნი, მუხრანიანნი,
ამილახვრიანნი და სხვანი ჰფლობდნენ მაშინდელ ქართლსა.
ყმები მორჩილებაში ჰყავდათ და რუსეთის წინააღმდეგ მოძ-
რობას ქართლში გასაგაღს არ ამღვდნენ. თუ რა ძალე
ჰქონდათ ფეოდალებს, სხვათა შორის, სჩანს იმ თქმულები-
დან, რომელიც დღესაც არის დარჩენილი ქართლში და რომ-
მელსაც მოგვითხრობს ბ. ა. ფრონილი თავისს „მთიულეთ-
ში“. ბატონ-ყმობის მოსპობის დროს ერთმა კნენამა ჰკით-
ხა ქალაქიდან დაბრუნებულ ყმაწვილ-კაცს, რა ამბავია, როგორ
გათავდა საქმეო? როგორა და ისე, რომ ყმები ჩამოგვართვე-
სო, უპასუხა ყმაწვილმა კაცმა. „განა მამა მზე (ერისთავი)
იქ არ იყოო.“—მამა მზეც იქ იყო და დედა-მზეცო, მაგრამ
გლეხები მაინც ჩამოგვართვესო. „უკაცრავად,—მიუგო თურ-
მე კნენამ წყენით—ვიდრე მამა-მზე არ ინებებს, ბუზსაც
ვერავენ აგვიფრენს და ყმებსაც ვერავენ ჩამოგვართმევენო“
(232 გვ.). მამა მზესთანა ფეოდალის ნება-სურვილი კანონი

1) «ამბოხება კახეთსა 1812 წ.», გვ. 159., ა. ფრონელისა.

იყო ქართლელებისათვის. და აბა როგორ აღუდგებოდნენ რუსეთს, რომელსაც ელაქუცებოდნენ მათი ბატონები. კახეთში კი მოძრაობა იყო ხალხოსნური, თუმცა ამ მოძრაობაში თავად-აზნაურობაც ერია.

რაც შეეხება სამღვდელოებს, არც ის არის მართალი, ვითომ იმ ხანაში ხალხი მის წინააღმდეგ იყო. 1811 წელს საქართველოს ეკლესიას დიდძალი ქონება ჩამოართვა მთავრობამ. სრულიად სარწმუნო წყაროებიდან სჩანს შემდეგი. ქ. ტფილისში ეკლესიას ჰქონდა ქონება, ღირებული 28,910,000 მან.. ტფილისის გუბერნიაში ამ ქონების ღირებულობა იყო 79,570,000 მ., იმერეთში—29,787,500 მ., გურიაში—328,000 მ., მთელი ქონება უდრიდა—140,330,000 მან., ამ ფაქტებს ამჟღავნებს „Русский Стяг“-ის რედაქცია—გაზეთი, რომლის დროშაზე სწერია სამი სიტყვა—თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა და ხალხი¹⁾. ქონების ჩამორთმევის შემდეგ ხელი მიჰყვეს ეკლესიის დენაციონალიზაციას. ხოლო როდესაც ეკლესიებში ქართულ ენას დევნა დაუწყეს, აქ ხალხი სამღვდელოებსა თან ერთად აშფოთდა და იარაღიც კი აისხა წინაპართა სალოცავის დასაცველად. ეს მოხდა იმერეთში 1819 წელს. 1830 წლიდან გარემოება შესამჩნევად იცვლება. შეთქმულ თავად-აზნაურებს ხალხი ამ დროს აღარ გაჰყვა და სწორედ ამ დროს გამოირკვა მთავრობის პოლიტიკა, რომელშიაც გაზეთი „ცისკარი“ რაღაც დემოკრატიზმს ჰხედავს. რომ მთავრობას თავისი საკუთარი ინტერესი აწუხებდა და რომ იგი არსებითად ანტიდემოკრატიული იყო, ეს სჩანს იქიდანაც, რომ მან დაამხო აგრარული მოძრაობა, რომელიც მოხდა 1856 წელს სამეგრელოში და ხალხოსნური მოძრაობა 1877 წელს კახეთში. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს.

გინდათ იცოდეთ. რითი ხელმძღვანელობდა რუსეთი კავკასიაში შეოსვლის დროს? ყური დაუვდეთ მთავარ-მაროებელ ციციშვილის სიტყვებს, ლეკთა ბატონ ალისკანტეს მიმართ მიმართულს: „ვისაც ქუხილი ხელთ უპყრია, ბრძანებაც იმას შეჰფერის, ხოლო სუსტის საქმე მორჩილებაა: ლერწამის წესია იზნიქებოდეს, ხოლო ასის წლის მუხა ჰხედავს,

¹⁾ Судьбы грузинской церкви, гл. 27, გამოცემა გაზეთ „Русский Стяг“-ის რედაქციისა.

რომ ერთი ფოთოლიც არ მოაკლდება, რაც უნდა ქარ-ტეხილი ეკვეთებოდესო“ („მთიულეთი“, 92). უტყუარი ფილოსოფია ლაგამ აშვებულ იმპერია-იზმისა სწორედ ამისთანაა. ციციშვილმა გააშიშვლა ჭეშმარიტება და ისე დაგვანახვა. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში რუსეთის მთავრობის მოღვაწეობა გამოისახა ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარებით. რაკი მთავრობის ხელში „ქუხილის“ მსგავსი ძალა იყო, ეს ძალა ხდებოდა პრინციპად, ღმერთად. ამ ძალამ დასცა და დათრგუნა ყოველივე, რაც ხალხს სიკეთედ მიაჩნდა. „უსამართლობა, ცემა-ტყევა, ქურდობა, განზრახ დავიდარაბის ატეხა, უზნეობა გარყვნილობა, ქალწულთა და დედაკაცთა ნამუსის ახდა აშკარად, ქმართა და მახლობელთა თვალწინ, ქალის და კაცის უღელში შებმა და გატიტვლებული დედაკაცის გაჯობვა“—აი ის, რაც შემოიტანეს ჩვენში. ტყუილად კი არა სჩიოდნენ ბოდბისხეველები და პრასიანელნი (ქიზიყში), რაც რუსობამ მწუხარება მოგვაყენა, მაგ გვარი თურქთა, ყიზილბაშთა და ლეკთა ჟამთა ბატონობის დროსაც არ გამოგვივლიაო („კახეთის ამბობება“, 33).

მაშ საიდან შესთხუზა ბ. ან-მა ის ლეგენდა, რომ რუსეთის შემოსვლა ჩვენში და ქვეყნის ნათელ-მირონით მოფენა ერთი იყო? საიდან გააჩინა და შობა ვაებით მოღებულ წარსულში ისეთი რამ ბედნიერება, რომელსაც დღესაც კი შეჰხარის, ვეღება გარს და რომლის გამოც დღეს, ამ საერთო მწუხარებისა და გლოვის ჟამს, ჰკრის სიხარულით? ეს რაღაც უცნაური, არ შესაფერი სერიოზულ სჯა-ბაასისათვის, აზროვნობის განწყობილობაა, რომელიც ცხოვრების ფაქტებიდან კი არ დაასკვნის აზრს არამედ ცხოვრებას აკუთვნებს ფორმულას და სქემას და სქემის მსგავსად ასხვაფერებს მას. ეს ის უცნაური, ველურ ადამიანის საკადრისი აზროვნობის თვისებაა, როდესაც მიზეზის და შედეგის კავშირს ლოგიკურად კი არა ხსნის ადამიანი, არამედ ფაქტების განსაზღვრულ დროში მიმდინარეობით.

რუსეთის შემოსვლით ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ჩვენში და საზოგადოდ მთელ კავკასიაში. მოელო ბოლო ფეოდალობას. აი, ამ გარემოებამ დაუბნია გზა-კვალი ს.-დემოკრატიულ პუბლიციისტს. გარემოება ამნაირია.

თვითმპყრობელი მონარქია, რა თქმა უნდა, არ იწყნა-

რებს ფეოდალობას. საქართველოშიაც სწარმოებდა ბრძოლა თვითმპყრობელობის და ფეოდალიზმის შორის. ეს ბრძოლა საქართველოს ფარგალში არ დამთავრდა თვითმპყრობელობის გამარჯვებით მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს შინაურ პოლიტიკაში გარეშე ძალა ჩაერია—თვითმპყრობელი გარეშე მონარქია, რომელმაც ვითომდა თავს იდგა იმ მისიის ასრულება, რომლის განხორციელების ცდაში საუკუნოების განმავლობაში ქართველი მეფენი იყვნენ. ამ გარეშე ძალამ მართლაც მოსპო ფეოდალობა, ხოლო ფეოდალობასთან ერთად მისწვდა ქართულ ნაციონალურ კულტურას და საქართველოს დენაციონალიზაციას მკვიდრი საფუძველი ჩაუგდო. პუბლიცისტის მოვალეობაა გაფრთხილებით მოეციდოს ამ საგანს და გაარჩიოს ერთმანეთისაგან, ერთის მხრივ, სუბიექტიური მოტივები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა რუსეთის მთავრობა, როდესაც სპობდა ფეოდალიზმს, და, მეორეს მხრივ, ის ობიექტიური მდგომარეობა, რომელიც მოჰყვა ფეოდალიზმის გაუქმებას. მთავრობა ხალხის ინტერესისთვის არ მოქმედებდა. იგი ემორჩილებოდა თავის საკუთარ ტკივილს. მისი წადილი იყო მტრის დანაწილება, დაპყრობილ ქვეყნის ძალების დაკუწვა და ამ ფაქტის აღიარების ნაცვლად შესახზეს ლეგენდები რუსეთის მთავრობის საექვო დემოკრატიულ მიმართულებებს შესახებ ჩვენი ხალხის მიმართ.

საქმე კი ასეა. ამორალურ მოტივს და განზრახვას ხანდისხან (ობიექტივურად) მოჰყვება ხოლმე კეთილი შედეგი და თუ ამ შემთხვევაში არ მივიღეთ მხედველობაში იგი ამორალური მოტივი, რომელმაც შემთხვევით გამოიწვია დადებით ხასიათის ნაყოფი, მოვლენა სამართლიანად და მიუდგომელად შესწავლილი არ იქნება ჩვენ მიერ. სწორედ ამ შეცდომას სჩადის ჩვენი პუბლიცისტიც. წარმოიდგინეთ ამგვარი გარემოება. ასი კაცი ჩააგდეს ერთ სატუსალოში. ამ ას კაცს შორის წინად, თავისუფლების დროს, მტრული დამოკიდებულება იყო. ეხლა კი, როდესაც ერთ უბედურებას განიცდიან, მათ შორის ჩნდება მეგობრული განწყობილება. ისინი უახლოვდებიან ერთმანეთს. ეს გარემოება ფრიალ სასიამოვნო და სიმპატიურია ხომ? რამ გამოიწვია იგი? სატუსალომ. მაშ სატუსალოც სიმპატიური და სასარგებლო დაწესებულებაა? არა, იგი სიმპატიური არ არის და—დახე დაცინვას—სიმპატიური მოვლენა კი წარმოშობა. სოციალ-დემოკრატიული

აზროვნობით სატუსალოს აპოლოგიაა საჭირო, ჩვენ კი ვამბობთ: მიზეზი და შედეგი მექანიურად, დროსა და სივრცეში კი არ კავშირდებიან, არამედ ლოღიკურად. ობიექტიური ფაქტი ფეოდალობის დამხობისა სასურველი მოვლენაა, სუბიექტიური მოტივი მთავრობის მოქმედებისა კი ანგარების გრძნობით იყო გამოწვეული. და თქვენ გინდათ დაგვარწმუნოთ, რომ ანგარებით გამსჭვალულ მთავრობას ეამბორებოდა ქართველი ხალხი. ორში ერთია, ან განზრახ ამცირებთ ამ ხალხს, ხოლო თუ მართალია თქვენი აზრი, ჩვენი ხალხი თვალზე აკრული ყოფილა და მას ანაღიზის და გარჩევის უნარი დაჰკარგვია. ფეოდალიზმის გაუქმებასთან ერთად, **დენაციონალიზაციის პოლიტიკა რომ არ ეწარმოებინა** ჩვენში მთავრობას, ამ შემთხვევაში კიდევ გავიგებდით ხალხის მადლიერებას და სიყვარულს მთავრობისადმი, მაშინ ვიტყვოდით, ხალხში თვით-შემეცნება არ დახშულა, მაშინ „განზრახვა“ და „შედეგი“ ჰარმონიულად შეკავშირებულნი იქნებოდნენ, უამისოდ კი ტლანქი ფაქტი ორგულ პოლიტიკისა თაყვანისცემის და გაპრინციპების ფაქტად ხდება! თუ ხალხი ასე აზროვნობს, საბრალოა იგი, ხოლო თუ თქვენ ახვევთ ხალხს ამ გვარ აზრებს, საბრალონი თქვენა ხართ!

V. ინტერნაციონალიზმისკენ ნაციონალიზმის გზით.

რუსეთის პოლიტიკის დასახასიათებლად მეცხრამეტე საუკუნის მიმდინარეობაში მდიდარ მასალას იძლევა თავის ისტორიულ ორტომიან გამოკვლევებაში ბ-ნი ს. ესაძე, კავკასიის საოლქო შტაბის სამხედრო-საისტორიო განყოფილების რედაქტორი. მასალებიდან სრულიად არა სჩანს ის, ვითომ მთავრობა ფეოდალებს ებრძოდა, გლეხებს კი ეკედლებოდა და თანაუგრძნობდაო. ნამდვილად კი, მთავრობა ხან ერთის მხარეზე იყო, ხან მეორეზე. უფრო კი თავად-აზნაურობისკენ იყო მისი გული, ბატონ-ყმობის განთავისუფლების დროსაც-კი.

1847 წელს აფხაზეთის ბატონმა თავ. მიხეილ შერვაშიძემ რუსის მთავრობას სთხოვა, ნება მომეცი, რომ ხელი ავიღო აფხაზეთის მმართველობაზე, მომეც იმერეთში 1500 კომლი და იქ დავსახლდებო. ამის გამო თავ. ვორონცოვი სწრადა შერვაშიძეს: „თქვენს თხოვნას ისე ვერ შევხედავ, როგორც მოხელის თხოვნას, რომელიც სამსახურიდან დათხოვნის ნებართვას ითხოვს. თქვენ გინდათ ხელი აიღოთ იმ-

უფლებზე, რომელიც ღვთით გაქვთ მონიჭებული, საუკუნოებით, წინაპართა გმირობით და თქვენი საკუთარის დამსახურებით დამკვიდრებული. ამ უფლების ტარება სამძიმო გახდა თქვენთვის. იგი მართლაც მოითხოვს გარჯას და შრომას. ხოლო სამაგიეროდ იგი გაძლევთ თქვენ და თქვენს ოჯახს სახელს და პირველობას. იფიქრეთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენს თქვენს ქვეშევრდომებზე და მიზობელ ხალხებზე თქვენი ამგვარი უარ-ყოფა მემკვიდრეობითის უფლებისა, რომელიც უნდა მემკვიდრეობითვე გადასცეთ.“¹⁾ ხომ ჰხედავთ, რა პატიოსნება, ღვთის მოყვარეობა, ღვთით დამკვიდრებულ ბატონობის დაცვის სურვილი ისახება თავ. ვორონცოვის სიტყვებში! ნეტავ ამ დროს ბაგრატიონთ გვარის ბედი სრულიად დავიწყებული თუ ჰქონდა ბრწყინვალე თავადს, იმ გვარისა, რომელიც ამაყობდა—ჩვენ, ბაგრატიონნი, დავითის ტომისანი ვართ, არავის ვემორჩილებით, გარდა ღვთისაო, და რომელიც იძულებული იყო ქედი მოეხარა რუს გენერლის წინაშე. ამ გვარის ბედი თუ არ ჰქონდა დავიწყებული ვორონცოვს, უნდა მოჰგონებოდა, თუ რა უყო მისმა მთავრობამ ამ „დავითის ტომის ჩამომავალს“...

რუსეთის პოლიტიკის საზოგადო ხასიათი თუ ავიღეთ, უნდა ითქვას, რომ მას არავითარი განსაზღვრული გეგმა, არავითარი წინდაწინვე შემუშავებული სისტემა არა ჰქონდა. მთავარ-მართებლებს ერთად ერთი ფორმულა, ერთად-ერთი საერთო აზრი ჰქონდათ; ეს ის აზრია, თავ. ციციანოვმა რომ სთქვა: „ღერწამის წესია, უნდა იზნიქებოდესო“. თუმცა ციციშვილი ჰკვიანნი კაცი იყო და ხედავდა, რომ ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარება არავითარ ნაყოფს არ იძლეოდა, მაგრამ ჰკვიანმა კაცმა გონიერება მაინც ძალადობის უპირატესობას და მთავრობის პრესტიჟის გაბერვის საჭიროებას შესწირა. მმართველობის სისტემა რომ შევცვალოთ და შეუფუოთ ხალხის მოთხოვნილებას, საქმი უფრო გაფუჭდებაო. ხალხში შეიპარება აზრი, მთავრობა სუსტია და აღარ დაგვემორჩილებაო.²⁾ ამ მოსაზრებებს სხვაც მიემატა. პასკევიჩი ამბობდა: „იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ ხალხი

¹⁾ „Историческая записка объ управленіи Кавказомъ“, I. გვ. 186, თხზ. ს. ესაძისა,

²⁾ ibid 58, I.

რუსეთის სულს მივუახლოვო და მის ზნე-ხასიათს. რა შეს-
ცვლის, თუ არ რუსეთის მმართველობაო“.¹⁾ დღეს ჩვენ კა-
რგად ვიცით, რას ნიშნავს „რუსეთის სუ-თან მიახლოება“,
მაგრამ ჩვენ ახალ ბატონებს კი ეგონათ, დიად საქმეს ჩავ-
დივართო. 1841 წელს, როდესაც უკვე გაჩარხდა ჩვენი
ცხოვრების დენაციონალიზაცია და მთელი ამიერ-კავკასია
რუსეთის მოხელეების გაუმაძღარ მადას ჩააბარეს, გოლოვი-
ნი და ბარონ განი სწერდნენ იმპერატორ ნიკოლოზ I-ს:
„... ახალი წეს-წყობილება, ამიერ-კავკასიაში დამყარებული,
არა მარტო ბედნიერ მომავლის საფუძველია, არამედ იგია
სრული შენობა, რომლის კალთების ქვეშ განვითარდებიან
ერთად გაანებრივი და ზნეობრივი ძალანი ამიერ-კავკასიის
თქვენი ქვეშევდომებისა; განვითარდება აგრეთვე ქვეყნის სი-
წილდრე და განათლებაც არ წაიბილწება ჩვენი დროის უწ-
შინდურ იდეებით“.²⁾

განის იმედები არ გამართლდა. ეს შეიგნეს თვით რუ-
სის მმართველებმაც. პოზენმა, რომელმაც რევიზია მოახდინა
ჩვენში, გულ-ახდილად აღიარა, რომ „ახალი წესი არ შეე-
ხამებოდა არც ხალხის აზრებს, რწმენას და ჩვეულებებსო“.³⁾
ეს მარცხი ყველაზედ კარგად ბარონ კორფს ჰქონდა გათ-
ვალისწინებული. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის
მმართველობის პოლიტიკას ასე ახასიათებს კორფი: „იმპე-
რატორ ნიკოლოზ პირველის მეფობის დროს ჩვენ განუწყ-
ვეტელ ლაშქრობაში ვიყავით კავკასიაში. და მიუხედავად
იშისა, რომ ჩვენი ჯარი დიდ გამირობასა და სიმტკიცეს იჩე-
ნდა ხოლმე, ჩვენი ლაშქრობა საბოლოო გამარჯვებით არ
დაგვირგვინებულა. ვლაშქრობდით ომის ველზედ, ვლაშქრო-
ბდით სამოქალაქო ასპარესზე, ერთ დაწესებულებას მეორეთ
ესცვლიდით, ერთ პირს ვითხოვდით, მეორეს ვაყენებდით.
წლები მიდიოდნენ და ჩვენ სულ ყოყმანში, გამოცდილება-
ში, მოსახრებაში და პლანებში ვიმყოფებოდით. ვაწესებდით
განსაზღვრულ წესს, ვიღებდით ზომებს და როდესაც ყოვე-
ლივე თითქოს დამკვიდრებული იყო, ისევ ვაუქმებდით,
ძველს ვუბრუნდებოდით, ვაუქმებდით ახალს, და ხელმეო-

1) Ibid 67.

2) Ibid 75.

3) Ibid 81.

რედ ვამუშავებდით ახალ გეგმას, რომელსაც რამდენიმე წლის შემდეგ იგივე ბედი გაუქმებისა ეწვეოდა ხოლმე. გაუქმებდით კანონს, რომელიც ჯერ არ დამკვიდრებულა, და რომელსაც ხალხი ვერც კი გასცნობოდა, ახალ კანონს ვაწესებდით და იმასაც მალე ვსპობდით. მმართველებსაც ხშირად ვსცვლიდით. დიდ-ძალი ფული იხარჯებოდა სხვა და სხვა კომიტეტების, კომისიების, ექსპედიციების, მოხელეების და სხვათა შენახვისათვის... ეს ჩვენი ყოყმანობის ისტორია... ფრიად საინტერესო საგანს შეიცავსო“.1)

ყველა აქედან აშკარაა ის, რაც ჩვენა ვსთქვით, რუსეთი იმ ხანაში ბარბაროსული მონარქია იყო. ანატოლ ლერუა ბოლიეს აზრით რუსეთი ევროპიელ ერთა ოჯახში ჯერ ხნობით ვერც კი ჩაიწერება. მან არ განიცადა რეფორმაციის, რენესანსის და საფრანგეთის დიდ რევოლუციის გავლენა. და თავისი ორგინალური კულტურა კი არა ჰქონიაო. რუსეთი პატარა ერებზე იმარჯვებდა, ხოლო არავითარი უნარი არა ჰქონდა მოქალაქობრივ წესის დამკვიდრებისა, არა ჰქონდა საორგანიზაციო ნიჭი, არა ჰყავდა მომზადებული სახელმწიფო მოღვაწენი. ერთის სიტყვით, რუსეთი არ იყო მაღალ კულტურის წარმომადგენელი და ამიტომ არ შეიწყნარეს იგი ქართველებმაც. ასეა თუ ისე, ამ ფიზიკურმა ძალამ მოსპოა ჩვენში და მთელს კავკასიაში ფეოდალობა. ეგ დიდმნიშვნელოვანი ფაქტია. ხოლო ამ გარემოებას მოჰყვა არა ის, ვითამ ჩვენ ყველიანი იძულებულნი ვიყავით ზურგი გვექცია ნაციონალიზმისათვის, რასაც ამტკიცებენ ს.-დემოკრატები, არამედ ის, რომ ქართულმა ეროვნებამ, მიუხედავათ ყოველგვარ დაბრკოლებისა, განაგრძო თავის განვითარების მსვლელობა ახალ სოციალურ პირობებშიაც. და ეს ხანა მისი განვითარებისა დახასიათდება არა ეროვნების დამხობის საჭიროებით ინტერნაციონალიზმის გულისადავის, არამედ ერთსა და იმავე დროს ეროვნების აღორძინებითაც და ინტერნაციონალურ კავშირის განმტკიცებითაც.

მაშ საზოგადო ხასიათი რუსეთის პოლიტიკისა იმგვარი იყო, რაგვარიც უნდა ყოფილიყო ტლანქი, უკულტურო და ნახევრათ აზიურ ქვეყნის პოლიტიკა. ჩვენი ხალხის ერთი ნაწილი რუსების მოსვლამდე ერთ მორწმუნე რუსეთს სასოე-

1) ibid. 83.

ბით და იდეალისტურის თვალთ უყურებდა. მოღლილნი ბრძოლით, გარემოცულნი მუსულმანთა მტრულ სამფლობელოებით, ქართველები რუსეთს შესცქეროდნენ და იქიდან მოელოდნენ ხსნას. მაგრამ შემოდგა ფეხი თუ არა მან ჩვენს ქვეყანაში, იმ წამსვე იგრძნო ხალხმა იმედების მწარე გაცრუება. და რუსეთის წინააღმდეგ იარაღიც აიღო. ხოლო რამდენად მტრულად ეკიდებოდა ხალხის მშრომელი ნაწილი, გლეხ-კაცობა, მთავრობას, იმდენად ჩვენი ფეოდალობა ფეხ-ქვეშ ეგებოდა იმავე მთავრობას. ფეოდალებისათვის ეს სასარგებლო იყო. ძველ სამთავროების მფლობელნი (შერვაშიძენი, დადიანნი, დადუშქელიანნი და სხვანი), უხვად დაჯილდოვებულნი იყვნენ და ადვილად ანაცვალეს ფულს და საპატიო ადგილებს თავიანთი სამფლობელოები. ქართლის ფეოდალებმაც რუსობაში მეტი გამორჩენა ნახეს (ერისთვიანთ, მაგალითად, დაებრუნათ ის მამულები, მეფე ერეკლემ რომ ჩამოართვა მოღალატეობისათვის).

თავად-აზნაურობის დიდი ნაწილი არც უსაქმოდ დარჩა ახალ ბატონობის ხანაში, არც დაუჯილდოვებელი. და დედა-მიწაზე, მგონი, არ მოიპოვება არც ერთი ერის „კეთილშობილი წოდება“, რომლის წრეში ისე ღრმად ყოფილიყოს გამჯდარი წოდებრივი ინტერესი და ისე დახშული ყოფილიყოს მამულიშვილობის გრძნობა, როგორც ეს ქართველ თავად-აზნაურობაშია. აქ დენაციონალიზაციამ სტიქიური ხასიათი მიიღო.

ჩვენა ვსთქვით, რომ გლეხობა მტრულად ეკიდებოდა მთავრობას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშია. უნდა კი ავღნიშნოთ, რომ თანდათან გარემოება ისე მოეწყო, რომ თითქოს ამ მთავრობაში დაინახა ხალხმა თავისი მთავრელი. გამეფდა ერთგვარი გაუგებრობა, ერთგვარი შეუგნებლობა, რემელსაც **შემთხვევითი** გარემოება ასაზრდოებდა. ეს მოსაზრება აშკარა ვახდება ჩვენთვის, გლეხთა მიმართ მთავრობის პოლიტიკას რომ დავაკვირდებით. საბუთებიდან სჩანს, რომ საქართველოში რუსეთის შემოსვლის შემდეგ თავისუფლების მაძიებელ ყმათა რიცხვი შესამჩნევად მატულობდა. რამდენადაც ეს ანცალკეევებდა წოდებებს, მთავრობა თითქოს ხელს უწყობდა ამ გარემოებას. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ამისი მიზეზი „შეგნებული პოლიტიკა და დემოკრატიზმი“ კი არ იყო (რუსეთში იმ ხანაში სწკებლავდნენ და უშიცრუ-

ტეტებში“ ა*არებდნენ ხალხს), არამედ სულ სხვა რამე. მთავრობა ზომებსაც იღებდა ამ „მაძიებელთა“ წინააღმდეგ, მაგრამ ზომები უნაყოფოდ რჩებოდა. მემამულენი სჩიოდნენ, უკმაყოფილებას აცხადებდნენ; ასე რომ ნამესტნიკი თავ. ვორონცოვი იძულებული იყო სასტიკი გამოძიება მოეხდინა და გამოერკვია, რა მიზეზია, რომ თავისუფლების მაძიებელ ყმების რიცხვი არ კლებულობდა, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ზომებს იღებდა ამ მოვლენის გავრცელების წინააღმდეგ. გ.-ლ ლადინსკიმ, ამ საქმის გამოძიებელმა, აღმოაჩინა შემდეგი: საქმე იმაშია, ამბობს იგი, რომ „მოხელეებმა, რომელნიც გარყვნილობის გამო გამოგდებულნი იყვნენ სამსახურიდან, საცხოვრებელი წყარო გაიჩინეს არზების თხზვით. ისინი აქეზებდნენ გამოუცდელ გლეხებს თავისუფლება ეძიეთო, და ბევრს მართლა ეგონა, ვითომ მთავრობა ხელს უწყობდა ამგვარ საქმეების გამრავლებასაო.“ 1) მაგრამ არის სხვა საქმეც, დიადი საქმე — ბატონ-ყმობის განთავისუფლების აქტი. თუ შესაფერად არ დავაფასეთ იგი, ამ საგნის შესახებ ცრუ აზრი გახდება წყაროდ ჩვენის ეხლანდელ დაბრძალებისა და გაუგებრობისა. და ვინც ამ ფაქტის გაგებაში სიბეცე გამოიჩინა, მის მსჯელობას ეროვნულ საკითხის შესახებ მართლაც შეემჩნევა უკულმართობა. საქმე ის არის, რომ ბატონ-ყმობის განთავისუფლება მთელს რუსეთში მთავრობის ნებაყოფლობით და სურვილით არ მოხდა. ამ საქმეს რუსეთის ინტელიგენციის ორმა თაობამ შესწირა თავი. ბატონ-ყმობის გაუქმების აქტი **ინტელიგენციის** თავგანწირულ ბრძოლის ნაყოფია. მთავრობამ რევოლიუციის შიშით, დაადასტურა ის, რაც უკვე მომწიფდა, როგორც აუცილებელი მოთხოვნა საზოგადების საუკეთესო ნაწილისა. ეს გარემოება მუდამ ჟამს უნდა გვახსოვდეს. და ამიტომ ჩვენი ხალხი რუსეთის ინტელიგენციის მადლიერი უნდა იყოს ამ საქმეში და არა მთავრობისა, რომელიც სასტიკად ებრძოდა ამ ინტელიგენციას სწორედ ამ საქმისთვის. ჩერნიშევსკი, გერცენი, ოგარიოვი, ბაკუნინი და სხვანი — აი ის პირნი, რომელთა სურათები თვალწინ უნდა ედგას არა მარტო

1) დედანში სწერია: „Чиновники, за пороки лишённые мѣсть по службѣ, отыскиваютъ себѣ содержаніе сочиненіемъ просьбъ.“ და სხვ. „Ист. записк“, I, 303.

რუს-გლეხობას, არამედ ქართველსაც. ბ. ან-ი კი მთავრობის მოხელეთა თაყვანისცემის საჭიროებას უქადაგებს ჩვენ ხალხს! ეს ერთი. რაც შეეხება თვით რეფორმების განხორციელებას, ჩვენ არა ვხედავთ, რომ იგი ყოფილიყო განხორციელებული გლეხთა სასარგებლოდ. საყურადღებო ფაქტია, რომ დღევანდელ რევოლიუციისაში „ჩამონაკრების“ საკითხს მკირედი ადგილი არ ეჭირა აგრარულ მოძრაობის დროს. ბატონ-ყმობის ნაშთებს დღესაც ვერ დააღწია თავი ჩვენმა ხალხმა. და ეს მოხდა იმიტომ, რომ რეფორმა გატარებული იყო თანახმად თავად-აზნაურობისა და არა ხალხის ინტერესებისა. რა აზრისანი იყვნენ ჩვენებური მემამულენი ამ საგნის შესახებ? გამოქვეყნებულ მასალებიდანა სჩანს, რომ თავად-აზნაურობის დიდ უმრავლესობას არაფერი საწინააღმდეგო ჰქონდა პირად თავისუფლების მოპოვების შესახებ გლეხების მიერ. მათი სურვილი იყო ყმები ხიზნებად გაეხადათ; და მთავრობის პროექტიც, არსებითად რომ შეეხებოთ საგანს, ამაზე შორს არ მიდიოდა. რეფორმის ძირითადი საფუძველი ამნაირი იყო: მიწა, რომელზედაც დასახლებულნი იყვნენ გლეხები, მემამულეების სრულ და შეუხებელ საკუთრებად ითვლებოდა... გლეხების **სარგებლობაში** სახლ-კარი, ზვარი და ხეხილის ბაღები გადადიოდა. მემამულენი სამუდამო **სარგებლობაში** აძლევდნენ გლეხებს სახნავსა და სათიბ მიწების ნაკრებს. ამ მიწების **სარგებლობისათვის** განსაზღვრული ღალა უნდა ეხადნათ გლეხებს და სხვა დააკვირდით ყველა ამას და დაინახავთ, რომ რეფორმა ძლიერ მიაგავს ხიზანთა ინსტიტუტს დღევანდელ მისის სახით იქაც და აქაც მოიჯარადრეთა მსგავსი მდგომარეობაა. მართალია, ყმას გამოყიდვა შეეძლო მიწისა, მაგრამ ეს ასე ადვილი რომ ყოფილიყო მისთვის, დღეს ყველა სრული მესაკუთრე იქმნებოდა მიწებისა, ნამდვილად კი ასე არ არის. ბიუროკრატის, რა თქმა უნდა, ეგონა დიად საქმეს ვარიგებ და ვაწყობო. თავის თავს დავრდომილთა მხსნელად სთვლიდა. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე თავის მოწოდებაში ხალხისადმი, 'სხვათა შორის, ამბობდა: „იმედი მაქვს, თქვენ დაათვასებთ დღევანდელ დღის დიად მნიშვნელობას... იმედი მაქვს, თქვენ მიჰხვდებით, ვის უნდა ემადლიერებოდეთ ამ გვარ წყალობისათვის. ხელმწიფე იმპერატორმა, რომელიც ყოველთვის ქვეშევრდომთა მდგომარეობაზე ჰფიქრობდა, თქვენც არ გამოგრიცხათ თავის უმაღლეს

„მზრუნველობისაგანო“.¹⁾ დიდი მთავარი მიხეილი რომ ასე ჰფიქრობდა, ეს გასაკვირველი არ არის. განსაცვიფრებელი ის არის, რომ დღეს ამავე გალობას უგალობენ ხალხს ს. დემოკრატები. გაუმარჯოს მთავრობას, ძირს „ნაციონალიზმიო!“ ვის არ აუჩუყებს გულს ამ გვარი აღფრთოვანება!

მაშეხლა, ყველა ამ ფაქტების გადასინჯვის შემდეგ, ვიკითხოთ: რაგვარი პოლიტიკა უნდა აწარმოვოს ქართველმა ხალხმა, რა უნდა დააწეროს მან თავის დროშაზე? ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი თუ ერთ ა და იმავე დროს ერთიც და მეორეც. სოციალ-დემოკრატები ინტერნაციონალურ გზას ირჩევენ, ჩვენებური ნაციონალისტები—ნაციონალურს, ჩვენ კი გვგონია, რომ საქართველო დღეს იმკვარ პირობებში იმყოფება, რომ იმის წინაშე, ერთსა და იმავე დროს ორი გზა გასავლელი, ერთი ეროვნულ კულტურის განვითარების გზა, მეორე კავკასიის ერებთან ურთიერთობის განმტკიცების გზა,—გზა ინტერნაციონალური. სოციალ-დემოკრატიული პრესა, როგორცა ვსთქვით, სხვას ჰფიქრობს ამ საგნის შესახებ, და ინტერნაციონალიზმის ეშხით დენაციონალიზაციის და დეგრადაციის გაპრინციპებას ჰქადაგებს. ბ. ან-ი „აზრ“-ში ამბობს: „დაემხო თუ არა კავკასიაში ფეოდალობა, „ამით კარები გაეხსნა არა-ქართველს საქართველოში თავისუფლად მოქმედებისათვის და ქართველს—კავკასიის დანარჩენ ნაწილებისაკენო“ (5). ქალაქდზე რა კარგად გამოდის ყოველივე ეს—ყველანი თავისუფლად მოქმედებენ, თავისუფლად აწარმოებენ თავიანთ საქმეებს. ცხოვრებაში კი ამ გარემოებას ის მოჰყვა, რომ ჩვენი ხალხი ჰკარგავს მიწა-წყალს და ყოველსავე იმას, რაზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. გაზეთი განაგრძობს: „ყველა ადგილობრივ ერთა ვაჭარი და მუშა ერთმანეთს დაუახლოვდნენ. საერთო საქმეში შეეხებნენ, ერთ ეკონომიურ ჩარჩოში მოექცნენო“. ვაი თუ ყოველივე ეს უფრო სურვილს მიაგავს ვიდრე სინამდვილეს! სომეხ-თათართა შეტაკება, რომლის საზარელი შედეგები თვალ წინ გვიდგა ყველას, სულ სხვას გვეუბნება, სახელდობრ იმას, რომ ჯერ შორსა ვართ იმ სასურველ ჰარმონიულ ურთი-ერთობიდან, რომელზედაც ლაპარაკობს გაზე-

¹⁾ Ист. зап. I, 336.

თი. სარწმუნოებრივ და რასიულ ანტაგონიზმს ჯერ ისეთი ძალა ჰქონია ჩვენში, რომ იგი, ანტაგონიზმი, ეკონომიურ ნიადაგზედაც გადადის და აქ აჩრდილებს და ანელებს სხვა და სხვა ერთა მშრომელ ხალხის კლასიურ სოლიდარობას. მეშინიან, საქართველოც არ გახდეს ახლო მომავალში დისგარმონიულ ინტერესთა ქიშპობის ასპარეზად. შემდეგ: „... საქართველოს წინ წაწევა მოხდა არა მარტო რუსეთის პოლიტიკური გავლენით, არამედ უცხო კაპიტალის შემწეობითაცაო“. ჩვენ უკვე ვიცით, რა ღირსებისაა ეგ ჩვენი „წინ წაწევა“ რუსეთის პოლიტიკის გავლენით. რაც შეეხება კაპიტალს, მან მართლაც ღრმა ცვლილება მოახდინა ჩვენს ცხოვრებაში, მან მოამზადა ერთა შორის დაახლოვების ნიადაგი, მან შეჰქმნა იმგვარი პირობები, რომელშიაც იშვა კავკასიის ფედერაციის პრინციპი—ფედერაციის, ვამბობთ ჩვენ, და არა ჩარჩოებს და ხორც-შესხმულობას მოკლებულ კოსმოპოლიტიზმის პრინციპს.

ამრიგად, აშკარავდება შემდეგი გარემოება. იქ, სადაც კი იჩრდილება კავკასიაში კლასიური სოლიდარობა რასიულ, ეთნიურ, ლინგვისტიურ, სარწმუნოებრივ თუ ეროვნულ ელემენტების ერთმანეთში შერევით და შეჯახებით, იქ, ყველა ამის ასაცილებლად, თავდაპირველად ეროვნულ ცხოვრების მოწესრიგებაა საჭირო; ხოლო იქ, სადაც ამგვარი შეხლა არა ხდება, სადაც ინტერნაციონალური ინტერესები სჭარბობენ ეროვნულ ინტერესებს, მზად არის ნიადაგი ფედერაციისათვის ან, თუ გინდათ, ინტერნაციონალიზმისათვის, რადგან ჩვენს პირობებში ეს ორი მცნება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. „აზრი“ კი გვარწმუნებს: „ქართველობა ეკონომიაშიაც, ისე, როგორც პოლიტიკაში (უკვე) გამოვიდა ეროვნულ ჩარჩოებიდან და მით მოშორდა ნაციონალისტურ ეკონომიას და ნაციონალისტურ პოლიტიკასაო“. ქართველ ხალხის დიდ უმრავლესობას (გლეხობას) თუ აიღებთ, იგი სრულიადაც არ გამოსულა ეროვნულ ჩარჩოებიდან, მისი სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესი კი იმას მოითხოვს, რომ დარჩეს ამ ჩარჩოებში და იქ განავითაროს თავისი კულტურული ძალები. ეროვნული ტერიტორია, ეროვნული სკოლა მისი ფართო მნიშვნელობით, ეროვნული უფით მმართველობა ამ კულტურულ განვითარების აუცილებელი პირობებია. ამ ნიადაგის გარეშე დგომა კულტურულ-

ლად გადაგვარებამდე მიიყვანს მას, და ამ გადაგვარების ნიშნებს უკვე ვხედავთ დღესაც. ასე რომ მართალი არ არის, როდესაც გაზეთი გვარწმუნებს „ჩვენი ყველა თანამედროვე კლასი თავის ინტერესებისათვის საბრძოლველად იძულებულია ააფრილოს ინტერნაციონალური დროშა“. კი უნდა ააფრილოს, ხოლო იქ და მაშინ, სადაც ამ დროშასთან ერთად მოსჩანს სხვა დროშაც—ეროვნულ კულტურის აღორძინების დროშა.

ერთი ახირებული გარემოება ირკვევა. ს.-დემოკრატებს ავტონომიის დამცველნი ყოველთვის ბურჟუაზიის წარმომადგენლათ, ბურჟუაზიის ინტერესების დამცველებათ მიაჩნდათ. ავტონომია ბურჟუაზიას უნდაო, ხალხი კი მისი წინააღმდეგიაო. ესლა კი ს.-დემოკრატიული ორგანო გვარწმუნებს, რომ თურმე ჩვენში ყველანი ინტერნაციონალისტები ყოფილან. თუ ბურჟუაზია ინტერნაციონალისტია, ავტონომიას რად ითხოვდა? და თუ ამას ბურჟუაზია არ ითხოვდა და ავტონომიის დამცველთ კი ბურჟუებათ ნათლავდით, რად სჩადიოდით ამ შეუფერებელ საქმეს? გამომჟღავნდა, რომ ავტონომიის მომხრე ინტელიგენცია თურმე „გამოდის არა არსებულ რეალურ პირობებისაგან, არამედ თავის საკუთარ სურვილების, თავისი „საუკეთესო“ პლანებისაგანო.“ და ამ რამოდენიმე წლის წინად კი, როდესაც ავტონომიის დამცველი „საქართველო“ გამოვიდა პირველად, ს.-დემოკრატებმა ეს ორგანო ბურჟუაზიის მოსარჩლე ორგანოდ დასახეს და ავტონომისტების შესახებ ამბობდნენ: „ერის უფლებათა დაცვა (მათთვის) მხოლოდ ის პირობაა, რომლითაც საზოგადოებაში გამოდიან და თავიანთ კლასიურ ბატონობას იცავენო“¹⁾. თუ კლასიურ ბატონობის განმტკიცებისათვის უნდოდათ ავტონომია, დღეს რაღად ამბობთ, რომ ბურჟუაზიისთვის ავტონომია მავნებელია, ჩვენი ბურჟუაზია ინტერნაციონალისტიაო. ორში ერთია, თქვენთვის ან არ არის გამორკვეული ნამდვილი ხასიათი. ავტონომიის მიმდევრებისა, და თუ გამორკვეულია, უნდა გითხრათ, რომ წუთიერ გამარჯვებისათვის შეუგნებელთა წინაშე თქვენ ურცხვადა სწირავთ ჭეშმარიტებას!

ყველა ზემოდ ნათქვამს თავი რომ მოვუყაროთ, ასე

¹⁾ „ქართველი ნაციონალისტები“ გვ. 48, შენევა.

უნდა დავახასიათოთ დღევანდელი ჩვენი მამულიშვილობის გრძნობა. მამულიშვილობა ხანგრძლივ ისტორიის გავლენით შემუშავებული ფსიხიური ფაქტია. მისი შინაარსი სოლიდარობაა ადამიანთა განსაზღვრულ ერთეულებათა შორის. როდესაც ეგ სოლიდარობა შეუძლებელი ხდება სოციალურ ინტერესთა ანტაგონიზმის გამო, ერი იყოფება ნაწილებათ. და თუ უმრავლესობა სწყვეტს ზნეობრივ კავშირს უმცირესობასთან, მის გულში მაინც რჩება ის ფსიხიური ფაქტი, რომელიც, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, ეროვნულ შემეცნების დახასიათებაში შედის. და თუ ერთდროს ეროვნული ფსიხიკა ხელს უწყობდა უსამართლო წყობილების დამკვიდრებას და მოპირდაპირე ინტერესთა დაჩრდილვას, დღეს ამ შემეცნების განვითარების მიზანი სოციალურ ინტერესთა ანტაგონიზმის დაფარვა აღარ არის. ეროვნული ფსიხიკა იფურჩქნება და იშლება უსამართლო წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს არის ხანა სოციალური სამართლიანობის შეგნებისა, კულტურის აყვავებისა და ამასთან ეს არის ხანა სხვა კულტურულ ერთეულებთან დაახლოვებისაც. ჩვენს წინაშე სწორედ ამგვარი პრობლემაა. ეროვნული შემეცნება მოვიხმაროთ არა კლასთა ანტაგონიზმის დასაფარავად, არამედ ხალხურ კულტურის ასაყვავებლად, რომელიც აუცილებლად ერუვნულ ფსიხიკის ატმოსფეროში უნდა ვაწარმოვოთ. ეროვნული ფსიხიკა ჩვენს თვალში არც ფეოდალური ფსიხიკაა, არც ბურჟუაზიული, თუმცა ამ ორ ელემენტის გავლენაც უნდა ყოფილიყო. საჭიროა განდევნა ამ ელემენტებისა და გაწმენდა ეროვნულ თვითშემეცნებისა ხალხოსნურის და ხალხთა სოლიდარობის იდეალებით. აი, ნოკლე სქემა ჩვენის ეროვნულ ფილოსოფიისა. და პრაქტიკულ პოლიტიკის ენით რომ ვილაპარაკოთ, უნდა ვსთქვათ, ჩვენ ვართ მომხრენი ეროვნულ ავტონომიისა, ავტონომიურ ერთა და პროვინციათა დაკავშირებისა, ერთის სიტყვით, ჩვენ ვაღვიარებთ **ავტონომიურ ერთა ფედერაციასა**. ავტონომიურ ერთა ფედერაციის საკითხი ისეთი დიდი საგანი, განსაკუთრებით თუ იგი პრაქტიკულად არის დაყენებული, რომ მის შესახებ ორიოდ სიტყვის თქმა არ არის საკმარისი. პრინციპების დემონსტრაციის დრო აღარ არის დღეს. ავტონომია და ფედერაცია გვინტერესებს დღეს როგორც ეროვნულ ცხოვრების მოწესრიგების და ინტერნაციონალურ ურთი-

ერთობათა განმტკიცების ერთად-ერთი პრაქტიკული საშუალება. დღემდე არავის შეუმუშავებია არა მარტო კავკასიის ფედერაციის საფუძველნი, არამედ საქართველოს ავტონომიის საფუძველნიც კი (ორიოდე უკვე შემუშავებული პროექტი ფრიად სუსტი გამოდგა). ვეცდებით სხვა დროს გავუზიაროთ მკითხველს რამდენიმე მოსაზრება ამ საგნის შესახებაც.


ჯერ ხნობით კი იმას ვიტყვით მხოლოდ, რომ ცხოვრება საორგანიზაციო მუშაობას საჭიროებს. თუ ჩვენს აღფრთოვანებას, რწმენას ფრთები შეაკვეცეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულხელ აკრფილნი ვისხდეთ იმ დრომდე, სანამ ისევ ატყდება ქარიშხალი, ხალხი განაგრძობს დაწყებულ საქმეს, საწარმოო იარაღს გაასაზოგადოებს, „ერთობის“ ნიადაგზე დააფუძნებს წარმოებას და ამისდა მიხედვით განახორციელებს პრინციპს თავისუფალ კომუნათა ფედერაციისას. გარემოება მოითხოვს, რომ ჩვენ ამ მომავალის ლოდინში უმოქმედონი და უსაქმონი არ ვიყოთ. დღეს ძალთა განწყობილება იმნაირია, რომ **სოციალურ** ასოციაციათა ფედერაციაზე ლაპარაკი „უდაბნოსა შინა მლაღადებელ ხმად“ ეჩვენება ყველას. დღეს სხვა დრო დაგვიდგა და სხვა გვარი გარჯა და ზრუნვა შეგვფერის უსაქმოდ სასობა დაკარგულებსავით ყოფნას. და ეს ჩვენ მხრივ ეგრეთ წოდებული „ოპორტიუნიზმი“ არ არის. ოპორტიუნიზმი იმას ჰქვია, როდესაც კაცს მეტის გაკეთება შეუძლიან და სილაჩრისა და სისუტის გამო გარემოებას ქედს უხრის და ამოკლებს და აკვეცებს თავის მოქმედების გეგმას. ჩვენ შორსა ვართ ამგვარ ოპორტიუნიზმი-საგან. ღონეს არ ვიზოგავთ, იმიტომ ვუწევთ ანგარიშს დღევანდელ გარემოებას, რომ მასზე გამარჯვებულნი არა ვართ, პირიქით დამარცხებულნი და დამარცხებულნი სასტიკად, უღვოდ. და ადამიანი პირუტყვისაგან იმითი გაირჩევა, რომ ფარემოების აწონ-დაწონვ ს უნართან ერთად არჩევის ნიჭიც აქვს განვითარებული. დაამწყვდიეთ მგელი გალიაში, დატრიალდება ნადირი, მიეხლება რკინის მოაჯირებს, გაქანდება და მოუსვენრად იტრიალებს გარშემო, სანამ მოიღლება და ღონე მიხდელი იქვე წაწვება. დაამწყვდიეთ ადამიანი ციხეში. გარეგნულად იგი სრულიად დამშვიდებულია, კედლებს არ ეხეთქება, თავს არ იმტვრევს, თითქოს დაწყნარებულია, დამორჩილებული. გულში კი, გულში სულ იმის ფიქრშია, როგორ მოახერხოს და უვნებლად დააღწიოს თავის ტყვეო-

ბას და თუ ეგეც შეუძლებელია მისთვის. გულჩაკეტილი, შორიდან ეთაყვანება თავისუფლებას, შორიდან აძლევს სალამს მეგობრებს, შორიდან ეტრფიალება ოცნებას და ციხის ჯურღმულში შეჭრილ მზის შუქს უცინის და ეალერსება! დღეს ჩვენ ამ დატყვევებულ ადამიანის ხვედრს განვიცდით. და ჩვენს ტყვეობაში დავრჩეთ ადამიანებად, ე. ი. ავწონოთ ჩვენი ძალ-ღონე და გონივრულად ავარჩიოთ სავალი გზა.

რუსი-მწერალი მერეჟკოვსკი ეუბნება ევროპელებს: „კანტის ენა თუ ვიხმარე, უნდა ვთქვა, რომ თქვენი სამშობლო ფენომენალური (ემპირიული) სამშობლოა, ჩვენი კი ტრანსცენდენტალური (მეტაფიზიკური), ნიცშეს ენით რომ ვილაპარაკო, უნდა ვითხრა—თქვენში აპოლონია, ჩვენში დიონისეა. თქვენი გენიოსობა ზომიერებაა, ჩვენი უზომობაა. თქვენ დროზე შედგებით ხოლმე. კედელს რომ მიადგებით, ან გარს უვლით, ან უკან ბრუნდებით. ჩვენ კედელს ვახეთქებთ თავებს. ჩვენ ადვილად არ ვიძვრით ადგილიდან, მაგრამ რაკი ერთხელ შევინძვრით, თავს ვეღარ ვუჭერთ. ჩვენ ნელის ნაბიჯით სიარული არ ვიცით, მივრბივართ. კი არ მივრბივართ, ვფრინავთ და ფეხებ აშვერილები მიწაზე ვვარდებით. თქვენ შუაგული ადგილები გიყვართ, ჩვენ—ბოლოები. თქვენ ფხიზელნი ხართ, ჩვენ დამთვრალნი. თქვენ გონიერნი, ჩვენ—გაცოფებულნი. თქვენ სამართლიანნი ხართ, ჩვენ—უსამართლონი, თქვენ თავს უფრთხილდებით, ჩვენ შემთხვევას ვეძებთ, რომ თავი დავიღუპოთ“ ო.

უმცა ზომიერ, გაფრთხილებულ და დამშვიდებულ ადამიანის ტიპი ჩვენთვის სრულიადაც არ არის სიმპატიური, მაგრამ ჩვენ არ გვხიბლავს მერეჟკოვსკის მიერ დახატული სურათი—„გაცოფებული“ ადამიანის ხეტიალი ზებუნებრივ სამეფოში.

მიწის შვილნი ვართ, მიწას გაუწიოთ ანგარიში. მოვადრო, მიწასვე მივებარებით!



კიდევ წარსული და მისი ანდერძი

(„ამირანი“ № 86, 87, 88, 89, 90.)

I

დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ვითარების გაგებისათვის არა მარტო მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის შესწავლას, არამედ ძველ ჩვენს - ისტორიის სამრთლიანად დაფასებას. ამიტომაც იყო საჭირო პასუხის გაცემა ბ-ნ ან-ის წერილებზე - ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, სადაც, ჩვენის აზრით, ღრმად იყო დამახინჯებული საქართველოს ძველი და ახალი ისტორია და სადაც ისტორიული სინამდვილე პარტიულ აზროვნების ყალიბზე იყო ჩამოსხმული. ჩვენი საპასუხო წერილები („სამშობლო და მამულიშვილობა“)- როგორც მოსალოდნელი იყო, ბ-ნ ან-ს ჭკუაში არ დაუჯდა, იგი არ დაეთანხმებოდა ერთ ჩვენ მიერ წამოყენებულ მოსაზრებას და ფაქტს და კიდევ მეტის მხნეობით და გამბედაობით გამოეხარჩლა იმ პოზიციას, რომელზედაც იდგა. ამასთან კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ჩვენ მიერ მოყვანილი საბუთები.

მიუხედავად ამისა, მე მაინც მსურს განვაგრძო საუბარი ამ საგნის შესახებ, რადგან იმდენად ის არ მათქმრებს, რომ ბ-ნი ან-ი დავიყოლიო და დავითანხმო, არამედ ის, რომ ამ საყურადღებო საგანს ჯეროვანი სინათლე მოეფინოს. ჩვენდა საბედნიეროდ, ეხლა ჩვენი კამათი მარტოდენ პრინციპების და სიტყვების ფარგალში აღარ ტრიალებს. ჩვენმა პუბლიცისტებმა შეიგნეს საჭიროება ფაქტიურ მასალის შესწავლისა, და ფაქტებით ხელში სჯა-ბაასი ხომ თუ სარგებლობას არ მოგვიტანს, ზიანს არ მოგვაყენებს. ამიტომაც არის, ჩვენ მობეზრების შიში არ გვათქმრებს და ვიმედოვნებთ, რომ მკითხველიც გულდასმით მოისმენს ჩვენს საუბარს იმ საგანზედ, რომელზედაც უკვე გვქონდა ბაასი.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა ნათლად და გარკვევით ვიცოდეთ, რაში მდგომარეობს ჩვენი საკმათო საგანი. რას

ვედავებით ერთმანეთს და რის გამორკვევა გვწადია. ჩემი წერილების დედა აზრი ორ საგნის გარშემო ტრიალებდა. ერთი საგანია ეროვნების დამოკიდებულება სახელმწიფოსთან და სახელმწიფოებრივ დაწესებულებასთან; მეორე საგანია ქართველი ხალხის მიერ შეუწყნარებლობა რუსეთის სახელმწიფოებრივობისა. ამ ორ აზრის განვითარებისათვის საჭირო იყო გადასინჯვა ჩვენის წარსულის ისტორიისა. და ამ გარემოებამ გამოიწვია ჩვენი შეუთანხმებლობა სხვაგვარ საკითხების ფარგალშიაც. ასე რომ სადავო საკითხი ბევრგვარი გამოჩნდა. ამიტომ, რათა არ დაიჩრდილოს უმთავრესი საგანი, სხვა საკითხებს შევეხებით გაკვირით, როგორც საილუსტრაციო მასალას.

რაც შეეხება პირველ საკამათო საგანს—ეროვნების დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან—უნდა ვსთქვათ, რომ ამ საკითხს მარტოდენ თეორიული მნიშვნელობა არა აქვს, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც. მე ვამბობ, სახელმწიფომ შვა ერი. და იქ, სადაც ერისა და სახელმწიფოს შუა გათიშვა მოხდა, ერი სულ იმის ცდაშია, რომ გათიშულ სახელმწიფოსთან ან ხელმეორედ შეჰკრას კავშირი, ან შეჰქმნას რაიმე მის მსგავსი ორგანიზაცია, სადაც გათიშულ და ლტოლვილ ერს სურს თავი შეაფაროს. აქ იმალება ის მიზეზი, რომ თანამედროვე ეროვნული მოძრაობა არის მოძრაობა ან ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა, ან მათ მსგავს დაწესებულებათა დაარსებისა. ავტონომია, ფედერაცია და დამოუკიდებელი სახელმწიფო (ცენტრალური გინდ ფედერაციული) ამ მოძრაობის რგოლებია, ამ მოძრაობის შემადგენელი ელემენტებია. ასე რომ ამ ნაწილს ჩემის წერილებისა, სადაც ამ საგანს ვეხები, ჩემს თვალში არა მარტო სოციოლოგიური ხასიათი აქვს, არამედ პოლიტიკურიც. ბ-ნ ან-ს ეს ვერ შეუგნია. და ამიტომ თავიდანვე იწყებს მოსაბეზრებელ და „Bâton“-ის მიერ უკვე სასაცილოდ აგდებულ „და აი-ებს“ „და გამოდის-ება“.

რამ წარმოშვა ერი? რა არის მის გაჩენის მიზეზი? ჩვენ ვამბობთ—მთავრესად სახელმწიფო, ბ-ნი ან-ი ამბობს—მრეწველობაო „ყველა ერი, მიუხედავად მისი პოლიტიკური წარსულისა, რომელიც ადგება სამრეწველო გზას, ადრე თუ გვიან ხდება ეროვნებათა“, („ცხოვრების სარკე“, № 18). მაგრამ საქმე ის არის, რომ აღებ-მიცემობა და მრეწველობა

თანამედროვე მნიშვნელობით საგვარეულო წყობილებაში არ არსებობს, იგი ჩნდება საგვარეულო წყობილების ნაგ-რევეებზე, სახელმწიფოს ფარგალში. ადებ-მიცემობა და მრეწ-ველობის გაჩენა უსახელმწიფოდ შეუძლებელი იყო. ადებ-მიცემობა კერძო საკუთრების ინსტიტუტმა დაჰბადა; კერძო სა-კუთრებას კი იცავდა და მფარველობდა სახელმწიფო. სანამ კერძო საკუთრება არ იყო, არც ადებ-მიცემობა იყო, არც სახელმწიფო. ჩნდება საკუთრება, იბადება მისი მფარველი ორგანო სახელმწიფო და მხოლოდ ამის შედეგი იყო ადებ-მიცემობის და მრეწველობის განვითარება. ბ-ნი ან-ი კი უპი-რატესობას ვაჭრობა-მრეწველობას ანიჭებდა და მის თვალში ეს ვაჭრობა-მრეწველობაა გამჩენი როგორც სახელმწიფოსი, ისე ეროვნებისა!

ეს კამათი შეიძლება დაუსრულებელი გახდეს ჩვენს შო-რის, თუ იგი არ მოვითავსეთ განსაზღვრულ ჩარჩოებში და მის გასარკვევად არ მოვიშველიეთ სოციოლოგიური ხასია-თის მოსაზრებანი. სოციოლოგიამ კი უკვე ნათელ ჰყო, რომ სახელმწიფოს წინედ არსებობდა გვარი. გვარის დამარღვევე-ლი მიზეზი ბევრი იყო. ბერძენთა გვარი რომ ავიღოთ მხე-დველობაში, „აქ ბევრს თავის გვართან კავშირი დაეკა-გა და სხვა გვარში კი ვერ შევიდა,— ვწერდით ჩვენ ერთს წინა წერილში. ხალხი აიშალა, ზოგი სხვაგან გადიხვეწა ბედის საძებ-ნელად, ზოგი ვაჭრობის მოთხოვნილებამ აამოძრავა, რო-დესაც კერძო საკუთრებას მნიშვნელობა მიეცა. ზოგი ომის ავანტურობით გატაცებული, ბინადრობას იცვლიდა. უმთავ-რესი მიზეზი კი გვარის დარღვევისა ის იყო, რომ ერთ რომ-მელიმე ძლიერ გვარს სხვა უფრო სუსტი გვარი დაუპყრია იარაღით ხელში, გაუფართოვებია საზღვრები და სხვა და სხვა მოდგმის და სისხლის გვარნი ერთმანეთში გაუთქვეფთია.“¹⁾ გვარის ნაცვლად შესდგა ტერიტორიული ერთეული, პირ-ველ ყოფილ კომუნისმის ადგილი კი დაიჭირა კერძო საკუთ-რებამ. „ტერიტორიალური ერთეული და კერძო საკუთრება“ — აი ორი ახალი ფაქტორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავ-შირებული, ერთი მეორისაგან წარმომდგარი. კერძო საკუთ-რების წარმოშობამ დაარღვია ძველი ნათესავური კავშირი (გვარი) და ვრცელ ტერიტორიაზე გაჰფანტა ხალხი (იქვე).

¹⁾ გვ. 19.

ამ ხანაში ჯერ კიდევ არ სჩანს ეროვნების სახე. ჩნდება და მკვიდრდება სახელმწიფო და ეროვნებაც ირკვევა და ვითარდება. ეს ჩვენი აზრი, რამდენადაც შეგვეძლო, ქართულ ეროვნების წარმოშობის ისტორიის მოთხრობით დავასაბუთეთ. ბ-ნი ან-ი არც კი შესულა ჩვენ მიერ წამოყენებულ ფაქტების დაფასებასა და გარკვევაში. იგი არა სცილდება ზოგად აზრთა ფარგალს და ამბობს, სახელმწიფო აქ არაფერ შუაშიაო. რუთინელებს და ლატიშებს თავიანთი სახელმწიფო არა ჰქონიათ, ეროვნული მოძრაობა კი მათ შორის არსებობსო. ჩვენ ვამბობდით: „ეროვნების წარმოშობისთვის საჭირო იყო... ერთგვარი ორგანო, რომელსაც გათქვეფისა, ჩაკირვისა და შეერთების ძალა შესწევდა და ეს ორგანო იყო სახელმწიფო“¹⁾. „ეს რომ მართალი იყოს, გვიპასუხებს ბ-ნი ან-ი, მაშინ წარმოუდგენელი იქნება იმ ტომების ეროვნება, რომელთაც არასოდეს არ ქონებიათ თავისი სახელმწიფო. და თუ არსებობს ეროვნება გარეშე საკუთარ სახელმწიფოსი—აშკარაა, ეროვნების შექმნის მიზეზი გაცილებით უფრო ღრმაა, ვინმე სახელმწიფო. აი, მაგალითად, იგივე რუთინელები, მათ არასოდეს ჰქონებიათ თავისი სახელმწიფო და სხვა. ან და ავიღოთ მაგ. ლატიშები, ესენი მუდამ სხვა ერთა სახელმწიფოში სცხოვრობდნენ... დღეს ლატიშთა ეროვნული კულტურა ქართველობისას კიდევაც აქარბებს, თუმცა ჩვენ სახელმწიფო გვქონდა, ხოლო მათ კი არაო“ („ცხოვრ. სარკე“ № 18).

როდესაც მე ვაკავშირებ ეროვნების წარმოშობას სახელმწიფოსთან, არ ვამბობ, რომ თვითვე ეროვნების გამოსახვისათვის და გაჩენისთვის საჭირო იყო უსათუოდ საკუთარი სახელმწიფოს არსებობა. ისტორიულად საქმე ხშირად ისე იყო, რომ ერთ ფარგალში მოჰყოლია რამდენიმე ეთნოგრაფიული ელემენტი. გაბატონებული ძალა ცდილობდა ეს სხვა და სხვა ელემენტი გაეთქვიფა. მისი ცდა ხშირად ნაყოფიერი იყო ხოლმე. სხვა და სხვა რასა ერთმანეთში ითქვიფებოდა რა ისახებოდა ახალი სხეული. მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში, ეს ცდა უნაყოფოდ რჩებოდა. რასიული შერევა არა ხდებოდა. გაბატონებული სახელმწიფოებრივი ძალა ჰქმნიდა ერთგვარ ეროვნებას, რომლის გვერდით, ძალ-

1) გვ. 43.

დატანების და დევნის გავლენით, მუშავდებოდა სხვა ეროვნება, ხშირად პირველისადმი მტრულად განწყობილი ეროვნება. ყოველივე ეს სწარმოებდა ერთ სახელმწიფოს ფარგალში და უსახილმწიფოდ ამ მოვლენას ადგილი არ ექნებოდა.

განსაზღვრულ ხანამდე ორი ან მეტი ეროვნების მოთავსება შესაძლებელი ხდება ერთ სახელმწიფოს ფარგალში. მაგრამ დგება დრო, როდესაც შემადგენელი ნაწილების დამოუკიდებულობისადმი მისწრაფების ძალა ისე იზრდება, რომ შეუძლებელი ხდება ლტოლვილ ელემენტთა შეკავება. და დგება დრო დიდ სახელმწიფოს დარღვევისა. დარღვევა შეიძლება იყოს სამ გვარი ხასიათისა. სრული განშორება ნაწილებისა, რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დაარსებით, პოლიტიკური დეცენტრალიზაცია ეროვნულ ავტონომიათა დაარსებით და პოლიტიკური დეცენტრალიზაცია ფედერაციის სახით. სამსავე შემთხვევაში მოქმედობს ერთი და იგივე პრინციპი, ერთი და იგივე მმობრავი ძალა მუშაობს — ეროვნულ სხეულის დაცვის და გარემოცვის საჭიროება განსაზღვრულ ტიპის სახელმწიფოებრივ დაწესებულების საშუალებით.

ბ.ნ ან-ისთვის, როგორცა სჩანს, ყოველივე ეს უცნობი რამეა. ლატიშების და რუმინელების მაგალითით უნდა თავზარი დაგვცეს და გამოაშკარავოს ჩვენი ძირითადი აზრის უვარგისობა. მაგრამ ჩვენი პოლემისტის საუბედუროდ, ის სახიფათო იარაღით გამოდის საბრძოლველად და თავის თავს უფრო აზიანებს, ვიდრე სხვას აძლევს ვნებასა. გადაშალეთ თუნდ ენციკლოპედიური ლექსიკონი (ბროკჰაუზ ფერონისა) და ამოიკითხეთ რა სწერია იქ ლატიშების შესახებ. ვკითხულობთ: „ლატიშები—ძირითადი მკვიდრნი ბალტიის მხრისა.. ჩამომავლობით არიელები არიან, მონათესავენი არიან ლიტველების, ძველ პრუსების და იატვიაგების. ძველ დროიდანვე ფინნო-ესტთა ტომებიან ერთად სცხოვრობდნენ. მათზე გავლენა ჰქონდათ კორსებს და ლივებს. ლატიშების რასიული ტიპი ამიტომ ბევრ ადგილებში შეიცვალა, მაშინ როდესაც ლიტველები უფრო შეურყეველნი დარჩნენ, რადგან მათ მხოლოდ ქმედში ჰქონდათ დამოკიდებულობა ფინნო-კორსის ტომებთან“. 1) მაშ ლატიშების

1) „Энциклопедический словарь“, Брокгауза и Ефрона, т. XVII.

ეროვნული ფიზიონომია, რასიული თვისებების მხრივ მაინც მუშავდებოდა სხვა უფრო ძლიერ ტომთა ზედგავლენის ქვეშ. ამ ტომებს უკვე აქვთ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მსგავსი პოლიტიკური წყობილება. არილებმა დააღწიეს თავი საგვარეულო წყობილებას უძველეს დროშივე და შეიმუშავეს სხვა ფორმა საზოგადოებრივ ორგანიზაციისა. ლიტვლები, ფინნები თუ სლავიანები, უკვე დგანან სახელმწიფოებრივ წყობილებაში იმ ხანაში. როდესაც ტომების თავში თავადები, ვიტიაზები და გეტმანები დგანან. და თუმცა ხსენებულ ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ „ლატიშებს არა ჰქონიათ საერთო სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია“, ხოლო ამასთან იქვე ვტყობილობთ, რომ „უფროსი ან უმცროსი ვაჟი ხდებოდა მემკვიდრედ მამულისა და სახლ-კარისა და ვალდებული იყო შეენახა თავისი ძმები ახალ მოსახლეობის (სოფლის) გაშენების დროს“. ყოველივე ეს კი იმისი მაჩვენებელია, რომ ლატიშებმაც განვლეს საგვარეულო წესი და პოლიტიკურ საზოგადოებაში შედგეს ფეხი. მემკვიდრეობის უფლება ჩნდება კერძო საკუთრების ნიადაგზე, და ეს საკუთრება კი საფუძვლად ედგა სახელმწიფოს. ეს უნდა სკოდნოდა ჩვენს პოლემისტსა.

რაიც შეეხება რუტინელებს, სრულიად არ გვესმის, რატომ იმოწმებს ბ-ნი ან-ი იმისთანა ფაქტებს და მაგალითებს, რაიც სავსებით არღვევს მის მიერ წამოყენებულ აზრს. რუტინელი ხომ იგივე მალოროსია. იმავე ლექსიკონის ცნობით „მალოროსთა ეროვნება (НАРОДНОСТЬ) გალიციასა და ვოლინზე შემუშავდა და დამკვიდრდა. XIV საუკუნეში ამ ეროვნებას უკვე განსაზღვრული ენა აქვს. XVII ს. პოლონეთის დევნის გამო მალოროსები დნებრის იქით ადგილებში სახლდებიან.“ 1) მალოროსები ამ ხანაში დამოუკიდებელი იყვნენ პოლიტიკურად. გეტმანების ხელში იყო მოთავსებული ძალა-უფლობა. რუსეთის ხელმწიფეები თანდათან ითვისებენ ამ ძალა-უფლობის პრეროგატივებს და აუქმებენ „გეტმანობას“. მალოროსიის შინაურ საქმეებში ჩარევისთვის რუსის მთავრობამ გლუხოვში 1722 წ. დაარსა მალოროსიული კოლეგია, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა იმისთვის, რომ მალოროსიული ხალხი შევიწროვებული არ

1) ibid. T. XVIII.

ყოფილიყო უსამართლო სამსჯავროებით და უზომო გადასახადებით. როგორც ჰხედავთ, ჩაგრულთაღმი გულმტკივნელობას მარტო ჩვენში არ იჩენდა რუსეთის მთავრობა! „გეტმანი სკოროპადსკი პროტესტს აცხადებდა და უჩიოდა პეტრე დიდს, ამ ხასიათის ჩარევა მალოროსიის შინაურ საქმეებში ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება, რომელიც მოსკოვის მრავალ ხელმწიფეთა მიერ დატული იყო. გეტმანი პოლუბოტკაც ამასვე სჩიოდა. პეტრე II-ის უქაზის ძალით (12 მ. 1727) დაპირებული იყო, გეტმანის ღირსება მალე აღდგენილი იქნებოდა... კოლეგია გააუქმეს 1728 წელს. მაგრამ 1764 წ. ეკატერინე II ისევ აღადგინა კოლეგიის არსებობა... 1781 წ. მალოროსიაში შემოიღეს საგუბერნიო დებულება. 1)

ესეც რომ დაიხსომოს ბ-ნმა ან-მა შეიძლება სხვა დროს მაინც გამოადგეს პოლემიკურ მასალად. თორემ აბა რა სილაზათეა თავის უფიცობის გამომხევება. სწორედ რომ უცნაური შეხედულება ჰქონია ჩვენს პუბლიცისტს სახელმწიფოებრივ მეცნიერებაზე. ის სახელმწიფო, სადაც რუსეთის მსგავსი ბიუროკრატია არ არის, სახელმწიფოდ აღარ მიაჩნია. მეტიც. სახელმწიფოებრივ დაწესებულებად არც ავტონომიას სთვლის. ბ-ნი ან-ისწერს: „ჯორჯაძე თხოულობს საქართველოს ავტონომიას და არა სრულ დამოუკიდებლობას. ავტონომია ხომ სახელმწიფო არ არის და თუ სახელმწიფოს გარეშე ეროვნება ვერ იხეირებს, აშკარაა, მისი ავტონომია ან მისი ულოლიკობა ან ფარისევლობა, რასაც მოჰყვება საკუთარი სახელმწიფოს მოთხოვნილების წამოყენებო“ („ცხ. სარკე“, № 18). წარმოიდგინეთ, საკუთარი სახელმწიფოს მოთხოვნილების წამოყენება!! ეს რაღა ღვთის-წყრომაა, რუსეთის მთლიანობის დასარღვევად მოვლენილი! კიდევ გვესმის ავტონომია. „ავტონომია ხომ სახელმწიფო არ არის“. აი, ამას წინად ამიერ-კავკასიის სეიმის შესახებ ვლაპარაკობდი, ფიქრობს ალბად ბ-ნი ან-ი, რომ მცოდნოდა, რომ სეიმი პოლიტიკური ფუნქციებით აღჭურვილი, ავტონომიურ სახელმწიფოს ორგანოა, აბა რას ვახსენებდი ამ დაწყვილილ სიტყვას. ავტონომია ჩემს თვალში საბოქაულოა და არა რაღაც სახელმწიფო. „ნაციონალისტებს“ კი საბოქაულო არ

1) ibid,

მოსწონთ. ჰო, ღმერთო, ნუ თუ არ დასთრგუნავ რუსეთის მთლიანობის დამრღვეველ მტრებსაო! აი თემა დრამატურგების საყურადღებოდ!

ბ-ნ ან-ის პუბლიცისტიკა იმით მომწონს, რომ დრამატისმთან ერთად მისს კალამს ვითომდა გესლიანი დაცივნის კილოც აქვს. ჯერ დაგანახვებთ ტრაგიკულ შეუძლებლობას თქვენის აზრების და მისწრაფებისას, მერე ისე დაცივებთ, რომ ტირილის და მონანების სურვილი გედვიძებათ გულში. ეს რა მივქარე და რა ვინატრეო! აი მოისმინეთ თვით ავტორი: „ანარქისტების აზრით, სახელმწიფოს მოქმედება არის ერთი დაუსრულებელი ბოროტება და მისი ნამოქმედარიც ძირიან-ფესვიანად ამოსაგდება და თუ ეროვნება სახელმწიფოს ძალადობის შედეგია—ცხადია, ესეც ბოროტებაა და დასანგრევი ყოფილაო!“ (იქვე). მოდი და ნუ შესწუხდებით! და ავტორი განაგრძობს, „თუ სახელმწიფო! ეროვნება შექმნა, ცხადია, ეს ეროვნება დაირღვევა მაშინ, როცა აღარ იქნება მისი მიზეზი—სახელმწიფო. მარა რადგან ბ-ნ ჯორჯაძეს ეროვნება დიდათ უყვარს, ამიტომ ამის თანახმა არ არის და გაიძახის: „სწორეთ მაშინ (როცა კლასები მოისპობიან) უნდა აყვავდეს ეროვნებაო“. მაშასადამე, მოვლენა იარსებებს „უმიზეზოდ“ დაცივნით გულს გიხვრეტავთ ჩვენი ავტორი. (იქვე).

ეს საგანი, რომელსაც აღნიშნავს ავტორი, ღირს იმათ, რომ მასზე მეტის ყურადღებით შეჩერდეს ადამიანი. მაგრამ, რად გინდათ კამათი, როდესაც თქვენი მოპირდაპირე არაწესიერ საპოლემიკო საშუალებას ხმარობს. საქმე ხომ კბილების ღრექაში არ არის! ეროვნება სახელმწიფოს შედეგია, მაშ ეროვნებაც ბოროტებააო. რატომ? მიზეზი და შედეგი ერთი და იგივეა? ნიაღვარი, რომელიც წალეკავს ხოლმე ვენახებს, დიდი ბოროტებაა. ამ ბოროტებას კი მოაქვს ქვიშა და ქვა, რომელთაც ადამიანი თავისს სასარგებლოდ იყენებს. მაშ სთქვით, რომ ქვიშა და ქვაც ბოროტებაა. ეროვნება დაირღვევა, როცა არ იქნება მიზეზი სახელმწიფოო? რატომ? ნიაღვარმა მოიტანა ქვიშა და ქვა, ნიაღვარი შესწყდა, ქვიშა და ქვა კი დარჩა. ასე და ამ რიგად ბოლომდე რომ ჩავყვეთ ავტორის მსჯელობას, საუბედუროდ ლოდიკის წაბორძიკებასთან ერთად სიყალბის ხრიკებსაც ვუპოვნით. ბ-ნ ან-ის ვერსიით მე ვამბობ: „სწორეთ მაშინ, როცა

კლასები მოისპობიან, უნდა აყვავდეს ეროვნებაო“ და აქ ჩვენს პოლემისტს სახეში აქვს ნაციონალიზმი. თურმე ნუ იტყვი, სახელმწიფო მოისპობა, ნაციონალიზმი დარჩება. ჯორჯაძეს ისე უყვარს ნაციონალიზმი, რომ ულოდიკობას არ დაგიდევთ. ნაციონალიზმის წარმომშობა სახელმწიფოს ჰკლავს, ნაციონალიზმს კი აცოცხლებს და აღდგერძელებსო! ჩემს წერილში კი სწერია: „ეროვნება, კლასიურ საფუძველზე დამყარებული, **აუცილებლად უნდა დაირღვეს**. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც კლასები აღარ იქნებიან, ეროვნება ვეღარ იცოცხლებს. პირ-იქით, იგი სწორედ მაშინ უნდა აყვავდეს და გაშალოს თავის კულტურული შინაარსი, თავისებური გენიოსობა. **ეს აღარ იქნება მრისხანე**, იარაღით აღჭურვილი, შიშის ზარდამცემი, ამაყი, მოქიშპე და თავმოყვარე ეროვნული შემეცნება, **ეს იქნება განვითარება სულიერ კულტურისა**, თანახმად სიცოცხლის მრავალფერადობის და მრავალხასიათობის კანონის მუშაობისაო“¹⁾). შეადარეთ ის, რასაც ვამბობ იმას, რასაც მაწერს ბ-ნი ან-ი და იმწამსვე აგეტუზებათ თვალწინ შეღახული, შეგინებული, ნამუსს ახდილი სინდისი და მის ადგილზე დაინახავთ დაბალღირსების წვრილ-ფეხა და გრძელკუდა გაიძვერაობას! ამას წინად ტექსტების დამახინჯებულ წრეზე მოგახსენებდით. როგორც ჰხედავთ, ამ წრის აგენტებს თავიანთი მოქმედება არ შეუწყვეტიათ. და ამ ხასიათის მწერლობას ხალხისათვის თავდადებულ მოღვაწეობას უწოდებენ! აფსუს თავდადება!

მე აქ აღარ გავიმეორებ იმას, რაცა ვსთქვი „სამშობლო და მამულიშვილობაში“ ეროვნულ გრძნობის და შემეცნების წარმოშობის შესახებ სახელმწიფოს ფარგალში, სახელმწიფოებრივ ორგანოების ზედგავლენით. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ერთის სილოგიზმით ჩვენ მიერ წამოყენებული აზრი ვერ დაირღვევა. ვისაც კამათი სურს, მან უნდა იკისროს სინდისიერი ანალიზი მოპირდაპირე აზრისა, ანალიზი ფაქტიურ და ისტორიულ მასალით გამაგრებული. ბ-ნმა ან-მა ეს საქმე თავზე ვერ იღვა. მსუბუქ ხასიათის მსჯელობას სერიოზულ კრიტიკად ასაღებს და თანაც ყალბ ხრიკებს არ ერიდება. სირცხვილია!

1) 33. 62.

II

ის გარემოება, რომ ეროვნება წარმოშობილი და გამოკვეთულია სახელმწიფოს მიერ, ბ-ნ ან-ს ზღაპრულ ამბად მიაჩნია. ზღაპრის ნაცვლად მას უნდა ნამდვილი ამბავი ეამბნა ჩვენთვის, მაგრამ ვერ მოახერხა და წვრილმან ეშმაკობის მახეში გაება: პატარ-პატარა მარცხის ხიფათი ხომ მოგეხსენებათ, ხომ იცით ქურდულათ გაკეთებულ საქმეს რა ფასი აქვს! ბ-ნ ან-ის საქმეც სწორედ ამგვარად წაბორძიკებულ ადამიანის საქმეს მოგაგონებთ. ჩვენი ზღაპარი მას არ მოეწონა და ზღაპარს სიყალბე ამჯობინა. გემოვნებაც არის და და გემოვნებაც! საზოგადოდ კი უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნ ან-ს „რეალისტობით“ ძლიერ მოაქვს თავი. მას ოცნება და ყვავილები არ უყვარს. იგი გატიტვლებულ სინამდვილეს ეტრფიანება. „მისთვის არ ვძღერ, რომ ვიმღერო ვით ფრინველმა გარეგანმაო“. რა ვუყვით, რომ ეს გატიტვლებული სინამდვილე ულაზათოა, ულაზათობის დანახვაც სასარგებლოა, „არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამოიმგზავნა ქვეყნად ცამაო“

ბ-ნი ან-ი, როგორც რეალისტი, ჩვენს ისტორიასაც აშიშვლებს და ის, რაც დაგვანახვია ამ რეალისტმა, მართლაც და არც მომხიბლავი, არც წარმტაცი და... საუბედუროდ, არც ჭეშმარიტების მზგავსირამეა. ეს არ არის ტურფა, ხორც შესხმული, სიცოცხლით აღსავსე ნაზი ქალწული, რომელიც უცინის ქვეყანას და ირგვლივ აცისკროვნებს თავის მშვენიერებას, ეს გაშიშვლებული გვამი, ჩონჩხია, თვალეგ გამოქმული, უცნაურად მომცინარე და დაღრეჯილ ადამიანის ქალაა. და ეს ძვალთა გროვა, ეს ბორბტად მოელვარე თეთრი კბილები, ეს საფლავიდან ამოღებული ნაშთი არის ჩვენი წარსული—ის, რაც იყო და აღარ არისო. ვინც შეწუხდება ამ სანახავით და საფლავიდან ამოღებულ ნაშთის მორთვას და მოკაზმას მოისურვებს, ის ულალატებს სინამდვილეს, ის შესთხზავს ზღაპარსო. და ბ-ნ ან ის წერილები „სადაო კითხვები“ ამგვარ ზღაპრების წინააღმდეგ გალაშქრებაა და ტანთ-შეუმოსავ, საფლავიდან ამოღებულ ჩონჩხით ამაყობაა. ვინც რა უნდა სთქვას მე პირადად „ზღაპარი“ და „ოცნება“ მირჩვენია ამ ნაცრისფერ ძვალთა გროვის დანახვას. და მზადა ვარ ერთხელ კიდევ გავიკეთო გული „ზღაპრულ სამეფოს“ ჭვრეტა-დანახვით.

ამგვარ საგანზე ლაპარაკი მოსაწყენი არ არის. წარსული მზვიწყებული გვაქვს. მის შესახებ ერთი აზრი ვერ შეგვიმუშავებია და ამიტომ საცილობელი გაგხვდომია ბევრი რამ იმისთანა, რაც დღესათვის მარტივი და აშკარაა. წარსულის შესახებ კეშმარიტი აზრი და მიუდგომელი მსჯელობა კეშმარიტ და სამართლიან აზრსა ჰქმნის აწმყოს შესახებაც. ამიტომაც არის ხალისიანად ვუბრუნდებით საკამათო საგანს. საგანი კი ამნაირია. ბ-ნი ან-ი ბრძანებს: „საქართველოს თავის დამოუკიდებლობისას არ განუვითარებია სამოქალაქო ცხოვრება, არ შეუქმნია მრეწველობა ადებ-მიცემობაო“. („ცხ. სარკე“, № 20). „რა ნაირად შეიძლებოდაო ჩვენში მრეწველობა ადებ-მიცემობა ყოფილიყო ქრისტეს წინ, როცა ეს ევროპაში აღორძინდა ფეოდალურ ხანის მიწურულებშიო“, გაკვირვებულია ავტორი. რაც გვქონდა ამის შესახებ ნათქვამი ბ-ნი ან-ს არ აკმაყოფილებს, მის გულს არას ეუბნება. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ მიერ მოყვანილ მასალებს არ იცნობს და დაუსაბუთებლად, აპრიორულად უარჰყოფს იმას, რაზედაც ფაქტიური ცნობა არა აქვს. აი თუნდა ჩაუფიქრდით იმას, რასაც ლაპარაკობს საქართველოს ძველ ქალაქების შესახებ. გეხსომებათ, „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“. ბ-ნი ან-ი ამტკიცებდა, რომ ჩვენში ტფილისის გარდა სხვა ქალაქი არ არსებობდაო. ჩვენ მოვუყვანეთ დიდი სია უძველესს ქალაქებისა, გაშენებულ-უწინარესს ქრესტეს. შობისა სხვათა შორის, მოვიყვანეთ სტრაბონის მოწმობაც იმის შესახებ, რომ ივერიაში კარგათ გაშენებული ქალაქებია, სახლები კრამიტებით ნაფენი და ხუროთ მოძღვრების გემოვნებაზე აშენებული, მოედნები და საზოგადო დაწესებულებანი და სხვ. ამის შესახებ ბ-ნი ან-ი იმას ამბობს, რომ ეს ქალაქები ბერძნების, ფინიკიელების, ეგვიპტელების და სხვათა გაშენებულიაო, „ესენი არსებდნენ ჩვენში, განსაკუთრებით, შავი ზღვის და რიონის პირას ქალაქებს... ეს ქალაქები მათი ქალაქები იყო, ხოლო როცა ისინი გაქრნენ და მარტო ქართველები დარჩნენ, ქალაქებიც გაქრაო“ (იქვე). მაგრამ გეოგრაფიული მდებარეობა და ქრონოლოგიური არსებობა მრავალ ქალაქებისა, სრულიად შლის ამ მოსაზრებას. სტრაბონი ივერიას იხსენიებს, ივერია საქართველოს ის ნაწილია, რომელიც შავი ზღვის პირს და

რიონს მოშორებულია. აქ უნახავს ბერძენთა მწერალს ლამაზი ქალაქები, და არსაიდან არა სჩანს, რომ ეს ქალაქები ეგვიპტელების და ფინიკიელების აშენებული ყოფილიყვნენ. პირ-იქით აუარებელი საბუთია იმისა, რომ მაშინ, როდესაც ეგვიპტეს და ფინიკიის სახსენებელიც კი აღარ იყო, ამ ქალაქებში ჰყვაოდა მოქალაქობრივი ცხოვრება. „შეიძლება აქ მაშინ რთული სააღებ-მიცემო და საფინანსო დაწესებულებები იყო, განაგრძობს ავტორი, მარა იმის თქმა, რომ ეს ქართველების დაწესებულება იყოვო, ნიშნავს დიდ ისტორიულ სისულელის თქმასო“ (იქვე). როგორც ჰხედავთ, ავტორი არ ხუმრობს და სისულელეს ეძახის იმას, რასაც იმის თავში ადგილი არ აქვს, რაც ოდნავადაც არ შეუსწავლია. ისტორიული სისულელეაო — მორჩა და გათავდა; არც საბუთი, არც ფაქტი, არც გარჩევა ამ საგანზე დაწერილ თხზულებისა. სისულელე, სისულელე!

რაც გინდათ სთქვით, საინტერესო და სამაგალითო პუბლიცისტია ჩვენი მოპირდაპირე! საბუთი და ფაქტი გინდათო? გულუბრყვილნო, განა საბუთი არ არის ის გარემოება, რომ ევროპაში აღებ მიცემობა და მრეწველობა აღორძინდა მხოლოდ ფეოდალურ ხანის მიწურულებში და როგორ შეიძლება, რომ ჩვენში უფრო ადრე აღორძინებულიყო? განა არ იცით რომ მსოფლიო ისტორია გაიზომება ევროპის საზომით? განა არ იცით, რომ მსოფლიო ისტორიის განმარტება თუ გინდათ, ევროპიული ფეოდალიზმი და ბურჟუაზიაული ხანა უნდა შეისწავლოთ და ეგ ცოდნა საკმარისია ბაბილონის, ასურეთის, ეგვიპტეს, საბერძნეთის და სხვათა ძველ ცივილიზაციათა შესასწავლადაო? ევროპაში სანამ თანამედროვე ხანა დადგებოდა, ფეოდალიზმი არსებობდა. ფეოდალიზმს კი განვითარების სამი საფეხური აქვს, ლექტორის კილოთი გვიხსნის ავტორი. „პირველად ის სუსტია... მეორე საფეხურზე ის უკვე გამძლავრებული და გაბატონებულია, მესამე საფეხურზე კი ის სუსტდება და ბოლოს ქრებაო“ (იქვე)... „ბ. არ. ჯორჯაძეს კი არც ერთი ეს არ ესმის. მისთვის მთელი ისტორია უკუღმა ტრიალებს; ჯერ სამოქალაქო ცხოვრება, მერე ერთ მეფობა, ფეოდალიზმიო“ (იქვე).

ეს ფილოსოფია დასჭირდა ბ-ნ ან-ს იმ აზრის გასაბათილებლად, რომ შეუძლებელია, რომ ჩვენში ფეოდალიზმის ხანაში არსებულიყო სამოქალაქო ცხოვრება. სამოქალაქო

ცხოვრება ფეოდალიზმის დათრგუნვის შემდეგ ჩნდება. მაშ
თუ ასეა საქმე, უძველეს ცივილიზაციათა აყვავების ისტო-
რია არამც თუ იმ გვარ საზოგადოებრივ სტრუქტურის ფარ-
გალში, სადაც ფეოდალობა არსებობდა, არამედ იქაც კი,
სადაც მონობის ინსტიტუტი იყო ძალაში, ზღაპრული ის-
ტორია ყოფილა! ფინიკიელების და კართაგენელების აღებ-
მიცემობა, ბერძენ-რომაელების კულტურა დემოკრატიულის
წეს-წყობით, განვითარებულის სამოქალაქო ცხოვრებით, ვე-
ნეციის და ფლორენციის რესპუბლიკები, რომელნიც ერთ-
მეფობას წინ უძღოდნენ—ყველა ეს და მრავალი სხვა ამგვა-
რი მაგალითი როგორც მავრების ცივილიზაცია, სადაც მა-
თემათიკური ცოდნა, ასტრონომიის განვითარება, ობსერვა-
ტორიების გამართვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო—ყველა ეს
კაპიტალიზმის გამოსვლამდე აღორძინებული კულტურა მოც-
ლილ და მატყუარა ისტორიკოსების მიერ გამოგონილი ზღა-
პარია, განა? მეტსაც ვიტყვი: კაპიტალიზმის წარმოშობამდე
არა მარტო განვითარებული სამოქალაქო ცხოვრება არსე-
ბობდა, არა მარტო დემოკრატიული დაწესებულებანი გაჩნ-
დნენ, არამედ კლასიური იდეოლოგიაც კი იყო განვითარე-
ბული. ბერძენთა ერთი მწერალი, რომლის სახელი უცნო-
ბია, პელოპონესის ომიანობის ხანაში სწერდა: „ღარიბებს
და უბრალო ხალხს ჩვენს ქალაქში სრული უფლებით მიე-
ნიჭათ უპირატესობა მდიდრებსა და კეთილშობილებზე.
ზღვაოსნობას უბრალო ხალხი აწარმოებს ჩვენში. სახელმწი-
ფოს სიძლიერე კი ამ ზღვაოსნობაზეა დამყარებული... შე-
იძლება სთქვათ, რომ ათინელებმა ყველას არ უნდა მისცეთ
კენჭის ყრის უფლება და საერთო კრებებზედ მხოლოდ ისი-
ნი მიუშვათ, ვინც ნიჭით და გვარით არის გამოჩენილიო.
მაგრამ ათინელებმა კარგად უწყიან, რასაც სჩადიან. ათინის
დემოსს კარგად ესმის, რომ უბრალო კაცს, მიუხედავად მის
უმნიშვნელობისა და უვიცობისა, თავის რჩევით მეტი სარ-
გებლობა შეუძლიან მოუტანოს ხალხს, ვიდრე კეთილშობილ
ადამიანს, რომელიც ხალხს მტრულად ეკიდება. რაც გინდ
კარგი იყოს სახელმწიფოებრივი წესი, თუ ხალხს მონობის
მსგავსი ადგილი უჭირავს, ამგვარი წესი მას შეეჯავრება.
ხალხს ხომ თავისუფლება და ძალა-უფლობის ხელში ჩაგდე-
ბა სწყურიაო 1)“.

1) Максимъ Ковалевскій: „Современные социологи“, 85: 25

ეს რა ამბავია? იფიქრებს ბ-ნი ან-ი. ისტორია უკუღმა ტრიალებს. სოციალ-დემოკრატიული „რეჩი“ ჩვენ ეპოქის პირველ საუკუნეებში, როდესაც ევროპაში ჯერ კიდევ არც კი იყო ფეოდალიზმის კვალიო? გაგონილა ამისთანა უცნაურობა? ფეოდალიზმის გაჩენამდე დემოკრატიული პროგრამა, ხალხის სრულ უფლიანობის აზრი, საყოველთაო არჩევნების პრინციპი! სიზმარია ეს თუ სინამდვილე? ალბად; სიზმარია!

იტალიაში მეხუთშეტე საუკუნის ბოლოს და მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში ძლიერ ცვალებადი იყო პოლიტიკური წეს-წყობილება. დემოკრატიას აუქმებდა არისტოკრატია; არისტოკრატიას — ტირანია. ფლორენციაში მომაკვდავ რესპუბლიკის გადასარჩენად ვენეციაში არსებულ მსგავსი დემოკრატიული წესი უნდა შემოეღოთ. მაგრამ დემოკრატიაზე იქ გაბატონდა ერთმეფობა — მედიჩების სახლიდამ გამოსული¹⁾. ცნობილ მაკიაველის აზრით, თავისუფლების დაცვა რესპუბლიკაში უნდა მიენდოს ერთ კლასს, ან აზნაურობას, ან ხალხს. აზნაურების სასარგებლოდ ღალატებს სპარტელების და ვენეციელების მაგალითი. ხოლო მაკიაველი კი უფრო ხალხს აძლევს უპირატესობას ამ საქმეში. რესპუბლიკა ამ შემთხვევაში ნაკლებ განსაცდელს განიცდის. ხალხს ხომ სხვის უღლის ქვეშ ყოფნა ეჯავრება, აზნაურებს კი ბატონობა ჰსურთ და მათგან ძალა უფლობის დაპყრობაა შესაძლებელი. ²⁾ ამ რიგად იტალიაშიაც ერთ-მეფობის წინ რესპუბლიკა არსებობდა და რესპუბლიკანურ ნიადაგზე ამუშავებდნენ კლასიურ იდეოლოგიას და დემოკრატიულ წყობილების პრინციპებს.

მაგრამ გადავიდეთ ისევ საქართველოში, ამოვიღოთ საფლავიდან ჩვენი წარსული. აქ უფრო ნათლად წარმოგვიდგება „ისტორიის უკუღმართი ბრუნვა“. ჩვენ წინად ოდნავად შევეხეთ მოქალაქობრივობის განვითარებას ჩვენს ძველს ისტორიაში. ეხლა კი ამ საგანზე მეტად შევაჩეროთ ყურადღა. მასალად ავიღოთ საქართველოს ეკონომიური ისტორია⁴ ივ. ჯავახიშვილისა, სადაც საყურადღებო ცნობებია **ქართულ ქალაქის** მოქალაქობრივ წყობილების, სააღებ-მიცემო და საფინანსო სისტემის შესახებ. ამ წიგნზე მეორედ მივაქცევთ

1) ibid 227.

2) ibid გვ. 228.

შკითხველის ყურადღებას, რადგან ქართულ ისტორიკო-სოციოლოგიურ ნაწარმოებში ეგ პირველი ცდა არის ამ ხასიათის მოვლენათა შესწავლისა.

მაშ ვნახოთ, რას წარმოადგენდა ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი? მართალია, ტფილისს ბევრგვარი ბატონობა უნახავს. სხვა და სხვა ხალხებს, სხვა და სხვა ცივილიზაციებს (განსაკუთრებით არაბებს) დაუტოვებიათ აქ თავიანთი კვალი. მაგრამ შორიდან მოსული მპყრობელნი წასულან, მათი ცივილიზაციაც გამქრალა, ტფილისი კი დარჩენილა, ეროვნულ ნიადაგზე განუვითარებია ნასესხი დაწესებულებანი და მოქალაქობრივ ცხოვრების ცენტრად გამხდარა იმ ხანაში, როდესაც ბ-ნი ან-ის უჩვეულობით შეუძლებელია მოქალაქობრივ ცხოვრების განვითარება. დავაკვირდეთ ამ ქალაქის ფიზიანომიას. როდესაც 1122 წელს დავით აღმაშენებელმა დაიბრუნა ტფილისი, მან „ყველგან, საცა კი საჭირო იყო „აღაშენა ხილნი მდინარეთა სასტიკთა და გზანნი საწყილოდ სავალნი ქვა-ფენილ ყვნაო“, მოგვითხრობს მემატიანე... 1) მიმოსვლა რომ ზამთარშიაც საძნელო არა ყოფილიყო, თამარ მეფემ „ფუნდუკი“ ანუ სასტუმრო ააშენა გზის პირას. ტფილისის მთავარ-გამგეს ქართველ მეფეების დროს ამირას ეძახდნენ. იგი „თავადი“ იყო ქალაქისა, უმთავრესი პირი. სხვა მომცრო ქალაქებში, როგორც მაგ. მცხეთასა და ატენში ამირას მაგიერობას ციხისთავი სწევდა. ქალაქის უმთავრესი ზედამხედველობა და უზრუნველყოფა ებარა ამირას ერთს ხელქვეით მოხელეს, რომელსაც „შურტას“ ეძახდნენ. იგი პოლიციის მცველების უფროსად ითვლებოდა და ქალაქში წესიერებას იცავდა ხოლმე. შურტას ქალაქის ბაზარისა და ბაჟის ზედამხედველობა ებარა. ტფილისში ამირას გარდა საბჭოს მაგვარი დაწესებულება ყოფილა, რომლის წევრებს ქალაქის ბერებს ეძახდნენ, ბერები ქალაქის წარმომადგენელნი იყვნენ და ამირას დარბაზის მოხელეებზე ანუ დარბაზის ყმებზე მალლა იდგნენ, ქალაქის ნამდვილი პატრონები „ქალაქის ბერები“ ყოფილან, ამირა კიდევ „ბატონი“ იყო. ქალაქის ბერები საქალაქო თვითმართველობის წევრები იყვნენ 2). რაც შეეხება მოქალაქეებს, ისინი ერთს საზო-

1) საქართველოს ეკონომიური ისტორია, ივ. ჯავახიშვილისა, გვ. 33.

2) *ibid*, 23—25.

გადოებრივ წრეს შეადგენდნენ. მოქალაქეებს მოსამართლეთა ჰყავდათ. მოსამართლეს დიდ-ვაჭრებიდან ირჩევდნენ. ზემო ჩამოთვლილ მოხელეებს გარდა ქალაქში იყვნენ ბაჟის ამკრეფი და სასწორთან დაყენებული დაბალი მოხელენი. „საკოშრეს“ ეძახდნენ სასწორზე დადებულ გადასახადს. ამრიგად ქალაქის მუნიციპალიტეტს შეადგენდნენ—ამირა, ქალაქის ბატონი, შურტა—ქალაქის მკველთა უფროსი, წესიერების დამამყარებელი და მოედნების ზედამხედველი. ქალაქის პატრონებად მკვიდრთა მიერ ამორჩეული „ბერები“ იყვნენ, ხოლო მსაჯულად—დიდ ვაჭართაგან მეფის მიერ დანიშნული „ბჭე“.

მოქალაქენი შესდგებოდნენ ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან. ზოგი დიდ-ვაჭრად ითვლებოდა, ზოგი მცირე-ვაჭრად. საქონლით სავსე ქარავნები შემოდისა და ხოლმე ტფილისს და ბრუნდებოდა უკან, ქარავანი განჯის, დმანისისა და ტფილისის შორის დადიოდა. საქართველოს გაჩაღებული ვაჭრობა ჰქონდა არაბეთსა, სპარსეთსა და საბერძნეთთან. **არაბების და სპარსელების** ქალაქებიდან შემოჰქონდათ ჩვენში: აფი ბაღდადური, ჯუბაჩა და სხვა და სხვა ძვირფასი ქსოვილები, რომელთაც „ტურფას“ ეძახდნენ, ოქროქსოვილები, რომელსაც ზარქაშს ეძახდნენ, სურნელება და ნელსაცხებელი-ბალასანი, მუშკი, ქაფური, თათრული აღვირები სადაფით შემკული, პატარა ყუთები ზარდახჩად წოდებული, ზოდებით ოქრო, ფოლადი, შაქარი, ძვირფასი თვალ-მარგალიტი, ბადახშანური ლალი, იაგუნდი, ფირუზი, სადაფი და ბროლი ¹⁾. **ბიზანტიიდან** შემოჰქონდათ: ქსოვილები, ოქროქსოვილი, „საკრამანგი“, ყოველგვარი სამღვდელმსახურო და საეკლესიო ნივთები, ხატები ბერძნული, სურათები, ბერძნული ტაშტი. **სომხეთიდან** წითელი ძვირფასი ფარჩეული მოჰქონდათ. შინაური ვარჯობაც განვითარებული იყო. არ მოიპოვება ნივთი და საგანი, რომ ბაზარში არ გაყიდულიყოს. მე-X—XIII საუკუნოებში, მაგალითად, შემდეგ ნივთებს ჰყიდნენ და ყიდულობდნენ ხოლმე: ცხენს, უნაგირს, ლაგამს, უნაგირს ოქროთა და ზარახშითა მოჭედის, ჯორს პალანკურდითა, სამოსელს, ჯუბაჩას, სახნისსაც კი, ქვაბს, ხარის ტყავს და ქალამანსაც კი, სახლს, მა-

1) *ibid* გვ. 30.

მულს.—ყანას, ვენახს, მიწებს პატარ-პატარა ნაქრობლივ, სოფლებს, ტყეს, ნაკალოებსაც კი, ქვას, ქვიშას, კირს, ერთი სიტყვით ყოველგვარ საშენებელ მასალას ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ მე-IX საუკუნეშივე. ერთის სიტყვით, აღებ-მიცემობა და სყიდვა-გაყიდვა ძალიან გავრცელებული იყო ¹⁾).

ყიდვა-გაყიდვის წესებიც იყო შემუშავებული: როდესაც მყიდველნი და გამყიდველნი „ფასით შეჯერდებოდნენ“ (შეთანხმებოდნენ), ნასყიდობის წიგნს ადგენდნენ ხოლმე. სადაც აღნიშნული იყო „მივიღე ფასი სრული“ და „მოწამე არიან კაცნიო“. ამ დროს კარგათ არჩევდნენ ნივთის ნამდვილ ღირებულებას და მისს ბაზრულ ფასს. ბაზრულ ფასს „ვაჭრულად დაფასებას“ ეძახდნენ. XI—XII ს. ბაზრობა სცოდნიათ. ბაზრობას მაშინ „სავაჭრო ერის კრებას“ ეძახდნენ ²⁾. აღებ-მიცემობის განვითარების ნიშნებს იმაშიაც ვხედავთ, რომ იმ დროში სავაჭრო ამხანაგობებიც არსებობდნენ. მათი სახელი იყო „ორტალი“, რაიც ნიშნავს სავაჭრო ამხანაგობის მონაწილეს. სავაჭრო ამხანაგობა ანუ ორტალნი, საქმეს ფართოდ აწარმოებდნენ, ზოგი დიდ მამულებსა ყიდულობდა და ჰყიდდა ხოლმე ისეთ მამულებს, რომელიც ფულის საშინელ სიძვირის დროსაც კი 65000 თეთრად ღირდა. ზოგს კიდევ ვაჭრობის გარდა ფულის სესხი უძღვევია, ორტალებს რაღაც საკრედიტო დაწესებულების მაგვარი ამხანაგობა ჰქონიათ: ფულის აღების დროს თამასუქიც იყო ხმარებაში. ³⁾

ხელოსნებში იყვნენ მაშენებელნი. ესენი იყვნენ კირით-ხურო, ქვით-ხურო („კალატოზი). ხუროების უფროსი ხუროთ-მოძღვარი იყო, ქვის ხუროების უფროსს „კალატოზთა უხუცესს“ ეძახდნენ. IX—XI ს. ქვითკირისას აშენებდნენ—ეკკლესიებს, სახლებს, მარნებს, ბოსლებს, ფარეხებს, საწნახელებს. ხისას აკეთებდნენ—ეკკლესიებს, სამზარეულო და სამეხრეო სახლებს, ოდა-საწნახლებს. ამ დროს ორ-სართულიანი შენობებიც სცოდნიათ: „სახლი ქვითკირი და ზედა სახლი მუხისა, ბოსელი ქვითკირი და ზედა სახლი მუხისა“ და სხ. სახლის აშენების დროს ჯერ „ადგილს შეა-

1) *ibid.* 32.

2) *ibid.* 33.

3) *ibid.* 34—35.

მზადდებდნენ“. თაღების გადაყვანას რომ შეუდგებოდნენ, ჯერ „კალაპოტს“ შეუდგამდნენ, თალი რომ გამაგრდებოდა, „კალაპოტს გამოუყრიდნენ“ და მერე „მოლესავდნენ“. მოლესვის შემდეგ „მოხატავდნენ“, „მოქიქავდნენ“ და „დააქრელებდნენ“¹⁾.

ხელოსნებში იყვნენ აგრეთვე ხატის გამკეთებელნი „ოქრო-მკედლები“. ამათი ხელოვნური ნაწარმოები საუკეთესო ბიზანტიის ხელოსნების ნივთებს არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ. იყვნენ აგრეთვე მკერვალები, ხარახები, მკედლები. ზოგიერთ ხელოსნებს თავიანთი საქმე ფართოდ ჰქონდათ დაყენებული. საქართველოს საქალაქო წეს-წყობილებაზე არაბებს გავლენა ჰქონდათ, ამიტომ იმ ხანაში ჩვენში ამქრობაც უნდა ყოფილიყო, რადგან ამქრობა უკვე მე-VIII ს. არსებობდა არაბეთის სახალიფოში²⁾.

განსაკუთრებულ და მეტად შემოსავლიან ხელობას წიგნების გადაწერა და შემზადება შეადგენდა. უფასოდ წიგნს არავინ არ დასწერდა. წიგნის გადაწერას რომ მორჩებოდნენ, „შემოსვას“ შეუდგებოდნენ. „შემოსილ“ წიგნს უღის გასაკეთებლად აძლევდნენ ხოლმე „მკაზმავებს“ ანუ „მკაზმელებს“. ბევრი ხელოვნების მოყვარე ქართველი თავის წიგნს სურათებით ანუ „ხატებით ამკობინებდა“. პირველ ფურცლის დამსურათებელს „კამარათა მწერალი ერქვა“. შეძლებულნი სურათებსა და „კამარებს“ საბერძნეთიდან იწერდნენ. წიგნები კაი ფასში იყიდებოდა და მწერლებისთვის დიდი შემოსავალი უნდა მიეცათ. მე XI ს. სიგელში ნათქვამია: „ვიციოდე წიგნი პარაკლიტონი და მივეც ფასად ცხენისა ნახევარიო“. ³⁾ და სხვა.

ჩვენ განზრახ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება ამ წვრილმან ფაქტებზე, რომელნიც, საერთოდ აღებულნი, დაახლოვებით მაინც გვისურათებენ ჩვენ წარსულ დროის ხასიათს და ვითარებას. ჩვენს წინ რთული საქალაქო წეს-წყობილებაა. განვითარებული ცხოვრებაა თავის სპეციალურის ორგანოებით, ჩვენს წინ დიფერენციაციაა საზოგადოებრივ ფუნქციებისა და ორგანოებისა, რაიც მაჩვენებელია

1) ibid. 39.

2) idib. 41.

3) ibid. 45.

მოქალაქობრივობის წარმატებისა. ჩვენის ისტორიის ამ ხანაში ველურობას და ბარბაროსობას ადგილი აღარ აქვს, ეს უკვე ცივილიზაციის ხანაა. პოლიტიკურ ფარგალში ეს ხანა დახასიათდება ერთფერობის და ფეოდალობის ერთმანეთთან ბრძოლით. აქ ამ ფარგალში მოვლენათა მსვლელობა ფრიად ცვალებადია. აქ ხან ფეოდალები სძლევენ მეფეებს და მაშინ იჩრდილება ეროვნული იდეალი, მოქალაქობრივი ცხოვრების ძარღვი სუსტდება, ხან მეფეები გამოდიან გამარჯვებულნი და ისევ სიცოცხლე ენიჭება ეროვნულ კულტურას. ასე იყო მეთუთხმეტე საუკუნემდე. ამ დროიდან მე XVII—XVIII საუკუნემდე თითქმის სწყდება ქართულ ეროვნულ კულტურის მაჯის ცემა. ამ ხანაში გარეშე მტრები ისეთის სიმძიმით დააწვნენ საქართველოს, რომ იქ თითქოს სიცოცხლის ნატამალიც კი გამქრალაო. პოლიტიკური სხეული დაძაბუნდა, თავისუფლების აზრი დაითრგუნა, საზოგადოება ზნეობრივად დაეცა. წაიკითხედ შარდენის „მოგზაურობა სპარსეთში“ (საქართველო მაშინ სპარსეთს და ოსმალეთს ეკუთვნოდა) და იქ დაინახავთ, რომ იმ ხანაში ქართულ საზოგადოებას აშკარად ეტყობა ნიშნები გაველურებისა. XVIII საუკუნიდან ისევ იწყება საქართველოს აღორძინება. და ეს აღორძინება თავდაპირველად პოლიტიკურ დამოუკიდებლობის მოპოვებით იწყება. ჯერ ხნობით გარეშე მტერზე იმარჯვებს საქართველოს ერთი ნაწილი. და შემდეგ პოლიტიკურ ცხოვრების ზედაპირზე ისევ გამოდიან საბრძოლველად და საჭიშპოდ ჩვენი საზოგადოების სიღრმეში ჩასახული ელემენტები. ფეოდალობა ისევ შეებრძოლა ერთმეფობას. აქაც მეფობის გამაგრების ჟამს ისევ იფურჩქნება და იშლება ნაციონალური კულტურა, ისევ ვითარდება მოქალაქობრივობა, ისევ იზრდება მწიგნობრობა და სხვა. საუბედუროდ, იმ დროს საერთაშორისო განწყობილება ისეთი იყო, რომ აქ თითქო, საბოლოო ანგარიშებს ასწორებდა რუსეთი მაჰმადიანთა სამეფოსთან, სპარსეთსა და ოსმალეთთან. და საქართველო გაიქცლიტა შუაში ამ ანგარიშების გასწორების დროს. შესწყდა ბუნებრივი ორგანიული განვითარება ქართულ საზოგადოებისა და მხოლოდ ეხლა, ასისწლის შემდეგ, ქართველმა ხალხმა ხელმეორედ მოინდომა სიცოცხლე, მოინდომა ძველ კულტურასთან და საზოგადოებრივობასთან გაწყვეტილ სიმების გაბმა. მხოლოდ ეხლა

შემზადდა ნიადაგი ორგანიულის განვითარებისა, ისტორიულად შემუშავებულ ეროვნებისა, მაგრამ ეხლა, როგორც ძველ დროშიაც, ამ მუშაობას, ამ შემოქმედ კულტურულ აღორძინებას დამქსაქსველი ძალა ელობება. ეს არის გარე-შე პოლიტიკური ძალა და შინაურობაში აღზრდილი კოსმოპოლიტიკური მიმართულების „წიწილები“.

ჩვენი ეროვნული კულტურა დღესაც დიდ განსაცდელშია. „პროგრესობად“ და „მოწინავეობად“ დღეს ის ითვლება, თუ ამავეთ ყოველივე, რაც წარსულში გვექონდა და თუ წარსულის ცოდნის ნაცვლად ფრაზებით შემკული საცოდავი უცოდინარობა გამოააშკარავეთ. აი თუნდ ბ. ან-ს დახედეთ. როდესაც ჩვენ ფუქსავატ უცოდინარობას მივუთითებთ წარსულ ისტორიის შესწავლის საჭიროებაზე; როდესაც ვსთქვით, რომ სამართლიან მსჯავრის დასადებად საჭიროა გარჩევა კარგისა ავისაგან, თუნდაც რომ ეს კარგი შორეულ წარსულს ეკუთვნოდეს, ბ-ნ-ი ან-ი გაიძახის: „ა. ჯორჯაძე ეძებს საქართველოს იდეას ძველ საქართველოში „უწინარეს მრავალ საუკუნეთა ქრისტეს შობისა“... ასეთი კაცი, ასეთი პრიმიტიული მოაზრე ადამიანი ერის უფლებების დამცველად გამოდისო“ („ცხ. სარკე“, № 20). ჩვენ ეს სიტყვები იმისთვის კი არ მოგვყავს აქ, რომ მათი დარღვევის სურვილი გვექნოდეს. თავმომწონეობა. ცუდი სენია, ამ სენით, მგონი, ავადმყოფი არ გახლავართ, მაგრამ თავს მაინც არ დავიმდაბლებ ბრაზიან აბდა-უბდასთან შეკამათებით. ჩვენ მოგვყავს ეს სიტყვები ბ-ნი ან-ის დასახასიათებლად. მე ვამტკიცებდი და ეხლაც ვამტკიცებ, რომ ბ ნ ანს საქართველოს არც ძველი, არც ახალი ისტორიის შესახებ საფუძვლიანი ცოდნა არა აქვს, რომ ამ თავის უფიცობას ჰფარავს კბილებ ჩაცვივრულ რადიკალიზმით და რომ დღეს დადგა ის დრო, როდესაც ამ ხასიათის საზოგადოებრივ ბოროტებას ძირი უნდა გამოეთხაროს და ყოველივეს თავისი საკუთარი, ღირსების შესაფერი სახელი მიეკუთვნოს.

ბ-ნი ან-ი, როგორც იცით, დღევანდელ ნაციონალურ მოძრაობას მეთვრამეტე საუკუნის ფეოდალურ მოძრაობას უკავშირებს. მისის აზრით, ფეოდალები ახდენდნენ აჯანყებებს რუსეთის წინააღმდეგ. „ეს აზროვნება გადმოეცა შემდეგ მესამოცე წლების პატრიოტულ მიმდინარეობას, რასაც აგრძელებს ბ. ჯორჯაძე და ძმანი მისნიო“. როგორც ჰხედავთ,

ბ-ნი ანი კვლავაც გაიძახის, რომ რუსეთის რეჟიმის წინააღმდეგ ფეოდალობა იყო ამხედრებული, და რომ ხალხს ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არა ჰქონია და რომ დღესაც ჩვენებური ნაციონალიზმი ფეოდალურის ტრადიციის განვითარებააო. მაგრამ არის მეორე მოსაზრება, განაგრძობს ავტორი. „ეს მოსაზრებაა დაჩაგრული ხალხისა, რომელიც წარსულში ვერას ჰხედავს, გარდა ბორკილებისა და მომავალზე ამყარებს თავის იმედებს...- ესეც პატრიოტიზმია, მარა არა რეაქციონური და პესიმისტური, არამედ პროგრესიული და ოპტიმისტური... ა. ჯორჯაძე და მისი თანამოაზრენი კი წარსულის პატრიოტებია, წარსულის მოციქულებია. მათი დევიზია: „ჰაი, სამშობლო, დამლუპველო“ (იქვე).

როგორც ჰხედავთ, ჩვენს „პროგრესიულ პატრიოტს“ თავისი აზრი ფეოდალობის და ნაციონალიზმის შორის არსებულ კავშირის შესახებ დამტკიცებულ და უტყუარ აზრად მიაჩნია, თავისი არ ცოდნა იმ ეპოქისა, როდესაც რუსობა შემოვიდა ჩვენში და ხალხმა არ შეიწყნარა ახალი პოლიტიკური წესი(უკედ ვსთქვათ უწყსოება), დიდ სასიქადულო საქმედ ეჩვენება. ის ტრაბახობს, მეც პატრიოტი ვარ, მაგრამ ოპტიმისტი და პროგრესისტი პატრიოტი. დამყაყებულ ძველ დროში კი არ ვიყურები, არამედ შორს, იქ, სადაც ნელად და დინჯად მოსჩქეფენ და მოღელავენ მდინარე ნევის ტალღებიო. ჩვენი ოპტიმისტ-პატრიოტის აზრთა ფრენის შეშლას არ ვკისრულობთ, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ ჩამოვაგდოთ ლაპარაკი იმ ამბების შესახებ, როდესაც, როგორც ეხლა ნათლად ირკვევა, საფუძველი ჩაეყარა ეხლანდელ ჩვენს პოლიტიკურ ჯგუფთა და მიმართულებათა ჩასახვას და ვითარებას.

III

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ამბების ნათელ-ფენა მით არის საყურადღებო, რომ აქ იყო დანგრეული საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ფორმები, აქ მოისპო საუკუნოებით შემუშავებული წეს-წყობილება და აქ ამ ხანაში შემოიჭრა ჩვენში ახალი ძალა, ახალი რეჟიმი, რუსეთის სახელმწიფო თვითმპყრობელობა, რომელიც ქართველ ხალხის არც ზნეს, არც ჩვეულებას არ შეესაბამებოდა. ბ-ნი ან-ი ამტკიცებს, რომ ეს ცვლილება მოხდა ჩვენში ისე, რომ ხალხს

პროტესტი არ განუცხადებია და რომ თუ იყო ვინმე უკმა-
ყოფილო ამ ახალის რეჟიმით, ესენი იყვნენ ფეოდალები,
რომელნიც რუსობის შემოსვლით ჰკარგავდნენ თავიანთ უპი-
რატესობას, ხალხი კი რუსობის მხარეზე იყო, რადგან რუ-
სობაში ჰხედავდა მფარველობას თავგასულ ფეოდალობის წი-
ნააღმდეგ. მაგრამ სწორედ ამ ხანაში მოხდა ორი ხალხური
აჯანყება და რადგან ამ ფაქტების უყურადღებოდ დატოვება
შეუძლებელია, ბ-ნი ან-ი ამბობს, რომ ეს აჯანყებები მოხე-
ლეთა ბოროტებით და ზოგიერთ მოთხოვნილებათა დაუკმა-
ყოფილებლობით იყო გამოწვეული და არა იმითი, რომ
ხალხი ებრძოდა მთელ სისტემას, ახალ რეჟიმს, რუსობის ბა-
ტონობას ჩვენშიო. თუ ეს ასე იყო, მაშინ მთელ რეჟიმის
უარყოფა და უკუგდება კი არ იყო საჭირო, არამედ ამ რეჟიმის
შემხუთავ მხარეებისა, საჭირო იყო ბრძოლა იმისთვის, რომ
ახლად შემოტანილი წესი გაეუმჯობესებინათ და არა მის-
თვის, რომ ის სრულიად გაეუქმათ. ბ-ნი ან-ი გვარწმუნებს,
სწორედ ასე იქცეოდა ხალხი ამ ასი წლის წინადო. ამ ყალბ
აზროვნობას თავისი პრაქტიკული ნაყოფი დღეს გამოუტანია
გარედ. ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა მთელის თავის
არსებით გართულია რუსეთის პოლიტიკით. იგი სდგას რუ-
სეთის სახელმწიფოს ნიადაგზე, ამ სახელმწიფოს რეორ-
განიზაციასა და რეფორმებზე ზრუნავს და მასა ჰგონია, რომ
საქართველოს სწორედ ამ რეფორმების წყალობით ეშველე-
ბა და იგი ახლო მომავალში თავისუფლად ამოისუნთქვას.
ეს ის ნაწილია ჩვენის საზოგადოებისა, რომელსაც დღეს
ჰგონია, რომ ამ ასის წლის წინად იგივე გარემოება იყო,
რაც დღეს არის, რომ მაშინაც საქართველოს ბედ-იღბალი
რუსეთის პოლიტიკურ წყობილებების გაუმჯობესებაზე იყო
დამოკიდებული და არა ეროვნულ-პოლიტიკურ თვით-მოქ-
მედების განვითარებაზე. ამ აზრების დამცველთ ასის წლის
წინადაც ბევრი მომხრე ჰყავდა, ხოლო მაშინ ესენი იყვნენ
თავადები, რომელნიც პირად გამორჩენას ეძებდნენ ეროვ-
ნულ დამოუკიდებლობის მოსპობაში და ძლიერ ბატონის
დამკვიდრებაში, ეხლა ამ აზრის მიმდევარნი არიან სოციალ-
დემოკრატები. ამათ, მართალია, სხვა მიზანი აქვთ დასახული
მომავალში, ხოლო მათ მოქმედებას იგივე გამანადგურებელი
შედეგი მოსდევს, როგორც მოჰყვა ამ ასის წლის წინად
ჩვენ „უნიაონისტების“ მოქმედებას.

ჩვენ ვდგევართ სხვა ნიადაგზე. და ჩვენის პოზიციის დასაცავად **ისტორიაშიაც** ვპოულობთ საბუთებს. ეს ისტორია გვეუბნება, რომ დღევანდელი ჩვენი უბედურება წარმოსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივობის მოსპობით, რომ თუმცა ეს სახელმწიფოებრივი წყობილება უვარგისი და გამოსადეგარი იყო, მაგრამ **საჭირო იყო მისი რეორგანიზაცია და მისი გაუმჯობესება და არა მოსპობა**. ეს კარგად შეგნებული ჰქონდა ხალხს ამ ასის წლის წინად და იგი ახდენდა აჯანყებას პოლიტიკური თავისუფლების შესარჩენად. ხოლო ეს სრულიად არა ნიშნავს იმას, რომ იმ ხანაში ხალხი კმაყოფილი იყო თავის შინაურულ მდგომარეობით. ჩვენმა ხალხმა ჯერ კიდევ მე-XVIII საუკუნეში გამოუცხადა ბრძოლა ფეოდალობას. ისიც მართალია, რომ რუსობის მოსვლას იგი სასოებით ელოდა, რუსები შეგვიმსუბუქებენ ცხოვრების ტვირთსაო. მაგრამ რუსებმა არ შეუმსუბუქეს ეს ტვირთი, პირ-იქით უფრო დაუმძიმეს და ხალხმა მოინდომა ახალ ბატონოების გარეკა.

ბ-ნი ან-ი გვეუბნება, რომ ეს ისტორია ყალბია, რომ იგი პატრიოტულია, ხოლო ნამდვილი ისტორია ის არის, რომელსაც ის გვიამბობს. „აქ საკამათო უნდა იყოს არა ისტორიული, უკვე მომხდარი ფაქტები, არამედ მათი დაფასება და მოგება. ან მაშინ კამათიც მართლა მნიშვნელოვანი იქნებაო“ („ნაპერწყალი“ № 3). ძლიერ შემცდარი აზრია. საკამათო სწორედ რომ ჯერ ხნობით **ისტორიული ფაქტებია**. ჩვენ მეცნიერული ისტორია ჯერ არა გვაქს. პუბლიცისტის ისტორია სანდო არ არის. აი, თუნდ ბ-ნი ან-ის ისტორია. რა წყაროებით სარგებლობს ბ-ნი ან-ი? ერთად-ერთი წყარო, ერთად-ერთი მასალა მისის ისტორიისა არქეოგრაფიული კომისიის ცნობილი „აქტებია“. სხვა რამ საბუთი მას ხელთ არა აქვს. არც დუბროვინი არც ბუდკოვი, არც ჯანაშვილი, არც ფრონელი, არც ივანენკო, არც ესაძე მას წაკითხული არა აქვს (ყოველ შემთხვევაში არ სჩანს, რომ წაკითხული ჰქონდეს; ესაძეს წიგნი მან წაკითხა ჩემის წერილების გამოსვლის შემდეგ). რაიც შეეხება „აქტებს“, რაზედაც ისე ნდობიდა ეყრდნობება ავტორი, „აქტები“ ისტორია არ არის, „აქტები“ ოფიციალურ დოკუმენტების კრებულია. აი თუნდ აიღეთ ორი დოკუმენტი. „აქტების“ დოკუმენტები კახეთის ამბოხების შესახებ და ბატონიშვილ დავითის მემუარები. ესე-

მანეთს ეწინააღმდეგებიან ერთი და იგივე ფაქტების
ობაში. ვინ არის მართალი მათში? ამის შესახებ მეც-
ნიერულ ისტორიას ჯერ კიდევ თავისი აზრი არ უთქვამს.
მართალია, ა. ფრონელს აქვს გამოთქმული მოსაზრება ამ
დოკუმენტების უპირატესობა-უვარგისობის შესახებ, ხოლო
მის ნათქვამსაც სხვა საბუთებით უნდა გამაგრება და ეს სა-
ბუთები კი ჯერ ხნობით არსადა ჩსანს. ვიმეორებ „აქტები“
ისტორია არ არის, არამედ ისტორიის დასაწერი მასალაა,
რომელიც კრიტიკის ქარცეცხლში უნდა იქმნას გატარებული.
ბ-ნი ან-ი კი იქ შენახულ ყოველ-გვარ ქორებსაც კი აძლევს
ისტორიულ ფაქტის მნიშვნელობას და მით შეჰყავს შეცდო-
მაში თავისი თავიც და მკითხველიც ¹⁾.

ან, თუნდ „აჯანყებათა“ ამბავი აიღეთ. აქტებით ხელში
ბ-ნი ან-ი ამტკიცებს, რომ არც „მთიულეთის“, არც „კა-
ხეთის ამბოხება“ „სრულიად არ ყოფილა ნაციონალური
აჯანყება, აჯანყებულთ არც ერთი ნაციონალური მოთხოვ-
ნილება არ წამოუყენებიათო („ცხოვ. სარკე“ № 23)...
„სოფლების ყველა მოთხოვნილებები ეხებიან ბევარას და
სამხედრო მოხელეთა თვით-მოქმედებასაო“ (იქვე). ასე რომ,
აჯანყებას პოლიტიკური ხასიათი არა ჰქონია. ქართველებს
რუსების **განდევნა** არ სდომებიათ, მართლოდენ მოხელეთა
აღაგმვა, მათ **ომი** არ გამოუცხადებიათ რუსეთის **მთავრობი-
სათვის**. და ყოველივე ეს „აქტებში“ ამოუკითხავს ჩვენ პუ-
ბლიცისტს. მაშ გადავშალოთ იგივე „აქტები“ და წავიკით-
ხოთ ზოგიერთი საბუთები, რომელნიც სულ სხვა ნათელს
ჰფენენ ამ საგანს.

სრული ქეშმარიტებაა, რომ აჯანყება მოხელეთა ბო-
როტ-მოქმედებით იყო გამოწვეული. წინადაც მოგახსენეთ,
რომ ხალხს რუსების მოსვლა უნდოდა, იგი სასოებით მოე-
ლოდა მათ, მაგრამ რუსების აქ ფეხის შემოდგმის პირველ

1) მაგალითად, იმის დასამტკიცებლად, რომ ხალხს მთავრობის
მხარე ეჭირა, აქტებიდან მოჰყავს შემდეგი „დოკუმენტი“. 1803 წ. ქარ-
თლიდან ერთი აფიცერი იწერება: ჩემთან მოვიდა თ. ივანე ციციშვი-
ლის შინაყმა ქალი და გამოაცხადა, საიდუმლოება მაქვს გარდმოსაცემი,
მაგრამ არ გამამხილო: **პირველად** მითხრა, რომ ის და ყველა გლეხე-
ბი რუსების მომხრე არიან, ხოლო თავადებს და აზნაურებს ჩვენ (რუ-
სები) ვძულვართო. „**АКТЫ**“. ტ. II 303, („ცხ. სარკე“ № 23). როგორც
ჰხედავთ, დედაბრების ქორებიც კი გამოუყენებია საისტორიო მასალად!

წლიდგანვე გაიგეს, რომ შეჰცდნენ, რომ იმედი გაუცრუვდათ, მდგომარეობა დაუმიძიდათ. და მოხელეთა წინააღმდეგ დაწყებული პროტესტი იზრდება, იმდენად იზრდება, რომ მთავრობის წინააღმდეგ ომიანობაში გადადის. მთაში გაბრიელ ყაზბეგთან მივიდნენ ხალხის რწმუნებულნი და სთხოვეს: „იკისრე ჩვენი წინააღმდეგობა და სარდლობა, გაეც შენთან შეხიზნული რუსები და ხაზინა, სადაც რამდონიმე მილიონი ფული იყო¹“. აქტების დოკუმენტი მოგვითხრობს აჯანყების იმ მომენტს, როდესაც მას უკვე პოლიტიკური ხასიათი მიეცა და როდესაც აჯანყებულებმა რუსების გარეკა მოინდომეს. ხალხი პოლიტიკური ხასიათი აჯანყებისა კახეთის ამბებში უფრო ნათლად სჩანს. კახეთის მეამბოხენი სწვრდნენ თელავის კომენდანტს: „გაუწყებთ, რომ ჩვენ ბარის და მთის კახელები წერაში გამოცდილები არა ვართ და თქვენი მოწერილი ვერ გაგვიგია. და გიცხადებთ, რომ ქრისტეზე ხელი არ აგვიღია, არც ხელმწიფისთვის გვიღალატნია, არც ფიცი გაგვიტეხია, თქვენ მოგვეციოთ საბაბი. რაც ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის მანიფესტით იყო გამოცხადებული, თქვენ არ აასრულეთ. თქვენ დაიწყეთ და ბრალიანსა და უბრალოსა აღრჩობდით ბაწარზე. მაგრამ ამასაც ვითმენდით, რაკი ფიცი მივეციოთ ხელმწიფეს. თქვენ კი რაც არა გვქონდა, იმას ეგზეკუციებით და ხიშტებით გვართმევდით. გვიხოცავდით ცოლ-შვილს, რაც პური გვქონდა წაიღეთ და შიმშილით გვწყვეტდით და გვეუბნებოდით, ბალახი სძოვებო, მაგრამ ბალახით როგორ გამოვკვებოთ ბავშვები? მძიმე ბეგარისაგან საქონელი დაგვეხოცა და შეშაც გამოიღია ტყეში ურმების გასაკეთებლად. ამისთანა შეურაცყოფა ვეღარ მოვითმინეთ და ჩვენი ცოლ-შვილის დახოცვას ისევ თქვენ დაიხოცენითო“²). როგორც ჰხედავთ, დოკუმენტი გვისურათებს ამბოხების მიზეზს, გვეუბნება იმას, რომ ხალხი დადებულ ხელშეკრულების ნიადაგზე იდგა. მანიფესტი თქვენ არ აასრულეთო და ამისგან გამომდინარე ბოროტების ამტანი ჩვენ არა ვართ. ფიცი ჩვენთვის სავალდებულო აღარ არისო. საყურადღებოა მარკიზ პაულუჩის, მთავარ-მართველის პასუხიც: „რას სჩადიხართ! რამ დაგაბრმავათ და რა მოიწადინთე! ნუ

1) „АКТЫ“, II გვ. 322.

2) ibid T. Θ. Ст. 82.

თუ თქვენ განრისხებაში დაგავიწყდნათ ძალა და დიდება რუსეთის მამაცი მხედრობისა! ნუ თუ სარწმუნოებაც დაივიწყეთ?., იცოდეთ, რომ თქვენ გაჰბედეთ მის უდიდებულესობის მხედრობის წინააღმდეგ გალაშქრება, იმ მხედრობისა, რომელიც ერთმორწმუნე ძმები არიან თქვენი, რომელიც თქვენც და თქვენს ქონებას მტრებისაგან და თავდასხმისაგან იცავდნენ. ეხლა თქვენს წინ ორი გზაა. ერთი ხსნისაჲ მეორე განადგურებისა. შევკრიბე დიდი ლაშქარი და მივდივარ კახეთშიოა.¹⁾ მაგრამ შეამბოხენი არა ხუმრობდნენ და საპასუხოდ სწერდნენ: „დარწმუნებული იყავით, რომ არამც თუ ჩვენ ვართ თქვენს წინააღმდეგ, ყველა ჩვენი ძმები, მთელი კახეთი და ქართლი თქვენი მხეცობის წინააღმდეგ ავსდებიან. თქვენ ველარ შეგირიგდებით. კმარა. ველარ მოვსტყუვდებით.“²⁾ აქ უკვე ექვს გარეშეა, რომ რაკი ერთმა მხარემ ხელ-შეკრულების დათრგუნა მოინდომა, მეორე მხარე უკვე განთავისუფლებულია ვალდებულებისაგან და თავის უფლებათა დასაცავად ხელში იარაღს იღებს. ეს უკვე ომია და ბრძოლის პოლიტიკური მომენტი აქ უკიდურესობამდე არის ხაზ-გასმული: გლეხებს გაუქმებულ მეფობის აღდგენა არ უნდოდათო. მაგრამ თქვენ მიერ მოყვანილ დავთრებში რომ არის საბუთი იმის შესახებ, რომ კახელებმა ომის დროს მეფეც კი აირჩიეს! ამბოხების დამარცხების შემდეგ პაულუჩი სწერდა ხელმწიფეს: „ბატონიშვილი გრიგორი, მოსკოვში მყოფ იოანე ბატონიშვილის-შვილი, კახეთის შეამბოხეთა მიერ საქართველოს მეფედ იყო აღიარებული. ეს მეფე თავის სახელით შემადრწუნებელ პროკლამაციებს ავრცელებდა და მისს სახელსაც, როგორც საქართველოს მეფეს, იხსენიებდნენ საყდრებში. ეს მეფე თქვენ უდიდებულესობის მხედრობის წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ დამარცხდა, გაიქცა ანწუხელ ლეკებთან, მაგრამ იქიდან თავის ნებით ჩამოვიდა, გამომეცხადდა ახლა ჩემს ხელშიაო.“ მგონი, საკმარასია ყოველივე ეს იმის დასამტკიცებლად, თუ რა ხასიათისა იყო კახეთის ამბოხება და ვისკენ იყო მაშინ ხალხის გული. ხოლო, გახსოვდეთ, რომ ყოველივე ეს აქტებითვე მტკიცდება, მასალით, რომლითაც ბ-ნი ან-ი სულ სხვას ამტკიცებს. ახლა თქვენ

1) Ibid. T. V. Ст. 82.

2) Ibid. T. V. Ст. 82.

თვითონ გასინჯეთ, რამდენად სანდოა ბ-ნი ან-ის მიერ ამოკრეფილი დედაბრების მოწმობა ისტორიულ სინამდვილის გასაგებად. ბ-ნი ან-ი გვეუბნება, საკამათო საგანი თვით ისტორიული ფაქტი არ არის, არამედ დამტკიცებულ ფაქტების დაფასებააო. ესლა თვითონაც მიხვდება, რამდენათ მოშორებულია იგი ქეშმარიტ გამოკვლევის გზას.

იმ ხანებში თავად-აზნაურობის ერთი ნაწილიც იღდა ისტორიულ უფლებათა დაცვის ნიადაგზე. ჩემს წერილებში ამის შესახებ გაკვრით მქონდა ლაპარაკი, რადგან გასარკვევი საგანი სხვა გვქონდა, ის, თუ რამდენად ხალხი იღებდა მონაწილეობას პოლიტიკურ ბრძოლაში. სრული ქეშმარიტებაა, რომ პირველად 1802 წ. კახეთის თავად-აზნაურობამ თავის პროტესტით მოაგონა რუსეთის მთავრობას, რომ მან დაარღვია ხელ-შეკრულება და ფეხით გასთელა ის შეხედულება რუსეთთან ქვეშევრდომობის შესახებ, რომელსაც ადგა ქართველობა. ბ-ნი ან-ი „რომელიც გვაგონებს ამ ფაქტს, რადგან მისის აზრით ჩვენ მას არ ვიცნობთ, სულ სხვა ელფერს აძლევს მას. თავადები იბრძოდნენ მარტოდნენ „ფეოდალურ უფლება-უპირატესობის დასაცავად“ („ცხ. სარკე“, № 23). მე სრულიადაც არ უარვყოფ იმ გარემოებას, რომ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოში ჩვენი თავად-აზნაურობა **წოდებრივ გრძნობებით იყო გამსჭვალული**. არც იმას უარვყოფ, რომ მას ფეოდალური ტენდენციები ჰქონდა. მაგრამ პუბლიცისტიმა მაინც არ უნდა გარიოს ერთმანეთში წოდებრივობა და ფეოდალობა. **ფეოდალობა ერთმეფობის მტერია და ყოველთვის ებრძვის მას. წოდებრივობა კარგად ეგუება ერთმეფობას და მის ერთგულებასაც იჩენს**. ვისაც ჰგონია: რომ ჩვენი თავად-აზნაურობა ძველს ისტორიაში ერთობ იყო გამსჭვალული ფეოდალურის ტენდენციებით, მას ამ ისტორიაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს. ეჭვს გარეშეა, რომ ერთი ნაწილი ჩვენი თავად-აზნაურობისა ძველ დროში უბრალო წოდებრივობას არ გასცილებია, არ გადასცილებია მას რუსობის შემოსვლის დროსაც და საყურადღებო მოვლენა ის არის, რომ ქართველი ნამდვილი ფეოდალები ბოლომდე არ შეურიგდნენ ქართველ მეფეებს და რუსობის შემოსვლისთანავე მისი მხარე დაიჭირეს, რადგან რუსობასთან შერიგება მათთვის უფრო სასარგებლო იყო, ვიდრე მასთან

იმ ხასიათის ბრძოლის გაწევა, რა ბრძოლასაც უწევდნენ ქართველ მეფეებს. ქართველ პუბლიცისტს ეს უნდა ესმოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ბ-ნ ან-ის მდგომარეობა დაემატება. იგი ყოველ-გვარ აჯანყებას „ფეოდალობის“ სახელით მონათლავს და ერთ ნაბიჯსაც ვერ წასდგამს წინ ისტორიულ სინამდვილის გასაგებად.

1802 წელს როდესაც უკვე აშკარად გამოირკვა, რომ რუსეთი უფლებების ნიადაგზე აღარა სდგას, ამ ფაქტის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა თავად-აზნაურობამ, არა ფეოდალურმა (ამილახვრიანებმა, ერისთვიანებმა, მუხრანეანებმა და სხვებმა), არამედ იმ ნაწილმა თავად-აზნაურობისამ, რომელიც საუკუნოებით ერთგული იყო ქართველ მეფეებისა და მათთან ერთად იცავდნენ და იფარავდნენ საქართველოს შინაურ (დიდებულებისაგან) და გარეშე მტრებისაგან. ესენი იყვნენ ქართველი ლეგიტიმისტები, ისინი, ვის ზედგავლენითაც შემუშავდა ისტორიული ტრაქტატი, მეფე ერეკლემ რომ დასდო ეკატერინე დიდთან 1783 წ. ამ ხელშეკრულების დედა აზრი იყო საქართველოს მეფობა რუსეთის ქვეშევრდომობის და მფარველობის ქვეშ. ამგვარ ქვეშევრდომობას, მეფობის შერჩენით, ქართველები მეთექვსმეტე საუკუნეშიაც ეძებდნენ რუსის მეფის ალექსეი მიხეილის ძის დროშიაც. ბ-ნი ავალიშვილი ამბობს: „საუკუნოებით შემუშავებული სურვილი ადვილად არ იკარგება და 1802 წელს კიდევ ერთხელ გამოსთქვეს თავიანთი გულმხურვალე აზრი. აი ის დოკუმენტიც, რომელზედაც წარსული ისტორიის კვალია დარჩენილი, გამომსახველი ძველი ქართველ—ლეგიტიმისტების პოლიტიკურ შეხედულობისა რუსეთთან შეერთების შესახებ: „ყოვლად მოწყალე ხელწიფევი! როდესაც თქვენს დიდებულებას ერთგულების ფიცს ვაძლევედით, წავგვიკითხეს უმაღლესად ბოძებული მანიფესტი, რომელშიაც ნათქვამი იყო, ვითომ ჩვენ უმაღლეს კარის წინაშე ვშუამდგომლობდით, რომ ჩვენი მეფე არ გვესაჭიროება და რომ თქვენის დიდებულების ქვეშევრდომობა უმეფოთ გვწაღდა, ეს ჩვენის მხრივ ფრანგული ხასიათის რესპიბლიკანობა იქნებოდა! ჩვენ მეფეებს ჩვენს წინაშე არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვით. 1000 წელიწადზე მეტია, რაც ბაგრატიონთა გვარი მეფობს ჩვენში. ბევრი მათგანი ქრისტეს სჯულს და სამშობლოს შეეწირა მსხვერპლად და ჩვენც მათთან ერთად

ვლვრიდით სისხლს. ასე რომ მეფეებს ჩვენ არ უარყყოფთ, ეს მატყუარებმა მოგვიგონეს. ჩვენი სურვილი და თხოვნა ერთად-ერთია, რომ დაცულ იყოს ანდერძი მეფე ერეკლესი, რომელმაც გმირობით ასახელა სამშობლო, მოგვეცეს მეფე, რომელთან ერთად თქვენი დიდებულების ქვეშევრდომებათ დავრჩებით ¹⁾...“

მე არ მესმის, რატომ უნდა ინათლებოდეს „ფეოდალობად“ ორ სახელმწიფოს შორის ისტორიულ ხელშეკრულობის დაცვის ფაქტი? სიტყვას რაიმე შინაარსი უნდა ჰქონდეს წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უბრალო რახარუხი იქნება. ფეოდალობა მუდამ ებრძოდა მეფობას. ეს ბრძოლა მეთვრამეტე საუკუნეშიაც იყო. ფეოდალები მეფეების დამხობას სცდილობდნენ, ამისთვის ლეკებსაც იწვევენ, ოსმალ-სპარსელებსაც. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფობა რუსეთის ხელში ვარდება. და თუ დაუჯერეთ ბ-ნ ან-ისთანა ისტორიკოსებს, აქ ხდება სასწაული: მეფობის დამახობელნი მეფობას იცავდნენ და აჯანყებას ახდენენო. საქმე კი ის არის, რომ აქ თავად-აზნაურობა ერთ მასად არის აღებული და მონათლული ფეოდალებათ, რაიც ისტორიულ სინამდვილეს არ წარმოადგენს.

ზ. ავალიშვილი ამბობს: „საერთა-შორისო პირობები რომ უფრო ხელსაყრელი ყოფილიყო და პროტექტორატი რომ ყოფილიყო აღიარებული რამდენიმე მოქიშვე განათლებულ სახელმწიფოთა წინაშე, გარემოება სხვა მსვლელობას მიიღებდა. მაშინ სიუზერენს (რუსეთს) უფრო სინდისიერად უნდა აესრულებინა თავისი ვალდებულებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა და სხვა მოქიშვე სახელმწიფო ადვილად მოიმხრობდა სიუზერენის მიერ დაჩაგრულ-დამორჩილებულ სახელმწიფოს (საქართველოს). სწორედ ამგვარი პირობები არ არსებობდნენ იმ დროს... რუსეთი, როდესაც საქართველოს ბედს სწყვეტდა, მარტოოდენ თავის ინტერესებს და თავმოყვარეობას უწევდა ანგარიშს. იგი მაშინ იძულებული არ იყო ბრძოლა გაეწია ამის გამო დიდ განათლებულ სახელმწიფოთა ამგვარივე სურვილებს. ეს რომ ყოფილიყო, საქართველოს შეერთებას

1) Присоединение Грузии къ Россіи; стр. 251: З. Авадова.

სულ სხვა შედეგი მოჰყვებოდა, იგი სხვა პირობებში და სხვა ფორმებში მოხდებოდა²²⁾“.

მაშ ნუ თუ მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს გარეშე პოლიტიკა რუსეთის შინაურულ საქმეთ გახდა და ხელშეკრულება, რომელიც თითქო დაცინვით მარტენსის საერთაშორისო დოკუმენტების კრებულშია შეტანილი, აღსრულებული არ იყო ძლიერ ბატონის მიერ, ერთი სამართლიანი სიტყვაც კი ვერ უპოვნიათ იმ პირების გახსენების დროს, რომელთაც გაბედულება ჰქონდათ და საუკუნოების განმავლობაში შემურვებულ საქართველოს უფლებებს მოსარჩლეობა დაუწყეს XIX საუკუნის დამდეგს!

ყველა ზემონათქვამიდან ერთი აზრი ირკვევა. როდესაც ბოლო ედებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას, ძალთა განწყობილება იყო ამნაირი: ხალხი, პირველ ხანში გარინდებული, მოღლილი ბრძოლით და ბატონ-ყმურ უღელლით, თითქოს შველას ელოდა ერთმორწმუნე რუსეთისაგან, პირველი ორი-სამი წელიწადი იგი სდუმს. სამაგიეროდ, ხმას იღებს ის ნაწილი თავად-აზნაურობისა, რომლის გულშიაც ეროვნული იდეალი არ იყო ჩამქრალი, და პროტესტს აცხადებს 1802 წლ. ტრაქტატის დარღვევის გამო. გადის ორი წელიწადი და ხალხში ჩნდება მღელვარება. რუსეთის რეჟიმში უფრო მძიმე ტვირთად დააწვა მას ზურგზე. და მან ისევ ეროვნულ მეჭობისაკენ მიაპყრო თვალი. ეს იყო 1804—1812 წლებში და ამ ხანაში კი ფეოდალები, საქართველოს ეროვნულ იდეის დაუძინებელი მტრები, რუსის ვახტერერ-კაპიტან-ისპრავნიკ და გენერლებთან ერთად ხალხის დასამონებლად და ეროვნების გასანადგურებლად ბორკილებს ამზადებდნენ და აჩხარუნებდნენ. რამდენად მართალია ამგვარი განმარტება, ეს შემდეგში მომხდარ ამბებიდან უფრო ნათლად ისახება.

IV

რუსეთის დამკვიდრების შემდეგ, საქართველო დაქანებული ნაბიჯით მიაქანებდნენ დენაციონალიზაციისაკენ. დენაციონალიზაცია გამოწვეული იყო უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოებრივ ორგანოების მოსპობით. როგორც მკითხველმა უკვე იცის, ჩვენს თვალში ქართულ ეროვნებას მჭიდრო კავ-

²²⁾ idib 226.

შირი ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოებრივ დაწესებულება-
თა ზრდა-განვითარებასთან. სახელმწიფო ორგანოები (მეფო-
ბა) ჰქმნიდა ქართულ ეროვნებას. მოისპო მეფობა, დაძაბუნ-
და, შეირყა ეროვნებაც. ეს მოხდა განსაკუთრებით იმიტომ,
რომ ჩვენში, მრავალგვარ დეცენტრალისტურ მიდრეკილება-
თა გამო (ფეოდალობა და სხვა) არ დამთავრდა პროცესი
ეროვნულ შემუშავებისა ცენტრალურ ორგანოების მიერ.
და რაკი სწვდეს ხელი ამ ორგანოებს, დაუმთავრებელი მუ-
შაობას ეროვნების გამოსახვისა და განვითარებისას თითქოს
მუხლები შეეხუთა და იგი შესდგა. თუმცა, ინერციის ძა-
ლით ძველი ისტორიის ნადულარს კიდევ რამდენიმე ხანს
თავისი დულილი არ შეუწყვეტია.

1819 წელს იმერეთში მომხდარი არეულობა ამ ხაია-
თის შოვლენათ ჩაითვლება. ეს ამბავიც მოვიხსენიეთ ჩვენს
წერილებში და ვსთქვით, რომ ამ ხანაში საქართველოს ეკ-
ლესიის დენაციონალიზაციის საქმეს აწარმოებდნენ ჩვენში
ხალხმა იუცხოვა ეგ საქმე და ისხა იარალი წინაპართ სალო-
ცავის დასაცავად. ეგ შეუძლებელი საქმეაო, გვეუბნება ბ-ნი
ან-ი. ხალხი ეკლესიის თავის დღეში არ ექომაგებოდა და
მრჳყავს ოფიციალური ვერსია აქ მომხდარ ამბებისა. ჩვენს
ისტორიას, როგორც უკვე მოგახსენეთ, პატრიოტულ ისტო-
რიას ეძახის ბ-ნი ან-ი, ზოლო თუ ჩვენი ისტორია ამნაირია,
თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბ-ნი ან-ის ისტორია ოფი-
ციალურ საბუთების ისტორიაა. ის ებლაუჭება მოხელეთა
რაპორტებს და აღარ კითხულობს, არსებობს თუ არა ამ სა-
გნის შესახებ რაიმე სხვა საბუთი და სხვა მასალა.

ჩვენ ვამბობთ, რომ მთავარი მიზეზი იმერეთში მომხდარ
არეულობისა ქართულ ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპო-
ბა იყო. ზოლო ამ საგანთან ბევრი სხვა რამეც იყო დაკავ-
შირებული. ეკლესიას ჰქონდა შემუშავებული მთელი სისტე-
მა განსაზღვრულ ეკონომიურ და კანონიკურ ნორმებისა.
რაკი შეირყა ეკლესიის დამოუკიდებლობა, მთელი სისტემაც
უნდა შერყეულიყო. და ბ-ნი ან-ი ამ მოვლენის დაფასების
დროს მთავარ საგანს—ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმე-
ბას არ იხსენიებს, აქცევს მკითხველის ყურადღებას მარტო-
ოდენ იმ ეკონომიურ პირობათა ცვლილებაზე, რომელმაც
უკმაყოფილება გამოიწვია იმერეთის საზოგადოებაში საეკ-
ლესიო მამულების ექსპროპრიაციით. და ეს არის მიუდგო-

მელი ისტორიაო. „ქართული ენის დევნა საიდან იქნებოდა, როცა ეკლესია მთელი თავისი ქონებით იმერთა ეპისკოპოსების ხელში იყო“. („ცხ. სარკე“ № 23). საიდან და იქიდან, რომ ამ ხანაში მიტროპოლიტი, ფეოფილაქტი, რომელიც საქართველოს ეგზარხოსად იყო დანიშნული, საეკლესიო რეფორმას აწარმოებდა. ეს რეფორმა ამგვარი იყო. ქართველი სამღვდელოება და საეკლესიო მამულები ეგზარხოსს და სინოდს დაუქვემდებარეს. შეამცირეს ეკლესიათა, მღვდელთა და ეპისკოპოსთა რიცხვი. რაკი საეკლესიო მამულ-დედული ხაზინაში გადადიოდა, ამ მამულებთან დამოკიდებული ვალდებულებანიც იცვლებოდნენ. საეკლესიო აზნაურებს ასახლებდნენ სახაზინო მიწებზე და საეკლესიო მოურავებს აუქმებდნენ. აი განზრახულ რეფორმის ძირითადი მუხლები²³⁾. როგორც ხედავთ, თავი და თავი აქ ის არის, რომ **ისპობოდა ავტონომია ეკლესიისა** და მასთან დამოკიდებული სისტემა. ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობა ამნაირად მოხდა. ტრაქტატის ძალით ეკლესიის შესახებ განსაკუთრებული არტიკული უნდა დაწერილიყო, მაგრამ რუსეთის მთავრობამ ამ არტიკულის დაწერა არ მოინდომა. 1811 წელს კათალიკოსი ანტონი II პეტერბურგში გაიწვიეს. ეგზარხოსმა ვარლამმა შეადგინა პროექტი საქართველოს ეკლესიის სინოდთან დაქვემდებარების შესახებ. ქართველ სამღვდელოების აზრს ამ საგნის შესახებ არავინ ჰკითხულობდა.

30 ივნისს 1811 წელს გამოაქვეყნეს უმაღლესი უქაზი, რომლის ძალით ერთის კალმის გასმით გაუქმებული იყო ავტოკეფალია ქართულ ეკლესიისა. პირველ ეგზარხოსად დაინიშნა ვარლამი. შვიდი წლის შემდეგ მისი ადგილი დაიჭირა რიაზანის არქიეპისკოპმა ფეოფილაქტემ. 9 ნოემბერს 1817 წელს მან გამოცა ბრძანება: „კვირა-უქმეების და საღვთაწაულო დღეების გარდა სიონის ტაძარში კვირაში კიდევ სამჯერ (სამშაბათს, პარასკევს და შაბათს) ღვთიმსახურება უნდა შეესრულებინათ რუსულად რუსეთიდან ეგზარხოსთან ერთად ჩამოსულ მღვდლებს“. ამის გამო ბ-ნი ჯავახიშვილი ამბობს: „...არც სპარსელებს, არც ცეცხლ-მსახურებს და მუსულმანებს, არაბებს, მონგოლებს, კერპთ-მსახურებს თუ

²³⁾ Иваненко: „Гражд. Управление Закавказьем“, 83. 126.

თურქებს იმისი მსგავსი არ ჩაუდენიათ, რაც ჩაიღინა მაშინ რუსეთმა და მისმა ეგზარხოსმა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიის მიმართო¹⁾. ამგვარად დაიწყო მოღვაწეობა ფეოფილაქტემ აღმოსავლეთ საქართველოში. და იმგვარივე მოღვაწეობა უნდოდა გადაეტანა დასავლეთ საქართველოშიც. ამ საქმისთვის იგი გაემგზავრა იმერეთში, აქ დაატუსაღებინა ორი მიტროპოლიტი გელათისა და ქუთაისისა. კაპიტან დუბეცკის ჩვენებით ამ მიტროპოლიტს უზრდელად (неделикатно) მოექცნენ. როდესაც ერთმა მათგანმა დატუსაღების წინაღმდეგ პროტესტი განაცხადა, მას კონდახებით და ხიშტებით თავპირი ჩაუმტვრიეს, სცემეს და ასე გასისხლიანებული შესვეს ცხენზე. 1819 წელს მთელ იმერეთს აჯანყების ალი მოედო. გადასწყვიტეს რუსების გარეკა და თავიანთ მეფის არჩევა. ეგზარხოსი საჩქაროდ უკან დაბრუნდა და სხვა²⁾. ამბოხების ჩაქრობის შემდეგაც არ დამცხრალა ხალხის უნდობლობა მთავრობისადმი. მცხოვრებნი მას აღარ ემორჩილებოდნენ. სოფ. საზანოს მცხოვრებნი გადასახადს არ იხდიდნენ და მთებში გაიხიზნენ. საჯავახოს გლეხებმა მოითხოვეს, მოურავი დაითხოვეთო. როცა მათ თხოვნა არ აუსრულეს, მთებში გაიხიზნენ³⁾. ოფიციალური წყაროების განმარტებით ხალხს სამღდელოება და აზნაურობა აქეზებდა და აღელვებდაო. მრავალ საუკუნოების განმავლობაში დამკვიდრებულ ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობის გარემოება არ კი აგონდებათ ოფიციალურ ისტორიკოსებს. აი თუნდა ივანენკო, რომელიც თითქოს ლიბერალიც არის და არ თანაუგრძნობს ძალმომრეობას, ერთის სიტყვითაც არ იხსენიებს ამ გარემოებას, თითქოს ეს ისეთი უმნიშვნელო საქმე იყოს, რომ მასზე ლაპარაკიც კი არა ღირდეს. ამასვე სჩადის ბ-ნი ან-ი და თავის ისტორიას მეცნიერულს უწოდებს!

ამგვარადვე შეუწყნარებელ გაუგებრობას და სიყალბეს იჩენს ავტორი სამეგრელოს ავტონომიის მოსპობის მოთხრობაში. „მეგრელი გლეხები, ამბობს ის, შეებრძოლენ ავტონომიურ მთავრობას და მოითხოვეს რუსების ბატონობის შემოღებაო“. („ნაპერწყალი“, № 3) საქმის გარემოება კი სულ

1) Полит. и соц. движение въ Грузіи въ XIX, 83. 21.

2) ibid.

3) Иваненко: „Гражд. Упр. Закавказьемъ“ 83. 127.

სხვანაირად იყო. 1867 წელს სამეგრელოს მთავარი თ. ნიკოლოზ დადიანი სრულწლოვანი ხდებოდა. სამეგრელოს მმართველა მისი დედა ეკატერინე. ხელმწიფე იმპერატორმა თ. გაგარინს დაავალა მოლაპარაკება გაემართა თ. ნიკოლოზთან სამეგრელოს მთავრობაზე ხელის აღების შესახებ. ბარიატინსკი აშურებდა ამ საქმის გათავებას. მას ეწინააღმდეგებოდა თუ **წინად გამოთქმული** თ. ნიკოლოზის მიერ სურვილი არ შეცვლილიყო. ბარიატინსკის აზრით, მთავრის გვარს უნდა მისცემოდა უფლება საგვარეულო მამულით სარგებლობისა, პენსია და უფროსს შტოს სახელი „მინგრელსკი“. დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს ამნაირად უნდოდა საქმის გადაწყვეტა. თ. ნიკოლოზისთვის პენსია უნდა მიეცათ 50 ათასი მანეთი წელიწადში. დედისთვის უნდა მიეცათ 30 ათასი მან. და თუ თ. ნიკოლოზი მოინდომებდა შიდა რუსეთში მამულის ყიდვას, მას ეძლეოდა ერთი მილიონი მან. თ. ნიკოლოზმა 4 მილიონი მოითხოვა. 15 დეკემბერს 1867 წელს მან უქვეშევრდომილესი თხოვნა შეიტანა, სადაც აღიარებდა თავის სურვილს ხელმწიფის ბრძანების აღსრულების და სამეგრელოზე ხელის აღების შესახებ და ამასთან სთხოვდა ხელმწიფეს ფულად ის მომეცი, რაც ჩემ მამას დაჰპირდიო. ხელმწიფემ თხოვნაზე დააწერა: „ვეცდები, რამდენადაც შეეძლებ უზრუნველყო იგი და მისი **ოჯახობაო**“. 4 იანვარს 1867 წელს თ. ნიკოლოზ დადიანის სრულწლოვანობის დღეს სამეგრელოში დამკვიდრდა რუსეთის მთავრობა¹⁾ იკითხავთ, რამ გამოიწვია ყოველივე ეს? აქ იყო ორი გარემოება. ერთი ის, რომ რუსეთის მთავრობა მოხერხებულ დროს ეძებდა დასავლეთ საქართველოში არსებულ ავტონომიურ მთავრობათა მოსასპობად; მეორე ის, რომ მთავრებიც იმას უყურებდნენ, სად მეტ სარგებლობას ვნახავთო. უნდა ვიცოდეთ, რომ იმ ხანებში (ათის წლის წინ) სამეგრელოში გლახთა დიდი მოძრაობა მოხდა. ამ მოძრაობამ ფრიად შეაშინა მთავრის დედა ეკატერინე. გლახები თავადაზნაურობის წინააღმდეგ აჯანყდნენ და მათ სწამდათ, რომ მათი მფლობელი, რაკი გაიგებდა საქმის ნამდვილ გარემოებას, მათ მხარეს დაიქერდა. ეკატერინეს კი შეეშინდა და რაკი საკუთარი

¹⁾ С. Есадзе: „Ист. записки объ упр. Кавказомъ“. С. I. 83. 381—385.

ძალა არ შესწევდა მოძრაობასთან ბრძოლისათვის, ქუთაისის გუბერნატორს კოლობიაკინს მიმართა. ამ გარემოებამ დააშურა სამეგრელოს დამოუკიდებლობის მოსპობა¹⁾.

როგორც ჰხედავთ, ბ-ნმა ან-მა აქაც პარტიულ აზროვნების პროპაგანდის გულისთვის ფეხით გასთელა ისტორიული სამართლიანობა და ამგვარ გზას ის თავიდანვე ადგია: ყველგან საქმე ისე არის დაყენებული, რომ ზღახი ემუდარება განათლებულ რუსეთის მთავრობას, მოდით, გვიხსენით ბარბაროსობისაგან და „ფეიოპებისაგან“; მოდით, გვიპატრონეთ, თქვენი ერთგულნი ვართ, თქვენით ვცოცხლობთ, თქვენთვის შევწირავთ თავებსო. ამ „ისტორიას“ ევლება გარშემო ჩვენი პუბლიცისტი, ალამაზებს მას და ყოველივე სწორეთ ისე გამოჰყავს, როგორც დღეს რუსის მმართველ და ოფიციალურ წრეებისთვის არის სასარგებლო.

ჩვენ კვალ და კვალ მივსდევთ ბ-ნ ან ს და ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ჩვენ თვალწინ იშლება საზარელი და სავაგლახო სურათი ავტორის დამდაბლებისა, სათაკილო დამდაბლება წინაშე სამართლიანობისა და ჭეშმარიტებისა. ამ „დამდაბლების“ გამოძულავნების საქმე ადვილი და სასიამოვნო არ არის. ჩვენც არ ვიკისრებდით მას, საგანი რომ ასეთი მწვავე და სერიოზული არ ყოფილიყო. ჩვენს აწმყო მდგომარეობის დაფასებისათვის ამ გონჯ აზროვნებას ასეთი გამანადგურებელი და გულსაკლავი ნაყოფი რომ არ მოჰქონდეს. ამიტომ გადავწყვიტეთ ბოლომდე გავყვეთ ბ-ნ ან-ს, მით უფრო რომ ახლა ჩვენ დაგვრჩენია ფრიად საყურადღებო საგანი: შესწავლა გლახთა მდგომარეობისა და მათ შესახებ „მზრუნველობისა“ მთავრობის მიერ.

საკამათო საგანი აქაც მკაფიოდ არის დაყენებული: გლახთა მოძრაობის ისტორიიდან აღებული გვაქვს ერთი საყურადღებო მომენტი—ის, თუ როგორ ეძებდნენ ჩვენი გლეხები თავისუფლებას და როგორ უყურებდა ამ საგანს რუსეთის მთავრობა. ბ-ნ ან-ს ისე ჰქონდა განმარტებული ეს საგანი, რომ აქაც „ჩვეულებისამებრ“ მთავრობა აწარმოებდა გლახთათვის სასარგებლო პოლიტიკას და აქაც გლახი მთავრობას ემადლიერებოდა თავის ხვედრის შემსუბუქებისთვისო. ჩვენ ეს აზრი უარყავით და ვსთქვით, რომ თუ ზოგიერთ

1) Джаваховъ: „Пол. и соц. дв. въ Гр.“ გვ. 35.

მოხელეს მართლაც აღფრთოვანებდა და ასულდგმულებდა ამგვარი ჰუმანიური პოლიტიკა, მთელი სისტემა მმართველობისა წინააღმდეგი იყო ბატონ-ყმური უღლის შემსუბუქებისა და ბოლოს არც ერთი ლიბერალური ზომა ამ საქმეში განხორციელებული არ იყო, პირიქით, გლახთა გაქირვება უფრო მწვავე გახდა და მათი ხვედრი უფრო უნუგეშო. ბ-ნ ან-ს, რუს მოხელეთა თავგამოდებულ მოსარჩლეს, არ ექაშნიკა ჩვენი კრიტიკა და მან ახლა ესაძის დახმარებით მოინდომა ჩვენი აზრის გაბათილება, ე. ი. ესაძისვე საბუთების დარღვევა, რადგან ჩვენ სწორეთ ამ საბუთებით ესარგებლობდით წინად. რანაირად შეიძლება ეს, მკითხავთ? ისე რომ უკეთისი არ იქნება. ამ შრომაში ბევრი საბუთი მოიპოვება. მოთხრობილია აქ საგნის ისტორია. ხან აუქმებდნენ პრივილეგიებს, ხან ისევ ამტკიცებდნენ, ხან ვითომ ზრუნვაში იყვნენ გლახთა ბედი შეემსუბუქებინათ, ხან კიდევ ისეთის სიმკაცრით ეპყრობოდნენ, რომ ადამიანი გაცდებულა. ყოველივე ეს ისტორიულად არის მოთხრობილი წიგნში. წარმოიდგინეთ ახლა, რომ მე ამოვიკითხე წიგნში, რომ თურმე პეტერბურგში არ მოეწონათ ფორონცოვის პროქტი შესახებ თავისუფლების ძიების აკრძალვისა და გრაფი კისილევის სიტყვებიც ამოვწერე: „მთავრობის შეცდომა იქნება საქართველოში ხელი შეუწყობთ ბატონ-ყმობის გავრცელებას და სხვა“, წარმოიდგინეთ, რომ მე ამოვწერე ეს სიტყვები და ამაზე გავათავე ჩემი ისტორია, ე. ი. აღარ მოვიხსენიე ის, რაც მოხდა კისილევის შემდეგ! განა ჩემი ისტორია ამ შემთხვევაში ლიბერალურ მთავრობის ისტორია არ იქნება? განა მკითხველი ვერ დაინახავს, რომ აქ საქმე გუაქვს კულტურისა და ძალასთან, რომელიც, მართალია შინაურობაში კნუტს და შოლტს აზუზუნებდა, მაგრამ გარედ, ერთმორწმუნე მართლმადიდებელ ქართველ ხალხში მაღალ ქრისტიანულ მცნებას ანხორციელებდა! და თუ ამის შემდეგაც თქვენი გული არ ატოკდება და არ განიმსქვალება მადლობით და სიყვარულით მფარველისადმი, ეს მხოლოდ მაჩვენებელი იქნება რომ პატრიოტული სიმძულვარე უფრო ძლიერია თქვენს გულში ვიდრე სამართლიანობის გრძნობა მსხნელთა და მფარველთა მიმართ! ბ-ნი ან-ი ამნაირია.

ჩვენს წერილებში ვიმოწმებდით გენერალ ლადინსკის, რომელსაც დაავალეს გამორკვევა ამ საგნისა. ლადინსკიმ

ვრცელი მოხსენება დასწერა და გამოარკვია საგანი. მის გამოარკვევას ბ-ნი ან-ი ზღაპარს ეძახის იმიტომ, რომ ლადინსკიმ სთქვა, სამსახურიდან გამოგდებული მოხელეები პირადი გამოარჩენის გულისათვის აქეზებდნენ გლეხებს თავისუფლება ეძიეთო, მთავრობა კი წინააღმდეგი იყო ამგვარი ძიების დაკანონებისაო. „ეს ზღაპარი, ამბობს ბ-ნი ან-ი, მას (ე. ი. მე) ბ-ნ ესაძის წიგნიდან ამოუწერია და უკრიტიკოდ მიუღია. ბ-ნ ესაძე კი ისე გატაცებულია თავად-აზნაურობის ქომაგით, რომ მრავალ ფაქტს არ იხსენიებსო“. („ნაპერწკალი“ № 3). არ იხსენიებს? მაშ საიდან ამოწერეთ ცნობა გრაფ კისილევის შესახებ, რომელიც ლიბერალობს და ამტკიცებს ბატონყმობა უნდა შევამსუბუქოთო? ამაზე უცნაური უმაღურობა კიდევ გაგონილა? ამოწერით კი ამოსწერა, რაც საჭირო იყო მისთვის, წიხლი კი არ დაიშურა და თანაც ტყუილები დააყარა, ცალმხრივი ცნობები შეუგროვებია ავტორსაო. მაგრამ დავანებოთ თავი ბ-ნ ესაძეს და გადავსინჯოთ სხვა წყაროები და შევადგინოთ მწყობრი სურათი საკამათო საგნის შესახებ. გადავშალოთ ივანენკოს თხზულება. ივანენკო რუსია, ქართველ „ფეოდალების“ ფსიხიკა არა აქვს. ასე რომ მას უნდობლობას ამ მხრივ ვერც ერთი შარიანი მწერალი ვერ გამოუცხადებს.

გენერალ ლადინსკიზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ეს გენერალი 45 წელიწადი მსახურებდა კავკასიაში. იგი იყო პრინციპიალური მომხრე არისტოკრატისა და მისი გავლენა კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციაზე შესამჩნევი იყო. ჩვენს წერილებში უკვე აღვნიშნეთ, რა გავლენა ჰქონდა ლადინსკის ვორონცოვზე ქართულ საქმეების გადაწყვეტის დროს. ახლა უნდა ვსთქვათ, რომ კავკასიის საქმეების მოწესრიგებაშიაც მას მიუღია მონაწილეობა და ადმინისტრაციის ყურადღებას აქაც არისტოკრატის გაძლიერებისაკენ აქცევდა. კავკასიის მუსულმანთა პროვინციებში ალაღარებს და ბეგებს ერთ დროს ჩამორთმეული ჰქონდათ მამულები. ლადინსკის მეცადინეობით 1846 წ. უმაღლეს რესკრიპტის ძალით ხანებს, ბეგებს და ალაღარებს ისევ დაებრუნათ მამულები. ლადინსკი ამბობდა: „როდესაც ხალხი მოქალაქობრივობის დაბალ საფეხურზე სდგას, მთავრობის გავლენა ფართო მასებში უფრო ძნელად გავრცელდება, ვიდრე ერთ მაღალ წოდებაზე, უფრო განათლებულზე და მაშასადამე უფრო გავლენიანზე... ამი-

ტომ არამც თუ არ უნდა შევეხოთ უმაღლესს წოდებებს: უფლებებს, არამედ უნდა დავიცვათ და გავაფართოვოთ ძნელი, რადგან მარტოოდენ არისტოკრატიას შეუძლია სძლიოს ის დემოკრატიული მიმართულება, რომელსაც წსეთი ფესვები აქვს გამჯდარი მთელს დაღესტანშიო“.1) ერთი სიტყვით, ლადინსკი იმისთანა კაცი არ იყო, რომ „ზლაპრეზის“ თხზვაში თავი გაერთო, როგორადაც ჰგონია ეს ბ-ნ ან-ს. ვორონცოვის დროს მის პოლიტიკას ანხორციელებდნენ მთელ კავკასიაში და პუბლიცისტიკ მეტის სიღინჯით უნდა ეკიდებოდეს იმგვარ ადამიანთა დაფასებას.

დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს, ე. ი. ქართველ გლეხთა მდგომარეობის გამორკვევას. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ბ. ივანენკო, რომლის თხზულება უკვე მოგინახინიეთ, ამბობს: „გლეხთა მდგომარეობა რუსობის დროს იმგვარივე დარჩა, როგორც იყო მეფეების დროს. ბატონ-ყმობა, რომელიც ყველა თავის ბოროტებით მაშინ რუსეთშიაც არსებობდა, შეუფერებელი ნიადაგი იყო გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის საქართველოში. პირიქით ეს საგანი ხელშეუხებელ საგნად ითვლებოდა და მასში ჩარევა კერძო საკუთრების უფლების დარღვევად ითვლებოდაო“.2) მაგრამ რუსეთის მთავრობა მაინც იძულებული იყო, ზოგიერთ შემთხვევაში, გლეხთა მიმართ მზრუნველობის მსგავსი ზომები მიეღო ხოლმე. იმიტომ იყო იძულებული, რომ მაშინ უკვე გამწვავებული ურთიერთობა იყო გლეხთა და მეომამულეთა შორის. გ.-ად. სტრეკალოვი სწერდა: „გლეხებს არა მარტო არ უყვართ მეომამულენი, არამედ ხშირად ურჩობასაც კი უცხადებენო.“3) ეს ის დრო იყო, როდესაც ტფილისში (1830 წ.) თავად-აზნაურობის ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა შეთქმულება მოახდინა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ და როდესაც ამ საქმეში თავად-აზნაურებმა გლეხობაში დახმარება ვერ ნახეს. ჩემს წერილებში ვამბობდი ამის შესახებ, რომ „შეთქმულ თავად-აზნაურებს აქ ხალხი აღარ გაჰყვა“ მეთქი. ამის გამო ბ. ან-ი კრიტიკოსობს: „რა ნაირად

1) Иваненко: Гражд. Упр. Закавказьемъ, გვ. 355.

2) ibid III.

3) Акты VII, 16. ივ. ჯავახიშვილის წიგნიდან. „Под. дв. въ Грузіи“, გვ. 29.

უნდა გაჰყოლოდა ხალხი იმ შეთქმულ აზნაურებს, რომელნიც საქმის დაწყებამდე დაიჭირეს, ან შეიძლება ავტორმა ეს არ იცისო? („ნაპერწყალი“ № 3.) დამშვიდდით, ბატონო, ვიცი, კარგად ვიცი, რომ შეთქმულება უდღეო იყო და ხოლო ეს მოხდა სწორედ იმიტომ, რომ ხალხი არ იღებდა მონაწილეობას საქმეში. არა მარტო არ იღებდა მონაწილეობას, მტრულადაც უყურებდა თ.-აზნაურობას. მაგრამ ამ გარემოებიდან იმის დასკვნა ზაინც არ შეიძლება, რომ ხალხის გული მთავრობისაკენ იყო. უნდა ვიცოდეთ, რომ არც ერთი ზომა გლახთა სასარგებლოდ მიღებული ხანგრძლივი არ ყოფილა. დღეს რომ მის სასარგებლოდ მოქმედობდნენ, ხვალ უკანვე მიდიოდნენ და ხშირად უარესს მდგომარეობაში აგდებდნენ გაჭირვებულ ხალხს და არ შეიძლება რომ საქმე სხვანაირად ყოფილიყო. თავად-აზნაურობის გავლენა რუსეთში იმ ხანებში გაუზომელი იყო. მმართველნიც, უმეტესს შემთხვევაში, აზნაურები იყვნენ. რუსეთის საზოგადოება-ჯერ კიდევ ბნელეთით იყო მოცული. გაიხსენეთ ჩადაევის მაგალითი, ამ განათლებულ კაცის ამბავი, რომელსაც კათოლიკეთა სარწმუნოება უნდა მიეღო, გახიზნულიყო საზღვარგარედ, — ისე უნუგეშო წყვედიადს წარმოადგენდა იმ ხანაში რუსეთის ცხოვრება, ისეთის ბორკილებით იყო შებოქილი ხალხი და ინტელიგენცია! ყოველივე ეს უნდა მივიღოთ მხედველობაში, თუ გვინდა რომ სამართლიანი იყოს ჩვენი სიტყვა. საქართველოს ძველი წესი არ ვარგოდა, ეს ეჭვს გარეშეა, მაგრამ არც რუსეთისა იყო ხეირიანი. ჩვენში ვახტანგ VI კანონები მოქმედებდნენ, რუსეთში მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ალექსი მიხეილის ძის დებულებით (Собрание уложений царя Алексѣя Михайловича) და პეტრე დიდის არტიკულებით (Войскій артикулъ Петра Великаго) ხელმძღვანელობდნენ. ამ ორ კანონმდებლობაში რომელი სჯობდა, იურისტებმა გადასწყვიტონ, ვიცი კი, რომ ყმებს ჩვენი კანონი უფრო სწყალობდა. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ვახტანგ მეფის სჯულში ბევრი ადათი იყო ჩაყოლილი. ადათის ძალით, მაგალითად, ყმას ტყის და საძოვრის სარგებლობა თავისუფლად შეეძლო, სახნავ-სათესის მიწის რაოდენობა (კომლეულად) უფრო დიდი იყო, ვიდრე ის, რაც მიუზომეს გლახს. ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგ, როდესაც გლახს ჩამოართვეს და „ჩამოაჭრეს“ დიდი ნაწილი

იმ მიწებისა, რომლითაც იგი საუკუნოებით სარგებლობდა; მართალია სარგებლობდა როგორც ყმა, მაგრამ მაინც სარგებლობდა.

პირველ ხანში, რუსების შემოსვლისათანავე, ჩვენში ვახტანგის კანონი იყო ძალაში. მაგრამ მოხელეებმა აქაც გააფუჭეს საქმე. ცნობილია, რომ ვახტანგის კანონები ბევრ ნაწილებისაგან შესდგებოდნენ: ამ კანონებში ბერძნული კანონებია, აღბუღას სამართალი, სომხის კანონები და სხვა. ყველა ეს კანონები გაერთიანებულნი არ არიან. ხშირად ერთი კანონი მეორეს ეწინააღმდეგება. ეს იმიტომ, რომ თვითელი ნაწილი განსაზღვრულ კუთხეში მოქმედებდა. მაგალითად, გიორგი III კანონები მთიულეთში მოქმედებდნენ, სომხის კანონი იმ პროვინციებში (სომხეთში), სადაც ქართველი მეფეები ასახლებდნენ ოსმალეთიდან და სპარსეთიდან გამოსულ ქრისტიან-სომხებს. რუსის მოხელემ კი ამ კანონებს ისე შეხედა, ვითომ ეს ერთი კრებული ყოფილიყო და მთის კანონი ბარში შემოიტანეს, სომხის კანონი კი ქართულ ნაწილში. და აირია ქვეყანა. ბოლოს რო არა გამოვიდარა ამ არევიდან, სრულიად გააუქმეს ეს კანონი და „ვოინსკი არტიკულები“ გაამეფეს. მაგრამ „არტიკულებით“ ჩვენში ბევრს ვერას ვახდებოდნენ და საჭიროების დაგვარად სცემდნენ სხვა და სხვა „უქაზებს“, რომელნიც მალამოდ უნდა მოსცხებოდნენ ხალხის მწვავე საჭიროებებს. ამ „უქაზების“ ისტორიაც ფრიად საყურადღებოა თუნდა თავისუფლების მძიებელთა გლეხების შესახებ. მთავრობის განკარგულებებს აშკარად ეტყობა ორგვარი ბეჭედი—ერთი აზნაურული მიდრეკილება და სიმპატიები, მეორე შიში და იძულებული საჭიროება გლეხის მოფერებისა, რიამელიც არც აზნაურებს, არც მთავრობას მოსვენებას არ აძლევდა. ამ პირობებში ხან ერთს მიმართულებას იღებდა პოლიტიკა, ხან მეორეს. უფრო კი მას აზნაურული ელფერი ჰქონდა. დავაკვირდეთ მას ზედმიწევნით.

V.

1833 წელს ბარონი როზენი სწერდა: „მმართველობის კანცელარიებში დიდ ძალი საქმე შეგროვდა იმ გლეხებისა, რომელნიც თავისუფლებას ეძებენ. თუ ამ ძიებას საზღვარი არ დავუდეთ, გლეხებში მახეზღრობა გავრცელდება, მემამუ-

ლენიც უზრუნველყოფილნი არ იქნებიან თავიანთ საკუთრებაში.¹⁾ მემამულეებს ხელში არ ჰქონდათ წერილობითი დოკუმენტები, დამამტკიცებელი მათის ყმებზე უფლებებისა. ამ გარემოების გამო ბევრ გლეხს მიეცა თავისუფლების ძიების უფლება. მემამულენი უკმაყოფილონი იყვნენ. ბ. როზენმა მიაქცია ყურადღება ამ უკმაყოფილებას და შუამდგომლობა აღძრა, რომ საქართველოს გლეხები დაეტოვებინათ სამუდამოდ იმ პირთა და დაწესებულებათა მფლობელობაში, რომელთა ხელში ისინი იყვნენ 1832 წლის კამერალურ აღწერის დროს. მაგრამ სენატმა და სახელმწიფო საბჭომ არ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა. ამავე დროს იყვნენ საქართველოში სენატორები კუტაისოვი და მეჩნიკოვი. ამათ ნახეს, რომ გლეხების ვალდებულებანი მემამულეთა მიმართ საქართველოში არ მიაგავს იმ ვალდებულებათ, რომელნიც რუსეთში არსებობდა. ეს როგორ იქნებაო? საქართველოს თავად-აზნაურობა ხომ გათანასწორებულია უფლებებში რუსეთის აზნაურობასთან. მაშ სხვაშია ც უნდა იყოს გათანასწორებულიო. შეადგინეს პროექტი, სადაც ურჩევდნენ მთავრობას, **სამი წლის განმავლობაში** უნდა იყოს შემოღებული ქართველ გლეხთათვის ის ვალდებულებანი, რომელთაც რუსის გლეხები ასრულებდნენ. ამ ცვლილების შედეგი ის უნდა ყოფილიყო, რომ მემამულეებს სხვაგვარ დაჩაგვრის საშუალებასთან ერთად გლეხების სალდათში მიცემის და ციმბირში გადასახლების უფლებაც უნდა მიჰნიჭებოდათ. ბ. როზენმა ენერგიული პროტესტი განაცხადა და წინააღმდეგა ამ პროექტის განხორციელებას. სენატორების წინადადება უარჰყვეს. ხოლო მემამულეებს ახალ კანონის ძალით მიანიჭეს უფლება გლეხების სალდათში მიცემისა და ჩრდილოეთ კავკასიაში (ციმბირის ნაცვლად) გადასახლებისა“.²⁾

საქმე ამაზე არ შეჩერებულა. 1841 წელს დამთავრდა პროცესის საქართველოში ნაციონალურ დაწესებულებათა გაუქმებისა და ყველგან რუსის მოხელე გაბატონდა. გარემოება ცუდად დატრიალდა. ხალხი უკმაყოფილო იყო. ხელმწიფემ თ. ჩერნიშევს და როზენს დაავალა უკმაყოფილების მიზეზის გამოკვლევა. როზენმა ხელმწიფეს მოხსენება წარუ-

1) Иваненко: „Гражд. упр. Закавказьемъ, 176.

2) ibid 177—180

დგინა, სადაც, სხვათა შორის, სწერდა: „მმართველობა ხალხის საქიროებათ ვერ აკმაყოფილებს, არც ადმინისტრაციის, არც სასამართლოს, არც მეურნეობის ნაწილში. ხალხს ძველი წესის ბოროტება დაავიწყდა და სიტყვიერად და წერილობით თხოულობს, რომ ეს წესი აღდგენილ იყოს“¹⁾ ამავე დროს საყურადღებოა ვორონცოვის პოლიტიკა: აქ იყო გაუქმებული ყოველივე ის, რაც წინა აღიარებულ იქმნა გლეხთა სასარგებლოდ. ვორონცოვმა აღძრა შუამდგომლობა რომელსაც 1849 წ. კანონის ძალა მიეცა, რომ ბატონ ყმობა საქართველოში ხელუხლებელი დარჩეს ისე, როგორც „არსებულ ადრათების ძალით“ არსებობდაო. გარდა ამისა აღძრა შუამდგომლობა 1836 წლის კანონის გაუქმების შესახებ, როდესაც გლეხებს მიეცათ უფლება თავისუფლების ძიებისა, რაკი მემამულეს ხელში არ ეჭირა ყმობის დოკუმენტი. ახლა საქირო იყო, რომ გლეხსაც წარედგინა „თავისუფლების“ დოკუმენტი. ვინც ამ დოკუმენტს ვერ წარადგენდა, საქმესაც კი ვერ დაიწყებდა. გარდა ამისა, „თავისუფლების მაძიებელი გლეხი, საქმის დაბოლოვებამდე მემამულის მორჩილებაში უნდა დარჩენილიყო“. ყოველივე ეს იმას მოახწავებდა, რომ თავისუფლების ძიებას საზღვარი დაუდეს და თითქმის ბოლოც კი მოუღეს, რადგან, აშკარაა თუ ბატონს არა ჰქონდა „ყმობის“ დოკუმენტი, გლეხს საიდანღა ექნებოდა „თავისუფლების“ წერილობითი საბუთი. ყველა ამას ითვალისწინებს რაბინი ივანენკო, დასძენს: „ამრიგად ყმების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ზრუნვა იმითი დაბოლოვდა, რომ გლეხთა უფლებები უფრო შეაკვეცესო“²⁾.

ამ ამბების შემდეგ სამოცდა ათმა წელიწადმა განვლო. სამოცდა ათი წლის განმავლობაში მთავრობა აწარმოებდა იმ პოლიტიკას, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. დღევანდელი ნამესტნიკი გრ. ვოროვცოვ-დაშკოვი თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში სწერს: „1900 წლამდე კავკასიის მმართველობის მთავარი საზრუნავი იმაში იყო, რომ იგი მაღალ წოდებათ, განსაკუთრებულ ქართველ თავად-ახუნაურობას ეწეოდა და ეხმარებოდა. თუმცა ისიც მართალია, ქართველმა თავად-ახუნაურობამ დიდი სამსახური გაგვიწია

1) *ibid* 299.

2) *ibid* 374.

კავკასიის დაპყრობის საქსეში. ამიერ კავკასიაში, საკუთრივ საქართველოში, ბატონ ყმობის მოსპობა იმ პირობებში იყო გატარებული, რომ იგი სასარგებლო იყო მემამულეთათვის და მავნებელი გლეხთათვის. მთავრობამ პირად ვალდებულების მოსასპობად, წინააღმდეგ რუსეთში აღიარებულ პრინციპისა, აქ სულზე 25—50 მანათამდე მისცა მემამულე თავად-აზნაურებს, ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში, რაიც შეადგენდა 75,000,000 მანეთს; გარდა ამისა მიწის გადასახადიც მემამულეთა სასარგებლოდ ასწიეს წინააღმდეგ იმ ნორმასა, რომელიც არსებობდა ბატონ-ყმობის დროსაო.¹⁾

საქმის ფაქტიური მდგომარეობა ამნაირია. ბ. ან-ი კი აღნიშნავს ფაქტებს და ბოლომდე კი არ მიდის, არ ამბობს, რომ დასასრულში დაინგრა ყოველი ის, რაც სასარგებლო იყო გლეხთათვის. ის ხაზს უსვამს ლიბერალურ ზომებს და აჩრდილებს სხვაგვარ შემბოჭველ ზომებს და საკვირველი ის არის, რომ ისტორიის დამახინჯება მას დასჭირდა რაღაც უცნაურ ინტერნაციონალისტურ პოზიციის გამაგრებისათვის: ხსნა მთავრობისაგან მოვიდა, ძირს ეროვნული ნიადაგიო. ასეც რომ ყოფილიყო, ამგვარი დასკვნა სამართლიანი არ იქნებოდა, რადგან თუ ეროვნული ნიადაგი არ არის, ხალხს ვერც ერთი ლიბერალიზმით გატაცებული მმართველობა ვერ გააცოცხლებს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ გარემოება ისე არ იყო, როგორც მოგვითხრობს ბ-ნი ან-ი და როცა ჩვენ შესწორება შეგვაქვს მის „ისტორიაში“, პუბლიცისტი გააფთრებული შფოთავს, სკუპდება ტრიბუნაზე და ყვირის: ხალხნო და ჯამაათნო, ოფიციალურ რაპორტების ისტორია არ მოსწონთ, ვაი დაღუპულო ინტერნაციონალიზმო! თუ ვახტერ-კაპიტან-ისპრაფნიკის რაპორტი საბუთი არ არის, მაშ რა ჯანდაბა საფუძველზე დავამყაროთ და დავამკვიდროთ ჩვენი სოციალიზმიო. O tempora, o mores!

ბ-ნი ან-ი ამბობს: „დავა იმაშია, თუ ვინ უფრო იცავდა ჩვენი გლეხის ინტერესს: ძალა ნაციონალური თუ უცხო და აი, ჩვენ ვამბობთ, რომ ძალა ნაციონალური მუდამ სდევნიდა გლეხობას და ის პოულობდა მცირე მფარველო-

1) Всеподданыйшая записка, გვ. 87—88

ბას მაინც უცხო ძალაში“ („ნაპერწყალი“, 3). მაგრამ ერთი ეს გვიბრძანეთ, რომ ბრძანებთ, ძალა **ნაციონალური მუდამ სდევნიდა გლეხობასო**, რომელ საბუთებზე ამყარებთ ამ თქვენს გადაჭრილ და ავტორიტეტულ აზრს? არც ერთზე. თქვენ არ შეგისწავლიათ ქართული ნაციონალური პოლიტიკა, არ იცით, იყვნენ თუ არა მეფეებში იმისთანები, რომელნიც გლეხების სვე-ბედზეც ჰფიქრობდნენ, თქვენ „აფხანიკურ ღოგმით“ მიდიხართ იოლას, ეს კი ცუდი თამასუქია თქვენი სიმართლის დასამტკიცებლად. ჩვენ კი ვიცით არ თუნდ ივ. ჯავახიშვილის უკანასკნელ ლექციიდან, რომ ერეკლე მეფის ზრუნვა მიპყრობილი იყო იმაზე, რომ შეემცირებინა გადასახადოა ჯამი. ვიცით ისიც, რომ როდესაც გარეშე მფლობელი შაჰი უზომო ხარკს დაადებდა ხალხს, მეფეები აჯანყებას უქადაგებდნენ ხალხს და მათთან ერთად ციხე-სიმაგრეებში მაგრდებოდნენ წინააღმდეგობის გასაწევად. ვიმეორებ, ბ-ნ ანს არ წარმოუდგენია არც ერთი საბუთი, „ნაციონალური ძალის“ დამახასიათებელი. როდესაც ის იგონებს ამ ნაციონალურ ძალას, „ფეოდალობა“ ეზმანება და აშკარაა ამ შეუღარებელ „პუბლიცისტის“ თავში ფეოდალობა, მეფობა და თავად-აზნაურობა ერთმანეთშია არეული და დიფერენციაციის ნიშნები დაჩრდილული აქვს. სწორედ ამიტომ სერიოზულად ანგარიშს ვერ გაუწევთ იმას, რასაც ბ. ან-ი სადამო საგნად ჰსახავს. რომ ჩვენ არაფერი არ გაგვიზვიადებია და სამართლიან უნდობლობას ვაცხადებთ, ეს მტკიცდება თვით ანის სიტყვებითაც. ის ამბობს: „აქ მუშაობდა ორი გაბატონებული ძალა: „ნაციონალური (თავად-აზნაურობა) და უცხო, რუსეთისო“ („ნაპ.“ 3). როგორც ჰხედავთ, კლასიფიკაციის დროს **სრულიად დავიწყებულია** საქართველოს მეფობა, სახელმწიფოებრივობა, სიმბოლო პოლიტიკურ თავისუფლებისა და წინ წამოყენებულია თავად-აზნაურობა, რომელიც ნაციონალურ იდეის გამომსახველად ისახება. ჩვენ უკვე წინ გვქონდა ამ საგნის შესახებ ლაპარაკი და ვსთქვით, რომ ქართულ ეროვნულ იდეალების გამომსახველი იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობა და არა მისი გამანადგურებელი და უარ-მყოფელი ფეოდალობა. ბ-ნი ანი კი, რომელსაც ეროვნულ პოლიტიკური თავისუფლება ჩალის ფასად უღირს, სახელმწიფოს, პოლიტიკურ თავისუფლებას არ იხსენიებს, არამედ მხოლოდ თავადებს: „ქართვე-

ლი ხალხი პირველ ძალაში (თავადებში) მუდამ ჰხედავდა მტრულ განწყობილებას, ვერასოდეს მფარველობას, მეორეში კი (რუსეთში) ხშირად ჰპოულობდა მფარველობას და ეს მას ავიწყებინებდა მის მტრულ მოქმედებას. აი ჩვენი ტეზისიო. დაარღვიეთ ეს ბ. ჯორჯაძე, თუ შეგიძლიათ, დაარღვიეთ ფაქტებით და არა ზღაპრებითო“ („ნაპ“ მ). მოდით და ელაპარაკეთ ამ პრივატ-დოცენტს! „ტეზისებს“ კი აყენებს, შიგა და შიგ კოსიყალბებს აპარებს. მოდით და დაარღვიეთ მისი ტეზისები. ტეზისი თუ გინდათ, ერთად-ერთი ტეზისი დგას ჩვენ წინ: საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება თუ რუსეთის ბიუროკრატიული ბატონობა და მასთან დაკავშირებული დაჩაგვრა და დენაციონალიზაცია? თუ ვაჟკაცი ხართ, გადასწყვიტეთ ეს ამოცანა! მაგრამ ჩემი ნატვრა ძალიან შორს მიდის, სრულიად გადამაფიწყდა, რომ თქვენ ეს საგანი დიდი ხანია გადაწყვეტილი გაქვთ, გარკვეულიც. როცა საქმე არჩევნებზე მიდგა, თქვენ ზურგი უბრუნეთ თავისუფლებას და მუხლი მოუდრიკეთ მონობას, დიად მონობას ისტორიის ოფიციალურ ვერსიის გამართლებების საშუალებით! ყოველივე ეს დამაფიწყდა და ამიტომ შეგაწუხებთ რაღაც ტეზისებით...

მე წინდაწინ ვიცი, რომ ყოველსავე ჩემგან ნათქვამს ბ-ნი ან-ი და მისნი თანამოაზრენი განმარტავენ როგორც უკვე განუმარტნიათ, ე. ი. ისე, ვითომ ჩვენ ძველი წესის დაბრუნება გვინდოდეს, იდეალს წასულში ვეძებდეთ და ვაწარმოვებდეთ ფეოდალების მიერ გადმოცემულ (!) მძულვარების პოლიტიკას რუსეთის მთავრობისადმი. ჩვენ არავითარი საბუთი არ მიგვიცია ამგვარ დასკვნისათვის, მაგრამ წინა წერილებზედაც ამ მხრივ გამცეს პასუხი. ასე რომ ეხლაც სხვას არაფერს მოველოი. იმ საგნის გამორკვევა კი და ნათლად განმარტება იმ აზრისა, თუ როგორ, რა პრინციპით ვაერთებთ ჩვენს აწმყოს წარსულთან, რანაირათ ვაკავშირებთ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის პოლიტიკას ეხლანდელ ვითარებასთან, ამ საგნის განმარტება დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას და ინტერესს წარმოადგენს და თუმცა ჩვენი აზრი ამის შესახებ ზემონათქვამიდან უკვე ისახება, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია მასზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ამ წერილების დასასრულში.

ჩვენ ვამბობთ, ისტორიულად საქმე ისე მოეწყო, რომ

საქართველოს სახელმწიფოებრივობა იყო გამომსახველი, გამამტკიცებელი და მცველი-დარაჯი ქართულ ეროვნებისა. მე-XIX საუკუნის დასაწყისში მოსპეს ეს ორგანო, მასაზრდოვებელი და მფარველი ამ ეროვნებისა. მოხდა გათიშვა ეროვნებასა და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა შორის. ამისი შედეგი იყო არა მარტო დაძაბუნება და შესუსტება ქართულ ეროვნებისა, არამედ შემუშავება პირობებისა ეროვნების სრულ მოსპობისა და ქართულ ხალხის დედა-მიწის ზურგიდან აღგვისა. ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად, ეროვნულ კულტურის აღორძინებისა და დაცვისათვის, საჭიროა იმ ორგანოსი, იმ ორგანიზაციის აღორძინება, რომელსაც ასისწლის წინად ძალ-მომრეობით მოუღეს ბოლო, საჭიროა ქართულ სახელმწიფოებრივ პრინციპის გამოცოცხლება.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი მოთხოვნა ავტონომიისა, ავტონომიურ-დემოკრატიულ თვით-მმართველობისა, რომელიც, დღევანდელ პირობების მიხედვით, ქართულ სახელმწიფოებრივობის შინაარსად ჩაითვლება ჩვენი ავტონომია არც გაფართოვებული ერობაა, არც ოლქებრივი თვითმმართველობაა, არამედ პოლიტიკურ უფლებებით აღჭურვილი ტერიტორიალურ-ეროვნული ერთეული. საქართველოს პარლამენტი იქმნება გამომსახველი და მატარებელი ამ პოლიტიკურ უფლებებისა. და ეს კი უნდა მოხდეს რუსეთის პოლიტიკურ ძალა-უფლების დეცენტრალიზაციის ნიადაგზე. ამ ძალა-უფლების ერთ ნაწილს, კონსტიტუციით განსაზღვრულს, რუსეთის პარლამენტი დაუთმობს საქართველს პარლამენტს და მით ამ უკანასკნელს მიენიჭება ავტონომიურ სახელმწიფოს ძალა-უფლება. ჩვენ ვაშბობთ ავტონომიურ სახელმწიფოს და არა სრულ-უფლებიან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს, რომლის განხორციელებისაკენ არ მივისწრაფვით ორი მოსაზრების ძალით—პირველი, რეალურ ძალთა განწყობილებათა მიხედვით, მეორე ფედერალიზმის პრინციპის ძალით, რომელსაც ვაღვიარებთ და რომელიც აბრუნებს ჩვენს პოლიტიკურ ენერჯიის მოქმედებას ერთა და სახელმწიფოთა ფედერალურ ორგანიზაციის მოწყობა-მოპოვებისაკენ.

ამრიგად, ჩვენი ცხოვრების პოლიტიკური პირობები ისე მოეწყვნენ, რომ დღეს აუცილებლად გვესაჭიროება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მომხდარ შეცდომის და უსამართლობის გასწორება. დღეს უნდა აღვადგინოთ პრინციპი

სახელმწიფოებრივობისა. ასე რომ ჩვენ წარსულიდან მარტო-
ოდენ ამ პრინციპს ვიღებთ და შინაარსს კი ვღებთ ჩვენი
დროის მოთხოვნილებათა მიხედვით.

როგორც გინდათ განმარტეთ და გაიგეთ მეფე ერეკლეს
ანდერძი, უცილობელი და უტყუარი კი მასში ერთად-ერთი
აზრია, ეს არის ავტონომიის აზრი. იმ ბნელ და ძალმომრე-
ობით სავსე დროში დათრგუნეს და შელახეს ეს აზრი ავტო-
ნომიისა, დღეს გვინდა მას ისევ სიცოცხლე მივცეთ. აი რი-
თი და როგორ ვეკავშირებით წარსულს.

და რაკი ესეთი მჭიდრო კავშირი გვინდა გავმართოთ
ამ წარსულთან, არ შეიძლება ორიოდვე სიტყვა არა ვსთქვათ
ეგრედ წოდებულ ისტორიულ უფლებათა აღდგენის შესახე-
ბაც. საქართველო (ქართლ კახეთი) რუსეთთან 1783 წლის
ტრაქტატის ძალით უნდა ყოფილიყო შეერთებული. ეს ტრაქ-
ტატი დადებული იყო სრულუფლებიან დამოკიდებულ ორ
სახელმწიფოს შორის. ერთმა მხარემ ხელშეკრულობის აღ-
სრულება არ მოინდომა და შეიერთა. დაიმორჩილა მეორე
თავის ინტერესების მიხედვით, წინააღმდეგ ხელშემკრელ მე-
ორე მხარის სურვილისა.

ამის შესახებ ყოველი საბუთი და დოკუმენტი დაცული
და შენახულია რუსეთის კანონთა კრებულში და აგრეთვე
ინტერნაციონალურ ხელშეკრულებათა კრებულშიაც. ასე
რომ თუ შესაძლებელი და ხელსაყრელი იქნება ჩვენთვის ამ
საგნის შესახებ ეგრედ წოდებულ **უფლების** ნიადაგზე ლა-
პარაკის გამართვა რუსეთის მთავრობასთან, ჩვენ უსათუოდ
უნდა გამოვიყენოთ როგორც პრაქტიკული საშუალება, ეს
იარაღიც, ხოლო აქვე უნდა ვსთქვათ, რომ პრინციპიალუ-
რად ჩვენ არა ვდგევართ ისტორიულ ნიადაგზე. ისტორიუ-
ლი უფლებანიც პრინციპიალურ საშუალებათ არ მიგვაჩნია.
ჩვენ ვუწევთ ანგარიშს ისტორიულ ფაქტებს, მაგრამ ჩვენი
მოქმედების პრინციპს ვეძებთ დღევანდელ ჩვენს საჭიროებასა
და შეგნებაში. ეს საჭიროება და შეგნება კი გვეუბნება, სა-
ჭიროა გაერთიანება საქართველოს ყველა ნაწილებისა ერთს
პოლიტიკურ ორგანიზაციად, რომელიც ქართველ ხალხის
განვითარებისათვის უფრო შესაფერი და გამოსადეგი იქნება.
ეს ორგანიზაცია არის ავტონომია. ავტონომია კი წარსულ-
შიც გვქონია. მით უკეთესი. მაშ ჩვენი სურვილი ერთი-ორად

პატივსადები და სერიოზულია. ამ მხრივ უნდა გამოვიყენოთ მოხერხებულ დროს ისტორიული უფლებანი.

ჩვენ ვამბობთ, რომ ახალ შინაარსს ვდებთ იმ სახელმწიფოებრივობაში, რომელიც წარსულში ძალით იყო მოსპობილი. ეს შინაარსი დღევანდელ პირობებით არის ნაკარნახევი. ეს შინაარსი ჩვენი ცხოვრების ნიადაგზეა აღმოცენებული. ეს ნიადაგი ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისშივე იყო იმ ხასიათისა, რომ მასზედ მაშინაც უნდა დაწყებულიყო საქართველოს სოციალურ სხეულის განახლების მუშაობა. ჩვენს სოციალურ სხეულში ჩასახული იყო ელემენტები მის განახლებისა. საქართველოს სახელმწიფოებრივობა დაცული რომ ყოფილიყო, ეროვნულ ფარგალში მოთავსებული სოციალური ჯგუფები ნორმალურად განვითარდებოდნენ. კლასთა ბრძოლის საშუალებით, რომელიც გარეშე მდგარ ძალით შეფერხებული და შეჩერებული არ იქნებოდა, ქართულ საზოგადოების ევოლუცია დემოკრატიზმისაკენ უზრუნველ-ყოფილი იყო. ფეოდალურ წყობილების ლიკვიდაცია უფრო ადრე მოხდებოდა, ბატონ-ყმობიდან განთავისუფლება ნამდვილი და არა თვალთმაქცი იქნებოდა. ყოველივე ეს მოხდებოდა გარეშე პოლიტიკური ძალა რომ არ ჩარეულიყო საქართველოს შინაურულ საქმეებში, და ქართველ ხალხს ძალთა განვითარების შემშლელი გარედან არავინ გამოსჩენოდა. დეე არევ-დარევა ყოფილიყო პირველ ხანში. მაგრამ ამ არევ-დარევიდან თანდათან გამარჯვებული და გაღონიერებული გამოვიდოდა ის, ვისაც სიცოცხლის უნარი ჰქონდა და შესაფერი ენერგია შესწევდა ცხოვრებაში ბრძოლის გასაწევად. ეს იყო ჩვენი ხალხი, ჩვენი გლეხობა, რომლის გულში ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში იყო გაღვიძებული განთავისუფლების და ფეხზე დადგომის სურვილი. •მას გვიმტკიცებს გლეხთა მოძრაობის ისტორია მეთვრამეტე საუკუნემდე დაწყებული დღევანდელ დღემდე. ნაციონალური წარმომადგენელი ქართულ სახელმწიფოებრივობისა უძლური იქნებოდა იმ ძალის აზვირთების წინაშე, რომელიც

მის თვალ-წინ გადიშლებოდა. იგი იძულებული იქნებოდა ხალხზედ დაყრდომილიყო ფეოდალთა ასალაგმავად და ჩვენ-შიაც, როგორც სხვაგან, ჯერ ხალხოსნურ მონარქიის ნიადაგი შემზადდებოდა და მერე დემოკრატიულ ძალთა ზრდასთან ერთად უფრო მაღალ პოლიტიკურ ფორმების დასამყარებლათ საჭირო კონიუნქტურაც გამოისახებოდა.

ბევრნი იფიქრებენ, რა საჭიროა ლაპარაკი ამის შესახებ, რა იქნებოდა და მოხდებოდა იმ შემთხვევაში, რომ ის არ მომხდარიყო, რაც მოხდაო. მაგრამ ყველა ამის მოგონება მეტად არ მიგვაჩნია. თუ არ რუსეთი ჩვენი განახლება შეუძლებელი იქნებოდაო. ამის წინააღმდეგ ჩვენ ვამბობთ, რომ ქართულ საზოგადოებაში იმ გვარი ძალები და ელემენტებია ჩასახული, რომ მათდა ასაშობრავებლად სრულიადაც არ იყო საჭირო უცხო ძალის დახმარება.

ჩვენში ხალხისადმი არავითარი ნდობა არ არის. სწორედ ისინი, ვისაც ასე უზომოდ მოაქვთ თავი ხალხისადმი სიყვარულით, ვისაც თითქოს ხალხისაკენ აქვთ მიპყრობილი გულისყური, ისინი არავითარ ფასს არ აძლევენ არც ამ ხალხის ძალას, არც მის თვით-მოქმედებას. დაიწყეთ თვით-მოქმედებაზე ლაპარაკი, სთქვით, რომ ხალხმა თვითონ მოაწყოს თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება, იმ წამსვე გეტყვიან, რომ ეს თვით-მოქმედება ბურჟუაზიის გაძლიერებას და ეროვნულ ქიშპობის გაღუებას მოასწავებსო.

ამ გვარ მსჯელობას, ჩვენის აზრით, ორი წყარო აქვს, რომელიც მას ასაზრდოვებს. პირველი, ათასჯერ ნახსენები და დაღეჭილი დოკტრინიორობა, უმართებულო თეორიით გატაცება და მის საშუალებით ცხოვრების შეფასებაა. მეორე — უცოდინარობა, გამოურკვეველობა, არა თეორიულ-მეცნიერული (ამასაც აქვს ადგილი), უცოდინარობა და გამოურკვეველობა ადგილობრივ ცხოვრებისა და იმ პირობებისა, რომელზედაც შეიძლება აშენდეს ჩვენში ახალი პოლიტიკური ორგანიზმის შენობა. ავტონომიის პრინციპის მომხრეთა მოვალეობაა ამ უკანასკნელ ნაკლის შევსება.

წინააღმდეგ ვიცი, რომ-პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის მომხრე ნაწილი ქართულ საზოგადოებისა ერთი აზრისა არ არის და არც იქნება ამ საგნის გარკვევის დროს. ჩვენში ეხლავე ისახება წმინდა ავტონომისტური მიმართულება, რომელსაც მარტოოდენ საქართველო აქვს მიღებული მხედველდევლობაში. ეს მიმართულება უკიდურეს ნაციონალიზმისა, რომელიც თანდათან გაიზრდება ბურჟუაზიის ზრდასთან ერთად, შეეჯახება ს.-ფედერალისტების გეგმას, რომელსაც ამიერ-კავკასიის (და თუ შესაძლებელია მთელი კავკასიისაც) ფედერალური წყობილება აქვს წამოყენებული, და აგრეთვე სოციალ-დემოკრატ-ავტონომისტების გეგმასაც, რომელთაც ჯერ გარკვევით არ უთქვამთ თავიანთი აზრი, ხოლო რომელთა მიმართულება, აშკარაა, ნაციონალისტ-ავტონომისტების მიმართულებას არ დაემსგავსება.

ასეა თუ ისე, ჩვენმა ცხოვრებამ უკვე დაამწიფა ამ საგნის კონკრეტულად შესწავლის საჭიროება. ხსენებულ ჯგუფთა მოვალეობაა დააშურონ ამ შესწავლის საქმე.



ისტორიის სამართალი?!

(საზოგადოებრივ აზრის ევოლუცია ჩვენში).

(იხ. „ამირანი“ № 57, 61, 62, 63.)

I

მოგეხსენებათ, რა რთული საგანია ისტორია, რა ძნელია ცხოვრების ისტორიულად დაფასება. ეგ სიძნელე იმაშია, რომ აქ ადამიანი თვითონ არ არის ამწონ-დამწონი და დამკვირვებელი წარსულისა, იგი ამ წარსულს ეძებს ნაშთებსა, ნაწერებსა და დოკუმენტებში და წარსულის შესახებ ადგენს აზრს, რომელსაც ჰპოებს ხსენებულ მასალებში. აქ შეცდომა და შემცდარ აზრის გასაღება ხშირი მოვლენაა, რადგან დოკუმენტიც არის და დოკუმენტიც და ყოველ ამგვარ მასალას ისტორიკოსი ასე ადვილად ვერ ენდობა. ამიტომაც არის, რომ თვით მასალების შესწავლის მეცნიერებაც კი დაიბადა ისტორიულ მეცნიერების საშველად.

წარმოიდგინეთ ახლა ისტორია, რომელიც დაწერილია „თავისუფლად“, რომელსაც არამც თუ არა აქვს შესწავლილი დოკუმენტები მათის ღირსება-ნაკლულეგანების მხრივ, არამედ რომელსაც გადათვალთვლებული და წაკითხულიც კი არა აქვს ყველა არსებული საბუთები განსაზღვრულ პერიოდის შესახებ. რა უნდა იყოს ამგვარი ისტორია? რა და ის, რაც ამას წინად დავინახეთ ბ-ნ ან-ის წერილებში „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, სადაც ავტორმა ფაქტების უცოდინარობის გამო ამცნო ქვეყანას, ვითომც ჩვენი ხალხი მუხლ-მოდრეკილი მიეგება რუსის მთავრობის დამკვიდრებას ჩვენში და სასოებით იხსენიებდა „მფარველებს“, რომელთა დროშაზე ეწერა ვითომც: „ძირს ფეოდალობა, გაუმარჯოს ხალხსაო“. ამ „ისტორიის“ შესახებ ჩვენ უკვე ვსთქვით რაც საჭირო იყო (იხ. „სამშობლო და მამულისშვილობა“). ეხლა სხვა გვარი ისტორია გვანტერესებს—ის, რომელსაც შეეხო იგივე ბ-ნი ან-ი თავის წერილებში: „პარტიული ბრძოლა ჩვენში“.

ეს საგანია ქართული აზროვნების ისტორია, არა ვრცელი და საზოგადო ისტორია, არამედ ისტორია უკანასკნელ ათ-თხუთმეტ წლისა. მაშასადამე ისტორია, რომლის მოწამენი ვიყავით, რომლის ავ-კარგი ჩვენს თავზე გამოვცადეთ. ჩვენი ცხოვრების ამ პატარა ხანაში ბევრი რამ დაწერილა, ბევრი მასალა და საბუთია საზოგადოებრივ კითხვების ნათელსაფენად. ამ პატარა ხანის ისტორია ჯერ ხნობით ძნელი დასაწერია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეგ პერიოდი ძლიერ ახლოა ჩვენთან. ჯერ კიდევ არ დამარხულა და არ წაშლილა ჩვენს გულში ის აურზაური, რომელიც განვიცადეთ, ჯერ კიდევ არ დამცხრალა აღზნებული გრძნობა, რომელიც ენთო გულში და ჯერ კიდევ არ დამშვიდებულვართ მიუდგომელ, დინჯ და სამართლიან დაფასებისათვის. ხოლო თუ მაინც და მაინც გინდათ ამ საგნის შესახებ ლაპარაკი, ერთი სავალდებულო პირობა უნდა აასრულოთ. ანგარიში უნდა გაუწიოთ ყველა არსებულ ნაწერებს, რადგან მხოლოდ ამ გზით ცოტათი მაინც აიცდენთ თავიდან ცალმხრივ მსჯელობას, ცოტათი მაინც შეიკავებთ ვნებას, წყრობას, გატაცებას, რომლითაც შეპყრობილია თქვენი გული. აქ დოკუმენტების და მასალების შესწავლა კიდევ მეტად არის საჭირო, ვიდრე მაშინ, როდესაც იკვლევთ შორეულ წარსულს. იქ თქვენი ისტორია თუ იგი ამ პირობას არ აკმაყოფილებს, უვიცი იქნება, აქ უვიცობასთან ერთად იგი იქნება უპატიოსნოც. სწორედ ასეთი ისტორიული წერილი გამოაქვეყნა ბ. ნმა ან-მა ამ მოკლე ხანში გაზ. „დასაწყის.—მერცხალში“.

ყველაზე სამწუხარო აქ ის არის, რომ ამ უკანასკნელმა ათმა წელიწადმა თითქოს სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა ჩვენი საზოგადოების ერთის ნაწილისათვის. მას არაფერი არ დაჰვიწყებია, მაგრამ ამასთან არაფერი არ უსწავლია. სდგას ერთ ადგილზე, სტკეპნის ამ ადგილს, სტკეპნის, ლაშის ჩეფლოს მიწაში, მაგრამ ნაბიჯს მაინც არ იცვლის, სტკეპნის და სტკეპნის შემოფარგლულ წრეს ყველაზე სავაგლახობის არის, რომ ჩვენს მწერლობაში ისევ ძველი არგუმენტებია ხმარებაში, ნასესხები და უკვე დაძველებული ფორმულები და სიტყვები. შინაარს მოკლკბული სიტყვებია პატივისში. იგივე სქემატიზმი, იგივე წისქვილებთან ბრძოლა, იგივე ფუქსავატი დევ-გმირობა. და არსადა სჩანს იმისი ნიშნები, რომ განვლილმა წლებმა ჩვენი საზოგადოების აღნიშნულ

ნაწილს რაიმე ასწავლეს, რაიმე შესძინეს, გაუღვიძეს მას აზრი, აღუფრთოვანეს შემოქმედებითი ნიჭი. არა, აზრი არ-სადა სჩანს, გაგება და შეგნება ცხოვრებისა დახშულია, აღ-ფრთოვანებას ხელოვნურად გაბერილ ტიკის გამოსახულება აქვს და შემოქმედება უიმედოდ მკვდარია. ორიგინალობა იმაში-ლა ისახება, ვის ვინ გადააქარბებს ჩრდილოეთიდან მოზიდულ კატეგორიების, მეტაფორების, ტერმინების თუ სალანძღავ სიტყვების შეთვისებასა და გავრცელებაში, დიად, ლანძღვაშიაც არა სჩანს ორიგინალობა. გამოვა გაზეთის პა-ტარა ტურა და შემოსძახებს: „ქეშმარიტი ქართველი!“ „შა-ვრაზმელი ნაციონალისტი!“ - და ქვეყნის ყველა კუთხეები-დან შარა გზაზე იკრიბება ტურების დიდი ხროვა, რომელიც გაჰკივის: „ჰკა მაგას! ჰკა მაგას!“ ჩვენს ცხოვრებაში არ არ-სებობენ რუს-პატრიოტთა მსგავსი ნაციონალური ჯგუფე-ბი, არ არიან ორგანიზაციაში დარაზმულნი რუს-მემარჯვე-ნეთა მსგავსი პარტიები, ვინ დაეჭებს ამას! საკუთარი აზრი არ მუშაობს, საკუთარი სიტყვა მუცელშია ჩაფლული და ტურების კნავილი-ლა გაისმის კიდიდან-კიდედმდე! აღარ არის ილაჯი ამ წამბაძველობისაგან, ამ უგუნურ წამბაძველობისა-გან, რომელიც, საუბედუროდ, მარტოოდენ ჩვენი საზოგა-დოების უკულტურობის მაჩვენებელია!

განვლილი ხანა ჩვენის ცხოვრებისა კი ბევრით არის შესანიშნავი. თუ ვისარგებლეთ წარსულის გამოცდილებით, შევიძინთ მკაფიო შეგნებას ჩვენი მდგომარეობისას, შეგნებას, რომელიც ნათელს ჰფენს წარსულსაც, მომავალსაც. ეს ძვირ-ფასი განძია. ეს ისეთი საუნჯეა, რომ თითქმის გვაფიწყები-ნებს ასე მწარედ გაცრუებულ იმედებს, გვაფიწყებიანებს მწუ-ხარებას და არევ-დარევას, რომელმაც დაისადგურა, მკვიდრი ბინა გაიკეთა ჩვენს ქვეყანაში.

უკანასკნელი თხუთმეტი წელიწადი ქართულ საზოგადო-ებისა საინტერესო ხანა იყო ჩვენში. ეს ხანა, უკანასკნელი წლების ამბები რომ არ მივიღოთ სახეში, არ იყო მდიდარი თვალსაჩინო გარეგნულის ფაქტებით და ამბებით. ჩვეულებ-რივი მქრთალი ნათელი ჩვენის ცხოვრებისა არ გაშუქებუ-ლა, არ გაბრწყინებულა არა ჩვეულებრივის ფერადებით. მიუხედავად ამისა, ამ ხანაში ჩაიყარა საძირკველი საზოგა-დოებრივ ძირითადი განახლების საჭიროებისა, ამ ხანაში გაჩნდნენ პირობები, რომლებმაც სიცოცხლე მისცეს და სუ-

ლი ჩაუდგეს ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას. მე არ ვამბობ, რომ წინად, ძველი თაობის მოღვაწეობის ხანაში არ მზადდებოდა იგივე ნიადაგი პოლიტიკურ ცხოვრების აღორძინებისა, მე არ ვამბობ, რომ ეხლანდელ ვითარებას ძაფები ჰქონდეს გაწყვეტილი ძველ თაობის ხანასთან. არა, მე იმას ვამბობ მხოლოდ, რომ ის, რაც მოგვიტანა ძველმა თაობამ და ის, რაც ახლებმა წამოაყენეს აღნიშნულ ხანაში, იყრის თავს, გროვდება, ერთმანეთს ეცილება და ამ შეცილებაში ახელს თვალს, იგნებს თავის საკუთარ სახეს, ჩვენი მომავლის სავლელ გზას სწორედ ამ განსაზღვრულ ხანაში.

პირუთვნელად შეხედეთ საგანს და დარწმუნდებით, რომ ეს ხანა ღირსია შესწავლისა, შეგნებისა და დაკვირვებისა, არა იმგვარ დაკვირვებისა, ბ-ნმა ან-მა რომ დაგვანახვა ამას წინად, არამედ ისეთისა, რომელიც დაფუძნებულია ფაქტების და სალიტერატურო მასალების შესწავლაზე. „ივერიელი“ უთმობენ ადგილს ახლებს. გამოდის სამოქმედოდ ეგრედ წოდებული „მესამე დასი“, „ივერიას“ ეთხოვებიან ზოგიერთი მისი თანამშრომელი და ახალ ჯგუფს ადგენენ, რომელსაც „ცნობის ფურცლის“ ჯგუფს უწოდებენ. მესამე დასი, თან და თან, პოლიტიკურ პარტიის სახით გამოდის, ჩნდება სოციალ-დემოკრატია. ამავე დროს „ცნობის ფურცლის“ ჯგუფიც იცვლება. არსდება „საქართველო“. ამ ორგანოს დაარსებას მოჰყვება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გამოსვლა პოლიტიკურ ასპარეზზე. ამასთან ჟურნალ „ნობათში“ თავს იყრიან ქართველი ანარქისტები, რომლებმაც ჩვენში სარევოლიუციო სინდიკალურ მოძრაობას ჩაუყარეს საფუძველი.¹⁾ ღრიალ მდიდარი და საყურადღებო თემაა ამ მოვლენათა სერიის შესწავლა, გამოკვლევა იმისი, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ყველა ამ მოვლენათ ერთმანეთში და რა ხასიათისაა ფიზიონომია თვითოეულისა, რაგვარად არიან ისინი დაკავშირებულნი ჩვენს ცხოვრებასთან და რა მომავალი მოელის თვითეულ მათგანს ჩვენი ხალხის პოლიტიკურ ზრდის მსვლელობაში

ბ-ნ ან-ის განმარტებით საქმე ამნაირად იყო. ქართული ლიტერატურაში ამ თხუთმეტეოდე წლის წინად. თარეშობ-

1) ამ წერილებში ქართულ ანარქიზმის ვითარებას არ შეივხებით.

დნენ ფეოდალები. თავადაზნაურობა და მეურნეობა იყო ამ ხნის მწერლების საზრუნავი. „ივერია“ იყო ამ მიმართულების გამომსახველი. „ივერია“-“ში შეჯგუფდნენ ძველი თაობის წარმომადგენელი „დაღალულნი“, და რამდენიმე ახალგაზდაც, „დაღალულთ თაყვანისმცემელი“. ამ თაყვანისმცემლებმა „დაღალულთ შინაყმობა“ გაიხადეს ცხოვრების უმთავრეს საქმედ. 1) ამ დროს ჩნდება „მესამე დასი“. „მესამე დასი“ ჭაბუკი და ძალღონით სავსე ხალხია. „დასს“ მოქმედება უნდა, ბრძოლა სწყურია. მიიხედ მოიხედა, მოჰკრა თვალი კუნჭულში მიმალულ „დაღალულთ“ და მათ „თაყვანისმცემელთ“ და აეშალა ჟინი ლაშქრობისა. მივიდა იერიშით მტრის წინააღმდეგ. გაჩაღდა ომი. იძლივნენ „ივერიელინი“ შინაყმებითურთ. მაგრამ საქმე ამით არ გათავდა. „ივერიის“ თაყვანისმცემელ ახალგაზრდობას ეწყინა დამარცხება. იფიქრა, ამ მოქანცულებში ყოფნა არ მარგებს, მტერს დამარცხებას არ შევარჩენ და ამიტომ კარგად უნდა შევიარაღდე და მოკავშირენიც ძლიერნი მოვნახო. ასწონ-დასწონეს გარემოება, განშორდნენ „ივერიას“ დაარსეს „ცნ. ფურცელი“. და აქ ბურჟუაზიას დაუწყეს ქომაგობა. ბურჟუაზიის მეგობრობა ხომ გაკოტრებულ თავადების მეგობრობას არ შეედრება. აქ ყოველივე ნაღდია. აქ პროგრესიულ აზრებსაც აქვს გასაღალი და თან საექვო საქმეებიც კეთდება. აქ უნდა შეგროვილიყო ახალი ჯარი, რადგან ჰაერში ისევ თოფის წამლის სუნი დატრიალდა და ქვეყანა ისევ ლაშქრობის მოლოდინში იყო. მართლაც, გადის რამდენიმე ხანი და დაფაცურდნენ „დასელები“. აისხეს თოფ-იარაღი, ამართეს დროშა და დარაზმდნენ იერიშის მისატანად. „ცნობის ფურცლის“ ჯგუფიც მზად იყო. მასაც ჰქონდა იარაღი, მაგრამ სად დასელების „პროლეტარიების“ გულადობა და სად ბურჟუები-სა! შეიბნენ მტერნი სასტიკად, იომეს, ბოლოს, რა თქმა უნდა, იძლივნენ ბურჟუიზიკები, გაიფანტნენ აქეთ-იქით და ერთმა ნაწილმა შიშით საზღვარ-გარედაც უკრა თავი, იქ უფრო არხეინად ვიქნები და თანაც იქიდან ვეცდები დაქსაქსულ ჯარის შეკრებასაო. მართლაც, გადის დრო და საზღვარ გარედ არსდება „საქართველო“. ეს იყო ახალი ციხესიმაგრე, სადაც „რევანშისათვის“ ემზადებოდა დამარცხებუ-

1) უნდა მოვავიწყოთ მკითხველს, რომ ამ შინაყმობა შორის იმ ხანებში ბ-ნი ნ. ჟორდანიაც იმყოფებოდა.

ლი ქართველი ბურჟუაზია, მაგრამ ვინ დაგაცლის? სანამ „საქართველოს“ რაზმები მზადებაში იყვნენ, „მესამე დასელებმა“ უკვე გაამაგრეს ზარბაზნები, დაიჭირეს მთა-გორები, შეჭკრეს გზები, დაანგრეს ხიდები, დასკრეს მავთულები და მოხერხებულ წამს ელოდნენ ლაშქრობისთვის. და უნდა ვსთქვათ, რომ ეხლა შეტაკება სახუმარო საქმე აღარ იყო. „დასელები“ ეხლა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ადგილობრივ „ბიუროს“ ხელმძღვანელობით მიდიოდნენ საომრად. ეს კი იმისი თავდები იყო, რომ „საქართველოს“ მომხრეთა ბედის წინაწინვე გადაწყვეტილი იყო. მაგრამ რაკი სოციალ-დემოკრატები მივიდნენ იერიშით, საქართველოელებს იარაღი არ დაუყრიათ, შეებრძოლნენ მტერს. მაგრამ, ვაი შენს მტერს, რადღეც დაადგათ საბრალოებს სოციალ-დემოკრატებმა მთლად ამოჟლიტეს რამდენიმე კორპუსი. წაართვეს იარაღი, დროშები, დაატყვევეს დიდძალი მეომარი და ბოლოს უთხრეს დაცინვით: საცა თქვენი მოიგონათ, იქ ჩვენიც გაიხსენეთო. ასე უბედურად გათავდა ეს მესამე შეტაკება და ვიღა მოიფიქრებდა, რომ ამ საზარელ დამსხვრევის შემდეგ ბურჟუებს არ გადაუვარდებოდათ ჩხუბის და მუშტი კრივის სიყვარული. მაგრამ თურმე დამცირებულ ადამიანის ფსიხოლოგია სავსეა სიძულვილის გრძნობით. დამცირებას ადამიანი არავის აპატივებს. და თუ ეს ადამიანი ამასთან ბურჟუაც არის, მის გულში პატიებას ადვილი არ ექნება. მას სწყურია სისხლი პროლეტარიისა და როგორც შეილოკი დანების ლესვაში იგი, მას უნდა თავის ხელით ხორცის გამოკრა და სწადია დავრდომილთა მწუხარებით დატკობა. ერთის სიტყვით, ეს უბედური ქვეყანა ისევ ახალ დიდ ლაშქრობის მოლოდინში დათავდა სულს, მაგრამ ახლა გარემოება ცოტათი შეიცვალა. ახლა ბურჟუაზია სოციალისტურ საკაზმულით დაიარება, ასე უფრო ადვილად დავაწყობ საქმეებსო. ახლა მას სახელად სოციალისტ-ფედერალისტი ჰქვია. ამ სოციალისტ-ფედერალისტების მეთაურობით მუშავდება გეგმა ახლის ლაშქრობისა. გარემოებაც მათ ხელს უწყობს. რეაქცია სდევნის სოციალდემოკრატებს, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტებს თავზე ხელს უსვამს. და რა თქმა უნდა ამ მოხერხებულის დროთი სარგებლობენ „ფედერალისტები“ და საქმე ისე დაიჭირეს, რომ თავიანთი რაზმები ისევ შეავსეს. აქ თავი მოუყარეს თავადებს, აზნაურებს, მღვდლებს, ბურჟუებს,

მოხელეებს და ინტელიგენციას. „ყველა ესენი ღვანან ერთ ნაციონალურ დროშის ქვეშ, გვასწავლის ბ-ნი ანი, ეს დროშაა ეროვნული ავტონომია; ყველა ესენი ღვანან გაბატონებულ კლასის ნიადაგზე—ზოგი აზნაურობის, ზოგი ბურჟუაზიის, ზოგი სასულიერო წოდების, ზოგი ინტელიგენციის. ეს სხვადასხვა კლასის და მიმართულების ადამიანთა თავყრილობაა. ეს ერთი რაზმია, ერთი საქართველოა“ (მერცხალი № 6). მეორე საქართველო სოციალ-დემოკრატიანა. „აი ამ ორ საქართველოს შორის სამჯერ იყო დიდი ბრძოლა ამ ათ წელიწადში: პირველად „ივერიელთა“ წინააღმდეგ, მეორედ „ცნობის ფურცლის“ „საქართველოელებთან“, მესამედ სოციალისტ-ფედერალისტებთან მწერლობაში და მიტინგებზე, და აი დღეს ეს ბრძოლა იწყება მეოთხეჯერ; მარა რადგანაც დღეს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობა ჩვენ ხელს არ გვიწყობს, ამიტომ ყველა წინანდელ ბრძოლაზე უფრო საშიშარი ეს დღევანდელი ბრძოლაა“ (იქვე). როგორც ხედავთ, საქმის სერიოზული მდგომარეობა კარგად აქვთ გათვალისწინებული სოციალ-დემოკრატებს და მათ თითქოს ეფიქრებათ ეს „ლიაოიანის“ მსგავსი ომის აჩრდილი რომ უდგებათ თვალწინ. მაგრამ, რა ვუყოთ, ბედი ცვალებადია, ბედნიერებაც სამუდამო არ არის. „ბურჟუებმა“ რეაქციის დახმარებით ერთხელაც რომ იგემონ გამარჯვების სიხარული, დღე-ღამედ არ შეიცვლება და მდინარეებიც არ შეაჩერებენ თავიანთ ტალღების დენას! ამ ფილოსოფიურ ფიქრებში უნდა ჰპოვონ ნუგეში დამარცხების შიშით შეპყრობილ მეომრებმა! ჩვენ კი მომავალ ამბების მოლოდინში აქ შევჩერდეთ პატარა ხანს და დავუფიქრდეთ მოთხრობილ ამბავს.

მკითხველი გაოცდება. იფიქრებს ისტორიის ნაცვლად ვოდვეილს და მელოდრამას მაწვდიანო და მისი მსჯავრი ამ შემთხვევაში შემცდარი არ იქნება. მწერლობა გამასხარავდა. მაშინაც კი, როდესაც იგი სეროზიულ კილოს იღებს, მასხარაობის მეტი არა გამოდის-რა. „გმირების“ იერი ცრუ კლასიციზმის თეატრის გმირების იერს მიაგავს. დაწებებული უღვაშები, ბუტაფორები, ქარქაში, ხის სატეფარი, კილოც აშალლებულია, არა ბუნებრივი, მიხვრა-მოხვრაც ვითომდა ტრაგიკულია. პარიზის განაპირა უბნების მესამე ხარისხოვან სტენებზე მინახავს ამ ხასიათის „აქტიორები“. დავრდომილ-

თათვის იღწვიან! მათი თავგანწირულება მათს არარაობას უდრის; მათს აღფრთოვანებას არცის სუნი უდის და ყოველ ნაბიჯზე ეტყობათ, რომ აქ უსუსურ უნიჭობასთან გაქვთ საქმე, რომ ეს უნიჭობა და სულიერი ფუქსავატობა გრიძითა ბუტაფორებით და სათამაშო იარაღის ჩხარუნით არის დაფარული. ამ აქტიორების ცქერის შემდეგ ადამიანი ისე უგემურად ხდება, თითქოს ერთი გირვანქა საპონი შეუქამიაო. ამ ხასიათის „ბუფონადა“ შემოვიდა ჩვენს მწერლობაშიაც.

ბ-ნ ან-ს დაეკითხებით, რაზედ ამყარებთ თქვენს ისტორიას? ოთხ ლაშქრობის ამბავს რომ მოგვითხრობთ, სად არის თქვენი საბუთები? მართლაც, ადამიანი ამისთანა მძიმე საგანს ჰკიდებს ხელს, მთელი ეპოქის იდეურ ევოლუციის დაფასებაშია და ამ საქმისათვის ამოუწერია ერთი ციტატა „ივერიიდან“, ერთი „ცნობის ფურცლი“-დან, ერთი „კვალი“-დან და ერთიც „საქართველო“-დან. მეტად არ გარჯილა. ან რა საჭიროა ფაქტების წამოყენება, როდესაც ბ-ნ ან-ს წინდაწინვე აქვს შედგენილი დამზადებული აზრი ქართულ საზოგადოების ევოლუციის შესახებ. ტყუილად კი არ ამბობს პუბლიცისტი, „პარტიის, ისე როგორც პიროვნების დაფასება ყოველად შეუძლებელია იმით, რასაც ის თვითონ ამბობს თავის თავზე“. მისი დაფასება ალბად იმის მიხედვით არის შესაძლებელი, რასაც ბ-ნი ან-ი იტყვის ამა თუ იმ პარტიის თუ პიროვნების შესახებ. მოდით და ნუ გაიცინებთ!..

II

ის ხანა რომელსაც ასე უღირსად მოეკიდა ბ-ნი ანი, მეტის ყურადღების ღირსია. საქმე ასე იყო. იმ დროს, როდესაც ჩვენს საზოგადოებაში თანამედროვე პარტიების სახსენებელიც არ იყო, სამწერლო ასპარესზე მოქმედობდა თაობა, რომელსაც ჩვენ დღეს ძველ თაობას ვუწოდებთ. ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენელი ილია ჭავჭავაძე იყო. ჩვენ აქ ჭავჭავაძის მოღვაწეობას არ შევხებით. გვინდა მხოლოდ ოდნავად აღვნიშნოთ უმთავრესი მოტივები მისის პუბლიცისტისა.

ილია ჭავჭავაძის ნაწერებს რომ ეცნობებით, თქვენთვის აშკარა ხდება ის აზრი, რომ მწერლის მთავარი საზრუნავი ეროვნების დაცვა და მოსარჩლეობა იყო. ეხლანდელის აზრით რომ შევხედოთ ამ საგანს, ჩვენ არ შეგვიძლიან ვსთქვათ,

რომ ეს მხარე ქავჭავაძის პუბლიცისტიკისა რეაქციონური იყო. დამცირებულ ერის დაცვა ფრიად კეთილშობილი გრძნობაა და იგი ყოველთვის იყო, არის და იქნება პრინციპი პროგრესიული. ეროვნული ბრძოლა დაჩაგრულ ერისა და შოვინისტური ნაციონალიზმი დიდ სახელმწიფოებისა ერთი და იგივე ცნება არ არის. ბ-ნი ან ი კი ერთმანეთში ურევს და ამიტომ ამბობს, რომ სამშობლოს დროშა ყველგან და ყოველთვის გაბატონებულ კლასების ხელში ხალხის მოსატყუებელი იარაღია. ამნაირი შეხედულობა არ შეეფერება საქართველოს მდგომარეობას. საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში გაბატონებულ კლასებს არასოდეს არა სჭერიათ ხელში სამშობლოს დროშა, გაბატონებული კლასები იყვნენ და არიან ჩვენში ეროვნების სამარის მთხრელნი. მაგრამ მსჯელობის ფორმალური სქემატიზმი ცხოვრებას არასოდეს არ უწევს ანგარიშს; ასე რომ გასაკვირველი არ არის, რომ აგერ თხუთმეტი წელიწადია აქედნებენ ჩვენში გულსაკლავ უგუნურებას. ილია ქავჭავაძე ამბობდა: „ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის“. (იხ. ჩემი წერილები „ძველი თაობა“, „მოამბე“ № VI, 1901 წ.) ფსიხოლოგიურ საფუძველს ქართულ ეროვნულ მოძრაობისას, თუ გინდათ, ამაში ჰპოვებთ. მაგრამ ამ მოძრაობას ღრმა სოციალური და პოლიტიკური წიადაგიც აქვს. ილია ქავჭავაძის გულისყური აქეთკენაც იყო მიპყრობილი და აქაც ჩვენ მის ნაწერებში არავითარ რეაქციონერობას არა ვხედავთ. ოცი წლის წინად ილია ქავჭავაძე აფხიზლებდა საზოგადოებას, აქცევდა მის ყურადღებას ჩვენი ქვეყნის უსაჭიროებს საკითხებზე და დღესაც იგივე საგანი მოუწესრიგებელი დაგვრჩენია, დღესაც თავში საცემი გაგვხდომია სწორედ ის, რაზედაც გვესაუბრებოდა მწერალი ოცი წლის წინად. ილია ქავჭავაძის ზრუნვა იმაში იყო, რომ ის მიწაჲ რომელსაც ჰკარგავს თავად-აზნაურობა, გლახკაცობას ხელში დაარჩენდეს იყო. და ჩვენს მწერალს ძლიერ აფიქრებდა ის, თუ რა გზით მოხერხდებოდა და მოეწყობოდა ეს საქმე, ანუ სწერდა: „თუ მართლა სოფ-

ლის მამული ბევრი-ბევრი ხუთხედ მეტს სარგებელს არ იძლევა... და თუ ფული კი მის სასყიდლად ხუთხედ მეტადაც ძლივს იშოვება, მაშ გლახ-კაცმა, რომლის გამამულიანება ფრიად საჭიროა და სანატრელი, როგორ უნდა ნიაწვდინოს ხელი მამულის სასყიდლად... უამისოდ გლახი ხომ ფულის პატრონის მუქთა მუშად, მსახურად შეიქნება საშვილი-შვილოდ და ის, რაც ასს თუმნიან მამულის გამო ხუთ თუმანზედ მეტი გადახდება, ეგ ხომ იგივე ყმობა იქნება, რომლისგანაც ძლივ-ძლივობით თავი უკვე დააღწიაო“ (იქვე, „მოამბე“ IX). იგივე საგანი, იგივე საკითხი დღეს ჩვენს წინა დგას და მას უწევს ანგარიშს თვით „ფორმულებში ჩაფლული“ სოციალ-დემოკრატია. მარქსისტული „მერცხალი“ იმის ზრუნვაშია, რომ ქართველმა ხალხმა, გლახობამ, შეიძინოს მიწა, და ურჩევს გლახობას მემამულეებთან გამართეთ მოლაპარაკება ამ საგნის შესახებო. „მემამულე, პირველ ყოვლისა, კერძო კაცია, მასთან მოლაპარაკება, ვაჭრობა, ბრძოლა და სხვა უფრო ადვილია, ვინემ საგლახო ბანკის პატრონთან—სახელმწიფოსთან. გლახობა აქ უნდა ცდილობდეს მემამულეს გამოართვას მამული რაც შეიძლება ნაკლებ ფასებში და რაც შეიძლება დიდ ხანს (!) გადახდითო. „მერცხალი“ (№ 20). ასე რომ აქ ჭავჭავაძეს აძლევენ ხელს მისი სასტიკი მოპირდაპირენი. ტყუილად კა არ ამბობენ, ცხოვრება ყოფილა საუკეთესო მომრიგებელი-შუამავალიო.

ილია ჭავჭავაძეს, ცხოვრებაში ჩახედულ კაცს, გადასახლების საკითხიც აწუხებდა და აღონებდა. „საქართველოს გლახობას... უფრო მომეტებულად უჭირს თავისუფალი მიწები და გადასახლება, ვიდრე ზუსეთისას. რუსეთში ერთს კვადრ. მილზე საშუალო რიცხვით სცხოვრობს 500 სულამდის, ჩვენში—1000 სულ... აღმოსავლეთ საქართველოში ერთს კვადრ. მილზე ითვლება 800 სული, დასავლეთისაში —1200—1300 სული... სამეგრელოში თითო კვადრატ ვერსზედ სცხოვრობს 1700 სული. ამ სივიწროვეს ერთი ორად ხდის ის გარემოება, რომ ნახევარი სამეგრელო ტყესა და ქაობს უჭირავს, რის გამოც თითო გამოსადეგს კვადრატის ვერსზედ აქ 3600 სული მოდის. ეს ისეთი სივიწროვეა, რომელიც რუსეთის არც ერთ კუთხეში არ გაგონილა... ამაზედ უფრო დიდი ჭირი ჩვენს ქვეყანას ამ უამად არ ადგია. ამაზედ უსაჭიროესს საქმეს ჩვენი მწერლობა და საზოგა-

დოება ვერ აღძრავსო“ (იქ. IX). რამდენად მართალი იყო ილ. ჭავჭავაძე, რამდენად მართლაც და სახიფათო და სავაგლახო საგნად ისახება ეს საკითხი, მტკიცდება იმ გარემოებითაც, რომ ამ საგანს დღეს მიაქცია ყურადღება თვით ბურჟუაზიაში ვახვეულმა სოციალ-დემოკრატებმა. „მერცხალ“-ში ვკითხულობთ... „განა ეკონომიურად უფრო ხელსაყრელია ადგილობრივ უმიწაწყლოთა გაჭირვებაში დატოვება და რომლიდან გადმოყვანა? განა ეს მეტ არევ-დარევას არ იწვევს მცხოვრებლებში და უკმაყოფილების და შევიწროების გრძობას არ უბადებს იმათ, ვისაც თვალ-წინ ლუკმას სტატეგენ? . თუ სადმე ჩვენში თავისუფალი გოჯი მიწაა, იქითკენ ადგილობრივი უმიწაწყლო გლეხები დიდი ხანია მიიწვევენ და იქ დასახლების უფლებას თხოულობენ და რომ მათი უფლებები ხელოვნურად შეზღუდული არ იყოს, დიდი ხანია ერთ ნაკვეთს თავისუფალ მიწას არ დასტოვებდნენ. ეს ეკონომიურადაც უფრო სასარგებლო იქნებოდა და კავკასიის ერთა თავისუფალ განვითარებასაც ხელს შეუწყობდაო“ (№ 1). აქაც სოციალ-დემოკრატია ხელს აძლევს ილია ჭავჭავაძეს. იცით რას ნიშნავს ყოველივე ეს? იმას, რომ **ეს დასაწყისია სოციალ-დემოკრატიულ ეროვნულ პოლიტიკისა**, ცხოვრება გასწირავს და მოიძნობს ადამიანს, ან კიდევ თავის ენაზედ აალაპარაკებს მას. ამ საბუთის პირველი სიტყვები უკვე მოვისმინეთ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში*).

ილია ჭავჭავაძე იყო „ივერიის“ სულის ჩამდგმელი, მაგრამ 1893 — 1901 წლებში „ივერიის“ რედაქციაში შეხიზნულნი იყვნენ ახალგაზდებიც, „დაღალულთა შინა-ყმებიო“, ამბობს ბ-ნი ან-ი. თუ დაღლილობით ახასიათებს „ძველი თაობის“ მოქმედების დასაწყისიდან ბოლომდე, ეგ შემცდარი აზრია. დაღლილობა ძველებს მოქმედების უკანასკნელ ხანაში დაეტყუოთ. ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში“ აღფრთოვანებული იყო მოქმედების და ბრძოლის სურვილით. ჩვენი მწერალი ამბობდა: „მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი ვაგლახი. თერგი სახეა

*) ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ გამოვიდა ბაზეთი „ალიონი“, რომელსაც, როგორც სჩანს, ამ ხასიათის საუბარის დაწყება სწადია, ახლაც მომავალი გვაჩვენებს, რამდენად მართალია ეს ჩვენი მოსაზრება.

ადამიანის გაღვიძებული ცხოვრებისა, ამაღლებელი და ღირს-საცნობი სახეც არის. იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა... ნეტავი შენ თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადევ, თუ მყარლ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, „ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემიო“. რაიც შეეხება „შინაყმებს“, ამ შინაყმების ისტორია ყმობას არ გვაგონებს.

„ივერიაში“ შეხიზნული ახალგაზდები თანაუგრძობდნენ „ივერიელთა“ ეროვნულ პროგრამას. მაგრამ სხვა საკითხების განმარტებაში მათ და „ივერიელთა“ შორის თანდათან უთანხმოება ჩნდებოდა. პოლიტიკურის ტერმინოლოგიით ეს იყო უთანხმოება ლიბერალიზმისა და რადიკალიზმისა. დროთა მსვლელობაში იდეური განხეთქილება იქამდე მივიდა, რომ „ივერიას“ განშორდნენ ახალგაზდები და ჩნდება „ცნობის ფურცელი“. „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის ისტორია მით არის საინტერესო, რომ აქ „ივერიიდან“ გადმოტანილი „რადიკალიზმი“ ნელ-ნელა ფერს იცვლის, აქ აზრის მოძრაობა განუწყვეტელბ იყო, აქ ჩაიყარა საფუძველი სინტეტიურ პოლიტიკურ აზროვნებისა, აქ კემპარიტების ძებნა, გამუდმებული წინმსვლელობა იყო დამახასიათებელი თვისება ხსენებულ ჯგუფისა. ვისაც სამართლიანი დაფასება უნდა ამ ჯგუფისა, იგი ამ ჯგუფის მოძრაობის ევოლუციაში უნდა სინჯავდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთის და ორის ციტატის ამოღებით იმ დროინდელ ნაწერებიდან ცალმხრივი და უსამართლო დაფასება გამოვა.

„ცნობის ფურცლის“ ჯგუფის სახე თანდათან გამოირკვევა მკითხველის თვალში, როდესაც ჩვენ „საქართველოს“ შევხებით. ამ ჯგუფის საქმე „საქართველო“ იყო. ხომ თვით ბანი ან-ი ბრძანებს, საქმეში სცან ადამიანიო. მაგრამ ამ საგანს ნათელს ჰფენს თვით ამ ჯგუფის ნაწერების სინდისიერი შესწავლაც.

ჩვენ აქ შევჩერდებით ზოგიერთ საყურადღებო მომენტზე. ჯგუფი არკვევდა თავის პოზიციას და თანაც იმიჯენებოდა მეზობლებისგან — ერთის მხრივ „ივერიელთაგან“ მეორეს მხრივ „დასელთაგან“. ზემოდ აღნიშნული ჩემი წერილები „ძველი თაობის“ შესახებ გამოგვადგება ეხლა ამ საქმისთვის. უნდა

ვსთქვამთ, რომ იმ დროს დღევანდელი ხასიათის პარტიული მწერლობა ჯერ კიდევ არ იყო. პირადად მე თუ რამეს ვწერდი იმ ხანაში, არავის მონდობილობით არ ვასრულებდი ამ ჩემ მოვალეობას. „ცნობის ფურცლის“ რედაქციის წევრთა შორის უმთავრესს საკითხების განმარტებაში თანხმობა ჰსუფევდა და ჩემი წერილებიც ამ მხრივად ჩაითვლებიან რედაქციის გამომსახველ აზრებად.

ბ-ნი ან-ი უსაყვედურებს „ივერიელთ“ თავად-აზნაურობის და მეურნეობის მოსარჩლენი და დამცველნი ხართო. პირველი საყვედური სიმართლეს მოკლებულია. ჭავჭავაძე ამბობდა: „ქვეყანაზე მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს წარუმატნია თავი ათასგვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზე შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც არ წაწეულა; პირ-იქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლიაო“ („ძველი თაობა“, „მოამბე“ 1901, IX). როგორც ჰხედავთ, აქ წოდებრივ უპირატესობის საჭიროებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ თანხმობაზე და სოლიდარობაზე. ამას დღეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეკონომისტები ჰქადაგებენ ევროპაში. ხოლო ამ ეკონომისტებს არავინ უსაყვედურებს, ფეოდალებს ესარჩლებითო. მაგრამ მათ შეიძლება სხვა მხრიდან ეთქვათ საყვედური. ჭავჭავაძის აღნიშნულ აზრის შესახებ ჩვენ ვწერდით: „თუმცა ავტორი ამბობს, რომ „ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლიაო“, მაგრამ ავიწყდება, რომ ყოველთვის ანგარიშში მისაღებია ის, თუ „ვინ“ რჩება უკან, რომელი წოდება იმარჯვებს; ავიწყდება აგრეთვე, რომ მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში მწარმოებელი წოდების ფენის წინ წადგმა ქვეყნის წარმატების მომენტად ჩაითვლებოდა და არა იმის უკან დახვეისაო“. აქ „თანხმობას“ და „სოლიდარობას“ უპირისპირდება „ბრძოლა“ და ბრძოლის საჭიროება წარმატებისათვის.

„საზოგადოებრივ მწერლის დაფასება თუ გინდათ, ვწერდით ჩვენ იმ დროს, გამოიკვლიეთ, რა თვალით, როგორ უყურებს კერძო საკუთრების პრინციპს“. ჩვენ მაშინ ვეძებდით პასუხს ამ კითხვაზე ილია ჭავჭავაძის ნაწერებში. და ამ ნაწერების შესწავლამ გვათქმევინა ილია ჭავჭავაძეს უუათა-

ნა მიმართულების ადგილი ეჭირა“. ბატონ-ყმობის წინააღმდე-
გი, გლექაცის მდგომარეობის გაუმჯობესების მომხრე, ჩვენი
ავტორი არასოდეს არ გადასცილებია ზომიერებას და არ მი-
სულა ძირითად ეკონომიურ წინააღმდეგობის აღიარებამდე“
(იქვე). ქავჭავაძის თვალში საკუთრებას ორი ნაწილი შეად-
გენს: ერთი პირადი, მეორე ზოგადი. ეს ის მხარეა საკუთ-
რებისა, როდესაც შრომის ნაამაგი საზოგადოებასვე ხმარდება.
ჩვენებური ხიზნობა, ავტორის განმარტებით, არის ერთგვარი
სახე მიწის სარგებლობისა, გაძლიერება საკუთრების ზოგადის
ელემენტისა. „მიდრეკილება ხიზნობისა, ამბობს ქავჭავაძე,
რომ ხმარება მიწისა საშვილიშვილოდ იყოს და ღალა თუ
გადასახადი ერთსა და იმავე ჰდევდ იდგეს უცვლელად—
ეს ისეთი იერიშია საკუთრების პირადს და კერძო ელემენ-
ტზედ მიტანილი, ეს ისეთი ღალამია, რომ საკუთრების ხელ-
შეუხლოების მოძღვრებას ძირეულად არღვევს, მთელს რჯუ-
ლიერებას საკუთრებისას ფერს უცვლის და ზოგადს ელე-
მენტს მისას გზას უხსნის სამერმისოდ ცხოვრებაში ადგილის
დასაჭერად... პატრონი ხიზნობის წესით ნება მოკლებულია:
1) აჭყაროს ხიზანი უამისოდ, რომ არ უზღოს ყველაფერი,
რასაც ხიზანი მის მამულში სტოვებს, და 2) მოუმატოს ღა-
ლა-გადასახადი. ამ სახით მამულის პატრონი ღონე მიხდი-
ლია მოიხმაროს თავისი საკუთრება თავისი სურვილისამებრ,
და ეს რა არის, თუ არ შერყევა იმ მაღალის კედლისა, რო-
მელსაც პირადს საკუთრებას ეძახიანო“ (იქვე). ამის გამო ჩვენ
ვამბობდით: „თუმცა ჩვენი ავტორისათვის ფრიად სიმპატიუ-
რია საკუთრების ზოგადი მხარე, ე. ი. თუმცა მის თვალში
საკუთრება ხელუხლებელი არ არის, პირიქით, ზოგიერთ პი-
რობებში მისი უფლების შეკვეცაც არის საჭირო, ხოლო ამ
კერძო საკუთრების უფლების შეზღუდვას, ავტორის შეხე-
დულობით, აქვს აუცილებელი საზღვარი, რომელსაც არც კა-
ნონი, არც ჩვეულება არ უნდა გადასცილდეს. ამითი აიხსნე-
ბა, რომ ჩვენი ავტორი ასე თანაუგრძნობს ხიზნობის ადათს,
სადაც, მიუხედავად საკუთრების უფლების შეკვეცისა, გან-
საზღრულია ამ შეკვეცის საზღვარი. ამით აიხსნება, რომ იქ,
საცა დაკულია ზოგადი ხასიათი საკუთრებისა, ავტორის შე-
ხედულობით, აღარ არის შრომის და საკუთრების წინააღ-
მდეგობა და განხორციელებულია სასურველი ეკონომიური
თანხმობა. ავტორი არა ჰხედავს, რომ ამგვარი საკუთრების

უფლების შეზღუდვა მხოლოდ ერთი ნაბიჯია შრომის და საკუთრების წინააღმდეგობის მორიგების კითხვაში“ (იქვე). აქ ჩვენ დემოკრატიულ პრინციპს სოციალისტურს ვუპირისპირებთ. ამ მხრივ მუშავდებოდა ჩვენი გამიჯვნა ივერიელებთან. ეს იყო პირველი გამიჯვნა ქართულ სოციალიზმისა ნაციონალ-დემოკრატიზმის წინამორბედებთან.

ბ-ნი ან-ი უსაყვედურებს „ივერიელთ“ — სოფელს აქცევდნენ ყურადღებას და მეურნეობა იყო მათი საზრუნავიო. მეურნეობაზე ზრუნვა პუბლიცისტს სათაკილო საქმედ მიაჩნია. ამგვარადვე ჰფიქრობდა ბ-ნი ნ. ჟორდანიას, რომელმაც თავის „ქართულ პრესაში“ ჯვარს აცვა ილია ჭავჭავაძე მეურნეობის სიყვარულისათვის. მაგრამ ეგ ხომ გაუგებრობაა და სხვა არაფერი. ამ გაუგებრობას თავის დროზე ჩვენ მივაქციეთ ყურადღება და ამის გამო ვწერდით: „ჭავჭავაძის ყურადღებას მარტო სოფელი იწვევდა, ამას გასამართლებელი საბუთი ჰქონდა, რადგან ჩვენი ქვეყანა სოფლური ქვეყანაა... ჩვენი სოფელი მართლაც და დიდის და განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია; ჭავჭავაძის ცალ-მხრივობა ამაში კი არ არის, რომ აქცევდა ყურადღებას ქართულ სოფელს, არამედ იმაში, რომ მარტო სოფლისაკენ იყო მიმართული მისი გულის ყური... ძალიანაც რომ თანავუგრძობდეთ ქალაქურ მრეწველობის გამოფხიზლებას, სოფლის მინებება და მიტოვება მაინებლად მიგვაჩნია. ჩვენ არ ვეთანხმებით ერთგვარ სოციალურ მოძღვრებას, რომელიც გვაუწყებს სოფლის გადაგვარების და გაქალაქების საჭიროებას. სოფლის წარმოებას ყოველთვის თავისებური ხასიათი ექმნება და მისი ცვლილება ქალაქთან ვიწრო და მკვიდრ დაკავშირებაში გამოისახება და არა მის გადაგვარებაში. სწორედ ამისთვის ბ-ნი ჟორდანიას დაფასება ჩვენი ავტორის „სოფლურ შეხედულებებისა“ უსაფუძვლო დაფასებად მიგვაჩნია, რადგან ჟორდანიას „სოფლის გადასხვაფერებას“ „სოფელთა გაქალაქებაში“ ჰხედავდა და ეს გაქალაქება თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების უმთავრეს ძარღვად მიაჩნდა (იქვე).

რომ ჩვენსკენ იყო სიმართლე ამ საკითხში, ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, აზრთა ის ევოლუციაც, რომელიც მოხდა სოციალ-დემოკრატიაში აგრარულ საკითხების ფარგალში ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში. სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში აგრარული საკითხი თანდათან იკიდებს

ფებს. პარტიის მეორე კონგრესიდან მოყოლებული სოფელი და მეურნეობა იპყრობს მარქსისტების ყურადღებას. ჯერ ჩამონაჭრები და მცირედი გაფართოვება გლეხობის მიწის მფლობელობისა, მერე მთელი მიწის ხელში ჩაგდება (ВАСХМЛ), მას შემდეგ მიწის მუნიციპალიზაცია, ე. ი. მოწესრიგება საკითხისა სოფლის საზოგადოებათა ხელში მიწის გადაცემით — აი სხვა და სხვა ფაზისი სოციალ-დემოკრატიულ სამეურნეო პოლიტიკისა. მეურნეობა გახდა საზრუნავი, მეურნეობა და მიწის მფლობელობის საკითხი იპყრობს პროლეტარიზაციის მომხრეთა ყურადღებას. ასე რომ „ივერიელების“ მიმართ მიმართული საყვედური ქარწალებული საყვედურია. ნუ დაეთანხმებით მათ აზრს სამეურნეო საკითხთა გადაწყვეტის დროს, ხოლო ნუღარ იტყვიან, რომ მათი ცოდვა იმაშია, რომ მეურნეობას აქცევდნენ ყურადღებასაო.

მაშ ეხლა დაფუძრუნდეთ ლაშქრობის ამბავს. ბ-ნ ან-ის რაზმებმა „ივერიელთ“ წინააღმდეგ მიიტანეს პირველი იერიში „და გაიმართა ომი“. დაუფიქრდით კარგად ამ შეტაკებას. ვინ ვის ეომებოდა? თავდაპირველად ომი გამოუცხადეს ეროვნულ პრინციპს, ეროვნულ პროგრამას. ჩვენ უკვე ვნახეთ, რამდენად საფუძვლიანი იყო ეს ანტიინაციონალური ლაშქრობა. დღეს სოციალ-დემოკრატები იძულებულნი არიან იმ გზით იარონ ეროვნულ საკითხთა ფარგალში, რა გზითაც სიარულს ურჩევს მათ „ივერია“, ე. ი. მათი მოპირდაპირე მხარე. ომი გამოუცხადეს ფეოდალობას. ჩვენ აქაც ვნახეთ, რომ ფეოდალებს მოსარჩლე „ივერია“-ში არა ჰყავდა და „კამპანიას“ დონკიხოტობის იერი ჰქონდა, ეომებოდნენ მეურნეობის ინტერესებს. დღეს კი თვითონ იცავენ ამ ინტერესებს.

მაშ რა მოხდა, რა იყო იმისთანა, რასაც უნდა გამოეწვია შეტაკება? მოხდა ერთი რამ. იმ ხანებში ჩვენში ჩნდებიან ეგრედ წოდებული „მესამე დასელები“. ეს იყო ინტელიგენტი ახალგაზდათა ჯგუფი, რომელმაც გამოსვლისათანავე ნიგილისტური პოზიცია დაიჭირა არსებულ საზოგადოებრივ ჯგუფთა მიმართ. ამ ჯგუფს მუშათა ინტერესების დაცვა სწყუროდა. მუშათა კლასის გამოსვლა სამოქმედო ასპარეზზე იმ ხანებში ჯერ კიდევ საღაო საგანი იყო. ეს გარემოება საკმარისი იყო, რომ მის გარშემო ატეხილიყო აურზაური და ალიაქოთი. ხსენებული იყო, „მესამე დასს“ ერთი ისტორიული დამსახურება მიუძღვის. მან ხაზგასმით მიაქცია ქვეყ-

ნის ყურადღება მუშებისაკენ, მუშურ საქმისაკენ—ამ ახალ საზოგადოებრივ მოვლენაზე, რომელსაც თანდა-თან საპა+იო და ღირსეული ადგილი უნდა დაეჭირა ჩვენს ცხოვრებაში. აქ იწყება და აქ თავდება ისტორიული დამსახურება „მესამე დასისა“. ამ დასმა მოინდომა მუშურ საქმის ხელმძღვანელობა და აქედან იწყება ამ საქმის წახდენა და შელახვა საქართველოში. აქ, იმ ხანაში, ჩისახა ყოველივე ის, რამაც დღეს ფართოდ გაშალა ფრთები და რაც ასე აფერხებს და ხელს უცარავს ნამდვილ სოციალისტურ მოძრაობას. აქ იმ ხანაში ჩისახა მედიდურობის, გაბატონების და დიქტატურობის გრძნობა-სურვილები. აქ ამ ხანაში ჩააგონეს მუშა ხალხს, რომ დაჩაგრულ ერის მოსარჩლეობა ხალხისათვის სათაკილო საქმეა. აქ სთქვეს და გაავრცელეს ის სიცრუე, ვითომ ჩვენში ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვა თავადების და ბატონყმობის აღდგენას ნიშნავდესო. კი, ღიადი და დაუფასებელი საქმეა მუშა ხალხის წინ წამოყენება, მაგრამ რატომ აამხედრეთ ეს ხალხი მის საკუთარ ინტერესების წინააღმდეგ?

მე არ ვამბობ, რომ „ივერიის“ წინააღმდეგ გალაშქრებისათვის საბუთი არა გქონდათ, მე ვამბობ მხოლოდ, რატომ არ დაიწუნეთ, არ უკუაგდეთ მხოლოდ ის, **რაც მართლაც დასაწუნი იყო**, და რატომ არ მოიწონეთ და არ აღიარეთ ის, **რაც სასარგებლოც და საჭიროც იყო მუშა ხალხისთვის?** კლასთაბრძოლის პრინციპის წყალობით? არა, განა კლასთა ბრძოლის პრინციპით მოქმედება უსინათლო ადამიანის სიარულს მიაგავს? არასოდეს. ეს პრინციპი გონიერი და წინდახედულია, რადგან მის საშუალებით მოხდება ცხოვრების განახლება! თქვენ კი ეს პრინციპი, მხედველი და ნათელი, დააბრმავეთ და ისე არიეთ საქმე, რომ მოყვარე მოყვარეს ველარ სცნობს, მტერი — მტერსა.

ასეთი იყო პირველ შეტაკების ხასიათი. შემდეგი ისტორია პროგრესიული ზრდაა შეცდომათა და უკუღმართ ნაბიჯთა დაკანონებისა „დასელების“ მიერ.

III

ზემოდ ნათქვამიდან მკითხველს უკვე ექმნება ცოტად თუ ბევრად გარკვეული ის აზრი, თუ რავგარად გაზვიადებული და ხელოვნურად გაბერილი იყო იდეური განხეთქილება საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის. ქართულმა მარქსიზმმა

იმთავითვე თავმომწონე, ქოჩორ-გადმოგდებული, გულ-მკერდ გაღვლილ ფალავნისხასიათები დაიჭირა. სულ კიდილის გუნებაზედ იყო. თამაშით და ხელების ქნევით უვლიდა მინდორს და ამბობდა—აბა, თუ ბიჭები ხართ, გამოდითო!

მეურნეობის ქვეყანაში ოდნავად შერყეულ მრეწველობით მარქსიზმის მდგომარეობა გამოურკვეველი იყო. ფეოდალიზმს დრო მოჰქმული ჰქონდა, ფეოდალიზმს კი ბურჟუაზიული ხანა მოსდევს. როცა ბურჟუაზია არსებობს და მოქმედებს, მაშინ მარქსიზმსაც სიცოცხლე ეძლევა, რადგან ებადება მოპირდაპირე. ბრძოლასა და მოქმედებაში კი ძალა იწვრთნება. ჩვენში ბურჟუაზია, როგორც დარაზმული, თავის ინტერესების შეგნებით გამსჭვალული კლასი, საზოგადოებაში ჯერ-ჯერობით გამოსახული არ იყო. მაშ საჭიროა, რაც გახდეს—გახდეს, ამ ბურჟუაზიის გაჩენა. გამოდის დეკრეტი, გინდა თუ არა, ბურჟუაზია უნდა იყოს, თუ ცხოვრებაში არა გაზეთის ფურცლებზე მაინც. და მარქსიზმი ისევ არხეინად ჰგრძნობს თავს, ისევ ენიჭება ფალავნობის ღირსება, ისევ ეშლება კიდაობის საღერღელი. „ცნობის ფურცლის ჯგუფი“ აი ამგვარ დეკრეტით შექმნილი ბურჟუაზიული იდეოლოგია იყო. მარქსიზმს ესაჭიროებოდა სისხლისმწოვარე ბურჟუა; „ივერიელნი“ ამ საქმისათვის არ ვარგოდნენ. „ფეოდალები“ და მეურნეობის „თაყვანისმცემელნი“ ბურჟუებად არ გამოდგებოდნენ. „ცნობის ფურცელი“ კი მრეწველობაზე ლაპარაკობს და ამასთან აჟღერებს ნაციონალურ ფანდურს. ესენი უნდა გახდნენ ხალხის მტრებათ. თუ არ არიან თავიანთ ნაწერებში, მაინც უნდა გახდნენ. ამას მოითხოვს მარქსისტული აზროვნების განვითარების და დამკვიდრების საქმე საქართველოში. ასე და ამ რიგად, დეკრეტის წყალობით, გახდა ხსენებული ჯგუფი ბურჟუაზიის მცველად, გამომსახველად და მოსარჩლედ.

თავის დროზე ამ საგნის გარშემო ჩვენს მწერლობაში ბევრი ლაპარაკი იყო. ბევრი მელანი დაიხარჯა უნაყოფო პროტესტის გამოცხადებაში, ბევრი უსიამოვნება და შეწუხება ჰხვდა წილად „ცნობის ფურცლის“ ჯგუფს, რომლის ძალღონე იქსაქსებოდა იმ დაუსრულებელ პოლემიკაში, რომელშიაც იყო ჩათრეული ასე ხელოვნურად.

მას შემდეგ გავიდა შვიდი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს საზოგადოებაში. ეხლა

ყველასათვის ნათლად და აშკარად გამოჩნდა, თუ რას და ვის ემსახურებოდა „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი. ეხლა ყველასათვის ცხადი გახდა, თუ საითკენ იყო ამ ჯგუფის გული, ცხადი გახდა, რომ ქართველი ბურჟუაზია (არც რომელიმე სხვა ერის ბურჟუაზია) არ გამოაცხადებს თავის მოსარჩლეებათ და იდიოლოგებათ იმგვარ ხალხს, რომელნიც სიტყვით თუ საქმით ძირს უთხრიდნენ ბურჟუაზიულ წყობილებას. და მიუხედავად ყველა ამისა, მიუხედავად აუარებელ ფაქტებისა და შეგროვილ დოკუმენტებისა, დღეს ბ-ნი ან-ი ხელ-მეორედ იმასვე ამბობს, იმეორებს იმავე სიტყვებს, იმავე ციტატებს, რომლებსაც თავის დროზე ხმარობდა ნ. ჟორდანიას გაზეთ „კვალ“-ში. განა ამაზე მეტი საცოდობა იქნება კიდევ?

ამოწერებით „ცნობის ფურცლიდან“ თავს არ მოგაბეზრებთ. ბ-ნი ან-ი სტკეპნის გატკეპნილ ადგილს და უნდა ჩვენც გვატკეპნინოს ათასჯერ ნატკეპნი ადგილი. „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის ფიზიონომია, როგორც ვსთქვით, ერთის და ორის ციტატით ვერ გამოირკვევა. ვინც მართლა დაინტერესებულია ამ მიმართულების გამორკვევაში, უნდა დაათვალოს იგი მის მსვლელობაში, ევოლუციის უნარში, საზოგადო მიმართულებასა და მისწრაფებაში. და ამგვარ მკვლევარს დიდ სამსახურს გაუწევს ამ ჯგუფის აზრთა განვითარება „საქართველოს“ ფურცლებზე. ჩვენც „საქართველოს“ მიმართოთ. ამ განხილვიდან გამოჩნდება ჩვენთვის, რომ თუ კიდევ გასამართლებელი საბუთი ჰქონდათ „დასელებს“ დავა გაეწიათ „ივერია“-სთან, ეგ საბუთი შესამჩნევად იკარგება „ცნობის ფურცელ“-თან შეტაკების დროს, ხოლო სრულიად უაზრო ხდება „საქართველოს“ წინააღმდეგ იერიშის მიტანა.

მთავარი არგუმენტი „ცნობის ფურცლის“ და „საქართველოს“ ბურჟუაზიობისა იყო ამ გაზეთების ენერგიული მოსარჩლეობა ქართულ ეროვნებისა. აკი მოგახსენებთ, ეროვნული საკითხი იყო და არის ჩვენს საზოგადოებაში ერთგვარ კლასიფიკაციის საზომი. თუ გაიხსენეთ ეროვნება, ბურჟუაზიის ხარისხს მიიღებთ, თუ უარყავით იგი, სოციალისტობის მოწმობას გაიკრავთ. ეხლაც ასეა. წინადაც ასე იყო. მაშინაც და ეხლაც ეროვნული დროშა ანკესი ან ბადე იყო, „ხალხის დასაჭერად გადაგდებული“. წინადაც და ეხლაც ეროვნების მცველნი მეთევზეებს ედარებოდნენ, ხალხი კი თევზის სახით დასცურავდა ცხოვრების ზღვაში. ამ ზღვაში

მეთევზეები ხან ბადეს გადაადგებდნენ მსხვილ თევზის დასაქვრად, ხან ანკესს ჩაადგებდნენ წვრილ-ფეხა პროლეტარების გასაბმელად. ერთი და იგივე მოტივები, ერთი და იგივე შედარება, ერთი და იგივე სიტყვები წინადაც, ეხლაც!

მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი ჰქონია. ბ-ნმა ან-მა დასწერა „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ და ამ წერილში აჩქარებით, ფუქსავატად, პოლემიკის ჟინით გატაცებულმა, მან დააქცია დიდი ხნის გამაგრებული პოზიცია. როგორც ჩვენ უკვე გავარჩიეთ სხვაგან, ბ-ნმა ან-მა ხსენებულ წერილებში გამოაცხადა, რომ... ავტონომია ჩვენში სრულიადაც არ არის ბურჟუაზიული ლოზუნგი და რომ „ჩვენი ყველა თანამედროვე კლასი თავის ინტერესებისათვის საბრძოლველად იძულებულია აფრილოს ინტერნაციონალური დროშაო“ („აზრი“, № 3). ხომ გესმით? ბ-ნი ან-ი ამბობს: „საქართველოს წინ წაწევა მოხდა არა მარტო რუსეთის პოლიტიკური გავლენით, არამედ უცხო კაპიტალის შემწეობითაც. ამიტომ ქართველი ბურჟუაზიის ინტერესი სრულიად არ მოითხოვდა უცხო ბურჟუაზიის განდევნას ან შევიწროვებას, პირიქით, ეს უკანასკნელი მისი განვითარების მიუცილებელი პირობაა“. (იქვე). ხომ გაიგეთ? „თუ კიო, განაგრძობს ავტორი, საზოგადოთ, წვრილი ბურჟუაზია დამოკიდებულია სხვილისაგან, განა ეგევე არ ითქმის ქართველ წვრილ ვაჭრებზე, რომელთა ინტერესები პირდაპირ თხოულობს სხვილი ბურჟუაზია მადლიერი ჰყავდეს?“ (იქვე). „ამგვარად, ბურჟუაზია ყველგან ნაციონალისტი ჩვენში თავიდანვე ანტინაციონალისტი გამოდისო“ (№ 1)*, დასძენს ავტორი ისეთის კილოთი, თითქოს ეს სიბრძნე დედის მუცელში რომ იყო, მაშინაც კი აშკარა იყო მისთვის და თითქოს თხუთმეტი წლის განმავლობაში მის თანამოაზრეებს და ამხანაგებს ამ აზრების მეტი არა უქადაგნიათ რა ჩვენში! აბა ჯამბაზობას რომ იტყვიან, სწორედ ეს უნდა იყოს!

მაშ თუ ასე ყოფილა საქმე, ასე ჩქარა რად ივიწყებთ თქვენს ნათქვამს და უზერხულ მდგომარეობაში რად აყენებთ თქვენს თავს? თქვენ მიერ ზემოდ ნათქვამს შეადარეთ თქვენი ნათქვამი „მერცხლის“ მე-ნ ნომერში. იქ თქვენ ამბობთ, რომ ჯერ ფრედვ „ცნობის ფურცელ“-ში იყო გამოკვეთილი

* კურსივი ჩვენია. ავტ.

შინაპრსი ავტონომიისა. „ეს შინაპრსი ნაციონალური ბურჟუაზიის დაცვა და გაძლიერება ავტონომიური წყობილებით... საქართველოს ეროვნული ავტონომია, განაგრძობთ თქვენ, რაგინდ დემოკრატიული უნდა იყოს ის, იქნება საშუალება შინაური ქართული ვაჭრობის ხელოვნურად გაძლიერების და ამ ნიადაგზე დიადი ნაციონალური ბრძოლის გაჩაღების, ეს ქართული ბურჟუაზიული დემოკრატიის პირველი პოლიტიკური ნაბიჯიაო“ (მერცხალი № 6). (კურსივი ჩვენია). წინა დამბობით, ქართველ წვრილ ვაჭრების ინტერესი თხოულობს მსხვილი ბურჟუაზია მადლიერი ჰყავდესო, ამბობდით, რომ ჩვენში ბურჟუაზია თავიდანვე ინტერნაციონალისტად გამოდისო. აქ კი დაგავიწყდათ ყოველივე ეს და აუწყებთ ქვეყანას, რომ ეს ინტერნაციონალისტი ქართული ბურჟუაზია ავტონომიის საშუალებით ჰფიქრობს გაძლიეროს ქართული ვაჭრობა და გააჩაღოს ინტერნაციონალისთვის შეუფერებელი ნაციონალური ბრძოლაო! რა არის ეს? ნუ თუ ისე გაებით, რომ ვერც ფეხი ავიღიათ, ვერც ხელი დაგიძრავთ? ან იქნება განკითხვის დღე დადგა და დღეს უნდა გაიხსნას თხუთმეტი წლის წინად თქვენ მიერ ხელოვნურად გაკვანძული კვანძი?

მაშ ეხლა ჩვენთვის უფრო ნათლად ისახება ნამდვილი ვითარება იმ ლაშქრობისა, რომლის ისტორია ასე ულაზათოდ და თავმომწონედ არის მოთხრობილი სოციალ-დემოკრატიულ გაზეთის ფურცლებზე.

განვაგრძოთ. ბ-ნი ან-ი ამბობს: „პოლონეთში ავტონომიას თხოულობენ სოც. დ—ბი და პოლონეთის სოციალისტური პარტია (პ. პ-ს აქამდის სრულად დამოუკიდებლობასაც თხოულობდაო) („მერცხალი“ № 2) აქედან მკითხველი იმ აზრს ვამოიყვანს, რომ პოლონელ სოციალისტებს ავტონომიის მოთხოვნა არა ჰქმნის ბურჟუაზიულ პარტიებათ. ასედაც არის. ბ-ნი ან-იც ამ აზრისაა მაგრამ, არ, ერთი ნაბიჯის გადადგმაზე ავოწყდება თავისი ნათქვამი და უკანვე იღებს თავის მთქვეებს. „საქართველოს“ მუშვიდგ. ნომერიდან ავტორს შეუტყვია რომ ეს რაგანო სოციალიზმს აღიარებდა და სოციალიზმს ემსახურებოდა. მაგრამ არა სჯერა საქართველოელების სოციალიზმი; რატომ? იმიტომ, რომ საქართველოელებს არ ძალუძთ ამ იდეალისთვის ბრძოლა, ვინაიდან მათ მეორე იდეალი—ავტონომია აქვთ საბრძოლველად.

ეს ორი იდეალია, ორი სხვა და სხვა ტაქტიკით და ამიტომ არავითარ პარტიას არ შეუძლია იდგეს ერთ და იმავე დროს ორივე ტაქტიკაზე და იბრძოდეს ორივესთვისა“ („მერ.“ № 6.) (კურსივი ჩვენია). არავითარ პარტიას? არც პოლონელ სოც.-დემოკრატებს? არც პოლონეთის სოციალისტურ პარტიას? არც ფინლიანდიის სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც ისახელეს თავი მედგარის დაცვით ავტონომიისა?! ვსთქვათ ქართველ სოციალისტურ ავტონომისტებს ამგვარი ნიქის უნარი არ აქვთ, მაგრამ იმ ხალხს რას ერჩით? ამაზე, ალბად, იმას გვიპასუხებთ, რომ თქვენს წერილში კორექტურული შეცდომა შეიპარა სწორედ იქ, სადაც თქვენ ასე გადაჭრით ამბობთ, რომ „არავითარ პარტიას არ ძალუძს იბრძოდეს ორივესთვის, ავტონომიისთვის და სოციალიზმისთვის“. ხოლო რაც შეეხება ქართველ ავტონომისტებს, იტყვიტ, რომ ისინი არც შეედრებიან ხსენებულ პარტიებს, ვინაიდან არ არიან სოციალისტებიო. გვსმენია და გაგვიგონია ვე თქვენი არაკი! Сказка про нехорого бычка! მაგრამ აქ ჩვენ გვინდა პატარა ხანს შევჩერდეთ ამ საგანზე და მოვიგონოთ ზოგი რამ, რაც თქვენიანებმა ჩაიდინეს და მოიმოქმედეს „საქართველოს“ სოციალისტურ მუშაობის დასანგრევად და გასანადგურებლად.

IV

როგორცა ვსთქვი, ბ-ნ ან-ის ბრალდება, რომ „საქართველო“ გაბატონებულ კლასების ორგანო იყო და მისი აზრი ამ კლასების გაერთიანება იყო ხალხის წინააღმდეგ იერიშის მისატანად, ეს ბრალდება არ ახალია. „საქართველოს“ თავის დროზე პასუხიც გაუცია ამაზე და მისი პასუხი დღემდე დაურღვეველი არის მოპირდაპირე მწერლების მიერ. და სავაგლახო ის არის, რომ დღევანდელი კრიტიკოსებია „საქართველოსი“ ანგარიშსაც კი არ უწევენ ათასჯერ დარღვეულ საბუთებს, და თითქოს არაფერი იყოს ამ საგნის შესახებ ნათქვამი, დღეს ხელმეორედ იწილო-ბიწილოს იწყებენ და ისეთის კილოთი იწყებენ, გეგონებათ კაცობრიობას ახალ აღთქმას მოუთხრობენო. ჩვენი მოპირდაპირენი ამ შემთხვევაში სარგებლობენ იმ გარემოებით, რომ ჩვენ შორის ატეხილი კამათი ფართო წრეებისათვის უცნობია, რადგან ეს კამათი სწარმოებდა სამშობლოს საზღვრების გარედ,

სარგებლობენ იმითი, რომ ამ ფართო წრეებს ხელში არ უჭირავთ მასალები და წიგნები, რომელნიც თავის დროზე გამოქვეყნდნენ და რომელზედაც ჩვენს მოპირდაპირეებს. ერთი სერიოზული სიტყვაც არ უთქვამთ იქ გატარებულ აზრების დასარღვევად. მაგრამ დღეს არც ამგვარ ხერხს ექნება გასავალი!

„საქართველომ“ სოციალიზმი აღიარა, მაგრამ ეს ცარიელი სიტყვა იყო. მასთან სიტყვა ხალხის მოსატყუებლად წარმოთქმულიო—ამბობენ ჩვენი მოპირდაპირენი; საქმით კი „საქართველოელები“ სულ სხვას ემსახურებოდნენ, სოციალიზმისთვის ხელიც არ გაუძრევიათ. და ამიტომაც იყო, რომ სოციალ-დემოკრატები ებრძოდნენ სოციალ-ფედერალისტებს მწერლობაში და მიტინგებზეო. ებრძოდნენ? სიტყვა „ბრძოლა“ კეთილშობილი სიტყვაა. აქ ბრძოლა კი არ იყო, აქ იყო უნდარმების საკადრისი ხრიკები, აქ იყო შეზღუდვა თავისუფლებისა და ლაფში ამოსვრა სოციალისტურ პრინციპებისა! ხოლო ყველგან, სადაც კი სოციალ-დემოკრატიულ ძალადობას გასავალი არა ჰქონდა, და ს.-ფედერალისტებს ხალხის წინაშე ლაპარაკი და გამოსვლა მოუხერხებიათ, ყველგან მათი საუბარი ორ საგანს ეხებოდა, ავტონომიას და სოციალიზაციას. მაშინ როდესაც ს.-დემოკრატები „ჩამონაჭრების იდეალებით“ იყვნენ აღრფრთოვანებულნი, ს.-ფედერალისტები სოციალიზაციას ჰქადაგებდნენ. და ჩვენ არსად, არც პრესაში, არც მიტინგებზე არ გვსმენია **პრინციპიალური** კამათი, პრინციპიალური წინააღმდეგობა რომ გაეწიოთ ს.-დემოკრატებს. ს.-ფედერალისტთა პარტიამ გამოსცა რამდენიმე წიგნაკი სოციალიზმის გასაფრცელებლად. აგრარულ საკითხის შესახებ გამოაქვეყნა წიგნაკი სახელად: „როგორ უნდა გადაწყდეს ჩვენში მიწის მფლობელობის კითხვა“. აქ თეორიულად არის დასაბუთებული სოციალიზაცია. ჩვენ არ გვინახავს, რომ ვისმეს დაერღვიოს ეს დასაბუთება არც პრესაში, არც მიტინგებზე. მოწინააღმდეგენი არასოდეს არ შედიოდნენ ამგვარ გამოკვლევაში. მათ ერთი არგუმენტი, ერთი იარაღი ჰქონდათ, ისინი გაჰკიოდნენ: არ დაიჯეროთ, არ ენდოთ, აქ ხაფანგია, აქ ანკესია, აქ თევზების საჭერი ბადეა, არ გაებათო!! ამ ამბების და ფაქტების მცოდნე ბ-ნ ან-ს გაბედულება არ დაკარგვია და იგი დღესაც გაჰკივის: ფრთხილად ფრთხილად, აქ მახეა,

აქ ანკესია. ასე გამოაქვთ საჯაროდ არგუმენტის ნაცვლად, უზნეო მოტივი და პრინციპის ადგილას შიში ბატონობის დაკარგვისა!

„საქართველოს“ დასაფასებლად და საკრიტიკოდ სოციალ-დემოკრატებმა გამოსცეს წიგნაკი ბ-ნი ანის მიერ დაწერილი — „ქართველი ნაციონალისტები“. დღეს ბ-ნი ანის საფასებით იმეორებს იმას, რაც დაუწერია ოთხის წლის წინანდ. ამ წიგნაკს თავის დროზე „საქართველომ“ გასცა პასუხი (იხ. „აი, კრიტიკა“) და ეს პასუხი დღესაც დაურღვეველი რჩება. ბ-ნი ანს ეს გარემოება სრულიადაც არ მიაჩნია ყურადღების ღირსად. მას ეხლაც ჰმოუწერია „საქართველოდან“ ერთი ადგილი, რომელიც ამოწერილი ჰქონდა „ქართველი ნაციონალისტებში“ და რომელსაც აქ მიტინგებზე ჰკითხულობდნენ სოციალ-ფედერალისტთა დასამხობად (ეს ადგილი ვითამდა მოწოდებაა წოდებათა და კლასთა შეერთებისაკენ). და იცოდეთ სამსავე შემთხვევაში, ალებულია ადგილის ერთი ნაწილი, დასაწყისი და ბოლო კი, ბოლოს ხსენებასაც არსადა სჩანს, და ამ ციტატის ბოლოში კი სწერია: „ჩვენ არ ვიწვევთ საქართველოს ყველა წოდების და კლასების შეთანხმებულ და გაერთიანებულ მოქმედებას. ჩვენ მხოლოდ იმათი შეთანხმების იმედი გვაქვს, ვინც უარს ჰყოფს წოდებრივს და ბურჟუაზიულ-კლასობრივს მოქმედების ნიადაგს და ვინც თავის ქუეყანს, ზნეობრივ და ფიზიკურ ძალას საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობის, ხალხის, ფანთავისუფლების საქმეს მოახმარებს... ამ ადგილის შესახებ „აი კრიტიკაში“ ვკითხულობთ: „ეს სიტყვები გაზეთის მეთორმეტე ნომერში გავიმეორეთ და ეხლა კიდევ ვიმეორებთ“ (გვ. 23) მაშ ეს მეოთხედ გვიხდება ოთხის წლის განმავლობაში ერთისა და იგივე აზრის მტკიცება! და თუ გგონიათ, რომ ეს ჩვენი დატინება რაიმე გავლენას მოახდენს ტექსტების დამზახინჯებელთა წრეში, ძალიან სცდრებით. გავა კიდევ რამდენიმე თვე და ისევ ამოჰყოფს თავის ის ადგილი, სადაც „საქართველო“ თავის და შესარცხვენად მღუღღლებს და თავადუბს ვითომ და ევედრებოდა: მიწიერნი და სულთერნი ძალნი! თქვენით მათელი ქვეყნის ხსნასო! თუ ჩვენი ლიტერატურა „ცოცხალი“ არ არის, იმაში ციოკი რაღა არის, რადარ ვიცი!

მაგრამ ამდებს თავი დავანებოთ. ამ ხასიათის კრიტიკა

ისე აშკარად ჰლახავს ეთიკურ პრინციპს, რომ მასზე დიდ ხანს შეჩერება თავის დამდაბლებად უნდა ჩაითვალოს. თუ სოციალ-დემოკრატების ცდა და საზრუნავი ის იყო, რომ როგორმე ჩაეფუჩეჩებინათ საზოგადოებრივი და იდეიური მოძრაობა, რომელიც ჰფენდა ხალხში სიტყვას და აზრს, თუ ამ მოძრაობის ჩაკვლა და აღმოფხვრა სწადდათ მათ, ეს საქმე, თვითონაც დაგვეთანხმებიან, წაუხდათ, მოძრაობა ვერც შეასუსტეს, ვერც შეაფერხეს, იგი დღითი-დღე იზრდება და იფურჩქნება. ბ-ნ ან-იც კარგად ჰხედავს და გრძობს ამას და მისი შორს მხედველობა იქამდისაც მიდის, რომ ეხლავე სოციალ-დემოკრატიის უკან დახვევის გეგმასაც კი ამუშავებს. „ქართველი ხალხი ნაციონალიზმის დროშის ქვეშ არა დგას, ამბობს ავტორი, მარა ეს არნიშნავს იმას, რომ ეს უეჭველათ ასე იქნება მუდამაო“, („მერცხალი“, № 20) და რა მოხდება იმისთანა, რომ ქართველი ხალხი თავის ინტერნაციონალურ დროშას ნაციონალურზე შესცვლის? თურმე აი რა: „თუ ჩვენშიაც მთავრობამ პრუსიული პოლიტიკა დაიწყო (ეს „თუ“ როგორ მოგწონთ?), თუ საგლებო ბანკი თავისი ნაციონალისტური მიზნისათვის გამოიყენა, და რომ ეს ასე ჰსურს აშკარაა... (აშკარა ყოფილა!) მაშინ ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრება ისეთი ახალი ფაქტორები, რომელთაც შეეძლებათ დღეს გაბატონებული (sic) პარტია დასცენ და მის ალაგას გააბატონონ (sic) ნაციონალიზმიო“ (იქვე). „გაბატონებული“ „გააბატონონ“! როგორ მოგწონთ ეგ ბატონ-ყმური ტერმინოლოგია? დიქტატორის ფსიხოლოგია ასეთია. თვითონ რომ დიქტატორობს, სხვებიც დიქტატორის მადიებლად ელანდება. ასეა თუ ისე, უკან დახვევის გეგმა დამზადებულია. მაგრამ ეს აღსარება იმითია შესამჩნევი, რომ აქ საქმე ისე არის დაყენებული, თითქოს დღემდე მთავრობას პრუსიული პოლიტიკა არ უწარმოებია ჩვენში, თითქოს უკვე ერთი საუკუნე არ არის მას აქეთ, რაც შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში ხსენებული „ახალი ფაქტორები“ და თითქოს უკვე დიდი ხანი არ არის, რაც მომწიფდა ჩვენში ნაციონალურ უფლებებისათვის ბრძოლის საჭიროება, ის, რასაც ასე გულმოდგინეთ უარჰყოფდნენ სოციალდემოკრატები თხუთმეტი წლის განმავლობაში! ყო-

ველივე ეს ახლო მომავალში ელანდება ბ-ნ ან-ს და სანამ კი უნდა ღირსეულად დასტოვოს თავისი პოზიცია. მაგრამ ღირსეულად პოზიციების დატოვებას კუროპატივნიც ვერ ახერხებდა და ვეჭვობ, რომ ბ-ნ ან-ის სარდლობა უკეთესი გამოდგეს. მაშ „შავრაზმელ ნაციონალისტთა“ საქმე არც ისე ცუდად ყოფილა. მოპირდაპირე ბანაკს ჭმუნვა ეტყობა და ბ-ნი ან-იც არა ყოფილა ისეთი ოპტიმისტი, როგორადაც თავს ქვეყანას აჩვენებდა. „დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიციანის პირიო“. რა ჰქნას ადამიანმა: „ახალი ფაქტორების შემოქრა“ ცხოვრებაში სახუმარო საქმე არ ყოფილა!

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ „საქართველოს“. ამ ორგანოში ჩაიყარა საძირკველი ქართულ სოციალიზმ-ფედერალიზმისა. რა გზით მუშავდებოდა ეს ახალი მოძრაობა? სოციალიზმი, ფედერალიზმი—ორი მცნება, ორი ფორმულა, რომელიც ახალ პარტიის დროშაზე აწერია.

უნდა გვახსოვდეს, რომ პირველი წლის (1903 წ.) „საქართველო“ ჯერ კიდევ პარტიულ ორგანოდ არ ითვლებოდა. და თუ რაიმე ნაკლულეფანება ჰქონდა საპროგრამო საკითხებში ამ ორგანოს ხსენებულ პერიოდში, ეს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დანაშაულობად არ ჩაითვლება. პარტიის ორგანოდ ხდება „საქართველო“ მხოლოდ კონფერენციის შემდეგ (1904 წ.) და ამ დროსვე მუშავდება პარტიულ პროგრამის ძირითადი პრინციპები (კონფერენციის ოქმები). ჯერ კიდევ საქართველოს მე-10 ნომერში ვკითხულობთ: „ჩვენ გვსურს მივიდეთ ხალხთან და გამოვესარჩლოთ მას დღესვე, როგორც მშრომელ, გაჭირვებაში ჩავარდნილ წვრილ მესაკუთრეს... ხოლო ჩვენი განზრახვა ის კი არ არის, რომ ამ ხალხს **მესაკუთრეობის უინი და სურვილი** განვუმტკიცოთ, არამედ დავანახვოთ სხვა უმაღლესი საზოგადოებრივი ფორმა წარმოებისა და მოვამზადოთ იგი კოოპერაციებისა, სასოფლო-სამეურნეო სინდიკატებისა და დამხმარებელ საზოგადოებათა საშუალებით კომუნისტურ წარმოებისათვის“. ხოლო წარმოების გასაზოგადოებისათვის საჭირო იყო სოციალიზაციის პრინციპის აღიარება. ეს წინადადება მიწის სოციალიზაციის შესახებ „საქართველოს“ რედაქციამ შეიტანა ხსენებულ კონფერენციაზე, სადაც იგი მიღებულ და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პრაქტიკულ მუშაობის საფუძვლად აღიარე-

ბული იყო. რაიც შეეხება მუშათა კითხვას, იქ იყო აღიარებული კლასიური და დამოუკიდებელი ხასიათი მუშათა მოძრაობისა. მუშათა კითხვაში თან და თან, როგორც სხვა პრინციპიალურ კითხვებში, ორმა მიმართულებამ იჩინა თავი პარტიაში. ორსავე მიმართულებას სინდიკალური შრომა მიაჩნდა საუკეთესო იარაღად მუშათა მოძრაობის გაძლიერებისათვის, ხოლო მაშინ, როდესაც ერთნი იდგნენ ანარქო-სინდიკალურ ნიადაგზე, მეორენი იცავდნენ სინტეზს სინდიკატისას და პოლიტიკისას“ (იხ. „სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში“, საბუღლისა და „ძველი და ახალი“, ა. ჯ—ძისა) ასე თუ ისე, ვინც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიულ ლიტერატურას ადევნებდა თვალ-ყურს, ვისაც გადასინჯული აქვს სამის კონფერენციის ოქმები, ვისაც სინდიკალური ყურადღება მიუქცევია პარტიის პრაქტიკულ მუშაობისათვის, იმისთვის აშკარა იქნება, რომ სოციალიზმი ს.-ფედერალისტთა პარტიისათვის გასართობი და მოსატყუებელი საშუალება კი არ იყო, არამედ სერიოზული სამოქმედო საქმე. ჩაფიქრებული და დასაბუთებულ რწმენის ნაყოფი. ამიტომაც არის, რომ ცუდად გაუცრუვდება ბ-ნ ანს იმედები, რომელიც სულ იმის მოლოდინშია, როდის იქნება სოციალისტ-ფედერალისტები მასკარადს თავს დაანებებენ და საკუთარს ტანისამოსში შეიმოსებიანო. იმ ხანაში, როდესაც მოხდება მეოთხე დიდი შეტაკება ს.-ფედერალისტთა და ს.-დემოკრატიის შორის, ბ-ნ ან-ის ანგარიშით „ფედერალისტები, უეჭველია, სამუდამოთ ჩამოიშორებენ სოციალისტურ პირბადეს. მიიღებენ სახელსაც შინაარსის შესაფერს და შეეცდებიან თავის დროშის ქვეშ დააყენონ ქართველი ვაჭარ-მრეწველნი, შეძლებული გლებები და ასე შექმნან სახალხო დემოკრატიაო“ (მერცხალი № 6). რატომ უნდა მოხდეს ეს? იმიტომ, რომ ასე უნდათ სოციალ.-დემოკრატებს, ასეთი პარტიის გაჩენა სასარგებლოა მარქსიზმის სულის მოსაბრუნებლად. ხომ გახსოვთ „ცნობის ფურცლის“ შესახებ გამოცემული დეკრეტები. ეხლა ჩვენ იმავე რეციდივიზმთან გვაქვს საქმე.

რაიც შეეხება „სახალხო“ დემოკრატიის საჯაროდ გამოხატვას, ეს არამც თუ შეუძლებელია, აუცილებელიცაა. ამ დემოკრატიის გამოხატვის წინამორბედ ნიშნებს უკვე ვხედავთ იმაში, რომ ამ ბოლო წლებში ჩვენს საზოგადოებაში

იჩინა თავი მიმართულებამ, რომელსაც ავტონომია გაუხდია თავის მისწრაფების საგნად და რომელსაც არც ფედერალიზმსთან, არც სოციალიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს. თუ ამ მიმართულებამ ფესვი მოიკიდა და მოახერხა არა—სოციალისტურ დემოკრატიის შეკავშირება, მაშინ და მხოლოდ მაშინ ეულებათ ჩვენებურ სოციალისტურ პარტიებს პრინციპიალური მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტია. ჩვენის აზრით, დღეს თუ ხვალ მართლაც იჩენს თავს და ფეხზე დადგება ამ ხასიათის პარტია. ძველი თაობის ნაანდერძევი მოელის თავის მემკვიდრეს. სოციალისტ-ფედერალისტებმა კი ჯერ კიდევ ამ შვიდი-ათი წლის წინად სთქვეს უარი ამ მემკვიდრეობაზე, მაშინ, როდესაც ამ პარტიის ელემენტები ისახებოდნენ ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამიტომაც არის სრული უაზრობა და გაუგებრობა ეხლანდელ „ავტონომისტების“ და სოციალ-ფედერალისტების ერთმანეთში გარევა. სოციალდემოკრატები ყველა თავიანთ მოპირდაპირეთ „ფედერალისტებათ“ ნათლავენ. და რომ დააკვირდეთ ამ გარემოებას, აღმოაჩენთ, რომ ფედერალისტების ბანაკში ფედერალიზმის მოწინააღმდეგე ნაციონალისტებს უყრიან თავს ს.-დემოკრატები. ამის შედეგი ის არის, რომ სრულიად იზრდილება და ირყვნება მკაფიო და ნათელი მცნება პოლიტიკურ ფედერალიზმისა, რომლის აღიარება ჩვენებურ „ავტონომისტებს“ ჯერ კიდევ არ გაუბედნიათ. ავტონომისტებს სახეში საქართველო ჰყავთ. ს.-ფედერალისტებს—საქართველოსთან ერთად კავკასიაც, რუსეთიც. ს.-ფედერალისტები აყენებენ კავკასიის ახალ პოლიტიკურ ნიადაგზე მოწყობის პრობლემას. და ამ პრობლემის დიად მნიშვნელობის გულისთვის საჭიროა მეტის წინდახედულობის გამოჩენა და უარყოფა იმგვარი კამათისა, რომელიც პოლიტიკურად მოუმიწიფებელ საზოგადოებაში აბნელებს და ამახინჯებს ფედერალიზმის მცნებას*).

როგორც ვსთქვით, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას გადაეცა „საქართველოს“ იდეური მემკვიდრეობა და

* ბ-ნი ან-ი სწორედ ამ გზაზედა სდგას. თავის წერილებში საგანს ისე აყენებს, ვითომ ს.-ფედერალისტები მარტორდენ ავტონომიას იცავენ და მათთვის სრულიად არ არსებობს კავკასიის პრობლემა. რამდენად საკადრისია ამნაირი სიყალბის გატარება პოლიტიკურ პრესაში, თვით ბ-ნმა ან-მა გადასწყვიტოს.

აქ პარტიაში იწყება გამუდმებული და შეუჩერებელი მუშაობა სოციალიზმის და ფედერალიზმის პრობლემათა გასაღრმავებლად და განსამარტავად. რამდენადაც სერიოზულად იყო დაყენებული აღნიშნული პრობლემები პარტიაში, სხვათა შორის, იმით მტკიცდება, რომ სწორედ სოციალისტურ-პრინციპების სიწმინდის დაცვის საკიროებამ გამოიწვია პარტიაში იდეური განხეთქილება. ერთნი, ევროპის სოციალისტურ ფედერალიზმის პრინციპებით აღჭურვილნი, სცდილობდნენ ჩვენშიაც მიეცათ ფედერალისტურ მოძრაობისთვის ის ხასიათი, როგორც ჰქონდა მას „ინტერნაციონალ“-ში; მეორენი, ისტორიულ, ადგილობრივ პირობებზე მდგარნი, იცავდნენ ეროვნულ და პოლიტიკურ ფედერალიზმს და მხოლოდ ამ პირობებში—სოციალისტურ მუშაობას. ამ განხეთქილებამ შესაფერი და სოციალისტურ მოძრაობის შესასწავლად საინტერესო მასალა დაჰბადა და ჩვენ მას ამ ჟამად არ ვეხებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ ორ მიმართულებაში, **დღევანდელ პირობების მიხედვით** გამარჯვება დარჩა ფედერალისტურ მოძრაობის იმ ნაკადულს, რომელიც სწყვეტს და ხსნის ეროვნულ პრობლემას პოლიტიკურ ფედერალიზმის საშუალებით და აწარმოებს სოციალისტურ მიქმედებას ამ პოლიტიკურ ფორმების ჩარჩოებში. მიუდგომელი და სამართლიანი სიტყვა ს.-ფედერალისტთა პარტიის ვითარების შესახებ ამ ნაირის ხასიათისაა!

ეხლა ჩვენის მკითხველისათვის საკმარისად გამოირკვა, ვის ეომებოდნენ და ელაშქრებოდნენ ჩვენებური სოციალ-დემოკრატები. პირუთვნელ ადამიანისათვის აშკარაა, რომ აქ **სოციალისტი სოციალისტს ებრძოდა**, სწორედ ისე, როგორც უკანასკნელ ომის დროს, ბურჟუსში გახვეული რაზმები თავისიანებს უთავაზებდნენ ხოლმე ტყვია და ყუმბარას. რაც გინდა ღრმა და დიდი განსხვავება იყოს სოციალისტურ სხვა და სხვა საკითხთა შორის, მათ შორის ყოველთვის არის ერთი დამაკავშირებელი რამ—მშრომელ ინტერესების დაცვის ერთგულება და სოლიდარობა. ჩვენში ამ დამაკავშირებელ

სადულარს ადგილი არა ჰქონდა, რადგან არ იყო თანასწორუფლებიანობა პარტიათა შორის. ჩვენში გაჩნდა იერარქია, უფროს უმცროსობა, ბატონობა და მორჩილება. სოციალ-დემოკრატი აყენებდა დილემმას — ან დაგვემორჩილეთ, ან ჩვენ ფეხქვეშ გაისრისებითო. სოც.-ფედერალისტთა პარტიის ისტორია არის განუყოფელი მარტიროლოგი, განუწყვეტელი პროტესტი სოციალ-დემოკრატიულ დიქტატურობის წინააღმდეგ. ეს შეუწყნარებელი უარპყოფა და გმობა მოქალაქობრივ უფლებებისა რომ არ ყოფილიყო, სოციალ-დემოკრატ და ს.-ფედერალისტთა შორის უნდა დაწყებულიყო და გამართულიყო კამათი და ბრძოლა იდეური. ეს კამათი სოციალისტურ სხვა და სხვა მსოფლმხედველობათა შორის არსებული იდეური განსხვავება კლასიურ ინტერესების განსხვავებად მიიჩნიათ. ბ-ნი ან-იც გვიხსნის: „ბრძოლის მთავარი ღერძი, მისი გამწვავების დრმა მიზეზი სწორეთ ეს „სხვა და სხვა-მსოფლმხედველობა“, სწორეთ ეს **სხვა და სხვა კლასის ინტერესების დაცვა** (კურსივი ჩვენია) („მერცხალი“, № 2). რომელი კლასის? პროლეტარიატის და ბურჟუაზიის?! ჩვენ ვართ ბურჟუაზიის იდეოლოგები! მაშ მიჩვენეთ დედა-მიწის ზურგზე იმისთანა ბურჟუაზია, რომელსაც ჰყავდეს კერძო საკუთრების უარყოფელნი და კომუნისტურ წყობილების აღმსარებელნი იდეოლოგები? ამისთანას ვერ გვიჩვენებთ და არც ჩვენშია ეს. მაგრამ თქვენ გიჭირავთ ერთი საბუთი, ტუჩებზე გაკერიათ ერთი სიტყვა, რომელიც თქვენს თვალში გვხდის ბურჟუაზიის წარმომადგენლად — ეს სიტყვაა ნაციონალიზმი და ეს საბუთია ავტონომია. მაგრამ თქვენ არ იყავით, ბრძანებდით ამას წინად, რომ ჩვენში არც ერთი კლასი თავის ინტერესებით არა სდგას ნაციონალურ დროშის ქვეშ და რომ ქართული ბურჟუაზიისათვის სრულიადაც არ არის საჭირო ავტონომიაო. საარაკო ამბავი აშკარავდება! სოც.-ფედერალისტები იცავენ სოციალიზმს, ბურჟუაზია კი სოციალიზმს არ იწყნარებს; სოც.-ფედერალისტები იცავენ ავტონომიას, ავტონომიაც მავნებელი ყოფილა ბურჟუაზიის

სათვის. და ბოლოს მაინც სოც.-ფედერალისტები ბურჟუაზიის იდეოლოგებათ და ბურჟუაზიულ პარტიად გამოდიან. აქ რალაც უნუგეშო, საცოდავის ხასიათის წინააღმდეგობაა, აქ რალაც ღრმა შეტოპვაა, თავის ხელითვე დაყრილ ეკლიან მავთულებში გაბმაა. თქვენი ხსნის გზა ერთად ერთია. უნდა საჯაროდ აღიაროთ თქვენი შეცდომა, თქვენი დაბრმავება და თქვენი სიყვარული ბატონობისა, რასაც თქვენ არასოდეს არ იზამთ, რადგან ქვეშარიტება არ გიყვართ და გულწრფელობაც გაკლიათ!

აი, ის სულთამხუთავი ზნეობრივი ატმოსფერა, რომლითაც ჰსუნთქავს და რომლითაც სცხოვრობს დღეს ქართველი ინტელიგენცია. ამ სიღუბეში ყველანი შეაწუხა, ყველა ჰგრძობს, რომ ასეთი სიცოცხლე სიცოცხლე არ არის, არამედ მძიმე, მოწამლულ ჰაერში ყოფნაა; გულში ყველა ნატრობს, რომ საითმე გაიღოს კარი, საითმე გაიღვს კედელი რომ გასავალი ჰქონდეს შეწუხებულ ადამიანს, მაგრამ არც კარი იღება, არც კედელი ირღვევა და გული კი უფრო ბოროტდება, აზრი კი უფრო იჩრდილება და ამ საზარელ ყოფნაში სასოწარკვეთილებას ეძლევა ინტელიგენცია.

გადაჰხედეთ ჩვენს ცხოვრებას. თითქოს ეს არის ცეცხლითა და მახვილით მტერმა გადალახა იგიო, ყოველივე აყრილ-დაყრილი, დაშლილი, მოუწყობელი, მოუწესრიგებელია. დააკვირდით საზოგადოებრივ საქმეებს, ყველგან საქმის მაგივრად ქიშპობა, მუშაობის ნაცვლად ნერვიული ეპილეპსიაა. ორი პროგრესიული პარტია, რომელთაც კეთილიც უნდათ ხალხისთვის, კარგიც, ერთმანეთს ჩასკიდებიან და იქაც კი, სადაც არავითარი საბუთი, არავითარი მიზეზი არ არის განხეთქილებისა, უნაყოფოდ საცოდავად ჰფლანგავენ ერთმანეთის გაჯიბრებაში ისეთ ძვირფასს განძს, როგორიცაა ადამიანის სულიერი ძალა. და ყველა ამაში,

ამ ტრაგედიაში, სავაგლახო ის არის, რომ ბოლო არ უჩანს დაუსრულებელ დავას, დაუსრულებელ ყოფნას მოშხამულ სარდაფში, ბოლო არ უჩანს გაბოროტებულ და თითქოს გავერანებულ ადამიანთა საცოდავობას!..



კამათის დასასრული

(„დროება“ 1909 წ. №№ 112, 113, 114, 115.)

I

ცოტა არ იყოს, ვყოყმანებდი, კალამს რომ ვკიდებდი ხელს. დაუსრულებელი კამათი არა მარტო მკითხველისათვის არის მოსაწყენი, არამედ დამწერისათვის კიდევ მეტად. შარშანდელს აქეთ დიდი დავა გვაქვს ბ-ნ ან-ს და მე. ერთმანეთი ვერ დავიყოლიეთ. საგანი კამათისა კი გამოურკვეველი დარჩა.

პასუხი ძლიერ დაგვიანდა. ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე. ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზისა გამო: რაც უნდა მეთქვა შემოდგომის დამდევს, ვახერხებ თქმას მხოლოდ ზაფხულის პირზე. როგორც მოგახსენეთ, ჩემს ნაწერს პოლემიკური ხასიათი უნდა მიეცე. „პოლემისტობა“ ქართველი მწერლის ხვედრია. მას სხვა გზა არა აქვს. ეს ზღუდვა, საიდანაც თითქოს გასავალიც კია დახშული. ამ ზღუდეში თვით ჩვენი ცხოვრებაა ჩაჭედილი.

ქართულ პოლემისტობას ასაზრდოვებს საზოგადოებრივი დაქსაქსულობა. ჩვენი საზოგადოება ისე ეკონომიურად არ არის დაქსაქსული, როგორც ზნეობრივად და იდეიურად. მართალია, თან და თან კლასიურ საზოგადოების შენობა შენდება ჩვენში, მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ ცხოვრების ამ რეალურ განხეთქილების პირობებში კი არ ჰმუშავდება ნიადავი იდეიურ დაქსაქსულობისა, არამედ სულ სხვა პირობებში. უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენს მწერლობაში მკაცრი წინააღმდეგობა და შეტაკება „ძველსა“ და „ახალ“ შორის არ არის. „ახლებიც“ ვერ მორიგებულან. და სწორედ აქ იშლება გულსაკლავი სურათი ენერჯის და ძალ-ღონის უქმად გაფლანგვისა. უქმად, მეტეი, ამას იმიტომ ვამბობ, რომ საუბედუროდ მოპირდაპირეთა შორის კამათი ყოველთვის სასურველ პრინციპიალურ სიმალლეზე არ სდგას ხოლმე.

ასეა თუ ისე, ბ-ნ ან-ს პასუხი უნდა გავცე. გაჩუმება შეუძლებელია. ჩვენი კამათი ქართულ ცხოვრების ძირითად,

სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვებს ეხება. ბ-ნ ან-ის აზროვნება არის აზროვნება ჩვენი საზოგადოების ერთის ნაწილისა. ამ აზროვნებას ავრცელებენ ხალხშიაც, პარლამენტის ტრიბუნაზედაც იგი მკვიდრად დაბინავებულა.

ბ-ნ ან-ს ყოველ მის კრიტიკულ შენიშვნაზე („სადავო კითხვები“, „ეკალი“ №№ 1, 2, 3, 4, 9, 10. 1908 წ.) პასუხს ვერ გავცემ. ზოგიერთი შენიშვნის უმნიშვნელობა იმდენად აშკარაა ჩემთვის, რომ გაკვრითაც არ მოვიხსენიებ. ასე რომ ბ-ნ ან-მაც იცოდეს და მკითხველმაც, რომ ყურადღებას ვაქცევ ამ წერილებში მხოლოდ იმას, რაც ყურადღების ღირსია. ხოლო აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს საპასუხო წერილებში არ შევეხები ამ ჟამად იმ „სადავო კითხვებს“, რომელნიც ჩვენებურ თანამედროვე პოლიტიკურ პარტიათა ვითარებას შეეხება. არ შევეხები იმიტომ კი არა, რომ ეს საგანი და მასზე გამოთქმული ბ-ნ ან-ის მიერ კრიტიკული შენიშვნები უმნიშვნელო იყოს, არამედ იმიტომ, რომ განზრახვა მაქვს ამ საგანს უფრო ვრცელი წერილი ვუძღვნა და ეს წერილი, საბუთებზე დამყარებული, იქნება პასუხი ბ-ნ ან-ის გაცეცხლებულ გამოკამათებაზედაც. მაშასადამე, საპასუხო საგანს, რაც კი შესაძლებელია, ვზღუდავ და ვამოკლებ, რათა მეტის ხაზ-გასმით გამოჩნდეს ის, რაც ჩვენი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრების ტკივილს და ბოლმას შეადგენს.

მოკლედ მოვაგონებ მკითხველს სადავო საკითხების დედა-აზრს. ბ-ნი ან-ი ამბობს:

ეროვნება შექმნა ვაჭრობა მრეწველობამ. ეროვნება არის ახალი დროის, კაპიტალიზმის შვილი. ძველს ისტორიაში არც ეროვნული ცხოვრება იყო, არც ეროვნება იყო შექმნილი, საქართველოშიაც არ იყო ეროვნულ ცხოვრების ნიშან-წყალი, რადგან ჩვენს წარსულში არავითარი მოქალაქობრივი ცხოვრება არ იყო — არა გვექონდა არც ქალაქები, არც სავაჭრო ცენტრები, არ იყო განვითარებული ვაჭრობა-მრეწველობა და, მაშასადამე, ეროვნულ შემეცნების შემუშავებისათვის ნიადაგი არ იყო. მხოლოდ დღეს კაპიტალიზმის ხანაში, ისახება ეროვნულ ცხოვრების ნიშნები. კაპიტალიზმი რუსეთმა შემოიტანა ჩვენში და მან გაუკაფა გზა ქართველ ერს ეროვნულ ცხოვრების აღორძინებისაკენ. აქედან გამომდინარეობს ისტორიული საჭიროება ქართვე-

ლებისათვის რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირებისა, უარ-ყოფა ავტონომისტთა მისწრაფებათა და აღიარება, დაცვა რუსეთის სახელმწიფოებრივ ცენტრალიზმისა და მთლიანობისა.

ჩემი პოზიცია სხვაგვარია: ეროვნების ჩასახვის და შე-მუშავების პროცესში სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას მთა-ვარი ადგილი უჭირავს. ეს აზრი განსაკუთრებით ნათლად მტკიცდება საქართველოს ისტორიის გათვალისწინებით. აქ ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან გადაბმულნი. ეს კავშირი სრულიად არ ამცირებს ვა-ქრობა-მრეწველობის ფაქტორს ეროვნულ კულტურის გან-ვითარების საქმეში. ამისი საბუთიც მოიპოვება საქართვე-ლოს ძველ ისტორიაში, სადაც, ზოგიერთ საუკუნეთა გა-მოკლებით, მოქალაქობრივი ცხოვრებაც იყო, და ვაქრობა-მრეწველობაც საკმარისად განვითარებული. მაგრამ მთავარი ძალა ქართულ ეროვნების ჩასახვისა და განვითარებისა ძველს დროში ერთ-მეფობა იყო. და რუსეთის შემოსვლისთანავე სწყდება კავშირი ამ ძალასა და ეროვნულ კულტურის შო-რის. და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა დაამყარა ჩვენში გა-რეგნული მშვიდობიანობა, ქართულ ეროვნების განვითა-რებისათვის მან შეჭქმნა ფრიად უვარგისი პირობები. აქედან გამომდინარეობს ისტორიული საჭიროება ქართველებისათ-ვის იმ პოლიტიკურ პირობათა აღდგენისა, რომელნიც უზ-რუნველ-ჰყოფენ საქართველოს კულტურულ განვითარებას. ეს პირობებია—ეროვნულ ავტონომიის დაფუძნება საქარ-თველოში და რუსეთთან საერთო პოლიტიკურ ინტერესების განმტკიცებასთან ერთად წამოყენება და აღიარება საქართვე-ლოს და კავკასიის განსაკუთრებულ ინტერესებისა.

ამ ტეზისების და აქედან გამომდინარე აზრებს გარშე-მო ტრიალებს ჩვენი კამათი. მკითხველი აშკარად დაინახავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ პრაქტიკულ პოლიტიკის ნათელსაყოფად ამ საკითხების ასე თუ ისე გა-დაწყვეტას. ამიტომ ვბედავთ და ჩვენს დაგვიანებულ პასუხს დღეს ვუზიარებთ მას.

მსოფლიო ისტორიაში საზოგადოებრივობის ორი დიდი ფორმა იყო. ერთი იყო საგვარეულო წყობილება, მეორე - პოლიტიკური საზოგადოება, სახელმწიფო. გვარსა და სა-ხელმწიფოს შუა სდგას თემი. თემს ორიგინალობა და ჩა-მოყალიბებული სხეული არა ჰქონდა. თემი მუდამ მოძრაო-

ბაში იყო. იგი წარმავალი ფორმაა საზოგადოებრივობისათვის. გვარისაგან წარმოსდგა. გვარი ოჯახებად დაიყო. ოჯახების შეერთებიდან ჩნდება თემი. მაგრამ თემობა პოლიტიკურ საზოგადოების დამყარებას არ ნიშნავს. პოლიტიკური საზოგადოება იბადება რამდენიმე თემის ერთად შეერთებიდან. ამ კავშირში სუსტდება ნათესავური კავშირი და ვითარდება კავშირი ტერიტორიალური, კულტურული და ეროვნული. არსდება სახელმწიფო და ჩნდება ეროვნება.

ბ-ნ ან-ის აზრით საქმე ასე არ უნდა ყოფილიყო. სახელმწიფოს გაჩენასთან ეროვნება ჯერ კიდევ არ გამოსახულია. თემი, რომელიც იგივე სახელმწიფოა, გვარის დაშლიდან წარმოსდგა; თემობის ხანაში კი ეროვნებას ადგილი არა აქვს. იგი ჩნდება შემდეგ და „მაშასადამე სახელმწიფო უეროვნობით შესაძლებელი ყოფილა“ო. და რათა ეს სოციოლოგიური დებულება უფრო ნათელ-ჰყოს, ბ-ნი ან-ი ისტორიას იშველიებს და ამტკიცებს, რომ რომსა და ათინაში, ამ ორ თემურ (?) სახელმწიფოში, არავითარი ეროვნული კულტურა არ აღორძინებულაო. ამ ისტორიულ საბუთს ჩვენ ქვემოთ ავსწონ-დავსწონავთ, ეხლა კი უნდა მოვხსენოთ ბ-ნ ან-ს, რომ მისი სქემა კაცობრიობის განვითარებისა შემცდარი სქემაა. ცნობილი მორგანი, რომელსაც იხსენიებს ბ-ნი ან-ი, სრულიადაც არ ადასტურებს. იმგვარ აზრს, ვითამ თემი სახელმწიფო იყოს და ვითამც სქემა განვითარებისა ყოფილიყოს ბ-ნ ან-ს მიერ ნაჩვენები სქემა, ე. ი. გვარი, თემი (იგივე სახელმწიფო) ეროვნება. მოკლედ რომ ვთქვათ, მორგანი აი: რას ამბობს. საბერძნეთში კლისთენმა შემოიღო შემდეგი სისტემა:—ატიკა დაჰყო ას დემად ანუ თემად. ათი დემი შეადგენდა ერთ ოლქს. ოლქში განსაზღვრული პოლიტიკური წესი მყარდება. მესამე რიგი ამ საზოგადოებრივ ფორმისა ხდება ათინის სახელმწიფოდ, რომელშიაც ათი ოლქი შედიოდა. ეს იყო დამთავრებული პოლიტიკური სხეული. („Первобытное общество“, გვ. 265—268), ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი რომშიაც.

აქედან სჩანს, რომ სახელმწიფო შემდგარა ათინასა და რომში თემების შეერთებისაგან. სანამ ეს შეერთება არ მოხდა, სახელმწიფო არ დაარსებულა. ბ-ნი ან-ი კი მორგანს იმოწმებს და გვარწმუნებს, რომ „რომის იდეა, იყო თემუ-

რი... რომ იყო სახელმწიფო ერთი თემის, რომის, და არა ერთი ერის, ლათინებისო“. ცუდად წაუკითხავს მორგანი! ასე რომ ამ სოციოლოგიურ საბუთს დიდი ფასი არა აქვს.

გავშინჯოთ ახლა ისტორიული საბუთები. საბერძნეთის შესახებ ბ-ნი ან-ი ენგელსის კონსპექტიდან (ოჯახის წარმოშობა) ამოღებულ ცნობებს გვაწოდებს. რაიც შეეხება რომს, იგი ხელმძღვანელობს ვლ. ლორთქიფანიძის მიერ ფრანგულიდან ქართულად ნათარგმნ რომის ისტორიით. ამ წყაროების საშუალებით ბ-ნი ან-ი ამტკიცებს, რომ რომსა და საბერძნეთში „ეროვნული იდეა სრულიად არ შემუშავებულა, ეროვნული სახელმწიფო არ დაარსებულა. აქ მეფობდა თემური იდეა, თემური კულტურა და თვითცნობიერებაო“. არ ვიცი მკითხველი რას იტყვის ამის გამო, ჩემის აზრით კი ფრიალ უცნაური და „ორიგინალური“ აზრები დაჰბადებია ბ-ნ ან-ს. ფსიქოლოგიური გენეზისი ამ ხასიათის აზროვნებისა მარქსიზმიდან მომდინარე ეკონომიურ ფილოსოფიის ნაკადული უნდა იყოს. მართლ-მორწმუნე მარქსისტი ასე სჯის: ყოველად ძლიერმა კაპიტალმა გააჩინა კულტურა. მანვე მიანიჭა სიცოცხლე ეროვნებას. ძველ საბერძნეთსა და რომში კაპიტალიზმი არ არსებობდა. მაშ არც ეროვნება იყო. აზრი მარტივია, საბუთს კი ძალა აკლია. ბ-ნ ან-ს ერთხელაც არის არ შეჰპარვია ექვი იმის შესახებ, თუ რამდენად მართალია ის, რომ ეროვნებას სიცოცხლე არა ჰქონდა იმ ხანაში, როდესაც ქუჩებს ელექტრონით არ ანათებდნენ, რკინის გზით არმოგზაურობდნენ და როდესაც ქარხნების უზარმაზარ ჩარხებსა და ბორბლებს არ ატრიალებდნენ.

ბ-ნი ან-ი „ექვიანი“ მწერალი არ გახლავთ. მას მხოლოდ თავის მოპირდაპირის შესახებ ებადება ეჭვები. ასე, მაგალითად, იგი უეცრად წამომედვა იმის გამო, ვითამ შე ეროვნების შესახებ ბევრს ვლაპარაკობდე, და ეს მცნება კი ჩემს გონებაში ნათლად განსაზღვრული არ იყო. ეს აშკარად სჩანს იქიდან, რომ მე არ ვანცალკევებ: „ერს“ „ეროვნულისაგან“, „ეროვნულს“ „ეროვნებისაგან“, ჯერ ეს შრომა იკისრე და ფილოსოფიურად განმარტე ეს ცნებანი და მერე ვილაპარაკოთ საბერძნეთის ისტორიის შესახებო.

პასუხის გაცემა ძნელი არ არის, და არც ბევრი რამაა სათქმელი ამის შესახებ. „ეროვნული“, „ეროვნება“ და „ერი“ ერთ წყაროდან გამომდინარე ცნებანი არიან. აქ

განსხვავება გრამატიკულია და არა ლოღიკური. თავის მტვრევა არ დაგჭირდებათ იმის გასაგებად, რომ თუ სუბიექტი (ერი) არ არსებობს, ამ სუბიექტს არც შემეცნება აქვს (ეროვნება), არც რაიმე მოქმედება (ეროვნული). საგნის განსამარტივებლად ავიღოთ სხვა მაგალითი. ავიღოთ ცნებანი „უვიცი“ და „უვიცობა“. აშკარაა, ეს ცნებანი იქიდან წარმოსდგნენ, რომ ერთხელაც იყო და გაჩნდა ქუყუნად ვინმე უვიცი, რომელიც „უვიცობით“ დახასიათდებოდა. ამ გვარად „უვიცობა სუბიექტ—უვიცისაგან წარმოსდგა, როგორც ეროვნული და ეროვნება ერისგან წარმოსდგნენ. დღესათვის ნათელია ყოველივე ეს.

მაგრამ ბ-ნი ან-ი სხვანაირად ატრიალებს საქმეს. „საგვარეულო წყობილებაში უკვე არსებობს ერი“. ეროვნული და ეროვნება კი მხოლოდ კაპიტალიზმის ხანაში გამოიჩინა. ერს უცხოვრია რამდენიმე საუკუნე და ეროვნული ცხოვრების კვალი არ დაუტოვებია. სწორეთ სასწაულთ-მოქმედებაა! ეს რასა ჰგავს? აჰ ორმოციოდე წლის წინად რომ გაჩენილიყო უვიცი, ნუ თუ ეს უვიცი ორმოცი წლის განმავლობაში თავის უვიცობას არ გამოამზევებდა? ჰაი, ჰაი რომ გამოამზევებდა! ასე რომ დავანებოთ თავი ამ ღრმა ფილოსოფიას და ისევ ისტორიისაკენ მივაპყრათ თვალები.

II

ბ-ნ ან-ს გაგონილი ექნება ელიზერეკლუს სახელი. რეკლუმ დასწერა „გეოგრაფიული ისტორია“ (ადამიანი და მიწა). რეკლუ რომისა და საბერძნეთის შესახებ ბევრ რამეს ასწავლიდა ბ-ნ ან-ს. ეტყოდა, მაგალითად, რომ ეროვნებისადმი კულტი რომაელებში ელინთა ზედგავლენით ძლიერი იყო („ЗЕМЛЯ И ЧЕЛОВѢКЪ“, Выпускъ XIII, გვ. 478.) ეტყოდა, რომ რომაელების ეროვნული კულტურა იმდენად ძლიერი იყო, რომ დამორჩილებული ხალხებიც კი ითვისებდნენ ამ კულტურას და ამ ხალხთა შორის ეროვნული ნათესაობის ნიშნებიც ჩნდებოდნენ. რომაელების ენა ის ენა იყო, რომლის საშუალებითაც მკაფიოდ გამოთქმული იყო კანონი. ამ ენაზე მდიდარი ლიტერატურა არსებობდა და ამ ენით შესანიშნავი მჭერმეტყველობა ვითარდებოდა რომის ფორუმზე. რომაელების ენა განათლებულ ესპანელების, გალების და ბრეტონელების ენად ითვლებოდა (ibid. გვ. 501). ისიც

კი მოხდებოდა ხოლმე, რომ რომაელების მიერ დამორჩილებული ზოგიერთი ხალხი ისე მჭიდროდ ითვისებდა რომაელთა ეროვნულ კულტურას, რომ ამ კულტურის ზედგავლენის ნიშნები დღესაც ძლიერია ამ ხალხებში. ასე, მაგალითად, მოხდა დაკიაში. დაკია დღევანდელი რუმინიაა, რუმინელებმა რომაელების შემდეგ ბევრ ხალხთა ზედგავლენა განიცადეს. მათი სისხლი ნახევარზე მეტი სლავიანურია. მიუხედავად ამისა, რუმინელები დღეს ამაყობენ თავიანთ ვითამდა რომაულის ჩამომავლობით. (ibid. 518). საბერძნეთის შესახებაც ბევრ რასმე საინტერესოს ეტყოდა რეკლუ ბ-ნ ან-ს, მაგრამ ბ-ნ ან-ის გული ყველა ამითი ვერ დასჯერდებოდა. რეკლუ რომელი სპეციალისტი ისტორიკოსია, იტყვის იგი, რომ მის ნათქვამს ავტორიტეტის ხასიათი ჰქონდეს. და ეს მართალბა. რეკლუ სპეციალისტი არ არის. მაგრამ განა სპეციალისტი აღარ მოიძებნება ამ ქვეყნად? ჩინებული ისტორიკოსია გროტი. ხოლო გროტის მოწმობაც არ გამოდგება, რადგან გროტი სპეციალისტია პოლიტიკურ ისტორიისა და ბ-ნ ან-ს, როგორც ეკონომიურ მატერიალიზმის მიმდევარს, პოლიტიკური ისტორიკოსება საინტერესო და სანდონი აღბად არ მიჩნია. ბ-ნ ან-ისთვის სანდო ისტორიკოსი უნდა იყოს ბელოხი. ბელოხმა დიდი ყურადღება მიაქცია ეკონომიურ ცხოვრების შესწავლას. და თავისი „საბერძნეთის ისტორია“ მართლაც და ორიგინალურად და შესანიშნავად დასწერა. ბელოხის ისტორიის გაცნობა ბ-ნ ან-ისთვის სწორედ რომ სასარგებლო იქნებოდა.

როგორც უკვე ვიცით ბ-ნი ან-ი ამტკიცებს, რომ „ბერძენთა ერთი სრულიად არ გრძნობდა თავს ერთ ეროვნებათ“. ამ საგნის შესახებ ბელოხი სულ სხვა აზრისაა. თუმცა ღრმა განსხვავებაა, ამბობს იგი, ბერძენთა და სხვა ტომთა შორის ენისა და ხასიათის მხრივ, თუმცა ამ განსხვავებას საბერძნეთის ისტორიის მსვლელობაზე დიდი გავლენა ჰქონდა, მაგრამ ეს განსხვავება უმნიშვნელოა შედარებით იმ მსგავსებასთან, რომლითაც ბერძენთა ერთი სხვა ერებისაგან ასე თვალსაჩინოდ განირჩეოდა. ჰეროდოტეს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ ბერძენთა ერთი ერთის სისხლისაა და ერთ ენაზე მოსაუბრე ხალხია, რომ მათ საერთო ტაძრები და სამღვთოები აქვთ და ზნე-ჩვეულებითაც არ განირჩევიან. და მიუხედავად პოლიტიკურის განცალკევებისა, ბერძენებმა ადრე შე-

იგნეს თავიანთი მთლიანობაო („Исторія Греції“, Белюха, გვ. 51). ბ-ნი ან-ი ამბობს „საბერძნეთში ეროვნება, ეროვნული იდეა სრულიად არ შემუშავებულა, ეროვნული სახელმწიფო არ შემუშავებულა. აქ მეფობდა თემური იდეა, თემური კულტურა და თვითცნობიერებაო“. ბელოხი ამ აზრს ძირიანად არ ღვევს. ჯერ კიდევ ტროიას ომის დროს გაღვიძებული ჰქონდათ ბერძნებს ეროვნული გრძნობა. ამ გრძნობას ისტორიის მსვლელობაში გარეგნულად ორი გამოსახულება ჰქონდა, — ერთი იყო საერთო რელიგიოზურ კულტის დაფუძნება და მეორე პოლიტიკურ ფედერაციების დაარსება. დელფი, დოდონა ჯერ კიდევ ჰომეროსის ხანაში მთელი ერის სამლოცველოებათ ითვლებოდნენ. შემდეგში ამას ოლიმპია მოემატა. კუნძული დელოსი ეგეის ზღვის ორსავე მხარზე მოსახლე იონიურ ტომთა რელიგიოზურ ცენტრად ხდება. დელფის ტაძრის გარშემო დაარსდა პირველი მუდმივი კავშირი ბერძენთა ტომებისა. აპოლონის ტაძართან არსდება მეორე კავშირი, „მეზობელ მცხოვრებთა კავშირი“, რომელსაც ამფიქტიონიას ეძახდნენ. მერვე საუკუნიდან მოყოლებული ამ კავშირის წრე თან და თან იზრდებოდა, ბოლოს ამ კავშირში შედიოდა მთელი საბერძნეთი ისთმიდან ოლიმპიამდე... დელფის ამფიქტიონიამ მოკავშირეთა შორის ეროვნულ ერთობის გრძნობა განამტკიცა. ამ ამფიქტიონიის ზედგავლენით ბერძენთა ყველა ტომს „ელლინთა“ სახელი დაერქვა. პოეტი ჰეზაოდი ხმარობს უკვე სიტყვას „ელლინი“, ანუ „პანელლინი“, რომლითაც მთელ ერს უწოდებს.

მაგრამ გამაერთიანებელი მოძრაობა მარტოოდენ რელიგიოზურ ნიადაგზე არ განვითარებულა. იგი აღმოცენდა პოლიტიკურ ცხოვრებიდან. ძველ ოლქებრივ სახელმწიფოების წრე თან და თან იზრდებოდა. არსებობდნენ დიდი პოლიტიკური კავშირები, რამდენიმე სახელმწიფო ერთმანეთს ფედერატიულად უერთდებოდა. ისიც იყო, რომ ხანდისხან ერთმანეთში ითქვიფებოდნენ და იშლებოდნენ ისინი. (ibid. გვ. 216, 217). ათინას გარშემო თანდათან იკრიბებოდნენ ხალხები. მერვე საუკუნეში ათინის სახელმწიფოში შედიოდა უკვე მთელი ატტიკა (ibid. 218). ატტიკის გაერთიანებას კლისთენის კანონმდებლობამ შეუწყო ხელი: ბეოტიაში დაარსდა ფედერატიული სახელმწიფო, რომელიც რელიგიოზური კავშირისგან აღმოცენდა. ამგვარივე პოლიტიკური ფორ-

მა განწესდა ზრდილოეთ საბერძნეთში ფოკიდა-ლოკრიდიდან დაწყებული ოლიმპიამდე. აქ თესალიის კავშირმა გაინთქვა სახელი. პელოპონესშიაც განკერძოვებული ოლქები დიდ კავშირებს აფუძნებდნენ (ibid 219, 220, 223).

ყოველივე ეს რომ სახეში მივიღოთ, აშკარად დავინახავთ, რომ საფუძველს მოკლებულია ბ-ნ ან-ის აზრი, ვითომ საბერძნეთი თემის ჩარჩოებში სცხოვრობდა და თემურ იდენიას ემონებოდა. მაგრამ რაცა ვთქვით იმისი თქმაც მეტია, ერთ წამს მაინც რომ გავიხსენოთ სულიერი შემოქმედებითი ძალა ბერძნებისა და რომაელებისა. თემური კულტურაო! მთელ კაცობრიობას დღესაც ასაზრდოვებს ეს საკვირველი. „თემური კულტურა“ — რომაელთა კანონ-მდებლობა, ბერძენთა ლიტერატურა, ხელოვნება და ფილოსოფია და მოდიოთ და ნუ გაოცდებით, საიდან, როგორ, რა გზით უნდა დაიბადოს ადამიანის ტვინში ისეთი უცნაური აზროვნება, რომლის გარედ გამოფენას არც კი თაკილობს ჩვენი პუბლიცისტი, თემური იდეაო! პლატონი, არისტოტელი, სოკრატი, ეპიკტეტი, მარკუს ავრელიუსი და მრავალი სხვა მოაზრე თუ კაპიტალიზმის ხანაში არა სცხოვრობდნენ, ამიტომ იყო რომ ჩამოუვარდებოდნენ აზრის სიღრმით, სიფართოვით და კეთილშობილობით კაპიტალისტურ ეპოქის პატარ-პატარა დოკტრინიორებს და დემაგოგებს, ან თუნდ თანამედროვე დიდ ფილოსოფოსებსაც და მეცნიერებსაც.

მაგრამ როდესაც ადამიანის ტვინში ჩაწვეთილია რაიმე რწმენა, ამ რწმენას ისე ადვილად ვერ აღმოფხვრით: და თუ რომელიმე აზრი რელიგიოზურ ხასიათის ნიშნებს ითვისებს, აზროვნების საქმე დაკარგულია. ბ-ნ ან-ს მუდამ უამს კაპიტალიზმის კულტის გარშემო ღვთის მსახურების გაჩაღება სწყურია. მისი რელიგიოზური აღფრთოვანება ისტორიაში კაპიტელისტურ ეპოქის დამკვიდრებამდე არარაობის მეტს არას ხედავს. სამაგიეროდ, რა გვარად ნათლდება ჩვენი ავტორის გული, როდესაც სასოებით ქარხნის დაქვარტლულ საკვამლესაკენ იცქირება იგი და ლოცვასავით „უფალო შეგვიწყალებს“ გალობის კილოზე ამბობს: „კაპიტალიზმი გზას იკაფავს. ერი მოძრაობაში მოდის. ეროვნება წინ დგება. ეროვნული სახელმწიფო არსდება. ეროვნული ცივილიზაცია ჰმუშავდება“. ამინ!

მეტად უხეირო არგუმენტებს იშველიებს ბ-ნიან-ი თავისი აზრების გასასაღებლად. თუ იმ აზრის დამტკიცება გინდათ, რომ სახელმწიფო არაფერ შუაშია ეროვნულ კულტურის წარმოშობის საქმეში, ისეთი საბუთი წამოაყენეთ, რომ საბუთსა ჰგავდეს. თქვენ კი ამ მხრივ არაფითარ გემოვნებას არ იჩენთ. წინა წერილებში ამტკიცებდით, ლათინებს და რუტინელებს სახელმწიფო ორგანიზაცია არა ჰქონიათო, ეროვნება კი განუვითარებიათო, რაიც, როგორც ეხლა თქვენც იცით, სიმართლეს მოკლებულია; ახლა კიდევ აგინებიათ, საბერძნეთში სახელმწიფოდ იყო, ეროვნული კულტურა კი არ აღმოცენებულაო. გინდათ სთქვათ, რომ ეროვნება უსახელმწიფოდ შესაძლებელია, იმისთანა საბუთებს კი ხმარობთ, რომ სწორედ სათაკილოა თანამედროვე პუბლიცისტისათვის. თქვენი წერილებიდანა სჩანს, რომ თქვენცა ჰგრძნობთ საჩოთირო პოზიციას, რომელზედაც დგებართ და სამწუხაროა, რომ ამ საჩოთირო მდგომარეობიდან თავის დასაღწევად წვრილმან და ბოროტ ხასიათის კინკლაობაზედ გადადიხართ. ამ კინკლაობის აი ორი ნიმუში.

წინა წერილებში ბ-ნ ან-ს დავუმტკიცე, რომ ლათინებმაც, და რუტინელებმაც განვლეს სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის საფეხური. ერთი ერი სხვის სახელმწიფოში სცხოვრობდა, მეორეს საკუთარი ჰქონდა. სხვის სახელმწიფოში? შემოგვძახა გახარებულმა ბ-ნმა ან-მა. მაშ ეროვნების გამოსახისათვის არა ყოფილა საჭირო საკუთარ სახელმწიფოს არსებობა, რაღას იძახით, „საჭიროა ქართულ სახელმწიფოებრივი პრინციპის გამოცოცხლებაო“? რა მნიშვნელობა ჰქონდა უცხო თუ საკუთარ სახელმწიფოს ეროვნების წარმოშობის პროცესში, ამის შესახებ სხვა წერილებში უკვე გვქონდა ლაპარაკი. ბ-ნ ან-ს ჩვენს განმარტებისთვის ყურადღება არ მიუქცევია და იმის მაგიერ, რომ ბოდიში მოიხადოს და აღიაროს, შევცდი რაცა ვსთქვი, რომ რუტინელებს და ლათინებს უსახელმწიფოდ უცხოვრიათო, იგი არა თუ არ იჩენს მონანიების სურვილს, არამედ შეუფერებელის სიტყვებით ვგიმასპინძლდება.

ბოლოს იქამდე მივიდა ჩვენი პუბლიცისტი, რომ სრულიად აუხვია გვერდი საკამათო საგანს, პრინციპიალურ სჯა-ბაას და ჩემს საზოგადო აზრებს დაუწყო ინსპექცია. ამისი უფლება ბ-ნ ან-ს, რა თქმა უნდა, აქვს, ხოლო

ეს ართულებს და აბნელებს საქმეს და პირდაპირ არც შეეხება საკამათო საგანს. საქმეც ეგ არის,—პირდაპირ თუ არ შეეხება, არა-პირდაპირ ხომ შეეხება, და აი როგორ: ჯორჯადე თავის ზოგიერთ ნაწერში პრინციპიალურად მოპირდაპირება სახელმწიფოსია, ხოლო მისივე აზრით ეროვნება უსახელმწიფოდ არა სცოცხლობს. ხათაბალაში არ გაბმულა საბრალო კაცი. „იგი უარყოფს სახელმწიფოს, ამბობს ბ-ნი ან-ი და **ამავე დროს** (კურსივი ჩვენია) მეორე ალაგას... გამოდის სახელმწიფოს და პარლამენტის თავ-გამოდებით დამცველად საქართველოსთვის... ბ. ჯორჯადე, აგვიხსენით ეს სამაგალითო ორთავიანობაო?“

როგორც ხედავთ, ხერხის აზრი ის არის, რომ მკითხველის წინაშე ასე თუ ისე სახელი გამოიტეხოს, გააბათილოს ჩემი სამწერლო ვინაობა და ამ გზით შეამციროს ძალა ჩემ მიერ წარმოყენებულ საბუთებისა. ამას ჰქვია ჩასაფრება და მალულად მტერზე თავდასხმა. ამგვარ ხერხს ხანდისხან თავისი ნაყოფი მოაქვს. ბ-ნი ან-ს სწორედ ამ ნაყოფის იმედი აქვს. მძიმე ბრალდებას მდებს. „ორთავიანობა“ მწერლისათვის ვერაფერი თამასუქია. მაგრამ ისიც კი უნდა ვთქვათ, რომ არც თუჯიდან ჩამოსხმული ერთ წერტილზე მდგარი მაგარი თავი არის მაინც და მაინც სასიქადულო რამ. „ორთავიანობა“, თუ ორსავე თავში აზრი ტრიალებს, ადამიანს შეიძლება გამოადგეს კიდევ გაჭირვებაში, მაგრამ ვაი იმ აზროვნების ბრალი, რომელიც გაშეშებულია და გაყინულა ერთგვარ კმაყოფილებაში!

ასეა თუ ისე, საჭიროა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა იმ ბრალდების შესახებ, რომლითაც ბ-ნი ან-ი გამოდის ჩემ წინააღმდეგ. მკითხველს უნდა მოვაგონო შემდეგი: 1906—1907 წელს გამოვიდა ჩემი ორი წიგნაკი, ამ წიგნაკებში მე ვიცავდი ანარქიულ პრინციპებს და ფედერალიზმის იმ მიმდინარეობას და განმარტებას, რომელსაც აღიარებდა „ინტერნაციონალში“ ცნობილი იურის ფედერაცია. შემდეგ ამისა 1908 წელს და არა იმავე დროს, როგორც ირწმუნება ბ-ნი ან-ი, დავბეჭდე „ამირან“-ში „სამშობლო და მამული-შვილობა და მთელი სერია სხვა წერილებისა. აქ მე ვწერდი: „... ცხოვრება საორგანიზაციო მუშაობას საჭიროებს. თუ ჩვენს აღფრთოვნებას ფრთები შეაკვეცეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულ-ხელ დაკრეფილნი ვისხდეთ... დღეს ძალთა

განწყობილება იმნაირია, რომ სოციალურ ასოციაციათა ფედერაციაზე ლაპარაკი უდაბნოსა შინა მლაღადებელ ხმად ეჩვენება ყველას“ („ამირანი“ № 118). სხვა ადგილს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში არსებულ იდეურ შეუთანხმებლობის შესახებ და ჩემს შესახებაც ვწერდი: „ერთნი (პარტიაში) ევროპის სოციალისტურ ფედერალიზმის პრინციპებით აღჭურვილნი, სცდილობდნენ ჩვენშიაც მიეცათ ფედერალისტურ მოძრაობისათვის ის ხასიათი, როგორიც ჰქონდა მას ინტერნაციონალში; მეორენი, ისტორიულ ადგილობრივ პირობებზე მდგარნი, იცავდნენ ეროვნულ და პოლიტიკურ ფედერალიზმს და მხოლოდ ამ პირობებში სოციალისტურ მუშაობას. ამ განხეთქილებამ შესაფერ და სოციალისტურ მოძრაობის შესასწავლად საინტერესო მასალა დაჰბადა და ჩვენ მას ამ ჟამად არ ვეხებით. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ ორ მიმართულებაში, დღევანდელ პირობების მიხედვით, გამარჯვება დარჩა ფედერალისტურ მოძრაობის იმნაკადულს, რომელიც სწყვეტს და ხსნის ეროვნულ პრობლემას პოლიტიკურ ფედერალიზმის საშუალებით და აწარმოებს სოციალისტურ მოქმედებას ამ პოლიტიკურ ფორმების ფარგალში. ვგონებ, აზრი ნათელია. გარკვეულად ვსთქვი, რომ გარემოებას და რეალურ პირობებს ანგარიში გავეუწიე და წინანდელ პრინციპებზე დგომა შესაძლებლად აღარ მივიჩნიე. რევოლუცია დამარცხდა და მასთან ერთად დამარცხდა შემოქმედებითი მისწრაფება თავისუფლებისაკენ. რევოლუციის დროს საჭირო იყო ფორმულებში ჩამოყალიბებულიყო მაქსიმუმი ამ მისწრაფებათა, რადგან რევოლუცია არღვევს და სწყვეტს კანონს მიზეზობრივობისას და საზოგადოებრივ ცხოვრების დინამიკურ ძალას შემოქმედებით მუშაობაში ჰსახავს და ანვითარებს. რევოლუციის შეჩერება დროებით აფერხებს ამ ძირითად შემოქმედებას. ხოლო არ აჩერებს საზოგადოების საორგანიზაციო მუშაობას. ამგვარ საორგანიზაციო მუშაობად (პოლიტიკურ ცხოვრების ფარგალში) ამ ჟამად ფედერალიზმის და ავტონომიისათვის ნიადაგის მომზადება მიგვაჩნია. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ აქ სათაკილოს არაფერს ვხედავ ჩემს სამწერლო სახელისთვის. ბ-მა ან-მა კი საძრახად გამიხადა საქმე. მკითხველს ისე აჩვენა, ვითომ მე ერთ წერილში ერთს ვამბობდე, მეორეში მეორეს და ვითომ სიტყვაც არა მქონდეს ნათქვამი იმის შე-

სახებ, თუ რითი ვხელმძღვანელობდი, როდესაც ახალ ცხოვრების პირობებს შევუგუე ჩემი პოლიტიკური აზროვნება. თუ აზრის ცვლილება გაინტერესებთ, ამ ცვლილების მოტივების გარჩევაშიაც უნდა შესულიყავით, თქვენ კი არა თუ არ შედიხართ ამ გარჩევაში, მკითხველს უმაღლავთ კიდევ, რომ ამგვარი მოტივები მაქვს წამოყენებული. მე კარგად მესმის, რომ თქვენს თვალში ყოველგვარი საშუალება კარგია, რომელიც კი მიმართულია თქვენ მოპირდაპირის დასამცირებლად, მაგრამ ერთხელ კიდევ მოგაგონებთ, რომ ყოველივე ეს არ არის საკადრისი მწერლისთვის, რომელსაც თავისი თავის პატივისცემა არ დაუკარგავს.

III

სადაო საგანი იმაშია, იყო თუ არა ძველს დროში ეროვნული კულტურა. ბ-ნი ან-ი უარ-ჰყოფს ამას. ეროვნული კულტურა არ იყო არც რომსა და საბერძნეთში; არც ძველს საქართველოშიო. რომისა და საბერძნეთის შესახებ უკვე გამოვსთქვით რამდენიმე მოსაზრება. ახლა საქართველოზე შევიჩერდეთ. და ეს უბრალო ცნობის მოყვარეობა არ უნდა იყოს ჩვენის მხრივ. თუ ჩვენში წარსულში ეროვნული კულტურა არ იყო, თუ იგი მხოლოდ ახალი დროის, კაპიტალიზმის პირშია შეილია, ამ შემთხვევაში წარსული ჰკარგავს ჩვენთვის მნიშვნელობას, ჩვენსა და მის შორის კავშირი უნდა გასწყდეს და ცხოვრების გასაძლოლად და ასაშენებლად მასალას უნდა ვეძებდეთ მარტოოდენ პოლიტიკურ ეკონომიის ახლად გამოცემულ სახელმძღვანელოებში. ბ-ნი ან-ი, სწორედ ამ გზაზედა სდგას. ჩვენის ღრმა რწმენით კი საქმე ასე არ არის. ქართულ ეროვნულ შემეცნებას საძირკველი ჩაეყარა ძველს დროში. და ამიტომ ამ ჩვენს ძველ დროს სამართლიანად და პატივისცემით უნდა მოვუპყრათ. ეს სამართლიანობა არა სჩანს ბ-ნი ან-ის ნაწერებში. ან კი საიდან უნდა იყოს, როდესაც, მისის აზრით, ჩვენი ძველი წარსული დახასიათდება ისე, როგორც დაახასიათა იგი ქსენოფონტემ: „ქართველები ნათესაობას არ მისდევენ; საქმელად ხმარობენ ყოველსავე სულდგმულსა, ადამიანის მძოვრსაც. თაყვანს სცემენ მზესა, მთვარესა, ვარსკვლავთა, ნივთთა და პირუტყვთაო“ („ეკალი“, № 3). იფიქრეთ მართლაც, ამ ველურობამ რა უნდა შეგვიძინოს და რა უნდა გვასწავლოს!

იმ თავითვე ეს იყო ლეიტ-მოტივი ბ-ნ ან-ის წერილებსა. და თუმცა უკანასკნელ ნაწერშიაც ამაზე სდგას, მაგრამ ზოგიერთ საკითხში შესამჩნევად გადასხვაფერა და გადააკეთა თავისი აზრი. აი გასინჯეთ. ჯერ იყო და ამტკიცებდა, ტფილისის გარდა ძველს საქართველოში ქალაქი არ იყო. მე დავუსახელე ბეჭრი სხვა და სხვა ქალაქი და ვიმოწმე მოსე ჯანაშვილის თხზულება, სადაც ნათქვამია, რომ ჩვენში „მრავალთა საუკუნეთა უწინარეს ქრისტეს შობისა ჩნდებიან დაბა-ქალაქნი“. ეს სიტყვები დაიხვია ხელზე ბ-ნმა ან-მა და თითქოს სასაცილო ეპიგრაფადაც კი გაიხადა. ხა...ხა... ხა... მრავალთა საუკუნეთა ქრისტეს შობის წინ—დიდებულნი ცივილიზაციაო!—იცინის და ხარხარებს ყოველ ფეხის გადადგმაზე ბ-ნი ან-ი. ბატონო, აქ დიდებულ ცივილიზაციაზე არ იყო ლაპარაკი. ლაპარაკია მხოლოდ დაბა-ქალაქების არსებობაზე. ოხუნჯობო და ამ ქალაქების არსებობას კი ვერ უარ-ჰყოფთ. კი, იყვნენ ქალაქები, გვეთანხმება ახლა ჩვენი პოლემისტი, მაგრამ ეს ხომ სავაჭრო ქალაქები არ იყო, არამედ ციხე-სიმაგრეებიო. შეიძლება ციხე-სიმაგრეებიც იყვნენ, მაგრამ სავაჭრო ფუნქციებსაც ასრულებდნენ. ივერიის აღწერილობა სტრაბონის მიერ ბ-ნ ან-საც აქვს გაცნობილი. როგორც უკვე ვიცით, სტრაბონი მოგვითხრობს, იბერიის ქალაქებში ლამაზი შენობებია, კრამიტიანი სართულები ანუ ჭერები სკოდნიათო. გაშენებული იყო მოედნები, ბაზრები და საზოგადო დაწესებულებანი. ამის შესახებ ბ-ნი ან-ი ბრძანებს: „ა. ჯორჯაძე სიტყვა ქალაქს და კრამიტს შეცდომაში შეუყვანია და ამიტომ გაიძახის: ამ დროს ჩვენ სამოქალაქო ცხოვრება გვექონდაო“ (ეკალი № 3). უნდა მოვახსენო ბ-ნ ან-ს, რომ ამ „შეცდომას“ სპეციალისტი ისტორიკოსებიც აღიარებენ. პრ. ჯავახიშვილის უკანასკნელ თხზულებაში ვკითხულობთ: „აღებ-მიცემობა და საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარებული და დაწინაურებული უნდა ყოფილიყო, თორემ ვის რად უნდოდა ან მოედნები და ბაზრები, ან შენობები საზოგადო დაწესებულებისათვისაო“ („ქართველ ერის ისტორია“, გვ. 79), ბოლოს ბ-ნი ან იცდევითანხმა, რომ ეს ასე იყო. მაგრამ ახლა სხვანაირად მოუარა საქმეს. წინად ამბობდა: „სავაჭრო ცენტრები საქართველოს გარეშე იმყოფებოდნენო“. ახლა აღარ უარ-ჰყოფს ამ ცენტრების არსებობას საქართველოში, მხოლოდ ამბობს,

ეს ცენტრები უცხოელებისა იყო: „საქართველოს საზღვრებში მყოფი სავაჭრო ცენტრები—საერთაშორისო ცენტრები იყო და არა ნაციონალური.“ როგორც ჰხედავთ, ბ-ნ ან-ის სიმტკიცე ამგვარ საკითხების გადაწყვეტაში ფრიად სუსტი და უმნიშვნელოა. ახლა „უცხოელებით“ უნდა იხსნას თავი. კარგი, ვთქვათ, მართლაც ასე იყო. მაგრამ, არსებითად, ეს გარემოება არაფერსა სცვლის. უცხოელებისა იყო ძველს დროში ვაჭრობა, თუ ნაციონალური, მას მაინც თავისი გავლენა ჰქონდა მცხოვრებთა ცხოვრებაზე. თუ უცხოელი ვაჭარი აკმაყოფილებდა ქართველ ხალხის საჭიროებებს, თუ ფული ტრიალებდა ქვეყანაში, საქონლის გაცვლა-გამოცვლა სწარმოებდა, გზები კეთდებოდა, ხიდები შენდებოდა და ხალხში ვითარდებოდა გემოვნება და ახალი მოთხოვნილება, დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა იმ გარემოებას, ქართველი ტომისა იყო მაშინ ვაჭარი და მრეწველი, თუ ბერძენი, რომელი თუ ებრაელი.

მაგრამ არც ამაშია საქმე. განვითარებულ სამოქალაქო ცხოვრებაზე როცა ვლაპარაკობდი, უმთავრესად სახეში მქონდა თამარ მეფის დრო, როდესაც შემუშავდა რთული სააღმ-მიცემო და საფინანსო დაწესებულებათა სისტემა. და ბ-ნი ან-ი აქაც ორგულობს: „ჩვენს წერილებში მეთორმეტე საუკუნის მოქალაქობაზე სიტყვაც არ გვითქვამს“, გვარწმუნებს ახლა ჩვენი პუბლიცისტი. საკვირველი საქმე კია, მთელი კამათი სწორედ ამაზე იყო დაფუძნებული, რომ ბ-ნ ან-ის მტკიცებით, რუსების შემოსვლამდე ჩვენში ველურობის მეტი არა ყოფილა რა, ეხლა კი არა თუ აღიარებს ჩვენ მიერ ნაჩვენებს ფაქტებს, არამედ ვალერსება კიდევ იმას, რასაც წინად დასცინოდა: „ჩვენ ფიქრადაც არ მოგვდის უარვყოთ ის, რომ ამ დროს ტფილისში და საქართველოს სხვა კუთხეებში ვაჭრობა საკმაოდ განვითარებული იყო“. თურმე ნუ იტყვით, განვითარებული ვაჭრობა გვექონია. მეტიც! „თუ კი ქრისტეს წინ ვერ გავავითარეთ სავაჭრო ცენტრები, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შემდეგ საუკუნოებშიაც ამ მდგომარეობაში ვიყავით“. ნუგემ დაკარგული აღარ არის ჩვენი პესიმისტი მწერალი! ვაჭრობაც გვექონია, სავაჭრო ცენტრებიც და სხვა ამისთანა რამეებიც! დალოცვილო, თუ კი მაგრე იყო, იმ თავითვე იტყოდით და ჩვენ თავს აღარ მოვაცდენდით ამოდენა ლაპარაკით! მაგრამ მკითხველ!

გულ-სბრყვილო იქნება, თუ მართლა დაუჯერა ბ.ნ ანს. გარეგნულად თითქოს გეთანხმებათ, მაგრამ აქვე ისეთ ორ-მოს გაგიტხრით, რომ თავ-ფეხიანად, ქალაქებ-ვაჭრებიანათ დაგასათლაფებთ და მძიმე ლოდს აგიყუდებთ. მართალია, თამარ მეფის დროს ვაჭრობა იყო, მაგრამ „მთელი ეს ვაჭრობა, სომხების, ებრაელების და კათოლიკეთა ხელში იყო“. ეს კლასიფიკაციაც სამაგალითოა. „კათოლიკობა“ ნეტავ რომელ ეროვნებას წარმოადგენს? ფინიკიელების მონათესავე ხალხია ალბად! ქართველებათ მარტო მართლმადიდებელი ქართველი მიაჩნია ბ-ნ ა-ნს, სხვა სჯულის ქართველი ქართველი აღარა ყოფილა. მაგრამ არც ეს არის დამტკიცებულნი, რომ იმ დროს მართლ-მადიდებელი ქართველი ვაჭრები არ იყვნენ. თუ კი იყვნენ, სადღა არიანო? ჩვენ კი გვგონია, რომ რაკი ჩვენში ქართული სავაჭრო და საფინანსო დაწესებულებანი იყვნენ, რაკი ამ დაწესებულებათ მეცხრამეტე საუკუნემდე უცოცხლიათ, სამშობლო ნიადგზე ვაჭართა წოდებაც უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია, რომ ჩამომავლობით ვაჭართა უმეტესი ნაწილი არა ქართველი იყო, ხოლო ისინი მაშინ გაქართველებულნი იყვნენ და საქართველოში ასრულებდნენ იმ საქმეს, რა საქმესაც ასრულებდნენ ქართველი ტომის ვაჭრები.

თავის „სადავო კითხვების“ დაწერის დროს ბ-ნ ან-ს გადაუთვალთვალა დიმიტრი ბაქრაძის „საქართველოს ისტორია“, წარსულის შესახებ ცნობებს ამ წყაროდან იღებს იგი. და ძლიერ კმაყოფილია, რომ მიუგნია ნამდვილ ისტორიულ თხზულებასათვის. „საუკეთესო ისტორია უძველესი დროისა, ჩვენის ფიქრით, დ. ბაქრაძის „საქართველოს ისტორია“, ამბობს ბ-ნი ან-ი ისეთის კილოთი, თითქოს საგანი შესწავლილი და სხვა წყაროებიც გათვალისწინებული ჰქონდეს. მაგრამ ეს ცარიელი სიტყვაა. მას სრულიად არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმ დიდ მუშაობის შესახებ, რომელიც სწარმოებს უკანასკნელ 10—15 წ. განმავლობაში პეტერბურგის აღმოსავალეთის ფაკულტეტზე. პროფესორი ჯავახიშვილი თავის ახლად გამოცემულ „ქართველ ერის ისტორიის“ წინასიტყვაობაში ამბობს: „უკანასკნელი ოცი, მეტადრე ათის წლის განმავლობაში ბევრი დიდ მნიშვნელოვანი წყარო აღმოჩნდა და გამოქვეყნდა, ბევრი ხელ-ნაწერის აღწერილობა არის დაბეჭდილი. ახალ მასალების გამოქვეყნ-

ნებად, რომლის დიდ ნაწილს მკითხველი „Извѣстія Императорской Академіи Наукъ“-შიაც იპოვნის, დიდი ცვლილება მოახდინა საქართველოს ისტორიოგრაფიაში. კვლევა-ძიებამ დამარწმუნა, რომ მამა-პაპეული შეხედულება ქართველ ხალხის მრავალ საუკუნოების ისტორიაზე, რომელიც ჩვენს მწერლობაში წინადაც და ეხლაც გაბატონებულია, მხოლოდ საისტორიო წყაროებისა და მეთოდების უცოდინარობაზე იყო დამყარებული. 8 წლის მუშაობამ არსებითად შესცვალა ჩემი შეხედულებაც და დამანახვა, რომ ჩვენი ერის წარსული ბევრად უფრო საყურადღებო და საგულისხმო ყოფილა, ვიდრე ჩვეულებრივ ეგონათ ხოლმეო“.

ამ სიტყვებს რომ ჩაუკვირდეთ, დარწმუნდებით, რომ საჯაროდ გამოსვლა იმ ცოდნით, რომელსაც გასავალი ჰქონდა 25—33 წლის წინად, ეხლა მეტად სათაკილოა პუბლიცისტისათვის, განსაკუთრებით იმისთანასთვის, რომელსაც სარდლობის სიყვარული უღვივის გულში. და ამგვარ წინდაუხედაობის შედეგი ის არის, რომ საქართველოს უძველეს ისტორიის შესახებ ჩვენს პუბლიცისტს შეუწყნარებელი აზრი აქვს შეთვისებული. გავყვეთ მის პოლემიკას და აშკარად დავრწმუნდებით, რომ ამ საგნის შესახებ გაჩუმება ერჩივნა ბ-ნ ა-ნს. იგი მეკამათება და ამბობს: „მისის (ე. ი. ჩემი) აზრით „უწინარეს ქრისტეს შობისა“ ჩვენ ცივილიზაციის ხანაში ვყოფილვართ და მერე დაღუპულა ეს ცივილიზაცია. ეს რომ ზღაპარია—უქართლის-ცხოვრებოდაც ცხადია*). ყველა ძველი ცივილიზაცია დაინგრა, ამასთანავე დაინგრა თვით ამ ცივილიზაციის მატარებელი ხალხებიც. აღარ არიან არც ელინები, არც რომაელები, არც ფინიკიელები, არც სირიელნი; ხოლო ქართველები კი არიან; გამოდის, რომ აქ რაღაც სასწაულებათაა, ჩვენი აყვავებული ქალაქები, სამოქალაქო წეს-წყობილება, ცივილიზაცია დანგრეულა, ხოლო ჩვენ, ქართველები, ამ მთელი ცივილიზაციის მატარებელნი დავრჩენილვართ! ასეთი უცნაური ამბები ყარამანიანშიაც არ არის ნაამბობიო“.

ბ-ნ ან-ის გაკვირვებას ასეთი ფრთაგაშლილი იერი არ ექნებოდა, ამ საგნის შესახებ მეტი ცოდნა რომ ჰქონოდა.

*) დ. ბაქრაძე ემყარება „ქართლის ცხოვრებას“. ამიტომ იხსენიებს ამ წყაროს ბ-ნ ან-ი

ბ-ნი ა-ნი არა კითხულობს და არ იცნობს პრ. მარის, ივ. ჯავახიშვილის და სხვათა ნაწარმოებს. ეს კი ძალიან სამწუხაროა. ბ-ნ ან-ს „ქართველ ერის ისტორიის“ პირველი ნაწილი არ წაუკითხავს. მართალია, ეს წიგნი ცოტა იმაზე გვიან გამოვიდა, რაც დაბეჭდა ბ-ნმა ან-მა წერილები, მაგრამ ამ შრომაში ბევრი იმისთანა ცნობაა, რომელიც ცალკე წიგნაკებათ თუ სამეცნიერო გამოცემებში წინადაც ჰქონდა გამოქვეყნებული პატივცემულ პროფესორს. ბ-ნ ან ისთვის ყოველივე ეს უცნობი ხილია; მისი აზრით საუკეთესო ისტორია ის არის, რომელიც მას შეგიძლია დროს წაუკითხავს. და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია კი მხოლოდ „ყარამანიანია“. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ იმ ცნობებზე, რომლებსაც აქვეყნებს ბ-ნი ჯავახიშვილი უძველეს ისტორიის შესახებ თავის „ქართველ ერის ისტორიის“ პირველ ნაწილში.

უტყუარი ფაქტია, რომ თავდაპირველად ქართველი ტომები კავკასიაში არა სცხოვრობდნენ. მათი სამშობლო იყო XI—VII საუკ. ქრის. შობის წინ ძველი კაპპადოკია, პონტო და ქალდეა. ქართველებს მაშინ სხვა სახელი რქმევიათ, სახელდობრ მუსკები და ტაბალი. იმ დროინდელ ქართველ ტომების შესახებ მდიდარი ცნობები მოიპოვება ასურულ წყაროებში. როცა ასურეთის ბატონი ტიგლატ-პილასარ I თავის 1100 წ. წარწერაში პირველად მუსკებს ანუ მესხებს იხსენიებს, მაშინ ისინი იმდენად ძლიერნი ყოფილან, რომ ასურელებს თავგამოდებით ეცილებოდნენ... მესხების სამოქალაქო ცხოვრება საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა და ქალაქებიც ბლომად ჰქონიათ. ტიგლატ-პალასარ და შემდეგ სარგონ (მეფე 722—705 წ. ქრ. წ.) თავიანთ წარწერებში დიდ კვებნაში არიან, მესხების ქალაქები დავაქციეთ და გადავბუგეთო... აშურ-ნასირ-აბალ მეფის დროს (884—860 ქრ. წ.) მესხები ასურეთის ხელშეწყობის ხარკად თითბრის ქურჭელს, ხარებს, ცხვრებს და ღვინოს აძლევდნენ ხოლმე. მადნეულობის შეპყრობებისა და ღვინის დაყენების ცოდნა, განსაკუთრებით კი ქალაქების არსებობა ამტკიცებს, რომ იმ დროს მესხებს დაწინაურებული მოქალაქობრივი ცხოვრება ჰქონიათ (გვ. 65). ტაბალებში საზოგადოებრივი განსხვავება და უსწორ-მასწორობა უკვე არსებობდა. სარგონი მოგვითხრობს, ტაბალების ქვეყნის დიდებულები ტყვედ წავიყვანეთ...

ტაბალი და მუსკი მადნეულობის ხელოვნური ნაწარმოებით იყვნენ განთქმულნი. ქართველ ტომებს მარტო თავიანთვის კი არ უკეთებიათ მადნეული კურჭელი და იარაღი, არამედ ისეთ შორეულ ქვეყნებშიაც კი მიჰქონდათ ხოლმე. გასასყიდად, როგორც იყო ტვიროსი. საყურადღებოა, რომ „კალის“ გარდა ძველს ქართულსა და მის ენა-კილოკავებში არც ერთი მადნის სახელი არ მოიპოვება, რომელიც უცხოენებიდან ყოფილიყოს შეთვისებული... შედარებითი ენათმეცნიერება ამტკიცებს, რომ მადნების სახელები სხვა ერებს ქართველ ტომებისგან შეუთვისებიათ... ევროპიული ბრინჯაოს სახელი Bronze წარმომდგარია სპარსულ „ბირინჯ“-ისაგან; ხოლო სპარსულში ეს სიტყვა შეთვისებულია ქართულ ენა-კილოკავების საზოგადო სახელისაგან. სპილენძი, სვანური სპილენძი, მეგრ. ლინჯ. . თითბრის სახელები ზოგიერთ ევროპიულ ენაში, მაგალითად, გერმანულად messinc ანგლოსაქს. — masteinug, ძველ. ნორ. — messinug, პოლ. mosiadz ჰქვია; ეს კი მოსსინე ანუ მოსსინიკის ტომის სახელისაგან არის წარმომდგარი... რკინის, განსაკუთრებით, ფოლადის მომზადებაც ბერძნებს, როგორც ეტყობა, პირველად ქართველ ტომებისაგან შეუსწავლიათ. ეს ფოლადის ბერძნულ სახელიდანა სჩანს: „ხალიფს“, „ხილიბდიკის“, ხალიბების ტომის სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი და ხალიბებსა ნიშნავს... ერთის სიტყვით, უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისთვის აუცილებლად საჭირო მადნების სახელები ან ქართველ ტომებისაგან არის შეთვისებული, ანა არ და მათ სატომო სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი. ამით ცხადადა ამტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით (გვ. 67, 68, 69).

ამ ფაქტების აღნუსხვიდან შეიძლება ის დავასკვნათ, რომ მადნეულობის, განსაკუთრებით, რკინის ხმარების ცოდნა ველურობის-ხანას არ ახასიათებს, არამედ ცივილიზაციის წინამორბედ ხანას, — ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურს. ბ-ნ ან-ის მოწმობით ქართველები იმ ხანაში, როდესაც უკვე კავკასიაში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაბინავებულნი იყვნენ, კაცი-ჭამია ველურებს ემსგავსებოდნენ. ხოლო ასურულ წყაროების მოწმობით, ქართველები მე-11 საუკ. ქრ. შ. წინად ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე იდგნენ. ბ-ნ

ან-ისათვის ყოველივე ეს ყარამანიანის ნაამბობს ემსგავსება, რადგან მას არ ესმის ორი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება — ერთი ის, რომ ქართველი ხალხი ახალგაზდა ხალხი კი არ არის, არამედ უუძველესი; მეორე ის, რომ ქართველ ხალხის ისტორიაში, როგორც ბევრ სხვა ხალხის ისტორიაშია, იქნებ მთელ კაცობრიობის ისტორიაშია, განვითარებას და დაწინაურებას დაქვეითება და დაცემა მოსდევდა ხოლმე, ხოლო შემდეგ იყო აღორძინება. აი მოისმინეთ თვით ავტორი: ჩვენ, ამბობს იგი, ე. ი. **თანამედროვე ერს** (კურსივი ჩვენია), საიდან გვექნებოდა ქალაქური წყობილება ქრისტეს შობის წინ, როცა ყველა თანამედროვე ერში (ევროპიელთა) ის აღორძინდა ფეოდალიზმის მიწურულეში. („ეკალი“, № 3) როგორც ჰხედავთ, ქართველები თანამედროვე ერად ვართ გამოყვანილნი. და ჩვენი ავტორი ისე უცნაურად არის წათამამებული იმ შეგნებით, რომ ქვეშარტებას აღიარებს, რომ უფრო მარტივად ხსნის თავის აზრს ქართველ ერის მკირე-წლოვანობის შესახებ. „ბ. ჯორჯაძე გვიგებს, განა ზღაპარია ასურეთის, ეგვიპტის, რომის და სხვათა ცხოვრებაო! მას ვერ გაუგია, რომ ეს ხალხები კაი ხანია აღარ არსებობენ, ისინი თანამედროვე ერნი არ არიან, **ხოლო ჩვენ ვართ** (კურსივი ჩვენია). ჩვენ ლაპარაკი გვაქვს არსებულ ერებზე, ბ. ჯორჯაძე კი გვითითებს არა არსებულზეო“ (იქვე). სკდებით, ბ-ნო ან-ო! ხალხი, რომელზედაც მწერლობითი ცნობებია მე-11 საუკ. ქრ. შ. წინ. უუძველესი ხალხია. ასურელები და ფინიკიელებიც უუძველესი ხალხები იყვნენ. ხოლო მათი სახსენებელი დღეს აღარ არის, ჩვენი კი არის. **მაშასადამე, ჩვენ უუძველესთან ერთად თანამედროვე ერიც ვყოფილვართ...** მარქსისტულ დოგმებით დაღარული ტვინი შეითვისებს თუ არა ამ მარტივ აზრს, არ ვიცი; ვიცი კი, რომ ყოველივე ეს ისტორიული სინამდვილეა. „მაშ გამოდის, რომ აქ რაღაც სასწაულებია“, სიტყვას გვაწყვეტინებს ჩვენი მრკამათე. არა ბ-ნო ან-ო, არავითარი სასწაულო-მოქმედება არ არის. საჭიროა მხოლოდ უფრო ღრმად ჩახედვა კაცობრიობის ცხოვრებაში და საჭიროა უფრო საღი შეხედულება ერის განვითარების და დაქვეითების კანონზე.

იმავე ბ-ნ ჯავახიშვილის შრომაში ვკითხულობთ: „...თუ 4 საუკუნის (ქრ. შობ. წინ) ქართველ ტომების უაჯა-ცხოვ-

რებას იმ დროინდელ (11—7 საუკ.) მდგომარეობას შევა-
დარებთ, შეუძლებელია მაინც არ შევამჩნიოთ, რომ ჩრდი-
ლოეთისაკენ წაწეულ ქართველებს ცხადი დაქვეითება ეტ-
ყობათ. ვაზის მოვლასა, ღვინის დაყენებას, საქონლის მო-
შენებას, მადნეულების დამუშავებასა და იარაღ-ჭურჭლის
გაკეთებას, მართალია, წინანდებურად მისდევდნენ, მაგრამ
სად იყო წინანდელი სიმდიდრე, სასახლეები, აუარებელი გან-
ძი და ქონება, რომლის ხელში ჩაგდებას თავის დროზე ასუ-
რეთის ბატონები კვებულობდნენ ხოლმე. წინად მათ ქალა-
ქები ჰქონდათ, მეოთხე საუკუნეში კი სალაპარაკოდაც არა.
ღირდა; რაც იყო, უფრო ციხეებს მიაგავდა ვიდრე ქალაქს“...
(გვ. 75) ააა!!! შემოგვძახებს გახარებული პუბლიცისტი.
„ციხეებს მიაგავდა, მეც მაგას არ მოგახსენებდით? არა, ბ-ნო
ან-ო, თქვენ სულ სხვას მომახსენებდით. უძველეს კულტუ-
რის შესახებ თქვენ არავითარი წარმოდგენა არა გქონდათ.
ჩვენ შორის ლაპარაკი იყო სტრაბონის დროინდელ და თა-
მარ მეფის დროინდელ ქალაქურ ცხოვრების შესახებ. ერთიც,
მეორეც ქრისტეს შემდეგ ხანაში იყო, ხოლო რაკი არ იშ-
ლიდით, და სასაცილოდ გახადეთ ძველი კულტურა საქარ-
თველოსი, ამ საგანზედაც საუბარს არ მოვერიდე და მგონე
თქვენც დამეთანხმებით, რომ სცდებოდით.

IV

ასეა თუ ისე, მართლაც და დაფიქრების ღირსია ჩვენი.
ხალხის განვითარების ისტორია. ეს ისტორია პროგრესისა-
კენ მისწრაფების სწორ ხაზს სრულიადაც არ წარმოადგენს.
ხაზი არსად არა სწყდება. ხოლო იგი ათასგვარად იკლაკნება.
და იგრიხება. ვინც ამ კლაკენას და გრეხვას სიკვდილის
სახელით ნათლავს, მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს.
სიცოცხლის განვითარების კანონზე. სიცოცხლის განვითა-
რებაც ამნაირია. რა ვინდ ძალასაც მიაწერეთ მისი მოძრაო-
ბის უნარი (ბუნების შერჩევის კანონს, თუ ბუნებრივ ძალთა
შემოქმედებით თამაშს), ხოლო თვით ეს მოძრაობა არასო-
დეს სწორხაზიანობას არ წარმოადგენს. იგი ვითარდება,
რთულდება და წინ მიდის თითქოს დროებით დაქვეითების
და უკან დაწევის წყალობით. სიცოცხლის კანონი ორგანიზ-
მთა სამეფოში და ერთა განვითარების ფარგალში ერთი და
იგივეა. ბ-ნ ან-ს კი სიცოცხლის წარმტაცი საიდუმლოება.
„ყარამანიანი“-დან ამოკითხული ამბავი ჰგონია!

უცნაური ხასიით აქვს ჩვენს მოკამათეს. ჯერ იყო და სულ იმას იძახდა, დაამტკიცეთ, რომ საქართველოში აღებ-მიცემობა იყო და მაშინ ვირწმუნებ ეროვნულ კულტურის არსებობას წარსულშიო. ჩვენ იმ თავითვე უარვყავით საკითხის ამგვარ დაყენების სარგებლობა. ჩვენის აზრით ეროვნულ შემეცნების აღორძინებისა და განვითარებისათვის არ არის საკმარისი ვაჭრობა-მრეწველობის არსებობა რომელიმე ქვეყანაში. ეროვნულ შემეცნების შემუშავებაში ბევრ მოვლენას და ფაქტორს ჰქონდა ადგილი, ხოლო მთავარ ძალას მუ ვაკუთვნებ სახელმწიფოს. მაგრამ ბ-ნ ან-ს, როგორც მარქსისტს, ვაჭრობა-მრეწველობის კერპისაკენ აქვს მიპყრობილი თვალები. ეროვნებას ვაჭრობა-მრეწველობა ჰქმნისო. ვაჭრობა მრეწველობა? ბატონი ბრძანდებით, ვილაპარაკოთ ამ საგანზე-დაც. მართალია წარმოებით ურთი-ერთობის ფაქტორს ჩემს თვალში ისეთი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენი საგნის გამორკვევისათვის, მაგრამ რაკი არ იშლის ბ-ნი ა-ნი და ამაზე ამყარებს თავის ფილოსოფიას, გავეყვით და ვისაუბროთ ვაჭრობა-მრეწველობის შესახებაც-თქო.

ჩვენს საუბარს ის შედეგი მოჰყვა, რომ თვით ბ-ნი ანი-ც დაგვეთანხმა, რომ საქართველოში ქალაქებიც იყო, ვაჭრობაც იყო და სავაჭრო ცენტრებიც. და რაკი ჩვენმა საუბარმა ასეთი მოულოდნელი მიმართულება მიიღო ბ-ნ ანისათვის, იგი უეცრივ შედგა, შემოგვიბღვირა და კიჟინაც კი დაგვცა: „ჯორჯიძე ხომ სულ იმას ქადაგებს, რომ ეროვნება სახელმწიფომ შექმნა და არა ვაჭრობამ და მრეწველობამო. ხოლო მეცადინეობს კი დაამტკიცოს ქართული ვაჭრობის სიდიადე, რომ მით ქართული ეროვნებაც აამაღლოსო.“ (იქვე № 5) ახირებაც ამისთანა უნდა! ბ-ნი ან-ი ჩვეულია გადაჭრილ პრობლემების დაყენებას. ეროვნების შექმნაში მარტოოდენ ვაჭრობა-მრეწველობას უჭირავს ადგილიო. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ამ ცალ-მხრივობისა. სრულიადაც არ უარ-ვყოფთ ვაჭრობა-მრეწველობის მნიშვნელობას. არც დავიზარეთ ამ საგნის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ არასოდეს არ დაგვიყენებია საკითხი ისე, როგორც აყენებს ბ-ნი ან-ი. ან ვაჭრობა, ან სახელმწიფო. თუ ვაჭრობა, სახელმწიფოს ნულარ შეეხები, თუ სახელმწიფო, ვაჭრობას თავი მიანებეთო. ჩვენ ვამბობდით—ერთიც, მეორეც, მხოლოდ მნიშვნელობას, საორგანიზაციო ძალას სახელმწიფოს ვაკუთვნიდით. ბ-ნი ა-ნი კი

გვიწყრება, თუ თქვენი ღმერთი სახელმწიფოა, მის წინაშე იდეებით მუხლ-მოდრეკილი და ჩემ ღმერთს თვალებს ნულარ უბრიალებთო. სწორეთ რომ ტფილისელ კინტოს ოხუნჯობა მაგონდება. საყდარში შესულა კინტო და ლამაზ ქალისათვის დაუწყია მზერა. ქალი გასჯავრებია და წყრომა გამოუცხადებია კინტოსთვის. ვა, რასა სჯავრობ, თუ კი ღვთის-მშობელს დავყურებ და ვკოცნი კიდევ, შენ რომ გიყურო, რა დიდი ცოდვა იქმნებაო.

იმის დასამტკიცებლად, რომ ძველს საქართველოში უკვე შემუშავებული იყო ეროვნული თვით-შემეცნება, წინა წერილებში, სხვათა შორის აღნიშნული მქონდა ქართულ ეკლესიის ნაციონალურ მისწრაფებით გამსჭვალვის საკითხი. გამოჩენილი მეფეები, სამშობლოსთვის თავდადებულნი, წმინდანებათ იყვნენ აღიარებულნი. საეკლესიო პირნი თავიანთ ლოცვებში ღმერთს ერისთავთა დათრუგვნას და მეფეთა გაძლიერებას ევედრებოდნენ, და სხვა და სხვ. მართალია, ნაციონალურ იდეალებით გამსჭვალვა ეკლესიას პირვანდელ ქრისტიანობას აშორებდა, მართალია, მისი ძირითადი საფუძველი კომპრომისი გახდა და ამ კომპრომისის ძალით იგი შეიქმნა მიწიერ სამეფოს მოსამსახურედ, მაგრამ სწორედ ეს არის იმისი მაჩვენებელი, რომ ამ ხანაში სახელმწიფო იმდენად გაძლიერდა, რომ შესძლო თავის გავლენისთვის დაემორჩილებიანა ეკლესიაც. და მთელ ისტორიულ პერიოდის განმავლობაში ქართული ეკლესია მონა-მორჩილი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივობისა, რომელიც ძველს დროში სინონიმი იყო ქართულ ეროვნების განმტკიცებისა. რამდენადაც საზარალო იყო ასეთი დამორჩილება ეკლესიისა სახელმწიფოს მიერ ქრისტიანობის სიწმინდის დაცვისათვის, იმდენად სასარგებლო იყო იგი ეროვნულ იდეის გამაგრებისათვის. ძველს დროში, მიუხედავად თავის სოციალურ ხასიათის რეაქციონარობისა, ეკლესია ასე თუ ისე ერის სულიერ მოთხოვნილებათა გამომსახველი იყო. და რადგან ეკლესიის ავტორიტეტი იმ ხანაში დიდი იყო, ამიტომ ეკლესიის მიერ ეროვნულ იდეალების და მისწრაფებათა დაცვა ამ იდეალებს განსაკუთრებულ სიცხოველეს ანიჭებდა.

საყურადღებოა, რომ მე-VII საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეკლესია უკვე სრულიად დამთავრებულ ორგანიზაციას წარმოადგენდა და ამ ხანაში იგი უკვე ნაციონა-

ლიზაციის გზაზე იდგა. ეს შეუძლებელი იქნებოდა, ეროვნული თვით-შემეცნება რომ შეუმუშავებელი ყოფილიყო იმ ხანაში. ბ-ნ ან-სამ გარემოებისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია; თითქოს ეს ფაქტი აღნიშვნის ღირსიც არ იყოს. უყურადღებოდ დაუტოვებია იგი. ჩვენ კი ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ, ამიტომ კიდევ შევჩერდეთ ამ საგანზე. ამ მხრივ საყურადღებო მასალას ვპოვებთ საქართველოს და სომხეთის ეკლესიათა ერთმანეთისაგან განშორების ისტორიაში. ეს ამბავი მოხდა მეშვიდე საუკუნის დასაწყისში. განშორების მიზეზად ბევრს რამეს ასახელებენ. ჰგონიათ, მაგალითად, რომ ეკლესიათა ერთმანეთისაგან განშორება გამოწვეული იყო სარწმუნოებრივ, დოგმატიურ პრობლემათა შეუთანხმებლობით. ასახელებენ ქალკედონის კრებას, სადაც განხეთქილება მოხდა მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის. ამ კრებამ დიოფიზიტობა დააფუძნა. საქართველოს ეკლესია ქალკედონის კრების დადგენილებას დაემორჩილა და დიოფიზიტობა აღიარა. სომხეთის ეკლესიამ მონოფიზიტობას არ უღალატა და ამ ნიადაგზე დიდი მიწერ-მოწერა და კამათი აღიმართა სომეხ და ქართველ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა შორის. ეს კამათი, რომელსაც დასაწყისში სიმკაცრე არ ეტყობოდა, ბოლოს წყრომით დამთავრდა და სომეხთა კათალიკოსმა შემდეგი ბრძანება გასცა თავისს სამწყსოში: „განკარგულება მოვახდინეთ, სომხებმა არავითარი ურთიერთობა არ უნდა იქონიონ ქართველებთან არც ლოცვასა, არც ჭმასა, არც სმასა, არც მეგობრობასა და არც შვილების აღზრდის საქმეში. სომხებმა აღარ უნდა იარონ მცხეთის და მანგლისის ეკლესიებში და არც ქართველები უნდა შემოუშვან სომხის ეკლესიებში. ქართველებსა ზსომხებს შორის ცოლქმრობაც აღკრძალულია. ნებადართულია მხოლოდ სყიდვა-გასყიდვის გამართვა, როგორც ებრაელებთან. სომხები ამგვარადვე უნდა მოექცენ ალბანელებსაცო“. (Извѣстія Императорской Акад. Наукъ—1908. И. А. Джаваховъ. Исторія церковнаго разрыва между Грузіей и Арменіей въ началѣ VII вѣка, გვ. 536).

ამ წერილზე ქართველ კათალიკოსებსაც უპასუხნიათ. დედანი ამ პასუხისა ნაპოვნია არ არის, ხოლო ადვილად წარმოსადგენია, რომ ქართველი სულიერი მთავარნი კრულვა-წყევლაში არ ჩამოუვარდებოდნენ სომხებს. მაგრამ საქმე ამაში არ

არის, არამედ იმაში, თუ რამ გამოიწვია ასეთი მკაცრი განხეთქილება. ჩვენის აზრით ეს იყო გამოწვეული ეროვნულ ინტერესებით, ამ ინტერესებით გამსჭვალვა ორივე ეკლესიისა. იმ დროინდელი პოლიტიკური განწყობილება იმგვარი იყო, რომ საქართველო და სომხეთი სულ სხვა და სხვა პოლიტსებისაკენ იყურებოდნენ. საქართველოს ეკლესია ეკედლებოდა ბერძენ-რომაელთა ეკლესიას. ქალკედონის კრებაც იმიტომ შეიწყნარა მან. სომხეთის ეკლესია სპარსეთ-სირიისაკენ იყურებოდა. მას შემდეგ, რაც იბერიის მეფე გურგენმა სპარსელების წინააღმდეგ აჯანყების დროშა ააფრიალა და სპარსელებმა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს დამოუკიდებლობა მოსპვეს, ქართველები ბიზანტიელებისაკენ იყურებოდნენ და არა მალავდნენ თავიანთ მტრობას სპარსელების მიმართ. (იქვე, 627). ჩვენის აზრით, აქ უნდა ვეძებდეთ განშორების მიზეზს და არა მონოთეიზიტებსა და დიოთეიზიტებს შორის შეუთანხმებლობაში. ეროვნულ დამოკიდებულობის აზრი ისე იყო დამწიფებული, რომ ყოველივე, რაც სასარგებლო იყო ამ აზრის გამაგრებისთვის, სავალდებულო ხდებოდა თვით ეკლესიისათვისაც, რადგან ამითი ეკლესია, როგორც მოსარჩლე ეროვნულ ინტერესებისა, ხალხში ჰპოვებდა ძალას და ავტორიტეტს...

ყველა ამ საბუთების ძალით ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ: საქართველოს ძველი ისტორია არ არის ველურ ტომთა ისტორია, არამედ იმ ხალხისა, რომელმაც დააღწია თავი საგვარეულო წყობილებას, შეიმუშავა პოლიტიკური საზოგადოება და ამ პოლიტიკურ ორგანიზაციის საშუალებით წარმოშობა, მოძრაობაში მოიყვანა და განავითარა ეროვნული თვით-შემეცნება.

ეს თვით-შემეცნება ქართველმა ერმა, მიუხედავად ათასგვარ დამაბრკოლებელ და გამანადგურებელ მიზეზებისა, XIX საუკუნემდე მიიტანა. აქ, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, ამ ეროვნულ შემეცნების ნიშნები იმაში გამოისახა, რომ რუსეთის შემოსვლის დროს პოლიტიკურ დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება არა თუ არ იყო დახშული, არამედ ძლიერ ცხოველმყოფელიც იყო, რაზედაც ჩვენ წინა წერილებში ვრცლად გვქონდა ლაპარაკი. ჩვენ აზრს ბ-ნი ა-ნი, რა თქმა უნდა არ დაეთანხმა. ეგ მისი ნებაა. როდესაც სპეციალისტ-ისტორიკოსები

ამ ეპოქის მეცნიერულ ისტორიას შეიმუშავებენ, მაშინ გამოჩნდება, ვინ იყო მართალი და ვინ არა.*)

ამგვარია საზოგადო ხასიათი იმ კამათისა, რომელიც გვექონდა მე და ბ-ნ ან-ს. „სადავო კითხვების“ შესახებ, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი რამ ითქმის. მაგრამ საუბარი დასრულებულად მიმაჩნია. რაცა სთქვით, ის მასალაც რომ გამოვიყენოთ პრაქტიკულ პოლიტიკის ნათელ-საყოფად, უსარგებლო საქმე არ იქნება. ეს პრაქტიკულ პოლიტიკის საკითხი კი ცხადად გამოსჭვრეტს ყველა ზემოდ ნათქვამიდან. ასე იყო საქმე წარსულში თუ ისე, დღეს რაღა გვმართებს, ვინა ვართ, რა ვართ და საითკენ მიისწრაფვის ჩვენი პოლიტიკური აზრი? მთავარი საფიქრებელი საქმე ეხლა ისა გვაქვს, თუ როგორ უნდა მოეწყოს ის ეროვნული კულტურა, რომლის წარმოშობის აღსნაში ვერ შევთანხმებულვართ. ბ-ნ ან-ის სხვა ნაწერებიდან სჩანს, რომ ამ კულტურის მოწყობა შესაძლებელია რუსეთის მთლიან და ცენტრალისტურად აგებულ სახელმწიფოში. ჩვენ რადიკალურად უარვყოფთ ამ თვალსაზრისს და მოწადინებულნი ვართ მოკლე ხანში წარუდგინოთ მკითხველს გეგმა საქართველოს ავტონომიისა კონკრეტულ პირობების მიხედვით შემუშავებული.



*) უნდა ვსთქვა, რომ ა-ნი, არქეოგრაფიულ კომისიის (აქტების) დიდი მოტრფიალე, ბრალსა მდებს, ვითომ მე ეს (აქტები) არ წამეკითხოს და ბ-ნ ჯავახიშვილის წიგნაკიდან („Полит. и Соц. движ. в Грузии“) ამომეკრიფოს ჩემთვის საჭირო ცნობები. გადაშალეთ ხსენებული წიგნაკი და იქ ვერ იპოვნით იმას, რაზედაც ვემყარები. (Акты т. II стр. 322. т. V стр. 82. т. v 82.). ამ ცნობებიდანა სჩანს, რომ კახეთის ხალხმა ომი გამღუცხადა რუსეთს და თავისი მეფეც აირჩია.

შეთანხმების იმედი

(1903 წლიდან 1909 წლამდე.)

„დროება“ 1909 წ. № № 149, 150, 151, 154, 155, 156, 195, 196, 197).

I.

ჩვენს საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის უკვე ექვსი წლის განმავლობაში სწარმოებს კამათი ავტონომიის გარშემო და ეხლა ამ კამათს რომ გადავხედოთ, აშკარად დავინახავთ, რომ ავტონომიის საკითხი საქართველოში დღითი-დღე მეტ ყურადღებას და მნიშვნელობას ჰპოულობს, რომ ის ჯგუფები, რომელნიც ამ რამდენიმე წლის წინად სასაცილოდ ხდიდნენ ამ საკითხის წამოყენების საჭიროებას ჩვენში, დღეს ყურადღებით ეპყრობიან მას, სცდილობენ იმის შესწავლას და ასე თუ ისე გადაწყვეტას. მართალია, ჯერ კიდევ შორს არის ამ საკითხში ქართულ საზოგადოებრივ ჯგუფების შეთანხმების ხანა, ხოლო ამ შეთანხმებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქმნა გადადგმული.

საქართვეროს ავტონომიის წამოყენების საკითხს იმ დრომდე არ ექმნება პრაქტიკული და სერიოზული მნიშვნელობა, სანამ ორი დაბრკოლება და შემაფერხებელი მიზეზი არ იქმნება ძლეული. ერთი არის შეუთანხმებლობა ქართველ პოლიტიკურ პარტიათა შორის. მეორეა თვით საგნის შეუსწავლადობა და გამოურკვეველობა. როდესაც ეს ორი დაბრკოლება ძლეული იქმნება,—მოხდება შეთანხმება პარტიათა შორის (ამის იმედი დიდი გვაქვს) და შემუშავდება რეალურ პირობების მიხედვით პრაქტიკული გეგმა საქართველოს ავტონომიისა, მაშინ ამ საგანს და ამ საკითხს ახალი დამაბრკოლებელი მიზეზი გაუჩნდება. მას წინ გადაელობება მთავრობა და რუსეთის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც დღეს არის პოლიტიკურად გამარჯვებული და შეიძლება იმ ჯგუფების ნაწილიც, რომელსაც დღეს კონსტიტუციის და დემოკრატიის დროშა უჭირავს ხელში. დღემდე არც მთავრობა

(როგორც ეს სჩანს ნამესტნიკის მოხსენებიდან), არც ხსენებული რუსეთის საზოგადოებრივი ჯგუფები საქართველოს ავტონომიის საკითხს არავითარ სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდნენ, სამართლიანადაც არ აქცევდნენ, რადგან ყურადღების ღირსი (თუნდაც უარ-ჰყოფითი ყურადღების ღირსი) მხოლოდ და მარტოოდენ ის არის და ისა ხდება, რაც არა მარტო მომწიფებული და შესწავლილია, არამედ ისიც, რის განხორციელებისათვისაც ხალხი მოწადინებულია შრომა, ენერჯია და ბრძოლა არ დაზოგოს. ჩვენში ეს ხანა ჯერ არ დამდგარა. ექვსი წლის განმავლობაში ქართული პოლიტიკური პარტიები გაცხარებულად და თავდადებულად ებრძოდნენ ერთმანეთს და ერთმანეთის დამხობას ჰლამობდნენ. დღეს ბევრი შეცდომის და უნაყოფოდ ძალთა დაქსაქსვის შემდეგ თითქოს გამოსჭვრეტს აზრი შეთანხმებისა და როგორც შედეგი ამ შეთანხმებისა საგნის უფრო საფუძვლიანად შესწავლისა, მაგრამ აქაც საქმის დასაწყისში ვართ მხოლოდ. ასე რომ დღემდე ძლიერ ცოტა გაკეთდა იმისთვის, რომ საქართველოს ავტონომიის საკითხი სერიოზულ პოლიტიკურ საკითხად გამხდარიყო, რომ მთავრობასა და რუსეთის საზოგადოებასაც მისთვის ჯეროვანი ყურადღება მიექციათ.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ავტონომიას ჯერ მხოლოდ ჩამონასახის გარეგნობა აქვს. საკითხი წამოყენებული იყო და მის გარშემო ასტყდა კამათი. ეს კი მხოლოდ პირველი საფეხურია ამ საგნის მსვლელობისა და განხორციელების საქმეში. დღეს გადადგმულია ახალი ნაბიჯი მეორე საფეხურისაკენ. მაგრამ იგი აქ ჯერ მკვიდრად არ არის დამდგარი. შეთანხმების ნიშნები მოსჩანს, ხოლო შეთანხმებამდე საქმე არ მისულა, გადავდგამთ თუ არა ფეხს მესამე საფეხურზე, სადაც დგომა გაცილებით უფრო სახიფათო და მძიმე იქმნება ამ ეროვნულ საქმის დასაგვირგვინებლად, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ქართულ ინტელიგენციის იმ ნაწილმა, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს ხელმძღვანელობს და მათს სულს და აზრს შეადგენს, მეტი სიღინჯე, გამჭრიახობა და ცოდნა გამოიჩინა საგნის საფუძვლიანად შესწავლისათვის და შესწავლილ და გარკვეულ საგნის განსახორციელებლად ერთსულოვან მოქმედებას მოჰკიდა ხელი.

ქართულს პრესაში ავტონომიის შესახებ პირველად „საქართველომ“ დაიწყო ლაპარაკი. ეს ორგანო გამოდიოდა პარიზში 1903—1904 წლებში. ამ ორგანოსპირველსავე ნომერში დაიბეჭდა რედაქციის „ღია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ“. ამ წერილში, სხვათა შორის ვკითხულობთ: „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშკარად ვამბობთ: ჩვენ პოლიტიკურ სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება — განსაკუთრებულ, საქართველოს პირობებთან შესაფერი, კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთის სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ“.¹⁾ გაზეთი სცდილობს უფრო ფართოდ დააყენოს საკითხი და საქართველოს ეროვნული ავტონომიის საკითხი დაუკავშიროს რუსეთის პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის საკითხს. იმავე წერილში ვკითხულობთ: „რუსეთის წინაშე შემდგომი პრობლემაა: შემუშავება იმგვარ წესწყობილებისა, რომელიც, ერთის მხრივ, ააღორძინებს სლავიანთა ელემენტს და მეორეს მხრივ, მშვიდობასა და თანხმობას დაამყარებს ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორის. ეს წესწყობილება, ჩვენის აზრით, რთულ დეცენტრალიზაციის სისტემაზე უნდა იყოს აგებული, ხოლო განმტკიცებელი და განვითარებული დეცენტრალიზაცია რუსეთს ფედერატიულ წესწყობილებამდის მიიყვანს... ჩვენ, ქართველებს, გვგონია, რომ ჩვენი კერძო ეროვნულ ავტონომიის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ დიდ პრობლემასთან და ამიტომაც აღუძარით რუსეთის მომავალ ფედერაციის საკითხი“.

ასე იწყო „საქართველომ“ სჯაბაასი ავტონომიის შესახებ. გაზეთი შეუდგა ამ საგნის გამორკვევასა და მის წინაშე წარმოსდგა ახალი პრობლემა — კავკასიის საკითხი. გაზეთი ამბობს: „საქართველო ეკონომიურად ვიწროდ არის გადაბმული დანარჩენ ამიერ-კავკასიასთან. რაც დრო გავა, არსებული ეკონომიური ურთიერთობა და დამოკიდებულება მეტად განვითარდება. საერთო ეკონომიურ ინტერესების დასაცავად, კულტურულ საერთო მოთხოვნილებათა დაკმაყოფი-

1) „საქართველო“, № 1. 1 მაისი 1903 წ.

ლებისათვის საქიროა შესაფერ პოლიტიკურ ორგანიზაციის დაფუძნება... საქართველოს ავტონომია, ისე როგორც ავტონომია კავკასიის სხვა ნაწილებისა, პირველი პოლიტიკური ნაბიჯი იქმნება რთულ ფედერალისტურ წესწყობილების დამყარებისათვის, ვინაიდან ფედერალიზმი იმ გვარი ფორმაა ხალხთა შეკავშირებისა, რომელიც თვითეულ ერს, მხარეს და პროვინციას სრულ თვით-მოქმედებას ანიჭებს და, მეორეს მხრივ, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებელ რამდენსამე ერს ერთ გაერთიანებულ პოლიტიკურ მმართველობის ფორმას აღლევს¹⁾“. ამ გვარად, საქართველოს ავტონომია, კავკასიის ფედერაცია და რუსეთის დიდი კოფედერაცია, გაზეთის აზრით, ერთი და იგივე პრობლემის შემადგენელი ნაწილებია. ასეთი იყო თეორიული საფუძველი „საქართველოს“ პოლიტიკურ მიმართულებისა. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ გაზეთი რუსეთის კონფედერაციის საკითხს ხშირად არ უბრუნდებოდა. მისი ყურადღება იყო მიპყრობილი კავკასიის საქმეებზე და განსაკუთრებით საქართველოს ავტონომიაზე. გაზეთის აზრით, საქართველოს ავტონომიის საკითხიც თუმცა დაკავშირებული იყო მთელ იმპერიის და კავკასიის მმართველობის რეორგანიზაციის საკითხთან, მაგრამ მას თვისი განსაზღვრული ფიზიონომია და დამოკიდებული მნიშვნელობაც ჰქონდა. თუ ავტონომიის დაფუძნებისათვის უკვე არსებობენ საქირო პირობები, და თუ ეს საგანი საქართველოში უკვე მომწიფებულია საქმის გადადება სრულიადაც არ არის საქიროდრომდე, სანამ ამ გვარადვე მომწიფდება ეს საგანი დანარჩენ კავკასიაში და მთელს იმპერიაში. რუსეთის მოუშადადებლობა კონფედერაციის წესწყობილების შემოღებისთვის არ მოასწავებს საქართველოს ავტონომიის შეფერხების საქიროებას. და ამ გვარად, გაზეთი თავის მთავარ ყურადღებას აქცევს საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციის გამორკვევას. ხოლო უნდა ვსთქვათ, რომ დროის ვითარების მიხედვით, ავტონომიის საკითხის პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენება გაზეთმა ვერ მოახერხა. იმ ხანაში პრინციპის აღიარების საქიროება სრულიად მომწიფებული იყო, ხოლო ამ პრინციპს ხორც-შესხმულობა ჯერ კიდევ აკლდა. დენაციონალიზაციამ მეტად ღრმა ფესვები გაიკეთა ჩვენს საზოგადოებაში და ეროვნულ

1) იბიძ. № 9.

ცხოვრების თითქმის არც ერთ დარგში არ იყო დამზადებული ხეირიანად შემუშავებული მასალა. ავტონომიურ ცხოვრებისათვის მოუშზადებელი გამოვლდექით.

ჩვენი ავტონომია გაზეთ „საქართველოს“ განმარტებით უნდა იყოს პოლიტიკური და არა ადმინისტრაციული ავტონომია. საქართველოს პარლამენტი აღჭურვილია კანონმდებლობით უფლებებით. ცენტრალურ მმართველობის კონტროლიდან გამოყოფილია ბიუჯეტი, სამსჯავრო, ეკლესია, სწავლა-განათლების საქმე, ადმინისტრაცია, მილიცია, კანონდება სოციალ-კულტურულ საქიროებათა დასაკმაყოფილებლად. ტერიტორიის საზღვრების განსაზღვრის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ, ერთის მხრივ, 1783 წლის ხელშეკრულობით, რომლის ძალით რუსეთს უერთდებოდა ქართლ-კახეთ-საინგილო, ეხლანდელი ტფილისის გუბერნია, მეორეს მხრივ, უნდა ვიხელმძღვანელოთ იმითი, თუ ქართველთა ტომის ხალხი, სადა და სად სახლობს. ამრიგად მომავალ საქართველოს ტერიტორიად, გაზეთის აზრით, უნდა იყოს: აფხაზეთი, სამურზაყანო, სამეგრელო, სვანეთი, გურია, იმერეთი, ლაზისტანის ნაწილი, ახალციხის მაზრა (ძველი სამცხე-საათაბაგო და ჯავახეთი), ქართლი, მთიულეთი, ხევი (დარიალამდე,) სომხითი, კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, საინგილო¹). ავტონომია დაფუძნებულია დემოკრატიულ პრინციპზე. საერო თუ სამოქალაქო დაწესებულებებში დეპუტატებს თუ მოხელეებს ხალხი ირჩევს საყოველთაო საარჩევნო უფლებათა პრინციპზე (აქვე). ამ რიგად, გაზეთი „საქართველო“ სამ მთავარ-დებულებას აღიარებდა: ავტონომიის **ტერიტორია** ის არის, სადაც ქართველები სახლობენ. ავტონომიური დაწესებულებანი **დემოკრატიულ** საფუძველზე შენდებიან. საქართველოს ავტონომია არის ავტონომია **პოლიტიკური** და არა ადმინისტრაციული. სახელმწიფოებრივობა, დემოკრატიზმი, ტერიტორია — ამ ელემენტებისაგან შესდგება მომავალი ორგანიზაცია საქართველოს ავტონომიისა.

გამოვიდა თუ არა „საქართველო“, რედაქციას სხვათა შორის, რამდენიმე უკმაყოფილო წერილი მოუვიდა. ზოგიერთი ამ წერილთაგანი დაიბეჭდა კიდევაც გაზეთში. წერილების ავტორები პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ გა-

1) ibid. № 2.

ზეთი საქართველოს სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დამცველად კი არ გამოვიდა, არამედ მარტო ავტონომიისა. ავტორებს შესაძლებლად მიაჩნიათ დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსება და ამ საქმისათვის მათ ევროპიელების დიდი იმედი ჰქონდათ. ევროპა კავკასიას ნეიტრალ ტერიტორიად გამოაცხადებს და საქართველოც რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლდებაო. უნდა ვსთქვათ, რომ ევროპიელების იმედით გულს დღემდე იკეთებდა ზოგიერთი ნუგეშ-გამოღებული ქართველი. თუ სეპარატიულ სახელმწიფოს დაარსებას არ იკისრებს ევროპა, უარს არ გვეტყვის დახმარება აღმოგვიჩინოს დათრუგნულ „ისტორიულ უფლებათა“ აღსადგენათო. ჩვენ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა პასუხი გასცა ჰააგის კონფერენციამ საქართველოს „ისტორიულ უფლებათა“ მაძიებელთ, ახლა კი ისევ დაუბრუნდეთ იმ აზრის ვითარებას, რომელიც „ავტონომიის“ გარშემო აღმოცენდა. სეპარატიზმისა და ისტორიულ უფლებათა შესახებ სჯა-ბაასი იმ ხანაში არ შეწყვეტილა. ამ საკითხმა ამოჰყო თავი ქართველ რევოლიუციონერთა პირველ კონფერენციასედაც, რომელიც იყო მოწვეული ჟენევაში 1 აპრილს 1904 წელს და რომელიც საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიის დამფუძნებელ კრებად ჩაითვლება. კონფერენციის 4 აპრილის სხდომაზე უარ-ყოფილ იქმნა სეპარატიზმი. კამათის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია. მოგვყავს ამ რეზოლიუციის ბოლო: „ქართველ რევოლიუციონერთა კონფერენცია უარჰყოფს სეპარატიზმს, რომელიც კიდევ არ ჩაითვლება ერთა სოციალურ განვითარებისა და ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცების თავდებად და აცხადებს, რომ განთავისუფლებულ საქართველოსთვის საუკეთესო და უსაჭიროესი პოლიტიკური წესყობილება უნდა იყოს ავტონომიური საქართველო, სხვა ერებთან ფედერატიულად შეკავშირებული¹⁾. რაც შეეხება ისტორიულ უფლებათა პრინციპს, რეზოლიუციაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. მართალია, კამათის დროს აშკარა იყო, რომ კრება ამ უფლებათ მანც და მანც დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა, მაგრამ საგანი იმდენად სერიოზულია, რომ მის გამორკვევას

¹⁾ ოქმები ქართველ რევოლიუციონერთა პირველ კონფერენციისა, გვ. 176—183. „საქართველოს“ ბამოცემა პარიზი. 1904 წ.

მეტი ყურადღება ესაქიროებოდა. გაზეთი „საქართველო“ არ უარჰყოფს ამ საკითხის მნიშვნელობას. მას პირველ ხანაში თითქოს საერთაშორისო სამსჯავროს იმედიც ჰქონდა. გაზეთი ამბობს: „წარსულმა ცხოვრებამ გვიანდერძა ისტორიულ შელახულ უფლებათა აღდგენის მოვალეობა. ზნეობრივი და კანონიერი უფლება გვაქვს პასუხი მოვსთხოვოთ მთავრობას. თუ საერთაშორისო სამართალს რაიმე ძალა და ფასი აქვს, ამ სამართალმა უნდა განგვსაჯოს დასაწყისში და წართმეული დაგვიბრუნოს“. ასე სჯიდა გაზეთი. შემდეგში მას ამ მხრივ ოპტიმიზმი დაეკარგა. რედაქციაში თანდათან მოგროვდა საინტერესო მასალა, რომელიც ნათელს ჰფენდა იმ საგანს, თუ რას უნდა მოელოდეს საქართველო ევროპისაგან. ჩვენ სახეში გვაქვს ევროპის სხვა და სხვა კუთხიდან გამოგზავნილი თანაგრძნობის წერილები, რომელნიც „საქართველო“ „—La Géorgie“-მ მიიღო დღიდან გამოსვლისა. წერილები იყო საფრანგეთიდან—პარლამენტის დეპუტატ ანტიდ ბოიერისაგან, ლერუა ბოლვისაგან, ელიზე რეკლუსაგან, პიერ იარისაგან; გაზეთს სწერდა ინგლისიდან ოქსფორდის პროფესორი იორკ ჰაულისი, დანიიდან ჟორჟ ბრანდესი, შვეციიდან ერიკ რუზენი, პორტუგალიიდან, ლისაბონის გაზეთის რედაქტორისაგან კსავიე და კარვალოსაგან, იტალიიდან პიეტრო მაძინი და სხვა. ევროპის პრესაშიაც წერილები დაიბეჭდა საქართველოს შესახებ: „პოლიტიკენში“- № 180, 1903 (დანია); „La Ptitte Respublique“-ში და „Europein“-ში № 80, 1903 (საფრანგეთი) „Times“-ში (ინგლ.) „Tribune de Geneve“-ში (შვეიც.) ფლამანელების სამეცნიერო ჟურნალ „Onwokig“-ში და სხვა.

ყველა ამ წერილებს (კერძო პირებისაგან გამოგზავნილებს თუ გაზეთებში დაბეჭდილებს) რომ დააკვირდეთ, დაინახავთ, რომ ევროპელების თანაგრძნობა პლატონიური ხასიათისაა და მას რეალურ პოლიტიკის მიმდინარეობაზე ფრიად მცირედი გავლენა უნდა ჰქონოდა. ინგლისი, მაგალითად, სხვებზე მეტად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული კავკასიის საკითხით, მაგრამ გაზეთ „Times“-ში ჩვენ არავითარ ამ ხასიათის ინტერესის გამომჟღავნებას არა ვხედავთ. გაზეთი სარგებლობს იმ მასალით, რომელსაც „La Cérge“-ში ჰპოულობს და მოუთხრობს მკითხველებს, ესა და ეს მოხდა საქართველოში, ქართველები ამა და ამას თხოულობენო,

სხვა არაფერი¹⁾). ჟენევის გაზეთი „Tribune de Geneve“ სწერს: „La Cèrgie“-ში ერთ მოწინავე წერილს სათაური აქვს: საქართველო და კავკასიის ფედერაცია. სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით წერილის სათაურიც დიდმნიშვნელოვანად მიგვაჩნიაო. გაზეთი ბევრს არას ამბობს, რატომ მიაჩნია დიდმნიშვნელოვანად ეს გარემოება და ამნაირად დასძენს: „ქართული ჟურნალი, პარიზში დაარსებული, ფედერატიულ მოძრაობას ემსახურება. ეს გარემოება იმდენად საყურადღებოა, რომ მისი აღნიშვნა საჭიროდ მიგვაჩნიაო“²⁾). სხვა გაზეთშიაც თანაგრძნობის მეტს არაფერს ვპოულობთ. კერძო წერილებში, რომელიც რედაქციას მოუვიდა, ყველაზე მეტად საყურადღებოა ანატოლ ლერუა ბოლიესი. აი ეს წერილიც: „ბუნო რედაქტორებო, მოხარული ვარ, რომ გამოგიგზავნიათ თქვენი ახალი გაზეთი „La Cèrgie“. ვიცნობ თქვენს ლამაზ სამშობლოს, რომელიც ექვს გარეშეა ქვეყნის უმშვენიერეს კუთხედ ჩაითვლება. მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი იმ პოლიტიკოსთა, რომელსაც საგნად თქვენი ქვეყნის გადაგვარება და გარუსება ჰქონდა. როგორც თქვენი გაზეთის პირველ ნომერშიაც არის ნათქვამი. მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავ, რომ რუსეთის სახელმწიფოს ორგანიზაციაში კავკასიის სხვა-და-სხვა ერი და აგრეთვე იმ ერებსაც, რომელნიც ევროპის საზღვრების მომიჯნავენი არიან, უნდა მიენიჭოს ავტონომია, რომელიც მათ ისტორიულ ცხოვრების დაცვის გარანტიად გახდება. ცენტრალისტურ ხასიათის რუსეთი, თუნდაც რომ ლიბერალური დაწესებულებანი დააწესონ იქ, ყოველთვის იქმნება დამჩაგვრელი პატარა ერთათვის. ამრიგად, ბატონებო, თქვენს სურვილს ერის შენახვისას ყოველთვის თანაუგრძნობენ ყველა ლიბერალები, რომელთაც როგორც მე, ჰგონიათ, რომ პატარა ერებს სრული უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი ვინაობა და ენა. ვისურვებ, რომ თქვენ ყოველთვის იხელმძღვანელოთ წინდახედულობით და სიბრძნით, რომელნიც თქვენ სამართლიანის საქმის დაგვირგვინების თავდებად შეიქმნებიან. გთხოვთ ირწმუნოთ ჩემი ერთგული თანაგრძნობა. ანატოლ ლერუა ბოლიე, 27 მაისი. 1903. პარიზი“.

1) Times“ 15 აპრ. 1903 წ.

2) Tribune de Geneve 5 ნოემ. 1903 წ.

აშკარაა, ამ ხასიათის თანაგრძობით ქართველები საერთა შორისო ცხოვრების წრეში ფეხს ვერ წასდგამდნენ და თუ შათთვის ისტორიულ უფლებათა დათრგუნვის საკითხი მაინც მნიშვნელობას არ ჰკარგავდა, ექვს გარეშეა, რომ ისინი საერთა-შორისო სამსჯავროს მიერ მაინც და მაინც დაიმედოვნებულნი არ უნდა ყოფილიყვნენ, დღევანდელ პირობებში მაინც.

II

ესეთი იყო ავტონომისტურ მოძრაობის პირველი ნაბიჯი. საქმე საზღვარ-გარედ დაიწყო და პირველ ორის წლის განმავლობაში ამ საგნის შესახებ ლაპარაკი პოლიტიკურ პირობების გამო, შეუძლებელი იყო თვით საქართველოში. და რაკი ქართველთა ეროვნულ მოძრაობის გამომხატველი ორგანო სამშობლოს გარეთ იყო, ამ მოძრაობის მოწინააღმდეგეებმაც თავდაპირველად საზღვარ-გარეთ იწყეს ლაპარაკი და წერა „საქართველოს“ ეროვნულ პროგრამის შემდეგ.

იმ ხანებში საზღვარ-გარედ მოხდა სრულიად რუსეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიის მეორე კრება. ამ კრებაზე ბევრი ლაპარაკი იყო ეროვნულ საკითხის შესახებ. ჩვენებური სოციალ-დემოკრატები აქ ბუნდისტებთან ერთად ოპპოზიციას შეადგენდნენ. მათი ეროვნული მისწრაფება გაცილებით უფრო შორს მხდებოდა, ვიდრე კრების უმრავლესობის სურვილი იყო. და რაკი ამ სურვილს შეეჯახნენ ჩვენებური სოციალ-დემოკრატები, დაემორჩილნენ მას და უკუ აგდეს მანდატები, რომლებითაც იყვნენ აღჭურვილნი. აქედან, ამ კრებიდან იწყება, ცენტრალისტურ მიდრეკილების ზრდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა ბანაკში. მოვიგონოთ ეს ამბავი უფრო დაწვრილებით:

ქართველ რევოლუციონერთა ხსენებულ კონფერენციაზე ვერმიცანიდემ ფრიად საყურადღებო მოხსენება წაიკითხა ამ საგნის შესახებ. მოვიყვანოთ იგი ზოგიერთის შემოკლებით.

სოციალ-დემოკრატიულ მეორე კრების ოქმების მე-170 გვერდზე ვკითხულობთ: ჭგანსახილველია მუხლი მე-სამე კომისიის პროექტისა: § 3) ფართო ადგილობრივი და საოლქო (областное) თვითმართველობა“.

ღენინი წინააღმდეგია სიტყვა „საოლქო“-ს-ი (областное): შეიძლება ეს სიტყვა ბევრნაირად აიხსნას: იქნება ვისმე დაებადოს აზრი, ვითომ ს.-დ.—ია სახელმწიფოს დანაწილების მომხრე იყოს.

ლიბერი (ბუნდის დელეგატი) თხოულობს დაცულ იქმნას სიტყვა „საოლქო“, რადგანაც ადგილობრივი თვითმართველობა—თვითმართველობაა სოფელთა და ქალაქთა, ოლქი (область) კი ამ უკანასკნელთა კავშირია.

მარტოვი. ...ჩვენ არ შეგვიძლიან გავხდეთ მომხრენი თავისუფალ კომუნების თავისუფალ კავშირისა და დავიცვათ ეს შეხედულობა. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ რუსეთის სივრცეს და ჩვენის ცენტრ მმართველობის გამოცდილებას, უნდა აღვიაროთ საოლქო თვითმართველობა აუცილებელ საჭიროებად იმისთანა პროვინციათათვის, როგორც არიან ფინლიანდია, ლიტვა და კავკასია. ამიტომ მარტოვი თხოულობს შეასწოროს მესამე მუხლი ამ რიგად: „ფართო ადგილობრივი თვითმართველობა, საოლქო თვითმართველობა იმისთანა განაპირა ქვეყნებისათვის, რომელნიც ადგილობრვ პირობებით განირჩევიან. „შიდა რუსეთისაგან“.

მიაქციეთ ყურადღება. ს.-დ. მარტოვი ფინლიანდიასაც, რომელმაც ამ უკანასკნელ წლებში დაჰკარგა თავისი ავტონომია, ანიჭებს მხოლოდ საოლქო თვითმართველობას; ამაზე შორს არც რუსეთის მთავრობა წასულა. განვარგძოთ ოქმის განხილვა:

კობტროვი (კავკასიელი) მხარს უჭერს მარტოვს და ჰფიქრობს, რომ პროგრამაში ამ მუხლის შეტანას დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა ექმნება და პარტიას ბევრ მომხრეებს მოუპოვებს. ბევრგან და ამასთან ჩვენში, კავკასიაშიაც, იდეა „საოლქო“ თვითმართველობისა ძალიანაა გავრცელებული.

კარსკი (კავკასიელი) ჰფიქრობს რომ დიდად საჭიროა შეტანა ამ მუხლისა, რადგანაც ზოგიერთი ქვეყნები დიდად განირჩევიან რუსეთისაგან ზნე-ჩვეულებით და მთელის ცხოვრების წყობილებით და შეუძლიანთ განვითარება მხოლოდ ავტონომიის შემწეობით.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება აქ ნახმარ სიტყვას „ავტონომია“.

რუსოვი (კავკასიელი). სრულიად ვეთანხმები მარტოვის წინადადებას — შეტანილ იქმნას მუხლი საოლქო თვითმართველობის შესახებ... პოლონელი ამხანაგები თხოულობენ პოლონეთისათვის ავტონომიას და თავიანთ მოთხოვნილებას იმით ასაბუთებენ, რომ პოლონეთის კულტურულ ზრდისათვის ეს აუცილებლად საჭიროაო. მაშ მათ ეს მუხლი სრულე-ბით დააკმაყოფილებს.¹⁾ იგივე მუხლი იქნება საუკეთესო პასუხად იმ ნაციონალისტების მიმართ, რომლებიც ჰფიქრობენ, რომ განაპირა ქვეყანათა საკითხი ასე ვერ გადასწყდება, თუ არა სრულის მათის განკერძოებით. დასასრულ, ჩვენი ასეთი გადაწყვეტილება მოგვცემს იარაღს საბრძოლველად იმისთანა ნაციონალურ ორგანიზაციების წინააღმდეგ, როგორცაა, მაგალითად, ორგანო, „საქართველო“. ეს ორგანო თხოუ-

1) ხაზგასმული ჩვენია.

ლობს საქართველოს ნაციონალურ ავტონომიას, როგორც აუცილებელ საჭიროებას მის კულტურულ ზრდისათვის და სცდილობს შეაერთოს ყველა კლასები ერთ ნაციონალურ დროშის ქვეშ. ერთხელ კიდევ განმარტება ჩვენ მიერ იმისი, რომ ნაციონალურ კულტურის ზრდისთვის აუცილებელ პირობების შექმნა სრულიად არ ეწინააღმდეგება რუსეთის პროლეტარიატის ინტერესებს, იმითია კარგი, რომ სამუდამოდ დააშორებს მუშებს იმგვარ ელემენტებს, როგორიც „საქართველოა“...

სიტყვა ბ-ნ რუსოვისა საინტერესოა ბევრის მხრივ. დავეხსნათ იმას, რომ „საქართველოს“ შესახებ იცრუა, — როცა ბრძანა ნაციონალურ დროშის ქვეშ უნდა შეაერთოს ყველა კლასებიო. აქ უფრო საინტერესო ისაა, თუ რა რიგად ესმის მას სიტყვა „საოლქო თვითმართველობა“: „საქართველოს“ მიერ დამფრთხალს დელეგატს აპრევია და областное самоуправление იმგვარივე ავტონომიად მოსჩვენებია, რაგვარ ავტონომიასაც ქადაგებს „საქართველო“. ეს ღირსია იმისი, რომ იყოს აღნიშნული.

საგულისხმო ცნობებია აგრეთვე ენის თანასწორუფლიანობის შესახებ (გვ. 172—173).

ტროცკი თხოულობს კენჭი უყარონ, სასურველია თუ არა ცალკე პუნქტი ენათა თანასწორ-უფლებიანობის შესახებ.

უყრიან კენჭს ამ წინადადებას: 25 თანახმაა, 23 წინააღმდეგი. შემდეგ უყრიან კენჭს ოქმებში შეტანილ შესწორებათ.

1) შესწორება (поправка) ლიბერისა — „იყოს ცალკე მუხლი ენის შესახებ“ — არ იქნება შეწყნარებული (17 თანახმა 22 წინააღმდეგი).

2) ლენსკის შესწორება — „მიენიჭოს ყველა მოქალაქეს ილაპარაკოს სამშობლო ენაზე ყველგან: სახელმწიფო დაწესებულებებსა და სკოლებში — უკუგდებულ იქმნა დიდის უმრავლესობით.

3) ეგოროვი — „თანასწორობა ყველა ენებისა, რომელიც არ-უარპყფს სახელმწიფო ენას (თანახმაა 21, წინააღმდეგი 24). უყრიან კენჭს ხელმეორედ — თანახმაა 24, წინააღმდეგი 26, უკუგდებულია.

4) კოსტროვის შესწორება: „თანასწორობა ენებისა, ყველა სკოლებსა და კრებებზე“, — თანახმაა 24, წინააღმდეგია 24, როცა დასახელებით უყარეს კენჭი, კოსტროვის წინადადება მიღებულ იქმნა 24 ხმით წინააღმდეგ 23-სა.

აქ ყურადღება მიაქციეთ ხმების განაწილებას! ამისთანა მარტივი და მასთანავე განაპირა ქვეყნებისთვის მწვავე საკითხი გადასწყდა მხოლოდ ერთის ხმის უმეტესობით...

მე-17 სხდომაზე კონგრესი ხელმეორედ დაუბრუნდა მე-შვიდე მუხლს (ენის შესახებ)...

ლენინი იძლევა წინადადებას, ხელ-მეორედ გადაეცეს ეს მუხლი კომისიას და თუ აქაც ვერ გადასწყდა, გადასდონ ეს საკითხი მეორე კონგრესამდის.

პლენანოვი: ენის შესახებ საკითხი გადადებულ იქმნეს მეორე კონგრესამდე. მისის აზრით, ეს კითხვა ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული და თხოულობს განმარტებას პარტიულ პრესაში.

კარსკი (კავკასიელი): შეურაცხყოფილად სთვლის პლენანოვის წინადადებას. ნუ თუ იმისთანა მწვავე საკითხი, როგორც ენაა, უდროვო საკითხად უნდა ითვლებოდეს? ნუ თუ კონგრესს არ შეუძლიან გადასწყვიტოს იგი?

პაპოვი თხოულობს ხელმეორედ ეყაროს კენჭი მთელ მუხლს.

ეს წინადადება მიღებულ იქმნა 28 ხმით. უყარეს ხელმეორედ კენჭი მთელ მუხლს ბ. კოსტროვის დამატებით და მთელი მუხლი უკუგდებულ იქმნა 25 ხმით წინააღმდეგ 24-ისა...

... თქვენ ხედავთ, თუ რამდენად გამწვავდა საკითხი? ერთის მხრივ, ლენინი, პლენანოვი, მარტოვი, ტროცკი და მათთან ერთად 20 კაცი სულ იმის ცდაში არიან, თუ რა-ნაირად მოუღონ ბოლო ენის თანასწორობის საკითხს, და როცა ბუნდის და კავკასიელ დელეგატების მხრივ ენერგიულ წინააღმდეგობას ჰხედავდნენ, სცდილობდნენ რამენაირად გააჭიანურონ საქმე და მოღალღონ მოწინააღმდეგენი... ისტორიაში ჩასაწერი არ არის განა ის ფაქტი, რომ ბ-ნთ ლენინსა და პლენანოვის პირით სოც.-დემოკრატებს არამც და არამც არ უნდათ რუსეთში გარდა რუსულისა, სხვა ენა იყოს ოფიციალურად ხმარებაში... ახლა ენახოთ, თუ რა ქნა კომისიამ. ამ საკითხის გადაწყვეტას მან ორ დღე ნახევარი მოანდომა, ბოლოს გადაწყვიტა... მიემატოს ახალი მუხლი: „მიეცეს ნება ხალხს მიიღოს განათლება დედა-ენაზე. მიეცეს უფლება ილაპარაკოს თავისუფლად სამშობლო ენაზე კრებებზე, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში“. ამანაც გამოიწვია კამათი. აქ მხოლოდ ავღნიშნავ ბ. კარსკის (კავკასიელ) სიტყვის ნაწილს.

კარსკი. საჭიროა იყოს ნაჩვენები, რომ სამსაჯულოებში— უმდაბლესებში მაინც— შემოდებული იქმნას ხმარებაში სამშობლო ენა.

ეს ის კარსკია, რომელიც არწმუნებდა კონგრესს, რომ განაპირა ქვეყნების სრულ კულტურულ განვითარებისათვის საჭიროა ავტონომიაო. ეხლა კი ბ-ნი კარსკი კმაყოფილდება სამშობლო ენით სამსაჯულოებში და ისიც უმდაბლესებში¹⁾...

1) ოქმები—გვ. 221—232

სიტყვა გაგვიგრძელდა სოციალ-დემოკრატების შესახებ. მაგრამ ამ ფაქტიურ ცნობების მოგონება უმნიშვნელო არ არის. ამ 5—6 წლის განმავლობაში სწორედ ამ ხასიათის ატმოსფეროში მოუხდათ მოქმედება, ცხოვრება და სუნთქვა ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ვინც ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებას უურადღებას აქცევდა, იმისთვის აშკარაა, რომ მეორე კონგრესამდე ისინი გაცილებით უფრო გაბედულნი და პირდაპირნი იყვნენ რუსეთის დეცენტრალიზაციის საკითხის გადაწყვეტაში. ადგილობრივ ორგანიზაციებში ამიერკავკასიის ავტონომია პარლამენტით ტფილისში ხშირად იყო ხომლეს სალაპარაკო საგანი. სრულიად სოციალ-დემოკრატთა მეორე კონგრესმა ფრთები შეუკვეცა ჩვენებურ დასელებს და პარტიულ მთლიანობის დაცვის გულისათვის იმათ შეიწყნარეს გაცილებით უფრო ვიწრო პროგრამა, ვიდრე თვითონ აღიარებდნენ. ამ დროიდან ისინი ისეთის თავგამოდებით იცავენ ცენტრალიზმს, რომ ამ თავგამოდებით გადააცილეს ყოველსავე ზომას და აზრს. კონგრესის წინად კი, როგორც ვსთქვით ამგვარ შეუწყნარებლობას არ იჩენდნენ. გაზეთი „საქართველო“ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ზოგიერთს ლიდერს პირველ ხანაში საძრახ და სათაკილო ორგანოდ არ მიაჩნდა, ერთმა გავლენიანმა ქართველმა მარქსისტმა წერილებიც კი დასტამბა ხსენებულ გაზეთში „მუშათა მოძრაობა საქართველოში“, რომელიც დაიბეჭდა „საქართველოს“ მეხუთე და მეექვსე ნომერში. ამ წერილებში, სხვათა შორის, სწერია: „კავშირმა“¹⁾ შეიმუშავა თავისი პროგრამა, პროგრამის პოლიტიკურ განყოფილებაში შეტანილია ამიერ-კავკასიის ავტონომია, პარლამენტით ტფილისში. ამ პროგრამას წარუდგენს სრულიად რუსეთის ს.-დემ. მუშ. პარტ. კონგრესს განსახილველად²⁾. მართალია, ამიერ-კავკასიის ავტონომია საქართველოს ავტონომია არ არის, მაგრამ აქსაგულისხმო ის არის, რომ აღიარებულია პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის პრინციპი. საქართველოს ავტონომიის აღიარებამდე აქედან ერთი ნაბიჯია. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატიის ერთმა ნაწილმა უკვე გადასდგა ეს ნაბიჯი, მეორე ნაწილი კი უკუყვანშია და თავის თეორეტიკოსების პირით

1) კავკასიის სოც.-დემოკრატ. ორგანიზაცია.

2) „საქართველო“ № 6.

დღეს ლაპარაკობს საქართველოს თვით-მმართველ კალკე ერთეულის დაარსების საჭიროებაზე. ყველა ამას ქვემოთ გავსინჯავთ. ახლა კი ისევ საზღვარ-გარედ გადავიდეთ. აშკარაა, სოციალ-დემოკრატიამ მეორე კონგრესმა ძირიანად შესცვალა (დროებით) ქართველ სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური აზროვნება.

ამითი აიხსნება ის შეუწყნარებელი იერიში, რომლითაც მივიდნენ ისინი ჯერ „საქართველოს“, მერე კი „ცნობის ფურცლის“ და მის გამოცემათა წინააღმდეგ. ფრონტის გამოცვლის შემდეგ ქართველ სოციალ-დემოკრატიის ბელადის ბ-ნ ანის მიერ დაწერილი და ენენევაში გამოცემულ წიგნაკში „ქართველი ნაციონალისტები“, „საქართველოს“ მესვეურნი და თანამგრძობნი ბოროტ-განზრახველებათ არიან გამოყვანილნი. წიგნაკში ვკითხულობო: „საქართველოელები ვერ ბედავენ პირდაპირ სტჟვან—ჩვენ ბატონნი და თქვენ მსახურნიო. არა, მათ ხერხს მიჰმართეს, ერის უფლებები ფარად იშველიეს და გაიძახიან: „ჩვენ რა, ჩვენ მხოლოდ ერის ინტერესები გვალაპარაკებსო“.¹⁾ ავტონომიის წამოყენების საჭიროების საკითხი განმარტებული იყო, როგორც საშუალება კლასიურ ბატონობის გამტკიცებისა. ავტონომია ქართველ ბურჟუაზიას ესაჭიროება, რადგან ნაციონალისტი ჩვენში მხოლოდ ბურჟუაზია არის, ჰფიქრობდა მაშინ ბროშიურის ავტორი ბნი ან-ი: ჩვენ ვნახავთ 4—5 წლის შემდეგ ბ-ნი ანი სულ სხვას დაიწყებს მტკიცებას, სახელდობრ, იმას, რომ ჩვენში ყველა კლასები ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ დგანან. მაგრამ ამ ხანაში ლოზუნგად ქცეული აზრი ის იყო, რომ ავტონომისტობა და ბურჟუოზობა ერთი და იგივეაო, ამიტომ სოციალისტებმა არამც და არამც არ უნდა შეიწყნარონ იგი. არ უნდა შეიწყნარონ კიდევ იმიტომ, რომ ავტონომიზმი და ფედერალიზმი იგივე გადაცმული ფეოდალიზმია. „ქართველი ნაციონალისტების“ ავტორი ამბობს „საქართველოს“ ფედერალისტურ პრინციპების შესახებ: „გაზეთმა ჩვენს (სოციალ-დემოკრატების) პროგრამას ფეოდალის თვალთ შებედა და ძველი წესის მოტრფიალეთ გამოვიდა. ორგანიზაციაც ფეოდალის სასწორზე უნდა გაეტანა, იმ ფეოდალის, რომელიც თავის სოფელში და კოშკში იყო გამაგრებული და და-

1) „ქართველი ნაციონალისტები“, გვ. 48.

ნარჩენ ქვეყნის ინტერესებს არ დაგიდევდა. ასეთი „ფეოდალური პარტიკულარიზმით „საქართველო“ გვიქადის ჩვენის პარტიულ ძალების ნაჭერ-ნაჭერ დაჩეხას, მათ განცალკევებას და მით პარტიის გაფეოდალობასაო“¹⁾. ამ ტრაგიკულ ტირადის გაგონებაზე უნებლიეთ ტუჩებზე ღიმილი გებადებოდათ. „საქართველომაც“ ერთ თავის გამოცემაში ღიმილითვე უპასუხა ფეოდალიზმის დაბრუნების აჩრდილით დამფრთხალ სოციალ-დემოკრატს. სავალალო ის არის, რომ ფედერალიზმის პრინციპს ზოგჯერ სოციალისტიც არ უარყოფს. აგერ ფედერალისტურ ორგანიზაციებს აღიარებდნენ წინეთ კომუნარები, დღეს სინდიკალისტები, წარმოიდგინეთ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიაც კი. „ყველა ეს ხალხი, აშკარაა, ფეოდალიზმის აღდგენას და პროლეტარიატის „დაჩეხვას“ და „გაფეოდალებას“ ჰლამობდა! კომუნარებს კიდევ ჯანი გაჰვარდეთ, მათ „სამეცნიერო სოციალიზმისა“ არ ესმოდათ-რა, თქვენ ისა ბრძანეთ, ავსტრიელებს რა ღმერთი გაუწყრათ, ესენი ხომ მარქსის სკოლაში არიან აღზრდილნი და მაინც საშუალო საუკუნის პარტიკულარიზმს დაუბრუნდნენ. ძალნოცისანო, ნუ თუ არ გადაარჩენთ ავსტრიელ პარტიას ნაჭერ-ნაჭერ დაჩეხვისაგან, ნუ თუ ისევ უნდა აშენდეს მთაგორებზე „კოშკები“ საიდანაც სოციალ-დემოკრატი რაინდები (ჰოი სირცხვილო) იფარფაშებენ, და გზაზე გამვლელ-გამოვლელს შეაწუხებენ“²⁾.

აი დასაწყისი იმ დრამისა, რომელსაც შეიძლება სახელად დაერქვას „წამება ავტონომიისა“ და რომლის პირველი მოქმედება პარიზსა და ჟენევაში სწარმოებდა. ამ დრამის მეორე მოქმედება გადატანილ იქმნა საქართველოში, როდესაც 1905 წელს მიკადგომას წინააღმდეგობა ველარ გაუწიეს. და ჩვენც საქართველოსკენ მივაპყრათ თვალები და ვეცადოთ ავხსნათ და წავიკითხოთ ის, რაც თქმულა და გაკეთებულა ავტონომიის შესახებ ჩვენს სამშობლოში.

3.

საქართველოში უკვე მომზადებული იყო განხეთქილების ნიადაგი ავტონომიის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა

¹⁾ Ibid. გვ. 46.

²⁾ „აი კრიტიკა“, საქართველოს „გამოცემა“, № 1. 1904 წ. პარიზი.

შორის. ავტონომიის მომხრე აქ „ცნობის ფურცელი“ იყო, მისი მოწინააღმდეგე „კვალი“—„მოგზაური“. მარტო ეს გარემოება წინდაწინვე ხდიდა შეტაკების და არა შეთანხმების აუცილებლობას. „დასელებმა“ „ცნობის ფურცლისა“ რა იწამეს და შეისმინეს, რომ ავტონომიის საკითხში ზომა, გონიერება და სამართლიანობა დაეცვათ. ეხლა, როდესაც რამდენიმე წელიწადით დავშორდით ყოველსავე ამას და როდესაც ცხოვრების დამარცხებამ ბევრი რამ შეგვიძინა, შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვნებათა დელვას და ფუქსავატ გრძნობიერებათა ფარფაშს ხშირად, ძალიან ხშირად თავდაჭერილობის და წინდახედულობის ადგილი უჭირავს. აქ აზრი გრძნობის ალშია გახვეული, აქ ყოველისავე სიტყვას ნაპერწკლის ძალა აქვს და რადგან ჩვენი ცხოვრების ეკლიანი გზა ადვილად მოსაკიდებელ მასალით, ბურბუშელებით არის მოფენილი, ადვილად წარმოიდგენთ, რატომ არის, რომ მთელი ქართული სამწერლო ასპარეზი ასე უცნაურად არის გაბრუებული რალაც კორიანტელით, ასე არა-ბუნებრივად არის გაჩირალდებული, რალაც მჭვარტლიან სინათლით, რომელიც, ექვს გარეშეა, აზრის სინათლე არ არის, არამედ აპრიალებული ბურბუშელას სინათლეა.

„ცნობის ფურცელ“-„კვალის“ დავა, როგორც მოგახსენეთ, დიდი ხნის ამბავია. ამ ამბავს ნულარ გავიხსენებთ ამ ჟამად. სხვა სამწუხარო ფაქტების სიაც მეტად გრძელია, რომ ის ძველი ანგარიშებიც არ გამოვიტანოთ ეხლა სუფრაზე. ჩვენ ეხლა გვინტერესებს მხოლოდ ის, რაც ავტონომიას ეხება. აქაც ბევრია სავაგლახო. აქაც თუ ვნებათ ისევ ის ძველი კამათია მხოლოდ ვრცელი, გადაშლილ პოლიტიკურ ასპარეზზე გადატანილი, აქაც ცხოვრების საფუძვლიანად შესწავლის ნაცვლად, ცხოვრების ზედა-პირზე გაცხარებული კინკლაობაა, აქაც საქართველოს წარსული ნიშანშია ამოღებული, აქაც ბაქიაობაა ხალხისადმი მტერ-მოყვარეობაზე, აქაც იმავ ჭვარტლიან ალში გახვეული, ადვირ აშვებული ვნებათა მეჯლისია! ნეტარება ჩვენ, რომ არ დაგვკარგვია ჯერ-ჯერობით ამგვარ მოლხენის უნარი!

მეჯლისის ტოლუმბაშობა აქ, ექვს გარეშეა, ჯერ (დასაწყისში) ბ-ნ ყვირილელს, მერე ბ-ნ ფილიპე მახარაძეს ეკუთვნით. ბ-ნ ყვირილელს ჯერ კიდევ 1903 წელს აღარ

აკმაყოფილებდა არც „გაცვეთილი პატრიოტიზმი“, არც „სამშობლოს“ და ქართულ ენის ყვირილი. მისი იდეალი საკაცობრიო იდეალია, ის ამ იდეალით სცოცხლობს. ამით საზრდოობს, ამით იმედოვნებს. აწმყო მას გველივით ეზიზღება, წარსული ჭირივით ეჯავრება. ის იცქირება ბრწყინვალე მომავალისკენ¹⁾. რატომ ადარებთ ჩვენს აწმყოს „გველს“ და ჩვენს წარსულს „ჭირს“ ბ-ნო ტოლოუმბაშო, ეკითხებოდნენ სამწერლო მეჯლისზე მოწვეული, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული სტუმრები? რატომ და, იმიტომ, რომ **„მთელ ამ წარსულში არც ერთხელ არ ჩაჰფენია ხალხს გულში ბედნიერების და მშვიდობიანობის სხივი... მთელ ამ წარსულში არც ერთხელ ხალხის უმრავლესობას არ მოუხსნია მხრებიდან მძიმე ტვირთი სხვისი ბატონობისაო“** (იქვე). ამ მწარე სიტყვების მსმენელს უნებლიეთ იპყრობდა ტრაგიკულ აუცილებლობის შიშის თავ-ზარი. ბ-ნი ყვირილელი, კი თავმოწონებული მკეჩავ სიტყვების ეფექტით, თითქოს ბოდიშის მოხდით დასძენდა: „... მას, ვისაც ხალხი „რეალურ სიყვარულით“ უყვარს, თვით ეს რეალური სიყვარული უფლებას არ აძლევს და არ ავალებს კიდევაც სთქვას ის, რაც ჩვენ ვთქვით? დიახ, ჩვენ გვძულს ეს...“ (იქვე).

სტუმრები დაიშალნენ, წავიდ-წამოვიდნენ. ზოგი გულ დაწყვეტილი („მთელ ამ წარსულში არც ერთხელ!..“). ზოგი რალაც იმედით აღფრთოვანებული („საკაცობრიო იდეალი!..“).

ყველა ამაში საყურადღებო ის არის, რომ მხოლოდ ახლა სჩანს ნათლად და გარკვევით, როგორ მზადდებოდა ის ყალბი აზროვნება, რომელიც საფუძვლად დაედო რამდენიმე წლის შემდეგ ავტონომიის წინააღმდეგ ატეხილ დრტვინვას და დევნას. დღესაც ბ-ნი ან-ი, მაგალითად, იმასვე ამბობს—ჩვენი წარსული ჯოჯოხეთია, მან არა მოგვცა რა, არავითარი მემკვიდრეობა არ დაგვიტოვაო. ყოველივე, რაცა გვაქვს ეხლა შევიძინეთ, ეროვნულ იდეალის შემუშავებაც ჩვენი დროის საქმეა, ამიტომ შორს ჩვენგან ავტონომია, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრივობის აღდგენის მომასწავებელია, გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ოლქებრივ თვითმმართველობას, რომელიც ერთად ერთი ფორმაა ხალხის განსავითარებლად და

1) „კვალი“, № 30. 1903 წ.

„ნაციონალისტების“ ასალაგმავადაო. დიად, ერთი და იგივე ფილოსოფია, რომლის სიყალბის გამომჟღავნებას ჩვენ არც ერთი და ორი წერილი ვუძღვენით. აქ საინტერესოა მხოლოდ ის, თუ როგორა ხსნის ბ-ნი ყვირილელი ჩვენი ეროვნების აღორძინების ევოლიუციას.

ჩვენს წინაშე მუდამ ჟამს ატუზული იქმნება ის საიდუმლოებით მოცული გარემოება, რომ ეროვნულად დევნილი ერი, როგორცაა ქართველი ერი, თითქმის თავსაც არ იცხვლებს და მის შეგნებას არ ეკარება აზრი ეროვნულ უფლებათა დაცვისა. ბ-ნი ან-ი და მისი მიმყოფნი ამ გარემოებას იმითი ხსნიან, რომ ჩვენი ხალხი ინტერნაციონალისტია შეგნებულად და ამიტომ არ იღებს ხელში ნაციონალურ დროშას. ბ-ნი ყვირილელიც თითქმის ამასვე ჰფიქრობს, მხოლოდ მას ჰგონია, რომ ინტერნაციონალურ მისწრაფებასთან ერთად ჩვენ ხალხს უჭირავს ხელში ეროვნული დროშაც. საკითხი იმდენად მწვავეა, რომ ღირსია ყურადღებისა. ბ-ნი ყვირილელი სწერს: „ჩვენი ქვეყნის პატარა ნავი ისტორიულმა მსვლელობამ სხვა უფრო დაწინაურებულ ქვეყნის დიდ გემს მიაბა, ასე რომ ძველ საზოგადოებრივ წესწყობილების ბოლო-მომღებ ძალად გაჩნდა გარეგანი ძალა. გლეხების განთავისუფლება ჩვენში უცხო ერის და არა ჩვენი ბურჟუაზიის საქმე იყო... მეორე მხრით, ახლად აღორძინებული ვაჭრობა და მრეწველობა, რომლებმაც აამოძრავა ჩვენი ქვეყნის დადუმებული ძარღვები, უცხო ტომის ბურჟუაზიის, განსაკუთრებით სომხების ხელში იმყოფებოდა და უმთავრესად ახლაც იმყოფება. ამგვარად შეიქმნა მატერიალური პირობები ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის და შეიქმნა არა ჩვენი ბურჟუაზიის ხელით, იშვია ჩვენშიაც ეროვნული იდეა, მაგრამ მან სრულებით სხვა კლასი ნახა დასაცველად (კურსივი ჩვენია) და ცხოვრებაში შემტანათ, ვიდრე ევროპაში... ერთის სიტყვით, იმ პროგრესიულ როლს, რომელიც ევროპაში ეროვნულმა ბურჟუაზიამ შეასრულა, ჩვენში ჯერ უცხო ერის ბურჟუაზია ასრულებდა, შემდეგ კი ჩვენი ერის სულ სხვა ჯგუფებმა მოჰკიდა ხელი. ეს უკანასკნელი შეიქმნა ეროვნების ერთად ერთი მატარებელი, იმ ეროვნების, რომელიც

ცხოვრების განახლებაში მდგომარეობს და მშობელ ენაზე ხალხში ახალი განათლების შეტანაშია.²⁾

ჩვენ სასვებით ვეთანხმებით ბ-ნ ყვირილელს იმაში, რომ სოციალ-პოლიტიკურ პირობების მიხედვით ჩვენში ხალხი და არა ბურჟუაზია უნდა გამოსულიყო ეროვნების დამცველად, არ ვეთანხმებით მხოლოდ იმაში, ვითომ ჩვენში მართლაც მომხდარიყო ეს საქმე და ხალხი მართლაც გამოსულიყოს ეროვნების მცველად. აი ეს გახლავთ თავი და თავი სამტვრევი საგანი. „ცნობის ფურცლის“, „საქართველოს“ და სოციალისტ-ფედერალისტების აზრი და მისწრაფება სწორედ აქა ტრიალებდა. მათის შეგნებით ხალხს უნდა ეკისრა ეროვნების დაცვის საქმე. მაგრამ ხალხმა არ შეისმინა რჩევა. დიდი ძალა ენერგია, შეუდარებელი თავგანწირულობა გამოიჩინა მან ბრძოლის ველზე, ხოლო აქ ეროვნულ საკითხს ადგილი არ ჰქონდა, აქ სოციალური და რუსულ-პოლიტიკური კონსტიტუციონალიზმი ჰფარავს ეროვნულს; ეროვნული დაჩრდილულია და სასაცილოდაც აგდებული. გვეტყვიან, და განა სოციალური ბრძოლა ბრძოლა უკეთეს მატერიალურ პირობების დამყარებისათვის იგივე ეროვნულ საქმისთვის. ბრძოლა არ არის? რა თქმა უნდა, ეს არის **სოციალური** მხარე ეროვნულ პრობლემისა და მისი **პოლიტიკური** შინაარსი კი გამოიხატება ეროვნულ-პოლიტიკურ დაწესებულებათა აღიარების საჭიროებაში ჩვენ ხალხს **შევგნებულად** არ წამოუყენებია მოთხოვნა ამ გვარ დაწესებულებათა შემოღების საჭიროებისა. ვამბობთ, შეგნებულად იმიტომ, რომ შეუგნებლად თავის მოქმედების დროს იგი ხშირად იმას ითხოვდა, რასაც თეორიულად უარ-ჰყოფდა და არ იწყნარებდა. მაგრამ ამის შესახებ შემდეგში ვილაპარაკოთ. ეხლა კი უნდა ვსთქვათ, რომ სწორედ აქ იწყება თეორიული უთანხმოება ავტონომისტთა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის. ბ-ნი ყვირილელი ყველა ამას სწერდა 1903 წელს. 1905 წ. კი ბევრი რამ მოხდა იმისთანა, რის საშუალებითაც შეგვიძლიან დღეს უფრო სამართლიანი დიაგნოზი შევიმუშავოთ ჩვენის ცხოვრების ვითარების შესახებ.

ქართულმა პრესამ პოლიტიკურ პრესის ენით ბევრად უფრო ადრე დაიწყო ლაპარაკი, ვიდრე ამისი ნებარფვა იყო

²⁾ „კვალი“, № 15 1903 წ.

ზვიდან. 1904 წ. უკვე იხსენიებენ ავტონომიას. 1905 წ. დასაწყისიდანვე ხელჩართული ბრძოლაა ავტონომიის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. „ცნობის ფურცელი“ დინჯად, დალაგებულად და გონივრულად იწყებს ლაპარაკს ჩვენი ცხოვრების საკირობებზე. განი, გ. რ., კალამი და სხვანი აჩერებენ ხალხის ყურადღებას ჩვენი ცხოვრების ძირითად საკირობაზე — ავტონომიაზე. გაზეთი ბევრსა სწერს და დიდ მასალას აწოდებს მკითხველს ამ საგნის გამოსარკვევად. საბუთიანი წერილები იბეჭდება კანადასა, ავსტრალიასა, შვეიცარიასა და შეერთებულ შტატების შესახებ. გაზეთი დემოკრატიულ ავტონომიის მომხრეა: ამასთანავე იგი ზრუნავს სხვა ერებთან დამოკიდებულების გამტკიცებასა და გაუმჯობესობაზე. ფედერაცია იმ საგანთაგანია, რომლის შესახებაც ბევრს ლაპარაკობს გაზეთი. გზა და გზა არკვევს იმასაც, თუ რა არის პროტექტორატი, პირადი უნია, რეალური უნია, კავშირი სახელმწიფოთა (კონფედერაცია) და ფედერაცია. „ფედერაციაში ყველაზე უფრო შეთანხმებულია დამოუკიდებლობა და ერთობა, ამბობს გაზეთი. ეროვნების განვითარებისათვის საჭიროა ერთი ც და მეორეც¹⁾, მაგრამ ფედერაციის დაარსებას წინ უნდა უძღოდეს ეროვნულ ავტონომიების დაარსება. „ერთობა ერთა შორის დამყარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერები იქნებიან ყველანი ერთნაირად თავისუფალნი, თანასწორნი, იქნებიან აღჭურვილნი ერთნაირის უფლებებით“²⁾. „რა არის ჩვენი ავტონომია? ეს საუკეთესო დემოკრატიული ხალხური წესწყობილებაა, რომელიც კი შესაძლებელია დღევანდელ პირობებში. ჩვენი ავტონომია არის თვითმმართველობა, თვითმმართველობის პრინციპის აღსარება არა მარტოსიტყვით, არამედ მისი განხორციელება საქმით. ჩვენ ვთხოვლობთ, რომ ხალხი თვითონ იყოს თავის თავის მმართველი“³⁾“. ყველა ამის წინააღმდეგ რა ითქმის! საუბედუროდ, ბევრი რამ ითქვა, ისიც იმისთანა რამ, რაც არ უნდა ეთქვათ. მოპირდაპირეებმა ავტონომიურ მოძრაობის შესაფერხებლად ავტონომიის შესახებ იწყეს ბრუდე აზრების გავრცელება. ამას

1) „ცნ. ფურცელი“ № 2745, 1905

2) *ibid* № 2745.

3) „ეროვნული თვითმმართველობა“ გვ. 32, კალამის წერილი. ამ წიგნაკში „ცნობის ფურც.“ ამოღებული წერილებია მოთავსებული.

ჩვენ პოლემიკის უნიანობით არ ვამბობთ. ეს უტყუარი ფაქტია, რომ პოლიტიკურად მოუმწიფებელ საზოგადოებაში სოციალ-დემოკრატებმა არ მოინდომეს წესიერ და პრინციპიალურ კამათის გამართვა. ავტონომიის შესახებ წამოაყენეს შემდეგი ბრალდებანი: „ნაციონალისტებს“ უნდათ საქართველოს სამეფოს აღდგენა და ბატონ-ყმობის დაბრუნება; ავტონომია უნდა შემოავლონ სადამოყნო კედლებით, რათა ხელი შეუწყონ ეროვნულ ბურჟუაზიის ხალხის ზურგზე გამაგრებას; ავტონომია მუშათა პარტიას დაჰქსაქსავს და ერთ ერს სამხედრებს მეორეზე. ამ ბრალდებაში მარტო ორ უკანასკნელ საკითხს არ აქვს ცილის-წამების გლდერი. აქ შეიძლება კამათი, რადგან საგანი გამორკვეული არ იყო. მაგრამ ყოველი დანარჩენი საწინააღმდეგო საბუთი პირდაპირ გამოგონილია პოლემიკის ქარ-ცეცხლში გახვეულ პუბლიცისტების მიერ. მაგრამ ისა სჯობია ვალაპარაკოთ თვით სოც.-დემოკრატი მწერლები. რაც დაწერილა, იმას ველარაფინ წაშლის. გადაშალეთ გაზეთი „მოგზაური“ და დაიწყეთ კითხვა ფ. მახარაძის, ს.-დ.-ს და სხვა წერილები.

„მოგზაური“ ბატონ-ყმობის დაბრუნების განზრახვის შესახებ ლაპარაკს ვერა ჰბედავს ¹⁾. ეს საგანი უფრო ხშირად სამიტინგო თემად ხდებოდა ხოლმე. მაგრამ გაზეთი ავტონომიას ჩვეულებრივად სახელმწიფოს უწოდებს და არასოდეს არა ხსნის, თუ რა გვარი სახელმწიფოა ეს ავტონომია. მოუმზადებელი მკითხველი კი ამ სახელმწიფოს სამეფოდა სთვლის, მით უმეტესად, რომ „მოგზაურის“ განმარტებით ავტონომისტები სადამოყნო კედლების აშენებასაც ეტრფიალებიან. „ქართველი მუშა თუ გაჭირვებაშია, ამბობს დაცინვით გაზეთი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არა გვაქვს ქართული სახელმწიფო, ამიტომ ქართველი მუშა ერთის მხრივ და ქართველი მემამულე და ბურჟუა-კაპიტალისტები მეორეს მხრივ უნდა შეერთდნენ... და მოიპოვონ ავტონომია. შექმნან ქართული სახელმწიფო“²⁾. ხომ ხედავთ, ავტონომია, ქართული სახელმწიფო—და ავტორი განზრახ სტოვეებს ამ სიტყვებს განუმარტავად, გინდ თამარ მეფის დროინდელი სამეფო იგუ-

1) „მოგზაური“ № 11, 1905 წ.

2) ამ მხრივ, როგორც ვნახეთ, „ქართველი ნაციონალისტების“ ავტორი გაცილებით მეტ კადნიერებას იჩენს.

ლისხმე; გინდ ბოლგარია-სერბიასავით მსგავსი სამეფო. გარდა ამისა, „ეროვნული ავტონომია“ ნიშნავს უწინარეს ყოვლისა ერთი ერის მეორისაგან ჩამოშორებას და ამით მათი ერთი მეორისკენ დაპირდაპირებას... ბურჟუაზია შემოფარგლავს თავის „სამშობლოს“ მაღალ სადამოყენო კედლებით... ბურჟუაზიისათვის ეროვნული ავტონომია არის... ავტონომია თავის ერში ბატონობის, ავტონომია თავის ხალხის უკონკურენტო, საკუთრათ ყვლფფის ასპარეზი¹⁾). შეიძლება ეს ასედაც იყოს, მაგრამ იმ ავტონომიის შესახებ რაღას იტყვიტ რომელსაც ს.-ფედერალისტები ითხოვენ: სწორედ იმ ავტონომიაზე მოგახსენებთ. მოგიგებენ ამაზე. ვიცით, ვინც ბრძანდებიან ეს ვაჟბატონება: „ფარდა აიხადა. ნაციონალისტების ნამდვილი გულის პასუხი ყველასთვის აშკარად, თვალსაჩინოდ გამოძეღდა²⁾“. „ჩვენი ქართველი ავტონომისტები მზად არიან ხალხს უღალატონ, გაჰყიდონ ის, ოღონდ ტერიტორიალურ-ეროვნული პრინციპი ნუ შეილახება³⁾“. „კარგად ესმის ხალხს, რომ ავტონომია კავკასიაში, სადაც მრავალი სხვა და სხვა ერებია ერთმანეთში არეული, მათთვის საზარალოა, რომ ეს ავტონომია მოასწავებს ერთი ერის მეორეზე გაბატონებას, შულღსა და მტრობას, უკეთ, რომ ვთქვათ, კაცთა მკამეღობასო“⁴⁾). მაგრამ ავტონომიის წინაღმდეგ მარქსისტებს სხვა ხასიათის საბუთებიც მოჰყავთ. ამ საქმეში განსაკუთრებულ სიფიცხეს ბ-ნი ფ. მახარაძე იჩენს. „ღღევანდელი სახელმწიფოები თავისი საზღვრებით კაპიტალისტურ წარმოების ნაყოფია, და მუშა ხალხი არასოდეს არა თუ არ შეუწყობს ხელს ღღევანდელ სახელმწიფოების გამაგრებას, არამედ ყოველთვის ეცდება, რომ ღღევანდელი სახელმწიფოები მთელ თავიანთ ციხე-სიმაგრეებით და გარშემორტყმული ზღუდეებით, საზღვრების სახით, დაინგრესო. აი ასეთ ღღოს ნაციონალისტები გაიძახიან ავტონომიის შემოღებაზეო“⁵⁾ გვესმის. ასეთ ღღოს იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ გუჩკოვებს მოუმზადოთ რუსეთის საპარლამენტო ტრიბუნა. აღბადამ ტრი-

1) ibid № 15.

2) idib № 17.

3) idib. № 23.

4) ibid № 26

5) ibid. № 21

ბუნიდან დაინგრევა დღევანდელი სახელმწიფოების საზღვრები! ვთქვათ ეს ასეა, მაგრამ ეროვნული საკითხი?... რა გაწურებთ, ყური მიგდეთ: „როცა შეერთდებიან ერთი მხრივ თითოეული ერის ყველა მუშები და მეორე მხრივ ყველა ერების მუშები ყველა მჩაგვრელების წინააღმდეგ და დაამხობენ დღევანდელ ბურჟუაზიულ წესწყობილებას, ბოლოს მოუღებენ კეოძო საკუთრებას და დაქირავებულ შრომას, ე. ი. როცა ბოლო მოეღება დღევანდელ სოციალურ განხეთქილებას, მაშინ საბოლოოდ გადასწყდება ეროვნული კითხვაცო“. (იქვე). გმადლობთ წყალობისთვის! მაგრამ იმ დრომდე რა ვქნათ, ბატონო ჩვენო, ნუ გაგვირისხდებით, შეგეწიოს წმინდა გიორგის მადლი—იმ დრომდე რა გავაწყობ?... იმ დრომდე?! დამჟუძნებელი კრება, იყო პასუხი! პოლიტიკურ წინდახედულობას მოკლებული „მოგზაური“ მაშინ ჯერ კიდევ არ გრძნობდა, რომ დამჟუძნებელ კრების მოთხოვნის უკან უკვე იდგნენ შეიარაღებული გუჩკოვ-მარკოვეები, რომელნიც განაგებენ დღეს რუსეთის ბედს. ჩვენ დავინახავთ ქვემოთ, რომ სოციალ-დემოკრატები კიდევ ორი-სამი წლის განმავლობაში იმავ ნიადაგზე იდგებიან, ხოლო მერე დადგება დრო, როდესაც ისინი ჩაფიქრდებიან, ჩაუკვირდებიან საგანს და თითქმის სინანულის ფიქრებსაც მიეცემათ!

„ცნობის ფურცელის“ მდგომარეობა ადვილი არ იყო. პრინციპიალურ კამათთან ერთად საჭირო იყო მოპირდაპირეთა მოგერება არა პრინციპიალურ ნიადაგზედაც. მაგრამ რა უნდა სთქვა იქ, სადაც სამეფო სიზმარშიაც არ მოგსიზმრებია, სამეფოს აღდგენის სურვილს კი გწამებენ. რა უნდა ილაპარაკო იქ, სადაც ბატონ-ყმობის მოტრფიალეთ გასახვენი მაშინ, როდესაც თქვენი სურვილი საზოგადოების ძირიან ვარდაქმნისაკენ მიისწრაფვის. ამიტომ თავი დავანებოთ ყველა ამას, თუ რა უპასუხა გაზეთმა იმაზე, რაზედაც პასუხის გაცემა არც კი ღირდა. მივაქციოთ ყურადღება სერიოზულ საბუთებს, რომელიც წამოყენებულ იყო ავტონომიის წინააღმდეგ და რომელთაც გაზეთი კვალ და კვალ არღვევდა.

ავტონომიის დამყარებას მუშათა კლასის დაქსაქსვა მოჰყვება და კლასთა ბრძოლის შესუსტება. გაზეთი უპასუხებს: „გერმანიაში პროლეტარიატის შეერთებას სხვა და სხვა სახელმწიფოების ავტონომიურმა თვითმმართველობამ სრულიად ხელი არ შეუშალა იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ავტო-

ნომია კარ-ჩაკეტილობას კი არა, ადგილობრივ ინტერესების დაკმაყოფილებას აღნიშნავს ადგილობრივ მკვიდრთა თვით-მოქმედების საშუალებით“. 1) „და სწორედ შრომელი ხალხის კლასობრივი ინტერესები მოითხოვს, რომ საქართველოში დამოუკიდებელი დემოკრატიული თვით-მმართველობა იქმნეს დაარსებული. შრომელ ხალხს სწორედ ამ თვით-მმართველობის ფარგალში შეუძლიან საუკეთესოდ დაიცვას თავისი ინტერესები და პრაქტიკულად მეტი ბარაქა მისცეს იმ ბრძოლას, რომელსაც კლასობრივი ბრძოლა ეწოდებაო.“ 2)

ავტონომია საქართველოში საბაჟოების დაწესებას მოასწავებსო. გაზეთი უპასუხებს: „ჩვენს დასელებს ვერ წარმოდგენიათ ისეთი თვითმმართველობა, რომელიც საკუთარის საბაჟოს წრით არ იქნება შემოხაზული. ნამდვილი ფაქტები შევიცარიის, გერმანიის და სხვა ქვეყნების უბაჟო თვით-მმართველობათა იმათთვის არ არსებობს და ისინი მუდამ ჟამს გაიძახიან, თვითმმართველობითი საქართველო მძიმე საბაჟო გადასახადებით გაუმკლავდება უცხოეთის კაპიტალსაო. ჩვენის შეხედულებით საქართველოს თვით-მმართველობა არა თუ აუცილებლად არ იგულისხმებს საბაჟოს, მომეტებული ნაწილი იმის მიმდევრებისა პირდაპირ აცხადებს, საბაჟოების დაწესება აზრათაც არ გვაქვსო. 3) აქ გაზეთი ამ საკითხს უფრო ღრმად აკვირდება და განაგრძობს: „ესთქვათ, მართლა საბაჟოს წრეებში ჩასვს თვით-მმართველობითი საქართველო, განა ეს აუცილებლად იმის მომასწავებელია, რომ კაპიტალიზმის ზრდა შეჩერდება? სრულიადაც არა, თუ ფაქტების მიხედვით გავარკვიეთ საქმე და არა ზეპირ ფრაზებით. განა ეხლა რუსეთი და, მაშასადამე, საქართველოც, როგორც იმისი პოლიტიკური ნაწილი, საბაჟოს გალიაში არა ზის, განა საბაჟოებით არ არის გარს-შემორტყმული ყველა ეხლანდელი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომ არსად კაპიტალიზმს ზურგი არ შეუქცევია წვრილ ბურჟუაზიისათვის? და თუ საქართველოს საბაჟო გაანთავისუფლებს ჩვენს ქვეყანას რუსეთის კაპიტალის ნაწარმოებისაგან და კარს გაუხსნის სხვა სახელმწიფოების კაპიტალს იმიტომ, რომ იქ კაპიტალი უფ-

1) „ცნობის ფურცელი“, № 2602.

2) „ეროვნულ თვით-მმართველობა“, გვ. 39.

3) „ცნ. ფურცელი“ № 2890.

რო იაფ-ფასიანი და კარგი თვისების საქონელს ამზადებს—
განა ეს საზიანო იქნება კაპიტალიზმის განვითარებისათვის.
ჩვენს ქვეყანაში? პირიქით, მაშინ უფრო მარდად გაიწევს
წინ კაპიტალიზმი და უფრო ადვილად დაამარცხებს წვრილს.
წარმოებასაო.“ (იქვე).

ყველა ამ არგუმენტების წამოყენებამ იმ დროში მცი-
რედი გავლენა მაინც იქონია მოპირდაპირეებზე. წინათ ისი-
ნი გადაჭრით და საბოლოოვით უარ ჰყოფდნენ საქართველოს
ავტონომიას. ახლა თითქმის კილოსასცვლიან და აცხადებენ,
ჩვენ წინააღმდეგი ვართ ავტონომიისა ტაქტიკურის მოსაზრე-
ბით. ბ-ნი ფ. მახარაძე სწერს: „...ჩვენ დღეს ვეწინააღმდე-
გებით იმ პარტიების მეცადინეობას, რომლებიც ცდილობენ
ახლა ეროვნულ ავტონომიის მოპოვებას... ჩვენის ფიქრით,
ჯერ კიდევ არ დამდგარა ის დრო, როცა ასეთის ტაქტიკის
შეცვლა ჩვენი პარტიისათვის საჭირო იყოსო“¹⁾. „ცნობის
ფურცელმაც“ აღნიშნა ეს გარემოება, რომ თურმე სოციალ-
დემოკრატებისთვის დადგება ისეთი დრო, როდესაც ამ სა-
კითხში ტაქტიკის შეცვლა მისთვის საჭირო იქნება. მაგრამ
„მოგზაურს“ ეს შენიშვნა არ ექაშნიკა და მან შემდეგ ნო-
მერშივე მკვახეთ გამოაცხადა: „ჩვენ ეროვნულ ავტონომიას
დღესაც იმ თვალთ ვუყურებთ, როგორც წინეთ, რომ მას-
ში ჩვენ წმინდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მისწრაფებას
ვხედავთ და სხვა არაფერსო“²⁾.

ერთის სიტყვით, საქმე გაჭიანურდა და თითქმის ხელ-
მეორედ შეფერხდა, შეფერხდა იმიტომ, რომ ავტონომიის
აზრი ხალხში არა ვრცელდებოდა. გაბატონებული პარტია
ჩვენში სოც.-დემოკრატია იყო. მის პროპაგანდის წყალობით
ხალხმა მრუდე წარმოდგენა შეიმუშავა ავტონომიის შესახებ და
ერთობ მოსმენაც კი არ უნდოდა ავტონომისტების საბუ-
თებისა. სოციალ-დემოკრატებიც მუდამ ჟამს გაიძახოდნენ:
აი ხომ ხედავთ, თვითონ ხალხია წინააღმდეგი ავტონომიისა,
ხალხს არ უნდა იგი, მაშ რაღას ირჯებით ტყვილა უბრალო-
დაო. ამაზე უპასუხებდნენ, რომ ხალხი თქვენის დამახინჯე-
ბული პროპაგანდის წყალობით არის წინააღმდეგი ავტონო-
მიისა, რომ შეუძლებელია, ხალხმა შეგნებულად თავი მოი-

1) „მოგზაური“ № 39

2) „მოგზაური“. № 40.

კლას და თვითმმართველობაზე ხელი აიღოსო. სოციალ-დემოკრატიულ მწერლებიც სწორეთ ამ პასუხს ელოდებოდნენ და ამბობდნენ: „ფედერალისტების ლიდერების აზრით არსებობს ორნაირი სოციალური ტიპი: კრიტიკულად მოაზრე პიროვნება, თავისუფალი, ფაქიზი გრძნობებით და სურვილებით გამსჭვალული ადამიანი და დოგმატიზმით გამსჭვალული ბრბო, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გაზვიადრებულ ფრაზებს უაზროთ იმეორებს... ჩვენ ფედერალისტებს ვერ წარმოუდგენიათ, სხვა რით აიხსნება პროლეტარიატის წინააღმდეგობა, თუ არა მისი სიბრძნევით და უმეცრებითო.“¹⁾

არა, ბატონებო, ჩვენ ხალხი ბრძევი და სულელი არა გვგონია, ხალხს ხშირად ძლიერ კარგად ესმის თავისი პირდაპირი და უახლოვესი ინტერესი, მაგრამ, პოლიტიკურ მოუზმწიფლობის გამო, რომელიც ვითარდება პოლიტიკურ ბრძოლაში, მას ხშირად და ხშირად აკლია ხოლმე შორს მხედველობა. ავტონომია სულ ახალი ცნება იყო არა თუ ჩვენი ხალხისთვის, არამედ ინტელიგენციის დიდ უმრავლესობისთვისაც. ავტონომიის გაგება ძნელი არ იყო, მაგრამ რაკი ცუდად აუხსნეს, ხალხმაც ცუდად გაიგო იგი.

ღიად, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ხალხს არ ესმის, რა არის ავტონომია და უგუნურობით კი არ მოსდის ეს, არამედ უსწავლევლობით. დემოკრატიული ავტონომია მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის ნაყოფია. ჩვენში ამ ხანაში დენაციონალიზაციის პოლიტიკა მძვინვარებდა. ხალხს არა ჰქონდა სკოლა. არც სამშობლოს, არც უცხოეთის ისტორიისა არა იცოდა რა. დამოუკიდებლობის სურვილი თითქოს დაეხშო, ამას ისიც მიუმატეთ, რომ, გამოფხიზლების უამს, მას ეუბნებოდნენ — შორს ავტონომია, ავტონომია ბატონ-ყმობაა, და გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ ხალხმა არ შეიწყნარა ავტონომია. მაგრამ ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ მისი მოქმედება ხშირად იმგვარი იყო, რომ ძლიერ უახლოვდებოდა ავტონომისტურ ხასიათს. ამ მხრივ საყურადღებოა გურიის მოძრაობა.

„ცნობის ფურცლის“ მიერ გურიის მოძრაობის დროს იქ საგანგებოდ გაგზავნილი ბ-ნი „სიტყვა“ სასამართლოების მოწ-

1) *ibid.* N 37.

ყოფის შესახებ გურიაში, სხვათა შორის, ამბობს: „დღეს გურიაში მთავრობის სასამართლო ფაქტიურად გაუქმებულია. დღევანდლამდის სამი სასამართლო მოქმედებდა ოზურგეთის მაზრაში: ლანჩხუთში, ჩოხატაურში და ოზურგეთში. პირველი ორი სასამართლო დღეს არ მოქმედებს, რადგან არავითარი საქმე არა აქვს. არამც თუ ახალი საქმე არ შედის სასამართლოში, ვისაც კი ძველი საქმე ჰქონდა, ყველა გააქვთ ზუკან. ოზურგეთში კი სრულიად დაკეტილია სასამართლო და იქ აღარ არის უკვე არც მომრიგებელი მოსამართლე და არც მისი თანაშემწე. ყოველი საქმე ირჩევა ხალხისაგან არჩეულ მოსამართლეების მიერ, რომელთაც მიმართავენ თავად-აზნაურნიც კი, რადგან ხალხის სასამართლო უფრო მალე და სამართლიანად არჩევს საქმეს, ვიდრე წინანდელი სასამართლო. ყოველს სოფელს ჰყავს თავისი მოსამართლეები, მაგრამ ყოველ საჩივრის გადასაწყვეტად მსურველთა შეუძლიანთ მიჰმართონ სამედიატორო სასამართლოს“. 1) როგორც ჰხედავთ, გურიაში ხალხს უტვირთვნიან სახელმწიფოურ ცხოვრების ფრიად დიდ მნიშვნელოვან დარგის ავტონომიურად მოწყობა. ვინც ცოტათი მაინც ჩახედულია მმართველობის მექანიზმში, იმას ეცოდინება, რომ თუ ცენტრალური მმართველობის გამგებლობისაგან გამოჰყავით სასამართლო და დამოუკიდებლად მოაწყეთ იგი, აუცილებელიც უნდა გამოჰყოთ აღმასრულებელი და კანონმდებლობითი ფუნქციებიც, რადგან კანონმდებლობა სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო კანონებს სცემს, აღმასრულებელი ძალა კი მათ ცხოვრებაში ანხორციელებს, თუ კულტურულ ენით ლაპარაკი გსურთ, ეს ასეა და თუ მაინც და მაინც იმას იტყვით, რომ ხალხს არ დაუსახელებია ავტონომია, ეგ ხალხს შეუგნებლობით და უცოდინარობით მოუვიდა, რადგან ბ. კალამისა არ იყოს, „ის რასაც ხალხი პრაქტიკულად თხოულობს, რის განხორციელებაც სწადია მას, ავტონომიის შინარსს შეადგენს, იმის შესრულება მარტო ავტონომიურ მმართველობის შემწეობით შეიძლება“. 2) ეგ სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რომ ავტონომიის მოთხოვნა თავის მოთხოვნათა სიაში

1) „ცნობის ფურცელი“, № 2767.

2) „ეროვნული თვითმმართველობა“, გვ. 36.

ხალხს არ ჩაუწერია. სიტყვა ცდილობს გაამართლოს ხალხი და ამბობს: „ხალხს მეტადაც მიაჩნია კითხვის დაყენება ეროვნების შესახებ: ის ცხოვრობს, ცხოვრობს ეროვნულადო“. 1) სიტყვას ოპტიმიზს იმ ხანებში წამოედგა ბ-ნი სილოვანი: „რა სათქმელია, რომ ეროვნული თვითცნობიერება თავისთავად იგულისხმება?!. თავისთავად უფრო ის იგულისხმება, რომ მშიერ ადამიანს პური უნდა, რომ ღარიბ მცხოვრებთათვის ათასნაირი გადასახადი მეტად სამძიმოა, რომ მათრახები ძნელი მოსათმენიაო“. 2) ჩვენ კი გვგონია, რომ პოლიტიკურ ბრძოლის დროს თავისთავად არაფერიც არ იგულისხმება, არც მათრახების ინსტიტუტი, არც ეროვნების საჭიროებანი. და ხალხს პასივში უნდა ჩაეწეროს, რომ მან თავის დროშაზე საქართველოს ავტონომიის საქმე არ დააწერა. თუ სოციალ-დემოკრატიის მესვეურნი ცოტათი მაინც იგრძნობენ თავიანთ დანაშაულობას და პასუხის მგებლობას ამ საქმეში, ავტონომიის საკითხი ჩვენს ქვეყანაში ახალ პოზიციებს შეიძენს. და ამისი ნიშნები უკვე თვალსაჩინოა. ხოლო სანამ ამ საგანს შევეხებოდეთ, საჭიროა გავიხსენოთ ის, თუ როგორ მიეგებნენ ავტონომიის საკითხს სხვა წოდებანი და კლასები და როგორ იკიდებდა ნიადაგს ავტონომიური იდეა, ქართველ საზოგადოების ფართო წრეებში.

4.

ავტონომიურს მოძრაობას საქართველოში დაუდგა ახალი ხანა. ქართველ ხალხის ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკურის გაბედულებით დავეს ვერ მოიწონებდა, ახლა საერთო მოძრაობას აყოლებს ფეხს და იწყებს ლაპარაკს იმგვარის კილოთი და ენით, როგორადაც მას არასოდეს მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში არ ულაპარაკნია. ჩვენ სახეში გვყავს საქართველოს ზოგიერთ ქალაქის მუნიციპალიტეტი და ქართველი თავად-აზნაურობა. ამ წრეებში ავტონომიისადმი თანაგრძნობა დღითიდღე იზრდებოდა. სოხუმის ქალაქის თავმა თ-დ ნ. ყ. თავდგირიძემ საერობო და სამოქალაქო წარმომადგენელთა ბიუროში³⁾ წარადგინა განსაკუთრებული მოხსენ-

1) „ცნობის ფურცელი“, № 2759.

2) *ibid.* 2773.

3) მოსკოვში იყო მოწვეული.

ნება რუსეთის დეცენტრალიზაციის საჭიროების შესახებ.¹⁾ განაპირა ქვეყნებს უნდა მიენიჭოთ სრული თვით-მმართველობა საკანონმდებლო ფუნქციებითაო კავკასიას პრინციპიალურად უნდა ჰქონდეს უფლება საერთო სეიმის მოწვევისა. მაგრამ იმპერიის და განაპირა ქვეყნების კეთილდღეობისათვის საჭიროა დადასტურება არა მარტო საოლქო ავტონომიების დაფუძნებისა, არამედ ეროვნულ ავტონომიებისაც. ამას ითხოვს ცხოვრების პრაქტიკული საჭიროება და იმპერიის ინტერესი, გონივრულად გაგებულნი. რაც შეეხება კერძოდ საქართველოს, მას ავტონომია უნდა მიენიჭოს აგრედვე სხვა მოსაზრებათა ძალითაც. სახეში გვყავს საქართველოს ისტორიული უფლებანიო²⁾. აი მოკლედ შინაარსი ამ მოხსენებისა.

კიდევ უფრო მეტად საყურადღებოა მოხსენება განსაკუთრებულ კომისიისა, რომელიც ქუთაისის ქალაქის საბჭომ აირჩია ამ საგნის შესასწავლად. ³⁾ მოხსენების ავტორები პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის ნიადაგზე დგანან და საზღვრავენ ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების კომპეტენციას. ცენტრალურ ორგანოების გამგებლობაში უნდა იყოს: ძირითად საკონსტიტუციო კანონების გამოცემა, სამხედრო მმართველობა, ომიანობის და მშვიდობიანობის გამოცხადების უფლება, საზოგადო ფინანსები, დამოქნა და საგარეო პოლიტიკის საქმეები (სავაჭრო, ერთა შორის დადებული ხელშეკრულებანი, დიპლომატიური მისიები), პიროვნულ და პოლიტიკურ უფლებათა აღიარება (ადამიანის უფლებათა დეკლარაცია), ფულის მოჭრა, სახელმწიფო ვალი და სხვა. ადგილობრივ ორგანოების გამგებლობაში უნდა იყოს: ადგილობრივ კანონების გამოცემის უფლება, ხარჯის აკრეფა, დამოუკიდებელი ადმინისტრაციის და სასამართლოს უფლება,

¹⁾ Записка, поданная Сухумскимъ город. головой кн. Н.К. Тавдгиридзе въ бюро слѣзда земскихъ и городскихъ представителей, относительно необходимости проведения въ государственн-ный строй Россіи принципа строгой децентрализаціи, 1906 г.

²⁾ *ibid.* გვ. 12—13.

³⁾ Записка особой комиссіи, изъ гласныхъ избранной Кутаисской городской думой для разработкн вопросовъ объ усовершенствованіи государственнаго благоустройства и улучшенія народнаго благосостоянія.

ახალ ხარჯის გაწერის უფლება (право самообложения), ადგილობრივი მეურნეობა, განათლების საქმე (ყოველ ხარისხის და ტიპის სკოლების დაარსება), დამოუკიდებელი ეკლესია.¹⁾ ამ მოხსენებაშიაც აღნიშნული უფლებანი, გახსენებულია იმპერატორ ალექსანდრე 1-ლის ყოყმანი საქართველოს ავტონომიის გაუქმების დროს. ალექსანდრე პირველს გენერალ-პროკურორის ბეკლემიშევის პირით შეუთვლია სახელმწიფო საბჭოსთვის „О крайнем отвращеніи Его Величества къ насильственному упраздненію автономнаго управленія въ Грузіи“.²⁾ დასასრულ, კომისიამ ქუთაისის ქალაქის საბჭოს წარუდგინა განსახილველად შემდეგი რეზოლუცია:

1. ჩვენი ხალხის ეროვნულ-კულტურულ განვითარებისათვის საჭიროა მმართველობას დეცენტრალიზაცია.

2. განაპირა ქვეყნებში ეს დეცენტრალიზაცია უნდა გამოისახოს ფართო პოლიტიკურ ბივით-მმართველობის შემოღებაში, ხოლო სახელმწიფოებრივი ერთობა რუსეთის იმპერიის ნაწილისა უნდა იყოს დაცული.

3. საქართველოს ენიჭება ავტონომია, ტფილისში უნდა იქმნეს მოწვეული სეიმი საერთო, თანასწორ, ფართულ და პირდაპირ კენჭის ყრის უფლებით. ავტონომია დაემყარება ორგანულ სტატუტებს, რომელნიც იქმნებიან შემუშავებულნი ადგილობრივ დამფუძნებელ კრების მიერ.

4. საქართველოს ავტონომიის კონსტიტუცია უნდა იყოს დამტკიცებული რუსეთის პარლამენტში.

5. საქართველო, რომელიც შესდგება დღეს ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებისა, ზაქათალის, სოხუმის და ბათუმის ოლქებისაგან, ერთ ავტონომიურ ერთეულს შეადგენს.

6. სხვა ერები, საქართველოს საზღვრებში მცხოვრებნი, თანასწორ უფლებებით სარგებლობენ.

7. ცენტრალურ პარლამენტში დეპუტატების არჩევის დროს საარჩევნო სისტემა უნდა დამყარდეს ტერიტორიალურ ერთეულებზე (при рѣшеніи вопроса объ избирательной системѣ желательно принять територіальную группировку).

¹⁾ *ibid.* გვ. 6—7.

²⁾ *ibid.* გვ. 17.

8. დაუყოვნებლივ და ერთ დროს უნდა იყოს მოწვეული როგორც სრულიად რუსეთის, ისე ადგილობრივი დამფუძნებელი კრებები საყოველთაო, სქესისა და ეროვნების განურჩევლად, ფარულ და თანასწორ უფლებაზე დამყარებული. საქართველოს დამფუძნებელი კრება უნდა იყოს მოწვეული ტფილისში.

კომისიის აზრით, ეს მოხსენება უნდა იქმნას წარდგენილი მინისტრთა საბჭოს.¹⁾

როგორცა ჰხედავთ, ავტონომიის საკითხი თან-და-თან გაზეთის ფურცლებს თავს აღწევს და მიისწრაფვის ცხოვრებაში გაიმაგროს ფესვები. ოფიციალური ორგანოები გამოდიან ავტონომიის მოსარჩლეებათ და ეს პირველი ისტორიული ნაბიჯი იყო მის ცხოვრებაში განსახორციელებლად. მართალია, პირველ ნაბიჯს არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ დიდი საქმისათვის ისტორიის პერსპექტივაც დიდი უნდა იყოს. მოვა დრო და პირველ ნაბიჯს მოჰყვება მეორე. და ეს მეორე ნაბიჯი, რაც გინდ შორეულ მომავალში იყოს იგი გადადგმული, შესაძლებელი გახდება იმიტომ, რომ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. ამგვარადვე, თუ მეტად არა, საყურადღებოა ავტონომიის აზრისადმი თანაგრძნობა თავად-აზნაურთა ინტელიგენტურ წრეებში, აი ის ადრესი, რომელიც გაუგზავნა თავად-აზნაურთა კრებამ ხელმწიფე-იმპერატორს:

„ხელმწიფე! ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, პირველად შეიკრიბა რა საგანგებო კრებაზე სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრის დაბადების შემდეგ, უქვეშევრდომილესად ულოცავს თქვენს იმპერატორობის უდიდებულესობას და ხელმწიფე-დედოფლებს ამ სასიხარულო ამბავს, როგორც თქვენ უაგვისტოესის ოჯახისა, ისე რუსეთის სახელმწიფოსათვის“.

„მიუხედავად იმ სიძნელისა, რომელსაც რუსეთი იტანს როგორც ბრძოლის ველზე, ისე შიგნით იმპერიაში, ქართველი თავად-აზნაურობა რწმენითა და იმედით შეჰყურებს მომავალს. ამ თავად-აზნაურობას კეთილის მომასწავებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ სამეფო ყრმის აკვანს აშუქებს ახალცხოვრების განთიადი, გადმოცემული ტახტიდან 8 თებერვ-

1) *ibid* 83. 20.

ლის რესკრიპტი. ეს რესკრიპტი პირველი სხივი იყო ომისა და უბედურების ძნელ წელიწადს“.

„ამ მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში, როდესაც რუსეთი მოწოდებულია შემოქმედებითი მუშაობისათვის, ქართველ თავად-აზნაურობას, ისევ, როგორც მთელ ქართველ ხალხს დიდ რუსეთთან ერთობის ერთგულს, იმ ერთობის, რომელიც გამტკიცებულ იქმნა სამოქალაქო ასპარესზე და აღბეჭდილ იქმნა ბრძოლის ველზე ერთ დროშის ქვეშ დაღვრილ სისხლით, მოძმე რუსის ხალხთან ერთად, მტკიცედ სწამს. რომ ახლოა ის ბედნიერი დღე, როდესაც რუსეთის თავისუფლად არჩეული წარმომადგენელი, ეროვნების განურჩევლად, შეუდგებიან მოწყობას რუსეთისა და განაპირა ადგილებისას, მათ შორის საქართველოსაც, რომელიც შესდგება ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებდს, ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქებისაგან“.

„თ.-აზნაურობა, ზრუნავს რა სახელმწიფოს საზოგადო სარგებლობის და საჭიროებისათვის, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველ ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყოფელ ნაწილს და ნებაყოფლობით მასთან შეკავშირებულს, მიენიჭება უფლება საკუთარ კანონებით მართვა გამგეობისა. ეს კანონები უნდა დადგენილ იქმნას ადგილობრივ წარმომადგენლობითი კრების მიერ, არჩეულს მთელის საქართველოს მცხოვრებთა მიერ საყოველთაო, პირდაპირ, საიდუმლო და თანასწორ ხმის უფლებით“.

„ქართველი თავად-აზნაურობა, ზემოდ აღნიშნულს ადრესს წარადგენს რა თქვენის იმპერატორობითი უდიდებულესობის ფერხთა წინაშე, ღრმად დარწმუნებულია, რომ ასრულებს თავის მოვალეობას ტახტისა და სამშობლოს წინაშე“.

44 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 4 ხმისა, ადრესი კრებაზე მიღებულ იქმნა¹⁾.

ეს დოკუმენტი საგულისხმოა. კარის კაცთა ეტიკეტი და წესი მასში სავსებით არის დაცული, ხოლო ამასთან, გზა-გზა, ავტონომიის საზღვრებიც არის ნაჩვენები და არც ოთხმუხლიანი საარჩევნო ფორმულაა დავიწყებული. დრონი

1) „ცნობის ფურცელი“, 2 აპრილი 1905 წ.

მეფობენ რომ იტყვიან, ითქმის სწორედ ამ ისტორიულ დოკუმენტის შესახებ! არა ნაკლებად საგულისხმოა ის კამათი ავტონომიის შესახებ, რომელიც აღიძრა სათავად-აზნაურო კრებაზე 1 აპრილს 1905 წელს. თუმცა ამ ამოწერებით მეტად რთულდება ეს წერილი, მაგრამ, რადგან ყველა ამ მასალის ერთად მოყრას მისი დაფასებისათვის მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ყური დაუგდოთ იმ კამათსაც, რომელიც კრებაზე აღიძრა და გაზეთის ფურცლებზე ჩაიწერა.

მ. მაჩაბელი. დღეს დაგვიდგა საყურადღებო დრო, სწორედ ისეთი, როგორც ამ ასი წლის წინად გამოიარა ჩვენმა სამშობლომ. კრიტიკულის თვალთ რომ განვსჯათ წარსული, დავინახავთ, რომ რუსეთის გვირგვინოსანთ უყვარდათ ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ბიუროკრატია ხელს უშლიდა, რომ მათ ეს სიყვარული საქმედ ექციათ. ამ ბიუროკრატიას უნდა შევებრძოდით ჩვენ ყველანი. დღევანდელი ქანც-გამოღებული საქართველო არ უნდა ოცნებობდეს პოლიტიკურად განკერძოებას რუსეთისაგან. ამ ოცნებით ჩვენ განვარისხებთ რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ელემენტებს. ამ რიგად არსად არ მოუპოვებია ხალხს ავტონომია. დიდებულმა გლადსტონმაც ვერაფერი გააწყო, ირლანდიას ავტონომია ვერ მოუპოვა და დაიღუპა. შევეუერთოთ ჩვენი ხმა დიდი რუსეთის ხმას და მოვითხოვოთ ის, რასაც ისინი ითხოვენ და არა ავტონომია.

გ. შუხელიშვილი. გავიხსენოთ დიდებული აზრი— „მიეცით ხალხს თავისუფლება, რათა შეძლება ჰქონდეს შეითვისოს იგი“. კამათი იმის შესახება, მომზადებულია თუ არა ჩვენი ხალხი ავტონომიისათვის, ვითხოვოთ თუ არა ავტონომიაო. თუ არ მოგვეცა ავტონომია და პეტერბურგში დაარსდა რუსეთის მმართველი ცენტრალური ორგანო, იქ ჩვენი წარმომადგენელთა რიცხვი მეტად მცირე იქნება და ვერ მივალწევთ საწადელს. პოლიტიკური ავტონომია სეპარატიზმს. რუსეთისაგან განცალკევებას არ ნიშნავს. მხოლოდ ჩვენ ვითხოვთ, რომ აქ, ტფილისში, და არსებულ იქმნას ჩვენთვის პარლამენტი. მიეცით ხალხს საშუალება მოაწყოს თავისი საკუთარი საქმე და თქვენის თვალთ დაინახავთ, რომ იგი შეიძენს თვით-მმართველობის უნარს.

დავ. ჯორჯაძე. ბ-ნ მ. მაჩაბელს ან არ ესმის, რა არის ავტონომია, ან განგებ ამახინჯებს ავტონომიის მნიშვნელობას. მიაქციეთ ყურადღება ფინლიანდიის და პოლონეთის ყოფილ ავტონომიას და მიხვდებით, რა მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას ხალხის ცხოვრებაში.

გ. ურული. აქ გამოითქვა აზრი ჩვენი მოუზნადებლობის შესახებ. ასის წლის განმავლობაში ჩვენი ხალხის ზრდა-განვითარების წინააღმდეგ ბიუროკრატის მიერ ხმარებულმა ყველა საშუალებამ ვერ გატეხა ჩვენი ხალხი, რომელიც დღესაც სიცოცხლობს. ძლიერ სცდილობდნენ დაებრკოლებინათ ჩვენის ენისა და მწერლობის განვითარება. მაგრამ ენაც და მწერლობაც განვითარდა. მეც ვერ იქ მთავარ-მართველთან დეპუტატიაში, რომელიც შუამდგომლობდა ჩვენი მიწის სივიწროებისათვის მოგვევარებინა რამე. მთავრ-მართველმა გვიპასუხა, როგორ

არ იცით, რომ ყველა თავისუფალი მიწა საქართველოში რუსებს უნდა ეკუთვნოდეთო. ჩვენ დიდ-ხანს ვსდუმდით და ეხლა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა წააგეს იმ ერებმა, რომელნიც არა სდუმდნენ და რა მოვიგეთ. ჩვენ ამ ხანგრძლივ დუმილით. ჩვენ ვსდუმდით, როდესაც საქართველოს ეკლესიას ქონება ჩამოართვეს, სომხები კი არა სდუმდნენ, როცა მათ ეკლესიას ქონება ჩამოართვეს. ამიტომ მთელი ქვეყანა მათ თანაუგრძნობს, ჩვენზე კი ამბობენ, მკვდარი ხალხიაო. მაგრამ ჩვენ მკვდარი არა ვართ, ჩვენი სული დაჩაგრული არ არის. ჩვენთვის მეტად საჭიროა ავტონომია. მეცნიერება ამტკიცებს, რომ ავტონომია ერთად-ერთი გზაა იმისი, რომ ხალხის ბედი კარგის გზით სწვდებოდეს.

მ. გედევანიშვილი. რუსეთის საზოგადოებამ გამოსთქვა თავისი სურვილი დამფუძნებელ კრების შესახებ. ქართველი საზოგადოება მას უერთდება. მხოლოდ უსირცხვილო და თავგასულმა ბიუროკრატებმა შეთხზა ცილისწამება საქართველოს რუსეთისაგან ბანკალკეცების შესახებ. ვინ იტყვის, რომ ფინლიანდიის ავტონომიამ მოსწყვიტა ფინლიანდია რუსეთს. ავტონომიის ხსენება აშინებს მხოლოდ ზომიერთ ჩვენს თავად-აზნაურებს. რუსეთის ცენტრალური დაწესებულება ვერ ბაიგებს ჩვენს საჭიროებას. ხალხმა გააუქმა თავისი სასამართლოები და სამმართველოები და თვით-მმართველობა დააწესა. ნამესტნიკის დეპეშაში ნათქვამია, ხალხი ძარცვა-გლეჯის გზას დაადბაო. ყველა ეს პოლიციის მოხსენებამ ჩააბონა ნამესტნიკს. პოლიციელები კი იმის შესახებ სდუმან, თუ რა ზნეობრივი კავშირი შექმნა ხალხში დღევანდელმა ერთობამ, როგორ შეამცირა ქურდობა, როგორ გამოაღვიძა ხალხი მის მიერ შექმნილმა თვით-მართველობამ.

ილია ჭავჭავაძე. თუ გვსურს ხალხის სახელით ვითხოვოთ რამე უნდა გავიცნოთ ხალხი და მისი აზრი. იმას ვთხოვლობთ, რომ მოგვცენ საშუალება გავიცნოთ ხალხი, იმის აზრი და მოთხოვნილება. ამ საკითხში უნდა შეერთდნენ ყველა დასები, მიმართულების განურჩევლად.

ივ. ს. ჯაბადარი. დღეს ჩვენ ხალხის სახელით ავტონომიას ვთხოვლობთ. ეს მოგვაგონებს იმ დროს, როცა ხალხს სახელით ჩვენი მეფეები რუსეთთან შეერთებას თხოვლობდნენ. ხალხის სურვილი კი მაშინ არა სჩანდა. ეხლაც არ გავებათ ამ მახეში. ჩვენ ხალხთან ერთად უნდა მოვაწიროთ ხელი დადებულ აქტს. და ამიტომ ხალხის სურვილი უნდა შევიტყოთ. სიმართლეს მოკლებულია, თითქოს ჩვენ ავტონომიის წინააღმდეგნი ვიყოთ. რუსეთთან შეერთების ხელშეკრულობით ავტონომია კი არა, მეტიც, უნიაც შეგვიძლიან ვითხოვოთ. ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ საქმეს. მიეცით საშუალება ხალხს, გამოსთქვას თავისი აზრი და სურვილი.

ივ. რატიშვილი. ჩვენი მოთხოვნილება უნდა დავამყაროთ რუსეთთან შეერთების ხელშეკრულებაზე. მოვითხოვოთ ის, რაც რუსეთის ხელმწიფემ აღგვითქვა შეერთების დროს.

კენჭის ყრის დროს ავტონომიას კრების დიდი უმთავრესობა აღმოუჩნდა მომხრე. ამრიგად, თავად-აზნაურობამ არა მარტო პრინციპიულურად გადასწყვიტა ეს საკითხი, არა-

მედ ადრესის სახით პრაქტიკული მსვლელობაც მისცა მას. ხოლო აქ უნდა გვახსოვდეს ერთი გარემოება. ამ საგნის გარკვევა-გამორკვევაში თავად-აზნაურობის დიდ ნაწილს (სოფლის მემამულეთ) მონაწილეობა არ მიუღია. კრებას დაესწრნენ ქალაქში მცხოვრები თავად აზნაურნი. ეს თავისუფალი პროფესიის ხალხი, ქართულ ინტელიგენციის ნაწილი არამც და არამც არ ჩაითვლება წოდებრივობის გამომსახველი და მოსარჩლე თავად-აზნაურობად. ეს გარემოება. ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში ზემოდ აღნიშნულ მოკლენის დაფასების დროს. სოფლის მემამულეთა აზრი ჩვენ არ ვიცით. მაგრამ იმ ხანების ვითარების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ქართლის თავად-აზნაურობის ერთი ნაწილის გარდა, დანარჩენ საქართველოს თავად-აზნაურობა შეიწყნარებდა ავტონომიას იმისთვის რომ ეკითხათ საკითხის გადაწყვეტის დროს. შეიწყნარებდა არა მამულიშვილურის მოსაზრებით, არამედ იმიტომ, რომ მას სხვა გზა არა ქონდა. მთავრობა დასუსტებული და დაბეჩავებული ეგულებოდა, ხალხი კი მის წინააღმდეგ იერიშით მოდიოდა. ავტონომია მას, როგორც წოდებას, არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა, რადგან დემოკრატიულ ნიადაგზე აშენებული იგი დემოკრატიას, წვრილ მესაკუთრეთ, ჩაუგდებდა მართვა-გამგეობის უფლებას. მაგრამ ავტონომია მაინც განსაზღვრული პოლიტიკური წესია და მას ეს მისთვის საზარალო წესი ერთხინა სრულს გაუქმებას კანონებისას და მართველობისას, რომელიც იმ ხანებში იყო ჩვენში.

თავად-აზნაურობის კრებებს იმ ხანებში დიდ-ძალი გარეშე ხალხი ესწრებოდა. კრებები იმართებოდა თ. ქობულა-შვილის სახლის დიდ დარბაზში. დამსწრენი მხურვალე თანაგრძნობით მიეგებნენ ავტონომისტების გამარჯვებას. გარეშე პირებიდან წარმოსდგნენ ორატორები. მათ ყველანი გულის ძგერით უსმენდენ. თავად-აზნაურთა კრება საჯარო კრებად გადაიქცა. ერთმა ახალგაზდა კაცმა, აღელვებისაგან გაფითრებულმა, ხმის კანკალით შემოსძახა კრებას: დაიფიცეთ, რომ არ უღალატებთ ავტონომიის საქმესაო. — ვფიცავთ, არ უღალატებთო, — ერთის ხმით დაიგრიალა საზოგადოებამ.

ამ ამბების შემდეგ რამდენმა წელიწადმა გაიარა. განვლილი დრო ბევრს სიზმარი ჰგონია ამ ჟამად. დღეს უწყესო ლაპარაკი და ფუჭი ოცნება დაგმობილია. და სათავად-აზნაუ-

რო საკრებულოს სადგომში სავსებით დაცული და გამეფებულია ეტიკეთი და დარბაისელი პოლიტიკის რეჟიმი. ფიცი არამც თუ თავადებმა, არამედ იმათაც, რომელნიც თავადებს „ზევიდან“ დაჰყურებენ, დაივიწყეს! კიდევ ითქმის— დრონი მეფობენო.

ასეა თუ ისე, ყველა ამ ამბებს ავტონომიის მოძრაობის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, სოციალ-დემოკრატებმა ყოველივე ეს ავტონომიის წინააღმდეგ გამოიყენეს,— ხომ გეუბნებოდით, რომ ავტონომია თავადების საქმეა, აი ეხლა თქვენც დარწმუნდით, რამდენად მართალნი ვიყავითო. და ხალხიც უჯერებდა და უფრო სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ავტონომისტებს.

5

ამ საერთო აღშფოთებისა და მოძრაობის დროს მოხდა ერთი თვალსაჩინო გარემოება. ქართველ პოლიტიკურ პარტიებს მიემატა ერთი ახალი პარტია, რომელმაც „ქართველ დემოკრატიულ პარტიის“ ანუ „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის“ სახელი დაირქვა. მართალია, ეს ახალი პარტია უდღეო გამოდგა. მას თითქმის არავითარი მოქმედება არ გამოუჩინია, გარდა იმისა, რომ მან შეადგინა პროგრამა, ეს პროგრამაც დღეს ყველას მიერ დავიწყებულია. მაგრამ მოვა დრო და მის გარშემო ხელმეორედ გაიმართება სჯა-ბაასი და არა მარტო ლაპარაკის ჟინის მოსაკლავად, არამედ სამოქმედო საქმისათვის.

ჩვენს ცხოვრებაში ვხედავთ იმგვარ პირობებს, რომელნიც შესაძლებლად ხდიან დემოკრატიულ პარტიის ზრდას საქართველოში. ეს პირობებია წვრილ მესაკუთრეთა სიმრავლე და ქართველ ბურჟუაზიის ზრდა. კლასობრივ დიფერენციაციის დამთავრების უმალ, სამოქმედოდ გამოვა საქართველოს ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც ექვს გარეშეა, მიეკედლება ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილიც. აი, სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული პარტია ჯერ ხნობით პარტიად არც კი ჩაითვლება, ჩვენ მეტად არ მიგვაჩნია აღენიშნოთ ამ პარტიის პროგრამის ის მუხლები, რომელნიც ავტონომიას შეეხებიან. აქ უფრო დაწვრილებით განსაზღვრულია ავტონომიურ საქართველოს ორგანოების კომპეტენცია და ეს იმისი მაჩვენებელია, რომ ავ-

ტონომიის ბუნება თან-და-თან ირკვევოდა და საზოგადოებაში ჰმუშავდებოდა სალი აზრი იმის შესახებ.

აი ზოგიერთი მუხლი ამ პროგრამისა: (63) რუსეთში ახალის სახელმწიფო წყობილების დაარსებისთანავე ყველა ეროვნებათა და კერძოდ საქართველოს უნდა მიეცეს უფლება დაამყაროს ავტონომიური მმართველობა. (64) ავტონომიურ საქართველოში უნდა დამყარდეს სამოქალაქო თავისუფლება და ხელშეუხებელი იქნეს ეროვნული უფლება უმცირესობისა. (65) ავტონომიურ საქართველოს საზღვრები უნდა აღნიშნოს საგანგებო კრებამ, რომელიც შესდგება ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებისა და ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქების მიერ თავისუფლად არჩეულს დეპუტატებისაგან. (66) ავტონომიურ საქართველოს საზღვრები უნდა დაამტკიცოს რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ... საქართველოს პარლამენტი არ უნდა შეეხოს შემდეგ საგნებს: (67) ა) რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესის უფლების წარმომადგენლისათვის საჭირო ხარჯს, ბ) ჯარისა და ფლოტის საქმეს, გ) ომის გამოცხადებასა და შერიგებას, დ) პოლიტიკურ კავშირებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებას რომელსამე სახელმწიფოსთან, ე) გარეშე საქმეთა პოლიტიკას, ვ) ბაჟის დადებას გარეშე საქონელზე, ზ) ქარხნებისა და სავაჭრო კანონმდებლობას, ჰ) არა-პირდაპირ გადასახადის კანონის გამოცემას, თ) რკინის გზებისა და სხვა გზების გაკეთებას, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა ექმნებათ და რომელნიც სახელმწიფო ხარჯით იქმნებიან აგებულნი, ი) ფულის მოჭრას. (68) ავტონომიურ საქართველოს პარლამენტი განაგებს შემდეგ საგნებს: ა) სწავლა-განათლების საქმეს, ბ) სამსახულო და ყველა ადგილობრივ კანონების გამოცემას, რომელნიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის სახელმწიფოს ძირითად კანონს, გ) ადგილობრივ გზებსა და მიმოსვლას ხმელეთსა თუ ზღვაზე, დ) ადგილობრივ ფინანსებს, ე) საავტონომიო უძრავ ქონებას, ვ) სტამბას, ზ) ფოსტატელეგრაფსა და ტელეფონს, თ) ეკლესიას, ი) საზოგადოჯანმრთელობის საქმეს და კ) ყველა სხვა საზოგადო და სახელმწიფო ადგილობრივ საქმეს. (69)... ავტონომიურ საქართველოს რუსეთის სხვა ავტონომიურ ერებთან შეკავშირების უფლება უნდა ექმნეს, იმ პირობებით, რომელნიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ მთელს სახელმწიფოს ინტერესებს. (71)

საქართველომ მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადო სახელმწიფო ხარჯში, რაც მის მცხოვრებლების რიცხვს პროპორციონალურად ხვდება და ამისთვის საკუთარის ხაზინისაგან უნდა გადასდებდეს განსაზღვრულ პროცენტს. 72) რუსეთის ხაზინიდან არა-პირდაპირის გადასახადისაგან მიეცემა საქართველოს ის პროცენტი, რომელიც ერგება მას მცხოვრებთა რაოდენობის დაგვარად. 73) რუსეთის მთავარ მართებელი, დანიშნული უმაღლესის მთავრობისაგან, ყურს უნდა უგდებდეს, რომ ავტონომიურმა მმართველობამ მტკიცედ შეასრულოს პარლამენტისაგან გამოცემული კანონები. 74) ვერც ერთი საქართველოს შესახები რუსეთის სახელმწიფოს აქტივერ გამოცხადდება, თუ რომ რუსეთის მთავრობასთან გაგზავნილი ქართველი წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის ნდობით აღჭურვილი, ამ აქტის თანხმა არ იქნება და ზედ ხელს არ მოაწერს

ამ პროგრამაში ბევრი რამ არის საყურადღებო. პროგრამა წინდაწინ არა სწყვეტს საქართველოს საზღვრებს, ავტონომიას ანიჭებს რუსეთის სხვა ერებთან შეკავშირების უფლებას, და წამოყენებული აქვს სრულიად ახალი საკითხი საქართველოს ელჩის ან ემისარის შესახებ რუსეთის მთავრობასთან. ასე გადასწყდება საქმე თუ ისე, ეტყობა, რომ პროგრამის შემდგენელნი სცდილობდნენ ყველა პრაქტიკული საკითხი გამოესახათ ცალკე მუხლებში. ამ საქმის მნიშვნელობა მომავალში უფრო აშკარად აღმოჩნდება.

1906 წლის განმავლობაში მომხდარ ამბების სიაში უნდა იქმნას აღნიშნული რეფერატები, წაკითხული ავტონომიის შესახებ ბ. გვაზავას და ვარ. ჩერქეზიშვილის მიერ. ჩერქეზიშვილის რეფერატი აუტანელ პირობებში იკითხებოდა. აუდიტორიამ სოციალ-დემოკრატიების მეთაურობით, ისეთი აურზაური შეჰქმნა, რომ თავმჯდომარემ გ. ლასხიშვილმა, როდესაც კამათი გაიმართა, უარი სთქვა თავმჯდომარეობაზე და რეფერენტთან ერთად დარბაზი მიატოვა. ეს მოხდა 4 ივნისს 1906 წელს ქალაქის სამმართველოს დარბაზში. საარტიტო საზოგადოებაში შეკრებილი ხალხი უფრო თავდაქერით მიეგება ბ. გვაზავას რეფერატს და კამათს აქ უფრო დამკვიდრებული ხასიათი ჰქონდა. ავტონომიის წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ ერთის მხრივ სოციალ-დემოკრატიები, მეორეს მხრივ სომხის ბურჟუაზიის წარმომადგენელნი. ამავე ხანში იური-

დიულ საზოგადოებაში თ-დ გ. თუმანოვა წაიკითხა რეფერატი: „სახელმწიფო სათათბიროს მნიშვნელობა კავკასიისათვის“. აქაც უმთავრესად საქართველოს ავტონომიის საკითხი იყო საკამათო საგანი. და მოწინააღმდეგეთა შორის გამოვიდნენ მარტო სომხის ბურჟუაზიის წარმომადგენელი. ამ მოწინააღმდეგების აზრი საინტერესო უნდა იყოს ჩვენთვის, ამიტომ მივაქციოთ ამ კამათს მეტი ყურადღება.

ორატორების რიცხვი ორ ჯგუფად იყოფებოდა. ერთის მხრივ იყვნენ ქართველი ავტონომისტები, რომელთაც არ აინტერესებდათ საერთო კავკასიის თვითმმართველობის საკითხი, მეორეს მხრივ იყვნენ სომხის ბურჟუაზიის წარმომადგენელი, რომელნიც ხაზს უსვამდნენ კავკასიის ავტონომიის დაფუძნების საჭიროებას, საქართველოს ავტონომიის საკითხს კი ან სრულიად უარჰყოფდნენ, ან აფუჩქებდნენ და უმნიშვნელოდ ხდიდნენ. ბ-ნი გვაზავა ამტკიცებდა „აღმოსავლეთსა და დასავლეთ კავკასიის შორის საერთო საქმე არ არის“, განკერძოება კი დიდიაო. დასავლეთ კავკასიაში (საქართველოში) მუშათა საკითხი მომწიფებულია, აღმოსავლეთში კი არა. საქართველოში საეკლესიო საკითხს დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ, სომხები და მაჰმადიანები კი „კლერიკალიზმით არიან გაჟღენთილები“. ქალი მამაკაცთან განანასწორებულია საქართველოში, აღმოსავლეთში ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზეა ქალის უფლებრივი მდგომარეობაო. და სხვა და სხვა.

ბ-ნი ვერმიშევი, კავკასიის ავტონომიის მცველი და საქართველოს ავტონომიის უარყოფელი, თავის მხრივ ამტკიცებდა, რომ „ბევრია საერთო საკითხი კავკასიის ერებისთვის“. კავკასიის ერთი კუთხე აწვდის მეორეს საქონელს, მუშა ხალხი ვრცელ ტერიტორიაზე თავისუფლად შოულობს სამუშაოს. საერთო უნდა იყოს კავკასიის მკვიდრთათვის მფლობელობა და სარგებლობა წყლებისა, გზებისა და სხვა. „თვითვეულებს ცალკე გაუჭირდება კულტურულ ცენტრის შექმნა. ასეთი ცენტრია უკვე ტფილისი“. ამაზე ბ-ნმა გვაზავამ ისა სთქვა, რომ ის, რაც ბ-ნ ვერმიშევს საერთო ინტერესებათ მიაჩნია — უნივერსიტეტი, რკინის გზები, მინდვრების მორწყვა და სხვა, კავკასიის ავტონომიის კომპეტენციას კი არ უნდა შეადგენდეს, არამედ სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოების კომპეტენციას. „რაც შეეხება მუშების ერთი ადგილიდან

მეორეში გადასვლას, არ მესმის საქართველოს ავტონომია რითი შეუშლის ამას ხელს, ავტონომიას რკინის კედლები ხომ არ ექნება შემოვლილი, საზღვარზე დამოყნა და შეიარაღებული ჯარი ხომ არ იქნება დაყენებულიო“? ყველა ამ საკითხის გარდა ენის ხმარების საკითხმაც გამოიწვია უთანხმოება. რა ენით უნდა ელაპარაკნენ ერთმანეთს დეპუტატები კავკასიის სეიმშიო? „საკვირველია ღმერთმანი, ბრძანებდა ბ-ნი დოღუხანოვი, რა თქმა უნდა რუსული ენით ილაპარაკებენ. ნუ თუ ქართველებს ასი კაცი არ ეყოლებათ რუსულის მცოდნე სეიმში გასაგზავნად“. ბატონმა გვაზავამ იწყინა ეს. „ეგებ ხალხი თავის ინტერესების დასაცავად რუსული ენის მცოდნეს არა ჰგზავნის და მაშინ ხომ ბაბილონის ენის არევა გამოვაო“. მაგრამ კრებაზე სხვა მოსაზრებაც იყო წამოყენებული. ვექილი ადელხანოვი ამბობდა: „რა დროს საქართველოს ავტონომიაა, როდესაც მთელი აღმოსავლეთი შეერთებას აპირებს! მაჰმადიანთა ქვეყნები პანისლამიზმით იჟღენთებიან და დღეს თუ ხვალ ქრისტიანულ დასავლეთზე წამოვლენ იერიშითო“. ბ-ნი ალიბეგოვი ბრძანებდა: ავტონომიის განხორციელება შეუძლებელია, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი სხვა და სხვა ერი სცხოვრობს: გურულები, იმერლები, მეგრელები და ქართველებიო. ამ უკანასკნელმა სიტყვამ ძალიან ააღელვა აუდიტორიის ქართველი ნაწილი და ასტყდა აურ-ხაური. ბოლოს 29 აპრილის სხდომაზე იურიდიულმა საზოგადოებამ შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: „კავკასიის იურიდიული საზოგადოება, სცნობს რა, რომ კავკასიის ერებს უფლება აქვთ მიიღონ **ნაციონალ-კულტურული ავტონომია**, ამასთანავე სცნობს, რომ საქართველოსთვის სასურველია და ეხლავე განსახორციელებლად შესაძლებელი **ნაციონალურ-ტერიტორიალური ავტონომია**“¹⁾.

ეხლა აქ მოყრილ ცნობას რომ დავაკვირდეთ, არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ ჩვენს წინ ფრიად საინტერესო მოვლენა იშლება. ქართულმა ბურჟუაზიულმა წრეებმა ხმა ამოიღეს და მხურვალე მოსარჩლედ გამოვიდნენ საქართველოს ავტონომიისა. მუნიციპალიტეტების მოხსენებებში, თავად-აზ-

1) კრების სხდომების ანგარიში იხ. „ცნობის ფურცელში“ №№ 13, 17, 18, 24. 1906 წ.

ნაურთა ადრესში¹⁾), იურიდიულ საზოგადოების რეზოლუცი-
ში—ყველგან აღიარებულია ეროვნულ ავტონომიის პრინცი-
პი, ხოლო იმისთანა ავტონომიისა, რომელსაც საზღვრები
შეკრული არ ექმნება, არამედ თავისუფალი ვაჭრობა-მრეწვე-
ლობის განვითარებისათვის. აქ ადამიანი უნებლიედ ჩაფიქრ-
დება. რა სარგებლობას მოუტანს ამ გვარი გახსნილი ავტო-
ნომია ქართულ ბურჟუაზიას? ან იქნება იგი ერის ინტერესე-
ბის მოსარჩლეთ გამოდის? სენტიმენტალიზმისა და დიდსუ-
ლოვნობის გაზვიადება პოლიტიკაში არ ვარგა. თუ რომე-
ლიმე კლასი განსაზღვრულ პოლიტიკურ ფორმის შემოღე-
ბით შესამჩნევად ზარალშია, იგი არასოდეს არ გამოაცხადებს
თავის თანხმობას მისთვის საზარალო წყობილებების შემოღე-
ბაზე. ამიტომ ჩვენა გვგონია, რომ ქართულ ბურჟუაზიის
აზრით მას, როგორც ჯერ კიდევ ნორჩ კლასს, ავტონომია
ვნებას კი არ მოუტანს, არამედ სარგებლობას. მართალია,
იგი დამოუჩენების აშენებას არა სცდილობს და კიდევაც რომ
ააშენოს, უცხო კაპიტალი, როგორც უფრო ძლიერი, ყო-
ველთვის სძლევს მას ეკონომიურ ნიადაგზე; მიუხედავად ამი-
სი, ავტონომიის შემოღებით იგი მაინც ზარალში არ იქნება,
რადგან ეროვნების კულტურულად აღორძინებას, რაიც შე-
დები იქნება ავტონომიურ წეს-წყობილებისა, აუცილებლად
მოჰყვება ქართველ ბურჟუაზიულ კლასების გაღონიერებაც.
სწორედ ამასა გრძნობს სომხის ბურჟუაზია და ამიტომ იცავს
კავკასიის ავტონომიას და ებრძვის საქართველოს განკერძო-
ებას. მაშ თუ კამათი ამ ნიადაგზე გადავიტანეთ, ეს იქნება
ერთი ერის ბურჟუაზიის მისევა მეორე ერის ბურჟუაზიაზედ
და საქმე შეფერხდება. ამიტომ ჩვენ იმითი კი არ უნდა ვი-
ხელმძღვანელოთ, ხაზარალოა თუ სასარგებლო ამა თუ
იმ ერის ბურჟუაზიისათვის ავტონომიის შემოღება, არა-
მედ იმითი, რამდენათ საჭიროა იგი ქართულ კულტურის
განსავითარებლად. შეიძლება ამ კულტურის განვითარების
ხანაში სარგებლობა ნახოს ქართველმა ბურჟუაზიამ, ხოლო
ზარალი სომხის ბურჟუაზიამ, მაგრამ ამ კრიტერიუმის ძალას
იმ ჯგუფებისათვის, რომელნიც პრინციპიალურად ბურჟუა-

1) ეს ადრესი თავის შინაარსით დემოკრატიულ პრინციპებს ემ-
ყარება, ამიტომ თავად-აზნაურულ ინტერესების გამომსახველად არ
ჩაითვლება.

ზიულ იდეოლოგიის გარედ დგანან, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. აგრეთვე მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმ გარემოებასაც, თუ სხვა პოლიტიკურ პირობებში, ავტონომია ხელსაყრელი გახდება სომხებისათვის და საზიანო ქართველ ბურჟუაზიისათვის. შეუძლებელია საკითხის დაყენება ისე, როგორც იგი იყო დაყენებული იურიდიულ საზოგადოებაში ორატორთა მიერ, ე. ი. ან საქართველოს ავტონომია, ან კავკასიის ავტონომია და ერთი და მეორეც ერთად მოუთავსებელია. ჩვენ თავდა-პირველად საქართველოს ავტონომიისათვის ვმუშაობთ, მაგრამ ვგ ჩვენი მუშაობა ხელს არ უნდა უშლიდეს მთელ კავკასიისათვის მუშაობას. საცა ერთ ტერიტორიაზე მეზობლად და არეულად რამდენიმე ერი სცხოვრობს, იქ მათ საცხოვრებელი წეს-წყობილებაც მათის საერთო ინტერესების მოდარაჯე უნდა იყოს. ამგვარ დარაჯად იქნება კავკასიის ფედერაცია. საქართველოს ერთეულის მოწყობიდან გამომავლთ, თუ კავკასიის ავტონომიის ნიადაგზე ვიდგებით, ეს სულ-ერთია. ცხოვრება გვაიძულებს ერთმანეთისაკენ ვიბრუნოთ პირი და საერთო ინტერესების დაცვისათვის შესაფერი ორგანოები გავიჩინოთ. ვინც ამბობს, საერთო ინტერესები არ გვაქვსო, ის ან ცხოვრებაში დაკვირვებული არ არის, ან კიდევ ხელმძღვანელობს ვიწრო ნაციონალურის გრძნობებით. ხოლო არც ის არის მართალი, ვინც აქაოდა საქართველოს საერთო ბევრი რამა აქვს და ნარჩენ კავკასიასთან, კერძოდ ქართულ ინტერესებს და მათ განსაკუთრებულ ორგანოებით დაკმაყოფილების საჭიროებას არა ჰხედავს. საჭიროა არა მარტო დეცენტრალიზაცია რუსეთისა, არამედ დეცენტრალიზაცია კავკასიისაც. ყველა ამას ჩვენ ქვემოდ დავუბრუნდებით, ეხლა კი აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, რომლის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება.

მოთხრობილ ფაქტების გრძელ სერიიდან გამოსჭვრეტს ერთი აზრი. ყველა, ვინც კი ავტონომიის მოსარჩლედ გამოხსულა, იხსენიებს საქართველოს ისტორიულ უფლებებს და ზოგიერთი იმედსაც აცხადებს, რომ, სხვათა შორის, ამ უფლებათა ძალითაც უნდა მიენიჭოს საქართველოს ავტონომია. დავაკვირდეთ საგანს. 1783 წელს საქართველო საერთაშორისო ტრაქტატით შეეკვრა რუსეთს. ტრაქტატი არ აასრულეს. ვინ უნდა იყოს ამ უსამართლობის აღმადგენელი! პრინ-

ციბის მხრივ აშკარაა, ოგი უნდა იყოს ერთა შორის არსებული და საგანგებოდ დაწესებული ორგანო—სამსჯავრო. და აი ამ პრინციპით შეიარაღებულმა ქართულ საზოგადოების ერთმა ნაწილმა მიმართა პეტიციით ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც მოწვეული იყო 1907 წელს. განზრახვა ორიგინალურია და ამ ორიგინალურ განზრახვის შედეგიც ქკუის მასწავლებელ მასალად გამოდგება! საქმე ასე იყო. გურიის აწიოკების შემდეგ (1906 წელს) ქართველმა ქალებმა პროტესტი გამოაცხადეს და ინგლისის გაზეთში მოწოდება დაჰბეჭდეს იმის გამო, რომ საქართველოში ძალადობას სჩადიან. ამ მოწოდებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ევროპის და რუსეთის პრესა აღაპარაკდა ამ საგნის შესახებ და ინგლისში „საქართველოს დაცვის საზოგადოებაც“ კი დაარსდა. 1907 წელს, როდესაც საქართველოს ისტორიულ უფლების აღმადგენელი მოძრაობა საკმაოდ მომწიფდა, შეადგინეს პეტიცია, რომელსაც 1200 კაცამდე მოაწერა ხელი და გაუგზავნეს იგი ლონდონში ხსენებულ ახლად დაარსებულ „საქართველოს დაცვის საზოგადოებას“. ამ საზოგადოებამ ეს პეტიცია ჰააგის მუდმივ ტრიბუნალის წევრს პროფესორ ნისს (Niss) გაუგზავნა გასასინჯად და მის განხილვის შემდეგ თითო ცალი გაეგზავნა ჰააგაში მოწვეულ საერთაშორისო კონფერენციის წევრებს. დარიგდა სულ 250 ცალი. ასე რომ კონფერენციის გახსნამდე დელეგატებს მიღებული ჰქონდათ პეტიცია და ყველამ იცოდა, რაშიაც იყო საქმე. მაგრამ ეს საკითხი განსახილველ საგანთა სიაში ჩარიცხულ არ იყო და კონფერენციის გახსნის დღეს თავმჯდომარემ ამის გამო ლაპარაკის ნება არავის მისცა. თვით პეტიცია ამგვარად იწყებოდა: „ჩვენ მოქალაქენი საქართველოსი, იმ ქვეყნისა, რომელიც უუძველესს საქრისტიანო დამოუკიდებელ სამეფოს შეადგენდა, სამართლიანობის და ინტერნაციონალურ უფლების სახელით მოგმართავთ თქვენ, განათლებულ ერების წარმომადგენელთ, რომელნიც შეიკრიბნენ ჰააგაში ინტერნაციონალურ მშვიდობიანობის გასამტკიცებელ კონფერენციაზე“. პეტიცია მოუთხრობს დაწვრილებით ისტორიას იმისას, თუ როგორ გადაიქცა საქართველო რუსეთის გუბერნიად. შემდეგ აქცევს ყურადღებას საქართველოს ეროვნულ დაჩაგრვაზე, 1905-1906 წლებში მომხდარ სასტიკ ამბებს. პეტიცია ამნაირად არის დამთავრებული: „თქვენს დახმარებას ვითხოვთ,

რათა დავიბრუნოთ ჩვენი უფლებანი 1783 წ. ტრაქტატში გამოსახულნი, რომელნიც უზრუნველყოფენ ჩვენს ტერიტორიას და ეროვნულ ავტონომიას რუსეთის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ.¹⁾ ერთის სიტყვით, პეტიცია ევროპის ჩარევას ითხოვდა რუსეთის შინაურ საქმეებში, რადგან საქართველოს მდგომარეობა დღეს რუსეთის „შინაური საქმეა“ და სხვა არაფერი. მართალია, მას ხელში ტრაქტატი უჭირავს, მაგრამ ვინ არის ამ ტრაქტატის მცველი? თეორიულად ინტერნაციონალური სამართალი, პრაქტიკულად კი მარტოოდენ პეტიციონერთა სურვილი. ინტერნაციონალურ სამართალს სახელმწიფოებრივი ძალდატანების უფლება რომ ჰქონოდა, მაშინ შეიძლებოდა მასზე დამყარება, მაგრამ იგი ამ ძალას მოკლებულია, ამიტომ ამ სამართალის რეალური მნიშვნელობა პრობლემატიურია. პეტიციონერებმა ეხლა ეს გამოცდილებით იციან. და თუმცა იმედს არა ჰკარგავენ საბოლოო სამართალის გამარჯვებისას, მაგრამ ევროპისაგან შველას, მგონი, აღარ ელიან. ეგეც კარგი გაკვეთილია. მაგრამ, ჩვენი მხრივ ერთი რამ უნდა ვსთქვათ. ავტონომისტებს ისტორიული უფლებრივი დოკუმენტი მაინც ხელში უნდა ეჭიროთ არა ინტერნაციონალურ სამსჯავროში წარსადგენად, არამედ რუსეთის პარლამენტში საბრძოლველად. პარლამენტი უფლების გამამტკიცებელი ასპარეზია. ამიტომ იურიდიული საბუთი არსად ისე არ გამოდგება, როგორც პარლამენტის ტრიბუნაზე. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ფინლიანდია ყოველთვის ამ უფლებრივ ნიადაგზე იდგა და მეცნიერნიც კი აალაპარაკა ფინლიანდიის ხელ შეუხებელ ავტონომიურ სახელმწიფოების შესახებ. ჩვენი მდგომარეობა ამ მხრივ უფრო რთულია. საქართველო გადახლართულია სხვა ერების ცხრვრებასთან. ხოლო ეს გარემოება სრულიად არ უკარგავს იურიდიულ ძალას ხელშეკრულობას რუსეთთან.

ამითი გავათავებთ იმ ფაქტების აღნუსხავს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საქართველოს საზოგადოებრივ წრეებში და ახლა ისევ დავუბრუნდეთ უკიდურესებს, განსაკუთრებით, სოციალ-დემოკრატებს და ავადვენოთ თვალი იმ საგულისხმო ევოლიუციას ეროვნულ კითხვის გადაწყვეტაში, რომე-

¹⁾ L'indépendance, Belge 29 juin, 1907.

ლიც ხდება ამ წრეში უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში.

6

1907 წლის განმავლობაში ისევ ძველ ჰანგებს დამღერიან სოციალ-დემოკრატი პუბლიცისტები. ჯერ ხნობით არა სჩანს არავითარი სურვილი საგანში უფრო ღრმად ჩახედვისა და დაძველებული არგუმენტები ავტონომიის წინააღმდეგ ისე გაცვდნენ, რომ სწორედ სიბრალოურს აღვიძებდნენ ადამიანის გულში იმ საზოგადო მოღვაწეებისადმი, რომელნიც არავითარ ორიგინალობის უნარს არ იჩენდნენ და ისევ ძველ სიმებს აჟღარუნებდნენ.

ამ მოსაწყენ და დახავსებულ მელიოდიათა სიაში უნდა იქმნეს აღნიშნულნი ბ-ნი ირაკლი წერეთლის წიგნაკი „ისტორიული წერილები“, სადაც, სხვათა შორის, შემდეგ ხასიათის აზრებს შეხვდებით: „რას წარმოადგენს ეს ნანატრი ავტონომია? — გვეკითხება ბ-ნი წერეთელი: — არის ეს მოთხოვნა ყველა რუსეთში მცხოვრებ ერის სრულ პოლიტიკურ და მოქალაქობრივ გათანასწოებისა? მოთხოვნა ყველა ერისთვის (და მაშასადამე, ქართველებისათვისაც) სამშობლო ენის თავისუფლად ხმარების უფლებისა ყველა ადგილობრივ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამოსამართლო დაწესებულებებში და სამშობლო ენაზე განათლების მიღების უფლებისა? არა... ფედერალისტების ავტონომია სულ სხვა ჯურის რამ არის და სულ სხვა მიზნისათვის არის დანიშნული. „საქართველო ქართველებისათვის“ — აი მოკლეთ მათი ეროვნული მოთხოვნების შინაარსი... მათ სურთ ქართული ენა, ქართული სასამართლო, ქართული კანონი გაამეფონ ყველა მცხოვრებლებისათვის. ეროვნული თანასწორობა კი არა, ეროვნული პირველობა სურთ მათ ქართველებისთვის საქართველოს საზღვრებშიო“¹⁾).

ყველა ამის წინააღმდეგ ამ უამად არას ვიტყვით. ჩვენ-გან ნაამბობი ფაქტები მკითხველს უტყუარ იარაღს მისცემს იმის გასაგებად, რამდენად საძარტლიან საზომით ზომავდნენ საზოგადოებრივ მოვლენათ სოციალ-დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენელნი, ისეთნი, რომელნიც დღესაც დევნილ-

1) „ისტორიული წერილები“, გვ. 19, 20. 1907 წ.

ნი და გაწამებულნი არიან. უნდა ვსთქვა, რომ პირადად ჩემთვის, ყოველთვის დარჩება გამოუცნობელ ფსიხოლოგიურ საიდუმლოებად ის გარემოება, თუ რატომ და როგორ უნდა იცრუოს იმისთანა კაცმა, რომელიც სიცოცხლეს არა ჰზოგავს ბოროტებასთან ბრძოლაში და რომელსაც ამიტომ გულწრფელობა არ უნდა ჰქონდეს დახშული. აშკარაა, პარტიულ ვნებას უნდა ეჭიროს ამ საგნის გამორკვევაში ფრიად დიდი ადგილი. ეს აზრი უფრო თვალსაჩინო გახდება ჩვენთვის, მეორე მებრძოლის ნაწერებს რომ დავაკვირდეთ. მისი „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმის“ შესახებ სხვა წერილებში ბევრი რამ გვქონდა ნათქვამი. აქ უნდა სხვა მხრიდან აღვნიშნოთ ხსენებული წერილები. ამ წერილების გამოქვეყნებიდან (1908 წელს) იწყება განხეთქილება და რყევა სოციალ-დემოკრატიულ ბანაკში ნაციონალურ საკითხის გადაწყვეტაში. ამ რყევისა და განხეთქილების ისტორიას ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით გავსინჯავთ, ეხლა კი ბ-ნ ან-ის „საოლქო თვითმართველობის“ გეგმას დავაკვირდეთ. ან-ის წერილი „პარტიული ბრძოლა ჩვენში“ ეხება ნაციონალურ საკითხს და თუმცა ავტორი სცდილობს აქ (ვითომდა ფაქტების და ციფრების მეოხებით) უარ-ჰყოს ავტონომია და წინ წამოაყენოს ოლქობრივი თვითმართველობა, მაგრამ მისი „თვითმართველობა“ საეჭვო ხასიათისაა და მკითხველს გულში ეჭვს უბადავს იმის შესახებ, რომ ავტორს მტკიცედ არა აქვს განსაზღვრული ავტონომიის და თვით-მართველობის მცებანი.

ბ-ნი ა-ნი ირაკლი წერეთლისავით იმ აზრისაა, რომ „საქართველოს ნაციონალური ავტონომია, რა გინდ დემოკრატიული იყოს იგი, წარმოადგენს ქართულ ნაციონალიზმის დიდებულ გამარჯვებას და ამიერ კავკასიის ერთა შორის ნაციონალური ბრძოლის დაკანონებას“. 1) ფედერალისტების მისწრაფებაა „ქართველობის გაბატონებულ კლასების მმართველ კლასად გამოცხადება, ხოლო ამ კლასების პრინციპი კი სხვა ნაციის წინააღმდეგ გალაშქრება, სხვა მასზე უფრო სუსტი ნაციის დევნაა“. 2) „ფედერალისტებს სახეში აქვთ მართო ქართველი ერი და მით ემსგავსებიან ყველა

1) „ცხოვრების სარკე“, № 10, 1908.

2) *ibid*, № 9.

ერის როგორც დამორჩილებულის ისე გაბატონებულის ნაციონალისტებსა“ (იქვე.)

ვინც ჩვენ მიერ წინად ნათქვამს თვალ-ყურს ადევნებდა, იმისთვის ეჭვი არ უნდა იყოს, რომ ირაკლი წერეთელიც და ბ-ნი ა-ნიც სიმართლეს ღალატობენ და ფაქტებს ამახინჯებენ. რომ „ფედერალისტებს“ მარტო საქართველო არა აქვთ მხედველობაში, ამისი მაჩვენებელი, სხვა რომ არ იყოს, თვით ამ პარტიის სახელწოდებაა. ფედერალიზმი—ერთა კავშირია და ვინც ამ პრინციპს აღიარებს, იმისთვის სავალდებულოა სახეში მიიღოს ყველა იმ ერთა ინტერესები, რომელნიც შედიან ფედერაციაში. იმ პროგრამაში, რომელიც დამტკიცდა პარტიულ კრების მიერ ღვინობისთვეში 1907 წელს, სხვათა შორის ამგვარი მუხლებია: 12. სრული თანასწორობა სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებებისა, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. 14. ფართო საკანონმდებლო და საადმინისტრაციო დეცენტრალიზაცია; სახელმწიფოს ფედერატიულად მოწყობა. ფედერაციის შემადგენელ ნაწილებს უფლება აქვთ შეადგინონ დროებით ან სამუდამო კავშირები საერთო საქმეების გასაძღოლად.¹⁾ მაშასადამე, ფედერალისტებს არა თუ თავიანთი მეზობლები, არამედ მთელი რუსეთის წყობილებაც აქვთ სახეში, როდესაც ისინი სჯიან პოლიტიკურ ცხოვრების განახლებაზე. ყოველივე ეს ბ-ნმა ან-მა კარგად იცის, რადგან 1907 წლის წინადაც ბევრი ლაპარაკი იყო ამ საგნის შესახებ, მიუხედავად ამისა მაინც არ თაკილობს და არც საკადრისსაბუთებს ხმარობს თავის პოლიტიკურ რწმენის გასამარჯვებლად. მაგრამ ჩვენ უკვე ისიც ვიცით, რომ სხვა ერების დაჯაბნა არც ნაციონალ-დემოკრატების მიზანია. მათ პროგრამაშიაც, რომელიც უკვე გავაცანი მკითხველს, ვკითხულობთ, რომ „ავტონომიურ საქართველოში უნდა დამყარდეს სამოქალაქო თავისუფლება და ხელშეუხებელ იქმნეს ეროვნული უფლება უმცირესობისათვის“. ამაზედაც მოიყრუა ყური ჩვენმა მოწინააღმდეგემ. მაგრამ შეიძლება სთქვან: რაც გინდ მუხლი ჩასწეროთ თქვენს პროგრამაში, საქართველოში ქართველები მხოლოდ მცირე უმრავლესობას წარმოადგენენ და

1) ს. ს.-ფ.-ს 3-ის პროგრამა და წესდება, გვ. 7.

თუ მათ ხელში გადავიდა მართვა-გამგეობა უმცირესობის ინტერესი კანონის მიუხედავად შეილახებაო. ეს საგანიც მხედველობაში მიღებული იყო ს.-ფედერალისტების მიერ და ამაზედაც იმ გვარ პასუხს იძლეოდნენ ისინი, რომლის უყურადღებოდ დატოვება შეუწყნარებელია ბ-ნ ან-ის მიერ ამ საგნის გარჩევის დროს. იმ ხანებში გაზეთ „ამირანში“ დაბეჭდილი იყო ერთი საყურადღებო მოხსენება, რომელიც წაკითხულ იქმნა ს.-ფედერალისტთა წარმომადგენლის მიერ რუსეთის ნაციონალურ-სოციალისტურ პარტიათა კონფერენციაზე. მოხსენების სათაური შემდეგია: „აგრარული საკითხი საქართველოში და მისი კავშირი ნაციონალურ და ოლქობრივ ავტონომიის საკითხთან“. აი ამ მოხსენების ზოგიერთი საყურადღებო ადგილები:

„დედამიწის ზურგზე ისეთი მხარე არ არის, რომელიც მთლიანად ერთ-გვარ ხალხით იყოს დასახლებული... 2.109.673 სულიდან (ორივე სქესისა), რომელიც საქართველოს მიწა-წყალზე სცხოვრობს, თვით ქართველობა 1.400.048 სულია, რაც 66,4% ან მთელის მოსახლეობას ორ მესამედზე ცოტა მეტს შეადგენს... მოსახლეობის ხასიათის ქეშმარიტ მაჩვენებლად, ეჭვს გარეშეა, ქალაქები კი არ უნდა ჩაითვაღწნენ, რადგან მათ საერთაშორისო ელფერი აქვთ, არამედ მაზრები და სოფლები. თუ საკითხს ამ თვალ-საზრით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ზემოდ-ჩამოთვლილ ადგილებში სოფლელი 1.786.961 სულია ორივე სქესისა. ამ საერთო რიცხვიდან ქართველები შეადგენენ 1.280.771 სულს ანუ 72%₁₀-ს. მაშასადამე, სხვა ეროვნებანი, ყველანი ურთად აღებულნი, ვერ შეადგენენ ერთ-მესამედსაც ანუ 28%₁₀-ს. აწინდელ ადმინისტრაციულ დანაწილებით საქართველო 20 მაზრად და ოლქად არის დაყოფილი. ამ რიცხვიდან 16 მაზრის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ. ამ მაზრებში 1.416.442 სულია ორივე სქესისა. აქედან—1.228.091 სული ანუ 81%₁₀ ქართველობაა. დანარჩენ ოთხ მაზრიდან ერთი მაზრა, სახელდობრ ბორჩალოსი, არეულ ხალხოსნობითაა დასახლებული, ამასთან სხვებს სკარბობენ სომხები, თუმცა ისინიც ნახევარზე მაინც ნაკლებნი არიან. სახელდობრ 35 %₁₀. ახალქალაქის მაზრაში სკარბობენ სომხები 72%₁₀. ზაქათალის ოლქში--ლეკები 49%₁₀. რაც შეეხება სოხუმის ოლქს, იქ უმრავლესობას აფხაზები შეადგენენ

58,5%-ს... ამ პირობების მიხედვით მოხსენება სამ შესაძლო კომბინაციას აღიარებს ტერიტორიის გამიჯვნის საკითხში: 1. თუ საქართველოს მომავალ ავტონომიაში ზემოდ დასახელებული 20 მაზრა და ოლქი შევა, მაშინ ცხადია, არეულ ეროვნებით დასახლებულ მაზრათა (სახელდობრ ბორჩალოსი, ახალქალაქისა, ზაქათალისა და სოხუმისა, რომლებშიაც უმეტესობას სომხები, თათრები, ლეკები და აფხაზები შეადგენენ) ინტერესები მოითხოვენ, რომ იქაურ ხალხებს მიეცეთ საქართველოს ავტონომიისადმი ისეთივე ავტონომიური თავისუფლება შინაურ საქმეების გადაწყვეტისა, როგორც ექნება საქართველოს ავტონომიას რუსეთის სახელმწიფოსადმი. თუ საკითხს ამრიგად დავაყენებთ, მაშინ შეიძლება აქ ჩამოთვლილმა წრებმა დარჩენა ისურვონ და ერთი საერთო ავტონომიური სახელმწიფოებრივი ერთეული შეადგინონ. 2. თუ ზემოდ დასახელებულ სამი მაზრის სახალხო პლებისციტი საქართველოს ავტონომიიდან გამოყოფას გადასწყვეტენ, ან თუ ეს პლებისციტი მიეკედლება იმ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიებს, რომელიც შეიძლება ამიერ-კავკასიაში განხორციელდეს (მაგ. სომხური, თათრული და სხვა), ან კიდევ თუ ცალკე დამოუკიდებელ უფლებრივ სახელმწიფოს შედგენას მოინდომებს, რომელიც ამიერ-კავკასიის სხვა ავტონომიებთან ამა თუ იმ ფორმით იქნება დამოკიდებული, მაშინ საქართველოს ავტონომიაში 16 წმინდა ქართული და ერთი შერეული პროვინცია შევა, ამასთან ამ უკანასკნელს შეეძლება თავისთვის მოითხოვოს მმართველობის განსაკუთრებული ფორმა, ისეთი ფორმა, რომელიც მის მოსახლეთა სურვილს და ინტერესებს უფრო შეეფერება. 3. ბოლოს—ქართული ეროვნული ტერიტორიალური ავტონომია შეიძლება წმინდა ქართულ ოლქებისაგან შესდგეს, ისე რომ არავითარი შერეული ოლქი მასში არ შევიდეს. შერეულ ოლქს შეუძლიან მიიღოს რამენაირი დამოუკიდებელი მმართველობის ფორმა. ასეთია საქართველოს ავტონომიის პრობლემის გადაწყვეტა. ამ სამ გადაწყვეტაში, რომელსაც ობიექტიური პირობები გვიკარნახებენ, რომელი უფრო პრაქტიკული, სამართლიანი და ხალხის უმრავლესობის ინტერესების გამოსადეგი იქნება, ეს ეროვნებათა თანხმობამ და საქართველოს ავტონომიის დამფუძნებელ კრების მიერ საკითხის ყოველმხრივმა და დეტალურმა განხილვამ უნ-

და გვაჩვენოს. ყოველ შემთხვევაში, როგორც უნდა გადაწყვიდეს საკითხი, ზემოდ დასახელებული ფაქტები თვალნათლივ გვარწმუნებენ, რომ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიის შექმნა და მისი გადაწყვეტა შესაძლებელია“¹⁾.

ეს დოკუმენტი გამოქვეყნებული იყო 5 მარტს 1908 წელს, ბ-ნმა ან-მა კი თავისი წერილი დასტამბა 2 მაისს 1908 წელს, ე. ი. ორი თვის შემდეგ. თუ ბ-ნ ან-ს მართლა აინტერესებდა საგანი, მას უნდა გაეწია ანგარიში ამ დოკუმენტისთვის. ეს დოკუმენტი, კერძოდ ჩვენის აზრით, ტერიტორიის საკითხს ვერა სწყვეტს. აქ არა-ქათველთა ინტერესების დაცვა ისე უორს მიდის, რომ თითქოს სჯაბნის ქართველთა ინტერესებს, ბ-ნი ან-ი კი მაინც ამბობს, „ფედერალისტებს სახეში აქვთ მარტო ქართველობა, მარტო ქართველი ერიო“. სინილისიც კაი საქონელია! ვარწმუნებ ბ-ნ ან-ს, რომ ამ „ხასიათებს“ თავი თუ არ დააღწია, დადგება დრო, როდესაც მის ნალაპარაკებს პრესა არავითარ ანგარიშს აღარ გაუწევს, რადგან პრესა არც ჯიროთობაა, არც მასხარაობა და არც მკითხველის აბუჩად ამგდები ასპარეზია!

ასეა თუ ისე, ბ-ნი ან-ი ჰგმობს ავტონომიას და წინაყენებს ამიერ-კავკასიის საერთო თვითმმართველობას. ვნახოთ, როგორია ეს თვით-მართველობა და როგორა სწყვეტს იგი ეროვნულ საკითხს. ეროვნული საკითხი კი, ჩვენი პუბლიცისტის აზრით, არის საკითხი ნაციის, ენის და ტერიტორიის შესახებ. ამიერ-კავკასიის თვითმმართველობის ორგანო იქნება სეიმი. ამ სეიმის კომპეტენციას ავტორი საზღვრავს ამნაირად: „ჩვენ ამ კომპენტენციის საგნად ვხდით ისეთი კითხვების გადაჭრას, რომელსაც კავშირი აქვს ენასთან და ტერიტორიასთან. მაშასადამე, თვითმმართველობის განკარგულებაში უნდა დარჩეს მთელი ადგილობრივი ტერიტორია. აქაური მიწა-ადგილი ადგილობრივ მცხოვრებთაც ძლივს ყოფნის, ამიტომ სახელმწიფოს მიერ ყოველგვარი გადმოსახლება ჩრდილოეთის გუბერნიიდან უნდა ხდებოდეს ადგილობრივი მმართველობის ნება ყოფლობით... ერთი სიტყვით, სეიმს უნდა ჰქონდეს უფლება გამოსცეს ისეთი კანონები, რომელნიც აკმაყოფილებენ ადგილობრივ

¹⁾ „აზიზანი“ № 4. 1908 წ.

კულტურულ და ტერიტორიალურ საჭიროებებს და თან არ ეწინააღმდეგებიან საერთო რუსეთის კანონმდებლობას... რაც შეეხება სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობას, ეს იქნება ცენტრალური პარლამენტის საქმე... ეს კომპეტენცია, — დასძენს ავტორი, — დროთა განმავლობაში შეიძლება გაფართოვდეს. ეს დამოკიდებული იქნება ამიერ-კავკასიის ჩამორჩენილ ერთა კულტურულად ამაღლებაზე¹⁾. დააკვირდით ყველა ამას. სხვისა არ ვიცი, მეკი სტრიქონებს შუა ბუნდოვანად ავტონომიის არჩილს ვხედავ. ეს არ არის არჩილი საქართველოს ავტონომიისა, არამედ მართლდენ ამიერ-კავკასიისა. მაგრამ ეგეც დიდი საქმეა, თუ ბ-ნმა ან-მა ოლქებრივი თვითმართველობა ფერმიხდილ ავტონომიად გადააკეთა. ბ-ნ ან-ის გული მიისწრაფვის კულტურულ დამოუკიდებლობისადმი. აქ ავტონომიას არ იხსენიებს; მაგრამ როდესაც ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ გაზეთის რედაქციაში ლაპარაკი აღიძრა იმის გამო, რომ ბ-ნ ან-ი გაცილებით შორს მიდის იმაზე, რასაც ითხოვს პარტია, ბ-ნი ან-ი (შენიშვნაში) სწერს: „პარტიულ დადგენილებაში პოლიტიკური ავტონომია კატეგორიულად უარყოფილია, როგორც საქართველოს, ისე კავკასიის, ხოლო კულტურულ ავტონომიაზე სიტყვაც არ არის შიგ. ასე რომ ეს საკითხი ჯერაც სადისკუსიოაო²⁾“. როგორც ვხედავთ, საქმე მართლა ისე ყოფილა და ქვემოთ ბ-ნ ჩხენკელს წერილებში ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ავტორს „ავტონომიისა“ აღარ ეშინიან და გაბედულად ითხოვს კულტურულ ავტონომიას... საქართველოსთვის. მაგრამ ბ-ნ ჩხენკელს თავის დროზე ვებასოთ. აქ კი კიდევ არის ერთი უცნაური და საეჭვო გარემოება. სახეში მაქვს ტერიტორიის საკითხი. ბ-ნ ან-ს უნდა, რომ ამიერ-კავკასიის ტერიტორია თვით-მართველობის კუთვნილებად გამოცხადდეს. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ბ-ნი ან-ი თვით-მმართველობას იმისთანა საფუძველს აძლევს, როგორც აქვს სახელმწიფო ერთეულს. ავტონომია ხომ შემცირებული სახელმწიფოა, სახელმწიფო კი ემყარება სამ ელემენტზე — აუფლებზე, ხალხზე და ტერიტორიაზე. და ჩვენის აზრით ის თვით-მართველობა, რომელსაც სურს მკვიდრად დამყარე-

1) „ცხოვრების საკვ“, № 10

2) „ხომლი“, 8.

ბა ტერიტორიაზე, ადმინისტრაციულ თვით-მმართველობად აღარ ჩაითვლება, იგი უფრო ავტონომიას უახლოვდება. მართალია, ეს ავტონომია ფეხებ დაბრეცილია, განუვითარებელი და კრძალვიანი, მაგრამ, როგორც ჩვენი ავტორი იმედოვნებს, ამიერ-კავკასიის ზოგიერთი ჩამორჩენილი ერი კულტურულად ამაღლდება და მაშინ ნამდვილი ჯანსაღი და ორივე ფეხზე დამდგარი იქნებაო. მაშ თუ მაგრეა, ბ-ნი ან-ითიქოს პოლიტიკურ ავტონომიის პრინციპიალური წინააღმდეგეც კი არა ყოფილა. იგი საქართველოს კულტურულ ავტონომიას ანიჭებს, ხოლო ამიერ-კავკასიის თვითმმართველობას ტერიტორიაზე აფუძნებს. ეს არის, ჩვენის აზრით, გაუბედავი ნაბიჯი პოლიტიკურ დეცენტრალიზაციისაკენ გადადგმული. ესეც კარგია. ესეც დიდ მნიშვნელოვანი საქმეა, აქედან წარმოსდგა, ერთის მხრივ, ის რყევა და ყოყმანი ავტონომიის საკითხში, რომელსაც ჩვენ დავინახავთ ბ-ნ ჩხენკელის წერილებში და აქედამაც წარმოსდგა ის გაბედული ნაბიჯი ამ საკითხის გადაწყვეტაში, რომელიც გადასდგა ბ-ნ მად—ლმა „ალიონ“-სა და „ჩვენ კვალ“-ში.

7.

„ალიონი“ გამოვიდა 11 მაისს 1908 წელს. ამ ორგანოს გამოსვლა არა ჩვეულებრივი მოვლენა იყო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პირველ ნომრის წაკითხვიდანვე მკითხველმა საზოგადოებამ დაინახა, რომ ს.-დემოკრატიულ წრეებში რალაც ღრმა განხეთქილება მომხდარიყო სარედაქციო წერილში ვკითხულობთ:

„ჩვენ შეურიგებელი მტერი ვართ იმ ხელოვნურ პირობების, რომელნიც ჰქმნიან ერთგვარ იდეურ მონასტერს, რომლის ზღუდეთა შორის სჯკნება შემოქმედებითა ნიჭი, კვდება თავისუფალი აზრი და გაბედული ინიციატივა. ერთი სიტყვით, ჩვენ ვდგევართ კრიტიკის ნიადაგზე... კარგად გვესმის, რომ ჩვენი ასეთი პოზიცია ძალიან არ მოეწონებათ იმ პირებს, რომელთაც საბოლოოდ შეუსისხლხორცებიან აზროვნების ძველი ფორმები და მოქმედების ძველი წეს-რიგი. ეს პირნი ჩვენს წინააღმდეგ მოურიდებლად ამხედრდებიან კიდევ...“¹⁾

როგორც ხედავთ, „ალიონი“ საომრად გამზადებულია

1) იხ. „ალიონი“ № 1.

„აზროვნების ძველი ფორმების და მოქმედების ძველი წესრიგის“ მოტრფიალეთა წინააღმდეგ. „ალიონი“ ფეოდალებს და ბურჟუებს კი არ ჰგულისხმობდა, არამედ თავისავე ამხანაგებს — ს.-დემოკრატებს. ყოველივე ეს თანდათან გამოირკვა მკითხველ საზოგადოებისათვის. სარედაქციო წერილის ბოლოში კი ემცნო მკითხველს, რომ რედაქცია:

„მთელი მნიშვნელობით წამოუყენებს შესასწავლად და გადასაჭრელად იმ საკითხს, რომელიც მუშათა პარტიაში დღემდის ერთიანად დაჩრდილული და გვერდზედ მიგდებული იყო. ჩვენ ვამბობთ ნაციონალურ პრობლემაზე. ეს საკირ-ბოროტო საკითხი არის. ეს პრობლემა კი ჩვენში თითქმის დღემდის შეუსწავლელია და, რა თქმა უნდა, მისი გადაჭრაც პარტიის მიერ ვერ იქნებოდა სათანადო. დროა ეს დეფექტიც თავიდან მოვიშოროთ და მით უზრუნველვყოთ მუშათა საქმის ზრდა-განვითარება და ძლევა-მოსილობა.“¹⁾

ყველასათვის აშკარა შეიქმნა, რომ ს.-დემოკრატიულ წრეებში სწორედ ამ ეროვნულ პრობლემის გადაწყვეტის ნიადაგზე მოხდა განხეთქილება და საზოგადოებამ დიდის ყურადღებით აადევნა თვალი ჩვენი ცხოვრების ამ ახალ მოვლენას. ყველა გრძნობდა, რომ ეს-დეკების ცნობიერებაში ხდებოდა რალაც ცვლილება და ამ ცვლილებამ თავდაპირველად თავი იჩინა მათს პრესაში. ეს აღარ იყო „მენშევიკ-ბოლშევიკების“ დავა და შეტაკება. ეს იყო ბრძოლა ეროვნულ პრობლემის ნიადაგზე ცენტრალისტ და ავტონომისტ სოციალ-დემოკრატთა შორის. ეს იყო შინაური მწვავე საგანი, რომლის გადაწყვეტაში ვერ შეთანხმებულან ერთი პარტიის წევრნი.

მართლაც, ყველამ მალე გაიგო, რაშიაც იყო საქმე. „ნაპერწყალმა“, „ხომლმა“ ერთის მხრივ და „ალიონმა“ მეორეს მხრივ საყურადღებო მასალა გამოაქვეყნეს, რომელიც ჯეროვან ნათელსა ჰფენს როგორც განხეთქილების მიზეზს, ისე, მოპირდაპირე ბანაკთა პოზიციას ეროვნულ საკიდხის გადაწყვეტაში. ბ-ნი ან-ი გაზ. „ხომლში“ გვამცნევს:

„როცა მე „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმის პირველი თავი გავგზავნე რედაქციაში დასაბეჭდათ, მე წინ დაწინ ვიცოდი, რომ ლ. დ—ლი მისი თანახმა არ იქნებოდა.

¹⁾ ibid.

არ იქნებოდა იმიტომ, რომ მე წერილში ნაციონალიზმს ვგმობდი, ხოლო ის კი ამისი დიდი მოტრფიალეა. როცა წერილი შენიშვნით გამოუშვა, დიდად გამიკვირდა, ვინაიდან მას ამის უფლება არა ჰქონდა... ლ. დ. რედაქციაში, სადაც ბევრი სხვებიც იყვნენ, მიმტკიცებდა მე და სხვებს—რედაქციის მუშაკთ, წერილში ნაციონალური გრძობა სასაცილოდაა აგდებული, მე ნაცია არ მწამს და სხვა ასეთიო...¹⁾

ბ-ნი ვლ. დ-ლი, თავის მხრივ, გვაწვდის ზოგიერთ განმარტებას ამ საგნის შესახებ. გაზ. „ნაპერწყლის“ ფაქტიურ რედაქტორობის დროს მას ნიადაგის შემზადება უნდოდა ნაციონალურ პრობლემის წამოყენებისათვის.

„ის იყო უნდა შევდგომოდნი ამ პოზიტიურ საქმეს, რომ გარემოება შეიცვალა. მოვიდა ესტაფეტი და გვაუწყა: ეს ერთი ხანია პარტიაში გაჩენილა шатание мысли по национальному вопросу и пора этому положить конец (აზრის რყევა ნაციონალურ საკითხის შესახებ და ამას დროა ბოლო მოელოსო). დაიბეჭდა წერილი „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, მაგრამ ამას დართული ჰქონდა ჩემ მიერ გაკეთებული სარედაქციო შენიშვნაო“...²⁾

აი, ამ შენიშვნას გამოუწვევია მთელი აურ-ზაური, ჰქონდა უფლება თუ არა ბ-ნი დარჩიაშვილს ამ შენიშვნის გაკეთებისა, ჩვენ ეს გარემოება არ გვანტერესებს. ჩვენთვის სინტერესო მხოლოდ ის არის, რომ კმათის გაღვივებისთვის მცირედი მიზეზიც საკმარისია იქ, სადაც უკვე შემზადებულია უთანხმოების ნიადაგი. ეს ნიადაგი კი უკვე არსებობდა ს.-დემოკრატიულ წრეებში, ასაფეთქებელი მასალა უკვე შეგროვილი იყო და ამა თუ იმ სახით უთანხმოება უნდა გამომჟღავნებულყო. ბ-ნი დ-ლი ბრალსა სდებდა თავის ამხანაგებს იმაში, რომ ისინი ნაციონალურ კითხვაში დაჰმარჩილებოდნენ რუსეთელ ამხანაგების გავლენას; იგი ამბობს: „ან-ი ერთმა ჯგუფმა იმ თავიდანვე ხელში ახტაცა საგოგმაზნებლად და მაგრად შებოჭა გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმის არტახებითაო“. ბ-ნი ან-ს ეს ბრალდება ცეცხლს უკიდებს გულში. „მე სხვისი ჩავონებით ვწერ ნაციონალურ კითხვაზე?! მრისხანედ შეუტევს იგი ბრალმდებელს, განაამაზე სა-

1) იხ. ხომლი“ N 8, 1908 წ.

2) იხ. „ჩვენი კვალი“ № 4.

ზიზღარი ქორი კიდევ შეიძლება? განა აქედან არ სჩანს, რა ბრახ-
მორეული ყოფილა ის (დ—ლი). ჩემს შესახებ ამის დამწერი
განა პატარა კაცუნა არ არისო?!) ასე სწყურება ბ-ნი ან-ი,
მაგრამ მისი წყრომა უსაფუძვლოა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ
არამც თუ ბ-ნ ან-ი, არამედ მთელი ქართველი ს.-დემოკრა-
ტია დაემორჩილა გარეშე გავლენას და ნაციონალური სა-
კითხი გადაწყვიტა არა თავის სურვილის და აზრის მიხედვით,
არამედ სხვის ჩაგონების მეოხებით. ჩვენ უკვე ვიცით, რომ
ყოფილი „კავკასიის კავშირი“ აღიარებდა ამიერკავკასიის
ავტონომიას პარლამენტით ტფილისში; ვიცით აგრეთვე
ისიც, რომ ქართველი დელეგატები ს.-დემოკრატთა მეორე
კრებაზე იცავდნენ ამ ავტონომიას; ისიც ვიცით, რომ „კოს-
მოპოლიტიზმის არტახებით“ შებოჭვა მოხდა სწორედ ამ კრე-
ბაზე და სიმართლე მოითხოვს იმის თქმას, რომ ეს არტახები
შემოუჭირეს არა მარტო ბ-ნ ან-ს, არამედ თვით ბ-ნ დ—
ლსაც, არტახების ეხლანდელ მედგარ მოწინააღმდეგეს. მაგ-
რამ დ—ლის სასარგებლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მას
ბოლოს და ბოლოს სული შეეხუთა შებოჭვისაგან და მან
მოინდომა თავის პიროვნების განთავისუფლება. ბ-ნმა ან-მა
კი მორჩილებას არ უღალატა, ხოლო შეპარვით, გაუბედა-
ვად და იქნება შეუგნებლად თავის უკანასკნელ ნაწერებში
შეაპარა „ერეტიკული“ მცნება კულტურულ ავტონომიისა“ 1).
ეხლა ჩვენ უნდა გავშინჯოთ სწორედ ის, თუ რა ნაყოფი
მოიტანა ამ პირველმა შეტაკებამ სოციალ-დემოკრატთა შო-
რის.

აქ გამოდის სცენაზე ახალი მოქმედი პირი—ბ-ნი ჩხენ-
კელი, რომლის ნაწერებს ეროვნულ საკითხის შესახებ გულ-
დასმით უნდა დავაკვირდეთ, რადგან ამ ნაწერებში თვალსა-
ჩინოდა სჩანს ის დიდი რყევა და გამოურკვევლობა, რომელიც
ამ ჟამად სუფევს ქართველ ს.-დემოკრატიაში ნაციონალურ
საკითხის შეგნებაში. ბ-ნ ჩხენკელის წერილების გასინჯვა კი-
დეც იმიტომ არის ჩვენთვის საჭირო, რომ სწორედ ამ წერი-
ლების წინააღმდეგ ვაილაშქრა ბ-ნი დ—ლი, აქ აღიარა და
გამოაშკარავა თავისი ეროვნული credo.

ბ-ნმა ჩხენკელმა ის სამსახური გაუწია ეროვნულ პრობ-
ლემის გამორკვევის საქმეს, რომ ძირი გამოუთხარა ს.-დე-

1) იხ. „ხომლი“ № 8. 1908 წ.

მოკრატულ ეროვნულ პროგრამას. მან შეუძლებლად სცნო ამიერ-კავკასიის საოლქო თვითმართველობის დაარსება დღევანდელ პირობებში. და მანვე გადაჭრით წამოაყენა საქართველოს კულტურულ ავტონომიის საჭიროების საკითხი. ამასთან ბ-ნი ჩხენკელი გულახდილი მწერალია და ხშირად ამბობს იმას, რის თქმასაც ვერა ჰბედავენ მისი ამხანაგები. მაგრამ ს.-დემოკრატულ სკოლაში აღზდილს, მას თავი ვერ დაუხწევია მედიდურობისათვის და გზა და გზა თავის იდეურ მოწინააღმდეგეთა თავზე კაკლის მტვრევა უყვარს. ჩვენი ავტორი აშკარად აღიარებს, რომ ს.-დემოკრატია ეროვნულ საკითხში მრუდე გზაზე იდგა, მაგრამ ამის დამნაშავედ თვით ს.-დემოკრატისა კი არა სახავს, არამედ მოწინააღმდეგეებს. „ნაციონალისტებმა ჩვენც გვავენს რამდენადმე, — ამბობს იგი, — რადგან ისინი ნაციონალიზმის ფორმით ათას-გვარ მტკნარ უაზრობას სჩმახავდნენ, და ისიც მუდამ ს.-დემოკრატის წინააღმდეგ. ჩვენ თითქო აღარ გვეხერხებოდა ნაციონალიზმზე დაკვირვება იმდენად, რამდენად იგი შეიცავს ფრიად სერიოზულ თანამედროვე კითხვას“. 1) არ ვიცი, რამდენად დააკმაყოფილებს ქართველ ს.-დემოკრატის ამგვარი გამოქომაგება, გვგონია კი, რომ მოწინააღმდეგის უაზრო ჩმახვამ არ უნდა დაუშალოს საღი მსჯელობის პატრონს აზრიანი რამ სთქვას საკამათო საგნის შესახებ. აზრს ხომ იქა აქვს გასავალი, საცა უაზრობა სუფევს. მაგრამ ბ. ჩხენკელი სხვანაირად სჯის და ამაში მაინც და მაინც აღარ გამოვეყიდებით, მით უმეტეს, რომ თავის ნაწერების სხვა ადგილში იგი იმისთანა რამესაც აღიარებს დღეს, რასაც მისი მოწინააღმდეგენი დიდი ხანია ამტკიცებდნენ და ჰქადაგებდნენ. ჩვენი ავტორი ამბობს, რომ ჩვენ საზოგადოებაში არც საოლქო თვით-მართველობის, არც ავტონომიის შესახებ არავის საღი წარმოდგენა არა აქვს.

„ხოლო არავინ იტყვს თავს იმაზე თურას წარმოდგენს თვითეული მათგანი საქართველოს კულტურულ პირობებში, ჩვენ სახეში გვაქვს წვრილი, საშუალო, მოზრდილი თვითმართველი ერთეული, როგორიც არის თემი, მაზრა და ოლქი. ს.-ფედერალისტი რომ ვინმემ აიძულოს გამოთქვას მისი გადაჭრილი შეხედულება ამ ხსენებულ ერთეულებზე, იგი უფე

1) „ხომლი“ № 16.

ქველად აკუთნებს უკანასკნელთ მრავალ ისეთ ფუნქციებს, რომელთაც აუცილებლად გულისხმობს აგრეთვე საოლქო ფართო თვითმართველობა. მეორეს მხრივ, ს.-დემოკრატი რომ ვინმე დაწვრილებით ალაპარაკებდეს იმავე თემაზე იგი უეჭველად აკუთნებს ხსენებულ ერთეულებს ბევრ ისეთ ფუნქციებს, რომელთაც გულისხმობს აგრეთვე ავტონომია“. ¹⁾

სრული ქვეშარიტებაა: და ამ ხასიათის არევ-დარევის ნიმუში ამას წინად ბ-მა ან-მა დაგვანახვა თავის საოლქო თვითმართველობის გეგმაში. და ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ამ სიტყვების მთქმელს ბ-ნ ჩხენკელსაც თანა სდევს ეს სამწუხარო სენი და მას, მიუხედავად მის ვითომდა მეცნიერულ შორსმხედველობისა, ერობა ვერ გაურჩევია თვით-მართველობისაგან. „უმწვერვალესად საგულისხმოა; — განაგრძობს ბ-ნი ჩხენკელი, — ამაზე ორივე ბანაკი დაგვეთანხმება, მაგრამ ვინ იღვა თავზე დღემდე მათი საფუძვლიანი შესწავლა და გარკვევა? არავინ“. ²⁾ ოღონდაც! მაგრამ ისიც კია, აბა ს.-ფედერალისტებისგან რა უნდა გამოსულიყო, ისინი ხომ სულ მუდამ რაღაც „უაზრობას სჩმახავდნენ“!? საკვირველი ის არის, რატომ აქამდის თავს არ იღვა ან ბ-მა ჩხენკელმა, ან ერთერთმა მისმა ამხანაგმა საგნის საფუძვლიანი შესწავლა და გამოარკვევა?.. მაგრამ წარსულს თავი დავანებოთ და დაუგდოთ ისევ ყური ბ-ნ ჩხენკელის მოწინააღმდეგეების მგზავსს აღსარებას.

„სწორედ ამ დაუდევრობამ, ამბობს იგი, წარმოშვა ჩვენს კამათში ათასგვარი გაუგებრობა და ბურუსი. დაიჯერეთ, რაც ს.-ფედერალისტი და არც ს.-დემოკრატი არ არის დაინტერესებული იმ გაუგებარ აურზაურში. (თქვენ პირს შაქარი! ა. ჯ.). საჭიროა ამდენი წლის დავის შემდეგ მაინც ნათლად იყვნენ მოყვანილი ის მუხლები, რომელნიც ერთგვარად სწყდებიან საზოგადოდ, როგორც ს.-ფედერალისტების ავტონომიაში, ისე ს.-დემოკრატების საოლქო თვითმართველობაში (საჭიროა, დიდად საჭიროა!). ამ ფრიად საჭირო გამოყოფის შემდეგ ჩვენ დავგრძელებთ ნამდვილი სადა მუხლები, რომელთა დამოუკიდებლად გარჩევა ორივე ბანაკის თვალსაზრისით უმაღლეს სარგებლობას მოუტანს მკითხველებს და

¹⁾ „ხომლი“ № 21.

²⁾ ibid

ხელს შეუწყობს თვით კონხვის საბოლოოდ გადაქრასო.¹⁾
 მკითხველს უნდა დაახსოვდეს, რომ ყველა ამას ამბობს
 დღეს ს.-დემოკრატი. უნდა ახსოვდეს ისიც, რომ ს.-ფედერა-
 რალისტები თავიანთ მოწინააღმდეგეებს იმ თავითვე ეპატი-
 ჟებოდნენ ამ ბარაქიან შრომისათვის, მაგრამ ბურჟსი, გაუ-
 გებრობა, ჯიუტობა ერთმანეთს შორის დიდი იყო და საქმე
 დღემდე ვერ გაჯეთდა. ეხლა კი როდესაც ბურჟსი თითქოს
 იფანტება, გაუგებრობა ნათლდება და ჯიუტობაც სუსტდება,
 ეხლა გვიდგება სწორედ ის დრო, როდესაც უნდა იყოს და-
 წყებული ბ-ნ ჩხენკელის მიერ ნაჩვენები კვლევა-ძიების საფ-
 რთო საქმე. ს.-დემოკრატებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ
 ამ საქმისთვის გვიწვევს მათივე რჩეული ამხანაგი. მაშ თუ
 საქმე ასეა, ს.-დემოკრატიის იდეოლოგიებმა თავი უნდა დაახ-
 წიონ იმ იდეურ წინააღმდეგობას, რომელშიაც ისინი იმ-
 ყოფებიან ამ უამად. ეს წინააღმდეგობა კი თვალსაჩინოა.
 მათ დღემდე არა აქვთ გამორკვეული, თუ რომელი კლასი
 რას ესწრაფვის და რას ემსახურება თავის ინტერესების და-
 საცველად. გაზ. „საქართველოს“ და „ცნ. ფურცლის“ წი-
 ნააღმდეგ მიმართული პოლემიკა იმაზე იყო დამყარებული,
 რომ ეს ორგანოები ავტონომიის წამოყენებით ემსახურებოდ-
 ნენ ბურჟუაზიის ინტერესებს. ავტონომია ბურჟუაზიის გასაძ-
 ლიერებელ იარაღად ითვლებოდა. საზღვარ-გარეშად გამოცე-
 მული წიგნაკი „ქართველი ნაციონალისტები“, გაზ. „მოგ-
 ზაური“, ირაკლი წერეთლის წიგნაკი „ისტორიული წერი-
 ლები“, ბ-ნ ან-ის და სხვათა მრავალი ნაწერი 1908 წლამ-
 დე—ყველა ამ მასალებში გატარებულია ის აზრი, რომ ავ-
 ტონომია მხოლოდ ქართველ ბურჟუაზიას ესაქიროება და
 რომ ს.-ფედერალისტები ამ ბურჟუაზიულ საქმეს ემსახურე-
 ბიანო. 1908 წლიდან კი, ბ-ნ ან-ის „ქართველი ხალხი და
 ნაციონალიზმის“ გამოქვეყნებიდან, იწყება ფრონტის შებ-
 რუნება. აქ, როგორც სხვაგან უკვე გვქონდა ნაჩვენები,²⁾
 ბ-ნი ან-ი სულ სხვა ნიადაგზე დგება და ამბობს: „ჩვენი ყვე-
 ლა თანამედროვე კლასი თავის ინტერესებისთვის საბოლოო-
 ველად იძულებულია ააფრილოს ინტერნაციონალური დრო-
 შა... ბურჟუაზია, ყველგან ნაციონალისტი, ჩვენში ფავიდ-

1) ibid.

2) იხ. „ისტორიის სამართალი“ — „ამირანი № 62

განვე ანტინაციონალისტი გამოდისო“ და აქ ბ-ნ ან-ს მხედველობაში ჰყავს ბურჟუაზია არა მარტო საშუალო, არამედ წვრილიც. ბ-ნი ჩხენკელი ამ აზრს იხვევს ხელზე და ისეთის გულუბრყვილობით ატრიალებს მას მკითხველის წინაშე, თითქოს ს.-დემოკრატიას არასოდეს წინააღმდეგი რამ არ ეთქვას. იგი ამბობს: „ბურჟუაზია, რამდენად იგი უკვე არსებობს დღეს და განუწყვეტლივ ზრდაშია, უმწვერვალესად დაინტერესებულია საქართველოს შიდა რუსეთთან ერთობაში, რომელიც გულისხმობს ცენტრალისტურ პრინციპის უაღრესობას, სახელმწიფოს და მის ცალკე ნაწილების მართვა-გამგეობაში... ეს შეიგნო სომხის ბურჟუაზიამ, ამას შეიგნებს უსათუოდ ქართველი ბურჟუაზიაცო“¹⁾. რაც შეეხება წვრილ ბურჟუაზიას, განსაკუთრებით გლეხობას, აქ ბ-ნი ჩხენკელი თავის ამხანაგს ბ-ნ ან-ს აღარ ეთანხმება და ამბობს: „ამ წვრილ ბურჟუაზიას ან-ი ერთის შეხედვით ინტერნაციონალიზმის მატარებლად სახავს... წვრილი ბურჟუაზიაკი, სანამ ის ემყარება ხელოსნობას, სამიკიტნოს და სახნისს, სანამ მას მისი მეურნეობა მტკიცედ და შეურყეველად ეგულდება, ყველგან და მუდამ ლოკალისტია, უკეთეს შემთხვევაში ნაციონალისტია“²⁾. ბ-ნი ან-ი და ბ-ნი ჩხენკელი მოვალენი არიან მორიგდნენ. გარდა ამისა, საჭიროა, რომ სთქვან გადაჭრით, რომ ისინი და მათნი ამხანაგნი სცდებოდნენ, როდესაც ამტკიცებდნენ წინააღმდეგ აზრს, ე. ი. რომ ჩვენი ბურჟუაზია, როგორც ნაციონალიზმის მატარებელი, დაინტერესებულია ავტონომიურ წეს-წყობილების შემოღებაში და რომ „ავტონომისტობა“ ბურჟუაზიას წარმოადგენს. მაგრამ ბ-ნი ჩხენკელი უფრო შორს მიდის. ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ს.-დემოკრატიულ პრესაში და მიტინგებზე საქადაგებლად გამოგონილ სააგიტაციო ლოზუნგს იგი ძირს უთხრის და იმასაც ამბობს, რომ ავტონომია არ ესაჭიროება არც ქართველ თავად-აზნაურობას. იგი ამბობს:

„ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ ამის შემდეგ (პეტეციის შემდეგ. ა. ჯ.) ჩვენი თავად-აზნაურობა *in corpore* ავტონომიის მომხრეთ წარმოადგინა, რაც დიდი შეცდომა იყო. მსხვილ და საშუალო თავად-აზნაურობის ის ნაწილი, რომ-

1) „ხომლი“ № 12. (ხაზი ყველგან ავტორისა).

2) *ibid*

მელიც სასოფლო წარმოების საქონლად ქცევას და გასაღებას ეწაფება, უეჭველად ქართველ მსხვილ-საშუალო ბურჟუაზიის ბუნებრივი მომხრეა, სულ ერთია, ესმის მას ეს დღეს თუ არა. რაც შეეხება ჩვენი თავად-აზნაურობის შეძლებულ და მასთან ტემლაკიან-რეაქციონურ ნაწილს, მან კიდევ საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის დღესასწაულზე დაგვიმტკიცა, რომ ის **მხოლოდ და მარტო** რუსეთის ბიურო-კამარილას მფარველობის ქვეშ გრძნობს ჩინებულად თავს¹⁾

უნდა ვსთქვათ, რომ ყოველივე ეს დაბეჭდილია ს.-დემოკრატიულ ორგანოში და არც ერთი აქ მოყვანილი აზრი არაფის მიერ დღემდე არ იყო დარღვეული. და ყველა ამის გათვალისწინების შემდეგ ქართველმა ს.-დემოკრატებმა უნდა ჰკითხოს თავის თავს, ვალდებულია თუ არა იგი საჯაროდ აღიაროს, რომ მისი ბრძოლა, რომელსაც იგი ეწეოდა ს.-დემოკრატიის და ავტონომიის წინააღმდეგ ხუთი წლის განმავლობაში, ყალბ და დაუსაბუთებელ ნიადაგზე სწარმოებდა და რომ იგი ხმარობდა სააგიტაციოდ იმგვარ ლოზუნგს, რომელსაც იგი დღეს აშკარად უარჰყოფს!

მაგრამ კიდევ ერთი რამ. ს.-დემოკრატებს დავიწყებული არ ექნებათ, რა ზიზღით ეპყრობოდნენ ისინი ყველას, ვინც კი საქართველოს „ისტორიულ უფლებებს“ გაიხსენებდა და ძველ სიგელების გამოყენებას ცდილობდა პოლიტიკურ ბრძოლის დროს. ამგვარ ხალხს ისინი ბატონ-ყმობის და მეფობის მოტრფიალეთა გუნდში სთვლიდნენ და ეხლა კი მათივე ამხანაგი მათსავე ორგანოში გვეუბნება: „მართალი გითხრათ, არც ჩვენ ვთვლით სრულიად უმნიშვნელოდ საქართველოს ძველ საბუთებზე მითითებას, როცა საქმე რუსეთის ხულიგან-ნაციონალისტებთან გვაქვს... ხშირად სასარგებლოა ამ ვაჟბატონების წინააღმდეგ მოიმარჯვოთ საქართველოს ძველი სიგელებით“. როგორც ხედავთ, ბ-ნი ჩხენკელი დიდ თავმდაბლობას იჩენს და მას არ ეუკადრისება ძველი სიგელების გადასინჯვა ხულიგანების გასაჯავრებლად და უფრო კი გასახარებლად. რუსეთის დემოკრატიასთან ლაპარაკს ამ სიგელების შესახებ იგი ვერ ჰბედავს, მაგრამ მხედველობაში თუ მივიღეთ ს.-დემოკრატების შეუწყნარებლო-

1) ibid

ბა ამგვარ საბუთების გამოყენებისა, დიდ წყალობად უნდა ჩავთვალოთ ისიც, რომ ჩვენს სიგელებს ეს-დეკების მეცადინეობით დღეიდან გაეცნობიან რუსეთის „პოგრომშიკები“ და შავრაზმელები!..

ასეა თუ ისე, ბნი ჩხენკელი, ცოტა არ იყოს, დაპშორდა თავის ამხანაგებს. ძველ შეცდომათა წინაშე მონანიების გრძნობით არის იგი შეპყრობილი, თუ ლაპარაკის ჟინმა სძლია, აშკარა კია, იგი აღარა სდგას იქ, სადაც ჯერ კიდევ ახლო წარსულში იმყოფებოდნენ მისი თანამოაზრენი, მალლიდან დაპყურებდნენ საქართველოს არე-მარეს და ვითომდა მის ბედნიერებისათვის გამოფიტულ პრინციპებს და ცრუ ლოზუნგებს სთხზავდნენ და ავრცელებდნენ ხალხში. ბ-ნი ჩხენკელი ნებსით თუ უნებლიეთ ძველ ტრადიციების დამარღვევლად გამოდის, რაიც უფრონათლად გამოაშკარავდება ჩვენთვის, როდესაც შევხვებით მის კრიტიკას „კავკასიის საოლქო თვით-მართველობის“ დებულებისა, რომელიც შეტანილია ს.-დემოკრატიულ პროგრამა-მინიმუმში.

8.

ბ-ნი ჩხენკელი არ იწყნარებს თავის პარტიის ეროვნულ პროგრამას და აღიარებს, რომ ამიერ-კავკასიის საოლქო თვით-მმართველობის დაწესება შესაწყნარებელი არ არის, დღევანდელ პირობებში მაინც. იგი წინააღმდეგია საოლქო თვით-მმართველობისა ორის მოსაზრების ძალით. „როდის დავეკითხეთ, — ამბობს ავტორი, — ამიერ კავკასიის ხალხებს, სურთ თუ არა მათ დაექვემდებარონ საოლქო დემოკრატიულ კრებას და მის აღმასრულებელ ორგანოებს... სანამ ამიერ-კავკასიის ყველა ხალხნი არ მიეკედლებიან საოლქო თვით-მმართველობას, მანამ უკანასკნელი **სახვალიო** გეგმათ იქნება და არა სადღეისოდ. საჭიროა გადაჭრით ითქვას ესაო“. ამ სიტყვებში საკვირველი რამ ირკვევა. რუსეთის ს.-დემოკრატიული პარტია ინტერნაციონალურ ნიადაგზე სდგასო, გვარწმუნებდნენ აქამდის, და, თურმე ნუ იტყვით, დღემდე არც კი დაპკითხებიან იმ ერებს, რომელთათვისაც ეროვნულ პროგრამებს სთხზავდნენ. ბ-ნი ჩხენკელის მოწმობით ს.-დემოკრატიულ პარტიის ინტერნაციონალისტობა ძლიერ საეჭვო რამ არის. მეორე მოსაზრება, რომელიც მოჰყავს ჩვენს ავტორს საოლქო თვით-მმართველობის წინააღმდეგ, არის ამ დაწესე-

ბულები უდროობა. „სოციალ-დემოკრატია, რაც უფრო მეტს დაუახლოვდება ცხოვრების სიღრმეს, ამბობს ის,—მით უფრო ნათლად დაინახავს ამიერ-კავკასიის ხალხების ერთი მეორისაგან ღრმა განსხვავებას და მათგან შემდგარ საოლქო პართველობის უდროობასაო“¹⁾ ესეც საგულისხმოა. ეროვნული პროგრამა უკვე ხუთი წელიწადია შემუშავებულია და მხოლოდ ეხლა დაინახეს, რომ იგი ცხოვრების სიღრმეს მოშორებულია და უდროვია. „როგორ გინდათ შეაგუოთ, ამბობს ავტორი, მწყემსის, კაჟიან თოფით მონადირის, მექარაფნის, სირაჯის, მევახშის, კაპიტალისტის, პროლეტარის, მიწის მუშის, ბეგის, ფაფანაკიან თავად-აზნაურის, მოლასი, ტერტერასი, ხუცესის და ინტელიგენციის წარმომადგენელი, თუ ისინი ამავე დროს სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობენო“²⁾. „ამიერ-კავკასიის საოლქო სეიმი სამწუხაროდ დღეს დღეობით „ბაბილონის გოდოლი“ გამოდგება, სადაც შუღლი თვით საქმეთ იქცევა და მოღვაწეობა არარადო“³⁾.

ეს ხომ ასეა, მაგრამ საოლქო თვით-მმართველობა, ბ-ნ ჩხენკელის აზრით, ქართველებისათვისაც ძლიერ მავნებელი რამ იქნება. „ქართველ ერისთვის,—ამბობს იგი,—პირდაპირ საზარალო და უხერხული იქნება, თუ სწავლა-განათლება, კულტის დარგი საოლქო სეიმს მიენდო... ქართველებისთვის გაცილებით უკეთესია ხსენებული დარგი საიმპერიო პარლამენტს დაეკისროს, ვინემ საოლქო სეიმს. რატომ? იმიტომ რომ მოშორებული ცენტრალიზმი გაცილებით ნაკლებ ზიანს მიაყენებდა მათ ეროვნულ აღორძინებას, ვინემ მახლობელი ცენტრალიზმი“⁴⁾.

მაშ რაღა უნდა გვეშველოს, იკითხავს მკითხველი? ჯერ იძახდნენ ავტონომია არ გინდათო, საოლქო თვით-მმართველობაში იქნება დაკმაყოფილებული ყოველი თქვენი საჭირობაო, და ეხლა-კი გვიცხადებენ, ეს საოლქო თვით-მმართველობაც კირი და შხამი იქნება თქვენთვისო. მაგრამ ბ-ნი ჩხენკელი მოხერხებული კაცია და სასოწარკვეთილებას არ ეძლევა; „ქართველი ერი,—ამბობს იგი,—ქეშმარიტად ღირ-

1) ibid.

2) ibid.

3) „ხომლი“ № 21.

4) ibid.

და დაიკმაყოფილოს თავის ეროვნულ-კულტურული მოთხოვნები, ამისათვის იგი უნდა გახდეს კანონმდებელიც და აღმასრულებელიც, არც მეტი არც ნაკლებიო“). ეს ხედავტონომიის აღიარებაა, იტყვის გაოცებული მკითხველი. ამას რითქმის თვით ავტორიც ამბობს. იგი სწერს: „ქართველები თითონ უნდა განაგებდნენ ყოველ კულტურულ და აქედგან სოციალ-ეკონომიურ და ეროვნულ საქმეებს რეალურად ქართველის ხალხისაგან დასახლებულ ადგილებზეო“¹). ავტონომია ამაზე მეტს არას ითხოვს, თუ ხალხი კანონმდებელიც არის და აღმასრულებელიც კულტურულ, სოციალ ეკონომიურ და ეროვნულ საქმეებში და ისიც განსაზღვრულ ტერიტორიის სივრცეზე, ის ხალხი ავტონომიურად სცხოვრობს და მოქმედობს, მაგრამ შემცდარი იქმნებით, თუ იფიქრებთ, რომ ამაზე დაგეთანხმობთ ბ-ნი ჩხენკელი. როგორც იმის წერილების სხვა ადგილებიდან სჩანს, იგი მომხრეა მხოლოდ კულტურულ ავტონომიისა: „სწავლა-განათლება კულტის დარგში, ქართული პარლამენტი ქ. ტფილისში უმაღლესი ენსტაცია არისო“²). აქ უკვე გამოტოვებულია სოციალ-პოლიტიკურ ინტერესების ავტონომიურად დაკმაყოფილების საჭიროება და რისთვის დასჭირდა ავტორს სოციალ-პოლიტიკურ ინტერესებზე ლაპარაკი და მკითხველის შეცდომაში შეყვანა, ალაჰმა უწყის! სწავლა-განათლება და ეკლესია—აი, საფუძველი საქართველოს თვით-მმართველობისა. ყოველივესხვა მას არ უნდა ეკითხებოდეს,—ამისათვის არსებობს საიმპერიო პარლამენტი. ამაზე შორს ქართველ ცენტრალისტ ეს-დეკთა ნატვრა ეროვნულ საკითხში დღეს არ მიდის!

მაგრამ უნდა ვსთქვათ მაინც, რომ ბ-ნი ჩხენკელის წერილები ქართულ ს.-დემოკრატიულ ლიტერატურაში საყურადღებო რამეს წარმოადგენს. საყურადღებოა არა მათის ნაკლულეგანებათა გამო, არამედ იმ მხრივ. რომ ავტორი გადაჭრით და გაბედულად აღიარებს საქართველოს თვით-მმართველ ერთეულის დაწესების საჭიროებას. მართალია, ეს თვით-მმართველობა უფრო ერობას მიაგავს, მაგრამ დიდმნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ

1) „ბომლი“ № 21.

2) „შურდული“ № 3.

ს.-დემოკრატიულ ლიტერატურაში ლაპარაკი იწყეს არა მარტო რუსეთის დეცენტრალიზაციის შესახებ, არამედ თვით ამიერ-კავკასიის დეცენტრალიზაციაზედაც, და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნ ჩხენკელის თვით-მმართველი ერთეული, როგორც ვნახეთ, თვით ერობის კომპენტენციასაც აღემატება და მას ენიჭება კულტურულ ავტონომიის უფლებანი. მართალია ეს კულტურული ავტონომია საქართველოს პოლიტიკო-სოციალურ და ეროვნულ საჭიროებათ ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ, სიმართლე მაინც უნდა ითქვას, რომ დიდი საქმეა ისიც, რომ ს.-დემოკრატები დღეს საქართველოსთვის განსაკუთრებულ ერობათა დებულებების შემოღებას იმეტებენ.

აღსანიშნავია აგრეთვე საზღვრების საკითხი, რომელსაც ეხება ბ-ნი ჩხენკელი. საქართველოს თვით-მმართველობაში, მისის აზრით, უნდა შედიოდეს: ა) იმერეთი; 1) აფხაზეთი, 2) ოდიში სამურზაყანოთი, 3) სვანეთი, 4) ლეჩხუმი, 5) რაჭა, 6) ზემო იმერეთი, 7) ქვემო იმერეთი, 8) გურია, 9) აჭარა 10) ბათომი, 11) სოხუმი. ბ) ამერეთი: 1) ზემო ქართლი, 2) ქვემო ქართლი, 3) შიდა ქართლი, 4) მოხევეთი, (!) 5) ქიზიყი, 6) შიდა კახეთი, 7) გარეთ კახეთი, 8) მთიულეთი ან (!) ფშავ თუშ-ხევსურეთი, 9) საინგილო და 10) ტფილისი.

ავტორის აზრით, ეს ჩამოთვლილი კუთხეები საქართველოს ერთეულში საშუალო თვითმმართველ ერთეულს ან მაზრას წარმოადგენენ. ჩვენ არ შეუდგებით აქ ერობის გეგმის განხილვას, ვიტყვი, მხოლოდ, რომ ავტორი საქართველოს გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას სწორედ ვერა ხმარობს. იგი ხევს მოხევეთს ეძახის და მის თვალში მთიულეთი და ფშავ-თუშ-ხევსურეთი ერთი და იგივე მხარეა, მაშინ როდესაც მთიულეთი ის მხარეა, რომელიც არაგვის ხეობაში მდებარეობს დუშეთიდან გუდაურამდე, ხოლო თუშ-ფშავ-ხევსურეთი თიანეთის მაზრაშია მოთავსებული, მაგრამ ეს წვრილმანია. საგულისხმო უფრო ის არის, რომ ავტორს არ შეეინებია და საქართველოს ფარგლებში ჩაუყოლებია ის ისტორიული ნაწილები ჩვენის ქვეყნისა, რომლებშიაც არა ქართველნი სცხოვრობენ და ზოგიერთში კიდევ სჭარბობენ ქართველ ელემენტს. სახეში გვაქვს აფხაზეთი, ზემო ქართლი და საინგილო. ბ-ნ ჩხენკელს ეცოდინება, რომ ზემო ქართლია და მომზადებულიც, რომ მან აიღოს პროგრესის აღღო.

ლის ნაწილს ძველად შეადგენდნენ სამცხე, საათაბაგო და ჯავახეთი. ჯავახეთში დღეს დიდი უმრავლესობა მცხოვრებთა რიცხვისას სომხობა შეადგენს, ხოლო საინგილო ნაწილია ზაქათალის ოლქისა, სადაც დიდ-ძალი ლეკობა სცხოვრობს. ეს ითქმის აფხაზეთზე, სადაც ქართველები უმცირესობას შეადგენენ. თუ ჩვენი ავტორის გეოგრაფიული კლასიფიკაცია მის მიერ შეგნებულადაა წამოყენებული და არა მოუფიქრებლად, სომხითი ანუ დღევანდელი ბორჩალოც უნდა დაესახელებინა. ჩვენ ავტორს არ აშინებს მცხოვრებთა სიჭრელე; იგი ამბობს: „ჩვენში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ საქართველოს ეროვნულ სიჭრელეზე, მხოლოდ არავის ახსოვს, რომ ეს სიჭრელე, რამდენად სოფლები გვაქვს სახეში საზოგადოდ არ არის პიროვნულ—ატომისტური, ე. ი. სხვა და სხვა ერთა ელემენტები სულაც არ არიან სოფლებში ერთმანეთში დომხალივით არეულიო¹). (აქ უნდა მოვავგონოთ ავტორს, რომ ჩვენში ამას ამტკიცებენ მხოლოდ საქართველოს ავტონომიის მოწიადმდეგენი, უმთავრესად ს.-დემოკრატები ბ-ნ ან-ის მეთაურობით).

რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებს, ავტორი მათ შესახებ ამბობს: „არა ქართველების ერთეულები, რასაკვირველია, იმავე უფლება-მოვალეობით იქნებიან აღკურვილნი, როგორც ქართველების წვრილი ერთეულები; მაშასადამე ეროვნულად არ აქნებიან შევიწროებულნი... იქ, სადაც ქართველი სჭარბობს, მესვეურობა ქართველს ექნება. იქ სადაც არა ქართველი სჭარბობს, მესვეურობაც არა ქართველს დარჩებაო“. ²) აქაც უნდა მოვავგონოთ ბ-ნ ჩხენკელს, რომ როდესაც ამგვარ აზრებს ს.-ფედერალისტები აღიარებენ, მათ შოვინისტებს უწოდებენ და სხვა ერების დაჩაგვრის წადილს სწამებენ, ეხლა კი თვით ს.-დემოკრატი აღიარებს, რომ საქართველოში მესვეურობა ქართველების ხელში უნდა იყოსო. ესეც საგულისხმოა, თუმცა არ უნდა დაივწყოს, რომ ამგვარ გულუხვობას ჩვენი ავტორი იჩენს არა ავტონომიურ საქართველოს მესვეურობის საკითხში, არამედ საქართველოს ერობის ფარგალში. რაც შეეხება საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას, აქ ბ-ნი ჩხენკელი ისევ ძველ ნია-

1) „ხომლი“ № 29.

2) *ibid*,

დავზე სდგას; მის გახსენების დროს საზარლად კბილებს აკრაქუნებს და მწვეტ პრქყალებს უმიზნებს თავის მოწინააღმდეგეებს.

მკითხველი იკითხავს; ყველა კარგი; მაგრამ რა აქვს სათქმელი ბ-ნ ჩხენკელს ავტონომიის წინააღმდეგ? რაზე ემყარება ჩგი, როდესაც ლარყოფს მას? ჩვენი ავტორის ნაწერები უცნაურ მასალას იძლევიან ამ კითხვის გასარკვევად.

ჩხენკელი, რასაკვირველია, იმ ავტონომიის წინააღმდეგია, რომელსაც აღიზრებენ ს.-ფედერალისტები, თითქოს ავტონომია ერთხელ და სამუდამოდ მეცნიერების მხრივ განსაზღვრული მცნება არ იყოს ს.-ფედერალისტების სახელმძღვანელოდაც და ბ-ნ ჩხენკელის შესათვისებლადაც. ჩვენი ავტორი კი იმ აზრისაა, რომ ს.-ფედერალისტების ავტონომია ერთია და მისი, ბ-ნ ჩხენკელის კი, — მეორე. თურმე ნუ იტყვი, ს.-დემოკრატები იმიტომ ყოფილან ავტონომიის წინააღმდეგნი, რომ მათ ყოველთვის ფედერალისტების ავტონომია ჰქონდათ მხედველობში: „ასე წარმოიდგინეთ, — ამბობს ბ-ნი ჩხენკელი, — გარეგნულად ჩვენ ფედერალისტების გავლენის ქვეშ ვართო; როცა ავტონომიაზე ბაასი ჩამოვარდება, ჩვენ მუდამ ფედერალისტების ავტონომიასა ვგულისხმობთ, თითქოს მათი განმარტება მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა იყოსო“.¹) რა არ მოსწონს ფედერალისტების ავტონომიაში ბ-ნ ჩხენკელს, იკითხავს მკითხველი? ისა რომ, ფედერალისტთა ავტონომიური საქართველო უაღრესად ცალკე სახელმწიფოაო“,²) გვიხსნის იგი. აქ საგულისხმოა სიტყვა უაღრესად. დღემდე ცნობილი იყო, რომ რაც გინდ თართო უფლებანი ჰქონდეს ავტონომიას, იგი მხოლოდ და მარტო შემცირებული და შეკვეცილი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა. ჩვენი ავტორი კი ხაზს უსვამს უაღრესობას და ჰგონია, რომ მეცნიერულის საზომით ზომავს ხსენებულს მოვლენას. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი ავტორი არავითარ ორიგინალობას არ იჩენს და აღიარებს მხოლოდ ამხამაგებისგან მემკვიდრეობით შეთვისებულ ხერხს, რომ როგორმე და რანაირადმე ს.-ფედერალისტები სეპარატიზმის მომხრეთ გამოაცხადოს. სეპარატიზმი კი, ე. ი. ერის სრული დამოუკიდებლობა

1) *ibid.*

2) *ibid.*

და მის მიერ უკალკე სახელმწიფოს დაარსება ხომ ისეთი რამ
სამარცხინო და სათაკილოა, რუსეთის სახელმწიფოებრივ
მთლიანობის თვალთსაზრისით გამსკვალულ ჩვენებურ ეს-დე-
კებისათვის, რომ ამ კიტყვით ლანძღვაც კი ეხერმებოთ. აი,
ხედავთ, „უალრესის სახელმწიფოს“ დაარსება უნდათ და ქვე-
ყანას ატყუებენ, ავტონომისტები ვართ და რუსეთის ქვე-
შევრდომობაზე ხელს არ ვიღებთო. ესეთია არ-ახალი ვარი-
ანტი დაბეზღების მსგავს საბუთისა ავტონომიის წინააღმდეგ!
ს. ფედერალისტთა ავტონომია სეპარატიულ სახელმწიფოს
მსგავსდ ორგანიზაციააო. ბ-ნ ჩხენკელის ფართო თვითმარ-
ველობა კი, რადგორც თითონ ამბობს, „სავსებით დაფუძნე-
ბულია საიმპერიო, სახელმწიფურ, მოქალაქობრივ კანონ-
ნებზე, იგი უალრესად თვითმართველია და პირველ ყოვლისა
ასრულებს საიმპერიო კანონებს“. 1) ჩვენი ავტორი არც კი
ჰგრძნობს იმ სამარცხინო მდგომარეობას, რომელშიაც ის
აყენებს „თვითმოქმედ“ ერს. თვითმოქმედებას იგი საიმპე-
რიო კანონების აღსრულებაში ჰხედავს. ამის შემდეგ სჭუ-
ლიად ვასაგებია, როდესაც ავტორი ამბობს: „საქართველოს
ერთეულსაც ავტონომიად დაეძახება, მაგრამ იგი არამც და
არამც არ არის ფედერალისტების ავტონომიაო“. 2) ეგ-ლა
აკლდათ ს.-ფედერალისტებს, ამ სათაკილო, პროგრამით
გამოსულიყვენ პოლიტიკურ ასპარეზზე!

ყვე ა ამასთან საყურადღებო კიდევ ის არის, რომ
მიუხედავად ამისა, ჩვენი ავტორი, ერთის მხრივ ჰგმობს ავ-
ტონომიას, მეორეს მხრივ მასზე მაინც ხელი ვერ აუღია და
დარწმუნებულ ადამიანის კილოთი გვიხსნის, რომ საოლქო
თვით-მართველობა იგივე ავტონომიააო. მართალია, მეცნიე-
რება ამ ორ ცნებათა შორის დიდ განსხვავებას ჰხედავს. მაგ-
რამ „ოფიციალურ მეცნიერების“ აზრი აბა რა სახეში მისა-
ღებია; მას ხომ მხედველობაში არ მიუღია ეს თვით-მართვე-
ლობა, რომელიც წამოყენებული აქვს სოციალ-დემოკრატიას.
წაქეზებული ამ გვარ მრუდე სოფიზმებით, ჩვენი მწერალი სერიო-
ზულად გვიმტკიცებს: „ფართო თვით-მართველობა აუცილებ-
ლად გულისხმობს ავტონომიას; ავტონომია თავის მხრივ გუ-
ლისხმობს ფართო თვით-მართველობას; მათი ერთმანეთის პრინ-

1) „ხომლი“ № 21.

2) ibid.

ცივილურად დაპირდაპირება ყოველად შეუწყნარებელიაო... „ნაციონალისტები,—განაგრძობს ავტორი, განზრახ ამახინჯებენ ფაქტებს, როცა მათ ავტონომია გამოაქვთ ყველაფრად, ფართო თვით-მართველობა კი არაფრად; მათ შორის არ არის არსებითი „განსხვავება ეროვნულ კულტურის დაცვაში“-ო¹⁾). ეს ასეც რომ ყოფილიყო, ჩვენ ავტორს დაპვიწყებია, რომ იგი ხომ დღევანდელ პირობებისთვის თვით საოლქო თვითმართველობასაც უარყოფს და არ იწყნარებს. მაშ რად დასჭირდა მას ამ თვით-მართველობის განდიდება და გალამაზება ავტონომიურის სამკაულით! მის ნაწერებს ყოველი მორთულობა რომ გამოვაცალოთ და აქეთ-იქით ჩამოქარგული ეჭვნები რომ ავგლიჯოთ, მეტად ღარიბი სურათი გამოჩნდება: იგი ართმევს ერს ყველა პოლიტიკურ უფლებას და ერის სოციალ-ეკონომიურ ინტერესებს უქვემდებარებს სიმპერიო კანონების მექანიზმს. ერს ნებას აძლევს სკოლები გახსნას, და სასოფლო გზების გაკრას და ამ ჩხირკედელაობას „ავტონომიას“ უწოდებს. ეს ავტონომია დაგვილოცნია ბ-ნ ჩხენკელისათვის და მის თანამოაზრეთათვის. ამ უამად კი მკითხველის ყურადღება მივაქციოთ სხვა ს.-დემოკრატებზე, ბ-ნ დ—ზე და ვნახოთ, როგორ უმასპინძლდება იგი ბ-ნ ჩხენკელის ავტონომიას და რა ცვლილება შეაქვს მას ეროვნულ პრობლემის გადაწყვეტაში.

9.

როგორც უკვე ვიცით, ბ-ნმა დ—მა გაზეთ „ალიონ“-ში გაილაშქრა ცენტრალიზმის და ცენტრალისტების წინააღმდეგ. „ალიონის“ დაკეტვის შემდეგ მან ეს საქმე განაგრძო „ჩვენ კვალ“-ში და აქ მკითხველის წინაშე გადაშალა თავისი ეროვნული პროგრამა. სწორედ ამ ხანებშივე იბეჭდებოდა ცენტრალისტ ს.-დემოკრატების ორგანოში ბ-ნ ჩხენკელის წერილები და „ჩვენმა კვალმაც“ უყურადღებოდ არ დასტოვა ისინი. გაზეთი გაბედულად ამხედრდა იმ პოლიტიკო-იურიდიულ მცნებათა არევის წინააღმდეგ, რომლითაც ასე კადნიერად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ბ-ნი ჩხენკელი. „ჩვენი კვალი“ ამბობს: „ავტონომია უეჭველად პოლიტიკურია, ადგილობრივი თვით-მართველობა კი უეჭველად ადმი-

1) „ხომლი“ № 18.

ნისტრატულია... ავტონომიას მინიჭებული აქვს თვითარსება სახელმწიფო უფლებისა, ე. ი. კანონმდებლობა... ხოლო საკუთარი კანონები თავის თავად იგულისხმებს საკუთარ სასამართლოს და მართველობას, ასე რომ ავტონომიას აქვს სახელმწიფო უფლების ყველა ფუნქციები და ყველა ორგანოები და აი ამიტომაც სახელმწიფო ძნელად გასარჩევი ხდება ავტონომიისაგან. აქ არსებითი განსხვავება წაშლილია... მაშ ასე, წინააღმდეგ ამხანაგ ჩხენკელისა, ავტონომიისა და ადგილობრივ თვით-მართველობის შუა განსხვავება ყოფილა ღრმა, ძირითადი და არსებითი“¹⁾).

გაზეთი მომხრეა კანონების ერთ იგივეობისა, ე. ი. საერთო საკანონმდებლო დაწესებულების არსებობისა ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა და სხვა ერთათვის, ხოლო იმ აუცილებელ პირობით, რომ ერთა სოციალ-ეკონომიური პირობებიც მსგავსნი და ერთგვარნი იყვნენ. „წინააღმდეგ შემთხვევაში, — ამბობს გაზეთი, — კანონების ერთ-იგივეობა ნიშნავს პრივილეგია-უპირატესობასა და ბატონობას ერთის მხრივ და ჩაგვრა-მონობას მეორეს მხრივ“.. რუსეთის სახელმწიფოში პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის უარის-ყოფა და კანონებისა და კანონმდების იგივეობის მოთხოვნა, ნიშნავს სოციალ-ეკონომიურ განვითარების შებორკვას და უკიდურესს ნაციონალურ ჩაგვრა მონობის დადასტურებასო.

ბ-ნი ჩხენკელი თავის წერილებში ხშირად ლაპარაკობს იმ საერთო ინტერესების შესახებ, რომელნიც არსებობენ კავკასიის სხვა და სხვა ერთა ცხოვრებაში. ამ საერთო ინტერესებს მომავალში გაუძღვება კავკასიის საოლქო სეიმი. ამის შესახებ „ჩვენი კვალი“ გამოსთქვამს შემდეგ მოსაზრებას: „კავკასიის მთა-გრეხილებისა და ველების გვირაბებით, არახებით და სამიმოსვლო გზებით დასერვა ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ როგორ გნებავთ ეს შეასრულოთ, თუ კი ყოველ ცოტად თუ ბევრად საყურადღებო გზის გაყვანისთვის „რაზრეშენიას“ უნდა უცდიდეთ პეტერბურგიდან ან როგორ უნდა გამოიყვანონ გზა, თუ კი პეტერბურგისაგან დადებული ტარიფი ძირს უთხრის ადგილობრივ ვაჭრობა-მრეწველობას, და არც ადგილობრივ მგზავრების ჯიბეს შეესაბამებაო“²⁾).

ბ-ნ ჩხენკელს თავი მოაქვს იმითი, რომ მისი თვით-მმართვე-

1) ibid № 18.

2) ibid № 16

ლობა დემოკრატიულ პრინციპზეა დამყარებული. „ჩვენი კვალი“ ამასაც სკეპტიკურად უყურებს: დიდი არაფერი¹⁾; თუ ადგილობრივ მკვიდრთ მიენიჭათ უფლება თვითონვე აირჩიონ ხოლმე თავიანთი მოხელეები (ადმინისტრაციული თვითმმართველობა). „რას აქნევთ არჩეულ მოხელეებს; თუ კი თვით საქმეების დაწყება, გაძღოლა, მიმართულება და ხასიათი დამოკიდებულია უცხო გარეშე ცენტრზე, რომლის განუწყვეტელი ზრუნვაა თავის საწველ ფურად გიყოლიოთო¹⁾“. ერთის სიტყვით, „ჩვენი კვალი“ გარკვევით და აშკარად გამოდის პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის მომხრედ და ამიტომაც არის, რომ იგია მომხრე როგორც კავკასიის ისე საქართველოს ავტონომიებისა. გაზეთი ამბობს: „ნაცვლად საოლქო თვითმმართველობისა, რომელიც იგულისხმებს მხოლოდ ფართო ადმინისტრაციულ თვითმართველობას, ჩვენ ვთხოულობთ ავტონომიას, რომელიც იგულისხმებს განსაზღვრულ პოლიტიკურ თვითმმართველობას. დიახ, ჩვენ ვაღიარებთ კავკასიის ავტონომიის საჭიროებას“²⁾. ყველა ამისთვის გაზეთს საჭიროდ მიაჩნია, რომ კავკასიის მცხოვრებთ მოიპოვონ სახელმწიფოებრივი უფლება. საოლქო სეიმი კი უნდა იყოს ნამდვილი პარლამენტი და არა ადმინისტრაციული ორგანო. კავკასია გახდება რუსეთის სახელმწიფოს ავტონომიური ნაწილია.

მაგრამ გაზეთი ამაზე არა ჩერდება. იგი ლაპარაკობს კავკასიის სხვა და სხვა ერთა ეროვნულ ცხოვრების ორგანიზაციაზედაც. გაზეთი ამბობს: „ნაცია, რომელსაც არ მოეპოვება ერთიანი ტერიტორია, არამედ გაფანტულია მთელ ამ მხარეში (მაგალითად, სომხობა), ტერიტორიის მიუხედავად შეადგენს ერთს ნაციონალურ ერთეულს, რომლის ყველა ნაციონალურ-კულტურულ საქმეების შესახებ კანონმდებელია მისი საკუთარი ნაციონალური საბჭო. ხოლო ის ნაცია, რომელსაც ხსენებული ტერიტორია მოეპოვება (მაგ. ქართველობა), შეადგენს ცალკე თვითმმართველ კანტონს — ერთ ნაციონალურ-ტერიტორიალურ ერთეულსო“³⁾. მაშასადამე, გაზეთი მომხრეა როგორც კულტურულ ავტონომიისა, ისე ნაციონალურ-ტერიტორიალურისა, — საქართველოს ენიჭება ნაციონალურ-ტერიტორიალური ავტონომია. „სა-

¹⁾ ibid. № 16.

²⁾ ibid. № 10

³⁾ ibid.

ქართველოს პარლამენტის კომპეტენცია უნდა გავრცელდეს საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფერაზე, ყველა სოციალ-კულტურულ საქმეებზეო¹⁾.

მაშასადამე, აქ ლაპარაკია პოლიტიკურ ავტონომიაზე და უფლებრივის მხრივ იგი არ ჩამოუვარდება კავკასიის ავტონომიას, ეს ლოლიკურად გამომდინარეობს ყველა იქიდან, რასაც ამბობს „ჩვენი კვალი“ საქართველოს პარლამენტის კომპეტენციის შესახებ. მაგრამ, საუბედუროდ, გაზეთს თითქოს ეკრძაღვის უკანასკნელ დასკვნავდე მისვლა და არას ამბობს იგი საქართველოს „სახელმწიფოებრივ უფლებების“ შესახებ. თუ საქართველო პოლიტიკური ავტონომია, ეს უფლებაც უნდა ჰქონდეს მას ისე, როგორც „კავკასიის ავტონომიას“ ანიჭებს გეზეთი ხსენებულ უფლებას. აი ამ განუსაზღვრელობის გამო ნათლად არა სჩანს ის, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს, ერთის მხრივ, საქართველოს და კავკასიას და, მეორეს მხრივ საქართველოსა და ქართულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ერებს. გაზეთი ამბობს: „ქართულ პარლამენტის დადგენილებანი (კანონები) სულიერ კულტურის საკითხების შესახებ, რა თქმა უნდა, არ გავრცელდება იმ არა ქართველებზე, რომელნიც შევლენ თავ-თავიანთ ნაციონალურ ორგანიზაციებში, (ნაციონალ-კულტურულ ავტონომიებშიო“²⁾.

კეთილი. მაგრამ გაზეთი სდუმს სოციალ-ეკონომიურ კანონების შესახებ, სავალდებულონი იქნებიან იგინი ქართულ ტერიტორიაზე მცხოვრებ არა ქართველთათვის, თუ არა? ჩვენის აზრით ეს კანონები უნდა იყვნენ სავალდებულონი ავტონომიის ფარგალში ყველა მცხოვრებისთვის განურჩევლად ეროვნებისა. ვგონებთ, თუმცა დარწმუნებული არა ვართ, რომ გაზეთი ამასვე ფიქრობს და თუ არას ამბობს ამის შესახებ, იმიტომ, რომ თავისთავად ცხად აზრად ეჩვენება. მაგრამ ამ გვარ საკითხებში მეტი განსაზღვრულობაა საჭირო, მით უმეტესად, რომ ის, რასაც გაზეთი გვეუბნება საქართველოს ურთიერთობის შესახებ კავკასიასთან, ცოტა არ იყოს, ექვს გვიბადავს იმის შესახებ, რომ გაზეთის აზრით საქართველოს ავტონომია ისეთივე სრულ-უფლებიანი არ არის, როგორც არის კავკასიის ავტონომია. აი თუნდ ვალაი პარაკოთ თვით „ჩვენი კვალი“. გაზეთი ამბობს: „როგორც

1) ibid № 17.

2) ibid.

საქართველოს ქვეშევრდომნი, ისე სხვა კანონების ქვეშევრდომნი იმავე დროს იქნებიან კავკასიის მოქალაქენი¹⁾. აქ რალაც გაუგებრობაა. თუ საქართველოში დემოკრატიული ავტონომიაა, მისი მცხოვრებნიც საქართველოს მოქალაქენი არიან და არა ქვეშევრდომნი. შეიძლება ისინი კავკასიის მოქალაქენიც იყვნენ, თვით რუსეთის სახელმწიფოს მოქალაქენიც, ხოლო თავიანთ სამშობლოს მოქალაქეობაზე ისინი ხელს ვერ აიღებენ. მაგრამ „ჩვენ კვალს“ დაუსაბუთებელი იერარქიული სისტემა აქვს წამოყენებული და აქედან წარმოსდგება ხსენებული გაურკვევლობა. გაზეთი ამბობს: „აქ მცხოვრებ ყველა ნაციათა პოლიტიკურ-მოქალაქობრივ თანასწორობის ერთგული და მტკიცე დარაჯი იქნება ამ თანასწორობაში დაინტერესებული კავკასიის საოლქო სეიმი და კავკასიის უმაღლესი სასამართლო“²⁾. რატომ? — იკითხაბთ, საოლქო სეიმს რატომ ანიჭებთ ამგვარ უფლებას და კავკასიის უმაღლესს სასამართლოს რატომ აარსებთ? ამ გვარ დაწესებულებათა არსებობა საჭიროა და აუცილებელი ფედერატიული წყობილებაში. აი, მაგალითად. შვეიცარიის ფედერალური საბჭო და ფედერალური სასამართლო სინიღისიერად ასრულებენ „დარაჯობის ფუნქციებს“, მაგრამ იქ ამ დაწესებულებათა უფლებანი განსაზღვრულია ფედერალურ კონსტიტუციით. თქვენ კი ფედერაციას არც კი ახსენებთ და ერთ პოლიტიკურ ავტონომიას სრულიათ უკანონოდ უქვემდებარებთ მეორეს. მართალია, ერთ ადგილას „ჩვენი კვალი“ ამბობს: „ჩვენ ვითხოვთ კავკასიის კუთხეების კანტონალურ თუ შტატებრივ ორგანიზაციას, როცა ცენტრალურ სეიმიდგან, თუ პარლამენტიდგან ნაწილი პოლიტიკურ მოქალაქობრივ და სისხლის სამართლის უფლებრივ კანონდება გადაეცემის შემადგენელ ნაწილებს—კანტონებსო“³⁾. აქ თითქოს ახალი ჰანგია. თითქოს ფედერატიულ წყობილებაზეა საუბარი. აქ ვტყობულობთ, რომ საქართველო თავის ავტონომიის უფლებას ღებულობს სხვა უფრო დიდ ავტონომიურ ერთეულისაგან—კავკასიის ცენტრალურ სეიმისაგან. მაგრამ გაზეთი, თითქოს შეშინებულია, ფედერალისტობა არ დამწამონო, და ამბობს აქვე: „მკითხველმა არ

1) *ibid.* № 17

2) *ibid.* № 17.

3) *ibid.* № 16

უნდა იფიქროს, ვითომ ჩვენი გეგმით კავკასია. უნდა შეადგენდეს ამერიკის, შვეიცარიის, ავსტრალიის უბრალო კომპიოსაო¹⁾). სამწუხაროდ, „ჩვენი კვალი“ თავის საკუთარ გეგმას არ იძლევა და კმაყოფილდება მხოლოდ შემდეგის დასკვნით: ნაციონალურ-კულტურული ავტონომია და კანტონალური მოწყობილება კავკასიაში საუკეთესოდ სწევებს ნაციონალურ საკითხსაო²⁾). ასე რომ დარჩა ბოლომდე გამოურკვეველი ურთი-ერთობა როგორც კულტურულ ავტონომიებისა ტერიტორიალურ ავტონომიებთან, ისე ყველა ამ ავტონომიების ურთი-ერთობა კავკასიის ცენტრალურ ორგანოსთან.

მაგრამ, უნდა ვსთქვათ, რომ „ჩვენი კვალის“ დამსახურება ეროვნულ საკითხის გარკვევაში მაინც დიდია. მან ს.-დემოკრატიულ პრესაში პირველმა წამოაყენა გაბედულად საკითხი პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის საჭიროების შესახებ. ვისაც გათვალისწინებული აქვს ის შეუწყნარებელი ატმოსფერა, რომელიც გამეფებული იყო აქამდე ს.-დემოკრატიული ცენტრალისტთა წრეებში, ვინც მხედველობაში მიიღებს იმ თითქოს უნაყოფოდ დახარჯულ ენერჯიას, რომელსაც ხარჯავდნენ ს.-დემოკრატების მოწინააღმდეგენი ამ საგნის ჯეროვანად შესწავლისათვის, მისთვის ცხადი იქნება, „ჩვენი კვალის“ გალაშქრება ცენტრალიზმის წინააღმდეგ დიდ საზოგადოებრივ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს ამ ორგანოს. ჩვენ მხოლოდ იმას ვნანობთ, რომ „ჩვენ კვალის“ გამოსვლა ასე გვიან მოხდა, რომ მას გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო იმ ხანაში, როდესაც ჩვენი ხალხის და საზოგადოების აზრი უფრო მგრძობიარე იყო და როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯის ცემაც უფრო თვალსაჩინო იყო.

მაგრამ თვით „ჩვენი კვალი“ სამწუხაროდ სხვა აზრისაა ამ საგნის შესახებ. იგი ამბობს: „ოდესაც თუ მაგალითად მოხდებოდა მთელი რეჟიმის რესტავრაცია და აფეთქდებოდა სახალხო მოძრაობა, ჩვენ უმალვე თავს გავანებებდით დაწყებულ საქმეს, იქით გადავდებდით ყოველგვარ უთანხმოებას ნაციონალურ საკითხში და ერთსულოვნად შევდუღდებოდით“.

1) *ibid.* № 16.

2) *ibid.* № 16.

როგორც აღგიწერებრევ, ისე მთელ რუსეთის ამხანაგებთანაო. მაგრამ წმასთან გაზეთი უმატებს: „დღეს სწორედ ისეთი მომენტია, როცა... უნდა აღინიშნოს ძველი შეცდომები, ძვივსოს ძველი დეფექტები, უნდა შემუშავდეს სრული და სწორე პროგრამა და ტაქტიკა“... მაშასადამე, წინათ შეცდომებიც ყოფილა, დეფექტებიც, სრული და სწორე პროგრამმატაქტიკაც არ ჰქონიათ, მიუხედავად ამისა, „ჩვენი კვალის“ მესვეურებს არ ეკარგებათ სურვილი და ჟინი ცენტრალისტ ამხანაგებთან ერთად უსწორ-მასწორო გზით ხელმეორედ სიარულისა. ეგეც გემოვნების საქმეა და ჩვენც ამ გარემოებას გაკერით აღვნიშნავთ მხოლოდ.

ასეთია ხანმოკლე, მაგრამ ფაქტებითა და აზრებით საყურადღებო ეპოპეია ავტონომიურ მოძრაობისა საქართველოში. აქ უნდა შევჩერებულიყავით, მაგრამ ვერ შევჩერდით. ახლოხანში შარქისტების ორგანოში, „ჩანგში“ წავიკითხეთ ბ-ნ ლეოს წერილი ერობის შესახებ. ამ წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ჩვენი საერობო პროგრამის დედა-აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ერობას არა აქვს განსაზღვრული სფერო. არ არსებობს მრბის ცხოვრებაში არც ერთი მხარე, რომელსაც არ უნდა სწვდებოდეს ერობის კომპეტენცია. ერობა ერის თვითმმართველობაა, და ერის ცხოვრების ყველა მხარეებს თვით ერი, მისი ორგანოები—საერობო ერთეულები უნდა განაგებდნენ. საერობო ერთეულების ხელში უნდა იყოს არა მარტო ეკონომიურ-კულტურული საკითხები, არამედ ყველა პოლიტიკური საკითხებიც. საერობო ერთეულების ჟუღლება სამეურნეო საკითხებს გარდა, უნდა სწვდებოდეს კანონმდებლობას, მთელ ადმინისტრაციას, სასამართლოს... საერობო ერთეულებში ხელში უნდა იყოს საკანონმდებლო ძალაც“... 1) და სხვა.

ჩვენს მწერლობაში ბევრ რამეს უნდა იყო ჩვეული, მაგრამ, მართალი ვითმართ, ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ცოტას გასწყდა პირჯვარი ჰრ გადავიწერე, ისე გამაოცა ყრველიბე შემოდ ნათქვამმა. ს. აღმოსკრატის ბრძოლა სოც. ფედერალისტებთან (პოლიტიკურ საკითხებში) იმაზე იყო დატუბნებული, რომ პრეველნი უარჰყოფდნენ პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას, მეორენი-კი ამ დეცენტრალიზაციის

1) „ჩანგი“ № 32, 1909.

მომხრენი იყვნენ. ეხლა ჩვენ საკმარისი მასალა გვიჭირავს ხელთ და ვიცით, რომ „ავტონომიურ“ მოძრაობის მეორე ხანაში ცენტრალისტ მარქსისტები კულტურულ ავტონომიის ფარგალს არ გადასცილებიან. ლ. დ.—მა გაჭბედა და შესდგა პოლიტიკურ ავტონომიის ნიადაგზე და მისმა ამხანაგებმა ამ „თავხედობისათვის“ ჯვარს აცვეს იგი. დღეს კი ბ-ნ ლეოს ყოველივე ეს დაჰვიწყებია და გვარწმუნებს, რომ „საერობო ერთეულების ხელში უნდა იყოს არა მარტო ეკონომიურ-კულტურული საკითხები, არამედ ყველა პოლიტიკური საკითხებიცო“. დღეს ბ-ნი ლეო პოლიტიკურ ავტონომიას აღიარებს. „მაქსიმალიზმის“ ჟინით ისეა იგი გატაცებული, რომ ვერც იმას ხედავს, რომ ამახინჯებს სოციალდემოკრატიულ პარტიის პროგრამას, ვერც იმას, რომ ერთმანეთში ურევს ადგილობრივ თვით-მმართველობას და პოლიტიკურ თვით-მმართველობას.

ყოველსავე ამას ჩვენ სერიოზულ ყურადღებას არ მივაქცევდით, რომ ეს მოვლენაც ფრიად დამახასიათებელი არა ყოფილიყო სოციალ-დემოკრატიის დღევანდელ უნიადაგობისა და რყევისა. ერთის კალმის გასმით, ერთ გაზეთის ნომერში, ანგრევენ იმ შენობას, რომელიც წვალებით და ვაი-ვუით უშენებიათ ნ—ნ წლის განმავლობაში. კანონმდებლობაც გვინდაო და სამოქალაქო და სისხლის სამართალიცაო, ყველა პოლიტიკური უფლებაც ხელში უნდა გვეჭიროსო. თუ ყოველივე ეს დაიწერა მხოლოდ იმიტომ, რომ ნიშანში „დროება“ ამოეღო, რომელიც დღეს მხარს უჭერს დემოკრატიულ ერობის შემოღებას, სირცხვილია, რადგან მოპირდაპირეს იმგვარ პრინციპებით უნდა ეომო, რომელნიც გწამს, საკუთარი კანონდება კი თქვენ არასოდეს არ გწამდათ. ხოლო თუ მართლა გამოიცვალეთ აზრი და დღეს გამოდინხართ ავტონომისტად, ამ შემთხვევაში დადასტურეთ თქვენი აზრი და რწმენა, რომ „შანტაჟისტობად“ არავენ ჩამოგართვათ ამგვარი მეტამორფოზა.

მაშ ასე, ფაქტის უარყოფა შეუძლებელია. ქართველი სოციალ-დემოკრატია დაიძრა ძველ პოზიციიდან ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში. ან-ის ცდილობს არ უღალატოს ოლიქობრივ თვით-მმართველობას, მაგრამ ამ თვით-მმართველობას ავტონომიის ზოგიერთ ფუნქციებს ანიჭებს და

თანაც თვალებს უბრიალებს კულტურულ ავტონომიას. ჩხენკელი ოლქებრივ თვითმმართველობას ისეთის შიშით და ზიზღით უყურებს, როგორც ფაუსტი ეშმაკს, პირველად რომ გამოეცხადება იგი. სამაგიეროდ, ჩხენკელს თამამად გაუყრია ხელი სათაყვანებლად გამხდარ კულტურულ-ავტონომიისთვის და ავსტრიის დედაქალაქში პლანებს სთხზავს იმის შესახებ, როგორ დაარსდება ტფილისში პარლამენტი, როგორ მიენიჭება მას უზენაესი უფლებები სწავლა-განათლების და კულტის დარგში. ლ. დ-ლი გაუბედავად ასახელებს ფედერალიზმს. და ყველა ამის დასაგვირგინებლად ლეო გვეფიციება, რომ ეს-დეკების პროგრამა მინიმუმში იმისთანა ერობა მოიპოვება, რომელსაც მინიჭებული აქვს ყველა პოლიტიკური უფლებათა.

აი, აჭრელებული სურათი მიმართულებათა არევ-დარევისა და გადახლართვისა და უტყუარი სარკე სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დღევანდელ თეორიულ რყევისა და დაუდგრომლობისა. ყოველ ამ მასალით და აგრეთვე სხვა ახალ მასალითაც, რომელიც ხელში გვიჭირავს, გვინდოდა გვესარგებლა და გამოგვეთქვა ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს ავტონომიის პრაქტიკულ გეგმის შესახებ. მაგრამ, მოფიქრების შემდეგ, ამ საქმის გადადება ვამჯობინეთ. სოციალ-დემოკრატია კი **ვალდებულია** დაამთავროს ეროვნულ პრობლემის გადასინჯვის საქმე. მისი გაჩერება შუა გზაზე შეუძლებელია. რაკი აზრი ჩვეულ ადგილიდან დაიძრა, თავის მოძრაობაში იგი მივა ბოლო დასკვნამდე. და ბოლო დასკვნა კი უნდა იყოს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიის აღიარება ს.-დემოკრატიულ პარტიის ყველა ფრაქციის მიერ ამ ავტონომიის ნიადაგზე მათი შეთანხმება ს.-ფედერალისტებთან და სხვა ავტონომისტებთან. ეს იქნება დიდი ეროვნული საქმე, რომლისქმზადებასა და მოლოდინში უნდა ვიყვნეთ დღე-იდან!..

დღეს ყველა ლაპარაკობს რევოლიუციის დამარცხებასა და იმედების გაცრუებაზე. მართლაც დამარცხდა რევოლუცია. მაგრამ მან ზოგი რამ კარგი შეგვიძინა. **რევოლიუციის ლიკვიდაციის შემდეგ ხანიდან იწყება ქართულ საზოგადოების გამრთელების საქმე.** რევოლიუციის დროს დაქსაქსულნი ვიყავით. ქართული საზოგადოება ღრმა სენით იყო დაავადებული. როდესაც საზოგადოებაში გამოურკვეველია

ის აზრი, უნდა თუ არა ხალხს პოლიტიკური თვით-მოქმედება, ამ საზოგადოების მომავალი განსაცდელშია. რუსეთშიაც იყო პარტიათა შორის ღრმა და სასტიკი განხეთქილება. მაგრამ პროგრესიულ რუსეთისთვის არ არსებობდა საკითხი, საჭიროა თუ არა **რუსეთისთვის** პოლიტიკური მართვა-გამგეობა. კამათი და ბრძოლა იყო მარტო მართვა-გამგეობის სხვა და სხვა ფორმების უპირატესობის და საჭიროების შესახებ. რუსეთი რევოლუციის დროს **ერთ ეროვნულ სხეულს წარმოადგენდა**, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ ხანაში იჩინა თავი ამ სხეულის შინაგან ცხოვრებაში ღრმა კლასიურმა და სოციალურმა განხეთქილებამ. ჩვენი საზოგადოება სულ სხვას წარმოადგენდა ხსენებულ ხანაში. მისი ნაწილები დარღვევული იყო არა მარტო სოციალურად (რაც საშიშ მოვლენად არ მიგვაჩნია), არამედ ეროვნულადაც. ქართული საზოგადოება, ქართველი ხალხი, როგორც განსაზღვრულ პიროვნების მქონე ერი, თითქმის არ არსებობდა. ერს ეროვნული თავისუფლება არა სწყუროდა. იგი „ოცნებაში“ არსებულ რუსეთის დამფუძნებელ კრების ზედნადებად გადაიქცა. საკუთარ პიროვნების, საკუთარ ინდივიდუალობის, საკუთარ მართვა-გამგეობის დაწესების ზრუნვა მას არ ეკარებოდა. სოციალურ ბრძოლას, რომელიც იშლებოდა ჩვენს წინ, თითქმის სუბსტრატი ეკარგებოდა... რევოლუციის შემდეგ სურათი ცოტათი მაინც იცვლება. ეხლა მოხდა ახალი შეფასება ეროვნულ პრობლემისა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში და ნაყოფი ამ შეფასებისა, მიუხედავად მის საბოლოო გამოურკვევლობისა, როგორც ვნახეთ, ჯერ-ხნობით მაინც იმ ხასიათისაა, რომ იმედს არ გვიკარგავს ქართულ საზოგადოების გამომთელებისა და მის ნაწილების შედუღების ჟამის მოახლოების შესახებ.



304.19
F 25

3060 75 303.